К 2228
2

# ქართველი ერის ისტორია

# IV

ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

# ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО НАРОДА

кн. IV

ИЗДАТЕЛЬСТВО
Тбилисского государственного университета
имени И. В. СТАЛИНА

Тбилиси — 1948

9(47-922)

ივ. ჯავახიშვილი

# ქართველი ერის ისტორია

## წიგნი მეოთხე

(XV — XVI საუკუნეები)

K 2228/2

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1948

რედაქტორები { სიმ. ყაუხჩიშვილი
ალ. ჯავახიშვილი

კორექტორი პ. ლაბარტყავა

გადაეცა წარმოებას 17/III 48 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/X 48 წ. უე 13684.
ანაწყობის ზომა 7×11. სასტამბო თაბახი 23³/₄. საალრიცხვო-საგამომცემლო 29,37.
ტირაჟი 5000. გამომცემლობის შეკვეთა 7. სტამბის შეკვეთა 70.

სტალინის სახელობის თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, მარის ქ., 1

# შინაარსი


გვ.

რედაქტორებისაგან . . . . . . . . . . VII

## ქართველი ერის ისტორია (XV საუკუნე)[1]

ავტორისაგან . . . . . . . . . . 3

სარჩევი . . . . . . . . . . 5

წინასიტყვაობა . . . . . . . . . . 11

ქარაგმიანი და შემოკლებული სათაურების განმარტება . . . . 15

შესავალი . . . . . . . . . . 17

მეფეთა-მეფე ალექსანდრე დიდი . . . . . . . . 18— 43

ვახტანგ მეფე, ძე მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი . . . . . . 44— 45

მეფე გიორგი ალექსანდრეს ძე . . . . . . . . 46— 96

ბაგრატ მეფე . . . . . . . . . . 97—126

უკანასკნელი მცდელობა წინანდელი მდგომარეობის ალსადგენად 127—172

საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის განმავლობაში . . 173—193

ამბების ქრონოლოგიური სია . . . . . . . . 194—196

ამ წიგნში განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლები და გამოკვლევანი . . . . . . . . 196—206

## ქართველი ერის ისტორია (XVI საუკუნე)

ქართლის მეფე დავითი . . . . . . . . . . 209—242

დავითის გამეფება (209).—დავითის ნათესაობა და ოჯახი (209—210).

**სამი მეფეთა-მეფე საქართველოში:** ქართლში (210).—კახეთში (211).—დასავლეთ საქართველოში (212).—მესხეთის მთავრები (212).

**იმერეთის მეფე ალექსანდრე და ქართლის მეფე დავითი:** ალექსანდრეს ლაშქრობა ქართლში (213).—ოსმალთა შემოსევა იმერეთში. ქუთაისისა და გელათის აოხრება (214).—ალექსანდრე მეფის გარდაცვალება (217).—ბაგრატის გამეფება იმერეთში (217).

**კახეთის მეფე ავ-გიორგი და ქართლის მეფე დავითი:** გიორგის ლაშქრობა ქართლში (219).—გიორგის მიერ მამის, ალექსანდრე მეფის მოკვლა (219).—ავ-გიორგის მიერ ქართლის დარბევა (221).—ავ-გიორგის შეპყრობა ქართლის მეფის მიერ (222).

**დავით მეფის ლაშქრობა კახეთის დასაპყრობად:** ავ-გიორგის ცოლისა და შვილის შეპყრობა (225).


---

[1] ამ ნაწილის დაწვრილებითი შინაარსი იხ. ქვემოთ გვ. 5—10.

შაჰ-ისმაილის შემოსე ლის დასაპყრობად: ისტორიკოს ხონდემირის ცნობები (227).—დავითი და კახთა მეფე ლევანი (229).—ლეონ მეფის სახლობა (230).
ირანი XVI საუკუნეში (239—242).

**ქართლის მეფეები გიორგი IX და ლუარსაბი** . . . . . . . . . 243—260
დავით მეფის გადადგომა და მისი შემონაზონება (243).
შაჰთამაზის შემოსევები ქართლში (245—248): შაჰთამაზის მეორე ლაშქრობა (249).—ლუარსაბ მეფე და ქაიხოსრო ათაბაგი (250).—შაჰთამაზის ლაშქრობა შაქში (251).—შაჰთამაზის მესამე ლაშქრობა ქართლში (252).—ირან-ოსმალეთის ზავი და საქართველო (253).—ლუარსაბ მეფის ბრძოლა სპარსთა წინააღმდეგ (253).—გარისის ომი და ლუარსაბ მეფის მოკვლა (256).—ლუარსაბ მეფის დახასიათება (258).

**სვიმონ პირველის მეფობა ქართლში** . . . . . . . . . . . . . 261—281
სვიმონის გამეფება (261).—სვიმონის ბრძოლა თბილისისათვის (261).—მეფის ძმის დავითის მოღალატეობა (263).—სვიმონმა ორგზის დაამარცხა დაუთ-ხანი (264).—ფარცხისის ბრძოლა და სვიმონ მეფის დატყვევება (265).—დაუთ-ხანის მეფობა (266).
კახთა მეფე ალექსანდრე მეორე (266—267).
იმერეთის მეფე გიორგი (267—268).
დავით XI ანუ დაუთ-ხანი (268—272).—ომი ოსმალეთსა და სპარსეთს შორის (272).—სვიმონ მეფის დაბრუნება ტყვეობიდან (275).—სვიმონ მეფე და იმერეთი (279).

**ქართველთა მონასტრები უცხოეთში XVI საუკუნეში** . . . . . 282—283

**კახთა მეფე ალექსანდრე** . . . . . . . . . . . . . . . . . . 284—297
კახეთის საზღვრები (289).—კახეთის მეფის ალექსანდრეს ურთიერთობა მეზობლებთან (295).—სამხედრო საქმის ორგანიზაცია კახეთში ალექსანდრეს დროს (297).

**კახეთისა და რუსეთის ურთიერთობა** . . . . . . . . . . . . . 299—347
დესპანების გაგზავნა რუსეთში ალექსანდრეს მიერ (299).—კახეთი და შამხალი (300).—მეზარბაზნე ოსტატების დაბარება რუსეთიდან კახეთში (303).—კახთა მეფის ზრუნვა ერთიანი საქართველოსათვის (304).—ალექსანდრეს ზრუნვა ქართული ტექნიკისა და ხელოვნების დაწინაურებისათვის (306).—კახეთისა და რუსეთის პოლიტიკური შეურიგებლობა (307).—საქართველო, კავკასიის მთეულეთი და რუსეთი (312).—რუსეთის მიერ ხარკის დადება კახეთზე (316).—რუსეთის პოლიტიკა ჩრდილო კავკასიის მიმართ (317).—ალექსანდრე მეფის ერთგულება რუსეთისადმი (319).—საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან კავშირის გამო (320).—შამხალის მიმართვა ოსმალეთისადმი (321).—შამხალისა და ალექსანდრე მეფის მოლაპარაკება (322).—მეზარბაზნე ოსტატების საკითხი (323).—რუსი სამღვდელო პირები კახეთში (324).—დასავლეთ ევროპასთან კავშირის დაჭერის ცდა ალექსანდრეს მიერ (326).—ალექსანდრე მეფის უკმაყოფილება (329).—დესპანები სოლომონი და ხურშიტა მოსკოვში 1590 წელს (330).—დესპანები თავად იორამის მეთაურობით მოსკოვში (331).—რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქრობა შამხალის წინააღმდეგ (333).

**საძიებლები** . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 348—372
I. პირთა სახელები (348—362).—II. გეოგრაფიული და ტომობრივი სახელები (362—372).

# რედაქტორებისაგან

წინამდებარე მეოთხე წიგნი აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიისა“ შედგება ორი ნაწილისაგან.

1) 1—206 გვერდები შეიცავენ ნაკვეთს „ქართველი ერის ისტორია, მეოთხე წიგნი, I ნაწილი (XV საუკუნე)“, რომელიც 1924 წელს იბეჭდებოდა ნაწილ-ნაწილ ჟურნალ „ჩვენი მეცნიერების“ ნომრებში და იმავე წელს ცალკე ამონაბეჭდადაც კი გამოვიდა მცირეოდენი ტირაჟით. წინამდებარე გამოცემაში ეს ნაწილი გადაბეჭდილია უცვლელად, თავისი თავფურცლითა და წინასიტყვაობით, ქრონოლოგიური ტაბულითა და ლიტერატურის სიით. რედაქციული ცვლილებები შეეხო მხოლოდ კორექტურული შეცდომების გასწორებას, ლიტერატურის მითითებათა ჩატანას სქოლიოებში და ქვესათაურების გარეგან გაფორმებას.

2) 207—347 გვერდებზე პირველად იბეჭდება „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნის II ნაწილი, რომელიც შეიცავს XVI საუკუნის ისტორიას.

როგორც თვითონ წერს „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნის I ნაწილში, ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა მეოთხე წიგნად XV—XVI საუკუნეთა ისტორია გამოექვეყნებინა, ხოლო, რადგან 1924 წელს მისი ბეჭდვა კარგა ხანს გაგრძელდა, ავტორმა ამჯობინა XV საუკუნის ისტორიის შემცველი პირველი ნაწილი ცალკე წიგნად გამოეშვა.

XVI საუკუნის ისტორიის შემცველი მეორე ნაწილი მეოთხე წიგნისა აღმოჩნდა ივ. ჯავახიშვილის არქივში. მართალია, ავტორს იგი არ დაუმთავრებია, ადაგ-ადაგ მხოლოდ წყაროებიდან ამოწერილი მასალაა, ზოგიერთი თავი და პარაგრაფი, მათი დაუმთავრებლობის გამო, ერთმანეთს გადაბმული არაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რედაქციამ მაინც მიზანშეწონილად სცნო გამოექვეყნებინა იგი თუნდაც იმ სახით, როგორითაც დარჩა განსვენებულ აკადემიკოსს. მკითხველი დარწმუნდება, რომ ზოგიერთი საკითხი „ქართველი ერის ისტორიის“ ამ ნაწილში[1] ისეთივე სისრულით არის განხილული ავტორის მიერ, როგორც ეს მას სჩვეოდა სხვა წიგნებშიც.

დედანი ამ მეორე ნაწილისა წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის ხელით დაწერილ 627-გვერდიან ხელნაწერს. მკითხველის საორიენტაციოდ საჭიროდ ვთვლით ამ ხელნაწერის შესახებ შემდეგი ვთქვათ:

---

[1] მაგალითად: „ლეონ მეფის სახლობა“ (გვ. 230—239), „ავ-გიორგი“ (გვ. 218—227), „დაუთ-ხანი“ (გვ. 263—266, 268—272), „კახეთი და მისი ურთიერთობა რუსეთთან“ (გვ. 284—332).

1) შიგა-და-შიგ დაუწერელი ფურცლებია ჩალაგებული, რაც იმის მომასწავებელია, რომ ავტორი ფიქრობდა მომავალში ხარვეზების შევსებას. ასეთ შემთხვევებში ჩვენ წინამდებარე გამოცემაში ან მრავალწერტილი დავუსვით, ან თავისუფალი სტრიქონი გავუშვით;

2) ზოგიერთ ადგილას მხოლოდ წყაროებიდან ამოწერილი ტექსტებია მოთავსებული, ანალიზი კი არაა. ასეთი ტექსტები ჩვენ წვრილად (პეტიტით) დავბეჭდეთ;

3) რამდენსამე ადგილას ამოწერილია მასალა უცხოური წყაროებიდან (ლათინური ტექსტები მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნიდან „ისტორია კათოლიკობისა“ და იტალიელი ისტორიკოსის მ ი ნ ა დ ო უ ს შრომის გერმანული თარგმანიდან). ტექსტები ამოწერილია საწერი ქაღალდის ქვემო ნახევარში და სქოლიოებად ყოფილა განკუთვნილი; ზემო ნახევარი კი ცარიელია: აქ ავტორი ფიქრობდა ამ ტექსტების თარგმანისა და ანალიზის მოთავსებას. ჩვენს გამოცემაში ედანი დაბეჭდილია უცვლელად;

4) თუმცა წიგნის ბოლო ნაწილი „კახეთისა და რუსეთის ურთიერთობა“ საკმაო სისრულით არის განხილული, მაგრამ უკანასკნელი, 1593 წლის მომდევნო, ამბებისათვის ავტორს ამოუწერია ს. ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ი ს გამოცემიდან „Сношения России с Кавказом“ საჭირო მასალა, მაგრამ მათი განხილვა ვერ მოუსწრია. ეს მასალაც ჩვენ უცვლელად დავბეჭდეთ;

5) ავტორს განზრახული ჰქონია დაეყო ეს მეორე ნაწილიც თავებად და ქვეთავებად ისე, როგორც მან დაყო პირველი ნაწილი. მაგრამ ავტორის მიერ სათაური მხოლოდ ორ ნაკვეთს აქვს მოწერილი: „ბაგრატის გამეფება იმერეთში“ (გამოცემის გვ. 217), „ლეონ მეფის სახლობა“ (გვ. 230). ჩვენ გავითვალისწინეთ ავტორის ეს სურვილი და დაწვრილებით დავასათაურეთ თავებიცა და ქვეთავებიც: ეს სათაურები კუთხოვან ფრჩხილებში მოვათავსეთ.

წიგნს ბოლოში დავურთეთ საძიებლები („პირთა სახელებისა“ და „გეოგრაფიული და ტომობრივი სახელებისა“), რომლებიც შეადგინა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მიხ. კ ა ხ ა ძ ე მ.

**სიმ. ყაუხჩიშვილი**
**ალ. ჯავახიშვილი**

თბილისი
1948 წლის 25 სექტემბერი

ივანე ჯავახიშვილი

# ქართველი ერის ისტორია

მეოთხე წიგნი

I ნაწილი

(XV საუკუნე)

# ავტორისაგან

მეოთხე წიგნად განზრახული XV—XVI სს. ქართველი ერის ისტორიის პირველი, XV ს. ამბების შემცველი, ნაწილი უკვე დაბეჭდილია და, რათგან ერთგვარად მთლიანს სურათს წარმოადგენს და საკმაოდ მოზრდილიც გამოვიდა, ცალკე, მეოთხე წიგნის I ნაწილად გამოშვება ვამჯობინე. ჩემ თავს მოვალედა ვრაცხ მადლობა მოვახსენო „ჩვენი მეცნიერების“ გამომცემელს ანდ. შილაკაძეს და კრებულის რედაქციას, მეტადრე სვ. ყაუხჩიშვილს, რომელმაც თავისი მზრუნველობით ჩემი ნაშრომის სათანადოდ დაბეჭდვა-გამოცემას ბევრად შეუწყო ხელი, აგრეთვე უნივერსიტეტთან დატოვებულს თამარ ლომოურს, რომელმაც საძიებელთა შედგენით ამ წიგნით სარგებლობა მკითხველს ძალიან გაუადვილა. მოხარული ვარ, რომ ერთხელაც არის ნატვრა ამისრულდა და ჩემი ნაშრომი ყველა იმ სარჩევ-საძიებლებით შემკული გამოვიდა, რომელთა დართვა მუდამ აუცილებლად მიმაჩნდა[1].

**ივ. ჯავახიშვილი**

1924. 30. V.

---

[1] ქარაგმიან სათაურთა განმარტებაში გამომრჩა:

СМОМПК = Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

ЗВОРАО = Записки Восточного отд. Рус. Археол. Общ.

# სარჩევი


წინასიტყვაობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ. 1—4

ქარაგმიანი და შემოკლებული სათაურების განმარტება . . . . . . . „ 5

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . „ 6

მეფეთა-მეფე ალექსანდრე დიდი . . . . . . . . . . . . . . . . . „ 7—37

**1. ბიოგრაფიული ცნობები მეფეთა-მეფე ალექსანდრესა და მისი სახლობის შესახებ** 7—20. ალექსანდრეს გამეფების თარიღი 7—10; ალექსანდრეს დაბადების წელიწადი 10—11; ალექსანდრე მეფის ბებია-აღმზრდელი 11—13; ალექსანდრე მეფის ნათესაობა 13—15; ალექსანდრეს მამისშვილობა 15—16; ალექსანდრეს სახლობა 16—19; ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე 19—20.

**2. ალექსანდრე მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა** 20—28. საქართველოს გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფა 20—22; ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და გამტკიცებისათვის 22—25; ლორეს ციხის აღება და საქართველოსთან შემოერთება 25—27; სივნიეთისა და მახლობელი ადგილების შემოერთება 27—28.

**3. ალექსანდრეს შინაური აღმშენებლობითი მოღვაწეობა** 28—33. სვეტიცხოვლის განახლება 28—30; საქართველოს დანგრეული ციხე-საყდრების აღდგენა 30—33.

**4. ალექსანდრე მეფის უკანასკნელი წლები** 33—37. ავადმყოფობა 33—34; ცნობა ჯეჰან-შაჰის შემოსევის შესახებ 34—35; ალექსანდრე მეფის შემონაზონება და უსაფუძვლო ცნობა საქართველოს მისაგან დაყოფვის შესახებ 35—37.

ვახტანგ მეფე, ძე მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი . . . . . . . . . . . . 38—39

მეფე გიორგი ალექსანდრეს ძე . . . . . . . . . . . . . . . . . . „ 40—99

**1. ბიოგრაფიული ცნობები გიორგი მეფისა და მისი ოჯახობის შესახებ** 40—46. გიორგი მეფის მამისშვილობა 40—43; გიორგი მეფის პირველი და მეორე თანამეცხედრე 43—44; გიორგი მეფის შვილები 44; გიორგი მეფის ასულის დანიშვნა ბიზანტიის კეისარზე 44—46.

**2. ბრძოლა საქართველოს დანაწილებისა და მთლიანობის გამო მეფე-მთავართა შორის** 46 — 60. ყუარყუარე და ალბუღა ათაბაგი 46 — 47; ქართული წყაროების დუმილი შინაური ბრძოლის შესახებ და საქმის ნამდვილი ვითარება 47 — 49; ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს დედა-ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად 49 — 50; საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზების მედგარი ბრძოლა ქართული ეკლესიის მთლიანობის შესანარჩუნებლად 50 — 51; ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს კათალიკოზის ხელთდასხმითგან განთავისუფლებისათვის 51 — 53; მესხეთის ურჩი სამღვდელოების შეჩვენება კათალიკოზისაგან და ამის შედეგი 53—54; მესხეთის სამღვდელოებისაგან ფიცისა და ერთგულების ხელწერილის ჩამორთმევა კათალიკოზის მიერ 54 — 55; ამ ბრძოლის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით 56— 58; საქართველოს შინაური პოლიტიკური მდგომარეობა 58—60.

**3. საქართველოს საგარეო მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთით** 60—77. სპარსეთი 60; ოსმალეთი 60 — 61; კონსტანტინეპოლის აღება 61 — 63; რომის პაპების ცდა კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის 63—64; კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ დაპყრობის მნიშვნელობა საქართველოსათვის 64; პაპი პიო II-ის გეგმა ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და საქართველოს პოლიტიკოსთა მონაწილეობა 64 — 65; საქართველოში დადებული ხელშეკრულება ოსმალთა საწინააღმდეგო ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და მისი მონაწილენი 66; მოკავშირეთა სიები 66 — 67; მოკავშირეთა დამახინჯებული სახელების აღდგენა-შესწორება 67 — 70; ქართველ პოლიტიკოსთა ოსმალთა საწინააღმდეგო ფართო გეგმა 70 — 71; ქართველ მოკავშირე მეფე-მთავრებისაგან ამ საქმისათვის გამომეტებული სამხედრო ძალის რაოდენობა 71 — 72; ქართველთა ქრისტიანე მოკავშირენი მცირე აზიაში და მათი ამ საქმეში მონაწილეობა 72; ოსმალთა წინააღმდეგ ქართველთა გეგმის პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი თვალსაზრისი 72 — 73; ქართველთა მაჰმადიანი მოკავშირეები ოსმალთა წინააღმდეგ 73 — 74; ქართველ პოლიტიკოსთა მიერ სამოქმედო გეგმის გაფართოება 74; საქართველოს მეფე-მთავართა და მათ მოკავშირეთა მოციქულების დასავლეთ ევროპაში გაგზავნა 74 — 75; გეგმის ჩაშლა და ოცნების გაცრუება 75 — 76; ქართველთა და მოკავშირეების მოციქულთა ამაო ხვეწნა-ვედრება ევროპაში 76 — 77.

**4. შინაური ბრძოლის განახლება საქართველოში** 77 — 99. ვახუშტის ცნობები ამ ბრძოლის შესახებ 78 — 79; ვახუშტის ცნობების კრიტიკული განხილვა 80; ბაგრატ მეფის ვინაობა და ჩამომავლობა 80 — 84; ჩიხორის ომი 84; კინკლოსების ცნობები ჩიხორის ომის შესახებ 85; არსებული ცნობების შედარებითი დაფასება 85— 86; ჩიხორის მდებარეობა 86 — 87; დასკვნა ჩიხორის ომის შესახებ 87;

უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში 88; ზევდგინიძე-ამილახორის საჩივრის წიგნის ცნობები გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ 88 — 90; შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ 90 — 91; ბაგრატის გამოლაშქრება გიორგი მეფის წინააღმდეგ 91 — 93; სხვადასხვა თეორიები საქართველოს დანაწილების შესახებ 94 — 99.

ბაგრატ მეფე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ. 100 — 132

**1. ბიოგრაფიული ცნობები ბაგრატ მეფის შესახებ** 100—106. მისი გამეფების თარიღი 100 — 102; დამოკიდებულება მეფე ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის 102 — 103; ბაგრატ მეფის უცილობელი მფლობელობა 103 — 105; ცნობები ბაგრატ მეფის პიროვნების შესახებ 105 — 106.

**2. საქართველოს საგარეო მდგომარეობა** 106 — 109. დამოკიდებულება უზუნ-ჰასანთან და სპარსეთთან 106 — 109.

**3. საქართველოს შინაური პოლიტიკური ვითარება** 109—119. საბედიანო 109 — 113; საათაბაგო 113; მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ათაბაგის სახლობის წევრთა შესახებ 113 — 116; ბაგრატ მეფის საბრძანებელი 116 — 119.

**4. საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვა** 120 — 125. ანტიოქიერუს. პატრიარქის მიხეილის მოსვლა საქართველოში და მოღვაწეობა 120—121; ქართული ეკლესიის უზენაესი მესაჭეობის უფლების მითვისება 121 — 122; საქართველოს ეკლესიის წიაღითგან ლიხთ-იმერეთის საკათალიკოზოს გამოყოფა 122; ქართული საეკლესიო ისტორიული თეორიის შერყევის მცდელობა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად 122—124; „მცნება სასჯულოს“ დაწერის თარიღის საკითხი 124 — 125.

**5. უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში** 125 — 132. უზუნ-ჰასანის საიდუმლო სამზადისი 125 — 126; შემოსევის თარიღი 126; ჰასანის ლაშქრის რაოდენობა 126; გამოლაშქრება 126; შემოსევა 127; ტფილისისა, გორისა და ქართლის დაჭერა 127; მოლაპარაკება დაზავების შესახებ 128; სამხედრო მოქმედების განახლება და მესხეთში შესევა 128 — 129; საქართველოს დამარცხების მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზი 129 — 130; უზუნ-ჰასანის უკან დაბრუნება 131; ზავის პირობები 131; კონსტანტინე ბატონიშვილისა და მზექაბუკის სპარსეთში გამგზავრება 132; უზუნ-ჰასანის სიკვდილი 132; ჰასანის სიკვდილის შემდგომ 132.

## უკანასკნელი მცდელობა წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად . . . გვ. 133—183

**1. ბიოგრაფიული ცნობები კონსტანტინე მეფისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ** 133—139. კონსტანტინეს მამისშვილობა და გამეფების თარიღი 133; ცნობების წინააღმდეგობა და საბუთები 134; გამეფების თარიღი 135—136; კონსტანტინეს მამისშვილობა 136; კონსტანტინეს თანამეცხედრე და შვილები 136—137; კონსტანტინე მეფის წოდებულება 137—138; კონსტანტინეს გამეფების გარემოება 138—139.

კახთა მეფე ალექსანდრე და მისი სახლობა 139—140; ალექსანდრე ბაგრატის ძის მცდელობა იმერეთში გასამეფებლად. კონსტანტინე მეფის გამარჯვება 140—142; ალექსანდრე მეფის სახლობა 142; ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყუარყუარე ათაბაგს შორის არადეთთან 142—143; ამ ბრძოლის მიზეზის შესახები ცნობები 143—144; ვახუშტის ცნობა 144—145; ქ~ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ცნობა 145—146; ცნობათა კრიტიკული გარჩევა 146—150; დასკვნა არადეთის ბრძოლის შესახებ 150; არადეთის ბრძოლის შემდგომ ალექსანდრეს გამეფება იმერეთში 151; ალექსანდრე მეფის სიგლის თარიღი 151—152; ბრძოლა ალექსანდრეს მეფობის წინააღმდეგ და აღმოს. საქ~ლოში მტრის შემოსევა 152—153.

ცნობები იაყუბ ყაენის აღმოს. საქართველოში შემოსევაზე 153—154; წყაროთა ცნობების შედარებითი დაფასება 155—156; მაწყვერელის დასჯა აწყურის გაცემისათვის 156; იაყუბ ყაენის მეორეგზისი შემოსევა 157—158.

საქართველოს მთლიანობის საკუთარი ძალით აღდგენის იმედის ჩაშლა 158—159; ალექსანდრე იმერთა მეფესთან დაზავების თარიღი 159—160; სამეფოებისა და სამთავროების შემოსაზღვრულობა 160—161; კახეთის სამეფოს საზღვრები 161; ქართლის სამეფოს საზღვრები 161; იმერეთის სამეფოს საზღვრები 161—162; სამეგრელოს საზღვრები 162; გურიის საზღვრები 162; საათაბაგოს საზღვრები 162.

კონსტანტინე მეფის მცდელობა შორეული მოკავშირეების დახმარებით თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად 162; მოციქულობა ეგვიპტის სულტანთან 163; არაბთა განდევნა ესპანიითგან და კონსტანტინეს მცდელობა ესპანიასთან კავშირის შესაკვრელად 163; დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ძველი გეგმის განახლება 164; რომის პაპთან და ესპანიის დიდოთვალთან დესპანის გაგზავნა 164—165; კონსტანტინე მეფის ეპისტოლეს ნამდვილობა-უეჭველობის საკითხი 165—166; ეპისტოლის თარიღი მცდარი და ნამდვილი 166—167; როგორ მოხდა, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის რუსული თარგმანი

ვარშავაში აღმოჩნდა? 167 — 168; კონსტანტინე მეფის ეპისტოლის შინაარსი და მიზანი 168 — 169; ქართველ პოლიტიკოსთა სულისკვეთება 169 — 171; კონსტანტინე მეფისგან თავისი უმთავრესი მიზნის გამოუმჟღავნებლობის მიზეზი 171; კონსტანტინე მეფის პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი 171 — 172; დასავლეთ ევროპაში მოციქულობის უნაყოფობა 172.

მესხეთის ამბები. ქაიხოსრო ათაბაგი 172 — 174; მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში და მისი ვინაობა 174 — 176; მზეჭაბუკის მოქმედების გეზი თავდაპირველად 176 — 177; მზეჭაბუკისგან პოლიტიკური გეზის შეცვლა და განკერძოების გზაზე დადგომა 177 — 179; ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის მოსვლა და მზეჭაბუკის ფართო გეგმა 179 — 180; მზეჭაბუკის გათამამების მიზეზი: გურიელის სამფლობელოს დასაკუთრება 181; მესხეთის ეკლესიის გამოყოფა 182 — 183.

საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის განმავლობაში . . . . . . გვ. 184—207

საქართველოს განახლება თემურლენგის განადგურების შემდგომ 184—185; მოსალოდნელი გაძლიერების მაგიერ საქმის უკუღმა დატრიალება და ამის მიზეზები 185; მოსახლეობის შემცირება და მისი შედეგი 185 — 186; მაშინდელი საქართველოს უმთავრესი უბედურება შინაური ბრძოლა და განკერძოებისადმი მიდრეკილება იყო 186 — 187; საქართველოს კათალიკოზების პოლიტიკა 188; ეკლესიის მთლიანობის სახელმწიფოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა და გაყოფის საბედისწერო შედეგი 188 — 189; ეპისკოპოსთათვის ერთგულება-მორჩილების ფიცის შემოღება 189 — 190; საქართველოს დაყოფის დამღუპველობა 190; საქართველოს მთლიანობის დარღვევის მიზეზები 190; თემობრივობა 190 — 191; სახელმწიფოებრივობის შესუსტება. სამეფოს საქმეებში მეფის სახლობის ჩამრეველობა 191—192; ამ მოვლენის დასაწყისი და მიზეზები 192—194; კონსტანტინეპოლის ოსმალეთის დედაქალაქად გადაქცევის შედეგი საქართველოსთვის 194; დასავლეთის, ზღვის გზის შეკვრა, კულტურის ცენტრის დასავლეთ ევროპაში გადასვლა და მისი შედეგი 195—196; ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძველი 196; დაქვეითების პროცესი 196 — 197; მოსახლეობის შემცირების შედეგები საზოგადოდ და კერძოდ მეურნეობაში 197 — 198; სასოფლო მეურნეობის დაქვეითება 198; აღებმიცემობის დაცემა 199; სრულიადი საქართველოს დაყოფის ეკონომიური შედეგი 199; კულტურული დაქვეითება 199 — 200; საქართველოს მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობა 200 — 202; საქართველოს კათალიკოზების ეკონომიური პოლიტიკა 202 — 203; ფინანსიური პოლიტიკა საქართველოში 203 — 205; საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა 205 — 207.

ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲜᲘ * . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . გვ. 209—230

**I. ამბების ქრონოლოგიური სია 209—211.**

**II. ამ წიგნში განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლები და გამოკვლევანი 211—221.**

**III. საკუთარ სახელთა საძიებელი 221—230:** 1. ადამიანთა სახელები 221—226; 2. გეოგრაფიული სახელები 226—230.

---

* ამ უკანასკნელ საძიებელს ცალკე აღარ ვბეჭდავთ, ვინაიდან ბოლოში ვურთავთ საკუთარ სახელთა მთლიან საძიებელს წიგნის ორივე ნაწილისათვის. რედ.

# წინასიტყვაობა

ქართველი ერის ისტორიის დაწერას რომ შევუდეგი, მთელი შრომა ოთხ წიგნად მქონდა ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მეცამეტე საუკუნითგან მოყოლებული ჩვენი სამშობლოსა და ერის თავგადასავლის უტყუარი სურათის აღდგენა წყაროების მეტად დიდ კრიტიკულ განხილვას მოითხოვს და ოთხი წიგნი ამის გამო საკმარისი არ იქმნებოდა. ყველაზე უფრო ძნელი, რასაკვირველია, XIV—XVI საუკუნეების ისტორიაა აღსადგენელი, მაგრამ მუშაობის დროს გამოირკვა, რომ საქართველოს არც XIII საუკუნის ისტორიული თავგადასავალია მაშინდელ ქართულ და უცხოურ წყაროებში სრული სინამდვილით აღბეჭდილი და ამ ხანისათვისაც დიდი რთული კრიტიკული კვლევა-ძიება ყოფილა საჭირო. მესამე წიგნის მეტის მეტი სიდიდის თავითგან ასაცილებლად და განსაკუთრებით-კი რათგან XIII საუკ. და XIV საუკუნის დასასრულს საქართველოს პოლიტიკურს ცხოვრებას მონღოლთა ბატონობა თავისებურს ელფერს აძლევს, გადავწყვიტე XIII—XIV სს-ისათვის ცალკე წიგნი მეძღვნა. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილად ვცანი ეს ხანა მესამე ტომად გამომეყო, XV—XVI ს. ს.—კი მეოთხე წიგნად მექცია, რომ XVII და XVIII ს.ს. ამბები მეხუთე წიგნში ყოფილიყო მოქცეული. რაკი მესამე წიგნი ჯერ კიდევ მთლად დაწერილი არა მაქვს, ამიტომ მეოთხე წიგნი მესამეზე ადრე იბეჭდება.

გულახდილად უნდა აღვიარო რომ, ჩვეულებრივ პირობებში ამ სახით მეოთხე წიგნსაც არ დავბეჭდავდი. ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გამოსარკვევი და თანაც ჩვენს ხელთნაწერებში უეჭველია მრავალი ძვირფასი ცნობები უნდა მოიპოვებოდეს XV—XVI ს.ს. შესახებ, რომელთა საშუალებითაც არა ერთი ბუნდოვანი საკითხი გამოირკვეოდა და სრულებით ახლებიც იქნებოდა გაშუქებული. ამიტომ უკეთესი იყო, რომ მესამე და მეოთხე წიგნი ჩვენი ხელთნაწერების აღწერის დამთავრების შემდგომ გამოქვეყნებულიყო: მაშინ წარსული ცხოვრების სურათი უფრო მეტი ხორცშესხმულობით წარმოგვიდგებოდა და მოთხრობასაც ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევის ხასიათი არ ექნებოდა, როგორც ამჟამად აქვს. საქართველოს ამ ხანის კრიტიკული ისტორიის მხოლოდ სრულმა უქონლობამ მაიძულა მეოთხე წიგნის გამოქვეყნება გამებედნა. ამ უსრულო სახითაც იმედი მაქვს მას ეროვა-

რი სამსახურის გაწევა შეუძლიან იმ მხრივ მაინც, რომ აქ ყოველივე ცნობა წინასწარ კრიტიკულად არის განხილული და არა ერთი შეცდომაა გასწორებული; მაშინდელი თავმომაბეზრებელი პოლიტიკური ამბების მთავარი ამამოძრავებელი მიზეზებიც შეძლებისაებრ გამორკვეული არის.

ჯერ კიდევ ვახტანგ მეფის მიერ მოწვეულ სწავლულ კაცთა დროითგან მოყოლებული საქართველოს XIV—XVII ს. ს. ისტორია ქართველ მეცნიერთა მთავარ საზრუნავსა და კვლევა-ძიების საგანს შეადგენდა. ეგნატაშვილი ბერი, ფარსადან გორგიჯანიძე, ბატონიშვილი ვახუშტი და ქ~ცის შევს.—გადაკ. გაგრძელების შემდგენელი XVIII საუკუნეში და XIX საუკ. მკვლევარნი ცდილობდნენ იმ დიდი ხარვეზის ამოვსებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებს ცოდნას ამ ხანაში ისტორიული თხზულებების უქონლობის გამო ასე ძლიერად ემჩნევა. უკვე XVIII საუკ. ქართველ მეცნიერთა მიერ გზები, რომლითაც დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მიგნებული და ნაჩვენები იყო, მასალებიც მათ მიერვე მრავლად იყო შეგროვილი. მაგრამ ჩვენი ერის წარსულის ამ გზითა და მასალებით აღდგენილი სურათი დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. ეს გარემოება ბატონიშვილმა ვახუშტმა გამოააშკარავა სრული სიცხადით. თავისი ბასრი კრიტიკით ვახტანგისეული კომისიის ქ~ცის გაგრძელების ბევრი შეცდომა გამოამჟღავნა და ცნობების კრიტიკული განხილვის აუცილებლობის ცხად ყოფით ქ~ლ საისტორიო მწერლობას საუკეთესო მაგალითი და სახელმძღვანელო აზრი მისცა, მაგრამ არც მისი ცდა, მისი შედგენილი საქართველოს ისტორია აღმოჩნდა მთლად დამაკმაყოფილებელი. მ. ბროსემ, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და ს. კაკაბაძემ გამოარკვიეს ის მრავალი შეცდომები, რომელნიც ვერც დიდებულმა ქართველმა მეცნიერმა აიცდინა თავითგან. ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქ~ცის გაგრძელების ასე უღმობელად, მაგრამ სამართლიანად კრიტიკულად განმსჯელი, თვითვე ბატონიშვილი ვახუშტი სრულისა და გულუბრყვილო ნდობით ეპყრობოდა ყველაფერს, რასაც საბუთის სახელი ეწოდება. სწორედ ამან ჩაადენინა მას მრავალი შეცდომები. სამწუხაროდ ამგვარი მოწიწებით გამსჭვალული ნდობა საბუთებისადმი მას შემდგომ არამცთუ არ შერყეულა, არამედ აქამომდე განუსაზღვრელად ბატონობს. ეს დიდ შეცდომად და ნაკლად უნდა ჩაითვალოს და სანამ ამ შეხედულებას თავითგან არ მოვიცილებთ, ჩვენს ცდას XIV — XVII ს.ს. [ისტორიის] აღსადგენად ნაყოფიერი შედეგი არ მოჰყვება.

მართალია, ჩვენ გაცილებით უფრო მეტი და მრავალმხრივი შინაარსის წყაროები გვაქვს ხელთ, რომლესაც საქართველოს ისტორიის ხარვეზის შევსებას ვცდილობთ, მეტადრე ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრებისა და ეკონომიური ისტორიის სხვა ძეგლებისა და უცხოელ მოგზაურთა ცნობების გამოყენების წყალობით, მაგრამ უმთავრესი განსხვავება მეთოდოლოგიური ხასიათისაა. მთელი წინამდებარე წიგნი წინა წიგნებივით იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ ყოველი წყარო, მათ შორის საბუთებიც, აუცილებლად ჯერ წინასწარ ყოველმხრივ უნდა იყოს შესწავლილ-შეფასებული და

მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება გამოყენებული იყოს და რომ არაფერი თავისდა თავად ცხადაჲ და დამტკიცებულად არ უნდა იქმნას მიჩნეული. ამიტომაა, რომ ამ წიგნში ყოველივე ცნობა, როგორც მარტივი, გენეალოგიურ-ქრონოლოგიური, ისევე უფრო რთული თვისებისა, ისეა განხილული, თითქოს სრულებით არაფერი ცნობილი არ ყოფილიყოს. ეს აუცილებლად საჭირო იყო საქართველოს ისტორიის ამ წყვდიადით მოცული ხანისათვის მტკიცე და შეძლებისაებრ ურყეველი საფუძვლის შესაქმნელად. მე კარგად ვგრძნობდი, რომ ჩემი შრომის ამგვარი კრიტიკული კვლევა-ძიებით დატვირთულობა ჩემი თხზულების პირველსა და მეორე წიგნზე მას მეტად ძნელ საკითხავად და ჩვეულებრივი მკითხველისათვის ზოგჯერ მოსაწყენადაც ხდის. მაგრამ სხვანაირად იმ დაბურულ ტყეში, თუ უდაბნოში, რომელსაც XIV — XVI ს.ს. ეწოდება, გზის გაგნება შეუძლებელი იყო. მაინც ყოველგვარი გაუგებრობის თავითგან ასაცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ეს შრომა ჩვეულებრივ, ადვილ საკითხავ წიგნად არც არის განზრახული და განკუთვნილი. როდესაც ამ ნაწარმოების ბეჭდვა დამთავრდება, მაშინ ვფიქრობ ჩვეულებრივი მკითხველისთვის შედგენილი ისტორიაც გამოვაქვეყნო.

წერის დროს წამოიჭრა საკითხი, თუ როგორ უნდა დალაგდეს საქართველოს ისტორია სამეფოებადა და სამთავროებად დაყოფის შემდგომ. ეგნატაშვილს ბერს და ქ˝ცის შევს. — გადაკ. გაგრძელების შემდგენელს სამეფოებადა და სამთავროებად დაუყოფელი მთლიანი მოთხრობა მიუჩნევიათ საუმჯობესოდ, მაგრამ პირველისაც და მეტადრე უკანასკნელი შრომა მატიანისებურად არის დალაგებული. ბატონიშვილმა ვახუშტმა მოთხრობის სამეფოებისა და სამთავროებისდა მიხედვით დაყოფა ირჩია. რაკი სამეფოებისა და სამთავროების ამბები ერთიმეორეზეა გადახლართული, ამის გამო სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ხშირად ერთსა და იმავე ამბავზე რამდენჯერმე უხდებოდა ლაპარაკი. ეს რომ თავითგან ამეცილებინა და იმიტომაც, რომ დაყოფის შემდგომაც საქართველოს ისტორიული ამბების მიმდინარეობას თავისი მთლიანობა დაკარგული არ ჰქონდა, უმჯობესად დაუყოფელი მოთხრობა ვცანი. მაგრამ, სამეფო-სამთავროების კერძოობითი საკითხებისა და თავისებურების გაშუქებაც რომ დაჩრდილული არ ყოფილიყო, გენეალოგიურ-ქრონოლოგიური საკითხები ცალკე გამოვყავი და პირველად სწორედ ეს საკითხები ირჩევა ხოლმე და მხოლოდ შემდეგ მისდევს პოლიტიკური თუ კულტურული ისტორიის სურათები.

საქართველოს XIII — XVIII ს.ს. ისტორიის კვლევა-ძიებას 1917 წ. შევუდეგი, განსაკუთრებით 1918 წ.; მის შემდგომ, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნა, მუშაობის ინტენსიური წარმოება აუცილებელი გახდა და 1918—1921 წლებშია დაწერილი ეს ქართველი ერის ისტორიის მეოთხე წიგნიც, მაგრამ შემდეგშიაც ბევრი რამეა ჩამატებული. ვითარცა მრავალ სხვადასხვა საქმეებით დატვირთულს, განუწყვეტლივ ამაზე მუშაობის საშუალება არ მქონდა და ამ გარემოებას არ შეეძლო, რასაკვირველია, თავისი ცუდი გავლენა არ მოეხდინა: თუ ერთხელ უნებლიედ შეწყვეტილი შრომის განახლება

ყოველთვის ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს ძნელია მთლიანობის დაცვა მაშინ, როდესაც მკვლევარს თავისი თხზულების წერის შეწყვეტა ხშირად უხდება. ეს წიგნი ერთი წლის განმავლობაში ამაოდ იდვა სახელმწიფო გამომცემლობაში მისი სასწრაფოდ დაბეჭდვის შესახებ განკარგულებისდა მიუხედავად და ეხლა „ჩვენი მეცნიერების“ წყალობით ეღირსება მას ნაწილ-ნაწილ დაბეჭდვა და გამოქვეყნება.

# ქარაგმიანი და შემოკლებული სათაურების განმარტება

ქ~კსა = ქრონიკონსა.
ქ~ცა = ქართლის ცხოვრება.
ქ~კბი = თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა.
დამატ. = ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი. დამატება II, გამ. ე. თაყაიშვილისა.
სქ~ს სძვლნი = საქართველოს სიძველენი, გამ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით.
პარიზ. ქრ. = პარიზის ქრონიკა.
ისტ. საბ. = ისტორიული საბუთები, გამ. ს. კაკაბაძისა.
3 ქკ~ა = სამი ისტორიული ქრონიკა, გამ. ე. თაყაიშვილისა.

ბაქ. = დ. ბაქრაძის
ბროს. = ბროსეს
ს. კაკ. = ს. კაკაბაძის
ჩუბ. = დ. ჩუბინაშვილის
ჭიჭ. = ზ. ჭიჭინაძის
ჯან. = მ. ჯანაშვილის
} გამოცემას.

[СМОМПК = Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.
ЗВОРАО = Записки Восточного отд. Рус. Археол. Общ.]

# შესავალი

თემურ-ლენგის შემოსევის შემდგომ საქართველო განმანადგურებელი მიწისძვრისა და ბორბალ-ქარისაგან დაზიანებულს ქვეყანას მიაგავდა. ჩვენს ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურ-ლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასდროს თავს არ დასტყდომია. მისს შემოსევას თვით მონღოლთა ბატონობისათვისაც არაფერი მიუმატებია: მსოფლიო ისტორიის ასპარეზითგან მონღოლთა გაქრობას ვერც თემურ-ლენგმა შეუშალა ხელი და მის მიერ სისხლითა და ცეცხლით შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო მასთანვე ერთად დაიმხო. კაცობრიობას მან მხოლოდ გადაბუგულ-განადგურებული ქვეყნები და მის მიერ მსხვერპლად შეწირული აზიის ყველა ერისშვილთაგან მინარებად დადგმული ძეგლები და აღმოსავლეთის კულტურული და ეკონომიური დაქვეითება დაუტოვა სახსოვრად. არა ერთი ქვეყანა იყო, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ამ საშინელებისაგან გამოკეთება ველარ შესძლო, არა ერთი ერის წარმატება საუკუნეებით იყო შეფერხებული.

მგონი შეცდომა არ უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ საქართველოზედაც თემურ-ლენგის შემოსევა-განადგურებამ წარუხოცელი კვალი დასტოვა: წინანდებურად ჩვენმა ერმა და ქვეყანამ აღორძინება ველარ შესძლო და მრავალი მაშინ გაოხრებული სოფელი სამუდამოდ უკაცრიელი დარჩა. მაგრამ თემურ-ლენგის უკან გაბრუნების უმალ საქართველოში მაინც განადგურებული ქვეყნის აღსადგენად მუშაობა გაჩაღდა, რომელიც ჯერ კერძო თაოსნობით, შემდეგ-კი ფართოდ და თვით სახელმწიფოს მიერ იყო წარმოებული. ამ საქართველოს განახლებისათვის დიადს მუშაობას სათავეში მეფე ალექსანდრე I ჩაუდგა.

K 2228 ი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ... ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა Академия Наук Груз. ССР

# მეფეთა-მეფე ალექსანდრე დიდი

## I. ბიოგრაფიული ცნობები მეფეთა-მეფე ალექსანდრესა და მისი სახლობის შესახებ

### ალექსანდრეს გამეფების თარიღი

ალექსანდრე რომ მეფედ დამჯდარა არსებული ცნობების მიხედვით 101 ქრონიკონი ყოფილა. ეს თარიღი თვით მის სიგელშივეა აღნიშნული: «ქ˜კსა: რა: მეფედ დავჯედ»-ო[1]. გამეფების თარიღის ქრისტესაქათი წელთაღრიცხვით ზედმიწევნილობით გამოანგარიშებისათვის ამ მეფის სიგლებში აღნიშნული ქრონიკონებისა და მეფობის ინდიქტიონების შედარებითი შესწავლა თითქოს სრულებით გარკვეულს პასუხს ვერ გვაძლევს. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოანგარიშებით მეფე ალექსანდრე 1412 წ. 11—19 სექტემბერს უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე[2]. თავისი გამოანგარიშება ავტორს იმ საყურადღებო საკითხზე აქვს დაკავშირებული, თუ როდის იწყებოდა ჩვენში წელიწადი, იანვარში თუ ენკენისთვეში? მისი დაკვირვებით საქართველოში წელიწადის თავად ამ დროს ენკენისთვე უნდა ყოფილიყო[3]. მაგრამ თვით ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ვ ე სიტყვით ერთს სიგელში წელიწადის თავი უეჭველია პირველი იანვრითგან არის ნაგულისხმევი და არა პირველ ენკენისთვითგან[4]. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ წელიწადის თავი ორგვარი და სამგვარიც იყო: ერთი საეკლესიო, მეორე კიდევ სამოქალაქო. ზოგან და ზოგჯერ ერთსა და იმავე დღეს ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ შეიძლებოდა სულ სხვადასხვა დროსაც ყოფილიყო, მაგ., საეკლესიო 1 იანვარს იყო დაწესებული, სამოქალაქო კი ზოგან 1 ენკენისთვეს. საქართველოშიაც, როგორც ეს იოანე-ზოსიმეს სინას მთის X საუკუნის კალენდრითგანა ჩანს, საეკლესიო წელიწადის დასაწყისი 1 იანვარსა ყოფილა. მაშასადამე, საკითხი მხოლოდ სამოქალაქო წელიწადის თავზე შეიძლება იყოს ენკენისთვეში. ამგვარად, არც ეს გზაა გადამწყვეტი. იმ საკითხის გამორკვევა, თუ როდის გამეფდა ალექსანდრე დიდი, უამრთულ ცნობებოდაც, ალექსანდრე მეფის ისევ და ისევ სიგლებისვე თარიღების საშუალებითაც შეიძლება.

---

[1] 1440 წ. სიგ.: ქ˜კბი II, 247.

[2] „დიდის ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი", ტფილისი, 1913 წ. გვ. 5.

[3] ი ქ ვ ე, 4—6.

[4] ი ქ ვ ე, 4.

საბუთების მიხედვით შემდეგი სურათი გვეხატება:

| საბუთის გამოცემა: | | წელს | ქ~კნსა | თვესა | ყოფილა ინდიქტიონი მეფობისა | მაშასადამე გამეფებულა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ისტ. საბ. | III, 10 | 1413 | 101 | სეკტემბერ. 20 | პირველი | 100—101 | ქ~სა სექ. 20-მდე |
| ქ~კები | II, 220 | 1413 | 101 | მარტსა 21 | ერთი (1) | 100 | ქ~კსა მარტ. 21-მდე |
| ისტ. საბ. | II, 4 | 1414 | 102 | | მეორე | 101 | " |
| ქ~კები | II, 224 | 1417 | 105 | სეკდემბერსა 29 | მეექუსე | 100 | " სექტ. 29-მდე |
| ისტ. საბ. | III, 12 | 1420 (?) | 108 (?) | სეკდემბერ. 10 | მეშუიდე (?) | 101 | " სექტ. 10-მდე |
| ქ~კები | II, 228 | 1424 | 112 | იანვარსა 6 | მეათორმეტე | 101 | " იანვ. 6-მდე |
| ისტ. საბ. | III, 14 | 1429 | 117 | | 16 | 101 | " |
| ქ~კები | II, 237-8 | 1431 | 119 | | 19 | 100 | " |
| ისტ. საბ. | III, 16 | 1433 | 121 | | 21 | 100 | " |
| " " | III, 18 | 1434 | 122 | | 21 | 101 | " |
| ქ~კები | II, 242 | 1434 | 122 | | 21 | 101 | |
| ქ~კები | II, 243 | 1435 | 123 | | 23 | 100 | " |
| " | II, 243 | 1437 | 125 | (რკე, რკვ? 126?) | 26 | 99 (100?) | " |
| ისტ. საბ. | III, 20 | 1438 | 126 | | 26 | 100 | " |
| " " | III, 21 | 1439 | 127 | | 26 | 101 | " |
| ს~ქლს სიძ. | II, 15 | 1440 | 128 | ფებერვალ. 20 | 28 | 100 | " თებ. 20-მდე |
| ისტ. საბ. | III, 22 | 1441 | 129 | | 29 | 100 | " |
| " " | III, 24 | 1441 | 129 | | 29 | 100 | " |

ალექსანდრეს გამეფების პირველი ინდიქტიონისა და წელიწადის ზედმიწევნილობითი გამოანგარიშების დროს გათვალისწინებული უნდა გვქონდეს ერთი გარემოება. მწიგნობრებს სიგელებში ყოველთვის აღნიშნული აქვთ ხოლმე ინდიქტიონი სრულ იყო, თუ წელიწადი მხოლოდ მიმდინარე იყო და დასრულებულად არ ითვლებოდა, ე. ი. ხან ნათქვამია ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა, ან ოც და რვასა, ხან ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა პირველსა, ან მეორესა, მეექუსესა, მეათორმეტესა და სხვ. ზედმიწევნილობითი გამოანგარიშებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ინდიქტიონების სრულ რიცხვებსა აქვთ და არა დაუსრულებელსა და მიმდინარეს. თუ ამ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ჩვენ ყურადღებას ორი რიცხვი მიიპყრობს: 21 მარტს 101 ქრონიკონს ალექსანდრეს მეფობის უკვე ერთი ინდიქტიონი ყოფილა შესრულებული, ხოლო 20 თებერვალს 128 ქრონიკონს ალექსანდრეს მეფობის სრული 28 ინდიქტიონი ითვლებოდა. აქეთგან ცხადია, რომ ალექსანდრე უნდა გამეფებულიყო 100 ქრონიკონს 20 თებერვალსა და 21 მარტს შუა, ე. ი. 1412 წელს 20 თებერვალს — 21 მარტს. ეს გამოანგარიშება რომ სწორია, ამას ყველა სხვა მიმდინარე ინდიქტიონების და ქრონიკონების თვეებისა და დღის რიცხვის შემცველი ცნობები ამტკიცებენ ერთის გარდა, სადაც ქრონიკონად 10 სექტ. 108 არის აღნიშნული, მეფობის ინდიქტიონად-კი „მეშუიდე"-ა ნაჩვენები, რაც ცხად შეცდომას უნდა შეიცავდეს ან ქრონიკონში ან ინდიქტიონში.

მაგრამ ამ დასკვნას თითქოს თვით ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილი განცხადებაც ეწინააღმდეგება, რომ «ქ~კნსა: რა: (101) მეფედ დავჯედი»-ო, რაც საკვირველია, თუ რომ აქ გადამწერის შეცდომა არ არის თარიღში და თუ თავდაპირველს დედანში არ ეწერა: «ქ~კსა: რ: სა (ე. ი. ასსა) მეფედ დავჯედი»-ო და აქეთგან გადმოწერის დროს დამახინჯდა და „რა"-ად იქცა. ამ სა-

ბუთის თვით დედანი სამწუხაროდ შენახული არ არის, არამედ მხოლოდ XVII საუკუნეში გადაწერილი პირი არსებობს[1]. უკვე ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების შემდგენელს ამგვარად შესწორებულ-დამახინჯებული ტექსტი ჰქონია: «დაჯდა მის წილ... ალექსანდრე ქ˜კსა: რა»[2]. ამ ადგილას რომ საბუთის პირვანდელი დედნის ტექსტი დამახინჯებული უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ სიგელი დათარიღებულია 128 ქრონიკონით, როდესაც ალექსანდრეს მეფობის 28 სრული[3] ინდიქტიონი ყოფილა[4], მაშასადამე, ცხადია ალექსანდრე ამ საბუთებისავე ცნობით 100 ქრონიკონს უნდა გამეფებულიყო და ასე ეწერებოდა ამ სიგელის თვით დედნის თავშიაც. ამგვარად ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა არსებითი თვისებისა-კი არა, არამედ გადამწერის შეცდომის შედეგი უნდა იყოს.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ ვახტანგ მეფის მეცნიერ ისტორიკოსთაც თავიანთ ქ˜ცის გაგრძელებაში ალექსანდრე მეფის ტახტზე ასვლის თარიღად იგივე 1412 წელიწადი აქვთ დასახელებული, რომელიც ჩვენ სიგლების შესწავლის შემდეგ მივიღეთ. მათ ნათქვამი აქვთ: «დაჯდა მეფედ ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩუიბ (1412)»[5]. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ ხელში მყოფს ალექსანდრე მეფის ზემოხსენებულს 1440 წ. სიგელის დედანში სწორედ ისე უნდა წერებულიყო, როგორც ჩვენ ეს ადგილი ზევით აღვადგინეთ: «ქ˜კსა: რ:სა მეფედ დავჯედ»-ო, ხოლო ეს ქრონიკონით მოყვანილი თარიღი მათ ჩვეულებისამებრ[6] ქრისტესაქათი წელთაღრიცხვით მოუყვანიათ.

## ალექსანდრეს დაბადების წელიწადი

ალექსანდრე მეფის დაბადების თარიღის გამოსარკვევად შეიძლებოდა იმ ცნობას გამოყენება, რომელიც მის მცხეთისადმი ბოძებულს 1419 წ. სიგელში მოიპოვება, იქ ალექსანდრე ამბობს, რომ თემურ-ლენგმა «საყდარი დედაქალაქი მცხეთა დააქცია არათუ ჩუენისა პატრონობისა და მეფობისა ჟამსა, უწინარეს ჩუენსა, სხუათა მეფეთა ჟამსა და მე მეფეთა-მეფემან ალექსანდრე ოცდა ორისა წლისამან... კელვყავ შენებად საყდრისა მცხეთისა და შენ, ღმერთო, სრულ და მტკიცე ყავ საწადელი ესე ჩემი»-ო[7]. მაშასადამე, თუ ჩვენ გვეცოდინება, თუ როდის დაიწყო მცხეთის საყდრის შენება, იმავე დროს გამორკვეული იქნება, თუ როდის შესრულდა ალექსანდრე ოცდა ორი წლისა,

---

[1] იხ. ქ˜კბი II, 247.

[2] დამატება, გვ. 887.

[3] და არა „მე-28"-ე, როგორც ს. კაკაბაძეს შეცდომით აქვს აღნიშნული (დიდი ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი, 4).

[4] ქ˜კბი II, 248.

[5] მ. ჯანაშვილის გამ. 34.

[6] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი წ. 1, გვ. 280.

[7] ისტ. საბ. III, 12. — ქ˜კბი II, 226.

მცხეთის საყდარი, რომელიც თემურმა თავისი შემოსევის დროს დააქცევინა, «სულკურთხეულსა ბებიასა ჩემსა რუსასა... კელეყო... აღშენებად»-ო, ამბობს ალექსანდრე მეფე, და კიდეც «გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა» და იმედიც ჰქონდა, რომ დაწყებულ საქმეს დაამთავრებდა, მაგრამ «ვინათგან სოფელი ესე ცრუ, მტყუანი, უნამუსო და უმდგომო არის, მან მისი ბეგარი არ დაიკლო და ამის მიერ ველარა სრულ იქმნა სურვილითა საწადელი მისი»-ო [1]. რუსას აღმაშენებლობითი მოღვაწეობა, მაშასადამე, ულმობელს სიკვდილს შეუწყვეტია. რაკი ის სიგელი, რომელშიაც უკანასკნელი ცნობაა მოყვანილი, 101 ქრონიკონს სექტემბრის ოცს არის დაწერილი, ამიტომ ცხადია, რომ რუსა უკვე ამ დროს მკვდარი ყოფილა. ამ დრომდის როგორც ჩანს მცხეთის ტაძრის განახლება ალექსანდრეს ბებიის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სწარმოებდა, ამის შემდგომ-კი — ეს საქმე თვით მეფეს გაწუგრძია. ხოლო რაკი თვით ალექსანდრე მეფე ამბობს, რომ იმ დროს, როცა იგი ამ აღშენების განგრძობას შესდგომია, 22 წლისა ყოფილა, მისი ბებია-კი, როგორც დავინახეთ, იმავე 101 ქრონიკონამდე გარდაცვლილა, — დაახლოვებით იმ დროს, როდესაც თვით იგი 100 ქრონიკონს მეფედ დამჯდარა, — ამიტომ ირკვევა, რომ ალექსანდრე გამეფების ჟამს ან მეფობის პირველს წელიწადს ოცდა ორის წლისა ყოფილა. მაშასადამე, ალექსანდრე დაახლოვებით 1390 წ. დაბადებულა.

მაგრამ ქ˘ცის შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელების შემდგენელს ამ ზემომოყვანილი სიგლის შინაარსი სხვანაირად აქვს გადმოცემული. იქ ნათქვამია მეფე ალექსანდრემ «ოცდა ოთხისა წლისამან იწყო აღშენებად სვეტისა ცხოველისა»-ო [2]. თავისთავად იბადება ორი საკითხი: 1) დედანია, თუ პირი მცხეთის № 3 სიგ. 1420 წ., რომელშიაც მეფე ალექსანდრე თავის თავს ოცდაორის წლისად აცხადებს, და 2) თუ დედანი არ არის, რომელს ამ ცნობათაგანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? თ. ჟორდანიას დაბეჭდილი აქვს ერთი XVII საუკუნის ხელით გადაწერილი 1419 წ. სიგელი, რომელშიაც სწორედ იმგვარივე ცნობა მოიპოვება, როგორც ზევით ქ˘ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელებითგან იყო მოყვანილი. იქ მართლადაც ნათქვამია: «აწ მე... ოცდა ოთხისა წლისამან კელ-ვყავ შენებად» სვეტიცხოვლის ტაძრისაო [3]. საფიქრებელია, რომ ქ˘ცის გაგრძელების შემდგენელს სწორედ ამ წყაროთგან ჰქონდეს თავისი ცნობა ამოღებული. ეს ცნობა რომ თვით დედანში ყოფილიყო, მაშინ ალექსანდრეს დაბადების თარიღად 1388 წ. უნდა მიგვეღო. მაგრამ XVII ს.-ის პირს შეუძლებელია დედნის მსგავსი ნდობა მიენიჭოს.

## ალექსანდრე მეფის ბებია-აღმზრდელი

მეფე ალექსანდრეს ბებიას რუსა რქმევია. ალექსანდრე მეფე როგორც ეტყობა თავისი ბებიის რუსას გაზრდილი უნდა ყოფილიყო. ალბათ ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ ალექსანდრე მეფის სიტყვები «ბებიისა ჩემისა ჩემზედა

[1] 1412—3 წ. მცხ. სიგ.: ისტ. საბ. III, 9. ქ˘ები II, 220.

[2] დამატ.. 888.

[3] ქ˘ები II, 224.

მრავალ-ფერ‍ად ვალდებულისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათუის» ალაპი გამიჩენიაო[1]. თავის ვალდებულებას ალექსანდრე მეფე სწორედ იმაზე ამყარებდა, რომ ის რუსას გაზრდილი ყოფილა. ამას თვით ალექსანდრე მეფე ხაზგასმით ამბობს თავისს 1412 წ. სიგელში, სადაც ნათქვამი აქვს: მე, «ვითა ასრე მრავალფერად მათგან ჭირნახულსა მართებს და მრავალსა მათგან ჩუენზედა ზრდასა და ვალდებულებობასა ვემართლებით», ამის შესაფერისად დავაწესე მისი სულისათვის ალაპიო[2].

ზემომოყვანილი სიტყვებითგან ნათლად ჩანს, რომ რუსას თავისი გაზრდილი შვილიშვილისათვის, მეფე ალექსანდრესათვის, ღრმა სიყვარული და დიდი და გულწრფელი პატივისცემა ჩაუნერგავს, როგორც დედობრივი მზრუნველობისა და ჭირნახულობისათვის, ისევე სწავლა-აღზრდისათვის. უეჭველია, რუსა არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მხნეობისა და ნებისყოფის პატრონი, ნამდვილი სახელმწიფოებრივ-აღმაშენებლობითი უნარითა და თაოსნობით დაჯილდოვებული ადამიანი უნდა ყოფილიყო. თემურ-ლენგისაგან განადგურებულს საქართველოში პირველს მას გამოუჩენია ნამდვილი მამაცური მხნეობა: მრავალგვარი გაჭირვებისა და დაბრკოლებისდა მიუხედავად ყველასათვის ქვეყნის განახლებისა და აღმაშენებლობის გამამხნევებელი მაგალითი მიუცია. იმ დროს, როდესაც ქვეყანა „უსჯულოსა თემურის“ ველური შემოსევის შემდეგ „უნუგეშინისცემოდ განსრული“ იყო, საქართველოს დიდებული საყდრები და ციხე-ქალაქები დანგრეული და მრავალზე უმრავლესი სოფლები გადაბუგული იდო, თანაც «მუდმივი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა[3]», — აი ასეთ დროს მას, დედაკაცს, უკვე კარგა ხანშიშესულს, გული არ გაუტეხია და ბარბაროსთა ხელით დანგრეული ქართული ხელოვნებისა და ცხოველი სასოების მშვენიერი ძეგლის აღდგენას შესდგომია. ჭაბუკური აღტაცებით მიუყვია ხელი მას ამ დიადი საქმისათვის: „გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა“. ის უკვე ოცნებობდა ალბათ გატაცებით იმ ბედნიერ წამზე, როდესაც დიდი შრომის დაგვირგვინებას ეღირსებოდა, მაგრამ მუხთალმა ბედმა და წუთისოფელმა, რომელიც ასე «ცრუ და მტყუანი, უნამუსო და უმდგომო არის», რასაკვირველია, «მან მისი ბეგარი არ დაიკლო» და ეგოდენ დიადი და მშვენიერი საქმის დამთავრება არ დააცალა[4]. თუნდაც რომ ანდერძად არ დაეტოვებინა, განა მის შვილიშვილს ალექსანდრე მეფეს თითონ კი შეეძლო უპატრონოდ და დაუმთავრებლად დაეტოვებინა ეს კეთილშობილური, სამაგალითო საქმე, რომელიც ყოველსავე მჭევრმეტყველ ანდერძის წიგნზე უფრო ძლიერად ღაღადებდა მისი ბებიისაგან დაწყებული აღმაშენებლობის დამთავრების ვალდებულებასა და აუცილებლობაზე? რუსას ფასდაუდებელ ღვაწლს ისიც შეადგენს, რომ მას თავისი შვილიშვილისათვის, ალექსანდრე მეფისათვის — პირადი მაგა-

---

[1] 1412—3 წ. მცხ. საბ., ისტ. სიგ. III, 8.

[2] ისტ. საბ. III, $9_{14-16}$.

[3] ალექსანდრე მეფის 1440 სიგ.: ქ˝კბი II, 247 — 248.

[4] 1412 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 9.

ლითით თუ სიტყვით და აღზრდით ქვეყნის კეთილდღეობაზე და აღმაშენებლობაზე ზრუნვის წყურვილი და მოვალეობის გრძნობა ჩაუნერგავს. ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის მთელს მიმზიდველობასა და დიდს ღირებულებას საქართველოსათვის, მისი ფართო გეგმითა და გამჭვრეტელობით წარმოებული აღმაშენებლობა, თანაც დაუღალავი და მიზან-შეწონილი მუშაობა შეადგენს მტრისაგან განადგურებული ქვეყნისა და ერის აღსადგენად. უძვირფასესი ნიჭი და უნარია, როდესაც ერს, თუ კერძო პიროვნებას განსაცდელისა და გაჭირვების, სიკვდილისა და ნგრევის დროს აღორძინებისა და აღმაშენებლობის წყურვილი და ხალისი არ დაუკარგავს, ეს სალი საზოგადოებრივი სხეულისა და ადამიანის ძლიერი მაჯისცემისა და ცხოველმყოფელი დაუშრეტელი სიცოცხლის დამამტკიცებელია. ეს წყურვილი და გრძნობა-კი ალექსანდრე მეფისათვის, როგორც ირკვევა, მის ბებიას, დიდს ქართველს მანდილოსანს, რუსას ჩაუნერგავს.

## ალექსანდრე მეფის ნათესაობა

ალექსანდრე მეფე თავის ბებიად რუსას სთვლის, არა ჩანს-კი მამისა თუ დედის მხრით. თუ რუსა ალექსანდრე მეფის დედის დედა იყო, იქნება ის ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე რუსა იყოს, რომელთა ასული „დედოფალი ნათია“ ეგების ალექსანდრე მეფის დედა ყოფილიყო. ქუცნა ამირეჯიბი თავისი აღაპების ნუსხაში თუმცა იხსენიებს — «ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსასთჳს... სამი დღე მეფის ალექსანდრესათჳს, ორი დღე მეფისა კოსტანტინესთჳს, ერთი დღე დედოფლისა ნათიასთჳს, ორი დღე გიორგი მეფისა»[1], — მაგრამ არც მეფე ალექსანდრესი და არც დედოფალი ნათიას ნათესაობრივი დამოკიდებულება აღნიშნული არა აქვს და ამის გამო ზემომოყვანილი ცნობითგან არა ჩანს დედოფალი ნათია მართლაც ქუცნა-რუსას ასული იყო, თუ არა? არც ალექსანდრე მეფის შესახებ არის ნათქვამი, რომ ის ქუცნა-რუსას შვილიშვილი ყოფილიყოს.

ერთი რამე მაინც შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ალექსანდრე მეფის ბებია რუსა დედოფალი არ უნდა ყოფილიყო. ეს იმითა მტკიცდება, რომ თვით ალექსანდრე არსად საბუთებში დედოფლად არ იხსენიებს, არამედ ყოველთვის მარტივად პატრონს უწოდებს, მაგ.: «პატრონისა და ყოვლად სანატრელისა სულკურთხეულისა ბებიისა ჩემისა რუსასთუის»[2]. «პატრონისა და მის სულკურთხეულისა ბებიისა ჩუენისა რუსასთუის»[3]. რუსა რომ დედოფალი ყოფილიყო, ალექსანდრე ამ გარემოებას აღუნიშვნელს არ დასტოვებდა და თავის ბებიას დედოფალთა-დედოფლობით მოიხსენიებდა. ხოლო თუ რუსა, ალექსანდრე მეფის ბებია, დედოფალი არ ყოფილა, ეს ცხადჰყოფს, რომ რუსა ალექსანდრეს დედის დედა იქნებოდა და არა მამისა. ამ მხრივ, მაშასადამე, არავითარი დაბრკოლება არ იქნებოდა, რომ ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე ალექსანდრე მეფის ბებია ყოფილიყო.

---

[1] ქკბი II, 209.

[2] 1412 წ. სიგ.: ისტ, საბ. III, $8_{40}$-$9_{1}$.

[3] იქვე, III, $9_{35-36}$.

ნათია დედოფლის ვინაობის შესახებ გარკვეულს და გადამწყვეტს ცნობას ერთი სულთა მატიანითგან თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ მოყვანილი XV საუკუნის ხელით ნაწერი ალაპი გვაძლევს, სადაც ნათქვამი ყოფილა: «სულსა მის ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის კელმწიფედ ფლობით-მპყრობელსა მეფეთა შორის წარჩინებულსა ალექსანდრეს შეუნდოს ღმერთმან. სულსა დედისა მათისა ნათია-ყოფილისა ნინოსი შეუნდოს ღმერთმან»-ო [1]. მაშასადამე, ალექსანდრე მეფის დედას ნათია რქმევია. ნათია დედოფალი მოლოზნად შემდგარა და ნინოდ წოდებულა. ნათიას შემონაზონების შემდგომ მისი შვილის ალექსანდრეს აღზრდა და მოვლა-პატრონობა უეჭველია მის ბებიას რუსას უკისრია და ალბათ სხვათა შორის ამ ჭირნახულობასა და ვალდებულობას ჰგულისხმობდა მისი მადლიერი შვილიშვილი მეფე ალექსანდრე თავის 1412 წ. სიგელში. ქუცნა ამირეჯიბის სიტყვითგან ჩანს, რომ დედოფალ ნათიას დიდხანს ვაჟიშვილი არ მისცემია და ამის გამო «დედოფალი ნათია ვით უბედო ყოფილიყო». როგორც მაშინ მიღებული იყო, იგი ძლიერს სალოცავებსა და ხატებს ევედრებოდა და სხვადასხვა აღთქმას სდებდა, რომ მათი ოჯახი უძეობით არ გადაშენებულიყო. ბოლოს ნატვრა აუსრულდა კიდეც: «შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღვთისმშობელსა და მიეცა ძე» [2], რომელსაც დედ-მამამ ალექსანდრე დაარქვეს. დედოფალი ნათია თავის თავს იმდენად გაბედნიერებულად და შეწყალებულად გრძნობდა, რომ მოვიდა „კახეთით" და ულუმბის ღვთის-მშობლის მონასტერს «მოუტანა საქონელი ურიცხვ» და შესწირა [3]. ეტყობა ნათია დედოფალს კახეთში მოულოგინნია და, ალექსანდრე ბატონიშვილი დაბადებულა თუ არა, აღთქმა მაშინვე აუსრულებია და შესაწირავი მიურთმევია ხატისათვის.

## ალექსანდრეს მამისშვილობა

ალექსანდრე მეფის მამისშვილობის შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი თავის ისტორიაში ამბობს, რომ ის იყო კონსტანტინე მეფის „ძმისწული" და „ძე გიორგი მეფისა". სახელოვან ქართველ ისტორიკოსსაც, როგორც ეტყობა, ამ საკითხის შესახებ პირდაპირი და უეჭველი ცნობები არ ჰქონია და ამის გამო თავის აზრს შენიშვნაში ასე ასაბუთებს: «ჰმოწმობს ბარათიანთ გუჯარი, რომელ ესე ალექსანდრე ძე არს გიორგი მეფისა»-ო [4], მაშასადამე, ვახუშტის მტკიცება სწორედ ამ საბუთზე ყოფილა დამყარებული.

ეს დასკვნა თვით ალექსანდრე მეფის შვილის გიორგი მეფის მკაფიო და უეჭველს განცხადებას სრულებით ეწინააღმდეგება. მცხეთის საკათალიკოზო მამულების 1447—48 წ. თავის გუჯარში ის ამბობს: «ჟამსა პ ა პ ი ს ძ მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა მ ე ფ ე თ ა - მ ე ფ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ა ჲ ა მეფობასა.... შინა მისსა მოსრულიყო» თემური საქართველოში. მერმე მშვიდობიანობა დაუცარდა საქართველოში და «შემდგომად ამისსა ღირს ყო ღმერთმან მ ა მ ა ჩ უ ე ნ ი პ ა ტ ი ე ს ა

---

[1] ქ˜კბი II, 208.
[2] ი ქ ვ ე, 211 — 212.
[3] ი ქ ვ ე, 212.
[4] ისტ. ბაქ. 297.

15/16 

შეფობისსა მოღებად», რომელმაც სვეტიცხოვლის მცხეთის საყდარი განაახლაო[1]. ცნობილია და ქვემოთაც დავრწმუნდებით, რომ ამ სიგელის მიმცემი გიორგი მცხეთის განმაახლებელის ძე იყო. ზემომოყვანილი სიტყვებითგან, მაშასადამე, ირკვევა, რომ ის გიორგი მეფეთ-მეფე, რომლის დროსაც თემურის შემოსევა მომხდარა, მეფე ალექსანდრეს შვილის გიორგი მეფის „პაპის ძმა“ ყოფილა. აქეთგან ცხადია, რომ თვით ალექსანდრე გიორგი მეფეთა მეფის შვილი-კი არ ყოფილა, არამედ ძმისწული.

მას შემდგომ, რაც ქუცნა ამირეჯიბის მიერ დაწესებულს ალაპებში მოხსენებულ პირთა ვინაობა, ორის გარდა უკვე გამორკვეული გვაქვს, ვგონებ ალექსანდრეს მამის ვინაობის გამორკვევაც შეიძლება. იმ ალაპებში მოხსენებული იყვნენ რუსა, შემდეგ მეფე ალექსანდრე, მეფე კონსტანტინე, დედოფალი ნათია, გიორგი მეფე და სულ ბოლოს რუსუდან მეფე[2]. ამ პირთაგან რუსა ალექსანდრე მეფის ბებიაა და დედოფალ ნათიას დედა. მეფე ალექსანდრესა და მის დედას, დედოფალ ნათიას, შუა მოხსენებული და მოქცეული მეფე კონსტანტინე ვინღა უნდა ყოფილიყო? თავისთავად იბადება აზრი, რომ კონსტანტინე მეფე ალექსანდრეს მამა, ხოლო ნათიას თანამეცხედრე უნდა ყოფილიყო. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ალექსანდრე მეფის მამის ძმად გიორგი მეფე ყოფილა. აქაც, ამ ალაპების სიაში კონსტანტინე-ნათიას ხსენებას გიორგი მეფის სახელი მისდევს და შესაძლებელია იგი სწორედ ალექსანდრე მეფის მამის კონსტანტინე მეფის ძმა იყოს[3]. მართლაც, როგორც ვიცით, გიორგი მეფეთა-მეფეს, ბაგრატ მეფეთ-მეფის ძეს, რომელთა დროსაც თემურის საზარელი შემოსევა მოხდა საქართველოში, ჰყავდა ძმა კონსტანტინე, რომელიც შემდეგ მეფედ დაჯდა[4]. მაშასადამე, ირკვევა, რომ ალექსანდრე მეფე კონსტანტინე მეფისა და ნათია დედოფლის შვილი და მართლაც გიორგი მეფეთა-მეფის, ბაგრატის ძის, ძმისწული უნდა ყოფილიყო. თუმცა გიორგი მეფეთ-მეფეს კონსტანტინეს გარდა კიდევ ერთი ძმაც ჰყავდა დავითი, მაგრამ ის არც ზემომოყვანილს ალაპებშია ნახსენები და არც მეფედა ჩანს.

ჩვენ ზემომოყვანილ დასკვნას ალექსანდრე მეფის მამიშვილობის შესახებ ერთი 1408 წ. სიგელის დასაწყისიც საუცხოვოდ ამტკიცებს. იქ ნათქვამია: «სახელითა ღმრთისათა კონსტანტინესაგან ბაგრატონიანისა, ძისა ბაგრატისა, და ძეთა ჩუენთა სასურველთა ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგისაგან, ნებითა ღ˜თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა, შარვანშა და შანშე (sic) და ყოვლისა აღმოსავლეთისა... კელმწიფედ თუით-მფლობელმპყრობელთასა»-ო[5]. მაშასადამე, აქ უკვე

[1] ს. კაკაბაძე, 3. 10–12, 24–25 და ქ˝კბი II, 259.

[2] ქ˝კბი II, 209.

[3] არა ჩანს, რატომ არის რუსუდან მეფე მოქცეული ალაპების ამ სიაში. თ. ჟორდანიას ეგონა, რომ „როგორც გამაძლიერებელი ამირეჯიბთ გვარისა“ (ქ˝კბი II, 209, შენ. 1), მაგრამ არ ვიცი რამდენად მართალია ეს განმარტება.

[4] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ˝ლი ერის ისტორიის III წიგნი.

[5] საქ. სძ˝ელნი III, 434.

პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ალექსანდრე, რომელიც 1408 წ-ჯერ კიდევ ბატონიშვილი იყო მხოლოდ და რომელსაც, როგორც თვით ალექსანდრეს ქვემომოყვანილი სიგლებითგანა ჩანს, მართლაც ორი ძმა — ბაგრატი და გიორგი — ჰყოლია, სწორედ კონსტანტინე მეფის ძე და, ეტყობა, პირმშო შვილი ყოფილა.

## ალექსანდრეს სახლობა

სიგლების საშუალებით ალექსანდრე მეფის ოჯახობის შემადგენლობის და თანდათანი ზრდის გამორკვევაც შეიძლება. თავის პირველსავე შენახულს სიგელში მეფეს ორი შვილი ჰყავს მოხსენებული: «ძეთა ჩემთა... ვახტანგ და დიმიტრი»[1]. 1414 წ. სიგელშიაც იგივე შვილები არიან მოხსენებული და მათთან ერთად არიან დასახელებულნი ალექსანდრეს ძმებიც. იქ სწერია: «ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა ვახტანგ და დიმიტრი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გიორგი»-ო[2]. 1417 წ. საბუთში, რომელსაც თავი აკლია, უკვე ალექსანდრე მეფის მესამე და მეოთხე შვილიც იხსენიება. იქ სახელდობრ ნათქვამია: «ძეთა ჩუენთა ვახტანგ, დემეტრე, გიორგი, დ[ა]ვით»[3]. ორი წლის შემდეგ დაწერილს სიგელში ალექსანდრეს თანამეცხედრეცაა მოხსენებული და სხვა მხრივაც საყურადღებო ცნობა მოიპოვება. მეფე ამბობს იქ: «თანამეცხედრემან ჩემმა დედოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა სათნომან ღ̃თისამან და ჩუენ მიერ... საწადელმან მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გიორგი»[4]. აქეთგან ცხადი ხდება, რომ ალექსანდრე მეფეს თავისი უმცროსი შვილი დავითი 1417—1419 წ. მონაზონად შეუყენებია. მაგრამ უკვე ბერად აღკვეცის დროს მამა თურმე თავისს შვილს მომავალში დიდი თანამდებობისათვის ამზადებდა: თუ ღმერთმა დღეგრძელობა მისცა «ძე ჩუენი მონაზონი დავით» თვით ქართლისა კათალიკოზის მიქაელის «მიერვე კელდასხმულ იქმნას»-ო[5]. 1424 წ. სიგელში ალექსანდრე მეფეს სრულებით გარკვევითა აქვს თავისი სურვილი გამოთქმული და ცხადი ხდება, რომ შემონაზონებულს ბატონიშვილს დავითს საკათალიკოზოდ ამზადებდა. ეს სიგელი გიბოძეთო, ამბობს ალექსანდრე, მე და «ძეთა ჩუენთა... დედა-ქალაქისა მცხეთისა პატრიარქად განმზადებულმან მონაზონმან დავით, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი», შემოგწირეთო «თქუენ... ქართლისა კათალიკოზსა მიქაელს და თქუენ მიერ აღზრდილსა და კათალიკოზად... განმზადებულსა... საწადელსა ძესა ჩუენსა მონაზონსა დავითსა»-ო[6].

---

[1] 1413 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, $8_{7-8}$.
[2] ისტ. საბ. II, $3_{3-5}$.
[3] ქ˜კბი II, 223.
[4] 1419 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, $11_{7-11}$.
[5] 1419 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 12.
[6] ქ˜კბი II, 228.

ალექსანდრე მეფის შემონაზონებული ძის დავით ბატონიშვილის მე რწინ დელი ბედიღბლის შესახებ ცნობები არეულია. თ. ჟორდანიას მოყვანილი აქვს ორი სიგელი: ერთი 1425 წ., ხოლო მეორე 1428 წ., რომლებშიაც დავითი უკვე ქართლისა კათალიკოზად იხსენიება: «ჩუენ მეფეთ-მეფისა ალექსანდრესგან... და ძეთა ჩუენთა ქართლისა კათალიკოზისა და[ვი'თ]ისაგან, ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან»[1], «თქუენ... ქართლისა კათალიკოზო დავით»[2]. მაგრამ ამ ცნობას ცხადად ეწინააღმდეგება სხვა სიგლების ცნობები. ალექსანდრე მეფე რომ ტახტზე ავიდა, «ამავე ჟამსა დაიდგინა პატრიაქად... ქათალიკოზი მიქაელ»[3]. მაშასადამე, 1412 წ. კათალიკოზად მიქაელი დაუსვამთ, რომელიც 1419 წ.[4] და 1424 წ.[5] ჯერ კიდევ კათალიკოზად ჩანს[6]. ხოლო 1427 წ. სიგელში კათალიკოზად უკვე თეოდორეა მოხსენებული[7], რომელიც 1428 წ.[8], 1429 წ.[9], 1431 წ.[10], 1433 წ.[11] და 1434 წ.[12] ცოცხალი ჩანს, და მხოლოდ 1438 წ. სიგელში კათალიკოზად უკვე დავითი იხსენიება[13], მაგრამ არ ეტყობა რომ ის ნაბატონიშვილარი იყოს. ხოლო რაკი ის ორი საბუთი, რომელშიაც კათალიკოზი დავითი 1426 და 1428 წ. იხსენიება, დედანი კი არ არის, არამედ პირი, ამიტომ ამ ცნობებს გულდასმით უნდა განხილვა.

1428 წ. სიგელში მეფე ალექსანდრე უკვე თავის მეხუთე შვილსაც იხსენიებს, რომელსაც სახელად ზაალი რქმევია, და დავითის გარდა საბუთში ჩამოთვლილია ვახტანგ, დიმიტრი და ზაალ[14]. თუ ამ საბუთს არ ვენდობით, მაშინ 1428—29 წ.[15] და 1433 წ. სიგელების ცნობა ხომ სრულებით უეჭველია. ამ უკანასკნელში, მაგ., ნათქვამია: «ძეთა ჩუენთა მეფისა ვახ[ტანგისა], დიმიტრი, გიორგი და ზაალისაგან»[16].

მაგრამ საყურადღებოა, რომ 1438, 1438—39 და 1441 წ. სიგლებში ალექსანდრე მეფე ზაალს თავის შვილთა შორის უკვე აღარ ასახელებს და იქ მხოლოდ ვახტანგი, დიმიტრი და გიორგი[17] იხსენიება[18]. იქნებ ზაალი 1438 წ.

---

[1] ქ˜კბი II, 229.

[2] ქ˜კბი II, 231.

[3] 1419 წ. სიგ: ისტ. საბ. III, 12.

[4] იქვე.

[5] ქ˜კბი II, 228.

[6] თუმცა 1419 წ. სიგ-ში კ˜ზი შიოც იხსენიება (ქ˜კბი II, 224—225), რომელიც იქნება „აბხაზეთისა კ˜ზი" იყო? 1419 წ. სიგ-ის ბოლოს სწერია „ქართლისა და აბხაზეთისა კზ˜ნი" (იქვე II, 224).

[7] ქ˜კბი II, 230.

[8] ისტ. საბ. III, 13.

[9] ქ˜კბი II, 235 და ისტ. საბ. III, 13—14.

[10] ქ˜კბი II, 237—238.

[11] ისტ. საბ. II, 4 და 5.

[12] ქ˜კბი II, 243.

[13] ისტ. საბ. III, 20.

[14] ქ˜კბი II, 231.

[15] ქ˜კბი II, 235. შეად. ისტ. საბ. III, 13.

[16] ისტ. საბ. III, 15 და ქ˜კბი II, 239.

[17] ისტ. საბ. III, 18, 20 და 23.

[18] თ. ჟორდანიას მხოლოდ 1442 წ. დაზიანებულს სიგელშია ზაალი მოხსენებული, რომელიც XVII საუკ. პირის მიხედვით აღუდგენია, მაგრამ რამდენად სწორია ეს პირი, არა ჩანს (ქ˜კბი II, 253).

ან ცოტა უწინ გარდაიცვალა? განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თავის სიცოცხლეშივე, 1433 წ. სიგელში, თვითვე მეფე ალექსანდრე სრულებით მოულოდნელად თავისს უფროს შვილს ვახტანგს მეფის წოდებულობით იხსენიებს: «ძეთა ჩუენთა მეფისა ვახ[ტანგისა], დიმიტრი, გიორგი და ზალისაგან»-ო [1]. აქ რომ არავითარი შეცდომა არ უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ მეორე ამგვარივე შინაარსის საბუთიც არსებობს, იმავე 1433—34 წელს დაწერილი [2]. 1438—39 წ. ერთს სიგელში ალექსანდრე მეფე კიდევ იხსენიებს ვახტანგს მეფედ: «მეფეთ-მეფემან ალექსანდრე, თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა მეფემან ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი»-ო [3]. ეს საბუთი ცოტა საეჭვოა. ამავე 1438 წ. სიგელში, რომელიც, ვითარცა 126 ქრონიკონს დაწერილი, ზემოაღნიშნულს, 127 ქრონიკონს, 1438—39 წ. ნაბოძებს საბუთზე ადრინდელია, მეფე ალექსანდრე თავის ძეს ვახტანგს მეფედ არ იხსენიებს [4]. ამგვარადვე მეფედ არა ჰყავს ალექსანდრეს მოხსენებული ვახტანგი 1441 წ. სიგელშიაც [5]. უეჭველია შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ალექსანდრე მეფე თავის სიცოცხლეშივე 1433 წ. ვახტანგს მეფედ და, მაშასადამე, თანამოსაყდრედ ასახელებს, ამგვარადვე, როგორც უბრალო შემთხვევა არ იქმნება, რომ 1438 წ.-ის შემდგომ მამას იგივე ვახტანგი საბუთებში მეფედ აღარსადა ჰყავს მოხსენებული. მაგრამ ამის ნამდვილი მიზეზი ცნობების უქონლობის გამო ამჟამად სრულებით გაუგებარია.

## ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲪᲮᲔᲓᲠᲔ

საყურადღებო გარემოებაა, რომ ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე დედოფალთა-დედოფალი თამარ პირველად იხსენიება მხოლოდ 1419 წ. სიგელში. მაგრამ საფიქრებელია, რომ უკვე 1417 წ. სიგელში, რომელსაც თავი აკლია [6], თამარი უნდა მოხსენებული ყოფილიყო. სამაგიეროდ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე მეფის პირველს ორს სიგელში 1413 და 1414 წ. [7], რომელმაც-კი ჩვენამდის მოაღწია, თამარის ხსენება არ არის და არც ყოფილა. მისი ორი შვილი-კი, ვახტანგი და დიმიტრი, ამ ორსავე საბუთში აღნიშნული არიან. იმავე დროს 1413 წ. სიგლის ბოლოში სწერია: «მეფეთა-მეფესა ალექსანდრეს პატრონსა, დედოფალთა დედოფალსა პატრონსა დულანდუხტ შემოგვიწირავს და მოგუიკსენებია»-ო [8]. ალექსანდრე მეფე რომ ტახტზე ასვლამდე უნდა ცოლიანი ყოფილიყო, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ

---

[1] ისტ. საბ. III, 15.
[2] იქვე, 17.
[3] იქვე, 26.
[4] იქვე, 18.
[5] იქვე, 23.
[6] ქ˜კბი II, 223.
[7] ისტ. საბ. III, 8 და II, 3.
[8] იქვე, 10.

პირველსავე თავის 1413 წ. სიგლისდა თანახმად ალექსანდრე უკვე ორი შვილის, ვახტანგისა და დიმიტრის, პატრონი ყოფილა. რაკი არც 1413 წ. და არც 1414 წ. სიგელში თამარი დედოფლად და თანამეცხედრედ არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ის ვახტანგისა და დიმიტრის დედა არ ყოფილიყოს. ამასთანავე ეჭვი იბადება, რომ იქნება სწორედ მათი დედა იყო ის „დედოფალთა-დედოფალი პატრონი დულანდუხტ", რომელიც 1413 სიგელში ბოლოში ალექსანდრესთან ერთად შემწირველად არის მოხსენებული[1]. უცნაურია მხოლოდ, თუ რატომ თვით სიგლის შესავალში არ მოიხსენია დულანდუხტი ალექსანდრემ, თუ იგი მართლაც მისი თანამეცხედრე იყო.

თუ აქ რაიმე გაუგებრობა არ არის და ალექსანდრე მეფეს მართლაც ორი თანამეცხედრე ჰყავდა, რომელთაგანაც მეორეს თამარი ერქვა, მაშინ ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ როდის უნდა შეერთო ალექსანდრეს მეორე ცოლი? რაკი 1417 წ. სიგელში უკვე ალექსანდრე მეფის ორი შვილიც გიორგი და დავითიც იხსენიება, ამიტომ ცხადია, გიორგი ბატონიშვილი დაახლოებით 1415 წ. დასასრულს უნდა დაბადებულიყო. ხოლო თამარს მეფე ალექსანდრე ალბათ 1414—1415 წ. მოიყვანდა თანამეცხედრედ.

## 2. ალექსანდრე მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა

### საქართველოს გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფა

მალის ამოკვეთილობის შესახებს სიგელში 1440 წ. ალექსანდრე მეფე თავის პირველს პოლიტიკურსა და სახელმწიფოებრივს მოღვაწეობას ასე გვიხატავს. თემურმა რომ შემოსევის დროს საქართველო ააოხრა, მრავალი სული დახოცა და ტყვედ წაიყვანა, საყდრები, ეკლესიები და ციხეები დააქციაო და «ჩუენის მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა»-ო. ქვეყანა უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა: «მოოკრდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა»-ო. გამეფებისთანავე «ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ მზღუართაგან ჩუენთა და ქრისტიანენი ფრიადსა მშვდობასა და მყუდროებასა მიეცნეს»-ო, ამბობს ალექსანდრე მეფე[2]. მაშასადამე, მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლა და მათი საქართველოთგან განდევნა, ქვეყნის დაწყნარება და გარეშე მტრის შემოსევისაგან უზრუნველყოფა, ალექსანდრეს სწორედ თავისი სახელმწიფოებრივისა და სამხედრო მოღვაწეობის პირად ღვაწლად მიაჩნია. ამ გარკვეულსა და უთუმცაო ცნობას თვით ალექსანდრე მეფისავე ერთი უფრო ძველი სიგლის მკაფიო ცნობა თუ არ ეწინააღმდეგება, საგრძნობლად ასუსტებს მაინც. სახელდობრ 1412—13 მცხეთისადმი ბოძებულს შეწირულობის წიგნში იგივე მეფე თავის თავზე ამბობს: «მე... ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუძრეთლად და შეურყეველად მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე» შემოვწირე ისეთს დროს,

---

[1] ისტ. საბ. III, $10_{19-20}$.

[2] ქ'კბი II, 248.

როდესაც «აჰა ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი და... [აგარის ნათესავნი, მტერნი და წინაალმდეგნი ქრისტიანეთანი] სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან»-ო[1]. სწორედ ამგვარივე სიტყვებია ნახმარი და იგივე აზრია გამოთქმული ალექსანდრეს 1419—20 წ. სიგელშიაც[2]. განსაკუთრებული მნიშვნელობა, რასაკვირველია, პირველი საბუთის ცნობასა აქვს იმიტომ, რომ ის ალექსანდრეს მეფობის «ინდიკტიონსა... პირველსა»[3], ანუ მეფობისა პირველსავე წელიწადს არის დაწერილი. მაშასადამე, მაშინვე, როდესაც ალექსანდრე მეფედ დამჯდარა, მტრები უკვე «სამარადისოდ ლტოლვილი და უკუნქცეული» ყოფილან. თუ მეფობის დასაწყისშივე საქართველო გარეშე მტრებისაგან მაჰმადიან-მონღოლებისაგან განთავისუფლებული ყოფილა, მაშინ ცხადია, რომ ალექსანდრე მეფის მერმინდელი, 1440 წ. ცნობა, სწორედ მე «ვიწყე ბრძოლად» და მტერი საქართველოს საზღვრებითგან განვდევნეო, სიტყვა-სიტყვით არ უნდა ვავიგოთ და ეროვგვარ გადაჭარბებად მივიჩნიოთ.

მაგრამ, თუ თემურის შემოსევისა და მონღოლთა თავდასხმის მოგერიება უეჭველია ალექსანდრე მეფის პირადს ღვაწლს არ შეადგენდა, 1411 წ. კონსტანტინე მეფისა და ლაშქრის ყარა-ჲუსუფის ხელში ტყვედ ჩავარდნა და გამარჯვებული მტრისაგან მათი დახოცვა, საქართველოს მოწინაალმდეგე «აგარიანთა ნათესავებს» თურქ ელებს უეჭველია გაათამამებდა და გააკადნიერებდა. მეზობლებიც აიშლებოდნენ და თავდასხმას მიჰყოფდნენ ხელს. ასეთ პირობებში ცხადია საქართველოში „ტყუენვა და რბევა“ თუ „მუდამი“ არა, როგორც ალბათ გაზვიადებით ნათქვამი აქვს მეფე ალექსანდრეს, იშვიათი მაინც არ იქნებოდა და, როცა ალექსანდრე მეფედ დაჯდა, მას უეჭველია ჯერ გათამამებული მტრის ალაგმა-უკუქცევა დასჭირდებოდა, რომ მშვიდობიანი აღმაშენებლობითი მუშაობა საქართველოში შესაძლებელი გამხდარიყო.

## ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და გამტკიცებისათვის

ვახუშტს ნათქვამი აქვს, ვითომც ალექსანდრე მეფემ «კვალად მოიყვანა დიმიტრი ძე ალექსანდრესი და მისცა ერისთაობა იმერეთისა, რამეთუ ამის დიმიტრის დაჲ კოსტანტინე ბიძისა თვისისა სიცოცხლესავე შინა მოეყვანა ალექსანდრეს ცოლად თამარ და ექმნა ქორწილი და ამით დაამშვიდნა იმერნი და დიმიტრი ერისთაობდა მორჩილებას შინა ალექსანდრესსა»-ო[4]. ეს ცნობა მეტად საყურადღებოა, მაგრამ არა ჩანს, საითგან არის ამოღებული და არც ვიცით, რაიმე წყაროზეა დამყარებული, თუ თვით ისტორიკოსის კვლევა-ძიების ნაყოფს შეადგენს? როგორც ზევით თავის ადგილას დავრწმუნდით, ვახუშტი ალექსანდრე მეფის მამად შეცდომით გიორგი მეფესა სთვლის და აქაც კონსტანტინე მეფეს ალექსანდრეს ბიძად ასახელებს, რაც შეცდომაა.

---

[1] ისტ. საბ. III, $8_{4-5,\ 11}$.

[2] იქვე $11_{5-7,\ 14-17}$.

[3] იქვე $10_{14-15}$.

[4] ვახუშტი, ისტ. 298.

მაინც საყურადღებოა სახელოვანი ისტორიკოსის ცნობა, რომ თამარი იმერეთის შტოს წარმომადგენელი იყო და რომ მისი შერთვით ალექსანდრე მეფეს პოლიტიკური მიზნის მიღწევაც სწადდა და ამით დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოს უფრო მჭიდრო მომტკიცება სურდა. რამდენად სამართლიანია საერთოდ მთელი ცნობა და შეხედულება, ჯერ ძნელი სათქმელია, მაგრამ თამარის შერთვის ამბავი ჯერ კიდევ კონსტანტინე მეფის სიცოცხლეში თითქოს არა მართლდება თვით ალექსანდრე მეფის საბუთებითვე, რომლებშიაც თამარ დედოფალი თავითგანვე არ იხსენიება: იგი 1412—1414 წ. არა ჩანს იმ დროს, როდესაც ერთს ამგვარს საბუთთაგანს ალექსანდრე მეფის გვერდით დულანდუხტ დედოფლის სახელი აქვს მოხსენებული.

ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით, სანამ ალექსანდრე მეფედ იკურთხებოდა, გამეფებისთანავე ჯერ სამეგრელოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში გადასულა ლაშქრით და ქვეყანა მოუმტკიცებია. მეფის გალაშქრება იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ მამია დადიანს აფხაზეთის დამორჩილება მოუწადინებია, მაგრამ აფხაზეთში რომ მისულა შარვაშიძეს მიმხდომი სასტიკად დაუმარცხებია, თვით მამია დადიანი მოუკლავს, ხოლო ჯარის ნაწილი ამოუხოცია, ნაწილი განუდევნია. ამ ამბის გაგონებაზე მეფე ალექსანდრე ქვეყნის აშლის შიშით სწრაფად სამეგრელოში გადასულა. მას მიჰგებებია მოკლული მამიას შვილი ლიპარიტი, რომელსაც მამის შეცდომის შენდობა უთხოვნია. ალექსანდრე მეფეს უპატიებია და ლიპარიტ დადიანი სამეგრელოს მთავრად დაუსვამს. შემდეგ ლიპარიტისავე თანხლებით აფხაზეთში ჩასულა, რომლის მთავარს შარვაშიძესაც მეფისათვის მორჩილება გამოუცხადებია[1]. ასე სათავეშივე ჩაუქრია ალექსანდრე მეფეს შინაური არეულობა და მიხდომ-მოხდომის დასაწყისი.

მეცნიერი ბატონიშვილის ზემომოყვანილი მოთხრობის ცოტად თუ ბევრად დამადასტურებელი მხოლოდ ერთი მეტად მოკლე ცნობა მოიპოვება კინკლოსში. იქ ნათქვამია მარტო: 1414 წ. «ქ˝კს: რბ: (102) მოკლეს აბხაზთა მამია და დაჯდა ძე მისი ლიპარიტ»[2]. ახალი ამ ცნობაში მხოლოდ თარიღია, რაც ვახუშტს თავის წყაროებში, როგორც ჩანს, ვერ მოუნახავს. ხოლო მისი შინაარსი ასე თუ ისე ვახუშტის მოთხრობის პირველს ნაწილს ადასტურებს. მამიას შვილის სამეგრელოს მთავრად დაჯდომის შესახებ-კი კინკლოსში არაფერია ნათქვამი, რომ იგი ალექსანდრე მეფემ დასვა. საზოგადოდ, რაკი კინკლოსში მეფე ალექსანდრე სრულებით არ იხსენიება, ამიტომ ვახუშტის მოთხრობის მთელი მეორე და უმნიშვნელოვანესი ნაწილის შესახებ აქ დამამტკიცებელი ცნობა არა ჩანს.

ესევე სათავეში ჩაუქრია ალექსანდრეს მესხეთის ათაბაგის ურჩობა. ვახუშტის სიტყვით ალექსანდრე მეფეს შეუტყვია, რომ ათაბაგი განდგომას აპირებდა. მეფემ ქედფიცხელი მთავარი გააფრთხილა და მშვიდობიანად ყოფნა ურჩია. მაგრამ ათაბაგი ამის საპასუხოდ თავისი ჯარის შეგროვებას შეუდგა და მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ გაილაშქრა. მეფე მაშინ კოხტას თავს მდგარა. ფიც-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. 297—298.

[2] დადიანის ქ˝კა: ქ˝კბი II, 221.

ხელ ომში ათაბაგი საშინლად დამარცხდა და ტყვედ მეფეს ჩაუვარდა ხელში. ეს ბრძოლა ვახუშტის სიტყვით 1415 წ. მომხდარა. ათაბაგის შეპყრობის შემდგომ მეფე «შევიდა სამცხეს და დაიპყრნა ყოველნი ციხენი და ექსორია-ჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი». დატუსაღებულმა ათაბაგმა ახლა-კი შენდობა-პატიების თხოვნა და ერთგულების შეფიცვა იკადრა. ალექსანდრე მეფემ აპატია, «განაგნა და დაამშვიდნა მუნებურნი სიბრძნე-მეცნიერებითა თვისითა და მოვიდა ტფილისს»[1]. ამ ამბავს მოკლედ, მაგრამ არსებითად ადასტურებს ორი კინკლოსის ცნობა, რომლებშიაც ნათქვამია: 1414 წ. «ქ˝კს: რბ: (102) მეფე ალექსანდრე და ივანე ათაბაგი კოხტას შეიბნეს»-ო[2]. ამ ცნობაში, მაშასადამე, ურჩი და აჯანყებული ათაბაგის სახელიც არის აღნიშნული, რითაც ვახუშტის მოთხრობას სწორედ ის გარკვეულობა ენიჭება, რომელიც მას უსახელობის გამო ასე ცხადად აკლდა. კოხტა, სადაც მეფე-ათაბაგს შორის ბრძოლა მომხდარა, ციხე იყო, რომლის ნანგრევები ეხლაც არსებობს. კოხტას ციხე ასპინძის ცოტა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. კინკლოსის ცნობა 1414 წ., ე. ი. ერთი წლით უფრო ადრე სდებს კოხტას თავს მომხდარი ბრძოლის თარიღს, ვიდრე ვახუშტი, და ასეთი განსხვავება მეცნიერ ისტორიკოსის შრომაში შესაძლებელია მისი წყაროთგანვე მომდინარეობდეს. რაკი სამეგრელო-აფხაზეთის ამბები, როგორც დავრწმუნდით, 1414 წ. მომხდარა, ხოლო ვახუშტისავე ცნობით ათაბაგთან ბრძოლა იმ ამბებს მისდევდა და ახლოხანში უნდა მომხდარიყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ კინკლოსის ცნობა უფრო სწორი უნდა იყოს, ან არადა თუ კოხტას თავს ბრძოლა მართლაც 1415 წ. მოხდა, მაშინ ამ წლის დამდეგს უნდა მომხდარიყო.

კინკლოსებს შენახული აქვთ ერთი საყურადღებო ცნობა, რომლის მსგავსი სხვა ქართულ წყაროებში არ გვხვდება. 1416 წ. «ქ˝კს: რდ (104): თურქთა ახალციხე ამოაგდეს»-ო[3]. ეს ამბავი მეორე ხელთნაწერში ერთი წლით მერმინდელი თარიღით «ქ˝კს: რე:»[4] ანუ 1417 არის აღნიშნული. ეს მოკლე ცნობა სწორედ პირველი რედაქციით უნდა იყოს სამართლიანი. დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ სომეხთა ისტორიკოსის თ ო მ ა მ ე წ ო ბ ე ლ ი ს თხზულებაშია შენახული. მართლაც 1416 წ-ს თომა მეწობელის სიტყვით საქართველოს თურმე მტერი შემოესია. ამ შემოსევის მიზეზად ერთი გაქრისტიანებული სპარსელის უვუნური და აღმაშფოთებელი საქციელი ყოფილა. ის ქალაქ ახალციხეში მისულა და ერთხელ, ღორის ხორცი რომ უჭამია, ქართველ და სომეხ ყმაწვილებთან ერთად ღორის ძვლები მაჰმადიანთა მიზგითში შეუყრია. ასეთი უგვანო საქციელით ადგილობრივ მაჰმადიანთა სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელიც ღორის ხორცს უწმინდურად სთვლის, რასაკვირველია, შელახული უნდა ყოფილიყო. თუმცა მესხეთის მთავარი ივანე აღბუღას ძე (*„որդի Աղբուղին Իվանէ“* ძე არღბუღასი ივანე) მაჰმადიანთ დიდს მფარველობას უწევდა და

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. 298.

[2] ქ˝კბი II, 221.

[3] ჩხეიძის ქ˝კა.: ქ˝კბი II, 223.

[4] ი ქ ვ ე.

თომა მეწობელის სიტყვით ვითომც ქრისტიან ქვეშევრდომებზე უფრო მაღლა აყენებდა, მაგრამ მაინც მათი გულისწყრომა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ვალაშკერტში (*Վաղարշակերտ Բագրեւանդ գաւառին*) მისულან და ყარა-ჲუსუფისათვის შეუჩივლიათ საქართველოში ასეთი საქმე შეგვამთხვიესო.

ყარა-ჲუსუფმა თვითონაც მართლა აღშფოთებულმა, თუ მხოლოდ მარჯვე შემთხვევით გახარებულმა, საქართველოსაკენ გამოილაშქრა და ახალციხეს მიადგა. ადგილობრივ მაჰმადიანთა შინათგამცემლობის წყალობით, ქალაქი აღებულ იქმნა. ხმალი შეუბრალებლივ ტრიალებდა შურისძიებით განძვინებული მტრის ხელში, რომელმაც მთელი ეს კუთხე აიღო და ტყვედ წაიყვანაო [1]. მაგრამ ეს შემოსევა უფრო უბრალო შურისძიებასა და თავდასხმას მიაგავს, ვიდრე ომს. მაინცდამაინც ყარა-ჲუსუფი, როგორც ეტყობა, ამით დაკმაყოფილებულა და მის მოქმედებას არავითარი ფართო პოლიტიკური ზრახვა არა ემჩნევა.

ალექსანდრე მეფე სრულიად საქართველოს მბრძანებელი იყო: მას „ორივე სამეფო“ ემორჩილებოდა და ეს გარემოება ხაზგასმით აქვს აღნიშნული თავის სიგელებშიაც. «მე... ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუჴრეთლად და შეურყევლად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფემან ალექსანდრე»-მარ [2], «ჩუენ... ორთავე სამეფოთა ტახტისა მპყრობელმან... მეფეთა მეფემან ალექსანდრე»-ო [3].

ალექსანდრე მეფე ტყუილად არ სთვლიდა თავის თავს ორისავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელად. აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო გაერთიანებული იყო და გზებიც გახსნილი ყოფილა. ეს ქუცნა ამირეჯიბის სიგლითგანაც ჩანს, სადაც ქართლ-იმერეთის საზღვრებზე მდებარე ქ. ალისათვის ბეგრად აღნიშნულია «ულაყი აქათ თბილისადმი და იქით ქუთაისამდი» [4]. ტფილის-ქუთაისს შუა, მაშასადამე, პირდაპირი მიმოსვლა და გზა ყოფილა მაშინაც.

ჩრდილოეთის კარიც დარიალანიც ალექსანდრე მეფისა და საქართველოს ხელში იყო. 1439 წ. მეფის ბრძანებით ხეოპათა შორის დადებული ხელშეკრულება [5] გვიჩვენებს, რომ ამ კუთხის ამაყი და თავისუფლების მოყვარული მკვიდრი მცხოვრებნიც ალექსანდრე მეფის სიტყვას უცილობელ ბრძანებად სთვლიდნენ.

## ლორის ციხის აღება და საქართველოსთან შემოერთება

1431 წ. მრავალი კინკლოსის ცნობით «მეფემან ალექსანდრე ლორე აიღო» [6]. ამ ცნობის სიმართლეს მეფე ალექსანდრეს 1433 წ. მცხეთის სიგელიც ადასტურებს. ლორის ციხე თურმე ყოფილა «მიტაცებული აგარეანთაგან» [7]. ამ დიდმნიშვნელოვანი ციხის წინააღმდეგ გალაშქრებაში სიტყვით და ჩაგონებით

---

[1] თ. მეწობელის ისტ. 77—8.
[2] 1413 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 8, შეად. აგრეთვე 1419 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 11.
[3] 1424 წ. სიგ.: ქ˜ძი II, 228.
[4] 1401—15 წ. სიგ.: ქ˜ძი II, 210.
[5] ქ˜ძი II, 245—246.
[6] ქ˜ძი II, 236.
[7] ქ˜ძი II, 242 და ს. კაკაბაძის წვრილი ეტიუდები 13.

მხურვალე მონაწილეობა კათალიკოზ თეოდორეს მიუღია. მას თურმე „ლაშქართა მიმცნებითა“ და დარიგებით მებრძოლთა სულიერი განწყობილება განუმტკიცებია. ბრძოლის წინ კათალიკოზი ამხნევებდა და მამულიშვილურ გრძნობებს უღვივებდა: გახსოვდეთ, რომ «ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუევებიან და ტახტი მეფეთა განურყვნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლი სალოცველი ქუაბ-ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათთათჳს საყოფად განუჩენია»[1]. აი ასეთ მოწინააღმდეგესა და მტერთანა გაქვთ საქმე და ამიტომ «აწ ბრძოლეთ ძლიერად, და დალათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გჳერდს მიითუალვით»-ო. ხოლო თუ ვინმე «დაკოდითა ანუ დაშავებითა და რათაცა ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისმყოფელად შიუთვალავს»-ო[2]. კათალიკოზ თედორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თითონ დაუჭერია[3].

როდის უნდა ყოფილიყო „მიტაცებული აგარეანთაგან“ ეს ლორის ციხე და ქალაქი? ვახუშტის სიტყვით[4] ლორეს ვითომც 1430 წ. მოულოდნელად დასცემიან „სარკინოზნი“, რომელთაც «მოარბიეს სომხითისანი სამცხემდე» და ავნეს დიდად „ქართველთა“. თუმცა ისინი «უკუიქცნენ და წარვიდნენ», მაგრამ ლორის ციხე მაინც ხელში შეინარჩუნესო. აცნობეს თუ არა მეფეს ეს ამბავი, 1431 წ. ქართლში გადმოვიდა, შეკრიბა ჯარი, მოადგა ამბერდს და დაიმორჩილაო. 1432 წ. მეფე ალექსანდრემ ლორის ციხის უკან დასაბრუნებლად გაილაშქრა და მართლაც «აღიღო იგი და მოსრნა სარკინოზნი და დაიპყრო თავისად ლორე»-ო[5]. ვახუშტის ეს სიტყვები თვით ალექსანდრე მეფისავე ცნობას სრულებით ეწინააღმდეგება.

ალექსანდრე მეფეს მოთხრობილი აქვს, რომ, როგორც კი მას ლორე დაუბრუნებია ვისაც-კი «ქართველთა დარბაზის ერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა» იქ მამული «ჰქონებოდა, ანუ ნიშანი (ე. ი. სიგელი) ვისმეღა დარჩომოდა და ანუ ჩამომავლობით პაპათა და მამათაგან არა თუ მაკსოვრობით, მათი მომავალთაგან სმენით სმენოდა», ყველამ, ვინც „იაჯეს“ თავიანთ ქონების დაბრუნება, «განუყავით და უბოძეთ»-ო[6].

ამ სიტყვებითგან ნათლადა ჩანს, რომ ლორე დიდხანს უნდა ჰქონოდა მტერს ხელში: მფლობელობის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საბუთებითა და მამათა და პაპათაგან სმენითა და მეხსიერებით ყოფილა შესაძლებელი. მაშასადამე, ალექსანდრე მეფის დროს ამ ამბავის მომსწრე აღარავინ ყოფილა და

---

[1] ქ˝კბი II, 242 და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს წვრილი ეტიუდები 13.
[2] იქვე: ქ˝კბი II, 242—243.
[3] ქ˝კბი II, 242.
[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. 299.
[5] იქვე.
[6] 1433 წ. სიგ.: ქ˝კბი II, 242 და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს წვრ. ეტიუდ. 13.

სად, ვის და რა მამული ეკუთვნოდა, ამის გადაწყვეტა შესაძლებელი ყოფილა ან სიგლების საშუალებით, ან ისეთ პირთა მოწმობით, რომელთაც მამებისა და პაპებისაგან ჰქონდათ გაგონილი. ცხადია, ეს ამბავი სულ ცოტა ერთი-ორი თაობის წინათ მომხდარა. აქ ბატონიშვილი ვახუშტი სცდება უეჭველია და, ლორე რომ მხოლოდ 1430 წ. დაეპყრათ „სარკინოზებს", ალექსანდრე მეფეს ამ ციხე-ქალაქის უკან დაბრუნებისას მფლობელობის უფლების აღდგენა ისე არ გაუძნელდებოდა. თავის ადგილას ეს გამორკვეულია, რომ ალექსანდრე მეფის სიგლის ცნობა მართლაც სამართლიანია.

რაკი ალექსანდრე მეფეს 1433 წ. ლორეში მამულები და მიწები უკვე განაწილებულ-დარიგებული ჰქონია, უეჭველია თვით ლორე უფრო ადრე უნდა იყოს აღებული და ამიტომ კინკლოსებში მოყვანილი თარიღი 1431 წ. უეჭველია უფრო სწორი უნდა იყოს ვიდრე ვახუშტისა. ლორის ალებამ საქართველოს სამხრეთის საზღვარიც გაამაგრა და უზრუნველჰყო.

## სივნიეთისა და მახლობელი ადგილების შემოერთება

ლორის ალების შემდეგ ბეშქენ ორბელიანს, სუმბატ ორბელიანის შვილს და ბურთელის შვილიშვილს, მთელი სივნიეთის მხარე და ყველა მის მახლობლად მდებარე სანახებნი, 60.000-ზე მეტი ქრისტიანე სახლობითურთ დაუპყრია და საქართველოსათვის შემოუერთებია. სომეხთა ისტორიკოსის თომა მეწობელის სიტყვით ეს გამარჯვება ამ კუთხის და საქართველოს შაჰრუხისაგან სრულს განთავისუფლებას მოასწავებდა[1], რათგან შაჰრუხი სომხეთის დაპატრონების შემდეგ უეჭველია საქართველოსაც მოადგებოდა. ეს ამბავი ალბათ 1434—35 წ. უნდა მომხდარიყო, როდესაც თვით შაჰრუხს ან ჯეჰან-შაჰის წინაშე ადერბეჟანში ქედი უნდა მოეხარა, ან უნდა განსცლოდა და, როცა ეს ქვეყანა ჯეჰან-შაჰის ხელში გადავიდა[2], ასეთი ღვაწლისათვის მეფე ალექსანდრეს ბეშქენ ორბელიანისათვის ლორის ციხე უწყალობებია. ბეშქენ ორბელიანთან 1435—38 წ. განმავლობაში თურმე მრავალმა სომეხმა ლტოლვილმა მოიყარა თავი, რომელთაც ის პურითაც, ბინითა და სამოსელითაც ძალიან ეხმარებოდა. ამის გამო ამ კუთხეს მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი სომხეთითგან იმდენი სომხობა მოაწყდა, რომ მეფე ალექსანდრეს და მთავრობას ამოდენი სომხობის აქ შეკრება და დამკვიდრება საქართველოსთვის საზიანოდა და სახიფათოდ მიუჩნევიათ და როგორც ეტყობა ამ მოვლენისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათ კიდეც[3]. ამიტომ, როდესაც 1438 წ. ვიღაც სომეხმა ამნადინმა ბეშქენ ორბელიანი პურის ჭამის დროს მოწამლა, სომხობაში ხმა გავარდნილა, ვითომც ბეშქენი ამ სომეხს მეფე ალექსანდრესა და ქართველ დიდებულთა დავალებით მოეწამლოს. მაგრამ ამ ჭორის უსაფუძვლობას ის

---

[1] თ. მეწობელი, ისტ. 117.

[2] A. Müller, Islam etc. II, 320.

[3] თ. მეწობელი, ისტ. 117—118.

გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ ბეშქენის მომწამლველ სომეხს წამებისა და გამოძიების დროს არც ალექსანდრე მეფე და არც სხვა ვინმე საქართველოს მმართველ წრისაგანი არ დაუსახელებია თავისი ბოროტმოქმედების მონაწილედ[1].

ამგვარად, ალექსანდრე მეფემ საქართველოს დაუბრუნა ყველაფერი, რაც მას ეკუთვნოდა, შიგნით ქვეყნის ერთობა და მთლიანობა განამტკიცა. ზოგი მოსაზღვრე ქვეყანანიც, რომელნიც წინათ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა, კვლავ საქართველოსვე შემოუერთა.

## 3. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ

### ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

ალექსანდრე მეფის მოღვაწეობა მარტო ამ სამხედრო და პოლიტიკური ასპარეზს არ ეხებოდა. სწორედ უნდა ითქვას, რომ სახელი და მეფეთა შორის წარჩინებულება მას იმდენად სამხედრო ძლევამოსილებით არ უნდა ჰქონდეს მოხვეჭილი, რამდენადაც საქართველოს შინაური აღმაშენებლობისა, განახლებისა და აღორძინებისათვის ზრუნვითა, ფართო გეგმითა და მიზანშეწონილი საშუალებით წარმოებული დიადი მუშაობით. ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ამგვარი აღმაშენებლობითი მოღვაწეობისადმი მიდრეკილება და ხალისი ალექსანდრე მეფეს თავის ბებიის რუსასგან ჰქონდა შეთვისებული. პირადი მაგალითით მას თავის შვილიშვილისა და თანამედროვეებისათვის უჩვენებია, როგორის მხნეობით უნდა ეცადოს ხოლმე ადამიანი მტრისაგან განადგურებული ქვეყნის აღდგენას. პირადი მაგალითითვე მან ყველას დაანახვა, რამდენის გაკეთება შეუძლია ერთს ადამიანსაც, გინდა კერძოთაოსნობით.

რუსას დიდებული საქმე, მცხეთის სვეტიცხოვლის განახლება, დაუმთავრებელი დარჩა. მისი შვილიშვილისათვის მისი დამთავრება სასიამოვნო ზნეობრივ მოვალეობად უნდა ყოფილიყო. და თავისი აღმაშენებლობითი მოღვაწეობა ალექსანდრე მეფემაც პირველად სწორედ თავისი ბებიის ნაანდერძევი მუშაობის დამთავრებით დაიწყო.

სვეტიცხოვლის ტაძარი თემურ-ლენგის შემოსევის დროს იმდენად დაზიანებულა, რომ მისი აღდგენა და განახლება ადვილი საქმე არ იქნებოდა. ამის დამთავრება ვერც რუსამ მოასწრო და ალექსანდრე მეფემაც დიდი დრო, მხნეობა და ფული შეალია, სანამ ამ დიდებული ძეგლის განახლების დამთავრებას ეღირსებოდა.

იმისდა მიუხედავად, რომ ალექსანდრე მეფემ გამეფებისათანავე ანუ უკვე 1412 წ-ითგან მოყოლებული თავისი ბებიის ნაანდერძევ საქმეს მიჰყო ხელი, მაინც 1419 წელსაც მცხეთის საკათა-

[1] თ. მეწობელი, ისტ. 118—119.

ლიკოზო საყდრის განახლება და შეკეთება ჯერ კიდევ დამთავრებული არ ყოფილა და თვით ალექსანდრე მეფე სთხოვს ღმერთს «სრულ... ყავ საწადელი ესე ჩემი»-ო[1]. ეს განახლებითი მუშაობა კარგა ხანს გაგრძელებულა. ალექსანდრე მეფეს კათალიკოზის დახმარებით სვეტიცხოვლის საყდრის «ახლად განვრცომა და აღშენება», როგორც ეტყობა, 1431 წ. დაუმთავრებია. ამ წლის სიგლებში მეფე ამბობს, რომ უკვე «განსრულდა... ყოვლადვე უნაკლულოდ თავი ცათა-მობაძავი საყდარი და შიგან ღთივ აღმართებული სუეტ-ცხოველი... და ჩუენი საფლავი და ვითარ ჯერ იყო ეგევითარითა თავი-საყდარი პატივითა და წესითა შევამკევ»-ო[2]. მაშასადამე, მარტო ალექსანდრეს თავის მეფობაში მცხეთის საკათალიკოზო ტაძრის განახლებისათვის ცხრამეტი წლის მუშაობა მოუნდომებია. ხოლო რაკი მისი განახლება ჯერ კიდევ ალექსანდრე მეფის ბებიას რუსას დაუწყია, ცხადია, ამ საყდრის შეკეთებას და განახლებას დიდი დრო დასჭირებია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევის დროს დიდებული ტაძარი ძალიან უნდა დაზიანებულიყო.

## საქართველოს დანგრეული ციხე-საყდრების აღდგენა

ალექსანდრე მეფეს რომ თავისი აღმაშენებლობითი მოღვაწეობა მარტო მცხეთის დიდებული საყდრის განახლებით გაეთავებინა და მეტი არა გაეკეთებინა რა, ქართული ხელოვნებისათვის ესეც თვალსაჩინო წვლილი იქნებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც მხოლოდ ერთი, განმარტოებული, ფართო მნიშვნელობას მოკლებული მოვლენა იქნებოდა, და თაოსნობაც და, მაშასადამე, თვით ღვაწლიც უმთავრესად ალექსანდრე მეფის ბებიას რუსას მიუძღოდა. ალექსანდრე-კი ამით არ დაკმაყოფილებულა. იმ კერძო და ნაწილობრივი აღმაშენებლობის მაგიერ, რომელსაც იგი თავისი ბებიის დაწყებული საქმის დამთავრების დროს აწარმოებდა, ალექსანდრე მეფე მთელ საქართველოს განადგურებული ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების აღდგენას შეუდგა. თემურ-ლენგის შემოსევამ ისე გააოხრა ქვეყანა, იმდენად დიდი იყო საქართველოსათვის მოყენებული ზიანი, რომ კერძო, ნაწილობრივი და თანდათანობითი შეკეთებითა და განახლებით ჩვენი სამშობლოს გამოსწორება შეუძლებელი იყო. მხოლოდ მთელი სახელმწიფოს და ერის შეერთებული, თანხმობრივი, მიზანშეწონილი და ხანგრძლივი მოქმედებითა და დიდი ქონებრივი სახსრის გამოღებით შეიძლებოდა მონღოლთა ბარბაროსული შემოსევისაგან განადგურებული ქვეყნის აღდგენა. სწორედ ასეთი გეგმისა და საშუალებისათვის მიუმართნია ალექსანდრე მეფესაც. ჯერ კიდევ მცხეთის დიდებული ტაძრის აღდგენა დამთავრებული არ ყოფილა, რომ სახელოვანს მეფეს მთელ სახელმწიფოში ფართო გეგმითა და არაჩვეულებრივი შეერთებული ქონებრივი ძალღონით აღმაშენებლობითი მუშაობის დაწყება განუზრახავს. ალექსანდრე მეფეს ამის შესახებ ნათქვამი აქვს: ვითარ ჩუენ-

---

[1] ისტ. საბ. III, 12.

[2] ქ'კბი II, 237 და 238.

განსათანადო იყო, ეგრეთ ვინებე ...ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას ჟამსა შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით რა იყო და ამად საქართველოს კუამლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ასოცდარვად ქ~კნადმდე (ე. ი. 1440 წ.) რაოდენნი საქართველოსა ციხენი საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე ს~დ ახლად აღვაშენენ და შევამკუენ და აწ ჩუენსავე ჟამსა შიგან ამოგჳკვეთიაო»[1].

თუმცა ეს ცნობა სრულებით მკაფიოა, მაგრამ მაინც მეტად მოკლეა, რომ ამ დიადი საქმის მთელი მისი სიღრმე-სივრცით წარმოდგენა შეიძლებოდეს. ბატონიშვილს ვახუშტს ეს ამბავი სხვანაირადაც აქვს მოთხრობილი და გაცილებით უფრო მეტი ცნობებიც მოეპოვება. ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილს სიგელში აღნიშნული არ არის, თუ როდის დაიწყო მეფემ თავისი აღმაშენებლობითი და განმაახლებლობითი მოღვაწეობა და თითქოს ისეა ნაგულისხმევი, ვითომც ალექსანდრე მეფე გამეფებისათანავე შესდგომოდეს ამ საქმეს. ვახუშტს-კი ნათქვამი აქვს, რომ მხოლოდ მას შემდგომ, რაც მან თავისი ურჩი მთავრები დაიმორჩილა და როდესაც «დაემშვიდნეს ყველანი თვისნი ქვეყანანი», მაშინ შეუდგა თავის საკულტურო მოღვაწეობასაო[2].

დიდებულ ქართველ ისტორიკოსს ისეთი ცნობაც-კი მოეპოვება, რომლის საშუალებითაც ალექსანდრე მეფის ამ დიადი და ფართო ასპარეზით ნაწარმოები განმაახლებლობითი მოღვაწეობის დასაწყისის თარიღის გამორკვევაც შეიძლება. ვახუშტი ამტკიცებს, რომ ალექსანდრე მეფემ «ათხუთმეტსა წელსა შეასრულა განზრახვანი თვისნი»-ო[3]. ბატონიშვილს ვახუშტს ეს ცნობა ალბათ რომელიმე საბუთითგან ექნება ამოღებული; ხოლო რაკი თვით დიდებული მეფის სიგლითგან ვიცით, რომ მას თავისი გეგმის განხორციელება სწორედ 1440 წ. მოუხერხებია, ისე გამოდის, რომ საქართველოს ერთობლივი განახლების მუშაობის დასაწყისის თარიღად 1425 წ. უნდა მივიღოთ.

ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილ სიგელში ცნობა რომ სიმართლეს შეიცავს და მარტო ლამაზ სიტყვად და ჩვეულებრივ გადაჭარბებად ვერ ჩაითვლება, ამას რუისის საყდრის დასავლეთის კარიბჭის ასომთავრული წარწერაც ამტკიცებს, სადაც ნათქვამია: «ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყავნ»-ო[4]. საქართველოში რომ ისტორიული ნაშთები კარგად ყოფილიყო შენახული და გადარჩენილი, უეჭველია ბევრი ციხისა და ეკლესიის ან მონასტრის კედლებზე იქნებოდა ზემომოყვანილის მსგავსი წარწერები.

---

[1] 1440 წ. სიგ.: ქ~კბი II, 248.

[2] ვახუშტი, საქ. ისტ. 298.

[3] საქ. ისტ. 299.

[4] Brosset, Voyage, Six. rap. 6 და ე. თაყაიშვილის არქ. მოგზაურობანი I, 106.

სწორედ სამწუხაროა, რომ ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის ასეთი ყოველნაირად საყურადღებო და საგულისხმო ხანის შესახებ ასე ცოტა და მოკლე ცნობებია შერჩენილი. ამის გამო ბევრი რამე სრულებით გამოურკვეველი რჩება და არა ვიცით რა, ეს ფართო და დიდი საალმაშენებლო გეგმა, ან წინასწარ როგორ იყო შემუშავებული და განხილულ-დაკანონებული, ან ვინ და როგორი წყობილებით უძღვებოდა ამ რთულ ტექნიკურსა და ქონებრივს საქმეს მისი ხანგრძლივი განხორციელების დროს, ან რა დაუჯდა ქართველს ერს ეს სახელმწიფოებრივი ძალღონით წარმოებული მტრისაგან გაოხრებული ქვეყნის აღდგენა-აღმაშენებლობა.

ერთი რამე მაინც სრულებით ცხადია: ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის ფართო აღმაშენებლობითი ხასიათის მთელი მნიშვნელობა და მომხიბლველი სიდიადე მშვენიერად ჰქონიათ შეგნებული მის თანამედროვეებსაცა და შთამომავლობასაც. სწორედ ამან მოუხვეჭა ალექსანდრეს „მეფეთა შორის წარჩინებულის“ წოდებულება, ამანვე შესძლვნა მას თანამედროვეთა, შთამომავლობისა და საქართველოს ისტორიისაგან „დიდის ალექსანდრეს“ სახელი.

ქართველი ხალხი აღტაცებული იყო იმითაც, რომ მან ასეთი დიადი საქმე, განადგურებული ქვეყნის აღდგენა განიზრახა და მოახერხა კიდეც, და იმითაც, რომ ყოველივე თავისი დაპირება ალექსანდრე მეფემ პირნათლად აასრულა და ეს წმინდა საშვილიშვილო საქმე ღირსეულად დააგვირგვინა. ხალხი წინათაც და ეხლაც გამოცდილებით მიჩვეული იყო და არის, რომ თითქმის ყოველთვის დროებით და ვითარცა არაჩვეულებრივად შემოღებული გადასახადი თანდათან მუდმივ და ჩვეულებრივ გადასახადად იქცეოდა ხოლმე. მით უმეტეს მადლიერი უნდა ყოფილიყო ქართველი ერი, როდესაც ალექსანდრე მეფემ თავისი მშვენიერი და საშვილიშვილო აღმაშენებლობის დამთავრების შემდგომ საქვეყნოდ გამოაცხადა: ყველაფერი რაც მტრისაგან განადგურებული იყო «ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკუენ და აწ», რაკი მიზანი უკვე მიღწეულია, საგანგებო გადასახადი საჭირო აღარ არის და «ჩუენსავე ჟამსა შიგან ამოგჳკვეთია»-ო[1].

საქართველოში სამხედრო და პოლიტიკური სიმტკიცისა და მყუდროების დამყარების შემდეგ ალექსანდრე მეფე და მმართველი წრეები განადგურებული და გაუკაცრიელებული ქვეყნების დასახლებასა და აღდგენაზე ზრუნავდნენ. ციხე-სიმაგრეებისა და შენობების შეკეთება-განახლებასთან ერთად საახალშენო მუშაობაც სწარმოებდა და ტყვედ წაყვანილთა გამოსყიდვითა, თუ ლტოლვილთა უკან დაბრუნებით ძალზე შეთხელებული მოსახლეობის გასამრავლებლად იღვწოდნენ. ერთი და ორი არ იყო საქართველოში ისეთნაირად აოხრებული სოფელი, სადაც უკვე კარგახანია „კაცი არ ესახლა“. საქართველოს დიდებული მოამაგე მეფე მოგვითხრობს, რომ ამგვარ ადგილებში «თათართა ქუეყნიდაღმან კაცები მოვასხი», დავასახლე და ყოველ ნაირად დავეხმარე, «კარი, ფური და პური ჩუენ მივეცით», რომ თავიანთი მეურნეობა მოეწყოთო[2].

---

[1] ქ^კბი II, 248.

[2] 1441 წ. მცხეთის სიგ.: ისტ. საბ. III, 21 და ქ^კბი II, 249—250.

ალექსანდრე მეფის აღმაშენებლობითი მოღვაწეობა მარტო სამშობლო ქვეყნის მიწაწყალს არ შეჰხებია, არამედ მისი მადლიანი ხელი და კეთილდღეობისათვის მზრუნველი გული უცხოეთში გაფანტულ ქართულ დაწესებულებებსაც მისწვდომია: მისი თაოსნობითა და მხნეობით გამობრუნებული და მოღონიერებული საქართველო მარტო შინაურობაში და თავის მიწაწყალზე-კი არ იჩენდა თავის აღმაშენებლობითსა და განახლებითს ძალას, არამედ უცხოეთშიაც, საბერძნეთში და პალესტინაში მყოფ ქართველთა მონასტრებსა და დაწესებულებებსაც კვლავ მზრუნველი და გულშემატკივარი მფარველი გაუჩნდა. ტიმოთე ქართლისა მთავარეპისკოპოსს ათონის ქართველთა მონასტერში ყოფნის დროს თავისი თვალით უნახავს და ამოუკითხავს ცნობა, რომ იქ «სასნეული და ამის კერძონი გოდოლნი და სენაკნი განუახლებია მეფესა ალექსანდრე ქართუელსა, რუისის საყდრის კარზედ რომ მეფე ალექსანდრე სწერია»-ო[1].

## 4. ალექსანდრე მეფის უკანასკნელი წლები

### ავადმყოფობა

1439 წ. ალექსანდრე მეფე თომა მეწობელის სიტყვით მძიმე ავადმყოფი შექმნილა. მას რაღაც ავადმყოფობა შეჰყრია, მძაფრი ტკივილებისა გამო საშინლად იტანჯებოდა თურმე. ხანგრძლივ მეფე ისეთს მდგომარეობაში ყოფილა, რომ ყოველდღე მისი სიკვდილის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ მძიმედ შეწუხებული მრავალჯერ გამობრუნებულა და მახლობლებს მორჩენის იმედი მოსცემიათ. მრავლად მოწვეული ექიმები და მკურნალნი ვერას შველოდნენ, ავადმყოფობა უძნელდებოდა და ხსნა თითქმის არსაითგან იყო მოსალოდნელი[2]. ბოლოს, როგორც ეტყობა, სხეულს სენისათვის მაინც დაუძლევია და მეფე ალექსანდრე განკურნებულა.

### ცნობა ჯეჰან-შაჰის შემოსევის შესახებ

ერთი წლის შემდეგ, 1440 წ. იმავე სომეხთა ისტორიკოსის ცნობით საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავზე: თავრიზის მეფე და მფლობელი ჯეჰან-შაჰი თავის ლაშქრითურთ და არდაველის მთავრისა, ყადიებისა და მუდარისების თანხლებით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულა. სანამ გამოილაშქრებდა ჯეჰან-შაჰმა ალექსანდრე მეფეს მრავალჯერ მოუგზავნა დესპანები, ნებაყოფლობით დამორჩილება და ჩვეულებრივი ხარკის დადება მოსთხოვა. მაგრამ ალექსანდრე მეფემ, რომელიც თავის საბუთებშიაც-კი თავმომწონედ სწერდა ხოლმე, რომ «აგარის ნათესავნი, მტერნი და წინააღმდეგნი ქრისტიანეთანი, სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ» იყვნენ, ეს წინადადება გადაჭრით უარჰყო და მკვახე პასუხიც შეუთვალა. ამით გაბრაზებული ჯეჰან-შაჰი მთელი თავისი ჯარით უეცრად აღდგომა დღეს საქართველოს შე-

[1] მოხილვა წმიდათა ადგილთა, პ. იოსელიანის გამ. 43.

[2] თ. მეწობელის ისტ. 119.

მოესია და რაკი ასეთს დროს თავდასხმას არვინ ელოდა, ტყვე ბევრი ჩაუვარდა ხელში და ხალხიც ბლომად დაიხოცა. შემდეგ თვით ქ. სამშვილდესაც-კი მიადგა და გარშემოერტყა. სულიწმიდის მოფენამდე მტერმა მოტყუებით და მუქარით სამშვილდის აღება მოახერხა. ჯეჰან-შაჰმა ალბათ თავისი გამარჯვების სახსოვარ ძეგლად სამშვილდის კარებწინ 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმეინა. მარტო ტყვეთა რიცხვი ამ ქალაქის დაპყრობის დროს 9400 უდრიდაო. მთელი სანაპირო ქვეყანა ამის შემდგომ მტრისაგან აოხრებული და აკლებული იყო. ხალხის ქონება და სარჩო-საბადებელი დატაცებულ იქმნა შემოსეულ ლაშქრისაგან ისე, რომ როდესაც ტყვეებს გაყიდვა დაუწყეს და 1000 თანგის ფასად ტყვეობითგან ათავისუფლებდნენ, თ. მეწობელის სიტყვით, ხალხი ისე იყო გაღარიბებული, რომ არც სოფლელებსა და არც ქალაქელებს თავიანთი ტყვედ წაყვანილი ნათესავ-მახლობლების გამოსყიდვა არ შეეძლოთ[1].

რაკი სამშვილდე აღებული იყო, მტერს საქართველოს დედა-ქალაქამდე დაბრკოლებას ვერარაფერი გაუწევდა. ჯეჰან-შაჰიც ტფილისის ასაღებად წამოსულა და როგორც თ. მეწობელის სიტყვებითგანა ჩანს, ქალაქი აუღია კიდეც. სომეხთა ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, ვითომ მტერს ყველა ეკლესიები, ძველიც და ახალიც, სულ მთლიანად დაენგრიოს. დაპყრობილს ადგილებში მტერმა ისეთი საშინელი სიმკაცრე და სიმხეცე გამოიჩინა, რომ თავზარდაცემულს ხალხს არ სცოდნია, სად შეეფარებინა თავი[2]. არდაველის შეიხის რჩევით ჯეჰან-შაჰს ქრისტიანებზე დიდი ხარკი და ხარაჯა დაუდვია, რომ აუტანელი მეხარკეობით შეწუხებულ ქრისტიანობაზე უარი ეთქვათ და გამაჰმადიანებულიყვნენ[3]. სომეხთა ისტორიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი, რით დამთავრდა ეს ლაშქრობა და რაგვარი პოლიტიკური დამოკიდებულება დამყარდა ალექსანდრე მეფესა და ჯეჰან-შაჰს შორის. მისი მოთხრობა ზემომოყვანილს გარდა არავითარს ცნობებს არ შეიცავს, დაბოლოვებული არ არის და ბუნდოვან შთაბეჭდილებას სტოვებს. ხოლო ქართულ ძველ წყაროებში ჯეჰან-შაჰის ამ შემოსევის შესახებ ცნობები ჯერჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის. ბატონიშვილს ვახუშტს-კი ჯეჰან-შაჰის შემოსევა 1444 წ. აქვს აღნიშნული და ეს ამბავი სულ სხვანაირადაც აქვს აღწერილი[4]. მაგრამ არა ჩანს, თუ რა წყაროებზეა მისი ცნობა დამყარებული, ამიტომ სიმართლის გამორკვევა ძნელია.

## ალექსანდრე მეფის შემონაზონება და უსაფუძვლო ცნობა საქართველოს მისაგან დაყოფის შესახებ

ალექსანდრე მეფე თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბერად შემდგარა და მონაზონად აღკვეცილა. ეს მისი შვილის, გიორგი მეფის, 1449 წ. სიგლითგანაც ჩანს, სადაც იგი თავისთავს «დიდისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა და სანატრელისა ღ̃თივ-გვირგვინოსანისა და ღთივ-დი-

---

[1] თ. მეწობელის ისტ. 119—122.

[2] იქვე, 122.

[3] იქვე, 124.

[4] ვახუშტი, ისტ. 302.

დებულისა, სულკურთხეულისა **მეფეთა-მეფისა მონაზონისა ალექსანდრესა-ძედ** ასახელებს[1]. რაკი ჩვენამდის 1441 წ. სიგელმა მოაღწია, რომელიც ალექსანდრე მეფის მიერ არის ნაწყალობევი[2], ხოლო რათგან ამასთანავე შენახულია ალექსანდრე მეფის მიერ 1442 წელს ნაწყალობევი სიგელიც[3], ამიტომ ცხადია, რომ ალექსანდრე მეფის შემონაზონება 1441—42 წლების შემდგომ უნდა მომხდარიყო. მეფე ალექსანდრეს ბერად შედგომის შესახებ არც ვახტანგის ისტორიკოსთა კომისიის ნაშრომში, არც ქ˝ცის გაგრძელებაში[4], და არც ბატონიშვილის ვახუშტის ისტორიაში[5] არის რამე ნათქვამი, მხოლოდ ქ˝ცის შევსებულ-გადაკეთებულს გაგრძელებაშია ვრცელი ცნობა შეტანილი. იქ ნათქვამია, რომ ალექსანდრე მეფემ 1442 წ. «ქ˝კსა: რლ: დასვა მეფე[დ] ქართლსა და იმერეთს პირველი შვილი ვახტანგ და შეჰრთო ფანასკერტელის ქალი და დაჲ ფანასკერტელისა თაყასი, დედოფალი სითიხათუნ. ხოლო თვით მეფემან ალექსანდრემ სახე მონაზონებისა შეიმოსა და უწოდეს სახელად ათანასი და აღაშენნა თჳსად სენაკი და სახლნი დიდნი ქვიტკირისანი მცხეთას მისგან აღშენებულს მთავარ ანგელოზის ეკვდერთანა და მუნ დადგა ვიდრემდის ცხოვრებდა... ხოლო ოდეს დასვა პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა და იმერეთს მასთან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი და დასვა კახეთს ქ˝კს: რლგ (1445 წ.): მეფედ უმრწემესი ძმა დიმიტრისი გიორგი და შერთეს ნესტანდარეჯან იმერელი მეფის ქალი»-ო[6].

ამ ცნობითგან ირკვევა, რომ ალექსანდრე მეფე მართლაც 1442 წ. შემონაზონებულა და მონაზნობაში მისთვის ათანასი უწოდებიათ. ეს ქ˝ცის შევს.-გადაკეთებული გაგრძელების ავტორს ალბათ საბუთებითგან ექმნება ამოღებული, მაგრამ ამასთანავე ბერად შედგომის დროს ვითომც ალექსანდრე მეფეს საქართველო შვილებისათვის გაეყოს და სათითაოდ მათთვის ცალ-ცალკე სამეფო მიეცეს, ამ აზრს-კი საფუძვლიანი კრიტიკული განხილვა ეჭირვება. ეს სწორედ ის საკითხია, რომლისთვისაც ვახტანგისეული სწავლული კაცები და ბატონიშვილი ვახუშტიც თავებს იმტვრევდნენ, მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღწიეს[7]. როდის და რა მიზნით მოხდა გაერთიანებული საქართველოს სამ სამეფოდ და რამდენსამე სამთავროდ დაყოფა, სრულის უეჭველობით ზემოაღნიშნულმა ისტორიკოსებმა ეს ვერ გადასწყვიტეს და მხოლოდ ქ˝ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორი გვაძლევს მკაფიო პასუხს: დიდი ალექსანდრე მეფის დროს, თვით მისივე პირადი თაოსნობით 1442 და 1445 წელშიო. მაგრამ რამდენად სამართლიანია ეს მკაფიო ცნობა? ქ˝ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორის სიტყვით ალექსანდრეს ძე გიორგი 1445 წ. დაუსვამთ მეფედ. თვით გიორგი მეფის სიგელების მიხედვით-კი ცხადი ხდება, რომ ის 1447 წ. გამე-

---

[1] ისტ. საბ. III, 30 და ქ˝კბი II, 261.

[2] ისტ. საბ. III, 22—24.

[3] ქ˝კბი II, 251—252.

[4] იხ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გამ. გვ. 35.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, გვ. 300.

[6] დამატ. 889—890.

[7] იხ. ჩემი ისტორიის მიზანი 275 და 296—297.

ფებულა. მაშასადამე, ქ῀ცის გაგრძელების შემდგენელი შემცდარი ყოფილა. იმავე ავტორის სიტყვით ვითომც ალექსანდრე მეფეს 1442 წ-სვე იმერეთის მეფედ თავისი შვილი დიმიტრი დაესვას. ამ ცნობას თითქოს 1445 წ. მცხეთის № 292 ქაღალდებზე მხედრულად ნაწერი სიგელი ადასტურებს, რომელშიაც ნათქვამია: «ჩუენ მეფეთა-მეფის ალექსანდრეს ძემან, მეფემან დიმიტრი ეს ნასყიდობის წიგნი გიბოძე... ქ῀კს: რლგ:... აგვისტოს: კვ»[1]. აქეთგან თითქოს ისე გამოდის, ვითომც 1445 წ. დიმიტრი, ალექსანდრე მეფეთ-მეფის შვილი, მეფედ მჯდარიყოს. მაგრამ ამას გიორგი მეფეთა-მეფის ალექსანდრის ძის 1449 წ. სიგელში შენახული ცნობა ეწინააღმდეგება, რომელშიაც გიორგი მეფეს ნათქვამი აქვს: «ესე სამი ალაპი ჩემთუის და ჩუენისა ძმისა დიმიტრისათუის შეჰკუეთეთ»-ო[2]. გიორგი თავის ძმას დიმიტრის აქ მეფედ არ იხსენიებს, მეფედ-კი რომ ყოფილიყო ეს გარემოება უეჭველად იქნებოდა აღნიშნული. ეს საბუთი თავდაპირველი დედანია, ზემომოყვანილი 1445 წ. სიგელი-კი, როგორც ეტყობა, მხოლოდ მერმინდელი პირი. ამ გარემოებას-კი ცნობათა შედარებითი ღირსება-ეჭვმიუტანლობის დროს, რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს და 1445 წ. საბუთს ფასს უკარგავს.

იქაც, სადაც ბატონიშვილს ვახუშტს დიმიტრი ალექსანდრეს ძის სიკვდილი აქვს აღნიშნული, იგი მეფედ არ იხსენიებს. დიმიტრი 1452 წ. გარდაცვლილა: «ნადირობასა შინა მოკლა ცხენმან დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა წელსა 1452 წ. ქართულსა 140»[3]. სახელოვანი ისტორიკოსის ეს ცნობა ისეთი თვისებისაა, რომ იგი უეჭველია რომელიმე კინკლოსითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. მაშასადამე, ჯერ-ჯერობით იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ დიმიტრი მეფედ არ უნდა ყოფილიყო დასმული და ცნობა ალექსანდრე მეფის მიერ შვილებს შორის საქართველოს გაყოფის შესახებ არ მართლდება, რაც შემდეგში უფრო მეტი სიცხადით გამოირკვევა.

---

1 ქ῀კბი II, 257
2 ისტ. საბ. III, 32 და ქ῀კბი II, 261.
3 ვახუშტი, ისტ. 303.

# ვახტანგ მეფე, ძე მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი

ალექსანდრე მეფე რომ ბერად შედგა და ქვეყნის საჭეთმპყრობელობას თავი დაანება, სამეფო ტახტზე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მისი შვილი ვახტანგი ავიდა. ვახტანგის მეფობას ადასტურებს გიორგი მეფის 1449 წ. ერთი სიგელი, რომლის მხოლოდ პატარა ნაწყვეტი აქვს მოყვანილი ბატონიშვილს ვახუშტს. ამ საბუთში გიორგი მეფე თავის თავს ვახტანგ მეფის ძმად ასახელებს: «ჩვენ მეფემან გიორგიმ, ძმამ მეფისა ვახტანგისამან» ესა და ეს გიწყალობეთ[1]. ამავე გარემოებას ცხადჰყოფს იკორთის წინამძღვრის იოაკიმე თითას-მანელისძის მიერ დაწერილი ზატიკი, რომელიც დამთავრებული ყოფილა «მეფობასა ვახტანგისასა»[2] ქ˝კსა 134, ანუ 1446 წ.

რამდენად შინაარსიანი იყო ვახტანგის მეფობა, ამაზე ეხლა არაფრის თქმა არ შეიძლება იმიტომ, რომ მისი ჯერ არც სიგელია აღმოჩენილი, არც სხვა რაიმე წყაროებშია შენახული საკმაო ცნობები. არეულია აგრეთვე ვახტანგ მეფის გარდაცვალების თარიღიც. ვახუშტის ცნობით ვახტანგი ვითომც „გარდაიცვალა წელსა 1445“ უძეოდ და „დაფლეს ბანასავე ცოლისა თვისისა თანა“[3]. ჩხეიძის კინკლოსს თარიღად 1446 წ. აქვს მიღებული, ხოლო იკორთის ძილისპირის კინკლოსში 1447 წ. არის დასახელებული[4]. იგივე წელიწადია თარიღად მიღებული ქ˝ცის შევს.-გადაკ. პირველსა და მეორე გაგრძელებაშიაც[5]. საბოლოო თარიღად 1446 წ. ვგონებ უფრო სწორი უნდა იყოს, რათგან მისი ძმა გიორგიც სწორედ 1446 წ. გამეფდა, ალბათ თავისი ძმის ვახტანგ მეფის სიკვდილის შემდგომ.

ვახტანგის მეფობაში, 1444 წ. კინკლოსებსა, ქ˝ცის შევს.-გადაკ. ორსავე გაგრძელებაში და ბატონიშვილი ვახუშტის ისტორიაში ჯეჰან-შაჰის ახალციხეში შესევის ამბავია მოთხრობილი. პირველსა და მეორეში ცნობა მეტად მოკლეა და ნათქვამია მხოლოდ, რომ «ამავე (ე. ი. 132) ქ˝კს (1444 წ.) ჯანშა ყაენი ახალციხეს მოუკდა»-ო[6]. ვახუშტის ცნობა გაცილებით უფრო ვრცელი და შინაარსიანია. მეცნიერი ისტორიკოსის სიტყვით ჯეჰან-შაჰი თავისი პოლიტიკური სიძლიერის განსამტკიცებლად და სამფლობელოს საზღვრების გასაფართოებლად «წარმოემართა და უგრძნეულოდ მოვიდა სამცხეს და ბრძოდა ძლიე-

---

[1] იხ. ვახუშტის „ქორონიკონები“, 1449 წ. ქვეშე.

[2] ქ˝კბი II, 258.

[3] ვახუშტი, ისტ. 302.

[4] ქ˝კბი II, 258 და ს. კაკაბაძის ქრონიკა იკორთის № 6 ჟამნ-გულანისა 4.

[5] დამატ. 891 და პარიზ. ქრ. 6.

[6] იხ. ქ˝კბი II, 255—256, დამატ. 891 და პარიზ. ქრ. ზ. ჭიჭინაძე, 6.

რად წელსა 1444». ამის გაგონებაზე ვახტანგ მეფეს ჯარი შეუყრია და მტერს შებრძოლებია. «იქმნა ბრძოლა ძლიერი დილით მწუხრადმე». ორთავე მხრით ბევრი დახოცილა. ამის გამო «სწორი ძლევა იქმნა და ვერცა ერთმა ძლო და სილამით უკუდგნენ ბრძოლისაგან ხვალისად ორივე მემუქარენი. არამედ მასვე ღამესა აიყარა ჯაან-შაჰ ყაენი» და წავიდა სპარსეთში. მეორე დღეს, რომ ეს გარემოება გამოაშკარავდა, დიდებულებმა ვახტანგ მეფეს უკანდადევნების ნება არ მისცეს და ლაშქრობა დამთავრებულად ჩასთვალესო[1].

ჯეჰან-შაჰის საქართველოში შემოსევის ერთი ამბავი, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, სომეხთა ისტორიკოსს თ. მ ე წ ო ბ ე ლ ი ს ა აქვს მოთხრობილი, მაგრამ მისი მოთხრობა შინაარსითაც ძალზე განსხვავდება და ქრონოლოგიურადაც უფრო ადრინდელ დროს, 1440 წელს, ეკუთვნის. ამიტომ თავისთავად იბადება საკითხი, 1444 წლის შემოსევის ამბავი მეორე შემოსევის აღწერილობაა, თუ ორივე მოთხრობა ერთსა და იმავე შემთხვეულებას ეხება. თუ უკანასკნელი გარემოება უფრო დასაჯერებელი უნდა იყოს, მაშინ რომელი ამ ორ მოთხრობათაგანია ჭეშმარიტი? სამწუხაროდ ჯერჯერობით არც ერთი ამ საკითხთაგანის გადაწყვეტა არ შეიძლება.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. 302.

# მეფე გიორგი ალექსანდრეს ძე

## I. ბიოგრაფიული ცნობები გიორგი მეფისა და მისი ოჯახობის შესახებ

### გიორგი მეფის მამიშვილობა

გიორგი მეფე ალექსანდრე I-ის ძე იყო. ამას მისივე 1449 წ. მცხეთისადმი ბოძებული სიგელი ამტკიცებს, სადაც ის თავის თავზე ამბობს: ჩვენ «იესე-დავითიან, სოლომონ-ბაგრატიონიანმან ნებითა ღ͠თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა (sic) სამანთა კედართა თვით-ფლობით კელმწიფედ მპყრობელ მქონებელმან მეფეთა მეფემან გიორგი ძემან დიდისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა და სანატრელისა ღ͠თივ გჳირგჳნოსნისა და ღ͠თივ დიდებულისა სულკურთხეულისა მეფეთა მეფისა მონაზონისა ალექსანდრესმან» შეგწირე ეს მცირე შესაწირავიო[1]. ერთს თავის სიგელში ამ გიორგი მეფეს თავის ჩამომავლობაზე და წინაპრებზე აქვს ცნობები მოთხრობილი. იქ ნათქვამია: «ჟამსა პაპის ძმისა ჩუენისა მეფეთ-მეფისა გიორგისსა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსულიყო» თემურ-ლენგი, რომელმაც სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც აოხრაო. შემდეგ «მშვდობა ყო საქართველოსა ზედა და შემდგომად ამისსა ღირს ყო ღ͠ნ მამა ჩუენი პატივსა მეფობისსა მოღებად»[2]. მერმე «ინება მოწყალებამან ღ͠თისამან და ორისავე ტახტისა კელმწიფედ მპყრობელ ვიქმენით»-ო[3] და როგორც თავის დროს «ესე სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შეეწირნეს» და დაემტკიცებინა, ჩვენც ჩვენის მხრით დავამტკიცეთო[4].

### გამეფების თარიღი

გიორგი მეფე 135 ქრონიკონს დამჯდარა მეფედ. «დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ა: ქ͠კნსა რლე დეკემ-

---

[1] ისტ. საბ. III, 30, ქ͠კბი II, 260—261.

[2] ს. კაკაბაძის გამ. მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447 — 1448 წ. გიორგი IX მიერ ბოძებული გვ. 3 და ქ͠კბი II, 259.

[3] იქვე, 4.

[4] იქვე, 6.

პერსა კე»-ო [1], ნათქვამია მისი მეფობის პირველი წლის საბუთში. დანარჩენ სიგლებში შემდეგი ცნობა მოიპოვება: «დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ქ˝კნსა რლვ (136), ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მესამესა» [2].

«დაიწერა ბ˝ბა და სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა: გ (3) ...ქკ˝ნსა რლზ (137) დეკემბერსა კე (25)» [3].

«დაიწერა ბ˝ბა და სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა: ე: (5) ქ˝კნსა: რლთ: (139) ივლისსა: ა: (1)» [4].

დაიწერა «ბრძანება ესე ქ˝კს:—რმა:—(141) აგუისტოსა:—ვ:—(6) ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეექუსესა»-ო [5].

«დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ჱ (8), ქკ˝ნსა: რმა: (141) ნოემბერს იბ (12)» [6]. ამ სიგელის მხოლოდ პირია შენახული [7].

«დაიწერა წყალობისა სიგელი ჩვენი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მერვესა, ქ˝კს რმა (141)» [8]. მაგრამ აქ ცხადი შეცდომაა, ეს სიგელი კონსტანტინე მეფისა უნდა იყოს [9].

«დაიწერა სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა იგ (13) ქკნ˝სა: რმჱ (148) იანვარსა ლ: (30)» [10].

გ. ჟურულის სასისხლო სიგელში ნათქვამია: «დაიწერა ბრძანება ესე ჩუენი და სიგელი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათოთხმეტესა ქკნ˝სა რმჱ (148) ივნისსა ათორმეტსა» [11].

«დაიწერა პიტაკი ესე ქრ˝კნსა:— რნა:—(151) თუესა სეკდენბერსა:—ბ:—(2) ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეაჩუიდმეტესა» ო [12].

გიორგი მეფის ტახტზე ასვლის თარიღის შესახებ მკვლევარნი შემდეგ აზრს ადგანან. თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში [13] ნათქვამი აქვს: მცხეთის სიგელი (№ 124) 1460 წ. „ურდოველაშვილისადმი მიცემულია 30 იანვარს, მე-13 წელს გიორგის მეფობისას. რადგან ქვემოდაბეჭდილს ჟურულის გუჯარში 12 ივნისს იმავე წლისას მიცემულში, აღნიშნულია მე-14 წელი გიორგის მეფობისა, ამის გამო საგულისხმებელია (თუ კი სიგელის დამწერი თვითონ შემცდარი არ არის), რომ გიორგი გამეფებულა 1447 წელს 30 იანვრის და 12 ივნისს შუა“-ო. ს. კაკაბაძესაც ერთს თავის პატარა 1912 წ. დაბეჭდილს წიგნში

---

[1] ს. კაკაბაძე, მცხეთის საკათ. მამულების გუჯ. 1447—1448 წ., გვ. 8, ქ˝კბი II, 260.

[2] ისტ. საბ. III, 29 და ქ˝კბი II, 260.

[3] ისტ. საბ. III, 32 და ქ˝კბი II, 261.

[4] ქ˝კბი II, 263 და ს˝ქლს სძ˝ვლნი II, 3.

[5] ს˝ქლს სძ˝ვლნი II, 17.

[6] ქ˝კბი II, 267.

[7] იქვე, 266.

[8] ს˝ქლს სძვ˝ლნი II, 38—39.

[9] შეად. სიგელს სქ˝ლს სძ˝ვლ. II, 20—21.

[10] ქ˝კბი II, 277 და ისტ. საბ. III, 35.

[11] ს˝ქლს სძ˝ნი II, 6 და ქ˝კბი II, 279.

[12] ს˝ქლს სძვ˝ლინი II, 19.

[13] II, 277.

„ვახტანგ უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი“, ეხება რა ამავე საკითხს გიორგი მეფის 7 სიგელის ქრონიკონებისა და მეფობის ინდიქტიონების ჩამოთვლის შემდგომ, დაძენილი აქვს: „ამის მიხედვით ადვილად შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ გიორგი IX მეფე გამეფებულა 1447 წ. 31 იანვარსა და 11 ივნისს შორის“-ო [1]. მაშასადამე, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ც თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს აზრს ემხრობა.

გიორგი მეფის ტახტზე ასვლის თარიღის გამოანგარიშების დროსაც ზემოდასახელებულ მკვლევართ ყურადღება არ მიუქცევიათ, ამა თუ იმ სიგელში მეფობის ინდიქტიონი სრულია აღნიშნული, თუ მხოლოდ მიმდინარე. ამ გარემოებას-კი არსებითი მნიშვნელობა აქვს. სამწუხაროდ ყველა საბუთების დედნები არ არის შენახული და გამომცემლებიც ჩვეულებრივ დედნობის ამ საკითხს ჯერჯერობით სათანადო დაკვირვებით არ ეპყრობიან და ხშირად არა ჩანს, დედნის მიხედვით არის გამოცემული სიგელი, თუ ძველი დროის პირის მიხედვით. ზოგიერთ სიგელში ინდიქტიონების ცნობა ცხადს შეცდომას უნდა წარმოადგენდეს და ასეთს შემთხვევებში საბუთის დედან-პირის შესახებს ცნობას, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

თუ სრული და მიმდინარე ინდიქტიონების სათვალავში მიღების აუცილებლობას გავითვალისწინებთ, უნებლიეთ ყურადღებას იქცევს ერთი 135 ქრონიკონს დაწერილი სიგელი, მეორე კიდევ 137 ქრონიკონს. პირველი სიგლითგან ჩანს, რომ 135 ქრონიკონს 25 დეკემბერს გიორგის მეფობის უკვე „ა“, ე. ი. „ერთი“ სრული ინდიქტიონი ყოფილა. ამიტომ საფიქრებელია, რომ გიორგი 134 ქრონიკონს 25 დეკემბრის ახლო ხანებში უნდა გამეფებულიყო. მეორე სიგლითგანაც ირკვევა, რომ 137 ქრონიკონს 25 დეკემბერსავე გიორგის მეფობის უკვე სრული სამი ინდიქტიონი ყოფილა. ამ ცნობითგანაც ჩანს, რომ გ ი ო რ გ ი მ ა რ თ ლ ა ც 134 ქ რ ო ნ ი კ ო ნ ს ა ნ უ 1446 წ. 25 დ ე კ. ა ხ ლ ო ხ ა ნ ე ბ შ ი უ ნ დ ა დ ა მ ჯ დ ა რ ი ყ ო მ ე ფ ე დ. ის გარემოება, რომ ორი სხვადასხვა, მაგრამ ახლო დროის და მეფობის დასაწყისის ხანის, საბუთი ასე გასაოცრად შეთანხმებულს და ზედმიწევნით (25 დეკ.) ცნობას გვაწვდიან სრული ინდიქტიონების რაოდენობის შესახებ, უფრო აძლიერებს ზემომოყვანილ დასკვნას გიორგის მეფის გამეფების თარიღის შესახებ.

## გიორგი მეფის პირველი და მეორე თანამეცხედრე

გიორგი მეფე თავისი მეფობის პირველს სიგელში და 1447 წ. მცხეთის საკათალიკოზო მამულების გუჯარში თავის თანამეცხედრეს და შვილს არ იხსენიებს. აქამდე გამოქვეყნებულ მის საბუთებს შორის 1453 წ. მღვდელ ფილიპე ერემაძისთვის ნაბოძებ შეწყალების სიგელზე უწინარესში, თუ არ ვცდები, არ გვხვდება. ამ საბუთში-კი მეფე გიორგი ამბობს: «თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალთა-დედოფალმან თ ა მ ა რ» და მე ეს და ეს გიწყალობეთო [2]. 1453 წლითგან 1460 წლამდე მოყოლებული ჯერ არც ერთი საბუთი არ

---

[1] გვ. 15.

[2] ს ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ძ ვ ე ლ ე ნ ი II, 16.

მოიპოვება, რომ გიორგი მეფის თანამეცხედრე მოხსენებული იყოს. 1460 წ.-ის სიგელში-კი უკვე თამარის მაგიერ ნესტანდარეჯანი არის დასახელებული. იქ სწერია: «ჩუენ... მეფეთ-მეფისა გიორგისგან და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა-დედოფლისა ნესტანდარეჯანისაგან და ძისა ჩუენისა ალექსანდრესაგან»-ო[1].

რაკი ერთი 1457 წ. სიგელი არსებობს, რომელშიაც გიორგი მეფე თავის გარდა მხოლოდ შვილს ალექსანდრეს იხსენიებს და ამბობს, — ჩვენ «მეფეთა-მეფემან გიორგი და ძემან ჩუენმან ალექსანდრე»-მო, შვილს ასახელებს, თანამეცხედრე-კი მოხსენებული არა ჰყავს, ეს გარემოება შეიძლებოდა იმ მიზეზით აგვეხსნა, ვითომც მაშინ ნესტანდარეჯანი ჯერ დედოფალი არ ყოფილიყოს, თამარი-კი უკვე დედოფალი აღარ იყო, რათგან ის მკვდარი იქნებოდა. ამავე მოსაზრების გამო შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ალექსანდრე ნესტანდარეჯანის-კი არა, არამედ პირველი ცოლის თამარის შვილი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამგვარი დასკვნა მცდარი იქნებოდა. ალექსანდრე თვით თავის დედ-მამად მეფეთა-მეფეს გიორგის და დედოფალთა დედოფალს ნესტანდარეჯანსა სთვლის (იხ. ქვევით). მაშასადამე, ის ნესტანდარეჯანის შვილი ყოფილა და არა თამარისა. ამიტომვე ცხადია, რომ თუმცა ნესტანდარეჯანი გიორგი მეფეთა-მეფის 1457 წ. სიგელში არ იხსენიება, მაგრამ რაკი მისი ძე ალექსანდრე უკვე დასახელებულია, ნესტანდარეჯანი გიორგის 1457 წ. უწინარეს უნდა შეერთო. რათგან 1453 წ. გიორგი მეფის თანამეცხედრედ თამარი ყოფილა, 1457 წ.-კი მისი მეორე ცოლის ნესტანდარეჯანის შვილი ალექსანდრე დაბადებული ჩანს, ამიტომ ნესტანდარეჯანი გიორგის დაახლოვებით 1454—1456 წ. უნდა შეერთო.

## გიორგი მეფის შვილები

მცხეთის ერთს სიგელში (№ 33) გიორგი მეფე თავისი შვილის შესახებ ამბობს: «საყუარელმან ძემან ჩუენმან მეფემან ალექსანდრე»-მო[2]. საფიქრებელია, რომ გიორგის ალექსანდრეს გარდა სხვა შვილიც უნდა ჰყოლოდა. და ერისთავთ-ერისთვის ვამიყ შაბურიძის 1465 წ. საბუთი მართლაც ამტკიცებს, რომ გიორგი მეფეს ასულიც ჰყოლია[3]. ამასთანავე შესაძლებელია არა ერთი, არამედ ორი. ერთი მათგანი ბიზანტიის კეისრის თანამეცხედრედ უნდა გამხდარიყო.

## გიორგი მეფის ასულის დანიშვნა ბიზანტიის კეისარზე

1451 წელს ბიზანტიის უკანასკნელმა კეისარმა კონსტანტინემ თავისი ერთგული კარისკაცი და მეგობარი ფრანძესი ტრაპიზონისა და საქართველოს მეფეებთან გამოგზავნა, რომ მას ერთ-ერთს ამ ქვეყანათაგანში მისთვის შესაფერისი საცოლო მოეძებნა. ფრანძესი დიდის ამალით გამოემგზავრა, კეისრისა-

[1] ისტ. საბ. III, 34 და ქ˘კბი II, 277.
[2] ქ˘კბი II, 283—284 და ისტ. საბ. III, 39.
[3] ისტ. საბ. II, 17.

თვის საცოლოდ ღირსი ასულნი თავისი თვალით ნახა, მათი ხასიათისა და ყველა თვისების ამბავი თავის მბრძანებელს ჩაუტანა და მათი სურათიც მიართვა. ორთაგან კონსტანტინე კეისარს საქართველოს მეფის შვილი უფრო მოეწონა და საცოლოდ აირჩია. საქართველოს მეფემ გიორგიმ კეისრის დესპანს ფრანძესს განუცხადა თურმე: რაკი ჩვენი ქვეყნის ზნეჩვეულებისამებრ საქმროს მოაქვს ქონება საცოლოსათვის და არა საცოლოს, ამიტომ მე ჩემს ასულს მზითევს არ გამოვატანო. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ქორწინების გულით მოწადინებული ვარ, თანახმა ვარ ჩემს ასულს კონსტანტინეპოლში გასტუმრების დროს თან საჩუქრის სახით ერთდროულად 56000 ოქროს ფული გავატანო და ამას გარდა 3000 ოქროს ფულივე ყოველწლიურად სარგოდ ვაძლიო ხოლმე. მას ამასთანავე ნებას მივცემ ყველა თავისი ძვირფასი თვლები და ქვანი პატიოსანნი, ავეჯეულობა და ყველა თავისი ძვირფასი ტანისამოსი თან წაიღოს. თვით ამ საქმის შუამავალს კეისრის დესპანს ფრანძესს ის შეჰპირებია, რომ როდესაც მომავალ გაზაფხულზე მისი ასულის კეისრისათვის საცოლოდ წასაყვანად მოვიდოდა, საჩუქრად საუკეთესო ღირსების აბრეშუმს ოთხს შულოს ანუ ბოკლს, თითოს 500 ფლურად[1] ღირებულს მისცემდა[2].

ვისაც ქართული სამართლის ისტორია შესწავლილი აქვს, ზემომოყვანილი ბერძნული ცნობა გიორგი მეფის მიერ კეისრის დესპანისათვის ნათქვამის შესახებ, რომ საქართველოში საქმრომ უნდა მიუტანოს საცოლოს ქონება და არა საცოლომაო, არ გააკვირვებს. თუმცა მზითევი საქართველოში უკვე VIII — IX ს.ს.-ში არსებობდა და შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ ქორწინების XVIII საუკ. ზნეჩვეულების მიხედვითაც-კი ისე იყო დაწესებული, რომ ჯერ უეჭველად საქმრო მიართმევდა საცოლოს საჩუქარს, ხოლო შემდეგ საცოლოს მზითვის წიგნს წაიკითხავდნენ ხოლმე. წესი იყო, რომ ქორწილის დროს „ადგებოდის ეჯიბი მეფისა ორისა შიშვილისა კლმითა და მდივანმა ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქ მ რ ი ს თ ვ ი ს ი ს ა გ ა ნ შ ი ც ე მ უ ლ თ ა ს ო ფ ე ლ თ ა ნ უ ს ხ ა პირბადისა ასახდელად. შემდგომად მივიდის ეჯიბი, დაუჩოქოს კრმელებითა და აჰხადოს პირბადე სძალსა მას. შემდგომად წარმოდგებოდის საშუალ მდივანი ანუ მწიგნობარი ვინმე და წარიკითხის რასაცა ქალს მას გაატანდიან ზითვადა“-ო[3].

მაშასადამე, ძველი ქართული ზნეჩვეულება თავდაპირველად ვაჟს ავალებდა, რომ საცოლოსათვის საჩუქარი მიეტანა და ძველის ძველი ხანის იმ „ურადის“ ნაშთი უნდა იყოს, რომელიც „ურვადის“-აგან არის წარმომდგარი და იმ დროს უნდა დაწესებულიყო, როდესაც ქალის ცოლად შერთვა მოტაცება-სყიდვით, სწორედ „ურვადის“ მიცემით შეიძლებოდა მხოლოდ. საფიქრებელია, რომ გიორგი მეფეს ქართული ზნეჩვეულების ამ ადათზე ჰქონდა ლაპარაკი და არა

[1] Ecus d'or.
ოქროს ფული იყო 3 და 6 მისხლიანი, მაგრამ რაკი საქართველოში ამ დროს ფლური ტრიალებდა, საფიქრებელია, რომ ფლურზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი.

[2] Phrantz. 1. 3, c. I და შემდეგი; იხ. Lebeau, Histoire du Bas-Empire, nouvelle édition, t. XXI, 219—221.

[3] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვახტანგ, ისტორიები აღწერა, გამ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ა, 1914 წ., გვ. 15.

45/47

ამაზე, თითქოს საქართველოში მაშინ მზითევის მიცემა წესად არა ჰქონოდეთ.

კონსტანტინე კეისარს საქართველოს მეფის გიორგის ასული აურჩევია თავის საცოლოდ და ბიზანტიის კეისრის თანამეცხედრედ, საქორწინო ხელშეკრულებისათვის ხელიც მოუწერია და საქართველოს დესპანისათვის გაუტანებია. მალე ქორწილიც უნდა მომხდარიყო. მაგრამ კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ აღებამ და კონსტანტინე კეისრის სიკვდილმა ეს საქმე ჩაშალა[1].

ზემოხსენებული გიორგი მეფის ასული შესაძლებელია ის ქალი იყოს, რომელიც საქართველოს მეფეს 1465 წ. თავის ყმისათვის ერისთავთა ერისთავის ვამიყ შაბურისძისათვის მისი შვილის საცოლოდ მიუცია. ვამიყ შაბურისძე ამბობს: «ჩუენდა ულირსად დიდად და საპატიოდ შეგუიწყალეს პატრონმან მეფეთა-მეფემან გიორგი და მათი ასული ჩუენისა შვილისათვის გუიბოძეს და მოგუცეს»-ო[2]. თუ ეს ქალი გიორგი მეფის ერთადერთი შვილი იყო და მართლაც სწორედ ის ასული იყო, რომელიც ბიზანტიის კეისრის თანამეცხედრედ უნდა გამხდარიყო, რასაკვირველია, შაბურისძეზე გათხოვება დიდად ულირსად უნდა ჩათვლილიყო. ერთი გარემოებაა აქ მხოლოდ დამაფიქრებელი: გიორგი მეფის ასული კეისარზე 1452 წ. უნდა გათხოვებულიყო. მაშასადამე, ის მაშინ სულ ცოტა ალბათ 13—15 წლისა იქნებოდა. თუ ის 1465 წ. გათხოვდა, 13 წლის განმავლობაში ის პირველი ჩაშლილი დანიშვნის შემდეგ გაუთხოვარი დარჩენილა და მაშინ ისე გამოდის, რომ შაბურისძეზე გათხოვების დროს 26—28 წლისა უნდა ყოფილიყო. იმ დროში ასე გვიან გათხოვება და ასე ხანგრძლივი გაუთხოველობა იშვიათი მოვლენა იყო და ამიტომ ეჭვი გვებადება, გიორგი მეფეს მეორე ქალი ხომ არა ჰყავდა და აქ მეორე ასულზე ხომ არ არის ლაპარაკი?

## 2. ბრძოლა საქართველოს დანაწილებისა და მთლიანობის გამო მეფე-მთავართა შორის

### ყუარყუარე და აღბუღა ათაბაგი

გიორგი მეფის მეფობის პირველსავე წელს მესხეთში ჯაყელთა მმართველ საგვარეულოში ბრძოლა მომხდარა. კინკლოსები ამ ამბავს მეტად მოკლედ მოგვითხრობენ: «ქ˜კსა რლე (135 = 1447 წ.) აღბუღა და ყუარყუარე შეიბნეს»[3]. მხოლოდ ჩხეიძის ქ˜კა ამ ბრძოლის თარიღად 1446 წ. ასახელებს. ამ ცნობითგან არც მებრძოლთა ვინაობა ჩანს, არც შებმის მიზეზი და ბრძოლის შედეგი ირკვევა. ბატონიშვილს ვახუშტს აღბუღა იმ ათაბაგად მიაჩნია, რომელმაც ცნობილი სამართლის წიგნი შეადგინა. ამის საბუთად, როგორც ეტყობა, მას მხოლოდ თვით ეს სასამართლო ძეგლი უნდა ჰქონოდა[4]. მაგრამ ვახუშტის აზრი ამ ორი აღბუღას იგივეობის შესახებ მცდარი უნდა იყოს[5]. სახელოვანს ისტო-

---

[1] L e b e a u, op. cit., t. XXI, 221—222.

[2] ისტ. საბ. II, 17 ვამიყ შაბურისძის სიგ., 1465 წ.

[3] იკორთის № 6 ჟამნ-გულანი, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, 4, ჟამნი № 2 და ქ˜ცის შევს.-გად. მეორე გაგრძ., ქ˜კბი II, 258, და პარიზ. ქრ. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 6.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. 302.

[5] იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, 1912 წ., 4—7.

რიკოსს შედარებით დაწვრილებითი ცნობები მოეპოვება ალბულა-ყუარყუარეს შებმის მიზეზისა და ბრძოლის შედეგის შესახებაც. მისი სიტყვით ყუარყუარე ალბულას ბიძა უნდა ყოფილიყოს. ამ ყუარყუარემ მესხთა გადაბირება დაიწყო. ეს რომ ალბულამ შეიტყო, ყუარყუარეს შეპყრობა განიზრახა, მაგრამ ყუარყუარემ დაასწრო და «ეწყო ძლიერად წელსა 1447, ქართულსა 135». ამ ბრძოლაში «იძლია ალბულა ათაბაგი» და ლტოლვილი «მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა», რომელმაც ალბულას დახმარება გაუწია და ყუარყუარეს წინააღმდეგ გაილაშქრა სამცხეში. ყუარყუარეს შებრძოლება ვერ გაუბედნია და თურმე თითონვე მოეგება მეფესა და «იტყოდა უცოდველ-ყოფასა». გიორგი მეფემ, როგორც ეტყობა, მაინც ალბულას დაუჭირა მხარი და კვლავ «აღიყვანა ალბულავე პატივსა ათაბაგობისასა», ხოლო ყუარყუარე, ვითარცა საეჭვო ზრახვების მატარებელი, «დაიმჭირა კარსა თვისსა ზედა». რასაკვირველია, ამ დროითგან მოყოლებული მეფე გიორგისა და ყუარყუარეს შორის უნდობლობა და უსიამოვნო დამოკიდებულება უნდა ჩამოვარდნილიყო და არც გასაკვირველია, თუ «მიერითგან იქნა ყვარყვარე ქვეგამხედველი მეფის». თვით გიორგი მეფემ დროთა განმავლობაში ყუარყუარეს მაინც აპატია და როდესაც 1451 წ. ათაბაგი ალბულა მოკვდა, მან «მიუბოძა ბიძასა მისსა ყუარყუარეს მობირებითა ვეზირთათა ათაბაგობა»[1]. თუმცა არა ჩანს, რა წყარო ჰქონდა ბატონიშვილს ვახუშტს, მაგრამ რომ მთელი ეს მოთხრობა სანდო შთაბეჭდილებასა სტოვებს და შეუძლებელია სახელოვან ისტორიკოსის მიერ თავითგან ბოლომდის შეთხზული იყოს, ეს ვგონებ ცხადი უნდა იყოს.

## ქართული წყაროების დუმილი შინაური ბრძოლის შესახებ და საქმის ნამდვილი ვითარება

ამდროითგან მოყოლებული 1462 წლამდე არც კინკლოსებში, არც ქ. ც-ის გაგრძელებაში და არც თვით ბატონიშვილი ვახუშტის საისტორიო თხზულებაშია მოხსენებული რაიმე ცნობა გიორგი მეფესა და ათაბაგ ყუარყუარეს შორის ბრძოლის შესახებ. ისე გამოდის თითქოს მთელი ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოში სრული მშვიდობიანობა და თანხმობა სუფევდა. მაგრამ ირკვევა, რომ იმდროინდელი ამბების შესახებ ცნობები ქართულ საისტორიო მწერლობაში ძალიან ცოტაა შენახული. სხვა მასალებითგან-კი ცხადადა ჩანს, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა მშვიდობიანობის შესახებ სრულებით მცდარი იქნებოდა. თვით ყუარყუარე ათაბაგი 1459 წელს ბურგუნდიის მთავარს სწერდა, რომ 50 წელიწადია ჩვენს ქვეყნებში ისეთი ზავი, როგორც ამჟამად შევკარით, არ გაგონილაო[2]. წინათაც მიბრძოლია და გამიმარჯვნია ურჯულოებზედ და უფრო მეტადაც გავიმარჯვებდი, ამ უკანასკნელ წლებში მეზობელ ქრისტიან

[1] ვახუშტი, ისტ., 302—303.

[2] თამარაშვილი, ისტ. კათ., 595.

„Nos haec omnia pacem ad ligam ex parte nostra fecimus quae a quingentis annis citra in his nostris regionibus non sunt audita".

მთავრებსა და ჩემს შუა რომ ომი არ ატეხილიყო[1]. რათგან ყუარყუარეს მეზობლად ქართველ მეფე-მთავრებს გარდა ქრისტიანე მბრძანებლები სხვა არავინ იყო, ცხადია ათაბაგი აქ საქართველოს შინაურს მტრობა-ომზე უნდა ლაპარაკობდეს. თვით გიორგი მეფის სიტყვებითგანაც ჩანს, რომ 1459 წლამდე მას შინაურობაში ბრძოლა ჰქონია, რომელიც, ზავი რომ არ ჩამოეგდოთ, მისი სიტყვით ალბათ მის სასარგებლოდ უნდა დამთავრებულიყო ისე, რომ ეს სხვათა შუამავლობით დადებული ზავი პირადად თავისთვის საზარალოდ მიაჩნდა[2]. დასასრულ, დასავლეთ ევროპაში 1460 წ. ჩასულს ქართველს დესპანებსაც იქაური ქრისტიანებისათვის და პაპისათვის არ დაუმალავთ, რომ მათ უკანასკნელ დროს ერთმანეთში დიდი მტრობა ჰქონდათ და უომნიათ კიდეც[3].

ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული წყაროების მდგომარეობისდა მიუხედავად მეფე გიორგისა და მის მთავრებს შორის დიდი უთანხმოება და სასტიკი ბრძოლა ყოფილა. მოწინააღმდეგეთა მოთავედ უეჭველია ყუარყუარე ათაბაგი უნდა ყოფილიყო. ეს ბრძოლა საქართველოს განკერძოება-დანაწილებისა და მის მთლიანობა-განუყოფლობის გამო იყო ატეხილი და მესხეთის ათაბაგი, სამეგრელოს მთავარი და გურიელი თავიანთ თავს უკვე საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ, რომ ცალ-ცალკე გამოეყვანათ ჯარი, ხოლო ყუარყუარე ათაბაგს საქართველოს მეფის გიორგის დესპანთან ერთად თავისი საკუთარი განსაკუთრებული ელჩი გაეგზავნა დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებში.

## ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს დედა-ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად

ჯერჯერობით ჩვენ არავითარი სხვა ცნობები არ მოგვეპოვება ქართველ მეფე-მთავრების ამ შინაური ბრძოლისა და ატეხილი ომის შესახებ. ირკვევა მხოლოდ, რომ ყუარყუარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობითა და განკერძოებისთვის ბრძოლით, რომ უთანხმოება და სიძულვილი საეკლესიო სფეროშიაც გადაუტანია. როგორც მესხეთის შინაურ მართვა-გამგეობაში დაუკითხავად მოქმედებდა და საგარეო საქმეშიაც, თუ სრულებით დამოუკიდებლივ არ აწარმოებდა საქმეს, საკუთარი დესპანები ჰყავდა მაინც, იმგვარადვე საეკლესიო წესწყობილებაში და ცხოვრებაშიაც მესხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა. საქართველოს კათალიკოზები სამართლიანად შიშის თვალით შეჰყურებდნენ მესხეთის მთავრისა და ეპისკოპოსების განკერძოების პოლიტიკას და ამაში ქართული დედა-ეკლესიისა და საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის ორგულობას ხედავდნენ. ათაბაგები იმდენად გაკადნიერებულნი იყვნენ, რომ ადგილობრივი ვიწრო თემობრივი მამულიშვილობითა და მტრობით დაბრმავებულნი

---

[1] იქვე, გვ. 594.

„Nisi his superioribus annis bella quaedam inter me et aliquos principes Christianos finitimos meos orta fuissent, maiora profecto contra infideles gessissem".

[2] იქვე, გიორგი მეფის 1459 წლ. ეპისტოლე ბურგუნდიის მეფისადმი, გვ. 597.

[3] იქვე, 598.

„Cum gravibus inter se odiis discordarent, bellumque gererent".

წირვა-ლოცვაში, როგორც ეტყობა, უკვე საქართველოს მეფესა და კათალიკოზს აღარ იხსენიებდნენ[1].

საეკლესიო იერარქიის მხრივაც მესხეთის ათაბაგებს თავიანთი საბრძანებლის მცხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება სურდათ და ცდილობდნენ, რომ მათი „მღრდელი და დიაკონი“ და მათზე უფროსნიც ადგილობრივ, „უმცხეთოდ“ კურთხეულიყვნენ[2]. ამის მიღწევა მათ, რასაკვირველია, მხოლოდ საქართველოს საეკლესიო ერთობის მოსპობითა და თავისთვის დამოუკიდებლობის მოპოვებით შეეძლოთ. ამ მიზნის განმახორციელებელ საუკეთესო საშუალებად ყუარყუარე ათაბაგს, როგორც ჩანს, მაწყვერელი ეპისკოპოსის ამაღლება და მესხეთის საეპისკოპოსო საყდრების უფროსად ქცევა მიუჩნევია, ის, რაც მისმა მემკვიდრე ჯოაბაგებმა და განსაკუთრებით მზექაბუკ ათაბაგმა ცოტა ხნის შემდგომ განახორციელეს კიდეც[3].

იმის მაგიერ, რომ ეპისკოპოსად და არქიმანდრიტად არჩეულნი წინანდებურად მცხეთაში წასულიყვნენ, მათ სურდათ, რომ კათალიკოზის მაგიერობა თვით მაწყვერელს გაეწია და მაწყვერელს ეკურთხებინა.

ყუარყუარე ათაბაგს საეპისკოპოსო პირების არჩევის უფლება უკანონოდ მოუტაცნია და თვით ჩაუგდია ხელში. ამას, რასაკვირველია, იმ მოსაზრებით სჩადიოდა, რომ საშუალება ჰქონოდა თავისი პოლიტიკის მომხრე პირები და მის ბრძანებათა ყურმოჭრილი ყმები აერჩია ეპისკოპოსებად.

## საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსების მედგარი ბრძოლა ქართული ეკლესიის მთლიანობის შესანარჩუნებლად

ასეთ ცხადს უკანონო და დამღუპველ პოლიტიკას საქართველოს ეკლესიის მთლიანობისა და ერთობის გაპიროვნებული გამოხატულების მატარებელი, „ქართლისა კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი“, სასტიკად ებრძოდა და ყოველს მესხეთით მცხეთაში საკურთხებლად მოსულს სამღვდელო პირს შემდეგს პირობის წიგნსა და ფიცს აძლევინებდა: «თუ ყუარყუარემ მაწყუერელობა ან სხვა რამე კელი გუაძლიოს და დაგუპატიჟოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არ დაემორჩილნენ... კელი არა გამოვართუა»-ო, თუ «მაწყუერელობა ანუ სხვა კელი რამე გუაძლიოს, არა გამოვართუათ ყუარყუარეს თქუენდა დაუმოწმებლად»-ო[4]. ამ უკანასკნელი სიტყვებითგან ცხადად ჩანს, რომ მესხეთში საეკლესიო არჩევნების მაგიერ ათაბაგ ყუარყუარეს პირადი არჩევანი სწყვეტდა მაღალ საეკლესიო თანამდებობისათვის საჭირო პირთა ვინაობას და მაწყვერელობას თუ სხვა საეპისკოპოსო „კელს“ ის შეაძლევდა ხოლმე და ის ჰნიშნავდა.

მცხეთისგან მესხეთის საეკლესიო ჩამოშორება საეკლესიო კანონების თვალსაზრისით არც ისეთი ადვილი და მარტივი საქმე იყო, როგორც ეს ჯა-

---

[1] ანჩელის ერთგულების სიგ.: ქ˝ბი II, 267.
[2] ვარძიის ძმათა ერთგულების წიგნი: ქ˝კბი II, 269.
[3] იხ. დოროთეოს პატრიარქის სიგ.: ქ˝ბი II, 317.
[4] ანჩელის 1453 წ. ახლო ხანის ფიცის წიგნი: ქ˝კბი II, 268.

ყელთა გვარის ათაბაგებს ეგონათ. უზენაესი მწყემსთ-მთავრის ურჩობა დიდ და მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა და ასეთს დანაშაულს შესაფერისი სასჯელიც მოჰყვებოდა ხოლმე: შეიძლებოდა კრულვითა და შეჩვენებით გათავებულიყო საქმე. საეკლესიო კანონებით-კი კრულსა და შეჩვენებულს სამღვდელო პირს მღვდელმსახურების უფლება არ ჰქონდა. ხოლო თუ დამნაშავე ცოდვას არ მოინანიებდა და „შეუნდობლად“ დარჩებოდა, სასჯელის „ახსნილობისა და შენდობის“ წიგნს არ მიიღებდა, მას შეიძლებოდა ქრისტიანული თვალსაზრისით უსაშინელესი სასჯელი „უზიარებლობა“ დასტყდომოდა თავზე.

ქართული ეკლესიის საჭეთ-მპყრობელს მესხეთის ათაბაგის უვუნური პოლიტიკისა და მისი მოდამქაშე ეპისკოპოსებისათვის სასტიკი და შეუდრეკელი ბრძოლა გამოუცხადებია კიდეც. კათალიკოზი დავითი ურჩსა და განხეთქილებისა და განკერძოების მომხრე მესხეთის ეპისკოპოსებს გასწყრომია და მათ მოსარჯულებლად უკიდურესი საშუალებისათვისაც-კი მიუმართნია და შეუჩვენებია ისე, რომ მისგან «მაწყუერელი და სამცხის ეპისკოპოსნი... უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედათ»-ო [1].

## ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს კათალიკოსის ხელთდასხმიდგან განთავისუფლებისათვის

მაგრამ არც ჯაყელნი შეურიგდებოდნენ ასე ადვილად პირადად თავიანთსა და მათ მომხრე ეპისკოპოსთა ბედს. აკი არც შეჰრიგებიან და წინანდელზე უფრო უკადრისისა და ეროვნული თვალსაზრისით უფრო საძრახისი საშუალებისათვის მიუმართავთ. მაჰმადიანთა მიერ აღმოსავლეთის დაპყრობისა და განსაკუთრებით ბიზანტიის სახელმწიფოს დაუძლურებისა და თურქთაგან დაპყრობის შემდგომ, ანტიოქიის და იერუსალიმის მღვდელთ-მთავარნი, თვით პატრიარქიც-კი ხშირად თავიანთ სამწყსოს ჰშორდებოდნენ და უცხოეთის საქრისტიანო სახელმწიფოებს ეწვეოდნენ ხოლმე ფულის და სხვა ყოველგვარი დახმარების სათხოვნელად და შესაგროვებლად. მათხოვრობის გზაზე მდგომთ მათ უცხოეთის გულუბრყვილო ქრისტიანების წინაშე თავიანთი სახელის გატეხა არ სურდათ და თავიანთი თავი „უსჯულოების“ აღმომფხვრელად და ძველი საეკლესიო კანონებისა და უფლებრივი მდგომარეობის აღმადგენელად მოჰქონდათ. ჩვეულებრივ ამგვარ პირებს, რასაკვირველია, ცბიერება და ცრუმორწმუნე ხალხის მიზიდვა საშუალებას აძლევდა თავიანთ პირადი საქმე, ფულის შეგროვება, ვითომც „უსჯულოთა“ ხელითგან წმიდა ადგილებისა და ტანჯულ ქრისტიანეთა განსათავისუფლებლად მოწყობილი, ფართოდ და ბრწყინვალედ მოეხერხებინათ.

ძველ დროსაც, X—XIII ს.ს.შიც, ამგვარი მოგზაურობისა და მათხოვრობის მიმდევარი მღვდელთ-მთავარნი თითო-ოროლა მაინც ალბათ იქმნებოდნენ, მაგრამ მაშინ ცბიერი სიტყვებითა და მოჩვენებით ქართველობის მიზიდვა ისე ადვილი არ იყო და თუნდაც რომ გულუბრყვილო ხალხი მიეზიდათ, ამას,

[1] 1453 წ. ახლო ხანის ანჩელი არქიმანდრიტისა და ყუმურდოელის ერთგულების წიგნები: ქ˜ძი II, 267, 268.

რასაკვირველია, სრულებით კერძო ხასიათი ექმნებოდა. მათ არავინ უფლებას არ მისცემდა ისეთი რამე ექადაგათ, ან ჩაედინათ, რაც პოლიტიკური, ან ეროვნული თვალსაზრისით საქართველოსთვის საზიანო, ან თუნდაც მხოლოდ სახიფათო ყოფილიყო. XIV და განსაკუთრებით XV ს-ითგან მოყოლებული თურქ-ოსმალთა გაძლიერების შემდგომ ამგვარ მოგზაურ უცხო მღვდელთ-მთავართა რიცხვი უნდა გამრავლებულიყო და საისტორიო ცნობებითგანაც ჩანს, რომ გამრავლებულა კიდეც. ვარძიის მონასტრის ძმობას თავისი ერთგულების წიგნში აღნიშნული აქვს, რომ „მას ჟამსა“-ც თურმე მესხეთში ერთი ამნაირი «მცბიერი ბერი ბერძენი მოვიდა ცრუ-წინასწარმეტყველი», რომელმაც «მცირითა რათმე სიტყვთა მიგვზიდნა» და მოგვხიბლაო[1]. ეს ცბიერი ბერძენი ბერი „მიტროპოლიტი“ ყოფილა. მას თავისი „წიგნი“ და „მცნება“ დაუწერია და უქადაგნია სამცხეში[2]. ადვილი მისახვედრია, თუ რა უნდა ემცნო ამ „ცრუ წინასწარმეტყველს“ საქართველოს ამ განკერძოებისა და განდგომილობის სენით შეპყრობილს კუთხეში. საეკლესიო კანონები ეპისკოპოსს სხვის სამწყსოში ადგილობრივ მღვდელთ-მთავრის ნებადაურთველად ყოფნას უკრძალავენ. მით უმეტეს «არა კელეწიფების ეპისკოპოსსა სხვისა ეპისკოპოსისა სამრევლოსა ქალაქსა ანუ სოფელსა საერო მოძღვრებად, ანუ კურთხევად ხუცისა, გინა დიაკონისა უნებლიეთ ეპისკოპოსისა მის ადგილისა»[3]. ამრტომ რაიმე გასამართლებელი საბუთი უნდა ჰქონოდა ანტიოქიის მწყემსთ-მთავრებს თავიანთი საქართველოში მისვლისა და მოქმედებისათვის. საფიქრებელია, რომ ამისათვის მათ ანტიოქიელ პატრიარქის მიხეილის მსგავსად, როგორც ეს ქვევით თავის ადგილას ვრცლად მოთხრობილი იქნება, მრავალ საუკუნეებით მივიწყებული ცნობა ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიისაგან ოდინდელი დამოკიდებულების შესახებ უნდა გამოემზეურებინათ. ამით თითქოს თვით ქართული ეკლესიის თვით-მწყსობასა და დამოუკიდებლობას „სოფლის სივერაგის“ შედეგად და წესთა „შეშლილობად“ გამოიყვანდნენ. ამგვარი რწმენის განმტკიცებით მათ ცოტა არ იყოს თავიანთი უკანონო მოქმედებისათვის გულუბრყვილო და უფრო-კი „მცბიერი“ და ვერაგი ადამიანისათვის გარეგნულად გამოსაყენებელი საბუთი შექმნეს. გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებითგან კარგად ვიცით, რომ ანტიოქიის საპატრიარქოს მმართველ წრეებში ამგვარი მსჯელობა და ქართული ეკლესიის დაპატრონების წადილი წინათაც, მაგ., XI საუკუნეშიაც ჰყვარებიათ. მაგრამ ქართველებში მაშინ პოლიტიკური და ეროვნული შეგნება იმდენად საღი და ძლიერი იყო, რომ ყოველი ამგვარი ცდა დაუყოვნებლივ უკუქცეული იყო ხოლმე და აღშფოთებას იწვევდა. ამიტომაც ანტიოქიის სამღვდელოების პრეტენზიები საქართველოსთვის მაშინ სრულებით უვნებელი იყო.

მაგრამ XV საუკ-ში უკვე სხვა პირობები იყო საქართველოში საზოგადოდ და კერძოდ მესხეთში. მოგზაურმა მღვდელთ-მთავრებმა თავიანთთვის შესაფერისი ნიადაგი ჰპოვეს. ათაბაგთა განკერძოებისა და დამოუკიდებლობის მოპოვე-

---

[1] ქ˘კბი II, 269.

[2] იქვე.

[3] VI მსოფ. კრების კანონების § 22, ა. ხახანაშვილის გამ., გვ. 98.

ვისაკენ მიმართული პოლიტიკისათვის, განსაკუთრებით მესხეთის საეპისკოპოზოს საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად, ანტიოქიელი პატრიარქები სახელდახელო, მარჯვე იარაღად გამოდგებოდნენ. ეს ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო: ანტიოქიელი მწყემსთ-მთავრების უკანონო საქციელს, საქართველოს საეკლესიო საქმეებში ჩარევას, ასე თუ ისე ვითომაც კანონიერ ელფერს სდებდა, და იმავე საქართველოში მათ ფულების და საფასის მოხვეჭას უადვილებდა. ათაბაგების უგუნურსა და ეროვნული თვალსაზრისით დამღუპველს მოღვაწეობას კი გულუბრყვილოთა წინაშე ცოტად მაინც გარეგნულს თავის გასამართლებელ საბუთს აძლევდა, რათგან ანტიოქიის პატრიარქის ფართო კალთის ქვეშ ამოფარება ათაბაგებს პირადი პოლიტიკური ზრახვის განხორციელებას უადვილებდა.

ამიტომ იყო, რომ „მცბიერი ბერძენი“ მღვდელთ-მთავრის ქადაგება თურმე ღაღადებდა იმასვე, რაც ათაბაგს სწადდა: რომ «უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხებოდეს»-ო [1] და ეპისკოპოსნიცა და სამღვდელო დასიც ქართლისა კათალიკოსის «ბრძანებისა მორჩილნი» არა ყოფილიყვნენ [2]. ამგვარს ქადაგებას გავლენა მოუხდენია და თავისი ნაყოფიც გამოუღია. თვით ვარძიის ძმობას გულახდილად აღიარებული აქვს «სიტყვთა მიგჳზიდნა»-ო [3]. საქმე ისე დატრიალდა, რომ «მაწყუერელი და სამცხისა ეპისკოპოსნი» მართლაც ურჩობის გზას დაადგნენ და მცხეთის საკათალიკოსო «საყდარსა არა დაემორჩილნენ» [4].

## მესხეთის ურჩი სამღვდელოების შეჩვენება კათალიკოსისაგან და ამის შედეგი

ასეთი საქციელისათვის საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელი „გასწყრომია“ ეპისკოპოსებს და დამნაშავე სამღვდელო პირნი, „უჯუარობითა“ და „შეუნდობლობით“ დაუსჯია და შეუჩვენებია [5]. თუმცა ამ სასჯელისა ყველა ბრალეულს არ შეჰშინებია, მაგრამ შეუნდობლობა მაინც იმდენად მძიმე მისაგებელი საშუალება იყო, რომ „შეუნდობელ“ სამღვდელო პირებს არც თითონ ჰქონდათ მღვდელთ-მსახურების უფლება და არც სხვებს შეეძლოთ «შეუნდობელთა ეპისკოპოსთა გუერდით ჟამის» წირვა. პირიქით, სხვები ამ შეჩვენებული ადამიანის ვითარცა საკათალიკოსო «საყდრის მტერისა მტერნი» უნდა ყოფილიყვნენ და მისი მიმღები და შემწყნარებელი თითონაც კრული და შეჩვენებული იქნებოდა [6]. ქრისტიანისთვის მაშინ ასეთი მძიმე სასჯელისაგან თავის დაღწევა ადვილი საქმე არ იყო. სანამ ანტიოქიელი პატრიარქი ან მიტროპოლიტი საქართველოში, მესხეთში, იმყოფებოდა, ის, რასაკვირველია, საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელის ამ სასჯელის გაქარწყლებას ეცდებოდა და მოახერხებდა, შეჩვენებულ სამღვდელო პირს გაამხნევებდა კიდეც. მაგრამ ან-

---

[1] ქ˝კბი II, 269.
[2] იქვე, 269.
[3] ქ˝კბი II, 269.
[4] 1453 წ. ანჩელის ფიცის წიგნი: ქ˝კბი II. 267. 268.
[5] 1453 წ. ანჩელის და ვარძიელთა ფიცის წიგნები: ქ˝ბი II, 267—8 და 269.
[6] 1453 წ. ანჩელის ფიცის წიგნი: ქ˝კბი II. 268.

ტიოქიელნი ხომ მუდმივ მესხეთში არ დარჩებოდნენ. როდესაც ჯიბეებს გაივსებდნენ, ისინი უეჭველია ისევ თავის სამწყსოში დაბრუნდებოდნენ. მაშინ-კი მცხეთის საკათალიკოსო საყდრის გარდა ათაბაგებსა და მათ მომხრეებს სხვა ადგილი, სადაც მესხეთისათვის სამღვდელო პირთა ხელთდასხმა შეეძლოთ, არ მოეპოვებოდა. არც დადებული უჯვარობისა და შეჩვენების სასჯელის „აკსნილობისა და შენდობის“ წიგნის მიცემა შეეძლო ვისმე საქართველოს კათალიკოსის გარდა.

ხოლო რაკი მორწმუნე ქრისტიანისთვის ამგვარი წყევლა-კრულვის სასჯელის ატანა სამძიმო იყო და შეუნდობელ სამღვდელოებას სამწყსოს თვალში ღირსება და ზნეობრივი გავლენა შებღალული უნდა ჰქონოდა, ამიტომ მცხეთის კათალიკოსის საშუალებამ მაინც გასჭრა და მესხეთის ურჩსა და ჩამოშორების მოტრფიალე სამღდელო პირთ საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის წინაშე ქედი მოახრევინა.

## მესხეთის სამღვდელოებისაგან ფიცისა და ერთგულების ხელწერილის ჩამორთმევა კათალიკოსის მიერ

მაგრამ საქართველოს მწყემსთ-მთავარი ამიერითგან თითოეული მომნანიებელი და ხელდასხმისათვის მოაჯე მესხეთის სამღვდელო პირის სიტყვიერს ეანცხადებას აღარა სჯერდებოდა და კურთხევამდის ამგვარს ფიცისა და ერთგულების პირობის წიგნებზე ხელს აწერინებდა ხოლმე: «სუეტისა ცხოველისა... და ყოვლად საშინელისა ანჩის ხატისა თავსმდებობითა... ყოველთა ღვთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქუენ ქრისტეს ღმერთისა მიერ ქართლისა კათალიკოსსა დავითს მე აბელისძემან ანჩელ არქიმანდრიტმან ქერობინ მის ჟამისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ებისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა ხუაიშნითა მაკურთხეთ. აწ დღეისითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილადმდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიკსენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყვნენ, ჩუენგანაცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ებისკოპოსთა გუერდით ჟამი არა ვწიროთ სადამდის თქუენგან აკსნილობისა და შენდობისა ნიშანი არ მოგვ[ვი]დეს. ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიქმნეთ და თუ ყუარყუარემ მაწყუერელობა ანუ სხვა რამე კელი გუაძლიოს და დაგუპატიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და რაზედაც უწყრებით თქუენისა საყდრისა წესითა იგი ესრეთვე არ დაგეურვოს, როგორაცა თქუენ და თქუენსა საყდარსა მართებს, მით წესითა, სხუა კელი არა გამოვართუა და არცა რა ვინდომო თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად. თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ... რისაც მიზეზისათვს ესე

ალთქუმა გიტყუვოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ. წყევასა ქუეშე ვიყუნეთ... ვინცა ანუ სამწყსომან ანუ სხუამან ვინ კაცმან შემიწყნაროს, იგიცა კაცი კრულია..., სადამდი თქუენვე არ შემიწყალოთ. ამას გარეთ მაწყუერელობა ანუ სხვა კელი რამე გუაძლიოს, არა გამოვართუათ ყუარყუარეს, თქუენდა დაუმოწმებლად და ბატონისა ჩემისა უზიანოთა საქმითა საყდრისა და თქუენი ერთგულნი ვიყუნეთ»-ო[1].

როდესაც მომნანიებელი სასულიერო პირი ანტიოქიელი მღვდელთ-მთავრის მაცდური ქადაგების შემწყნარებელი იყო, მას თავის კათალიკოსისადმი მირთმეულ ალთქმაში საგანგებოდ უნდა ფიცი დაედვა: ამგვარი ვინმე სხვა დროს არც «შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არც მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ, არც უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს... და ვიყუნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი»-ო[2].

## ამ ბრძოლის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით

ამ ორი-სამი ალთქმისა და ფიცის წიგნითგან სრულის სიცხადითა და მიმზიდველობით აშკარავდება საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელის ბრძნული, ნამდვილად სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიზანშეწონილი პოლიტიკა და მოღვაწეობა.

უეჭველია ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის თანაგრძნობა მაშინაც, როდესაც ეს ბრძოლა სწარმოებდა, ქართული ეკლესიის მწყემსთ-მთავრის მხარეზე იქნებოდა და ეხლაც, საუკუნეთა შემდგომაც, საქართველოს კათალიკოსთა ეს მედგარი ცდა საქართველოს განხეთქილებისა და განკერძოების პროცესის შესაჩერებლად მშვენიერი მიმზიდველობით მოსილ ბრძოლად გვეხატება.

განა ქართველი ერისათვის მართლადაც დამღუპველი არ უნდა ყოფილიყო მესხეთის ეკლესიის წადილი და მცდელობა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საყდრისაგან ჩამოსაშორებლად? იმ განსაცდელის დროს, როდესაც ქართველ პატარა ერს სამხრეთ-დასავლეთით მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტერი ოსმალეთის სახით მეზობლად გაუხდა და დასავლეთით მას ერთმორწმუნე, მეგობრულად განწყობილი ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების მაგიერ ახალი, მაჰმადიანობით აღფრთოვანებული მებრძოლი სამფლობელო ეგულებოდა, დანაწილებისა და განკერძოების მაგიერ მას ცხადია თავისი ქვეყნის ერთობისა და მთლიანობის განმტკიცებაზე უნდა ეფიქრა. და როდესაც საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელნი მესხეთის სამღვდელოებისაგან საკათალიკოსო საყდრის მორჩილებას მოითხოვდნენ, როდესაც იქაურ ეპისკოპოსებსა და ხუცესთ უეჭველად მტკიცე ფიცს ადებინებდნენ, რომ თითოეული მათგანი საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქთა და „მეფეთა მლოცველი და ყოველთა

---

[1] ქ̃კბი II, 267—268, იხ. ყუმურდოელი ივანე ლასურისძის ამგვარივე ალთქმის წიგნი, იქვე II, 268.

[2] ვარძიის ძმათა ალთქმის წიგნი: ქ̃კბი II, 269.

წირვათა და ლოცვათა შინა“ მომხსენებელი ყოფილიყო, განა ამით ისინი საქართველოს მთლიანობისა და ერთობის განმტკიცებისათვის არ ილვწოდნენ? მესხეთის ეკლესიებში საქართველოს მეფისა და კათალიკოსის სახელების მოხსენება წირვის დროს სრულიად საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობის თუმც გარეგანი, მაგრამ მაინც დიდმნიშვნელოვანი სიმბოლური გამოხატულება იყო და ამის საწინააღმდეგოდ ბრძოლა მხოლოდ საქართველოს ან დაუძინებელს მტერს, ან მის შეუგნებელსა და პირადი პატივმოყვარეობით გონება-დახშულს შვილს შეეძლო.

ათაბაგებს კარგად ესმოდათ ვისა და რის წინააღმდეგაც იყო საქართველოს მწყემსმთავრების მიერ მესხეთის სამღვდელოებისათვის შემოღებული ფიცი და აღშფოთებული და განრისხებული ჩიოდნენ: «ვინც ჩუენი ეპისკოპოზი მაგათ (ე. ი. კათალიკოსის) წინა საკურთხეველად მოვა, მაგათი და მეფის ერთგულობაზედ აფიცებდენ»-ო[1]. ის ფარისევლურად საეკლესიო კანონების დარღვევაზე და „სჯულის გარდამავალ საქმე“-ზე სწუხდა, რომელსაც ვითომაც კათალიკოსები ამგვარს შემთხვევებში სჩადიოდნენ. «მაგათ უკეთ იციან, ნაფიცარი არც ეპისკოპოსი შეიწყნარების და არც ხუცესი და ნურც ჩუენ გვიზმენ უწესო რამე საქმე შემოიღონ»-ო[2], ვერაგული ცბიერებით გაიძახოდნენ ისინი, თითქოს თავისი დედა-ეკლესიისა და მის საჭეთ-მპყრობელის ურჩი და ერისა და სამშობლოს მთლიანობის უარისმყოფელი და დამრღვევი ეპისკოპოსი, ან მღვდელი-კი შესაწყნარებელი ყოფილიყოს!

მაგრამ ათაბაგი ასეთს ფორმალურს საწინააღმდეგო საბუთსაც არ დასჯერებია და საქართველოს კათალიკოსის წინააღმდეგ უფრო მძიმე და უკადრისი ბრალდებაც წამოუყენებია: ჩვენგან მოსულ სამღვდელო პირთაგანს კათალიკოსი მხოლოდ ისეთებს აკურთხებს ხოლმე, რომლებიც ერთგულების ფიცს იღებენ და მას ქრთამს აძლევენო. ვითომცდა ამ უწესოებით აღშფოთებული გოდებდა: «ქრთამით კელთდასხმა ანუ ეპისკოპოსისა და ანუ ხუცეს-დიაკონთა ნუცა ეგენი-ღა იკადრებენ და ნუცა მათ კელთქუეშეთი ეპისკოპოზი, ნუცა მანდითი, ნუცა აქათი»-ო[3].

ცხადია, ეს ბრალდებაც მხოლოდ საბრძოლველი იარაღი და პირადად ათაბაგის საძრახისი მოქმედების გასამართლებლად წამოყენებული საბუთია, თორემ რა დასაჯერებელია, რომ ქართლის კათალიკოსს, რომელსაც მესხეთის უმაღლესი სამღვდელოება ათაბაგის წაბაძულობით ისედაც ეურჩებოდა, და გაურბოდა, თავისი თავი თითონვე უფრო უარესს მდგომარეობაში ჩაეყენებინა და საქართველოს ეკლესიის მთლიანობის საქმე ქრთამების აღებით გაეფუჭებინა. მისთვის ასეთს პირობებში ყოველ ქრთამზე უფრო ძვირფასი ის იყო, რომ იქაური სამღვდელო პირი მასთან მოდიოდა, მის ბრძანებასა და ხელქვეშეთობას სცნობდა. რაკი მეფე-კათალიკოს-ათაბაგს შორის ასეთი დაუნდობელი მტრობა და ბრძოლა სუფევდა, რასაკვირველია, კათალიკოსის მიერ ნაკურთხს ეპისკოპოსს ათაბაგი

---

[1] იხ. უცნობი პირისადმი მიწერილი ათაბაგის ჩივილი: ქ˝კბი II, 302.

[2] იქვე, 302—303.

[3] იქვე, 302.

ხეირს არ დააყრიდა და ყოველნაირად შეავიწროებდა. ასეთს პირობებში ამ სამღვდელო პირთა მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელოს ბევრს არაფერს წარმოადგენდა. ამავე მიზეზით დაუჯერებელი რამე არის, თუნდა მხოლოდ იმიტომაც, რაკი საამისო ობიექტური პირობები არ მოიპოვებოდა, რომ საქართველოს კათალიკოსს მართლაც ქრთამებით დაერიგებინოს საეპისკოპოსო საყდრები მესხეთითგან ჩამოსულ სამღვდელო პირებისათვის.

თუ ამისდა მიუხედავად ათაბაგის და მის მომხრეთა ბანაკში მაინც საჯაროდ ლაპარაკობდნენ კათალიკოსის მექრთამეობაზე, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ულმობელი და დაუზოგავი ბრძოლა ყოფილა მეფე-კათალიკოს-ათაბაგს შორის და საქართველოს ერთობისა და განკერძოების მომხრეთა შუა, რაოდენი გესლითა და შხამით უნდა ყოფილიყო აღსავსე ამის გამო მესხეთის მაშინდელი ცხოვრება!..

დიაღ, მცხეთის კათალიკოსები მესხეთის სამღვდელო პირთ სწორედ კათალიკოსისა და მეფის ერთგულებაზე აფიცებდნენ და, რაკი ეს ფიცი იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოსი და ეკლესიის მთლიანობისა და ერთობის ფიცი იყო, ამიტომაც მათ მოქმედებას თანამედროვეთა გულწრფელი თანაგრძნობა და სიხარული უნდა გამოეწვია, შთამომავლობასა და ისტორიას-კი არ შეუძლია მათი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე მთელი თავისი სიღრმე-სივრცით არ დააფასოს. ამ ბრძოლის გართულება და ტყუილ-უბრალოდ გამწვავება ქართული ეკლესიის მღვდელ-მთავარს მაინც არ უნდოდა. იგი ცდილობდა საკათალიკოსო საყდრისა და საქართველოს მთლიანობის ერთგულ პირთათვის საერთო საქვეყნო მოვალეობისა და თავიანთ ადგილობრივი სათემო ვალდებულების ასრულება არ გაეძნელებინა. ამიტომაც მას მათი ამხედრება და გადამტერება ათაბაგის წინააღმდეგ არ სურდა, არც უკრძალავდა მათ ათაბაგების, ვითარცა მესხეთის მთავრის, წინაშე ადგილობრივი ვალი მოეხადათ. ამის გამო კათალიკოსები ნებას აძლევდნენ აღთქმის დამდებ სამღვდელო პირთ ფიცის წიგნში შეეტანათ: «ბ ა ტ ო ნ ი ს ა  ჩ ე მ ი ს ა (ე. ი. ათაბაგის) უ ზ ი ა ნ ო-თ ა  ს ა ქ მ ი თ ა  საყდრისა და თქუენი ერთგულნი ვიყუნეთ»-ო. მათ უნდოდათ, რომ არც ათაბაგების სათემო საქმეს რაიმე ზიანი მოსვლოდა და არც საქართველოს სახელმწიფოსი და ეკლესიის მთლიანობის საქვეყნო საქმე დაზარალებულიყო.

## საქართველოს შინაური პოლიტიკური მდგომარეობა

XV საუკ. სამოციან წლებში საქართველოს პოლიტიკური და გიორგი მეფის უფლებრივი მდგომარეობა და სხვებთან დამოკიდებულება თვით გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის მიერ დასავლეთ ევროპაში 1459 წ. გაგზავნილი ეპისტოლეებითგან ასე გვეხატება: ქართველთა ათაბაგს ყუარყუარეს თავისი თავი იმდენად დამოუკიდებლად მიაჩნდა, რომ ევროპაში თავის საკუთარ დესპანს ჰგზავნიდა და უცხოეთთან გიორგი მეფისაგან დამოუკიდებელი დიპლომატიური ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა. რასაკვირველია, მას ჯარიც საკუთარი ჰყავდა. ის ცნობილი იყო უცხოეთში და ძლიერი მთავრის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გიორგი მეფე მას მოკავშირედ იხსენიებს. ბედიანიც ცალკე

ერთეულის მთავრად ითვლებოდა. იგი სამეგრელოს და აფხაზეთის მფლობელი იყო და იმდენად ფართო უფლებით ყოფილა მოსილი, რომ მეფედაც-კი იწოდება. ჯარიც საკუთარი ჰყოლია და მართვა-გამგეობაც თავისი ექმნებოდა. მაგრამ ბედიანის დამოუკიდებლობა მაინც ისე არ აშორებდა მას საქართველოს მეფისაგან, როგორც ათაბაგს. დასავლეთ ევროპაში დესპანების გაგზავნის დროს სამეგრელო-აფხაზეთის მთავარს თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი არ გაუგზავნია და ალბათ საქართველოს მეფის დესპანი იყო საერთო წარმომადგენელი. მოკავშირეთა შორის გურიაც იხსენიება თავისი საკუთარი ჯარით. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ამ დროს გურიაც უკვე საკმაოდ ცალკე პოლიტიკურს ერთეულს შეადგენდა და საქართველოს მეფეს უშუალოდ აღარ ემორჩილებოდა.

თუ ზემოაღნიშნულ ვითარებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი იქნება, რომ თუმცა გიორგი მეფე თავის თავს ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერის საქართველოს გამაერთიანებლად და ორისავე ტახტის მპყრობელად სთვლიდა, მაგრამ ნამდვილად არც სამეგრელო-აფხაზეთი, არც გურია და არც სამცხე-საათაბაგო უკვე პირდაპირ მას აღარ ემორჩილებოდნენ. მაშასადამე, მისი სამეფო მხოლოდ-ღა იმერეთს, ქართლსა და ქიზიყ-კახეთს შეიცავდა. ამგვარად, აშკარა ხდება, რომ შავ ზღვას გიორგი მეფის საბრძანებელი უკვე ჩამოშორებული ყოფილა. თავი წამოყვეს საქართველოს ყმად ნაფიცმა მეზობლებმაც: «უკუდგნენ შირვანელნი და არღარა მოსცნეს ხარკნი. ამისთვის შეიკრიბნა (გიორგი) მეფემან სპანი და შევიდა ყაბალას, წარავლინნა სპანი და მოსრნა ურჩნი და დაამშვიდნა სხვანი, შეჰკვეთნა ხარკნი და მოვიდა თავისად»-ო [1]. თუმცა ამის მსგავსი ცნობა სხვაგან არსადა გვხვდება, მაგრამ მაინც ცხადია ჩვენს მეცნიერ ისტორიკოსს ეს ამბავი რომელიღაც წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოღებული. ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ ვახუშტს ამ ცნობის შესახებ შენიშვნაში ნათქვამი აქვს: «აქა ჩანს ისევ ერთი მეფობა იყო და არა სამი, რამეთუ ყაბალის გზა კახეთი არს, ვითა აჩენს გაყრის წიგნი ბარათიანთა»-ო [2]. მაშასადამე, თვით სახელოვანი ისტორიკოსი ზემომოყვანილ ცნობას ისე უყურებს, როგორც წყაროს, რომლითაც ამა თუ იმ ისტორიული საკითხის გამორკვევა შეიძლებოდა.

## 3. საქართველოს საგარეო მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ-დასავლეთით

### სპარსეთი

იმ დროს, როდესაც ქართველობას შინაურობაში ასეთი მტრობა და დაუნდობელი ბრძოლა ჰქონდა და თავის თავს ამ უგუნური მოქმედებით ასუსტებდა, სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთიმეორეზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ამბები მზადდებოდა. სპარსეთში ჯერ კიდევ მხოლოდ და-

[1] ვახუშტის ისტ. 303—304.

[2] ისტ. 303, შენიშვნა 2.

საწყისი იყო და გამოუცდელ თვალს გარეგნულად ჩვეულებრივი ურთიერთშორისი ბრძოლის გარდა ეგების ვერაფერი შეემჩნია. შაჰროხმა ადერბეიჯანში გამგედ ჯეჰან-შაჰი დასვა, რომელიც თავის შავბატკნიანთა ტომს დროგამოშვებით სომხეთსა და საქართველოს აკლებინებდა ხოლმე. შაჰროხის სიკვდილის შემდგომ 1451 წ. ჯეჰან-შაჰი უკვე თვით სპარსეთს, მიდთა ქვეყანას, მოადგა, ხოლო 1452 წ. ფარსსაც დაეპატრონა [1]. ამის წყალობით ჯეჰან-შაჰის სამფლობელო ქირმანიდან საქართველომდის გარდმოიჭიმა [2].

ჯეჰან-შაჰის გაძლიერებას საზღვარი თეთრბატკნიანთა ტომის მთავრის ყარა-ჲელეკის შვილის-შვილმა უზუნ-ჰასანმა (ე. ი. გრძელმა ჰასანმა) დაუდვა, რომელმაც უკვე 1449 წ. თავისი მეტომენი შეაერთა და გაძლიერება დაიწყო. 1451 და 1457 წწ. შავბატკნიანთა სამფლობელოს შეესია. ამის გამოვე ჯეჰან-შაჰი იძულებული შეიქმნა ხვარასნის წინააღმდეგ ლაშქრობა შეეწყვიტა. ერთი სიტყვით, სპარსეთის მიწა-წყალზე პოლიტიკური შეჯგუფება დაიწყო და სპარსეთის უდიდესი ნაწილის სათავეში ისეთი ძლიერი ნებისყოფისა, გამბედაობისა და შორსმჭვრეტელობის პატრონი ადამიანი მოექცა, როგორიც უზუნ-ჰასანი იყო. ასეთს პირობებში საქართველო ფრთხილად უნდა ყოფილიყო და გამაგრება-გაძლიერებაზე ეფიქრა.

## ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ

დასავლეთით სპარსეთის ამბებზე გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი ამბები დიდის სისწრაფით ერთიმეორეს მისდევდა. თუმცა გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ, თითქოს შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი, ისინი ვერც-კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შეუჩერებელი ძლევამოსილობით დედამიწის ზურგითგან აღგავა ოდესღაც ბრწყინვალე მბრძანებელი ბიზანტია.

მაშინდელი საქართველო, როგორც ეტყობა, ჯერ კარგად ვერ გრძნობდა მთელ იმ საშიშროებას, რომელსაც ეს ახლად აღორძინებული სახელმწიფო უქადდა და უდარდელად განაგრძობდა თავის შინაურს, დამაუძლურებელს ბრძოლას. შეუდრეკელი ნებისყოფით აღჭურვილი ოსმალეთი კი თანდათანობით აფართოებდა თავისი ახალი სამფლობელოს საზღვრებს და ბოლოს თვით ბიზანტიის დიდებული სატახტო ქალაქის ბატონ-პატრონადაც იქცა. მაგრამ ბერძენთა უკანასკნელს კეისარს უბრძოლველად არ დაუთმია თავისი უკანასკნელი თავშესაფარი.

## ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ

1453 წ. 29 მაისს შუაღამის ორ საათზე დაიწყო თურქთა ჯარის გარდამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიის სახელმწიფოს დიდებული დედაქალაქის ასაღებად. პირველი ორი იერიში უნაყოფო იყო და ბერძნებმა გულადად მოიგერიეს,

[1] M ü l l e r, Islam II, 323.

[2] ი ქ ვ ე, 324.

მტერი საგრძნობლად დააზარალეს კიდეც. მაგრამ ამ გარემოებას ოსმალთა სულტანი ოდნავადაც არ შეუფიქრიანებია, მუჰამედმა ახლა თავისი იანიჩარები გამოიყვანა, რომელთაც სამხედრო მოქმედებას ოსმალთა უშველებელი ზარბაზნების გრიალი და განმანადგურებელი მოქმედება უადვილებდა. ბერძნები წინანდებურად მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ მოზღვავებულს მტერს და მუსრს ავლებდნენ იერიშის მომტანთ, მაგრამ მაინც თურქებს ბრძოლის ველზე მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდათ და ეს 70000 მებრძოლი ოსმალების აქტიურს მოქმედებას შეუდრეკელი ნებისყოფის ხასიათს ანიჭებდა და აღფრთოვანებით ავსებდა ჯარს. ამიტომ საკმარისი იყო თურქთა ბედითს ისარს კონსტანტინეპოლის დასაცავად მოსული გენუელი ახალშენის მეშველი ჯარის გულადი მეთაური ჯუსტინიანი იმდენად მძიმედ განეგმირა, რომ მას გრძნობა დაჰკარგოდა, რომ ბიზანტიის სახელმწიფოს დედაქალაქის დამცველთ თავზარი დასცემოდათ და შემდრკარიყვნენ. ამით, რასაკვირველია, ოსმალებმა ისარგებლეს და ერთს თავის რაზმს საშუალება მისცეს ქალაქის კედლებზე ასულიყო. შემდეგ დაუდევრობით დაუკეტავად დარჩენილი კერკოპორტას კარებითაც შეესივნენ ოსმალთა ჯარისკაცნი და ზურგით მოექცნენ კონსტანტინე კეისარსა, რომელმაც თავის სამშობლოსა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობას გმირულად თავი შეაკლა.

დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც ოსმალები კონსტანტინეპოლში შეიჭრნენ, შუადღე იყო, როდესაც სულტანს მუჰამედ II-ეს მახარობელმა მოახსენა, რომ მისი დიდი ხნის გულისნადები და ნატვრა აღსრულდა და კონსტანტინეპოლი მისი ძლევამოსილი ლაშქრის ხელში იყო.

თავზარდაცემულ ბერძნებს გული არ უჯერებდა, არ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ ის რაც მოხდა, სრული და გამოუსწორებელი სინამდვილე იყო: საუკუნეთა განმავლობაში ხალხში თქმულება იყო გავრცელებული, რომ კონსტანტინეპოლის აღება არავის შეუძლია და საბერძნეთის სატახტო ქალაქი ღვთისაგან არის დაცული. ამიტომ ახლაც ხალხი სასწაულთ-მოქმედებას ელოდა და დიდებულს სოფიის ტაძარში მუხლმოდრეკილი ღმერთს შესტიროდა და „უსჯულოთა“ ხელისაგან ხსნას ევედრებოდა. მხოლოდ საყდრის კარზე მომდგარმა მტერმა მთელის თავისი შემაძრწუნებელი სინამდვილით დაარწმუნა ისინი, რომ ყოველივე ამაო იყო და ბედის ჩარხის მოტრიალება აღარ შეიძლებოდა. და როდესაც ამ უმაგალითო გამარჯვებით გახარებული სულტანი თავისი მრავალრიცხოვანი ამალითა და ყველა კარისკაცებითურთ ადრიანოპოლის კარით დიდის ზეიმით კონსტანტინეპოლში შებრძანდა, პირველად წ~ა სოფიის ტაძრისაკენ გაეშურა და შიგ შევიდა. მისი ბრძანებისაებრ მოლამ ამბიონითგან, საითგანაც მუდამ საქრისტიანო ლოცვა ისმოდა, მაჰმადიანთა მრწამსი წარმოთქვა, ხოლო თვით „ურჯულო“ სულტანი მკვრეხელი თავმომწონეობით საკურთხეველში შევიდა და დაწესებული ლოცვა შეასრულა[1]. მაშინ-კი უკვე ყველაფერი ცხადი შეიქმნა და სასწაულთ-მოქმედების მომლოდინე ხალხს თვალები აეხილა.

---

[1] Prof. G. Herzberg, Geschichte der Byzantiner und des Osmanischen Reiches, 588—589.

ეხლა ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს ის საზარელი შთაბეჭდილება, რომელიც კონსტანტინეპოლის ოსმალთა მიერ დაპყრობისა და ოდესღაც უძლიერესი და უბრწყინვალესი საქრისტიანო სახელმწიფოს მოსპობის ამბავს უნდა მოეხდინა. თვით ბერძნებს ხომ ამ გარემოებამ დაბრმავებული თვალები აუხილა და მათი უგუნური სარწმუნოებრივი მძულვარებისა და შეუთანხმებლობის საშინელი შედეგი დაანახა. 1452 წ. ეკლესიათა შეერთებისათვის მოსულ რომის პაპის მოციქულს კარდინალ ისიდორეს გონება-ცახშულ ბერძენ ბერებისა და მდაბიო ხალხის ფეხის-ხმის ამყოლმა მეცნიერმა ბერმა გ ე ნ ა დ ი ო ს მ ა და ბიზანტიის სამეფოს მინისტრთა უპირველესმა ლ უ კ ა ნ ო ტ ა რ ა ს მ ა ისეთი მძულვარე წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ უკანასკნელმა გაცხარებული კამათის დროს წამოისროლა კიდეც: „ისევე სჯობია კონსტანტინეპოლი მაჰმადიანთა დოლბანდს ემორჩილებოდეს, ვიდრე პაპის მიტრას“-ო[1]. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოულოდნელად ეს სურვილი აღსრულდა, იგრძნო ყველამ და უეჭველია თვით ნოტარასმაც ამ უგუნური სიტყვის მნიშვნელობის მთელი საშინელება, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ბერძენთა წინააღმდეგობით განრისხებული რომის პაპიც ვერ გრძნობდა იმ განსაცდელს, რომელსაც კონსტანტინეპოლის ოსმალთა ხელში გადასვლა დასავლეთის ქრისტიანობასაც უმზადებდა, და ისიც მძულვარებით დაბრმავებული არ მალავდა, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა კონსტანტინეპოლი და საბერძნეთი თურქებს დაეპყრათ, ვიდრე „მწვალებლებისათვის“ რითიმე დახმარება გაეწია[2]. რომში მაინც უფრო ადრე შეიგნეს მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობა: კარდინალმა ისიდორემ მოახერხა და პაპი როგორც იყო დაიყოლია, რომ კონსტანტინეპოლში მისაშველებლად ჯარი და სამხედრო ხომალდები გაეგზავნა. ამ მიშველებაში პაპის ხომალდებს გარდა ვენეტიკელთა 10 დიდს საომარს ხომალდსა და ნეაპოლის მეფეს ალფონსსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. მაგრამ აქაც უკვე დაგვიანებული იყო და ამ მეშველ ძალას ბიზანტიის დედაქალაქი ორი დღის აღებული დახვდა, როდესაც იგი ნეგროპონტეს ნავთსადგურში შევიდა[3].

## რომის პაპების ცდა კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის

ეხლა, როდესაც ბიზანტიის სახელოვანი დედაქალაქი ოსმალებს ეკუთვნოდათ და თვით სახელმწიფოც აღარ არსებობდა, პაპმა ნიკოლოზ V-ემ თავისი შეცდომა კარგად შეიგნო და მხურვალე მოწოდებით მიჰმართა დასავლეთი ევროპის ქრისტიანებს ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის მოსაწყობად, რომ საბერძნეთი და კონსტანტინეპოლი „ურჯულოთა“ ხელისაგან განეთავისუფლებინათ. მაგრამ ამ დროს აღარც რომის პაპს ჰქონდა წინანდელი გავლენა, რომ მის სიტყვას ძლიერად ემოქმედა და რეალური შედეგები მოჰყოლოდა, და

---

[1] Prof. G. H e r z b e r g, Geschichte der Byzantiner und des Osmanischen Reiches 582.

[2] Prof. K. M ü l l e r, Kirchengeschichte II, 112, 1897 წ. გამ.

[3] Prof. G. H e r t z b e r g, Geschichte d. Byzant, 582, 587 და 591.

აღარც დრო და მაშინდელი სულიერი განწყობილება, არც ეკონომიური პირობები ძველებურ ჯვაროსანთა ომის მოწყობას ხელს აღარ უწყობდნენ. ამიტომ პაპი ნიკოლოზ V-ის ყოველივე ცდა ამაო გამოდგა [1]. ამგვარადვე უნაყოფო იყო მისი მოადგილის კალიქსტი III-ის წადილი და სამზადისი მებრძოლთა შესაგროვებლად: ის, რის შემოკრებაც მან მოახერხა, იმდენად მცირე რამ იყო, რომ თვით აღტაცებულს ადამიანსაც კი ვერ შეაცდენდა და ვერ დააკმაყოფილებდა [2].

## კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ დაპყრობის მნიშვნელობა საქართველოსათვის

თუ კონსტანტინეპოლის ოსმალთა მიერ აღებამ ასე შეაწუხა პაპი და დასავლეთი ევროპის შორსგამჭვრეტელი პოლიტიკური წრეები, ადვილი წარმოსადგენია რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ ამბავს საქართველოში, რომელიც ბიზანტიასთან სულიერ-სარწმუნოებრივადაც უმჭიდროესად იყო დაკავშირებული და კონსტანტინე კეისრის მიერ გიორგი მეფის ასულის საცოლოდ დანიშვნის შემდგომ ხომ უფრო დაუახლოვდა საბერძნეთის მმართველთა წრეს. ამიტომაც კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ დაპყრობა საქართველოსათვის მარტო პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით-კი არ იყო სავალალო, არამედ მისი სამეფო სახლობისათვისაც ეს ამბავი პირადი უბედურებისა და მწუხარების მომასწავებელი იყო, რათგან გიორგი მეფეს და მის ასულს ამავე დროს ბრწყინვალე სასიძოსი და საქმროს სიკვდილი უნდა ეგლოვათ. ამ პირადი და ოჯახური გარემოების გარდა, ბიზანტიის მოსპობა და ოსმალთა გაბატონება კონსტანტინეპოლში საქართველოს დასავლეთისაკენ მიმავალს მთავარ და უმოკლეს გზას უკრავდა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალს არტყამდა. თავისუფალი კულტურულ-პოლიტიკური კავშირის შესაძლებლობა ახლად გამოღვიძებულ დასავლეთთან მას ამიერითგან მოსპობილი ჰქონდა. ამიტომ სწორედ განმაცვიფრებელია, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში კონსტანტინეპოლის აღების შესახებ ასეთი მცირე და მხოლოდ მშრალი მატიანისებური ცნობები მოიპოვება.

## პაპი პიო II-ის გეგმა ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და საქართველოს პოლიტიკოსთა მონაწილეობა

წინამოსაყდრე პაპთა გეგმის დამსხვრევისდა მიუხედავად პაპს პიო II-ეს ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად უფრო ფართო და რთული გეგმა შეუმუშავებია. მას მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის საქრისტიანო ქვეყნების ამოძრავება განუზრახავს და შეუგნია, რომ კონსტანტინეპოლის დასაბრუნებლად თურქების მთელი ძლიერების დამხობა იყო საჭირო, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მოსახერხებელი, თუ ოსმალებს მცირე აზიაშიაც ნიადაგი ფეხებითგან გამოეცლებოდათ. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად საჭირო იყო ევროპის ჯვაროსნების ოსმალთა საწინააღმდეგოდ ამხედრებას მცირე აზიაში მყოფი ქრისტიანებიც მიმხრობოდნენ. ამ საქმის მოსაწყობად პაპს მინორიტების მოწესეთაგან ლუდოვიკო ბოლონიელი გამოუგზავნია მახლობელ აზიაში. ის

[1] K. Müller, Kirchengeschichte, II, 112—113.

[2] იქვე, 113.

საქართველოშიაც მოსულა და აქ უამბია, რომ რომის პაპი მანტუაში წაბრძანდა საეკლესიო კრების მოსახდენად და თურქთა ხელმწიფის მუჰამედის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად. ლუდოვიკო ბოლონიელს ამასთანავე უთქვამს, რომ რომის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელს სურდა, რომ როცა ის ევროპაში ოსმალებს ომს აუტეხავდა, ქართველ მეფე-მთავრებსაც მათთვის ჩხუბი აეტეხათ[1]. ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ ამით პაპს თურქთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შემსუბუქება სურდა, რათგან აზიაშიაც ოსმალებს ჯარის დაბანდება მოუხდებოდათ და ამის გამო უნებლიეთ მთელს თავიანთ ძალას ევროპის ბრძოლის ველზე ვერ მოიშველებდნენ.

რაკი ქართველებს თითონაც თურქები მტრად ჰყავდათ გადაკიდებული და სძულდათ, ამიტომ ეს აზრი საქართველოს მმართველ წრეებს ძალიან მოსწონებიათ[2]. მაგრამ ქართველ მეფე-მთავრებს ამ დროს ურთიერთშორის უთანხმოება და ბრძოლაც-კი ჰქონდათ. ეს გარემოება, რასაკვირველია, ამ გეგმის განხორციელებას ქართველთა და აღმოსავლეთის ქრისტიანეთა დახმარებას რომის პაპის ჯარის ოსმალთა საწინააღმდეგო გალაშქრებაში მეტად სათუოდ ხდიდა. ამიტომ პაპის მოციქულს გადამტერებული და ერთიერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი მეფე-მთავრების შესარიგებლად შუამავლობა უკისრია. ის ალბათ შეარცხვენდა მათ და ეტყოდა, რომ ძმათა და ერთმორწმუნეთა შორის სისხლის ღვრის მაგიერ, რაც არც მათთვის იყო სახეირო და ღვთის წინაშეც დიდ და მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა, მათი სულისათვისაც და სახელმწიფოებრივი არსებობის უზრუნველყოფისათვისაც გაცილებით უფრო უკეთესი იყო თავიანთი ძალღონე თურქების წინააღმდეგ მოეხმარათ და გამოეყენებინათ.

ლუდოვიკო ბოლონიელს არამც თუ აბობოქრებულ ვნებათა ღელვისა და მტრობის ალის განელება და ჩაქრობა მოუხერხებია, მათ შორის თანხმობაც ჩამოუგდია[3].

## საქართველოში დადებული ხელშეკრულება ოსმალთა საწინააღმდეგო ჯვაროსანთა ომის მოსაწყობად და მისი მონაწილენი

1459 წ. საქართველოს მეფე-მთავრებს შორის უკვე ზავი ჩამოგდებული იყო და ხელშეკრულებაც-კი დაიდო. გიორგი მეფე ამ ამბავს ბურგუნდიის მთავარს ატყობინებდა და სწერდა: ჩვენ, ყველა ქრისტიანმა მთავრებმა, რომელნიც ამ ქვეყნებში ვცხოვრობთ, ურთიერთშორის ზავი, კავშირი და ერთობა დავდეთ და ერთიერთმანეთს შევფიცეთ მთელი ჩვენი ცოდნითა და ძალღონით თურქებს ვეომოთ, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც კონსტანტინეპოლში არიან, რათგან ისინი ქრისტიანეთა ყველაზე უფრო მოძულენი არიანო[4].

---

[1] Waddingo, Annales Minorum t. 13, p. 154, იხ. მ. თამარაშვილის ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 597, შეად. გვ. 61.

[2] იქვე, 597.

[3] იხ. ყუარყუარეს 1459 წ. დაწერილი ეპისტოლე ბურგუნდიის მთავრისადმი და Waddingo-ს o. c. t. 13, p. 154. იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 594 და 598.

[4] მ. თამარაშვილი, ისტ. კათ. 596.

ყუარყუარე ათაბაგიც 1459 წ-ს ახალციხითგან იმავე ბურგუნდიის მთავარს ატყობინებდა: წინათაც ჩემი წინაპრების მსგავსად უსჯულოებს ვებრძოდი და უკანასკნელ წლებში რომ ჩემსა და სხვა ჩემ მეზობელ ქრისტიანე მთავართა შორის ომი არ ამტყდარიყო, უფრო მეტის ძლევამოსილებით ვაწარმოებდით ბრძოლას ურწმუნოთა წინააღმდეგ. ეხლა-კი ლუდოვიკო ბოლონიელის ჩაგონებით ყველა ჩემ მეზობელ ქრისტიანებს ზავით შევეკარი და გადავწყვიტე მთელი ჩემი ძალ-ღონე და შეძლება თურქთა საწინააღმდეგო ბრძოლას მოვახმარო [1].

## მოკავშირეთა სიები

საქართველოს მეფე-მთავართა ამ კავშირის მონაწილეთა რამდენიმე სიაა შენახული. ორი ამ სიათაგანი გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის წერილებშია მოყვანილი, ერთი კიდევ იმ აღწერილობაში მოიპოვება, რომელიც საქართველოთგან ევროპაში მისული ელჩების შესახები ცნობების აღნუსხვას წარმოადგენს. ამ სიებში სრული თანხმობა არ არის, მაგრამ არსებითი განსხვავება მაინც არ მოიპოვება და ყველაფერი გადამწერთა ან იქნებ ზოგან უკვე ჩამწერთა დამახინჯებით უნდა აიხსნებოდეს. დედნის აღდგენა ძნელი არ არის. გიორგი მეფე თავის 1459 წლის ეპისტოლეში მოკავშირეებად ასახელებს:

| | |
|---|---|
| „Ego Georgius rex Persarum" | მე გიორგი მეფე პერსთა (sic, სპარსთა?) |
| „Bedian rex Mingreliae" | ბედიანი სამეგრელოს მეფე |
| „Gorgora dux Georgianae" | ყუარყუარე ქართველთა მთავარი |
| „Rabia (sic) dux Anocaciae" | რაბია (sic) ანოკაციის მთავარი [2] |

თვით ყუარყუარე ამავე წელს დაწერილსა და ბურგუნდიის მთავრისადმი გაგზავნილს წიგნში ამ საქმის მონაწილედ სთვლის თავის თავს და შემდეგ პირებს:

| | |
|---|---|
| „Ego Gorgora dux Georgianae" | მე ყუარყუარე ქართველთა მთავარი |
| „Georgius rex Persarum" | გიორგი მეფე პერსთა (სპარსთა?) |
| „Bendian rex Mingreliae" | ბენდიან სამეგრელოს მეფე |
| „Rabia dux Anocasiae" | რაბია ანოკასიის მთავარი [3] |

დასასრულ, საქართველოთგან ევროპაში 1460 წელს მისულს ელჩებს განუცხადებიათ, რომ ოსმალთა საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებდნენ:

| | |
|---|---|
| „Bendas (sic) Mengreliae et Abasiae rex et | ბენდას (sic) სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე და |
| Pancratius Iberorum qui nunc Georgiani vocantur et | ბაგრატი იბერთა, რომელნიც აწ გიორგიანებად იწოდებიან, და |
| Mania (sic) marchio Goriae | მანია (=მამიას) გურიის ერისთავი |
| et Fabia dux Angosiae" | და ფაბია ანგოსიის მთავარი [4] |

---

[1] Aenea Sylvius, lib. I, 489. იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 596, შეად. გვ. 57.

[2] მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 596—597, შეად. გვ. 59.

[3] იქვე, 594—595, შეად. გვ. 57—58.

[4] Waddingo, Annales Minorum. იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 598, შეად. გვ. 62.

## ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

ამ ნუსხებში მოხსენებული გიორგის „პერსთა“ მეფის წოდებულება განგებ დავტოვე უთარგმანოთ. პირდაპირ შეუსწორებლივ რომ გადმოითარგმნოს, მაშინ „rex Persarum“ სპარსთა მეფედ უნდა გადმოგვექართულებინა, მაგრამ უკვე მ. ბროსე და შემდეგ მ. თამარაშვილი ამ გიორგის სამართლიანად საქართველოს მეფედ სთვლიდნენ და არა სპარსეთისად[1]. აქ რომ მართლაც საქართველოს მეფეზეა ლაპარაკი და არა სპარსეთისაზე, ამას ცხადად ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მის ელჩს ეწოდება „Nicolaus orator Georgii Alexandri magni Regis Persarum“ — ნიკოლოზი გიორგი დიდი ალექსანდრეს „პერსთა“ მეფის შვილის მოციქული[2]. ცნობილია, რომ გიორგი მეფე მართლაც დიდი ალექსანდრე მეფის შვილი იყო, სპარსეთში-კა ამგვარი სახელის მეფე არ ყოფილა. ბროსემაც მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ გიორგი სპარსთა მეფედ იწოდება და ასეთი განმარტება აქვს: გიორგი მეფე თითონაც თავის თავს უწოდებდა „მეფე სპარსთა, დიდი სომხეთისა და მცირე იბერიისა“-ო, ხოლო იმავე დროს იმერეთში მეფე ბაგრატი ყოფილა, ბაგრატ II, რომელიც გიორგის აუჯანყდა და 1462 წ. მეფედ ეკურთხა და თავის თავს უწოდა მეფე იბერთა, „ეხლა რომ გიორგიანებად ცნობილნი არიანო“[3]. მ. თამარაშვილიც განცვიფრებული ამბობს: „არ ვიცით ნამდვილი მიზეზი თუ თავის თავს (გიორგი) სპარსეთის მეფედ რად უწოდებს, ხოლო ვფიქრობთ იმიტომ დაირქვა ეს სახელი, რომ ამ დროებში (sic) თუ ქუთაისის მეფემ ბაგრატმა და თუ სხვა მთავრებმა ბევრჯერ ჩამოართვეს საქართველოს ტახტი და არ ასვენებდენ თავის სამეფოში“-ო[4].

უცნაური დასაბუთება და განმარტებაა: განა ვისაც თავისი სამეფო ტახტის დაცვისა და შერჩენის ძალა არ შესწევდა, თავისი თავის სხვა სახელმწიფოს მეფედ გამოცხადება შეეძლო? და თუნდაც რომ ასეთი უცნაური სიცრუე ეკადრა, განა ამას საქართველოში ნამყოფი პაპის ელჩი არ გაამხელდა? ცხადია ამგვარი განმარტებით დაკმაყოფილება არ შეიძლება.

მაგრამ ვერც მ. ბროსეს განმარტება ჩაითვლება უცილობელ ჭეშმარიტებად, რათგან გიორგი მეფე თავის სიგელებში არას დროს თავის თავს „სპარსთა, დიდი სომხეთის და მცირე იბერიის მეფედ“ არ უწოდებს, თუ ამით ბროსე საქართველოს მეფეთა ჩვეულებრივს წოდებულებებს — „მეფე... ქართველთა, სომეხთა“ და სხვას არ ჰგულისხმობს. მაგრამ თვით ბაგრატიც ამგვარსავე წოდებულებას ხმარობს თავის სიგელ-გუჯრებში. ხოლო თუ ბროსეს თავისი დასკვნა ლათინურად შენახულ საბუთებზე ჰქონდა დამყარებული, მაშინ მისი განმარტება მცდარად უნდა ჩაითვალოს, რათგან ჯერ სწორედ ის უნდა დამტკიცდეს, რომ თვით საბუთები სწორად არის შენახული და ამ ადგილას იმგვარა-

[1] Brosset, Add. et éclair. XXIII, 411 შენ. 2 და მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 60—61.

[2] Aeneae Sylvii Pii II Pontif. Epist. lib. I, p. 852, იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 598.

[3] Add. XXIII, 411 შენ. 2.

[4] ისტ. კათ. 61.

დეე, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ქვეყნის სახელი დამახინჯებული არ არის. პირიქით, სწორედ ის გარემოება, რომ ამ ლათინურად შენახულს საბუთებში „ბენდასი“ სწერია „ბედიანის“ მაგიერ, „მანია“ „მამიას“ მაგიერ, ამ შემთხვევაშიაც სიფრთხილეს გვიკარნახებს და გვაფიქრებინებს, რომ აქაც სახელი უნდა დამახინჯებული იყოს. თუ „მეფე სპარსთა“ — „rex Persarum“ თვით თავდაპირველს დედანშიაც მართლა ეწერა, მაშინ ერთადერთ შესაძლებელ განმარტებად შეიძლება მხოლოდ ის მოსაზრება იყოს მოყვანილი, რომ საქართველოს მეფის წოდებულება იქნება იქ სრულად იყო მოყვანილი და მეფე „სპარსთა“ ქართული ტექსტის შაჰან-შაჰს უდრის. მაგრამ თუ ამ განმარტებით დავკმაყოფილდებით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მერმინდელ გადამწერთაგან დაუდევრობით ყველა საბუთებში სამეფო წოდებულების უმეტესი ნაწილი, ამ „მეფე სპარსთას“ გარდა, გამოტოვებულ იქნა, ის გარემოება, რომ ყველა საბუთებში ერთნაირად არის დაწერილი, ამ განმარტებას ცოტა არ იყოს საეჭვოდა ჰხდის. ხოლო თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ მეფე „სპარსთა“ მერმინდელი გადამწერის შეცდომაა და არა თავდაპირველი დედნის კუთვნილება, მაშინ „rex Persarum“ შესაძლებელია დამახინჯებულიყოს „rex Abasgarum“, ან „Abasarum„-ისაგან[1], ესე იგი დედანში „აბხაზთა მეფე“ წერებულიყოს. ხოლო რათგან საშუალო საუკუნეების რომაელ გადამწერთათვის ეს სახელი სრულებით უცნობი იყო, სპარსთა სახელი კი ყველამ იცოდა, ამიტომ გადამწერთ დედნის სიტყვის მაგიერ ტექსტში შეიტანეს rex Persarum, რამაც საბუთის აზრი თუმცა სრულებით დაამახინჯა, მაგრამ ხალხის სახელი მაინც ყველასათვის გასაგები გახადა.

რომაელ მისიონერთა ცნობებში ქართველთა მეფისა და სამეგრელოს მთავრის გარდა თავდაპირველად, ზოგჯერ მაინც, სხვა მეფეც ყოფილა მოხსენებული. 1458 წ. პაპის ერთ წერილში ნათქვამია:

| | |
|---|---|
| | რომელთა შორის ითვლებიან... |
| Inter quos sunt... Catholicon | ქართლისა კათალიკოზი, |
| Georgianis, rex Persarum, | მეფე „პერსთა“ (?) მეფე საქართველოსი, |
| rex Georgianiae, rex Men- | მეფე სამეგრელოსი, |
| greliae, imperator Trapezuntinus: | ტრაპიზონის ხელმწიფე[2]. |

ამ ლათინურს დედანში „Catholicon Georgianis“ „ქართლისა კათალიკოსს“ უდრის, Rex Georgianae — „ქართუელთა მეფეს“, ხოლო რაკი „rex Persarum“ ქართლის კათალიკოსსა და ქართველთა მეფეს შუაა მოქცეული და ცხადია აზრით ქრისტიანს მეფეს ეხება და არა მაჰმადიანს, სპარსეთის შაჰს, ამიტომ საფიქრებელია აქაც თავდაპირველად აფხაზთა მეფე იქნებოდა მოხსენებული და შემდეგში უნდა დაემახინჯებინათ და სპარსთა მეფედ ექციათ. მაგრამ ეს ცნობა და სია მაინც დამაფიქრებელია.

სამეგრელოს მთავრის ანუ, როგორც იქ არის ნათქვამი, „მეფის“ სახელის აღდგენა ადვილია, რათგან პირველს ცნობაში სწორად სწერია და რასა-

---

[1] იხ. მაგ. „Bendas Mengreliae et Abasiae rex“ (Waddingo, Annales Minorum, მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 598).

[2] იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 592, შეად. გვ. 51.

კვირველია, ბედიანი იქნებოდა, როგორც სამეგრელოს მთავრები ქართულ წყაროებშიაც ცნობილი არიან.

გორგორა (Gorgora dux Georgianiae) უდრის ყუარყუარეს, რომელიც მის დროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში ასე იწოდება: «ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ჲ ს ა  ა თ ა ბ ა გ ი, სამცხისა სპასალარი ჯაყელ-ციხისჯვარელი... პატრონი ყუარყუარე»[1]. თუ ლათინურს გამონათქვამს ქართულ ზემოთმოყვანილ ცნობას შევადარებთ, ცხადი იქნება, რომ dux Georgianiae სწორედ ამ ქართული წოდებულების „საქართველოს ათაბაგის“ თარგმანს წარმოადგენს.

„მანია“ (Mania Marchio Goriae), როგორც თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ მ ა ც შეასწორა, რასაკვირველია, მამია უნდა იყოს, ხოლო მარკიზი ალბათ ერისთავს უდრის. მაშასადამე, სრულად იქმნება „მამია გურიის ერისთავი“.

ძნელი შესასწორებელია მხოლოდ უკანასკნელ სტრიქონში მოქცეული ცნობა Rabia (ან Fabia) dux Anocaciae (Anocasiae, Angosiae) თუ აქ dux მთავარს ან ერისთავს უდრის, გეოგრაფიულ სახელად შეიძლება Anacopiae ყოფილიყო თავდაპირველს დედანში, ე. ი. ანაკოფიის ერისთავი. თვით ამ პირის საკუთარი სახელი-კი როგორ უნდა შესწორდეს, ძნელი სათქმელია.

## ქართველ პოლიტიკოსთა ოსმალთა საწინააღმდეგო ფართო გეგმა

რაკი საქართველოს მეფე-მთავრებისათვის ოსმალთა საშიშროება არც განყენებული აზროვნების მოჩვენება ყოფილა, არც შორეული განსაცდელის წინაგანჭვრეტილობა, არამედ მშობლიური ცხოვრების სინამდვილე, ამიტომ ისინი მხურვალე გულით და აღფრთოვანებით შეუდგნენ ამ საქმეს. თუ რომის პაპი ფიქრობდა, რომ ქართველებსა და მათ მოკავშირეებს მხოლოდ უნდა შეემსუბუქებინათ ევროპის ჯვაროსანთათვის ოსმალთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება კონსტანტინეპოლის განსათავისუფლებლად განზრახული, რომ ოსმალეთს თავისი მხრით უფრო ადვილად შეჰსეოდნენ, ქართველებმა უფრო ფართო და გაბედული მიზანი დაისახეს. ქ ა რ თ ვ ე ლ  მ ე ფ ე - მ თ ა ვ რ ე ბ ს  უ ნ დ ო დ ა თ საქმე ისე მოეწყოთ, რომ ო ს მ ა ლ თ ა  ს რ უ ლ ი  დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა, ს ა ბ ო ლ ო ვ ო  გ ა ნ ა დ გ უ რ ე ბ ა და თვით სახსენებლის მოსპობაც-კი შესაძლებელი გამხდარიყო. ა მ ი ს ა თ ვ ი ს ქართველებს ოსმალთა წინააღმდეგ ერთდროული თ ა ნ ხ მ ო ბ რ ი ვ ი  მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს  მ ო წ ყ ო ბ ა  მ ი ა ჩ ნ დ ა თ  ს ა ჭ ი რ ო დ  ი ს ე, რ ო მ  ო ს მ ა ლ ე თ ი ს ა თ ვ ი ს  ო რ თ ა ვ ე  მ ხ რ ი თ  შ ე ე ტ ი ა თ  დ ა  ს ა მ ხ ე დ რ ო  მ ო ქ მ ე დ ე ბ ა  ე წ ა რ მ ო ე ბ ი ნ ა თ. ოსმალთა მცირე აზიის სამფლობელოში, ანატოლიაში, ქართველები უნდა შეჰრილიყვნენ თავიანთი მოკავშირეებითურთ, დანარჩენს-კი, საბერძნეთისა და შავი ზღვის ნაწილს, ქართველი პოლიტიკოსები დასავლეთი ევროპის ჯვაროსან ქრისტიანებს უტოვებდნენ სამოქმედო ასპარეზად. ამგვარად შემუშავებული სამხედრო გეგმის განხორციელება ქართველებს სრულს იმედს აძლევდა, ვითომც ერთს ზაფხულში მთელს ანატოლიასა და მცირე აზიაში მყოფ სამფლობელოს ოსმალთა ხელითგან გამოგლეჯას შესძლებ-

[1] ათონის ალაპ., იხ. ათონის კრებ., $266_{1-3}$.

დნენ, და რაკი ოსმალეთზე ამასთანავე ორთავე მხრითგან იქნებოდა იერიში მიტანილი, ორ ჯარს შუა მოქცეული წინააღმდეგობის გაწევას ნაკლებად შესძლებს, მალე დამარცხდება და თვით მათ სახსენებელსაც-კი მოვსპობთ დედამიწის ზურგზეო[1].

## ქართველ მოკავშირე მეფე-მთავრებისაგან ამ საქმისათვის გამომეტებული სამხედრო ძალის რაოდენობა

ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრების გეგმა რომ შეუმუშავებიათ და ურთიერთშორის პირობა დაუდვიათ, ქართველ მეფე-მთავრებს ისიც გამოურკვევიათ, თუ თითოეული მათგანი რა მონაწილეობას მიიღებდა ამ საქმეში. გიორგი მეფეს აღუთქვამს, რომ ამ ომში პირადადაც მონაწილეობას მიიღებდა და 40000 მეომარსაც გამოიყვანდა. ყუარყუარე ათაბაგსაც განუცხადებია, რომ ისიც პირადად გამოვიდოდა 20000 ცხენოსან ჯარითურთ. სამეგრელოს მთავარი მთელი თავისი მებრძოლი ძალის გამოყვანას შეჰპირებია. ანაკოფიის (?) ერისთავიც ძმებითა, აზნაურებითა და მთელი თავისი ძალით მონაწილეობას ჰკისრულობდა[2].

ამ ორ მთავარს თავისი მებრძოლი ძალ-ღონის ზედმიწევნით განსაზღვრა არ მოუსურვებია, მაგრამ დაახლოებით და სავარაუდოდ ქართველებს ნაანგარიშევი ჰქონიათ. მთელ თავის მებრძოლთა რიცხვს, სამხედრო ძალას, როგორც საკუთარს, ისევე ალბათ ქრისტიანე მოკავშირეებისასაც, ქართველი პოლიტიკოსები 120000 ჯარისკაცად ანგარიშობდნენ[3]. ხოლო ქვემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ ორს არა ქართველს ქრისტიანე მოკავშირეს ამ საქმისათვის სულ 50000 მებრძოლი უნდა გამოეყვანა, მაშასადამე, ქართველი ჯარის-კაცების რიცხვი სულ 70000 უნდა ყოფილიყო. ზემომოყვანილითგან ცხადია, რომ მარტო გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის საომარი ძალა 60000 მოლაშქრეს შეიცავდა და ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამეგრელო-აფხაზეთის მთავართა ჯარი სავარაუდოდ 10000-ად ყოფილა ნაანგარიშევი. თუ ჩვენ მარტო იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ისეთს ძლიერსა და დიდ საბრძანებლის პატრონს, როგორიც სამცხე-საათაბაგოს მფლობელი ყუარყუარე იყო, 20000 ჯარისკაცზე მეტის გამოყვანა ვერ აღუთქვამს, მეომართა ზემომოყვანილი რაოდენობა სამეგრელო-აფხაზეთისათვის მცირე არ გვეჩვენება.

---

[1] 1459 წ. ყუარყუარე ათაბაგის წერილი ბურგუნდიის მთავრისადმი: იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 595—596, შეად. გვ. 57—59.

„Hoc unum vobis policemur in una aestate debellare et auferre totam Nataliam (Anatoliam) et quidquid dominus Othomanorum, id est ipse Turcus Constantinopolitanus, possidet ex nostra latere. Alteram vero partem dominii sui quae Grecia est, quam Mare Euxinum dividit, vobis expugnandam relinquimus quod vobis facile erit, nam ipse Turcus in medio positus duorum exercituum cum resistere minime poterit, cito succumbet et nomen suum e terra delebimus".

[2] გიორგი მეფის წერილი: მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 596—597,

[3] Waddingo, Annales Minorum 13, p. 154. იხ. ისტ. კათ. 598.

## ქართველთა ქრისტიანე მოკავშირენი მცირე აზიაში და მათი ამ საქმეში მონაწილეობა

ქართველებს კარგად ესმოდათ, რომ ასეთი ფართო და გაბედული გეგმის განხორციელება ოსმალეთის წინააღმდეგ, თუნდაც მხოლოდ მცირე აზიაში, მარტო თავისი, გინდა შეერთებულის ძალითაც, არ შეეძლოთ, თუ რომ მეზობლებს არ მოიშველიებდნენ და საქმის მხურვალე მონაწილედ არ გაიხდიდნენ. ამიტომ მათ ტრაპიზონის იმპერატორისა და მცირე სომხეთის პატრონისათვისაც მიუმართავთ, რომ ქართველთა მოკავშირედ ყოფილიყვნენ ამ საქმეში. როგორც ქრისტიანებს და ოსმალთა საშიშროების უმახლობელეს მსხვერპლთ, მათ უეჭველია სიხარული უნდა ეგრძნოთ ამ ამბავის გაგების დროს. დავით ტრაპიზონის მეფეს აღუთქვამს, რომ 30 ხომალდს და 30000 ჯარისკაცს გამოიყვანდა თავისი მხრით, მცირე სომხეთის პატრონი-კი 20000 მებრძოლის მოშველებას დაჰპირებია [1].

## ოსმალთა წინააღმდეგ ქართველთა გეგმის პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი თვალსაზრისი

ტრაპიზონელი და მცირე სომხეთელი მეშველი ჯარითაც ქართველთა და მათ მოკავშირეთა შეერთებული ლაშქარი მაინც მხოლოდ 120000 მებრძოლს შეიცავდა. ქართველმა მმართველმა წრეებმა კარგად იცოდნენ ოსმალთა სიძლიერე და უნდა ყოველგვარი დაბრკოლება ეძლიათ, რაც-კი წინასწარ მათ გზაზე გადაეღობებოდათ, რომ თავიანთი სამხედრო მიზნის შესრულება ცოტად მაინც გაეადვილებინათ. ალბათ სწორედ ამიტომ ქართველი პოლიტიკოსები მარტო ქრისტიან მეზობელთა თანამშრომლობით არ დაკმაყოფილებულან და თავიანთი გეგმა სარწმუნოებრივი ზღუდეებით კი არ შემოუფარგლავთ, არამედ ამ საქმის განხორციელების დროს საფუძვლად პოლიტიკური თვალთსაზრისით უხელმძღვანელიათ. ქართველ მეფე-მთავრებს მაჰმადიან თურქ მთავრებისათვისაც მიუმართავთ და უთხოვიათ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათაც მონაწილეობა მიეღოთ. ქართველებს იმ გარემოებით უსარგებლიათ, რომ მათ გულში სტამბოლის თურქთა წინააღმდეგ იმდენად ძლიერი მტრული გრძნობა ღვიოდა, რომ მათ დასამხობად ქრისტიანებთანაც სიამოვნებით შეერთდებოდნენ. ქართველებს მოუხერხებიათ კიდეც და თავიანთ მოკავშირეებად მიუმხრიათ „სამი ძლიერი უსჯულო მთავარი, რომელნიც კონსტანტინეპოლელ თურქთა მტრები“ იყვნენ: ერთს „ყარამანი“ ერქვა, მეორეს ჰასანბეგი, მესამეს, რომელიც „ყარაჲლუკის“ შვილი იყო „ალემბეგი“ ეწოდებოდა. უკანასკნელი შუამდინარეს მეფედ (rex Mesopotamiae) არის დასახელებული [2].

---

[1] გიორგი მეფის წერილი: იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 596—597.

[2] გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის 1459 წ. ეპისტოლეები ბურგუნდიის მთავრისადმი: მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 596—597 და 595.

## ქართველთა მაჰმადიანი მოკავშირეები ოსმალთა წინააღმდეგ

თუმცა სახელები დამახინჯებულია, მაგრამ მათი აღდგენა შეიძლება: Assambech უდრის დედნის ჰასანბეგს, ე. ი. უზუნ-ჰასანად ცნობილს სპარსეთის მეფეს. „Filius Carailuci Aliembech"-ის შესახებ უნდა ითქვას, რომ ყარაჲლუკის ერთს შვილს მართლაც ალიბეგი ერქვა [1]. იქნებ ეს ალიბეგი იგულისხმება, მაგრამ ის ხომ უზუნ-ჰასანის ბიძა იყო? Caramanum ან Caramanis ყარამანად აქ ალბათ ლიკაონიის მმართველთა ყარამანის საგვარეულოს იბრაჰიმბეგის შვილი ყარამანი იგულისხმება [2].

უზუნ-ჰასანი მართლაც ოსმალთა დაუძინებელი მტერი იყო და ამიტომაც არის, რომ ვენეტიკის რესპუბლიკის მმართველი წრეებიცა და რომის პაპიც მასთან შეთანხმებასა და დაკავშირებაზე ყოველთვის ოცნებობდნენ [3]. ამიტომვეა, რომ ქართველებმა თავიანთი სამხედრო გეგმის მონაწილედა და მოკავშირედ გახადეს ანუ, როგორც საბუთში ნათქვამია, „კონფედერაციის წევრად" შემოიყვანეს (Habemus etiam nobiscum in nostra confederatione). მის მომხრეობას ქართველთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ თითონ ზურგი მაგარი ექნებოდათ და იმ დროს, როდესაც ოსმალთა წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ, სპარსთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი იქნებოდნენ. მაგრამ ამის გარდა იმიტომაც, რაკი უზუნ-ჰასანისა და ოსმალთა სამფლობელოები მომიჯნავენი იყვნენ, და უზუნ-ჰასანის დახმარება, რასაკვირველია, მით უფრო ძვირფასი იყო, რომ ოსმალეთში შესასევად გზის დანებებასაც დაჰპირებია და თითონაც პირადად მთელი სამხედრო ძალით ქართველებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება უკისრია. იმ მტრობის გარდა, რომელიც მას მოძმე და ერთმორწმუნე ოსმალთა მოწინააღმდეგედა და ქრისტიან ქართველთა თანამოლაშქრედ ხდიდა, მას გამორჩენის იმედიც ამოძრავებდა და აგულიანებდა.

უზუნ-ჰასანს ქ. ბრუსის დასაკუთრება და შემოერთება სურდა (in primis capere civitatem Bursiae ut possideat pro se). ამ წადილს განხორციელება რომ ჰღირსებოდა, ოსმალეთი მართლაც უნდა საბოლოოდ დამხობილიყო. რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს წადილი, ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ მას ქართველი მეფე-მთავრებისათვის პირობის წერილი მიუცია, რომ ის მარად ქრისტიანთა უუმეგობრესი გრძნობით იქმნებოდა განმსჭვალული [4].

---

[1] იხ. С. Лэн-Пуль, Мусульманск. династии პროფ. ვ. ბარტოლდის გამ., 302 და ჰამმერი, Hist. de l'Empire Ottoman II, 510.

[2] ჰამმერის იგივე თხზულება, II, 509, იხ. აგრეთვე С. Лэн-Пуль, Мусульман. династии, გვ. 158. შეადარე მ. თამარაშვილის თარგმანს ისტ. კათ. 58 და 60 დაბროსეს.

[3] P. Horn, Geschichte Irans in islamischer Zeit. Grundriss d. iranischen Philologie II, 578.

[4] ყუარყუარე ათაბაგის 1459 წ. ეპისტოლე ბურგუნდიის მთავრისადმი: მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 595, შეად. 58.

## ქართველ პოლიტიკოსთა მიერ სამოქმედო გეგმის გაფართოება

მაგრამ ქართველი მეფე-მთავრები არც ამით დაკმაყოფილებულან, მათ უკვე ამაზე ფართო და მიმზიდველი მიზანი ესახებოდათ: იერუსალიმის „უსჯულოთა“ ხელითგან გამოგლეჯა და განთავისუფლება. ამის თაობაზედაც ჰქონიათ მათ უზუნ-ჰასანთან მოლაპარაკება და სიტყვა ჩამოურთმევიათ, რომ მოვალე იყო, თუ-კი დასავლეთი ევროპის ქრისტიანები იერუსალიმის ასაღებად გამოილაშქრებდნენ, მთელი თავისი ძალღონით შეძლებისამებრ მიჰშველებოდა [1].

## საქართველოს მეფე-მთავართა და მათ მოკავშირეთა მოციქულების დასავლეთ ევროპაში გაგზავნა

ქართველთ მეფე-მთავრები და მათი მოკავშირენი ისე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტიანეთა შეერთებული და თანხმობრივი სამხედრო მოქმედება მოეწყობოდა, რომ დასავლეთში თავიანთი დესპანები გაისტუმრეს ეპისტოლეებითა და სიტყვიერი დავალებით დატვირთულნი. ქართველები მოუთმენლივ ეკითხებოდნენ დასავლეთის ქრისტიანებს, გვაცნობეთ მზადა ხართ თუ არა საომრად, რომ ჩვენც დანამდვილებით ვიცოდეთ, რა დროისათვის ავისხათ იარაღი და საბრძოლველად წამოვიდეთო [2].

ლუდოვიკო ბოლონიელის წინამძღოლობით საქართველოს დესპანები ნიკოლოზ ტფილელი და „ქასადან ყარჩიხან“ (თუ ყორჩიხან) სამეგრელოს გზით და მდინარე დანუბით ჯერ უნგრეთში მივიდნენ, შემდეგ გერმანიაშიც, სადაც ფრიდრიკო იმპერატორს საქართველოს მეფე-მთავრების სალამი მოახსენეს. მერმე ელჩები ვენეტიკს მივიდნენ, რომლის სენატმა დესპანები დიდის პატივისცემით მიიღო. 1460 წ. მათ რომს მიაღწიეს. იქ მათ ვითარცა მეფეთა ელჩებს დიდის ამბით სასულიერო დასნი დაუხვდნენ ეპისკოპოსითურთ, სადგომად სამთავრო სასახლე მიუჩინეს და ხუთივე ელჩი — გიორგი მეფისა — ნიკოლოზ ტფილელი, ყუარყუარესი — ქასადანი, დავით ტრაპიზონელი კეისრისა — მიხეილი, მცირე სომხეთის მთავრისა — მორალო და უზუნ-ჰასანისა — მაჰმედ, მთავრობის ხარჯით შეინახეს [3].

საქართველოთგან ჩასულმა ელჩებმა პაპს პიო II-ეს თავიანთ ბატონების გიორგი მეფისა და ყუარყუარე ათაბაგის ეპისტოლეებიც მიართვეს და საქმის მთელი ვითარებაც პირადად მოახსენეს: უამბეს რაოდენი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია რომის პაპის წინადადებამ, რომ მათაც კონსტანტინეპოლის ოსმალთაგან განთავისუფლებაში დასავლეთის ჯვაროსანთათვის დახმარება გაეწიათ.

---

[1] ყუარყუარე ათაბ. 1459 წ. ეპისტოლე ბურგუნდიის მთავრისადმი: მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს კათ. ისტ. 596, შეად. 58.

[2] ი ქ ვ ე, 595.

[3] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტ. კათ. 61.

## გეგმის ჩაშლა და ოცნების გაცრუება

პაპი უეჭველია შეამჩნევდა, რომ გარკვეული და ვიწროდ შემოფარგლული მიზნის მაგიერ, რომელიც რომში იყო შემუშავებული, საქართველოში მეტად დიდი და ფართო სამოქმედო გეგმა შეითხზა. მაგრამ მწარე გამოცდილებამ რომის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელი დაარწმუნა, რომ არამც თუ ეს უსაზღვროდ ვრცელი გეგმა, მისი და მის მოადგილეთა მიზანიც-კი მიუღწეველი და განუხორციელებელი იყო. მას არ შეეძლო საქართველოთგან ჩამოსული ელჩებისთვის დაემალა, რომ მისი ყოველივე ცდა უნაყოფო გამოდგა და დასავლეთის ქრისტიან მთავრებს პაპის ქადაგება კონსტანტინეპოლის განსათავისუფლებლად ჯვაროსნული ომის მოწყობის საჭიროების შესახებ ოდნავადაც გულს არ მიჰხვედრია. ბიზანტიის სატახტო ქალაქი მათთვის მეტად შორეული ადგილი იყო და ოსმალთა ბატონობის საშიშროებასაც ისე ძლიერად არ გრძნობდნენ, რომ პაპის ქადაგებას შესაფერი გავლენა მოეხდინა[1].

ასეთ პირობებში პაპს სხვა არა დარჩენოდა რა იმის გარდა, რომ საქართველოს მეფე-მთავრების და მათი მოკავშირეების დესპანებისათვის ერჩია საფრანგეთის მეფე და ბურგუნდიის მთავარი პირადად ენახათ და მათთვის ოსმალეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება ეთხოვათ: სხვა გზა არ იყო, ქართველთა და მათ თანამოაზრეთა ელჩებს უნდა შემოევლოთ ევროპა და ხვეწნა-მუდარა დაეწყოთ. მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ი ს ე შ ე ი ც ვ ა ლ ა, რ ო მ თ უ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ა ზ რ ი ო ს მ ა ლ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ე კ ლ ე ს ი ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ წ რ ე ე ბ ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ა თ დ ა ი ს ი ნ ი ე ხ ვ ე წ ე ბ ო დ ნ ე ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ს, რ ო მ მ ა თ ა ც ა მ ს ა ქ მ ე შ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ე ღ ო თ, მ ა ლ ე ე ს ა ზ რ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ი ს ე თ გ უ ლ ი ს ნ ა დ ე ბ ა დ ი ქ ც ა, რ ო მ ლ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა ზ ე ი ს ი ნ ი ა ღ ფ რ თ ო ვ ა ნ ე ბ ი თ ო ც ნ ე ბ ო ბ დ ნ ე ნ დ ა თ ვ ი თ მ ა თ ვ ე ი მ ა ვ ე დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს მ მ ა რ თ ვ ე- ლ ი წ რ ე ე ბ ი ს ხ ვ ე წ ნ ა - ვ ე დ რ ე ბ ა მ ო უ ხ დ ა თ.

## ქართველთა და მოკავშირეების მოციქულთა ამაო ხვეწნა-ვედრება ევროპაში

საქართველოთგან წარგზავნილი დესპანები რომითგან საფრანგეთში წავიდნენ და **1461** წ. იქ მეფე კარლოს **VII**-ეს წარუდგნენ სადარბაზოდ და დავალებული საქმე მოახსენეს, მაგრამ მაინც ოსმალთა საწინააღმდეგო ომში მონაწილეობაზე ვერ დაითანხმეს. ელჩები ჯერ კიდევ საფრანგეთში იყვნენ, რომ კარლოს **VII** გარდაიცვალა ისე, რომ ისინი მისი შვილისა და მემკვიდრის ლუდოვიკო **XI** ტახტზე ასვლასა, დაგვირგვინებასა და მეფედ კურთხევას დაესწრნენ. ეხლა ამ მეფეს დაუწყეს დესპანებმა თხოვნა, მაგრამ ამაოდ: აქაც არა გამოვიდა რა[2]. როგორც ეტყობა, ამგვარადვე უნაყოფო უნდა ყო-

---

[1] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტ. კათ. 63.

[2] ი ქ ვ ე.

ფილიპე მათი ცდა ბურგუნდიის მთავართან და დასავლეთის დანარჩენ მთავრებთანაც. თითქოს ყუარყუარე ათაბაგს გულმა უგრძნო (იქნებ ლუდოვიკო ბოლონიელის წყალობით?), რომ ამ საქმეს დასავლეთში დაბრკოლება გადაეღობებოდა, და ამიტომაც ის ბურგუნდიის მთავარს ბრძნული შორსგამჭვრეტელობით და ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნით 1459 წ. დაწერილის ეპისტოლით აფრთხილებდა, რომ თუ დასავლეთის ქრისტიანები არ ისარგებლებთ ასეთი განსაკუთრებით ხელსაყრელი და მარჯვე პირობით, როცა აღმოსავლეთით ქრისტიანებიც მათთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ თანხმობრივი სამხედრო მოქმედებისათვის ემზადებიან, და ბრძოლას არ დაიწყებთ, შემდეგში, რაც უფრო მეტი დრო გაივლის, ოსმალები ისე გამაგრდებიან, რომ ვეღარაფერს დააკლებთო[1]. და ეს სიტყვები მართლაც წინასწარმეტყველებად იქცა. საქართველოთგან ჩამოსული დესპანები ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ცდა და საბუთიანობა ამაო იყო: არც ერთი მთავართაგანი თავის ქვეყნითგან ფეხის დაძვრას არ აპირებდა. საფრანგეთში ჯერ ერთი შინაურობაში უთანხმოება ჰქონდათ, განსაკუთრებით-კი ოსმალეთის გაძლიერება მათთვის ისეთს ცხადად საგრძნობსა და დასანახს საფრთხეს არ წარმოადგენდა, როგორც მთელი თავისი არსებით შეიძლება ეგრძნოთ და დაენახათ ქართველებს. მათთვის ეს განყენებული და შორეული პოლიტიკური გეგმა იყო, ქართველებისთვის-კი ხორცშესხმული საშინელი სინამდვილის აუცილებელი საჭიროება და ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს გეგმა ასე უწყალოდ დაიმსხვრა და ქართველთა და მათ მოკავშირეთა თანხმობრივი ერთობლივი სამხედრო მოქმედება ოსმალთა სამუდამო დასამარცხებლად შეუძლებელი შეიქმნა.

## 4. შინაური ბრძოლის განახლება საქართველოში

მაგრამ არც ქართველ მეფე-მთავართა თანხმობა ყოფილა ხანგრძლივი. შესაძლებელია ქართველთა დესპანები დასავლეთი ევროპითგან ჯერ დაბრუნებულიც-კი არ იყვნენ, ან უფრო საფიქრებელია ახალი მოსული იქნებოდნენ, რომ თვით საქართველოშიც ძმათა შორის წინანდელზე უფრო გამწვავებული დაუნდობელი ბრძოლა ატყდა. ყუარყუარე ათაბაგსა, გიორგი მეფეს და დანარჩენ მონაწილეებს ასე მალე დაავიწყდათ თავიანთი შეთანხმების ამბავიც და ისიც, თუ როგორ ტკბილად უგალობდნენ დასავლეთის ქრისტიანებს ერთობა-თანხმობის ჰანგებს და რანაირი ენაწყლიანობით ასაბუთებდნენ გაერთიანებული მოქმედების უპირატესობას მტერთან ბრძოლის დროს.

ამ შინაური განხეთქილების შესახებ ცნობები შედარებით ბლომად მოიპოვება, მაგრამ ერთიმეორის საწინააღმდეგო, თანაც მოკლე და ნაკლულე-

[1] მ. თამარაშვილი, ისტ. კათ. 596.

ვანი. ამ ამბავის უფრო ვრცელი და გაბმული აღწერილობა ბატონიშვილს ვ ა ხ უ შ ტ ს მოეპოვება, რომელსაც ალბათ ამისთვის შესაფერის წყაროები უნდა ჰქონოდა.

## ვახუშტის ცნობები ამ ბრძოლის შესახებ

ბატონიშვილ ვ ა ხ უ შ ტ ს მოთხრობილი აქვს, რომ 1462 წ. ყუარყუარე ათაბაგის „განზრახვით“ იწყო «ზრახვად იმერთა ერისთავმან ბაგრატ ძემან დიმიტრისამან, რათა ჰყონ იგი მეფედ და აღუთქვა თავისუფლება დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანთა. ესე სთნდათ მთავართა მათ» და «ჰყვეს მეფედ იმერთა»-ო[1]. გიორგი მეფემ რომ ეს შეიტყო, ჯარი შეჰყარა და დასავლეთ საქართველოსაკენ გაილაშქრა და თანაც «უბრძანა ათაბაგს შთამოსვლა სპითა» და მოშველება, მაგრამ იგი თურმე სამცხითგან არ დაიძრა და გარეშე მაყურებლობა ირჩია: «მჭვრეტელი საქმისა თუ რაჲ იქნების». მისი წაბაძულობით სხვებიც განზე გადგნენ და «არცაღა უშველეს ბაგრატს დადიანმან, გურიელმან, აფხაზთა და სვანთა»[2]. მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის ბრძოლა ჩიხორს მომხდარა. სასტიკი და ორთავე მხრის დამაზარალებელი ბრძოლის შემდეგ მეფე გიორგი დამარცხებულ იქმნა და ქართლში დაბრუნდა. ბაგრატი კი გაემართა და «აღიღო ქუთაისი და ეკურთხა მუნ მეფედ»[3]. ცოტა ხნის შემდგომ მეფე გიორგის ჯარითურთ სამცხეში გაულაშქრია ათაბაგის ორგულობის დასასჯელად. რაკი ათაბაგ ყუარყუარეს წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, ამიტომ «წარვიდა იმერეთს ბაგრატსა თანა ლტოლვილი». მეფე გიორგი უკვე მესხეთის საქმის ისე მოგვარებასა და მის მომტკიცებაზე ჰფიქრობდა, რომ ერთხელ და საბოლოოდ თავისი თავი საათაბაგოს ურჩობისაგან უზრუნველეყო, მაგრამ ამ დროს ქართლითგან უზუნ-ჰასანის შემოსევის ამბავი მოუვიდა, ამიტომ ის იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო. 1463 წ., „ქართულსა 151“ მომხდარ ომში გიორგი მეფე დამარცხდაო. ამით გათამამებულნი «რანი, მოვაკანი და შირვანი არღარა მოსცემდენ ხარკსა». ბაგრატიც ყუარყუარე ათაბაგს მიეშველა და უკანასკნელმა ამის წყალობით თავისი საბრძანებელი უკან დაიბრუნა. მესხეთის ურჩ ერისთავთა საწინააღმდეგო ბრძოლაში რომ დახმარებოდა, «მისცა ყვარყვარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა გურიელსა კახაბერს». გურიელი პირობისაებრ ათაბაგ ყუარყუარეს გიორგი მეფის მომხრეთა დასამორჩილებლად დაეხმარა. ამის გარდა «ჰყვანდა ბაგრატ-ცა მარადის მწედ». 1465 წ., „ქართულსა 153“, გიორგი მეფემ ყუარყუარეს დასასჯელად კვლავ გაილაშქრა და ფარავნაზე დადგა. აქ «შემოუჩინეს განდგომილთა მეფისათა გიორგი მეფესა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი». მაგრამ ითამ ზევდგინიძემ ამ შეთქმულების ამბავი შეიტყო და მეფეს გაუმჟღავნა. გიორგი მეფემ მას არ დაუჯერა. მეფე რომ აუცილებელი სიკვდილისაგან გადაერ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ, 304.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, 305.

ჩინა, ზევდგინიძემ თავისი თავი გასწირა და მეფეს სთხოვა სამეფო კარავში თავის მაგიერ იმ ღამეს საიდუმლოდ ის დაეწვინა, რაც ასრულებულ იქმნა კიდეც. მეორე დღეს ერთგული ქვეშევრდომი კარავში მოკლული აღმოჩნდაო. რაკი შეთქმულების არსებობა გიორგი მეფისათვისაც ცხადი შეიქმნა, მან ყველა ამ ღალატის განზრახ-გამგებელნი, ძალმცემელნი, მეშველნი და შინათ-გამცემნი დააჭერინა და მათი სიკვდილით დასჯას შეუდგა. მაგრამ ამ საქმით გამოწვეული არევ-დარევით ისარგებლა ყუარყუარე ათაბაგმა, გიორგი მეფეს სწრაფად თავს დაესხა, ხელთ იგდო და სამცხეში ტყვედ წაიყვანა. ამით, რასაკვირველია, ბაგრატ იმერეთის მეფემ ისარგებლა, გადმოვიდა და «დაიპყრა ქართლი თებერვალსა შინა»[1]. მაშინვე ჰერეთ-კახეთიც განდგა და ბაგრატს რომ იქაც გაბატონება ვერ მოეხერხებინა, დავითმა «იწყო მეფედ წოდება კახთა ზედა»-ო.

1466 წ. «ქართულსა 154, იანვარსა შინა» ყუარყუარე ათაბაგი გარდაიცვალა და მის მაგიერ მისი შვილი ბაადური დაჯდა. მან გადასწყვიტა, რომ ბაგრატის გაძლიერება მისთვისაც, ვითარცა მესხეთის მთავრისათვის, მომავალში საფრთხის მომასწავებელი იყო და ამიტომ მოლაპარაკება დაიწყო გიორგი მეფესთან, რომ მან ამიერითგან წინანდელი მტრობა დაივიწყოს და ათაბაგისაგან მესხეთის ჩამორთმევას აღარ ეცადოს. გიორგი მეფე ამაზე დათანხმდა და ათაბაგის დახმარებით თავისი სამეფო დაიბრუნა. ბაგრატმა იცნო თავისი საქმის უიმედობა და «არღარა ინება ბრძოლად და წარვიდა იმერეთს», კახეთიც წინანდებურად მეფე გიორგის დაემორჩილა და მთელი აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა. გიორგი მეფე «იყო ფრიად მწუხარე განხეთქილებისათვის სამეფოსა ესე ვითარად», რომ მთელი დასავლეთი საქართველო და მესხეთი ჩამოშორებული იყო, და «მცდელობდა შეერთებასა», მაგრამ თავისი წადილის განხორციელებას ვეღარ ეღირსა: «ვერღარა ღონისა მძიებელი და მპოვნელი გარდაიცვალა მეფე გიორგი წელსა 1469, ქართულსა 157 და დაფლეს მცხეთას»-ო, ასე აქვს მოთხრობილი ბატონიშვილს ვ ა ხ უ შ ტ ს გიორგი მეფის უკანასკნელი წლებისა და საქართველოს განხეთქილების ამბავი[2]. სახელოვანი ისტორიკოსის სიტყვით 1469 წ-სვე მამის მაგიერ სამეფო ტახტზე მისი შვილი კონსტანტინე ადის[3].

## ვახუშტის ცნობების კრიტიკული განხილვა

რამდენად შეესაბამება საერთოდ მაშინდელს სინამდვილეს ქართველი დიდებული ისტორიკოსის რეკონსტრუქცია და რა საბუთებზე აქვს მას თავისი მოთხრობა დამყარებული?

ამ საკითხს ერთს თავის პატარა შრომაში ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ც ეხება საზოგადოდ და ერთგან ამბობს, რომ „ვახუშტის ქრონიკა იმ სახით, რა გვარა-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. 305—306.

[2] ი ქ ვ ე, 304—307.

[3] ი ქ ვ ე, ქორონიკონები, 365.

და ც ის ვახუშტის კალმიდან გამოსულია, ავტორიტეტულ წყაროდ ვერ ჩაითვლება, ვინაიდგან ჩვენს ისტორიკოსს შიგ და შიგ ხშირად ისეთი ცნობები შეაქვს, რომელიც მის თუ გნებავთ მეცნიერულს, მაგრამ მაინც სუბიექტურს შეხედულებას შეესაბამება, მაგრამ დოკუმენტალურად ისტორიულს საბუთებზე დამყარებული არ არის. რასაკვირველია... კარგი მასალებიც ჰქონდა, მაგრამ არსებული მასალები... არა კმაროდა პოლიტიკურ ცხოვრების შესაფერ სურათის წარმოსადგენად. ამიტომაც ვახუშტი თავისი მართლაც ჩინებულ მეცნიერულ ალღოს მიუხედავად, ხშირად ჭეშმარიტ გზას უხვევდა, განსაკუთრებით XIV — XV საუკუნის ისტორიის შედგენის დროს". ს. კაკაბაძის აზრით, „ასეთი თვით ვახუშტის მიერ შეთხზული ცნობათაგანია ცნობა ბაგრატ VI-ს ჩამომავლობის შესახებ"[1].

რაკი ვახუშტის მოთხრობა შედარებით ბევრს ცნობებს შეიცავს და რთულს საკითხებს ეხება, ამის გამო კრიტიკული განხილვა რომ უფრო გაადვილდეს და შეძლებისდა გვარად ზედმიწევნით იყოს გარჩეული, უკეთესია თითოეული საკითხი ცალკე იყოს განხილული. პირველი საკითხი ბაგრატ მეფის ვინაობასა და ჩამომავლობას ეხება, მეორე ჩიხორში მომხდარს ბრძოლას, მესამე ყუარყუარე ათაბაგსა და გიორგი მეფეს შორის მტრობას, ომსა და იოთამ ზევდგინიძის თავგანწირულების ამბავს.

## ბაგრატ მეფის ვინაობა და ჩამომავლობა

ბაგრატ მეფის არსებობა ამ დროს არა ერთი მისი სიგლითა მტკიცდება. საკამათოა და გამოსარკვევი მხოლოდ მისი პიროვნება და ჩამომავლობა. ბატონიშვილი ვახუშტი ფიქრობდა, რომ ბაგრატ მეფის მამას დიმიტრი ერქვა და რომ არც მისი მამა და არც თითონ ბაგრატი თავდაპირველად მეფედ არ ყოფილან და მხოლოდ აჯანყების შემდგომ გამეფდა. ს. კაკაბაძეს ეს ორივე ცნობა ვახუშტის შეთხზულად მიაჩნია. ბაგრატის მამა დიმიტრი არ ყოფილაო და მეორე ცნობაც „უნდა უკუგდებულ იქმნას"-ო[2].

ს. კაკაბაძის პირველი აზრი სამართლიანი უნდა იყვეს იმიტომ, რომ იგი საბუთზე, თვით ბაგრატის სიგელზეა დამყარებული. ამგვარივე აზრი უკვე 1897 წელს თ. ჟორდანიასაც აქვს გამოთქმული და სწორედ იმავე სიგლის მიხედვით, რომელიც კაკაბაძესაც ჰქონია საფუძვლად. „არ ვიციო, ამბობდა თ. ჟორდანია, რად უწოდს ბაგრატ მეფე მამად თვისად გიორგის, როდესაც იგი ცნობილია დიმიტრის ძედ?" ხოლო შემდეგ მას დაძენილი აქვს: „ჩვენი გუჯარი ასაბუთებს, რომ ბაგრატი ამ გიორგის შვილია"-ო[3]. მაშასადამე, თ. ჟორდანიაც ამ სიგლით დარწმუნებულია, რომ ჩვეულებრივი ცნობა, ვითომც ბაგრატი დიმიტრის ძე ყოფილიყოს, მცდარია და ნამდვილად ბაგრატი გიორგის შვილად უნდა ჩაითვალოს.

---

[1] ს. კაკაბაძე, გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912 წ., 1—2.

[2] იქვე, გვ. 3—8.

[3] ქკბი II, 288.

მართლაც 1466 წელს დაწერილს სიგელში „მპყრობელი ორისავე ტახტისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანი მეფეთ-მეფე ბაგრატი“ [1] ამბობს: «შემოგუიწირავს საალაპოდ და სამლოცველოდ პატრონისა მამისა ჩუენისა გიორგისა სულისათჳს და წარსამართებლად მეფობისა ჩუენისა»-ო და ამიტომ ალაპი «გარდაიკდებოდეს აღდგომასა ორშაბათსა დღესა მამისა ჩუენისა გიორგისათჳს და სამშაბათსა ჩვენთჳს»-ო [2].

ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ ვახუშტისა და მის წინამორბედ ისტორიკოსთათვის არსებულს სიძნელეს სძლია და აღადგინა უტყუარი „სურათი აფხაზეთის მეფეების შესახებ XV საუკუნეში“. ეს სურათი ს. კაკაბაძეს ასე ეხატება: „კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ 1413 წ. უმცროსი შვილი მისი ალექსანდრე დამჯდარა საქართველოს ტახტზე, ხოლო მეორე შვილი მისი ბაგრატ აფხაზეთს (თვით კონსტანტინე ფლობდა ლიხთიმერსა და ლიხთამერსაც). ბაგრატ V აფხაზთა მეფის სიკვდილის შემდეგ გამეფებულა ძე მისი კონსტანტინე, რომელიც გარდაიცვალა 1439 წ. და აფხაზეთის ტახტზე ავიდა ძმა მისი გიორგი. ამისი შვილი იყო ბაგრატ VI, გამეფებული 1455 წ., რომელმაც 1463 წ. ქართლიც დაიპყრო და თვისი ბიძა გიორგი IX გარდააგდო“-ო [3].

სხვა ზემოჩამოთვლილ პირებს რომ თავი დავანებოთ, ს. კაკაბაძის აზრით ბაგრატის მამაც, მაშასადამე, მეფე უნდა ყოფილიყო და თვით ბაგრატის იმერეთში გამეფების შესახებ ვახუშტის ცნობა ვითომც უსაფუძვლოდ უნდა იყოს მიჩნეული. რამდენად სამართლიანია ეს აზრი?

ვახუშტს თავისი დებულება, რომ არც ბაგრატი და არც მისი მამა თავდაპირველად მეფეები არ იყვნენ და ბაგრატი მხოლოდ მერმე დაჯდა მეფედ, დასაბუთებული აქვს ისტორიული წყაროს შემდეგი ცნობით: «მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს და ბაგრატს გაემარჯვა ქ~ს ჩუჲბ (1462 წ.) ქრ. რნ (150). იხილე, რამეთუ (მემატიანე) არა იტყვის მეფედ ვინადგან ერისთავი იყო»-ო, ამბობს სახელოვანი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი [4]. ს. კაკაბაძეს ეს საბუთიანობა სუსტად მიაჩნია იმიტომ, „რადგან ქრონიკულ ცნობაში თავისუფლად შეიძლება ვიგულისხმოთ:

---

[1] ს. კაკაბაძის გენეალოგია, გვ. 3 და ქ~კბი II, 287.

[2] გენეალოგია, 4 და ქ~კბი II, 288.

ს. კაკაბაძე მართალია, როდესაც ამბობს, რომ „საძიებელი ხდება, საიდან უნდა ამოეღოს მას (ვახუშტს) ცნობა იმერეთის ერისთავის დიმიტრის შესახებ, რომელიც თითქოს 1455 წელს გარდაიცვალა“ (გენეალოგია, 2). ბატონიშვილი ვახუშტის სამეცნიერო მოღვაწეობის მთელი ხასიათი (იხ. ჩემი ისტორიის მიზანი და სხვა, I. ბატ. ვახუშტი) გვარწმუნებს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ცნობა დიმიტრის ერისთაობის შესახებ ვახუშტის სამეცნიერო დაკვირვების ნაყოფი იყოს, თვით სახელი დიმიტრი კი უეჭველია მისი შეთხზული არ უნდა იყოს, არამედ რომელიმე წყაროთგან იქმნება ამოღებული. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მას უნდა ჰქონოდა ისეთი ცნობა, სადაც ბაგრატი დიმიტრის ძე იხსენებოდა და მისი შეცდომა მხოლოდ იქითგან წარმომდინარეობდა, რომ მას ალბათ სხვა ბაგრატი ამ ბაგრატად მიუჩნევია.

[3] ს. კაკაბაძე, გენეალოგია, 8.

[4] იხ. უწყებულება მკითხველთათვის, ჩუბ., ნ. ჟიჟინაძე, 10.

მეფე გიორგი და (მეფე) ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს. ისიც კიდევ საკითხავია, აქ გიორგი IX ალექსანდრეს ძე იგულისხმება, თუ სხვა პიროვნება“-ო? ამბობს ს. კაკაბაძე[1].

ზემომოყვანილი ცნობის ს. კაკაბაძის მიერ წამოყენებული განმარტება ძალდატანებითია და დედანს ეწინააღმდეგება, იმიტომ რომ, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც გიორგი და ბაგრატი ერთად არიან მოხსენებულნი, ვერწმუნოთ კიდეც მის გულისხმობას, განუმარტავი რჩება მაინც ამ მატიანის მეორე ნაწილის ცნობაში ნათქვამი «და ბაგრატს გაემარჯვა»-ო. როგორღა უნდა ავხსნათ, ან რა მიზეზია, რომ ამ შემთხვევაშიაც ბაგრატი მეფედ არ არის წოდებული. ნუთუ აქაც იმნაირადვე უნდა ვიგულისხმოთ?

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვახუშტის დაკვირვება უფრო მეტი ყურადღების ღირსია. ბაგრატის მამა მართლა მეფე იყო, როგორც ს. კაკაბაძე ამტკიცებს, თუ ვახუშტის აზრი უფრო საფუძვლიანია? თვით ბაგრატ მეფის 1466 წლის სიგელში მაინცდამაინც ს. კაკაბაძის შეხედულების დამამტკიცებელი ცნობა არ მოიპოვება და ამ საბუთში თვით ბაგრატიც თავის მამას მეფის სახელს არ უწოდებს. მას მხოლოდ მარტივად ნათქვამი აქვს: შემოგწირეთ «სამლოცველოდ პ а ტ რ ო ნ ი ს ა მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ა სულისათჳს და წარსამართებლად მ ე ფ ო ბ ი ს ა ჩუენისა»-ო, ალაპი გარდაიხდებოდეს «ორშაბათსა დღეს მ ა მ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა გ ი ო რ გ ი ს ა თ ჳ ს»-ო[2]. ორსავე შემთხვევაში ბაგრატი, რ ო მ ე ლ ს ა ც თ ა ვ ი ს ი მ ე ფ ე თ - მ ე ფ ო ბ ა ა რ ა ვ ი წ ყ დ ე ბ ა, მ ა მ ა ს მ ხ ო ლ ო დ ა ნ მ ა რ ტ ი ვ ა დ გ ი ო რ გ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ ა ნ პ ა ტ რ ო ნ ი ს წ ო დ ე ბ უ ლ ე ბ ი თ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს. პატრონი-კი, როგორც ვიცით, მარტო მეფეს კი არ ეწოდებოდა, არამედ ყოველს ყმისა, ან ყმათა მფლობელსაც. ასე იყო ძველად, X — XIII საუკ-ში[3], ასევე იყო XIV — XV საუკ-შიც. მაგ., სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბასძე თავის ცოლზე ამბობს: «მეუღლემან ჩუენმან პატრონმან თინათინ»-ო[4]. კათალიკოსიც პატრონად იწოდებოდა: «პატრონი... ქართლისა კათალიკოზი ელიოზ... ალაპსა გარდაიკდიდეს»-ო[5]. «სოფელნი, აგარაკნი აღმიშენებიან მეფეთა, ერისთავთა, ქართლისა ერისთავთა და ყ ო ვ ე ლ თ ა პ ა ტ რ ო ნ თ ა დ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ა ლ თ ა გ ა ნ შეუვალი»-ო[6]. ხოლო **იმ შემთხვევებში, როდესაც „პატრონი“ იმავე დროს მეფე, ან დედოფალი იყო, საბუთებში მაშინ სახელიხა და ამ ტერმინის გვერდით ამ პირის მეფობა, თუ დედოფლობაც აღნიშნული იყო ხოლმე,** მაგ.: «ორჯელ პ ა ტ რ ო ნ ს ა ს უ ლ კ უ რ თ ხ ე უ ლ ს ა მ ე ფ ე ს ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ურდოს ხლებოდი»[7]. «ჩუენ... მეფეთა მეფისა გიორგისგან და თანამეცხედრისა ჩუე-

---

[1] ს. კ а კ а ბ а ძ ე, გენეალოგია, 8.

[2] გენეალოგია, 4 და ქ̃კბი II, 288.

[3] ი ვ. ჯ а ვ а ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტ., II, 1, [თბ., 1928], გვ. 64—65, 68 — 69.

[4] 1447—59 წ. შეწირ. წიგ.: ისტ. III, 37.

[5] ალექსანდრე მეფის 1412 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 8.

[6] ქვენიფნეველის გუჯარი 1470 წ.: ს̃ქლს სძვ̃ლნი III, 559.

[7] 1440 წ. სიგ.: ისტ. საბ. II, 7.

ნისა პატრონისა დედოფალ-დედოფლისა ნესტანდარეჯანისაგან და ძისა ჩუენისა ალექსანდრესაგან»[1], ჩუენ «მეფეთა მეფემან კონსტანტინე და პირმშომან ძემან ჩუენმან პატრონმან მეფემან დავით, გიორგი და ბაგრატ»-ო[2].

ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითების შემდგომ ცხადია, რომ საკითხი სრულებით ისე მარტივი არ არის, როგორც შეიძლება ადამიანს ეჩვენოს. ის გარემოება, რომ თვით ბაგრატი თავისს 1466 წ. სიგელში არც ერთხელ თავის მამას მეფედ არ იხსენიებს, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის არც ყოფილა მეფედ. ასეთი დაკვირვებისა და დასკვნის შემდგომ ვახუშტის ზემომოყვანილ დაკვირვებასაც მნიშვნელობა ენიჭება და გულდასმითი ყურადღების ღირსია, რასაკვირველია, თუ აქ რაიმე შეცდომა არ მოუვიდა დიდებულ ისტორიკოსს და მატიანის ტექსტი სწორად არის მოყვანილი. მაშასადამე, ირკვევა რომ ბაგრატი რომელიც გიორგი მეფის მეტოქედა და მოწინააღმდეგე მებრძოლად გამოსულა და მეფეთ-მეფობა მოუტაცნია, გიორგის ძე ყოფილა. ეს გიორგი პირადად მეფე არ უნდა ყოფილიყო.

ბაგრატ მეფისაგან ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებისადმი 1468 წ. აბოძები სიგელი მაინც გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატი ბაგრატონიანთა შთამომავალი უნდა ყოფილიყო. ბაგრატს იქ ნათქვამი აქვს: ჯავახიშვილებმა წარმოგვიდგინეს სიგლები «თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან სამკვიდროდ შათთვის ბოძებული»-ო[3]. მაშასადამე, თამარ მეფესა და საქართველოს სხვა გვირგვინოსნებს ბაგრატი თავისი გვარის წინაპრებად და შთამომავლობისად აცხადებს. თუ აქ პოლიტიკური მოსაზრებით ხელოვნურად შეთხზულ ნათესაობასა და მიჩემებასთან არ გვაქვს საქმე, უნდა ვიფიქროთ რომ ბაგრატი პირდაპირ, თუ დედის მხრით ეგების რუსუდანის შთამომავლობის ბაგრატონიანთა საგვარეულოს იმ შტოს ეკუთვნოდა, რომელიც საქართველოს ორისავე ტახტისა და ლიხთიმერისა და ლიხთამერის გაერთიანების შემდგომ მეფობას მოაკლდა და ჩამომცრობილ იქმნა.

ბაგრატ მეფეს დაც ჰყოლია, რომელიც მოლოზნად შემდგარა. ამ «დამან მეფისა ბაგრატისამან გაიანე სახითა ოდენ მონაზონმან» 1508 წ. შიომღვიმის მონასტერს კასპში ნაყიდი ვენახი შესწირა[4].

## ჩიხორის ომი

ეხლა ჩიხორის ომის შესახებ. როდის, სად და როგორ მოხდა ეს ბრძოლა და რა შედეგები მოჰყვა? როგორც ზევით აღნიშნული იყო, ვახუშტ ბატონიშვილს ნათქვამი აქვს, რომ «წელსა 1462, ქართულსა 153» ბაგრატი ათაბაგ ყუარყუარეს ჩაგონებით იმერეთში მეფედ დაჯდა თუ არა, გიორგიმ მის საწი-

---

[1] 1460 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 34.

[2] 1488 წ. სიგ.: ქ˝კბი II, 306 და ს. კაკაბაძის გამ., გვ. 5.

[3] სქ˝ს სძ˝ვლნი II, 40.

[4] ისტ. საბ. II, 25 და ქ˝კბი II, 326.

წაალმდეგოდ გამოილაშქრა. «მეფე გიორგი და ბაგრატ ეწყვნენ ჩიხორს ურთიერთსა და ძლიერითა ბრძოლითა მოსწყდნენ მრავალნი იმერნი და ამერნი. შემდგომად იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა ქართლს. მაშინ ბაგრატმან დაიპყრა იმერეთი, აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მუნ მეფედ»-ო [1].

## კინკლოსების ცნობები ჩიხორის ომის შესახებ

ჩიხორთან მომხდარი ბრძოლის შესახებ სხვა წყაროებშიაც არის ცნობა შენახული, კინკლოსებშიც და ქ˝ცის გაგრძელებებში, მაგრამ უმთავრეს სიძნელეს ის გარემოება შეადგენს, რომ ჯერჯერობით სწორედ იმგვარი ცნობა, როგორიც ვახუშტსა აქვს, არა ჩანს. თ. ჟორდანიას მიერ შეგროვილს მასალებს შორის [2] ჩიხორის ომის შესახები ამბები შემდეგი სახით არის გადმოცემული:

1462 წ. «ქ˝კს: რნ (153): აქა უზუმ ასამ (sic) მოვიდა სამცხეს. ყუარყუარე[ს] [მიე]შველა, ჩიხორს შეიბნენ **მეფე** და ათაბაგს გაე[მარჯვა]»-ო [3].

1463 წ. «ქ˝კს: რნა (151): აქა **მეფე** და ყუარყუარე ჩიხორს შეიბნეს ათაბაგს გაემარჯუა»-ო [4].

იკორთის XVII—XVIII სს. ჟამნგულანში უზუნ-ჰასანის სამცხეში მოსვლის თარიღად 1461 წ-ია, მეფე-ათაბაგის ბრძოლის ამბავი-კი 1463 წ. არის აღნიშნული, ვითარცა ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მოვლენები. იქ ნათქვამია: 1461 წ. «ქ˝კს: რმთ (149): აქა უზუნ ჰასან მოვიდა სამცხეს». 1463 წ. «ქ˝კს: რნა (151): აქა **მეფე** ყუარყუარე ჩიხორს შეიბნეს, ათაბაგს გაემარჯუა»-ო [5]. ქ˝ცის შევს.-შესწორებულს გაგრძელებაშიც ნათქვამია [6]: 1462 წ. «ქ˝კსა: რნ (150): კ˝დ უზუნოს (sic) ჰასანი მოვიდა სამცხეს, ყუარყუარეს უშველა, ჩიხორს შეიბნეს და ათაბაგს გაემარჯვა»-ო.

## არსებული ცნობების შედარებითი დაფასება

ზემომოყვანილი ცნობები შინაარსის მხრივ ორ ჯგუფად იყოფება. ერთს ჯგუფს ყველა კინკლოსებისა და ქ˝ცის მეორე გაგრძელება (პარიზ. ქრ.) შეადგენს, ხოლო ყველა ამ შეერთებულ მოწმობას არ უდგება ქ˝ცის შევსებულ-გადაკეთებული პირველი გაგრძელება. პირველ ჯგუფში თვით წყაროებია და ერთი გამოკრებილი მატიანე. წყაროებში, კინკლოსის ცნობებში და პარიზის ქრონიკაში, იმ მეფის სახელი, რომელსაც ყუარყუარე შეება და დაამარცხა,

[1] ვახუშტი, ისტორია, ბაქრაძის გამ., 300—305.

[2] ქ˝კბი II, 281.

[3] ჟამნი № 2: ქ˝კბი II, 281.

[4] ჩხეიძისა და ძილისპირი № 6 ქრონ.: ქ˝კბი II, 281.

[5] იხ. ს. კაკაბაძის გამ., „ქრონიკა იკორთის № 6 ჟამნ-გულანისა", 1911 წ., ტფ. გვ. 4.

[6] დამატ., გვ. 898 და პარიზ. ქრ., 6.

აღნიშნული არ არის. სახელის მოუხსენებლობის გარდა, არც მეფის სადაურობაა მოყვანილი, იქნებ იმიტომ, რომ ამ ცნობის ჩამწერს საქართველოში ერთი მეფის მეტი სხვა არავინ ეგულებოდა. თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, მეფის სადაურობის აღნიშვნა მეკინკლოსეს ფიქრადაც ვერ მოუვიდოდა. ქ˜ცის გადაკეთებულ-შევსებულ პირველ გაგრძელებას პირიქით ნიშანდობლივ და ზედმიწევნით ნათქვამი აქვს, რომ **ბაგრატი იმერეთის** მეფე იყო. ბუნებრივად საკითხი იბადება, ასეთი გარკვეული ცნობა ქ˜ცის გაგრძელების შემავსებელ-გადამკეთებელს რომელსამე კინკლოსში აქვს ნაპოვნი, თუ მეფის სახელი და სადაურობა თვით მისი დამატებულია?

მაგრამ თუნდაც რომ ამჟამად ამ საკითხსაც თავი დავანებოთ, თავისთავად ვახუშტის მიერ მოყვანილს მატიანისებურს ცნობასა და კინკლოსების ყველა ზემოაღნიშნულ ცნობათა შორის გარდაუვალი უფსკრულია. ვახუშტს უწერია მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს და ბაგრატს გაემარჯვაო, ყველა აქამდე ცნობილს კინკლოსებში-კი საუბარი მეფე-ათაბაგს შორის მომხდარ ბრძოლის შესახებაა და გამარჯვებულად ბაგრატი-კი არ არის აღნიშნული, არამედ ათაბაგი. ცხადია, რომ აქ ორი სხვადასხვა ცნობაა და არა ერთი მეორისაგან დამოკიდებული. ვახუშტს სრულებით გარკვევით ჰსურდა ეგრძნობინა მკითხველისათვის, რომ მისი დასკვნა მატიანის მკაფიო ცნობებზე, თვით დედა-წყაროზე იყო დამყარებული. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამგვარს შემთხვევაში დიდებული ქართველი ისტორიკოსი წყაროების გარეგან სახესაც-კი იცავდა ხოლმე, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მას ასეთი მატიანისებური ცნობა უნდა ხელთა ჰქონოდა. რომ მოიძებნოს, იქნებ ეხლაც იყოს ისეთი კინკლოსები შენახული, სადაც ამგვარი ცნობა მოიპოვებოდეს.

მაგრამ აქ უნებლიეთ ერთი საკითხი იბადება: შესაძლებელია თუ არა, რომ ორივე ბრძოლა მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის ერთი მხრით და მეფე-ყუარყუარეს შორის მეორე მხრით ერთსა და იმავე ადგილას ჩიხორში მომხდარიყოს და აქ რაიმე შეცდომა ხომ არ არის შეპარული?

## ჩიხორის მდებარეობა

ჩიხორის მდებარეობაც გამოსარკვევია: თანამედროვე 5-ვერსიან რუკაზე „ჩიხორი" მხოლოდ შავშეთშია აღნიშნული, მაშასადამე, იმ კუთხეში, რომელიც XV საუკ.-ში მესხეთის მთავარს, ათაბაგს ემორჩილებოდა, და ჩიხორის ეს მდებარეობა უფრო იმ ცნობას უდგება, რომელიც მეფე-ათაბაგის შებრძოლების ამბავს მოგვითხრობს, მაგრამ ეს ადგილი იმდენად დაშორებულია ცენტრს და ისეთ მიყრუებულ ალაგას მდებარეობს, რომ საეჭვოა იქ გადამწყვეტი ბრძოლა მომხდარიყოს.

ვახუშტს-კი ჩიხორი სულ სხვა ადგილას, სახელდობრ იმერეთში აქვს აღნიშნული. თავის გეოგრაფიაში მას ნათქვამი აქვს: «საზანოს წყალზე არის საზანოს ციხე» და «ამ ციხეს ზეით ზუსას მდინარის დასავლეთით არის ჩიხორი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი»-ო [1]. თავის რუკაზე ჩიხორი ვახუშტს ალისუბნის სამხრეთით და რუფოთის ჩრდილოეთით უხატია [2]. ვახუშტის ცნობის სიმართლეს იმერეთის მეფის ალექსანდრეს ბრძანებით შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკაც ამტკიცებს: იქაც სკანდას სამხრეთით და ქ. ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით ხატია და აღნიშნულია «ქალაქი ჩიხორი სომეხთა საყდარი»-ო. მაშასადამე, ჩიხორი იმერეთშიც ყოფილა და ეს გარემოება კარგად უდგება ვახუშტის მიერ მოყვანილ მატიანისებურს ცნობას გიორგი მეფისა და ბაგრატის ბრძოლის შესახებ. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ზემომოყვანილ ცნობებში მოხსენებული ჩიხორი იმერეთში ყოფილს ჩიხორს ჰგულისხმობდეს.

## ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ ᲩᲘᲮᲝᲠᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

როგორ უნდა შევათანხმოთ ეს ორი სხვადასხვა ცნობა ჩიხორში მომხდარი ბრძოლის შესახებ? რომ ვიფიქროთ, ვითომც ეს ცნობა ერთს ამბავს ეხებოდეს და ჩიხორში შეერთებული ბრძოლა მომხდარიყოს ერთი მხრით ბაგრატ-ათაბაგსა და მეორე მხრით მეფე გიორგის შორის, რომ ყუარყუარე ათაბაგი და ბაგრატი იმ შემთხვევაში მოკავშირენი იყვნენ, გიორგი მეფისათვის კი ისინი საერთო მტრად ითვლებოდნენ, და შემდეგ ამ თავდაპირველი ცნობითგან მერმინდელ გადამწერთაგან ვითომც ორი ზემოაღნიშნული ცნობა წარმომდგარიყოს, ამგვარ აზრს ბატონიშვილი ვახუშტის გარკვეული ცნობა ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით მეფე გიორგი-ბაგრატს შორის ბრძოლაში ყუარყუარე ათაბაგს მონაწილეობა არ მიუღია. ამის გამო ცხადია, რომ ათაბაგს არც შეეძლო გაემარჯვა.

რაკი ყველა წყაროების ერთხმივი მოწმობით ბრძოლა *ჩიხორში მომხდარა*, ამიტომ უფრო *საფიქრებელია იმერეთში მდებარე ჩიხორში ყოფილიყოს ომი*. მაშასადამე, *თვით ბრძოლაც მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის უნდა მომხდარიყო*. თუ ყველა ეს მოსაზრება სამართლიანია, მაშინ *ბატონიშვილი ვახუშტის ცნობაც, რომ ბრძოლა ჩიხორთან ბაგრატის გიორგი მეფის წინააღმდეგ აჯანყებისა და მეფობის მოტაცების შემდგომ მოხდა, სინამდვილედ მოჩანს*.

## ᲣᲖᲣᲜ-ᲰᲐᲡᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

საფიქრებელია, რომ ცნობაც გიორგი მეფესა და ათაბაგს შორის მომხდარი ბრძოლისა და უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის შესახებ ვითომცდა

---

[1] ბროსეს გამოცემა, 362.

[2] იხ. № 5.

ყუარყუარე ათაბაგის მისაშველებლად, მართალი უნდა იყოს. რაკი უზუნ-ჰასანი სამცხეში შესულა, ამიტომ ალბათ საქართველოს სამხრეთითგან ე. წ. სომხითითგან უნდა გადასულიყო ჯავახეთ-სამცხისაკენ. ხოლო რათგან ამ დროითგან მოყოლებული 1477 წ.-მდე ქართულ და უცხოეთის წყაროებში უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა არსად იხსენიება, 1473—74 წ.-ს კი, როგორც **ამბროსი კონტარინის** მოგზაურობის აღწერილობა ამტკიცებს, უზუნ-ჰასანს სომხითი სჭერია და ლორის ციხედა ველიც სპარსეთის საბრძანებელს ჰკუთვნებია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ უზუნ-ჰასანი ვითომცდა ყუარყუარეს მისაშველებლად მართლაც უნდა შემოსულიყოს საქართველოში და სწორედ ამ დროითგან მოყოლებული ლორის ციხეში თავისი მეციხოვნენი ჩაეყენებინოს და ლორის მთელი ველიც თავის საბრძანებლად გაეხადოს. მაგრამ შესაძლებელია ამ ამბავს გიორგი და ბაგრატ მეფის ბრძოლასთან საერთო არც-კი ჰქონდეს რა და უზუნ-ჰასანის „მეგობრული" შემოსევა და ლორის ველის დაპყრობა 1461 ან 1462 წ.-ს მომხდარიყოს, ბაგრატ-გიორგის შებრძოლება-კი ერთი წლის შემდგომ.

## ზევდგინიძე-ამილახორის საჩივრის წიგნის ცნობები გიორგი მეფის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ

გიორგის მეფობის ისტორიის აღსადგენად ბატონიშვილს ვახუშტს თავის ერთ-ერთ წყაროდ ამილახვრიანთ საგვარეულო გუჯრები აქვს დასახელებული. გიორგი მეფემ «მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაჯულოდ სამთავისი და კარისა თვისისა ამილახვრობა მსახურებისათვის მამისა მისისა, **ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი»-ო**[1]. უეჭველია ამავე წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოკრებილი ცნობები მას გიორგი მეფის წინააღმდეგ ატეხილი ბრძოლისა და მის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულებისა და შემცდელობის შესახებ.

მართლაც ამ შეთქმულების ამბავი აღწერილი აქვს ერთ ზევდგინიძეს (ამილახორს) თავის საჩივრის წიგნში, რომელიც დარბაზის ერთათვის მიურთმევია. ეს ძვირფასი და საგულისხმო საბუთი პროფ. ე. ქ. თაყაიშვილმა დაბეჭდა ს˘ქლს სიძველეთა IV წიგნში[2].

მეფე გიორგისა და ბაგრატის შორის მომხდარი ბრძოლის ერთ-ერთს საფეხურს უნდა გვისურათებდეს ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც ზევდგინიძის საჩივრის წიგნში მოიპოვება. იქ სწერია: «[გიორ]გი მე[ფემან ქუთა]თისი წაართო»[3]. შემდეგ ტექსტს აკლია და არა ჩანს, ვის წაართვა, მაგრამ ქვემო-

---

[1] ისტ., 307.

[2] პროფ. ე. ქ. თაყაიშვილს გულითად მადლობას მოვახსენებ იმისათვის, რომ წიგნის გამოცემამდე დაბეჭდილი ნაწილით სარგებლობის საშუალება მომცა.

[3] გვ 22.

მიმყოლი გვაფიქრებინებს, რომ ბაგრატს. იქ სახელდობრ ნათქვამია: «**ბაგრატ ქუთათისსა გაილაშქრა**»[1]. ალბათ მეფე გიორგის წინააღმდეგ და მის განსადევნად. ტექსტის დანაკლისი საშუალებას არ გვაძლევს ამ ბრძოლის სურათი მთლიანად წარმოვიდგინოთ და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად არის შენახული. ბაგრატი და გიორგი «მეფე შევიბენით»-ო[2] და ეტყობა მეფე გიორგი დამარცხებულა ისე, რომ «ჩემი ძმა კელთა დაირჩუნ[ეს]»-ო, ამბობს ზევდგინიძე, თვით მეფე-კი განსაცდელში ჩავარდნილა. მაგრამ «ღმერთმან იპრიანა, გიო[რგი] მეფე წამოვიყუანე და ოცდა ოთხი [შუბი] და ისარი და კრმალი მესო ისეთმან წარმოვიყუანე» ბრძოლის ველითგანო[3].

იქნება ეს ცნობა გიორგი მეფის პირველ გალაშქრებას ეხებოდეს აჯანყებული ბაგრატის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ ამ სიგელშიაც ბაგრატი მეფედ არ იწოდება. თუ ეს სიგელი მართლაც სწორედ ამ ბრძოლის დასაწყისს ეხება, მაშინ ვახუშტის აღწერილობის შევსება შეიძლება. პირველად იეოიში გიორგი მეფეს მიუტანია, რომელსაც ბაგრატის იქ არ ყოფნის დროს ქუთაისი დაუჭერია. მაგრამ ბაგრატს ქუთაისზე გაულაშქრია. აღწერილობის მეორე ნაწილი შესაძლებელია ჩიხორთან მომხდარ ბრძოლას გვისურათებდეს. აქ სასტიკი ბრძოლა მომხდარა, რომლითგანაც განსაცდელში ჩავარდნილი გიორგი მეფე ზევდგინიძეს ძლივს გამოუყვანია სამშვიდობოს.

შემდეგ იქნებ XV საუკუნის ხელით ნაწერი ერთი უთარიღო პატარა თხრობა სწორედ იმ ამბავს გვისურათებდეს, რომლის თანახმადაც ყუარყუარე ათაბაგის ორგულობისათვის დასასჯელად გიორგი მეფემ სამცხეში გაილაშქრა და ათაბაგი «წარვიდა იმერეთს ბაგრატისა თანა ლტოლვილი»-ო. ხოლო «ცხოვრება ჩუენი, ნათქვამია იქ, ესრეთ იყო»-ო: «ვიყვენით ჩუენ კავკასისძისა სახლსა შინა პატრონნი ამირინდო [და] მისი მეუღლე ნესტარჯან. მოვიდა რისხვა ღვთისა დიდ[ი] საქართველოდამ და წაიკიდეს მეფე და ათაბაგი, შეიბნეს. მოიწია რისხვა სამცხედ და გაუმარჯ[ვ]და მეფესა. მოიწია რისხვა ღვთისა ჩემზედა: მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი: კვ (26): წლისა და მე ვიყავ: ით (19): წლისა»-ო[4].

## შეთქმულება გიორგი მეფის წინააღმდეგ

ერთს ადგილას ზევდგინიძეს მოსამართლეებისათვის უთქვამს: «გაილაშქრა გიორგი მე[ფემ]ა. იქ ჩემი გუარის კაცი ოცდა ცხრა [მოკლეს] და ერთი კელთ დაირჩუნეს»-ო[5]. არა ჩანს, სად და ვისთან მოუხდა ბრძოლა გიორგი მეფეს. მხოლოდ შემდეგ მისდევს ცნობა: «ალბულას თათარნი მოუკდეს. ერთი... თავადი თათარი დარჩა კელთა» და «იმითა დაიხსნა დიდმა ალბულა» ვიღაც უცნობი პირი, რომლის სახელი საბუთში შენახული არ არის[6], მაგრამ აზრის მიმ-

[1] გვ. 22.
[2] გვ. 23.
[3] გვ. 23.
[4] ქ'კბი II. 301.
[5] ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, გვ. 20.
[6] გვ. 20.

90/91

დინარეობის მიხედვით საფიქრებელია, რომ ის ერთი ზევდგინიძის გვარის კაცთაგანია, რომელიც მტერს „კელთა“ დარჩა. რაკი „დიდი აღბუღა“ გიორგი მეფის მომხრედა ჩანს, და „თათარნი“ აღბუღას ესხმიან, შესაძლებელია ეს ცნობა გიორგი მეფის უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ გალაშქრების დროს მომხდარი ბრძოლის ერთ-ერთს საფეხურს ეხებოდეს. მერმე ნათქვამია, რომ «ყოველნი ერთობ დაღონებულნი» იყვნენ, მაგრამ არ-კი ჩანს რატომ. შემდეგ იკითხება, რომ «მეფე აღბუღას შეეხვეწა» რაღაცას, რაც მოგლეჯილ ნაწილებზე უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ამის შემდეგ იწყება თვით შეთქმულების აღწერილობა: «გამოარჩივეს ერთი უშვილო კა[ცი]... [მე]ფე კელთა შევიპყრათ და ქართლი [ჩუენ დაგურ]ჩებისო. ჰუკას გუარის კაცმან ჩემსა [გუარის კაცსა გა]ანდო. იმან მეფესა არ დაუმალა, [უთხრა მეფე]სა დასტურად გუიღალატებენ»[1]. მერმე ისევ აკლია და მხოლოდ იმის მიხვედრა შეიძლება, რომ მეფეს, როგორც ვახუშტსაცა აქვს მოთხრობილი, ეს ცნობა უსაფუძვლო ჭორად მიუჩნევია და, რომ მოსალოდნელი ხიფათი მეფის თავითგან აეცდინა, იმ ზევდგინიძემ, რომელმაც შეთქმულება გამოამჟღავნა, თავის გაწირვა გადასწყვიტა, და ისე მოაწყეს, რომ მეფის საგებელში ჩემი «**გუარის კაცი დაწვა და მეფე წ[ავიდა** და **ჩემი გუა]რის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკო[დეს**, სიკუდილ]სა ულამოდეს და **როგორაცა ეს [შეიტყეს] ზევდგინიძე არისო, აღარ მოკლეს**»-ო[2]. ჩამოხეული ადგილი კვლავ აზრსა და აღწერილობას სწყვეტს და ბოლოში ნათქვამია მხოლოდ: «მეფემა ნასისხლად მღუიმე მისცა სასაფლაოდ, ახალციხე, სამოცი კ[უამლი] კაცი ესახლა და ხუთი დახატული ჩარდ[ახი] მოწყობილი უბოძა სისხლად»-ო[3].

მაშასადამე, ვახუშტ ბატონიშვილის ცნობა მეფე გიორგის მოსაკლავად მოწყობილი შეთქმულების შესახებ მართალი ყოფილა. მხოლოდ ზევდგინიძე-კი არ მოუკლავთ, არამედ მძიმედ დაუჭრიათ. ეს განსხვავება მაინც ამტკიცებს, რომ ვახუშტს სხვა წყაროთი უნდა ესარგებლა. ბატონიშვილ ვახუშტს რომ ზევდგინიძის ზემომოყვანილი წიგნით არ უნდა ესარგებლა, ამას კიდევ ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ვახუშტის მიერ მოყვანილი სია გიორგი მეფისაგან ზევდგინიძისათვის ნაწყალობევი მამულებისა და მონასტრისა თვალსაჩინოდ განირჩევა საჩივრის წიგნის ცნობისაგან. იმ შემთხვევაშიაც, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ვახუშტს საჩივრის წიგნით-კი არა, არამედ ზევდგინიძიანთ სხვა საგვარეულო საბუთებით უსარგებლია, მაშინაც თავგანწირულ ზევდგინიძისათვის ნაწყალობევი მამულების სიის განსხვავების მიზეზი ძნელი ასახსნელია. ბატონიშვილს ვახუშტს შესაძლებელია თვით სიგელ-გუჯრების მაგიერ შემდეგში საბუთების მიხედვით შედგენილი ამილახვრიანთ საგვარეულოს თავგადასავლის აღწერილობა ჰქონდა ხელთა.

---

[1] გვ. 20.
[2] გვ. 20.
[3] გვ. 21.

## ბაგრატის გამოლაშქრება გიორგი მეფის წინააღმდეგ

სახელოვან ქართველ ისტორიკოსს, როგორც ვნახეთ, აღნიშნული აქვს, რომ ყუარყუარე ათაბაგმა ისარგებლა იმ არევდარევით, რომელიც მეფის წინააღმდეგ გამოაშკარავებული შეთქმულების მონაწილეთა დევნამა და დასჯამ გამოიწვია, გიორგი მეფეს უცბად თავს დაესხა და თვით მეფეც ტყვედ ჩაიგდო. ამით თავისი მხრით ბაგრატ მეფესაც თავისი წადილის განხორციელება გაუადვილდა. გადმოვიდა ქართლში და ისიც თავის სამფლობელოს შეუერთა. ბატონიშვილის ვახუშტის ამ ცნობის სიმართლესაც სხვადასხვა იმდროინდელი საბუთები ადასტურებენ. გიორგი მეფის ყუარყუარე ათაბაგის მიერ შეპყრობა და ბაგრატ მეფის აღმოსავლეთ საქართველოშიაც გამეფება ზევდგინიძეს, მაგალითად, ასე აქვს თავის საჩივრის წიგნში აწერილი.

«[შეიპყ]რა ათაბაგმან გიორგი» მეფე და მაშინვე გადმოვიდა «ბაგრატ მე **ბატონსა დავითს** ასრე [მო]ვახსენე: თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს. წაუვიდა [მის] ძმასა ჩემისა მამულის გულისათჳს და **ბაგრატ მეფისა ყმა შეიქნა**. თუმცა ყმა არ შექმნილიყო, ჩემსა მამულსა არავინ მოგუცემდა. ამისი მოწამე ბატონი დავითი არის»-ო [1].

ყუარყუარეს მიერ მეფის შეპყრობის ამბავს იკორთის ჟამნ-გულანის კინკლოსიც იხსენიებს და თარიღსაც ასახელებს: 1466 წ. «ქრონიკონსა ჩნდ (154) აქა მეფე დაიჭირა ყუარყუარე[მ] ტყუედ»[2]. ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულ მეორე გაგრძელებაში ამავე ამბავის თარიღად 1465 წ. არის დადებული: «ქ˜კსა: რნგ: (153) მეფე დაიჭირა ყუარყუარემ ტყუედ»[3]. კინკლოსების გამოურკვეველსა და ზევდგინიძის საჩივრის წიგნის ნაკლულევანს ცნობებს ავსებს და არკვევს კონსტანტინე მეფის ზაქ. ჯავახიშვილისადმი მიცემული წყალობის სიგელი, სადაც ნათქვამია: «ღ˜თისა გარეგანმან ყუარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის უღალატა»[4]. რაკი ეს საბუთი 1466 წ. არის დაწერილი, ისეთს დროს, როდესაც თვით ეს ამბავი მოხდა, ყუარყუარეს ღალატის შესახები ცნობა გიორგი მეფის წინააღმდეგ, სრულ და უეჭველ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს. ამავე კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ ბოძებულ სიგლის შინაარსი ამ ამბავის შესახებ სხვა საყურადღებო ცნობებსაც გვაწვდის. იქ ნათქვამია სახელდობრ: 1466 წ. «გიბოძეთ თქუენ ჩუენთა ერთგულთა და ჩუენსა ზედა მრავალფერად ჭირ-

---

[1] ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, გვ. 24.

[2] ს. კაკაბაძე, ქ˜კა იკორთის № 7 ჟამნ-გულანისა, გვ. 4.

[3] პარიზ ხრ., ჟიჟინაძე, გვ. 6.

[4] ს˜ქლს სძ˜ვლნი II, 20.

ქართლის ცხოვრების შევსებულ-გადაკეთებულს პირველს გაგრძელებას იგივე 1465 წ. აქვს მოხსენებული, მაგრამ მეფის სახელი სულ სხვაა: «ქორონიკონსა რნგ: **მეფე ბაგრატ იმერეთისა** დაიჭირა ყვარყვარემ ტყვედ და დაატყვევა ციხესა შინა»-ო (დამატ. 893).

ნახულთა ჯავახიშვილთა ზაქარიასა, კახასა და ზაზას და შვილთა თქუენთა... მას ჟამს, ოდეს ღ˜თისა გარეგანმან ყუარყუარე პატრონსა ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის უღალატა და ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა. ღ˜თმან მოგუარჩინა, წამოუველთ და თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით: გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით და იქიცა დიდი გუმსახურეთ. ჩუენ შეგიწყალეთ და თქუენისა დიდისა ვალდებულობისა მუქაფად გიბოძეთ ცხირეთის გუერდი სრულად და გაერთებით, ხანდაკი და რაცა ცხირეთის შესავალი არის სრულად და უკლებად და ამას გარეთ ქალაქის პირთა სოფელი თხილოვნა მისითა შესავლითა»[1]. ამ სიგელითგანა ჩანს, რომ გიორგი მეფესთან მახლობლად იმ დროს, როდესაც ყუარყუარე ათაბაგს თავისი ღალატი მოუწყვია, კონსტანტინე ბატონიშვილიცა ყოფილა. ათაბაგი თურმე კონსტანტინეს წინააღმდეგაც აპირებდა მოქმედების გაჩაღებას: «ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა»-ო, მაგრამ „წამოუველთ“ და ამით განსაცდელს თავი დავახწიეთო. ცხადია, გიორგი მეფე-კი ვერ წამოსულია და ყუარყუარეს ჩავარდნია ხელში.

ათაბაგი გამოქცეულს ბატონიშვილს კონსტანტინეს დასდევნებია. ბატონიშვილს გორის ციხეში შეუფარებია თავი და გამაგრებულა, მაგრამ ბოლოს, როგორც ეტყობა, იქაც დარჩენა საშიში შექმნილა. ამის გამო კონსტანტინეს დიდად „დაჭირვებულს“ ქუთაისის ციხეში მოუხერხებია შეხიზვნა და გამაგრება. რაკი ქუთაისი და დასავლეთი საქართველო ბაგრატ მეფეს ეჭირა, გასაოცარია, რომ კონსტანტინემ ქუთაისის ციხეში შესვლა მოახერხა. საფიქრებელია, რომ ეს უნდა იმ დროს მომხდარიყო, როდესაც ბაგრატ მეფე ქართლის დასაპყრობად იყო აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსული.

ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება, ბაგრატ მეფის ქართლში გადმოსვლა-გაბატონება, ზევდგინიძის საჩივრის წიგნის ცნობითაც მტკიცდება. ამაშიაც ბატონიშვილი ვახუშტი მართალი გამოდის. მარტო ბატონიშვილი დავითის კახეთში გამეფების შესახებ დიდებული ქართველი ისტორიკოსის ცნობას ზევდგინიძის მოთხრობა თითქოს ეწინააღმდეგება. ის ამტკიცებს, რომ დავით „ბაგრატ მეფისა ყმა შეიქმნა“, მაშასადამე, დავითს ბაგრატის ქართლში გამეფების კანონიერება უცვნია და მეფეთ-მეფობის უფლება აღუარებია. ვახუშტის სიტყვით-კი დავით ბატონიშვილმა თავისი თავი კახთა მეფედ გამოაცხადა იმ მიზნით, რომ ბაგრატ კახეთშიაც არ გაბატონებულიყო. მაგრამ იქნებ აქ ცნობათა წინააღმდეგობა-კი არ იყოს, არამედ ზევდგინიძის ცნობა დავით ბატონიშვილის დამორჩილების შესახებ თავდაპირველს მდგომარეობას გვისურათებდეს, რომელიც შემდეგ შეცვლილიყოს და დავითს ასეთს პირობებში გამეფება ერჩიოს? საეჭვოა და, როგორც ქვემოთ აღნიშნული იქმნება, კახეთში უფრო საფიქრებელია თვით გიორგი მეფე გამაგრებულიყო.

[1] ს˜ქლს სძ˜ლნი II, 20—21.

## სხვადასხვა თეორიები საქართველოს დანაწილების შესახებ

დიდი ხანია, უკვე XVI საუკ. დასასრულითგან მოყოლებული, საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები და ისტორიის მკვლევარნი სრულიადი საქართველოს დანაწილების ხანითა და მიზეზით იყვნენ დაინტერესებულნი, უნდოდათ გაეგოთ, თუ რამ, ან ვინ და როდის მოუღო ბოლო საქართველოს მთლიანობას? ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქ˜ცის გაგრძელება საქართველოს დაყოფას ალექსანდრე და ვახტანგ მეფეებს მიაწერს, მაგრამ ცნობათა უქონლობას უჩივის[1]. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით კახეთში ზეპირი გადმოცემა ყოფილა, ვითომც საქართველო თვით ალექსანდრე მეფეს გაეყოს, ვითომც «ამ ალექსანდრემ გაჰყო ძენი თვისნი: უხუცესსა ბაგრატს მისცა იმერეთი, მეორესა გიორგის მისცა ქართლი, სომხითი და სამცხე-კლარჯეთი, მესამესა ამ დავითს მისცა ჰერეთი და კახეთი»-ო[2]. სახელოვანი ქართველი მეცნიერი ამ აზრს უარჰყოფდა[3] და, როგორც დავრწმუნდით, ეს შეხედულება მართლაც უსაფუძვლო გამოდგა. ალექსანდრე მეფეს ამგვარი უგუნური დანაშაული ქართველი ერის წინაშე არ მიუძღვის.

ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორსაც საქართველოს სამ სამეფოდ გაყოფის მიზეზი ისე ჰქონია წარმოდგენილი, თითქოს ეს გაყოფა თვით მეფის მიერ ყოფილიყოს მოწყობილი მისივე ნებაყოფლობითა და მშვიდობიანად, როდესაც საქართველო კერძო საკუთრებასავით მამის მიერ ბატონიშვილებს შორის იყო განაწილებული. თუმცა ეს შეხედულება ქართულს საისტორიო მწერლობაში, როგორც აღნიშნული იყო, ჯერ მხოლოდ ამ XVIII საუკ. ძეგლში გვხვდება, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ისე, ზეპირად მაინც, როგორც ეტყობა, ამაზე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა და უკვე ძველ დროსაც ყოფილა გავრცელებული. ამას კახთ-ბატონის ალექსანდრე მეფის სიტყვებიც ცხადჰყოფენ. 1589 წ. მას რუსთ ხელმწიფის დესპანისათვის სხვათა შორის უამბნია: ძველითგან მთელი საქართველო ერთს სახელმწიფოს შეადგენდა და ჩვენმა პაპის მამამ (**Прадед**) სამად გაჰყოო[4]. მაშასადამე, ამგვარი ცნობა და შეხედულება უკვე XVI საუკ. დასასრულს მაინც საქართველოში გავრცელებული ყოფილა.

სახელოვანი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ საქართველოს გაყოფა და დანაწილება ალექსანდრე მეფის დროს-კი არ მოხდა, არამედ მისი შვილის გიორგი მეფის დროს. ვახუშტის სიტყვით გიორგი მეფე იყო «პირველ მეფობასა ბედნიერი და წარმატებული და წარმართებული, არამედ შემდგომად უბრკმა ბრძოლისა სვიანობამან შარავანდედობისამან და განსქდა ჟამსა ამისსა სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ»[5]. აქ, მაშასადამე, ბატონიშვილ ვახუშტს გიორგი მეფისაგან საქართველოს ნებაყოფლო-

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, [თბ., 1916], გვ. 275.

[2] ვახუშტი, ისტ., ჰიჰინაძე, 154.

[3] იხ. ისტორიის მიზანი.

[4] Посольство в Грузию Звенигородского; Сношения России с Кавказом I, 169—170.

[5] ვახუშტი, ისტ., 302.

95/96

ბითს გაყოფაზე-კი არა აქვს საუბარი, არამედ ისეთ განხეთქაზე, რომელიც მისდა უნებურად და მის ყოვლგვარ ცდისდა მიუხედავად მოხდა.

ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით გიორგი მეფე 1469 წ. უნდა გარდაცვლილიყო და ამავე წელს «დაჯდა ძე მისი კოსტანტინე მეფედ და ჰერ-კახთა ჩამოიყვანეს დავით, მეფედ ჰყვეს»-ო [1]. რაზეა ეს ცნობა დამყარებული არა ჩანს, მხოლოდ არც კონსტანტინესა და არც დავითის შესახებ მას ნამდვილი, უტყუარი საბუთები, როგორც ეტყობა, არ უნდა ჰქონოდა. 1469 წ. კონსტანტინე რომ არ გაბატონებულა აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ ამ დროს იმერ-ამერი საქართველოს მეფედ ბაგრატი იყო, ეს ქვემოთ გამორკვეული იქნება, ხოლო დავითის ვინაობის შესახებ რომ გარკვეული, საბუთებზე დამყარებული, ცნობები ხელთ არა ჰქონია, ამას ვახუშტისავე სიტყვები ცხადჰყოფენ. მას ნათქვამი აქვს: ბაგრატი რომ ქართლს დაეპატრონა, კახთ «გამოირჩიეს მუნვე მყოფი ერისთავთაგანი ანუ გამოკულეული ჩვენი ესეოვ (76) მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით დასვეს ვითარცა მეფე»-ო [2]. აქეთგანა ჩანს, რომ დავითის დიმიტრის შვილობა თვით ვახუშტის გამოკვლევის შედეგს წარმოადგენს და საბუთებითგან არ არის ამოღებული. სხვა შეხედულებაც არსებობდა თურმე, რომელიც ამ დავითს ბატონიშვილად-კი არა, არამედ ერისთავთ-ერისთავად სთვლიდა. მხოლოდ ვახტანგისეულ სწავლულ კაცთა შრომითგან აქვს ვახუშტს შეთვისებული ცნობა დავითის მეფედ დაჯდომის შესახებ, თუ რაიმე ძველს და სანდო წყაროშიაც იპოვა, ჯერ არა ჩანს. მხოლოდ ზევდგინიძის ზემომოყვანილი სიტყვები ამტკიცებენ, რომ დავით ბატონიშვილი ბაგრატ მეფეს დაჰმორჩილებია, მაშასადამე, შეუძლებელია ის ბაგრატის საწინააღმდეგოდ კახეთში მეფედ დამჯდარიყო.

როგორც კახთა მეფის ალექსანდრეს 1479 წ-ის ორი გუჯარითგანა ჩანს, ის გიორგი მეფის შვილი ყოფილა. ბატონიშვილი ვახუშტი ფიქრობდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა გიორგი მეფე Ꭰისგან კახთა მეფედ შერჩეული დავითის ძე იყო [3]. თ. ჟორდანიაც, როგორც ეტყობა, ასევე ფიქრობდა [4] და გიორგი მეფეთ-მეფე, ალექსანდრე I ძე, და გიორგი კახთა მეფე, ალექსანდრე კახთა მეფის მამა, ორ სხვადასხვა პირად მიაჩნდა. თითონ ალექსანდრე მეფეს-კი თავის გუჯრებში ნათქვამი აქვს: «ჩუენ... ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა სრულ კურთხეულისა გიორგის ძემან, მეფემან ალექსანდრე, ბატრონმან (sic) დედუფალთ დედუფალმან დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩუენმან დედუფალმან ანა»-ო [5]. მაშასადამე, ალექსანდრე კახთა მეფე გიორგი მეფეთა-მეფისა და დედუფალთ-დედუფალი ნესტანდარეჯანის შვილი ყო-

---

[1] ქრონიკონები; ვახუშტი, ისტ., ჟორჟანია ძეგ, 365.

[2] იქვე, 157.

[3] იქვე, 157.

[4] ქ^კბი II. 291.

[5] 1479 წ. დავით გარეჯის სიგ.: ქ^კბი II, 300 და მცხეთის № ტვ. სიგ.: იქვე II, გვ. 301.

96/97

ფილა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სწორედ ალექსანდრე I-ის ძეს, გიორგი მეფეთა-მეფესა ჰყავდა თანამეცხედრედ დედუფალთ-დედუფალი ნესტანდარეჯან და შვილად ბატონიშვილი ალექსანდრე (იხ. ზევით). **დაუჯერებელი რამეა, რომ ერთსა და იმავე დროს საქართველოში, თუნდაც ქართლში და კახეთში, ორი გიორგი მეფე ყოფილიყოს და ორისავე თანამეცხედრესაც ნესტანდარეჯანი და შვილსაც ალექსანდრე ჰრქმეოდეს. ამიტომ თავისდათავად აზრი იბადება, რომ ალექსანდრე კახთა მეფის მამა, გიორგი მეფე სწორედ ის ალექსანდრე I-ის ძე მეფეთა-მეფე გიორგი უნდა ყოფილიყო, რომლის ტახტი და მეფეთა-მეფობა ბაგრატმა დაიპყრა და არა კახთა მეფე გიორგისა, რომელიც ვითომც დავით კახთა მეფის შვილი უნდა ყოფილიყო.** ჩვენს ისტორიკოსებს ერთი და იგივე პიროვნება შეცდომით ორად მიუჩნევიათ.

ალექსანდრე კახთა მეფე 1476 წ.-ს უნდა გამეფებულიყო, რათგან ქ~კსა: რნიზ (167): თუესა იანვარსა: კგ (23): მისი მეფობის გ (3) ინდიკტიონი ყოფილა[1]. მცხეთის № ტვ. სიგელიც, რომელიც ნაბოძებია იმავე ქრონიკონს, მხოლოდ ერთი დღის შემდგომ, 24 იანვარს, დაწერილია ალექსანდრეს მეფობის ინდიქტიონსა „სამსა“[2]. 1479 წ.-ს ალექსანდრე კახთა მეფის მამა მეფეთა-მეფე გიორგი უკვე „სულკურთხეული“[3], ანუ გარდაცვლილი ყოფილა. როდის უნდა გარდაცვლილიყო გიორგი მეფეთ-მეფე? არც კინკლოსებში და არც სხვა იმდროინდელს ძეგლებში ამის შესახებ ცნობა არ მოიპოვება. როგორც მოხსენებული გვქონდა, მხოლოდ ბატონიშვილს ვახუშტს აქვს აღნიშნული, რომ გიორგი 1469 წ. გარდაიცვალა და იმავე წელს მისი შვილი კონსტანტინე გამეფდა, მაგრამ სახელოვანს ქართველ მეცნიერსაც, როგორც ეტყობა, ეს ცნობა პირდაპირ ძეგლითგან ამოღებული არ უნდა ჰქონდეს, არამედ ვგონებ კონსტანტინე მეფის გამეფების თარიღის მიხედვით მიღებული, რათგან აქ ორი შეცდომაა: პირველი ის, რომ კონსტანტინე მეფე, როგორც თავის ალაგას გამორკვეული იქმნება, გიორგი მეფეთა-მეფის შვილი არ ყოფილა და მეორეც ის, რომ გამეფების თარიღიც სწორი არ არის. სადმე აქვს ვახუშტს ნაპოვნი ეს უკანასკნელი თარიღი, თუ თითონ მისი გამოანგარიშებულია, არა ჩანს, მაგრამ უეჭველია, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, რომ კონსტანტინე გაცილებით უფრო გვიან გამეფდა, ვიდრე ვახუშტსა აქვს აღნიშნული, სახელდობრ 1477 ან 1478 წ.-ს. ამიტომ გიორგი მეფის სიკვდილსა და კონსტანტინეს გამეფებას შორის რომ რაიმე დამოკიდებულება არსებულიყო, მაშინ გიორგი მეფის სიკვდილი 1477—78 წ.-ს უნდა დაგვედვა.

უფრო საფიქრებელია, რომ ალექსანდრე კახთა მეფის ტახტზე ასვლის თარიღსა და გიორგი მეფეთა-მეფის სიკვდილს შორის კავშირი არსებულიყო. თვით ბატონიშვილი ვახუშტიც ამ გარემოებას არ უარჰყოფდა, მხოლოდ გიორგი მეფე კახთ ბატონად მიაჩნდა. უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე 1476 წ. უნდა გამეფებულიყო. მაშასადამე, გიორგი

---

[1] 1479 წ. დავით გარეჯ. გუჯ.; ქ~კბი II, 300.
[2] იქვე, 301.
[3] **იხ. იგივე საბუთები: ქ~კბი II, 300**

მეფეთ-მეფე ალბათ 1476 წ. უნდა გარდაცვლილიყო. მართალია, ბატონიშვილი ვახუშტი ალექსანდრე კახთა მეფის მამის სიკვდილის თარიღად 1492 წ. ასახელებს[1], მაგრამ რომ აქ ჩვენს დიდებულს ისტორიკოსს ცხადი შეცდომა მოსვლია, ამას თვით ალექსანდრე კახთა მეფის 1479 წ. დავით გარეჯისადმი ნაბოძები გუჯარიც ცხადჰყოფს, რომელშიაც თვით ალექსადრე მეფე თავის მამას გიორგი მეფეთ-მეფეს „სულკურთხეულად“ ანუ მკვდრად იხსენიებს.

რაკი გამოირკვა, რომ გიორგი მეფეთ-მეფე 1476 წლამდე მაინც ცოცხალი ყოფილა, ხოლო ჩვენ ეხლა უკვე დანამდვილებით ვიცით და ქვევით გამორკვეულიც იქნება, რომ 1470 წ. ქართლიც იმიერ საქართველოსთან ერთად ბაგრატ მეფის ხელში იყო, უნებლიეთ საკითხი იბადება, თუ სად უნდა ყოფილიყო ამ დროს გიორგი მეფეთ-მეფე? საფიქრებელია, რომ მას შემდგომ, როცა დარწმუნდა, რომ ბაგრატის დაძლევა არ ძალუძდა და ქართლის ტახტის დაბრუნებაც უკვე აღარ შეეძლო, ის კახეთში გამაგრდა და კახთა მეფობით დაკმაყოფილდა. თუ სწორედ ამგვარად დატრიალდა საქმე, მაშინ ცხადია, რომ იმიერ-ამიერი საქართველო და ორისავე ტახტის მფლობელობა ამ დროს უკვე სრულებით არ უდრიდა მთელი საქართველოს სამეფოს. იმის გარდა, რომ მას, როგორც დავრწმუნდით, საბედიანო, აფხაზეთ-სამეგრელო და გურია, სამცხე-საათაბაგოც ჩამოშორებული ჰქონდა, კახეთის სამეფოც აღარ ეკუთვნოდა. მაშასადამე, მთლიანი საქართველო უკვე აღარ არსებობდა და დანაწილებული იყო. მხოლოდ ქართლი და იმერეთი-ღა იყო ბაგრატის ხელში. ჯერ სრულის სიცხადით არა ჩანს, როგორ მოხდა ამ ორი უკანასკნელი ნაწილის განცალკევება და მხოლოდ მომავალში, როდესაც ახალი ცნობები აღმოჩნდება, ეს საკითხიც საბოლოოდ გამოირკვევა. უცილობელია მაინც, რომ სწორედ ამ ხანაში მომხდარა საქართველოს ისეთი დანაწილება, როდესაც მთლიანობის დარღვევამ რამდენიმე სამეფო და სამთავრო შექმნა. მაშასადამე, თუ მთელს ზემომოთხრობილს საქმეთა მიმდინარეობას გავითვალისწინებთ, ცხადი იქმნება, რომ ვახუშტის დაკვირვება ნაწილობრივ მაინც სამართლიანია: გიორგი მეფის დროს მართლაც სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო-აფხაზეთი და გურია ცალკე სამთავროებს წარმოადგენდნენ და დიდს საქართველოს ჩამოშორებული იყვნენ. ბაგრატ მეფის მიერ იმერ-ამერი საქართველოს ტახტის დაპყრობის შემდეგ, როგორც ეტყობა თვით გიორგი მეფისავე ცდით კახეთის სამეფოც დაარსდა და სრულიად საქართველოს გამოეყო.

მაგრამ ყუარყუარე ათაბაგის 1459 წ. დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი ერთი ეპისტოლითგანა ჩანს, რომ განკერძოებისათვის ბრძოლა გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. ის სხვათა შორის ამბობს, ორმოცდაათი წელიწადია რაც ჩვენს ქვეყანაში ამგვარი ზავი და მშვიდობიანობა, როგორიც ეხლა ჩამოვაგდეთ, არ გაგონილაო (იხ. ზევით).

---

[1] ვახუშტი, ისტ. ჰიჰინინაძე, 158.

ეს უეჭველია იმის მომასწავებელია, რომ საქართველოში, მაშასადამე, დაახლოებით უკვე 1410 წ.-ითგან მოყოლებული დროგამოშვებით მეფე-მთავართა შორის ბრძოლა უნდა ყოფილიყო. გიორგი მეფეთა-მეფის დროს იმავე ყუარყუარეს სიტყვით ომებიც-კი ჰქონიათ ერთიერთმანეთში. ამგვარად ირკვევა, რომ საქართველოს დაყოფა სამეფოებად და სამთავროებად ხანგრძლივი პროცესისა და ბრძოლის შემდგომ მომხდარა, ამასთანავე ერთბაშად-კა არა, არამედ თანდათანობით. პირველად სამცხე-საათაბაგო ჩამოშორდა, შემდეგ სამეგრელო-აფხაზეთი და გურია, მერმე კახეთის სამეფოც დაარსდა. მალე ქართლი და იმერეთიც ცალკე სამეფოებად გაიყვნენ. მაგრამ ეს მდგომარეობა საბოლოო არ ყოფილა: ბრძოლა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად შემდეგშიაც არ შეწყვეტილა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური სურათი ცვალებადი იყო და ახალ შექმნილი ერთეულების სივრცე-საზღვრებიც მრავალჯერ შეცვლილა.

# ბაგრატ მეფე

## 1. ბიოგრაფიული ცნობები ბაგრატ მეფის შესახებ

### მისი გამეფების თარიღი

როგორც უკვე დავრწმუნდით, ყუარყუარე ათაბაგმა რომ 1465—66 წ. გიორგი მეფე ტყვედ წაიყვანა, ბაგრატ მეფე დასავლეთ საქართველოთგან ქართლში გადმოვიდა და დაიპყრო. ამიერითგან ის ლიხთამერისა და ლიხთიმერისა ორისავე ტახტის მფლობელად და მეფეთა-მეფედ იქცა. ეს გარემოება არაერთი საბუთით მტკიცდება, მათ შორის ერთი თვით ბაგრატ მეფის სიგელი ადასტურებს, სადაც ჩვეულებრივ თარიღს გარდა მისი მეფობის ინდიქტიონიც არის აღნიშნული. აი ამ საბუთის ოდნავ შემოკლებული ტექსტი:

«ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ღ~თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან **ბაგრატ** და ძმამან ჩვენმან პატრონმან **კოსტანტინე** ნებითა მღ~თისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის, შანშა და შირვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვით-მფლობით კელმწიფედ მპყრობელისა, მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერთგულნი და ჩვენისა მორჭუმისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მოღჳირნე-მოცადენი ჯავახისშვილნი ზაქარია, კხა და ზაზა და გვეაჯნეს და მოგვახსენეს რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქფოდ სიგელითა ამით შევიწყალე და ძუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა გვართა და ჩამომავალთაგან საწკვიდროდ მათთვის ბოძებული» და ჩვენც «მათივე მკვიდრი მამული მათითა ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდენით»-ო და ეს სიგელი ვუბოძეთ, დაწერილი «ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მესამესა, ქ~კს რნვ (156 = 1468 წ.) ნოემბერსა კ (20) კელითა კარისა ჩვენისა მდივნისა თუმანიშვილისა მურადისათა»[1].

თუ 1468 წ. 20 ნოემბერს ბაგრატის მეფობის მესამე ინდიქტიონი იყო, მაშასადამე, ის 1465—66 წ. გამეფებულა, ე. ი. სწორედ იმ წელს, როდესაც ყუარყუარემ გიორგი მეფეს ულალატა და დაატყვევა.

მართლაც ბაგრატი უკვე 1466 წ. „ქორონიკონსა რნდ“ დაწერილს წყალობის წიგნში მცხეთის საკათალიკოსო საყდარს და მის საჭეთმპყრობელს და-

[1] სქ~ლს სძ~ლენი II, 40.

ვით დიღომში 2 კომლ გლეხს სწირავს მთელი მათი ქონებით[1]. მაშასადამე, 1466 წ.-ს ბაგრატი კიდეც ქართლში ბატონობს[2].

შემდეგ არსებობს კიდევ ერთი 1472 წ. სიგელი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იგი დაწერილია ბაგრატის მეფობის 7 ინდიქტიონს[3]. მაშასადამე, ამ საბუთითაც მტკიცდება, რომ ბაგრატი 1465 წ. უნდა გამეფებულიყო. რასაკვირველია, აქ მისი ქართლშიაც გაბატონება და მეფეთა-მეფედ ქცევაა ნაგულისხმევი.

ბაგრატის გამეფების თარიღის გამოსარკვევად შეიძლება ერთს ლათინურად შენახულს ცნობასაც ჰქონდეს მნიშვნელობა. ვადდინგოს თავის Annales Minorum-ში ნათქვამი აქვს, რომ 1460 წ. დასავლეთ ევროპაში საქართველოთგან მისულ დესპანებს ოსმალთა საწინააღმდეგო მოქმედების მონაწილეთა შორის დაუსახელებიათ აგრეთვე Pancratius Iberorum qui nunc Georgiani vocautur „ბაგრატი იბერთა (მეფე), რომელნიც აწ გიორგიანებად (ე. ი. ქართველებად) იწოდებიანო“[4]. საითგან აქვს ეს ცნობა ავტორს ამოღებული, არ ვიცი. ეს არის მხოლოდ გასაოცარი, რომ ამ სიაში მონაწილეთა შორის დასახელებული არ არიან ამ კავშირის ისეთი დიდმნიშვნელოვანი წევრები, როგორიც გიორგი მეფე და ყუარყუარე ათაბაგი იყვნენ, რომელთა 1459 წ. ეპისტოლეები რომის პაპისა და ბურგუნდიის მთავრისადმი შენახულია კიდეც. საყურადღებოა ამასთანავე, რომ არც გიორგი მეფესა და არც ყუარყუარე ათაბაგსაც-კი ოსმალთა საწინააღმდეგო კავშირის მონაწილედ თავიანთ წერილებში ბაგრატ მეფე მოხსენებული არ ჰყავთ. საითგან და რა გზით შეეძლოთ ასე სწრაფად მიეღოთ ცნობა ქართველ დესპანებს იმ პოლიტიკური ცვლილების შესახებ, რომლის მომასწავებელი უნდა იყოს გიორგი მეფის მოუხსენლობა და ბაგრატ მეფის მოხსენება, თუ რომ ვადდინგოს ცნობა ამ დროისათვის რაიმე შეცდომას არ შეიცავს?

## დამოკიდებულება მეფე ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის

მეფე ბაგრატი და კონსტანტინე ბატონიშვილი ბაგრატის საბოლოო გამარჯვების შემდეგ როგორც ეტყობა შერიგებულან. უკვე ქართლში გადმოსვლის ორი წლის შემდგომ, 1468 წ., ბაგრატ მეფე კონსტანტინეს ძმად იხსენიებს და სიგელშიაც თავის გვერდით ჰყავს დასახელებული. ამ საბუთში ნათქვამია სახელდობრ: «ჩვენ ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა

---

[1] ქ´ბი II, 287—288 და ს. კაკაბაძის გენეალოგია ბაგრატ VI, გვ. 3.

[2] მაგრამ სწორედ ესევე საბუთი ერთს ეჭვსა ჰბადებს. ამ სიგელის ბოლოს ნათქვამია: «დაიწერა სიგელი ესე ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა იბ (12) ქორონიკონსა რნდ»-ო (იქვე). ისე გამოდის, რომ 1466 წ. უკვე თორმეტი, თუ მეთორმეტე წელიწადი ყოფილა, რაც ბაგრატი მეფედ მჯდარა, მაშასადამე, ის თითქოს 1454—55 წ. უნდა გამეფებულიყო. ამას ჯერ კიდევ გამორკვევა ეჭირვება, დედანთან თუ გარდანაწერთან გვაქვს აქ საქმე და აქ ხომ გადამწერს რაიმე შეცდომა არ მოსვლია?

[3] იხ. ს. კაკაბაძის ბაგრატ VI, გვ. 6.

[4] იხ. მ. თამარაშვილის ისტ. კათ. 598.

ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ღ῀თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩვენმან პატრონმან კოსტან-ტინე, ნებითა მღ῀თისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფის, შანშა და შირვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვით-მფლობით კელმწიფედ მპყრობელისა», ჩვენთან ესა და ეს პირნი მოვიდნენ და წყალობა გვთხოვეს და ჩვენც ვუწყალობეთო[1]. ამ სიგლის დასაწყისი ისეა დაწერილი, რომ მისი შინაარსის გაგებისათვის ერთგვარი დაკვირვება და განმარტებაა საჭირო. ბაგრატის ვინაობა მკაფიოდ არის აღნიშნული: ის „ღ῀თივ გვირგვინოსანი მეფეთ-მეფე“-ა, „ორისავე ტახტისა და სახელმწიფოს“ გამაერთებელი. კონსტანტინე ვინღაა? ამ საბუთის გამომცემელს ე. თაყაიშვილს ეგონა, რომ „აქ მოხსენებული ბაგრატ მეფე არის ბაგრატ II იმერეთისა, ხოლო კოსტანტინე არის მეფე კოსტანტინე მესამე ქართლისა. ბაგრატ მეორემ როგორც ვიცით დაიპყრო ქართლი, მაგრამ ეტყობა მეფის ხარისხი კოსტანტინესთვის არ ჩამოურთმევია და ქართლში გაცემული იმ დროის სიგელები ორთავე მეფეს იხსენიებენ“-ო[2].

ეს განმარტება თვით სიგელის შინაარსით არა მტკიცდება. კონსტანტინეს ბაგრატ მეფეთა-მეფე პატრონს უწოდებს მხოლოდ და არა მეფეს. რაკი ბაგრატს კონსტანტინეს მეფობა არ მოუხსენებია და პატრონის გარდა სხვა წოდებულება არ უხმარია, ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ კონსტანტინე მეფე არ ყოფილა, არამედ მხოლოდ ბატონიშვილი. მართალია სიტყვებს „ძმამან ჩვენმან პატრონმან კოსტანტინე“ სიგელში მოსდევს «ნებითა მღ῀თისითა აფხაზთა, ქართველთა» და სხვა ისე, რომ შეიძლება მკითხველმა იფიქროს, ვითომც ეს მეფური წოდებულება კონსტანტინეს ეკუთვნოდეს. მაგრამ ამგვარი აზრი მცდარი იქმნებოდა. უეჭველია ეს ბაგრატ მეფის წოდებულებაა, თუმცა ბაგრატის სახელს-კი არ მისდევს, არამედ კონსტანტინესას. ამგვარი მოვლენა ქართულ დიპლომატიკაში იშვიათი არ არის. ამას, მაგ., ალექსანდრე დიდის სიგელებიც ამტკიცებენ. აქაც ასე სწერია: «ჩუენ მეფეთა-მეფისა ალექსანდრესაგან დავითიან-ბაგრატონიანისა და თანამეცხედრისა ჩუენისა პატრონისა დედოფალთა-დედოფლისა თამარისგან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ, დიმიტრი და გიორგისაგან ნებითა ღ῀თისათა აბხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შირვანშა და შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდის თუითფლობით მქონებელ-მპყრობელისა»-ო[3]. აქაც როგორც ვხედავთ მეფის წოდებულება თვით მეფის სახელს-კი არ მისდევს, არამედ მისი სახლობის წევრთა სახელების შემდეგ ბოლოშია მოქცეული. როგორც ამ შემთხვევაში შეუძლებელია მარტო იმიტომ, რომ მეფის წოდებულება გიორგი ბატონიშვილის სახელს მისდევს, ადამიანმა იფიქროს, ვითომც უკვე თავის მამის, მეფე ალექსანდრეს, დროს 1433 და 1438 წ. გიორგი მეფე ყოფილიყოს, ამგვარადვე ჩვენ შეცდომა მო-

---

[1] სჳ῀ლს სძვ῀ლნი II, 40.

[2] იქვე, 39.

[3] 1438 წ. მცხეთის სიგელი, ს. კაკაბაძის ისტორ. საბუთ. III, 18; იხ. აგრეთვე 1433 წლის სიგელი, იქვე, გვ. 15, 1433 წ. სიგ. გვ. 16 და სხვა.

გვივიდოდა, თუ კონსტანტინეს მეფედ ჩავთვლიდით. კონსტანტინე რომ მართლა ქართლის მეფე ყოფილიყო, მაშინ ეს გარემოება საბუთში უეჭველად აღნიშნული იქნებოდა და ეწერებოდა „პატრონმან მეფემან კოსტანტინე"-ო. მაგრამ რა საფიქრებელია, რომ კონსტანტინე ამ დროს, 1468 წ., ქართლს მეფედ მჯდარიყო, როდესაც ბაგრატ მეფეს თავისი თავი თვით ამავე სიგელში «ო რ ი ს ა ვ ე ტ ა ხ ტ ი ს ა და ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ლიხთიმერისა და ლ ი ხ თ ა-მ ე რ ი ს» გვირგვინოსნად, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს და, მაშასადამე, ქართლის მეფედაც ჰყავს მოხსენებული?

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ თუმცა 1468 წ. კონსტანტინე ბატონიშვილი მეფობას არ ჰლირსებია და იმიერ-ამიერ საქართველოში მეფეთა-მეფედ ბაგრატი იჯდა, მაგრამ კონსტანტინე ამ დროისთვის ბაგრატს შეჰრიგებია და, რასაკვირველია, ამით მისი მეფობაც უცვნია.

## ბაგრატ მეფის უცილობელი მფლობელობა

ბატონიშვილს ვახუშტს მოთხრობილი აქვს, რომ 1466 წ. ყუარყუარეათაბაგის სიკვდილის შემდგომ მის შვილს ბაგრატის გაძლიერება საზარალოდ უცვნია და ისევ გიორგი მეფე გაუმეფებია საქართველოში. ბაგრატმა წინაღმდეგობის გაუწევლად დათმობა ირჩია და იმერეთს დაბრუნდა. ხოლო გიორგი მეფე სიკვდილამდე, ე ი. 1469 წ. აღმოსავლეთ საქ͠ლოში ბატონობდა და მთელი ქვეყნის გაერთიანებას ამაოდ ცდილობდაო. 1469 წ. შემდგომ აღმოსავლეთ საქ͠ლოში ვითომც მისი ძე კონსტანტინე გამეფებულიყოს. მაგრამ ვახუშტის ამ ცნობას არა ერთი და ორი იმდროინდელი საბუთი და მოწმობა ეწინააღმდეგება. ამ საბუთებითგანა ჩანს, რომ 1470 წ., მაგ., აღმოსავლეთ სქ͠ლში, ქართლში, მაინც გიორგი მეფე-კი არა, არამედ ბაგრატი ბატონობს, რომელიც მეფეთა-მეფედ იწოდება თვით ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის მიერ. მას ნათქვამი აქვს, რომ მას ლარგვისის მონასტერში თავისი საგვარეულო „საძუალე" აუშენებია და შეუმკია. «აღვაშენე და შევამკევ ქორონიკონსა მეათოთხმეტედ მოქცეულსა: რნჱ (158): სრულ ვყავით მეფობასა ღ͠თივ გვრგვნოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისსა»-ო [1]. მას ქუენიფნეველსვე ლარგვისის მიდამოებისათვის სამოსამართლო წიგნი გაუჩენია «კ ი თ ხ უ ლ ო ბ ი-თ ა და ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა ღ͠ თ ი ვ გ ვ რ გ ვ ნ ო ს ნ ი ს ა მ ე ფ ე თ ა - მ ე ფ ი ს ა ბ ა გ რ ა ტ ი ს ი თ ა» [2]. ვენეტიკის რესპუბლიკის დესპანების იოსაფა ბარბაროს და ამბროზიო კონტარინის მოგზაურობის აღწერილობაც სრული უეჭველობით ცხადჰყოფს, რომ ბაგრატ მეფე 1471—1475 წ.-ში, როდესაც ისინი საქართველოში ყოფილან, წინანდებურად ქართლის მფლობელად და ორისავე ტახტის ლიხთამერისა და ლიხთიმერის მპყრობელად ყოფილა. იოსაფა ბარბარო, მაგ., ამბობს, რომ საქართველოს მეფეს ბაგრატი ერქვა და ამ ქვეყნის დედაქალაქს ტფილისი ეწოდებოდა [3]. ამბროზიო კონტარინიც ამოწმებს, რომ იმავე ბაგრატ მე-

---

[1] სქ͠ლს სძ͠ვლენი III, 558.

[2] იქვე, 560.

[3] იხ. ქართული თარგმანი „მოამბე"-ში 1894 წ. № XI, გვ. 47 და 48.

ფეს, რომელსაც ერთი სასახლე ქუთაისში ჰქონდა[1], ქალაქ გორიც ეკუთვნოდა[2], სატახტო ქალაქად-კი მეფე ბაგრატის საბრძანებელში ტფილისი ითვლებოდა[3].

ზემომოყვანილ 1470 წ. საბუთისა და ვენეტიკელ დესპანების ცნობებითგანა ჩანს, რომ ბატონიშვილი ვახუშტის მოთხრობა, ვითომცდა გიორგი მეფეს 1466—67 წ. ქართლი დაებრუნებინოს და სიკვდილამდის მისი მფლობელი ყოფილიყოს და კიდევ საქართველოს გაერთიანებისათვის ცდილიქოს, მაინცდამაინც სრულ სიმართლედ ვერ ჩაითვლება. 1470 წ-თგან მოყოლებული რომ ბაგრატ მეფე მთელი ლიხთამერეთის თუ არა, ქართლის მფლობელიც იყო, ეს უეჭველია. მომავალში გამოირკვევა, მოხდა თუ არა იმგვარი პოლიტიკური ცვლილება 1466 — 1469 წ-ებში, რამაც სახელოვანს ქართველ ისტორიკოსს უფლება მისცა ეფიქრა, რომ გიორგი მეფემ ქართლი წინანდებურად დაიბრუნა. რაც უნდა იყოს ცხადია, რომ თუ რაიმე ამის მსგავსი მომხდარა, კონსტანტინეს ქართლში ბატონობის ამბავი სწორი არ არის და 1470 წ.-ითგან მოყოლებული ამიერ საქართველოშიც ისევ ბაგრატი ჩანს მეფედ.

## ცნობები ბაგრატ მეფის პიროვნების შესახებ

ამბროზიო კონტარინის სიტყვით ბაგრატ მეფე მაღალი ტანის კაცი ყოფილა, შავგვრემანი და თუმცა სახე ვითომც თათრული მოყვანილობისა ჰქონია, მაგრამ მაინც ლამაზი კაცი ყოფილა. ვენეტიკელს დესპანს ბაგრატი 1475 წ. წლოვანობით ორმოცი წლისა სჩვენებია[4]. თავისდათავად ცხადია, რომ ეს ცნობა დაახლოებითია, მაგრამ სიმართლეს ძალიან დაშორებული არ უნდა იყოს. თუ 1475 წ. დაახლოებით ორმოცი წლისა ყოფილა, მაშინ ცხადია იგი 1435 წ-ის ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო დაბადებული. გიორგი მეფისათვის რომ ლიხთიმერეთი წაურთმევია, ბაგრატი დაახლოებით 27 წლისა იქმნებოდა.

ვენეტიკელი დესპანი ამბრ. კონტარინი მეფე ბაგრატს ახირებულ და უცნაურ კაცად ახასიათებს. მის კითხვა-პასუხს, უცხოეთის ელჩის მიღება-დახვედრასა და მოპყრობას[5] არც სიდინჯე ატყვია და არც წინანდელი ქართული თავაზიანობა, ზრდილობა და სიდარბაისლე-ლა ემჩნევა.

ბაგრატ მეფე რომ აღმოსავლეთ საქ˝ლოში დამკვიდრებულა, „მამულებისა" და მოხელეობის დამტკიცებას შესდგომია. ზევდგინიძე ამბობს, რომ «სანამდისი იმავე ჩემგან ნაშოების მამულიდალმა წიწამურიდალმა ასი კოკა ღვინო არ მივეცით, მანამდის გორის მოურაობა არ გუიბოძა, ასრე არა გუაქუს რა ბაგრატ მეფისაგან»-ო[6]. მაშასადამე, თვით მეფესაც-კი ქრთამი აუღია. ვენეტიკელი დესპანიც ამბროზიო კონტარინიც მოგვითხრობს, რომ ბაგრატი უცხო

[1] იხ. ქართული თარგმანი „მოამბე"-ში 1894 წ. № XI, გვ. 51.

[2] იქვე, გვ. 53.

[3] იქვე, გვ. 61.

[4] იქვე, გვ. 56.

[5] იქვე, გვ. 52—54, 56.

[6] ზევდგინიძის საჩივარი, გვ. 24.

ელჩის ქონებასაც-კი არ ინდობდა და მან თავის მწერლებს ამ იტალიელი დესპანის მთელი ბარგი ააწერინა, თურმე «და რაც კი მოეწონათ, ცალკე გადაალაგეს და ძალით მიმაცემინეს მეფისთვისა»-ო [1].

ამბროზიო კონტარინის სიტყვით ბაგრატ მეფეს მისთვის, ვენეტიკის რესპუბლიკის დესპანისათვის, უნებლიეთი ძღვენის სახით სამოცდაათი ოქროს ფული წაურთმევია. შემდეგ მდევარიც დაუდევნებია და კიდევ 26 ოქრო ერთი და ამას გარდა 6 ოქრო მხლებლებისათვის წაურთმევინებია [2]. ბაგრატ მეფე იმდენად ხარბი ყოფილა, რომ წინაპართა მიერ საშვილიშვილოდ ნაწყალობევ მამულებს მემკვიდრეებს აღარ უმტკიცებდა, სანამ მამულებს არ შეისყიდდნენ. აი, მაგ., რას ამბობს თვით ბაგრატ მეფე თავის ერთს 1468 წ. სიგელში: «მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერთგულნი და ჩვენისა მორჭუმისა და გადიდებისათვის დღე და ღამე მომჭირნე-მოცადენი ჯავახისშვილნი ზაქარია, კახა და ზაზა და გვეაჯნეს და მოგვახსენეს, რათამცა ერთგულობისა მათისა სამუქფოდ სიგელითა ამით შევიწყალე და ძუელნი სიგელნიცა უნახენით თამარ მეფისაგან და სხვათა ჩვენთა ნათესავთა და ჩამომავალთაგან სამკვიდროდ მათთვის ბოძებული და **ახლავე დიდი ფასი და საქონელი გამოიღეს** და **მათივე მკვიდრი მამული** მათივე ალალითა საქონლითა **მათვე მივჰყიდეთ** და დაუმტკიცეთ»-ო [3].

ზევდგინიძესაც ერთს თავის საჩივრის წიგნში აღნიშნული აქვს: «დიდი მალი შემოგუაგდო ბაგრატ მეფემან»-ო [4].

რასაკვირველია, როდესაც ასეთ საქმეს თვით მეფე კადრულობდა, მისი მოხელეები და ჩვეულებრივი წვრილფეხა ხალხი უფრო უარესსაც ჩაიდენდნენ [5].

## 2. საქართველოს საგარეო მდგომარეობა

### დამოკიდებულება უზუნ-ჰასანთან და სპარსეთთან

რა დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მეფეს თავის სამხრეთით მცხოვრებ ხალხთან, სპარსელებთან და მის გამჭრიახ მბრძანებელ უზუნ-ჰასანთან?

იმგვარადვე როგორც ქართველებს 1459 წ-ს ევროპიელ ქრისტიანთა ხვეწნა მოუხდათ თურქ-ოსმალების წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლის მოსაწყობად, თუმცა თავდაპირველად ამგვარი გეგმა სწორედ დასავლეთში იყო შეთხზული, ამნაირადვე ოსმალთა საწინააღმდეგო ლაშქრობის ჩაფუშვა აღმოსავლეთში სხვაზე მეტად უზუნ-ჰასანს სწყენია და მალე სახვეწარი გახდომია კიდეც. გასაკვირველიც არაფერია, რადგან სპარსეთის მბრძანებელს, რო-

[1] მოამბე, 1894 წ. IX, გვ. 53.
[2] იქვე, გვ. 54.
[3] სქ˜ლს სძვ˜ლნი II, გვ. 40.
[4] ზევდგინიძის საჩივარი, გვ. 24.
[5] მოამბე, 1894 წ. IX, გვ. 52 და 57.

106/107

გორც მოსაზღვრეს, ოსმალთა მეზობლობის საშიშროება უკვე კარგადა ჰქონდა გამოცდილი და მათი ძლიერებისა და დამპყრობელობითი მადის ზრდისაგან მოსალოდნელი საფრთხე საკმაოდ ჰქონდა გათვალისწინებული. ამიტომ ის სიხარულით ხვდებოდა ყოველი, გინდ ქრისტიანე სახელმწიფოს, მაგ., ვენეტიკელსა და საქართველოს დესპანებს, რომელნიც-კი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობასა სთხოვდნენ [1].

რაკი ოსმალთა ყოველივე წინსვლა აღმოსავლეთისაკენ სპარსეთის მფლობელობისათვის მეტად უსიამოვნო და დამაფიქრებელი გარემოება იყო, ამიტომ, როდესაც 1471 წ. ისინი ყარამანს დაეპატრონენ და ხელში ჩაიგდეს, უზუნ-ჰასანმა ამ ქვეყნის მასთან შემოხიზნული ამირა ახმედი პატივისცემით მიიღო და დახმარება აღუთქვა. ოცი წლის ბრძოლით გამობრძმედილს უზუნ-ჰასანს თავისი თავი საკმაოდ ძლიერად მიაჩნდა, რომ ოსმალებს შეჰბრძოლებოდა, რათგან ამ დროს ის უკვე ქირმანის, ფარსის, ორთავე ერაყისა, ადერბაიჯანისა, სომხეთისა და შუამდინარის მფლობელი იყო. განსაკუთრებით მას თავისი თარაქამა ცხენოსანი ჯარის იმედი ჰქონდა და გამარჯვების ეჭვიც-კი არ ებადებოდა. 1471 წ. უზუნ-ჰასანი დიდი ლაშქრით ოსმალეთს შეესია, რომ ახმედი და მისი ძმა ყაზიმ-ბეგი კვლავ ყარამანის ბატონად დაესვა. ოსმალთა ჯარი მართლაც დამარცხდა და იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. ამის წყალობით ყარამანის მომეტებული ნაწილი სპარსეთის მბრძანებელს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც ეს ქვეყანა მის წინანდელ ბატონს დაუბრუნა. ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი მიზეზის გამო უზუნ-ჰასანმა ამ საქმეს თავი მიანება და თავის ქვეყანაში დაბრუნდა ისე-კი, რომ ახალ დაპყრობილ ქვეყანაში 10.000 ჯარისკაცის მეტი არ დაუტოვებია. ამით რა თქმა უნდა ოსმალებმა ისარგებლეს და უკვე 1472 წ. ეს უზუნ-ჰასანის მიერ დატოვებული ლაშქარი კერელუს (ანუ როგორც ეხლა ეწოდება ბეჲშერ-გიოლის) ტბასთან თავიანთ მთავარ ძალის დაუხმარებლივადაც დაამარცხეს. 1473 წ. გაზაფხულზე-კი უკვე თვით სულტანი მუჰამედიც ბოსფორითგან გადმოვიდა ოსმალეთის მთავარი ლაშქრითურთ [2]. ამ ამბის გაგების უმალ უზუნ-ჰასანიც, რასაკვირველია, ოსმალეთის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს უნდა მიემართა განსაცდელში მყოფს სპარსეთის მბრძანებელს საქართველოს მეფისათვის ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების შესახებ, რომელზედაც იტალიელ დესპანს ჯიოვან მარია ანჯიოლელლოს გაკვრით ნათქვამი აქვს თავის უზუნ-ჰასანის ცხრვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობის შემცველ თხზულებაში [3]. ქართველებს სპარსეთის შაჰისთვის მოშველებაზე უარი შეუთვლიათ [4].

თუ გავიხსენებთ, რომ იგივე ქართველები იყვნენ, რომ 1459 წ. უზუნ-ჰასანი ოსმალთა წინააღმდეგ და მათ საბოლოოდ გასანადგურებლად განზრა-

[1] პროფ. მვლერის Der Jslam II გვ. 338—339.

[2] იქვე, II, გვ. 340—341.

[3] Breve narratione della vita et fatti del signor Ussuncassano. იხ. Ramusio, Navigationi et viaggi II, გვ. 70.

[4] იქვე.

ხულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად და მოკავშირედ მოიწვიეს, ეს უარი ქართველთა მხრივ, როდესაც უკვე თვით უზუნ-ჰასანს გაუხდა საქმე სახვეწრად, შეიძლება ცოტა არ იყოს გვეუცხოვოს. რა მიზეზით და მოსაზრებით შეუთვალა საქართველოს მეფემ სპარსეთის მბრძანებელს უარი, დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ შესაძლებელია ქართველ პოლიტიკოსებს შემდეგი თვალსაზრისით ეხელმძღვანელათ. მაშინ, როდესაც 1459 წ. ოსმალთა მოსასპობად განზრახულ ლაშქრობაზე იყო მოლაპარაკება, ყველაფერი დასავლეთ ევროპისა და ქართველთა და მათ მოკავშირე ქრისტიანების თაოსნობით უნდა მომხდარიყო. ამიტომ ქართველებს იმედი ექმნებოდათ, რომ გამარჯვება მათ პოლიტიკურადაც გაამაგრებდა და ქონებრივ-ტერიტორიალურადაც დიდს სარგებლობას მოუტანდა. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაშინ სპარსთა თეთრ თუ შავ-ბატკნიანი ტომების მეთაურთა თავდასხმისაგანა და წაგლეჯისაგან თავს დააღწევდნენ და წართმეულ მიწებსაც უკან დაიბრუნებდნენ. ეხლა-კი რის იმედით-ღა უნდა ყოფილიყვნენ? სპარსეთი, რომელიც დღითი-დღე ძლიერდებოდა და თავის საზღვრებს აფართოებდა, მეორე ერთმორწმუნე სახელმწიფოს, ოსმალეთს ებრძოდა. ასეთს პირობებში გამარჯვებული და გაძლიერებული სპარსეთი საქართველოს სამეფოსათვის უფრო საშიში უნდა ყოფილიყო, ვიდრე ოსმალეთი, მით უმეტეს, რომ სპარსეთს, როგორც ეს ვენეტიკელი დესპანის ა მ ბ რ ო ზ ი ო კ ო ნ ტ ა რ ი ნ ი ს სიტყვებითგანა ჩანს, საქართველოს სამხრეთის კარი და მისი ძლიერი ციხე ლორე ხელში სჭერია და ლორესციხეში უზუნ-ჰასანს თავისი მეციხოვნე ჯარი ჰყენებია. 1474 წ. კონტარინის ისინი იქ თავისი თვალით უნახავს. მისი სიტყვით საქართველოს ველი ანუ ე. წ. სომხითის მინდორი უკვე უზუნ-ჰასანის საბრძანებლად ითვლებოდა[1]. საქართველოს თავდაცვისათვის ამ კუთხეს ისეთი მნიშვნელობა აქვს და მისი მფლობელობა მოწინააღმდეგეს ისეთს უპირატესობას ანიჭებს, რომ საქართველოს მხოლოდ მოსისხლე მტერს შეუძლია მოიწადინოს მისი ხელში ჩაგდება. ამიტომ და ასეთს პირობებში გასაკვირველიც არაფერია, რომ საქართველოს მთავრობას განსაცდელის მოლოდინში მყოფს უზუნ-ჰასანისათვის ოსმალთა წინააღმდეგ დახმარებაზე უარი შეუთვლია.

როდესაც უზუნ-ჰასანისა და მოჰამედის ლაშქრები პირველად ერთიმეორეს ეკვეთნენ და ომი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ისევ განახლდა, პირველად ბედმა უზუნ-ჰასანს გაუღიმა. მაგრამ როდესაც აზრუმსა და ერზინჯანს შუა მდებარე თერჯანის მახლობლად სპარს-ოსმალთა გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა, უზუნ-ჰასანის ლაშქარი მისმა თავგანწირულმა პირადმა გულადობამაც ვერ იხსნა ოსმალეთის ძლიერი არტილერიის საზარელი განადგურებისაგან. უზუნ-ჰასანი საშინლად დამარცხდა და იძულებული იყო მცირე აზიაში ძლევამოსილებით წინმსვლელი ოსმალეთის წინაშე თუმც ბრაზმორეულს, მაგრამ მაინც უკან დაეხია. ამ დროითგან მოყოლებული სპარსეთის

---

[1] Il viaggio del magnifico M. Ambrosio Contarini, ambasciadore della illustrissima signoria Di Venetia al gran Signore Ussun Cassan, Re di Persia, იხ. ქ˜ლი თარგმანი „მოამბეში“ 1894 წ. № XI, გვ. 54—55.

მბრძანებელი მხოლოდ შურისძიებაზე ოცნებობდა, როგორც თვით ოსმალეთის წინააღმდეგ [1], ისევე ყველა იმ მეზობლების დასასჯელადაც, რომელთაც მას ასეთ გაჭირვების ჟამს ხელი არ გაუმართეს და ოსმალთა წინააღმდეგ არ მიეშველნენ.

## 3. საქართველოს შინაური პოლიტიკური ვითარება

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა 1470—1475 წელში ვენეტიკელი დესპანის აღწერილობისდა თანახმად ასე გვეხატება.

### საბედიანო

საქართველოს დასავლეთის ნაწილს სამეგრელოს მთავრის სამფლობელო შეადგენდა. მთავარს ბედიანი (Bendian) ეწოდებოდა. ბედიანის სამთავროს დასავლეთით შავი ზღვა საზღვრავდა, სამხრეთით ბათუმი და ჩრდილოეთით სებასტოპოლი მასვე ეკუთვნოდა [2]. კონტარინის სიტყვით ბათუმის მახლობლად, სამხრეთით უკვე ოსმალეთის სახელმწიფო საზღვარი იწყებოდა და საქართველოს ეს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი უკვე ოსმალეთის მოხარკე ყოფილა [3]. ბათუმი მაშინ პატარა ციხე-ქალაქი ყოფილა [4]. ჩამოთვლილ ქალაქებს გარდა ბედიანს შავი ზღვის პირად ერთი პატარა ქალაქი (Caltichea) ჰქონია, რომელიც ერთგვარ სავაჭრო ცენტრად ყოფილა. იქ თურმე აბრეშუმს, მომსხო ტილოს და თაფლს ჰყიდდნენ [5]. სამეგრელოს მთავარ ბედიანსვე ეკუთვნოდა, რასაკვირველია, ფოთიც, რომელიც მაშინ თურმე ზღვის პირამდის აღარ აღწევდა, არამედ ცოტა მოშორებით იყო რიონის პირად. ზღვითგან ნავებით აღმა ადიოდნენ და ნავთსადგურის მახლობლად მდებარე კუნძულს რომ გასცილდებოდნენ, აქეთგან ოდნავ აღმოსავლეთით თვით გარშემო ტყით მოცული ქალაქი მდებარეობდა. ამ ადგილას რიონი იმდენად განიერი იყო, რომ სიგანით „ორი შვილდის სროლის“ ოდენა ყოფილა [6].

იოსაფა ბარბაროს სიტყვით სამეგრელოს მოსაზღვრედ ვითომც კაიტაქნი (Caitachi) იყვნენ, ის კაიტაქნი, რომელნიც კასპიის მთის მახლობლად ცხოვრობენო [7]. ქართველ მთარგმნელს აღნიშნული აქვს, რომ ყაიტაღები დაღესტანში ცხოვრობენ, სადაც ყაითაღ-თაბასარანის ოლქიც-კი არსებობს, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ სამეგრელო არ ემხრობა ყაიტაღებსო [8]. ბარბა-

[1] Prof. A. Müller, Der Jslam II, გვ. 341.

[2] იოს. ბარბარო, მოამბე, 1894 წ. XI, გვ. 45 და ამბროზიო კონტარინი, იქვე, გვ. 49.

[3] იქვე, გვ. 58.

[4] ამბ. კონტარინი, გვ. 49.

[5] იქვე. გვ. 49.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 45.

[8] იქვე, შენ. 2.

როს არცა აქვს მოხსენებული, რომ კაიტაქნი კასპიის მთებში ცხოვრობენ. ის ამბობს მხოლოდ ამ მთების მახლობლად ბინადრობენო. ამ შემთხვევაში ორი შესაძლებლობაა: სახელი შეიძლება ან სწორად იყოს შენახული და ბარბაროს მართლაც ყაიტაღები ჰყავდა თავის აღწერილობაში მოხსენებული ან შესაძლებელია მერმინდელ გადამწერთაგან ან გამომცემლისაგან იყოს დამახინჯებული. პირველ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თუ XVIII—XIX საუკ-ში ყაიტაღების სახელი მხოლოდ დაღესტანშია შენახული, ამის გამო უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, ვითომც ისინი მუდამ დაღესტანში იყვნენ დასახლებულნი. ადვილი შესაძლებელია, რომ XV ს-ში, როდესაც იოს. ბარბარო საქართველოში იყო, მათ იმიერკავკასიაში ეხლანდელზე გაცილებით უფრო დასავლეთით ჰქონოდათ მოსახლეობა სწორედ იქ, სადაც ვენეტიკელ ელჩსა აქვს აღნიშნული. ხოლო, თუ სახელი დამახინჯებულია, იქმნება იტალიელს ავტორს ყარაჩაელნი ეწერა.

ბარბაროს სიტყვებითგან თითქოს ისე გამოდის, რომ **სამეგრელოს მთავრის სამფლობელო კავკასიონის ქედამდის აღწევდა**. ის ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთით საბედიანოს ჩერქეზეთის მთაგრეხილი საზღვრავდა[1]. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ბედიანი დასავლეთ ევროპაში გაგზავნილ დესპანებს იქაური ქრისტიან მეფე-მთავრებისა და პაპისთვის გაუცნიათ როგორც სამეგრელოსა და აფხაზეთის მეფე (Mengreliae et Abasiae rex), მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ **ბედიანის სამთავროს საზღვრებში აფხაზეთიც შედიოდა**.

„მცნება სასჯულო“ საშუალებას გვაძლევს იმდროინდელ საბედიანოს სამთავროს დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრების ზოგიერთი ადგილები უფრო მეტი ზედმიწევნილობით გამოვარკვიოთ. თუმცა იქ აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოზეა ლაპარაკი, მაგრამ საფიქრებელია, რომ საკათალიკოსოს საზღვრები მეტ წილად პოლიტიკურ ერთეულების საზღვრებს მისდევდა. ხოლო აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოს შეადგენდა ქვეყანა «ლიხთ ამერისა[2], ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისაო»[3]. ამავე ძეგლითგანა ჩანს, რომ ბედიანი დიდი ერისთავთ-ერისთავი შამადავლე „დადიან-გურიელი“ ყოფილა[4]. მაშასადამე, სამეგრელოს გარდა მას გურიაც სჭერია. სწორედ ამიტომაც არის, რომ აფხაზეთის კათალიკოსის სამწყსოს საზღვარი აღნიშნულია «ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა საზღვარი მიაწევს»[5]. საბედიანო სამთავროს საზღვარიც დაახლოებით ალბათ ეს უნდა ყოფილიყო.

აღმოსავლეთით სამეგრელოს მთავრის ბედიანის სამფლობელოს საქართველოს მეფის ბაგრატის საბრძანებელი საზღვრავდა[6]

---

[1] ამბ. კონტარინი, გვ. 45.

[2] ძეგლი დასავლეთ საქართველოშია დაწერილი და ამიტომ აქ დასავლეთი საქართველო იგულისხმება.

[3] მცნ. სასჯ. ს. კაკაბაძე, 4; ქ̃ბი II, 294.

[4] იქვე.

[5] იქვე, 5 და ქ̃ბი II, 294.

[6] იოს. ბარბარო, 47 და ამბ. კონტარინი, 51.

ამბროზიო კონტარინის სიტყვით ბედიანის სამთავრო იმდენად პატარა ყოფილა, რომ საზღვრითგან საზღვრამდის სულ სამი დღის სავალი იყო თურმე[1]. საზღვრად სამეგრელოს მთავრისა და ბაგრატის სამეფოს შორის ერთი მდინარე ყოფილა, რომელიც ქუთაისის დასავლეთით მდებარეობდა, ამ მოსაზღვრე მდინარითგან ქუთაისამდის ერთი დღის სავალი ყოფილა[2]. ცხადია, რომ ვენეტიკის დესპანის მიერ მოხსენებული მდინარე ცხენის წყალი უნდა ყოფილიყო.

ამბროზიო კონტარინისა და იოს. ბარბაროს აღწერილობითგან ჩანს, რომ ბედიანის სამთავრო ამ დროს ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა, რომელსაც თავისი საზღვრები და მართვა-გამგეობა ჰქონდა და საკუთარი ჯარი ჰყავდა. მაინც საქართველოს მეფეს უზენაესი უფლება ამ სამთავროზეც შენარჩუნებული ჰქონია და განსაკუთრებულ შემთხვევებში ის ამ სამთავროს საქმეებშიც ერეოდა ხოლმე. 1475 წ. ივლისში ბედიანის სიკვდილის შემდგომ არეულობა მომხდარა სამეგრელოში და ბაგრატ მეფეს წესიერების დასამყარებლად იქ თავისი ერთ-ერთი ჯარის უფროსი გაუგზავნია ცხენოსან და ქვეითა რაზმითურთ[3]. საყურადღებო გარემოებაა, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავარს ბედიანს საერთაშორისო დამოკიდებულებაში თავისი საკუთარი წარმომადგენლობა არა ჰყოლია და, დასავლეთს ევროპაში რომ საქართველოთგან დესპანები გაიგზავნენ თურქების განსადევნად შეერთებულ სამხედრო მოქმედების მოსაწყობად, ბედიანს მესხეთის ათაბაგსავით ცალკე თავისი განსაკუთრებული ელჩი არ გაუგზავნია.

ამბროზიო კონტარინი ამბობს, ვითომც სამეგრელოს მთავარს, რომელიც 1474 წ. ბედიანად ყოფილა, გორბოლა (G0rbola) რქმეოდეს[4]. ვენეტიკელ დესპანს ეს ბედიანი 5 ივლისს 1474 წ. პირადად უნახავს[5], ხოლო 1475 წ. ივლისში ის უკვე მკვდარი ყოფილა[6]. ზემოაღნიშნული ბედიანი იტალიელი დესპანის სიტყვით გარეგნულ შეხედულობით 1474 წ. ორმოცდაათი წლის კაცად მოჩანდა და საკმაოდ შნოიანი ყოფილა[7]. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით 1470 წ. მომკვდარა დადიანი ლიპარიტ და მის მაგიერ დამჯდარა მისივე შვილი შამადავლა[8], რომელიც 1474 წ. გარდაცვლილა[9]. ეს შამადავლა (ვახუშტს შამანდავლედ უწერია) იხსენიება „მცნება სასჯულო"-ში[10] და ბიჭვინტის საკათალიკოსო საბუთში № 92[11],

---

1 კონტარინი, გვ. 50.
2 იქვე, 51.
3 იქვე, 56.
4 იქვე, გვ. 49.
5 იქვე, გვ. 50—51.
6 იქვე, გვ. 56.
7 იქვე, 51.
8 ვახუშტი, ისტ. ჭიჭინაძე, გვ. 365.
9 იქვე.
10 ს. კაკაბაძე, 4 და ქ'კბი II, 294.
11 ს. კაკაბაძე, დასავლ. საქ. საბ. I, გვ. 2.

სადაც ეს სახელი „შამანდავლა"-დ არის დაწერილი. ორსავე ზემომოხსენებულს ძეგლში იგი დადიან-გურიელად იწოდება, რაც ცხადჰყოფს, რომ შამადავლას სამეგრელოს სამთავროს გარდა მართლაც გურიაც სჭერია. „მცნება სასჯულო" ამის გარდა „დიდი ერისთავთ-ერისთავის" სახელით იხსენიებს მას[1].

ზემოაღნიშნულითგანა ჩანს, რომ ბედიანი დაახლოებით 1474 წ.— ივლ. 1475 წ. უნდა გარდაცვლილიყო. ბატონიშვილი ვახუშტის ცნობითაც შამადავლა 1474 წ. მომკვდარა, რაც იტალიელი დესპანის ცნობას კარგად უდგება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამბ. კონტარინის თხზულებაში ბედიანის სახელად მოყვანილი „Gorbola" „გორბოლა" (Samadola-ისგან წარმომდგარი) დამახინჯებული „შამადავლა" იყოს.

იტალიელ დესპანთა სიტყვითაცა და ქართული სიგელებითგანაც ჩანს, რომ საბედიანოში, განსაკუთრებით აფხაზეთ-სამეგრელოში ხალხი კულტურულად დაქვეითებული ყოფილა, სასოფლო მეურნეობაცა და მრეწველობა-აღებმიცემობაც იმდენად დაცემულა, რომ ხალხი გაღარიბებული და გონებრივად ჩამორჩენილი ყოფილა, ცოდნაც ჰკლებია. ხოლო მუშაობის უნარი და შრომის ნაყოფიერება იმდენად მოდუნებული ჰქონია, რომ ამ ბუნებით უხვად დაჯილდოებულსა და კურთხეულს კუთხეში მკვიდრთ არამც თუ უცხოეთში ცოტა რამის გატანა შეეძლოთ, თავიანთ თავის გამოკვება და რჩენაც-კი უძნელდებოდა თურმე[2].

## საათაბაგო

ბაგრატ მეფის საბრძანებლისაგან გამოყოფილი იყო და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა ყუარყუარე (Gorgora) ათაბაგის სამფლობელო მესხეთი. კონტარინი მას ახალციხის მთავარს უძახის[3]. ალბათ ასე იწოდებოდა ის ჩვეულებრივ საუბარში, რათგან ახალციხე ათაბაგის საჯდომი ქალაქი იყო. თურქების მიერ ათაბაგებისათვის შემდეგში შემოღებული ახალციხის ფაშის სახელიც აქეთგან უნდა იყოს წარმომდგარი.

**ათაბაგებს ისეთი ძალა და გავლენა ჰქონდათ, რომ ყველა მეზობლები მათ ანგარიშს უწევდნენ.** ამ ძლიერებისდა მიუხედავად ჯაყელნი თავიანთ თავს ათაბაგებს უწოდებდნენ. მხოლოდ ერთი საბუთია შენახული, სადაც ერთ მათგანს მეფისა და ხელმწიფის წოდებულება აქვს მიკუთვნილი. «დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისაგან» ძლეულ იქმნენ ყველა მტრებიო[4], ნათქვამია იქა და ეს ნაწყვეტიც საკმაოდ გვიჩვენებს მათ

[1] ს. კაკაბაძე, 4 და ქ'ბი II, გვ. 294.
[2] იხ. ჩემი საქართ. ეკონომ. ისტორია II.
[3] ამბ. კონტარინი, გვ. 58.
[4] 1500—16 წ. საბუთი: ქ'ბი II, 317.

მაშინდელს წადილსა და გავლენიანობას. მაგრამ ჩვეულებრივ ჯაყელნი, რომელთაც მესხეთის უზენაესი ხელისუფლება ეპყრათ, წინანდებურად ცნობილნი იყვნენ «საქართველოს ათაბაგად და სამცხისა სპასალარად».

## მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ათაბაგის სახლობის წევრთა შესახებ

«დიდი და სახელგანთქმული საქართველოს ათაბაგი, სამცხისა სპასალარი ჯაყელ-ციხის-ჯუარელი და დიდად წარჩინებული პატრონი ყუარყუარე ნებიერად და ღ̃თის მსახურებით ცხოვრებდა და დღეკეთილობით აღასრულნა ყოველნი დღენი მისნი და სიბერითა კეთილითა უფლისა მიერ მიიცვალა ქ̃ნსა: რპვ» ანუ 1498 წ-სო, ნათქვამია ათონის მონასტრის აღაპებში[1]. იგივე წელიწადი აქვს იკორთის ჟამნგულანის და კიდევ ხუთს სხვა კინკლოსსაც[2]. ქ̃ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელება თარიღად ქ̃კს რპჱ (188) ანუ 1500 წ. სდებს და თანაც დაძენილი აქვს, რომ ათაბაგი «მიიცვალა წლისა პბ (82) ივნისსა ა»[3]. ქ̃ცის მეორე გაგრძელებაში გარდაცვალების ქრონიკონად „რჟე" (195) ანუ 1507 წ. არის აღნიშნული და მიცვალების წლოვანებაც მომატებულია: «მიიცვალა წლისა ჟბ (92) ივნისსა»[4].

ამ ქრონოლოგიურ ცნობათა შორის უპირატესობა ათონის აღაპებს უნდა მიენიჭოს, რათგან ის თანამედროვისა და ათაბაგის ოჯახში აღზრდილის ამბროსის მიერ არის მიწოდებული და დაწერილი[5] და თანაც ვითარცა მაშინდელ საისტორიო ამბების ყველა სხვა ცნობებზე უფრო შესაბამს. ქ̃ცის ორსავე გაგრძელებაში უეჭველია გადამწერის შეცდომა უნდა იყოს და მათს დედანშიაც, საითგანაც ეს თარიღი ამოღებული იქნება, „რპე" ეწერებოდა. ცხადია მაინც, რომ მათ ყველა სხვა შენახულ კინკლოსებზე უკეთესი და განსხვავებული წყარო უნდა ჰქონოდათ, რათგან მხოლოდ იქ არის ყუარყუარე ათაბაგის წლოვანება და გარდაცვალების თვე და რიცხვი ზედმიწევნილობით აღნიშნული. თვით თანამედროვის მიერ აღწერილს ათონის მონასტრის აღაპშიაც-კი ამ მხრივ ცნობა სრული არ არის და გარდაცვალების თვე და რიცხვი ხომ სრულებით დასახელებული არ არის. წლოვანებაც მხოლოდ ზოგადი სიტყვებითაა დახასიათებული: «სიბერითა კეთილითა მიიცვალა»-ო. სამწუხაროდ ქ̃ცის შევსებულ-გადაკეთებულ ორსავე გაგრძელებაში ყუარყუარეს წლოვანების შესახებ თანხმობა არ სუფევს: პირველს გაგრძელებაში გარდაცვლილი ათაბაგი 82 წლის მოხუცად იხსენიება, მეორეში-კი 92 წლისად. დანამდვილებით იმის თქმა, თუ რომელი ამ ორ ცნობათაგანია ჭეშმა-

---

[1] იხ. ათონის კრებ. გვ. 265—266.

[2] იხ. ს. კაკაბაძე, გამ. 5 და ქ̃კბი II, 312.

[3] დამატ., 964

[4] პარიზ. ქ̃კა, გვ. 6.

[5] ათონ. კრებული, 266.

რიტი, ძნელია, მხოლოდ რაკი 92 წ. ღრმა მოხუცებულებას წარმოადგენს, ამბროსის მოწმობით-კი ათაბაგი ყუარყუარე „სიბერითა კეთილითა“ აღესრულა, ამიტომ საფიქრებელია თითქოს ქ˜ცის პირველი გაგრძელების ცნობა, 82 წ., უფრო სწორი უნდა იყოს.

თუ გარდაცვალების ჟამს ყუარყუარე მართლაც 82 წლისა იყო, მაშინ ის 1416 წ. უნდა დაბადებულიყო, ხოლო თუ 92 წ.—1406 წ. უნდა მივიჩნიოთ დაბადებულად.

ქართველთა ათაბაგისა და სამცხის სპასალარის ჯაყელ-ციხის-ჯვარელის ყუარყუარეს «მეუღლესა პატრონსა დედისიმედს» ეძახდნენ[1]. დედისიმედის გარდაცვალების თარიღიც არის შენახული. ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებულს ორსავე გაგრძელებაში თითქმის ერთნაირად არის ნათქვამი: «ქ˜კს როთ (179) მიიცვალა მეუღლე ყუარყუარე ათაბაგისა ბატონი დედისიმედი წლისა ნდ (54): სეკდემბერსა: იჱ:»[2]. მეორე გაგრძელებაში თვე და რიცხვი განსხვავდება: «დეკენბერს იე (15)»-საო[3]. ბატონიშვილს ვახუშტსაც ამგვარივე თარიღი აქვს: «მოკუდა დედისიმედი ქ˜ს ჩუჟა (1491 წ.) ქრ. როთ დეკემბერს იჱ»[4]. მაშასადამე, 54 წლის დედისიმედი 1491 წ. ან 18 სექტემბერს ან 15 დეკემბერს გარდაცვლილა.

ყუარყუარე ათაბაგისა და დედისიმედის უფროს შვილს ქაიხოსრო ერქვა. მამის შემდგომ ის ათაბაგობდა. გარდაცვალების ჟამს ქაიხოსრო ჯერ კიდევ შუახნის კაცი ყოფილა. ბატონიშვილს ვახუშტს ნათქვამი აქვს: «მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი წლისა ნგ (53) მაისს ვ ქს ჩფბ (1502) ქრ. რჟ»[5], მაგრამ ამ ცნობას სხვა წყაროები არღვევენ, სადაც თარიღად 1500 წ-ია დადებული[6]. თუ ქაიხოსრო 1500 წ-ს 53 წლისა ყოფილა, მაშასადამე, ის 1447 წ-ს დაბადებულა.

რაკი ყუარყუარესა და დედისიმედის პირმშო შვილი, როგორც დავრწმუნდით, 1447 წ. დაბადებულა, ამ დროს მისი მშობელი დედისიმედი, 1437 დაბადებული, ცხადია, 10 წლისა იქმნებოდა. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ დედისიმედი 9 წლისა უნდა გათხოვილიყო და ქორწინების პირველსავე წელს შვილი ჰყოლოდა, რაც ამ ხანში იშვიათ მოვლენად ითვლება. ქალის სქესობრივი სიმწიფე თუმცა 11 წლითგან, ხოლო იშვიათად 10 წ-ზე უწინარესაც იწყება ხოლმე, მაგრამ 15 წლამდე ჩვეულებრივ შვილოსნობა იშვიათ მოვლენად არის ცნობილი[7].

ყუარყუარე-დედისიმედს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახლობა ჰყოლიათ და „მათსა ძესა პირმშოსა“ ქაიხოსრო ერქვა, მეორეს მზეჭაბუკი, მესამეს ბაჰადური და სულ უმცროსს იანქო[8].

---

[1] ათონის ალაპები, იხ. ათონ. კრებული, 268.

[2] დამატ., 904.

[3] პარიზ. ქ˜კა, 6.

[4] ვახუშტი, ისტ. ჭიჭინაძე, 239.

[5] იქვე, 241.

[6] ქ˜კბი II, 313.

[7] Prof. Strassman. Gesundheitspflege des Weibes, 1913 წ. გვ. 33 და 28.

[8] ათონის ალაპ., ათონ. კრებ., 268.

ყუარყუარეს შვილთაგან ბაჰადური გარდაცვლილა და «წარვიდა გზასა მას საუკუნესა» ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ის „ჭაბუკი“ იყო «ჰასაკითა ოცისა გინა თუ კა (21)-ისა წლისა»[1]. რაკი ქართველი მონაზონის აკაკის სიტყვით[2] ამ გარდაცვალებულის „საკსენებელის“ დასაწესებლად «დიდებულთა მშობელთა და ძმათა» უხვი შეწირულება დაარიგეს საქართველოშიცა და უცხოეთშიც[3], ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბაჰადურის სიკვდილის დროს ათაბაგი ყუარყუარე და მისი მეუღლე დედისიმედი ცოცხალი ყოფილან; მაშასადამე, არამც თუ 1498 წ. უწინარეს, არამედ 1491 ადრეც უნდა ვიგულისხმოთ მკვდარად. ბაჰადური 10 ოქტომბერს გარდაცვლილა და სწორედ ამ «დღესა მიცვალებისა ოკდონბერსა ათსა» იყო დაწესებული მისი მოსახსენებელი აღაპი ათონის ქართველთა მონასტერში[4].

ბაჰადურის სიკვდილის თარიღი ქ˝ცის შევსებულ-გადაკეთებულ ორსავე გაგრძელებასა და ვახუშტსაცა აქვთ. პირველს გაგრძელებაში ნათქვამია: «ქ˝კსა: რჲგ (163): ათაბაგი ბაჰადურ გარდაიცვალა წლისა: კა: ოკტონბერსა: ი: დასაბამითგან ქ˝კსა ექვსი ათას ცხრაას ოთხმოც და ორსა»-ო[5]. დასაბამითგანი წელი ამტკიცებს, რომ ცნობა თავდაპირველ მინაწერითგან უნდა მომდინარეობდეს. ქრონიკონი 1475 წელს უდრის, დასაბამითგანი წელიწადიკი, თუ ბერძნული წელთ-აღრიცხვით ვიხელმძღვანელებთ, რომელიც უეჭველია ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი უნდა იყოს, 1474 წ. გამოდის.

ბატონიშვილს ვახუშტს იგივე თარიღი აქვს დასახელებული: მოკვდა «ბაადურ ათაბაგი წლისა კა, ქ˝ს ჩუოე (1475 წ.), ქრ. რჲგ»[6]. ქ˝ცის მეორე გაგრძელებაში სწერია: «ქ˝კსა რჲვ (166 = 1478 წ.) ათაბაგი ბაადურ გარდაიცვალა წლისა კა (21) ოკდონბერს ი, დასაბამითგან ქ˝კსა ექვსიათას ცხრაას ჟბ (92)»[7]. დასაბამითგანს თარიღში ცხადი შეცდომაა და „პ“-ის მაგიერ გადამწერს „ჟ“ დაუსვამს. ქ˝კ-შიც ალბათ „ვ“-ი „გ“-ის მაგიერ ზის შეცდომით. მაშასადამე, ყველა წყაროები თანხმობრივ ბაჰადურის სიკვდილის თარიღად 1475 წ. 10 ოქტომბერსა სდებენ.

რაკი ბაჰადური 1475 წ-ს ოცდაერთი წლისა ყოფილა, ცხადია ის 1454 წ. დაბადებულა.

## ბაგრატ მეფის საბრძანებელი

ბაგრატ მეფის საბრძანებელს იტალიელი დესპანები საქართველოს (Zorzania) უწოდებენ. დასავლეთით ბაგრატის სამეფოს ბედიანის სამთავრო საზღვრავდა. მოსაზღვრე ხაზად, როგორც

[1] ათონ. აღაპ., ათონ. კრბ., 268.
[2] იქვე, 269.
[3] იქვე, 268.
[4] იქვე, 269.
[5] დამატ., 893.
[6] ვახუშტი, ისტ. ჭიჭინაძე, 237, ჩუბ., 155.
[7] პარიზ. ქ˝კა, ჭიჭინაძე, 6.

116/117

დავრწმუნდით, მდინარე ცხენისწყალი ითვლებოდა. საქართველოს მეფეს ბაგრატს ერთი სასახლეთაგანი ქუთაისში ჰქონდა. მაშინ ქუთაისი პატარა ქალაქი ყოფილა. წყალ-გაღმა გორაზე იდგა ქვითკირით ნაშენი ციხე, რომელშიაც ვენეტიკელ დესპანს ერთი ძალიან ძველი ეკლესია, უეჭველია ბაგრატის ტაძარი, უნახავს. ქალაქსა და ციხეს მდინარე რიონზე გადებული ქვის ხიდი აერთებდა. მეფის სასახლე მდინარის გამოღმა მდგარა საკმაოდ დიდ მინდორზე[1].

ბაგრატსვე ეკუთვნოდა სკანდის (Scander) ციხე, რომელიც მთაზე იყო აშენებული. სკანდა, როგორც ეტყობა, ბაგრატ მეფის საზაფხულო საჯდომთაგანი ყოფილა[2]. დასავლეთ საქართველოს გარდა აღმოსავლეთი საქართველოც 1470—1476 წლებშიც კვლავინდებურად ბაგრატ მეფეს ეჭირა. ამბ. კონტარინის სიტყვით მას ეკუთვნოდა ქ. გორი, რომელიც ვაკეზე იყო გაშენებული. გორის ციხე-კი გორაზე იდგა, მაგრამ მაშინ ჯერ მხოლოდ ხის ციხე ყოფილა[3]. ბაგრატ მეფეს სატახტო ქალაქად ტფილისი ჰქონია[4], თვით ქალაქსა და მეტეხის ციხეს მტკვარი ჰყოფდა. იტალიელს დესპანს ციხე იმ დროისათვის საკმაოდ მაგარ ციხედ სჩვენებია[5]. ის მოწმობს, რომ ტფილისი წინათ განთქმული იყო სიდიდით, ამჟამად-კი დაცემულიაო. მაგრამ მაინც ქალაქის ის უბნები, რომელნიც მტრის აოხრებას გადაურჩენ, ეხლაც კარგად არის დასახლებულიო[6]. იოს. ბარბაროზეც ამგვარივე შთაბეჭდილება მოუხდენია ტფილისს: ქალაქი კარგია, მაგრამ მცხოვრებნი ნაკლებად არიანო[7].

ამბ. კონტარინის სიტყვებითგანა ჩანს, რომ ქვემო ქართლის სამხრეთი კუთხე ე. წ. სომხითი, ლორეს ციხე და მინდორი ამ დროს, მაგ., 1474 წ., მტერს ჰქონია დაპყრობილი და სჭერია ხელში. ის ამბობს: „მივედით უზუნ-ჰასანის საბრძანებელში ანუ უკეთ რომ ვსთქვა სომხითში. საღამოს მივედით უზუნ-ჰასანის იმ ციხესთან, რომელსაც ლორე ეწოდება. ეს ციხე ვაკეზე მდებარეობს და ერთი მხრით მთა აკრავს, ხოლო მეორე მხრით მდინარე ჩაუდის. ეს მდინარე ძალიან ღრმაა, მაგრამ წყლის სიმრავლის გამო-კი არა, არამედ ნაპირების სიმაღლის მიზეზით. მდინარეში რომ გავედით, სომხების ერთს სოფელში მივედით"-ო. ლორეს ციხეში უზუნ-ჰასანს თურმე თურქი მეციხოვნენი ჰყოლია ჩაყენებული[8]. ვენეტიკის დესპანის ეს ცნობა ცხადჰყოფს, რომ ბაგრატ მეფეს უზუნ-ჰასანისაგან დაპყრობილი ეს საქართველოს კუთხე ველარ დაუბრუნებია. მაშასადამე, ბაგრატ მეფის საბრძანებლის

[1] ამბ. კონტარინი, 51.

[2] იქვე, 52.

[3] იქვე, გვ. 53—54.

[4] ამბ. კონტარინი, 61 და 55 და იოს. ბარბარო, 48.

[5] ამბ. კონტარინი, 55.

[6] იქვე, 56.

[7] გვ. 48.

[8] გვ. 55.

საზღვარი ლორეს მინდვრების ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ბაგრატ მეფის საბრძანებელს შეადგენდა, მშვენიერ და ნაყოფიერ ქვეყნად აქვს იტალიელ დესპანებს აღწერილი. მოსახლეობა მაინც და მაინც მჭიდრო არ ყოფილა. სხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, როგორც უფრო ადვილი გასაძღოლი, ისე დაქვეითებული არ ყოფილა. მევენახეობაც კვლავინდებურად გავრცელებული ყოფილა. ღვინო საქართველოში ბლომად მოდიოდა და ღვინის სმაც მეტად გავრცელებული ყოფილა—ისე რომ ღვინის სიუხვე თურმე საუკეთესო მასპინძლობად ყოფილა მიჩნეული[1].

იოს. ბარბაროს სიტყვით საქართველოს მკვიდრნი მშვენიერნი და მოსულნი ყოფილან. ქონებრივადაც შედარებით კარგს მდგომარეობაში ყოფილან[2]. მაგრამ მათი ზნე-ჩვეულება იტალიელ მოგზაურს არ მოსწონებია[3]. უწუნებს ქართველებს ზნე-ჩვეულებასა და სარწმუნოებას მეორე ვენეტიკელი დესპანი ამბ. კონტარინიც: ბაგრატის სამეფო საქართველო სამეგრელოზე ცოტად უკეთესია, მაგრამ ზნე-ჩვეულება და სარწმუნოება ერთი და იგივე აქვთ[4] და ისეთივე უვიცნი არიან, როგორც მეგრელებიო[5]. თუმცა კონტარინის მსჯელობას ცხადი გადაჭარბება და გამწარება ეტყობა იმ მრავალგვარი წვალების გამო, რომელიც მას მთელს საქართველოში გამოუვლია, მაგრამ მისი ცნობები მაინც მაშინდელ საქართველოს დიდს კულტურულსა და ეკონომიურს დაქვეითებას ააშკარავებენ. როგორც სახელმწიფო დარბაზობა, ისე დიდებულთა სტუმართმასპინძლობა და ყოფა-ცხოვრება მოკლებული ყოფილა წინანდელს ბრწყინვალებას, წესრიგსა და სიდარბაისლეს. ხალხის გაველურების ერთ-ერთ ნიშნად მგზავრების ის თავალებული ძარცვა-გლეჯა უნდა ჩაითვალოს, რომელსაც მოხელეებიც და კერძო პირნიც გულიანად მისდევდნენ და რაც იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ უცხოელს, დასავლეთ ევროპიელს მოგზაურს თავბედს აწყევლინებდა ხოლმე[6]. მეკობრობაც, როგორც ჩანს, იმდენად ჩვეულებრივ და ხალხის შემაწუხებელ მოვლენად გამხდარა, რომ ავაზაკთა მსხვერპლად აფხაზეთში ამ დროს ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქი ლუდოვიკოც გამხდარა[7]. გაბოროტებულ ხალხს იმ დროს საქართველოში მყოფი ანტიოქელ-იერუსალიმელი მწყემსთმთავარი მიხეილიც ურჩევდა: «მეკობრეთათავხუცესსა მოარჩობდით»-ო[8].

---

[1] იხ. ჩემი საქართ. ეკონომიური ისტორია, II.

[2] იოს. ბარბარო, გვ. 47.

[3] იქვე.

[4] ამბ. კონტარინი, გვ. 54.

[5] გვ. 51.

[6] კონტარინი, 52, 53, 54, 57 და 61.

[7] იქვე, 61.

[8] მცნ. სასჯ. 7.

XV საუკ-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს კულტურული დაქვეითება უფრო მკაფიოდ ემჩნეოდა. ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი მოწმობს, რომ იქ «მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით ვნახე»-ო[1]. რაც უფრო დასავლეთ-ჩრდილოეთით წავიდოდა ადამიანი, კულტურული დაქვეითება უფრო და უფრო ცხადად მოჩანდა. აფხაზეთში უკვე ქრისტიანობა, როგორც ეტყობა, კვლავ წარმართობას უთმობდა ასპარეზს: «აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად განდრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს»-ო, ამბობს მიხეილ პატრიარქი[2].

თუ იტალიელ მოგზაურთა ზემომოყვანილ ცნობებს ჩაუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ბაგრატ მეფე ლიხთიმერეთისა და ამერეთის ერთად-ერთი მფლობელი თუ არა ყოფილა, ორივე ტახტის ერთად-ერთი მპყრობელი მაინც იყო: იმერეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც მის ხელში იყო. ამ საქართველოს სამეფოს საბედიანოს ჩამოშორების გამო შავ ზღვასთან უშუალო მისავალი გზა აღარა ჰქონდა. მესხეთიც ცალკე პოლიტიკურს ერთეულს შეადგენდა და ათაბაგნი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ვენეტიკელ დესპანებს სამწუხაროდ კახეთის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო, რანაირი დამოკიდებულება სუფევდა მასა და დანარჩენ საქართველოს შორის, მაგრამ ისე-კი ვიცით, რომ კახეთიც ცალკე სამეფოს შეადგენდა. ამგვარად ირკვევა, რომ ბაგრატ მეფის დროს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად თითქმის (კახეთის გამოყოფის გარდა) არ განსხვავდებოდა იმ მდგომარეობისაგან, რა მდგომარეობაშიც საქართველო გიორგი მეფის დროს იყო. მაშინაც მესხეთის მფლობელი ათაბაგი და სამეგრელოს მთავარი ბედიანი თავიანთ თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ და გამოცალკევებულნი იყვნენ. მაშასადამე, მცდარია ის შეხედულება, ვითომც ბაგრატ მეფის დროს მომხდარიყოს მთლიანი საქართველოს გაყოფა სამ სამეფოდ და სამთავროებად. ბაგრატი მართლაც სხვებსავით ლიხთიმერეთისა და ლიხთამერეთის გამაერთიანებელი და ორისავე ტახტის მპყრობელი ყოფილა და, როცა თითონ გაბატონებულა, უკვე საქართველოს დაყოფაზე არ უფიქრია.

---

[1] მცნ. სასჯ. 4.

[2] იქვე, 5.

# 4. საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა და მისი ერთი ნაწილის დამოუკიდებლობის შელახვა

## ანტიოქ.-იერუს. პატრიარქის მიხეილის მოსვლა საქართველოში და მოღვაწეობა

ბაგრატ მეფის სახელთან მაინც დაკავშირებულია ერთი შეტად საყურადღებო მოვლენა და დამახასიათებელი ძეგლი, რომელსაც „მცნება სასჯულოჲ“ ეწოდება. საქართველოს სწვევია ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი. ჩვენი ქვეყანა ჩვეული იყო ამ უცხოქვეყნელ მღვდელმთავართა სტუმრობასა და კალმასობას. თავის მოგზაურობის გასამართლებლად და ფულების დატყუების გასაადვილებლად, თანაც საქართველოს თავის მუდმივ შემოსავლის წყაროდ ქცევისათვის იერუსალიმელ-ანტიოქელი პატრიარქები ცდილობდნენ მთელი თავიანთი ყოფაქცევისათვის კანონიერი საფუძველი მოეძებნათ. განკერძოების მომხრე მეფე-მთავრებიც საქართველოში სარგებლობდნენ ამ მღვდელმთავრების მოგზაურობით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

როდესაც ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი საქართველოს სწვევია და მეფე ბაგრატთანა და დიდ ერისთავთ-ერისთავ დადიან-გურიელ შამადავლესთან მისულა, მაშინვე თავის საქმეს შესდგომია: «იქმნა გამოძიებაჲ და მოკითხუაჲ გუჯართა, დავთართა და იადგართა»-ო[1].

უეჭველია ტყუილ უბრალოდ არ შეიწუხებდნენ თავს პატრიარქი და მისი მიმდევარნი. ანტიოქელ მღვდელმთავარს უნდოდა ქართულ წყაროებში ეპოვა ცნობა, თუ «ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანდიოშიისა (ე. ი. ანტიოქიისა) პატრიარქთაგან იკურთხეოდიან»[2]. ცხადია თუ რისთვის დასჭირდებოდა ეს ცნობა მიხეილ პატრიარქს. მას უნდოდა ამ ძველი დამოკიდებულებით ესარგებლა. იგი ანტიოქიის მღვდელმთავართა საქართველოს ეკლესიაზე ბატონობის განახლება-აღდგენაზე ოცნებობდა უკვე. როდესაც მას ამგვარი ცნობა ხელთ ექმნებოდა, მაშინ გულუბრყვილო ხალხს უფრო ადვილად დაარწმუნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის შინაურს საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა და როგორც «ჟამთა სიძუელისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შეშლით და გარდაქცევით»[3], ვითომც ამგვარადვე ქართული ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და „შეშლილ“ წესად უნდოდა გამოეცხადებინა.

იპოვეს თუ არა მაშინ ამგვარი ცნობა, არა ჩანს, მაგრამ თუმცა ამნაირი ცნობა მართლაც მოიპოვება, ამისდა მიუხედავად ყოველმა ცოტად

---

[1] ს. კაკაბაძე, მცნება სჯსჯულოჲ, ტექსტი. ტფილისი 1913, გვ. 4.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მაინც განათლებულმა ქართველმა იცოდა და იცის, რომ მას შემდგომ ქართულმა ეკლესიამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და ბერძენთა არაერთგზისი იერიშისდა მიუხედავად საუკუნეთა განმავლობაში შეურყევლად შეინარჩუნა.

## ქართული ეკლესიის უზენაესი მესაჭეობის უფლების მოთვისება

პ ა ტ რ ი ა რ ქ მ ა  მ ი ხ ე ი ლ მ ა  ა მ  მ ი ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი  დ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა - მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი  ც ნ ო ბ ი ს  გ ა მ ო მ ზ ე ვ ე ბ ი თ  თ ა ვ ი ს ი  თ ა ვ ი  ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  უ ზ ე ნ ა ე ს  მ წ ყ ე მ ს თ მ თ ა ვ - რ ა დ  მ ო ა ჩ ვ ე ნ ა. მან ქ ა რ თ უ ლ ი  ე კ ლ ე ს ი ი ს მოძღვრობა და უმაღლესი მ ე ს ა ჭ ე ო ბ ა ი კ ი ს რ ა, ისე რომ თ ა ვ ი ს ხ ე ლ ი თ  ა ფ ხ ა- ზ ე თ ი ს  კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ა დ  ა კ უ რ თ ხ ა  ი ო ვ ა კ ი მ ე. მიხეილი თვითა წერს „მცნება სასჯულო“-ში: «ცათა მობაძავისა იერუსალიმისა მადლითა და ცათამდის მაღალისა კათოლიკე საყდრისა ანდიოშიისა ღთისმშობლისა მეოხებითა ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯუენაჲ იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი (sic) და,—კურთხეულმცა არის,—დავაყენე და დავსუით აფხაზეთს საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა»-ო[1].

ქართული ეკლესია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებელი იყო და თვითმწყსობის უფლებით იყო მოსილი: საკათალიკოსოდ არჩეულს მღვდელთმთავარს ქართული ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებული აკურთხებდა ხოლმე და არც ერთს უცხო ეკლესიას, არც ერთს მსოფლიო პატრიარქს ქართული ეკლესიის ამ თვითმწყსობის უფლებაში ჩარევა არ შეეძლო. ცნობების უქონლობის გამო ჯერჯერობით გამორკვეული არ არის, როგორ იყო მოწყობილი ხელდასხმის საქმე მას შემდგომ, რაც აფხაზეთის კათალიკოსობა წინანდებურად აღდგა, ვინ აკურთხებდა ხოლმე საკათალიკოსოდ განკუთვნილ ეპისკოპოსს? მაგრამ თავის თავად მაინც ცხადია, რომ ორგვარი შესაძლებლობაა: ან მაკურთხეველი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უნდა ყოფილიყო, ან თვით აფხაზეთის ეკლესიის თვითმწყსობა და დამოუკიდებლობა უეჭველია დაცული იქმნებოდა.

ანტიოქიის პატრიარქმა მიხეილმა ეს წესი „შეშლილად“ სცნო და თითონ აკურთხა და დასვა ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოსი იოვაკიმე აფხაზეთის კათალიკოსად. ა მ ი თ  ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს  ქ ა რ თ უ ლ ი  ე კ ლ ე ს ი ი ს  თ ვ ი თ მ წ ყ ს ო ბ ი ს  უ ფ ლ ე ბ ა  შ ე ი ლ ა ხ ა,  დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო- ბ ა  მ ო ი ს პ ო  დ ა  ი ე რ უ ს ა ლ ი მ - ა ნ ტ ი ო ქ ი ი ს  პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს  ხ ე ლ თ ქ ვ ე შ ე თ ი  შ ე ი ქ მ ნ ა. ამიტომაც არის, რომ მიხეილმა აფხაზეთის კათალიკოსს თავის „მცნება“-ში უწოდა „მარჯუენაჲ იერუსალიმისა“. ამგვარად და ამ ს ა ქ ც ი ე ლ ი თ  პ ა ტ რ ი ა რ ქ მ ა  მ ი ხ ე ი ლ მ ა, ბ ა გ რ ა ტ  მ ე ფ ე მ  დ ა  დ ა დ ი ა ნ - გ უ რ ი ე ლ მ ა  შ ა მ ა დ ა ვ ლ ა მ  ქ ა რ თ ვ ე ლ ი  ე რ ი ს  ს ა უ კ ე თ ე ს ო  შ ვ ი ლ თ ა  დ ა  მ თ ე ლ ი  ხ ა ლ- ხ ი ს  მ ი ე რ  ს ა უ კ უ ნ ე თ ა  ბ რ ძ ო ლ ი თ  მ ო ნ ა პ ო ვ ა რ ი,  ქ ა რ-

---

[1] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მცნება სასჯ. 4; ქ^კბი II, 294.

თული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს! მარტო ეს გარემოებაც კმარა მაშინდელ საქართველოს და ბაგრატ მეფის ეროვნულ-პოლიტიკური თვითშემეცნების დაქვეითებისა და დაცემის საბუთად!...

## საქართველოს ეკლესიის წიაღითგან ლიხთიმერეთის საკათალიკოსოს გამოყოფა

მაგრამ ზემოაღნიშნული პირნი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულან. წინათ მხოლოდ მარტივად „აფხაზეთის კათალიკოზი" იყო. მიხეილ პატრიარქმა-კი უეჭველია ბაგრატ მეფის სურვილისამებრ, იოვაკიმეს «ლიხთამერისა და აფხაზეთისა კათალიკოზი» უწოდა[1]. გარდა „ლიხთამერისა" მისი სამწყსოს საზღვრებში შედიოდა მთელი მიწაწყალი «ჭოროხს აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭჳნტისა სამზღუარი მიაწევს»[2], მაშასადამე, იმერეთს, გურიას, ოდიშს და აფხაზეთს გარდა მთელი აჭარა, შავშეთი და კლარჯეთიც. ამგვარად სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც აფხაზეთისა და ლიხთიმერეთის კათალიკოზისათვის მიუკუთვნებიათ და ქართული ეკლესია ორად გაუყვიათ, რომელთაგან დასავლეთ საქართველოს ეკლესიას თვითმწყსობისა და დამოუკიდებლობის უფლებაც-კი დაუკარგავს. ცხადია, თუ რაოდენად საზარალო და მავნებელი უნდა ყოფილიყო ეს ქართველი ერის მთლიანობისა და ერთობის თვითშემეცნებისათვის: პოლიტიკურს დაქსაქსვასა და დანაწილებას საეკლესიო მთლიანობისა და განუყოფელობის ჩაშლაც დაედვა მტკიცე საფუძვლად, აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საეკლესიო მართვაგამგეობის მხრივაც ერთიმეორეს უნდა დაშორებოდა!

## ქართული საეკლესიო-ისტორიული თეორიის შერყევის მცდელობა საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად

აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველოს ერთიერთმანეთისაგან საეკლესიო მართვა-გამგეობის მხრით უფრო საფუძვლიანად დასაშორებლად მიხეილ პატრიარქმა შემდეგი მოსაზრება და თეორია წამოაყენა. თავის „მცნება სასჯულო"-ში ანტიოქელ-იერუსალიმელი მწყემსმთავარი სხვათა შორის ამბობდა: როგორც «ნინო ქართველთა დედამან მოაქცინა ქართლი მისთა საზღვართა აქათი, წმიდამან ანდრია მოციქულმან ნათლითა მიუჩრდილებელითა განანათლნა» და «აწ მსგავსად [ა]მისსა ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ რჯულისა თა-

---

[1] მცნ. სასჯ., 5, 10.

[2] იქვე.

ვადად» და ამიერითგან «ვითარცა ქრისტე ღმერთი, კათალიკოზი იოვაკიმ თავი არს ეკლესიათა»-ო [1].

ზემომოყვანილი სიტყვებითგან ცხადად ირკვევა, რომ მიხეილ პატრიარქს უნდოდა ქართველთათვის ჩაენერგა, რომ წ-ა ნინო მხოლოდ ქართლის განმანათლებელი იყო, ხოლო ანდრია მოციქული მხოლოდ ქართლის „აქათი“ ქვეყნის, ანუ დასავლეთ საქართველოს მქადაგებელი და მომაქცეველი იყო, რომ ლიხთამერეთი და ლიხთიმერეთი წარსულშიაც, განმანათლებელთა მხრივაც ერთიმეორისგან განსხვავებულნი იყვნენ. რაკი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ეკლესიას ორი ცალკე მქადაგებელი და დამაარსებელი ჰყავდა, „აწ მსგავსად ამისა“ მეც ცალკე მწყემსთმთავრად „ლიხთამერისა და აფხაზეთის“ კათალიკოსად ვაკურთხე იოვაკიმეო. ამგვარად ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი ცდილობდა დასავლეთ საქართველოს მკვიდრთათვის გულ-გონებაში ის აზრი ჩაენერგა, რომ საეკლესიო ჩამომავლობითა და წარსულით ისინი აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული არ არიან და რომ ამიტომ ეხლაც სრული ჩამოშორება კანონიერი და სამართლიანი იყო.

მთელი ეს მოქადაგეობა საქართველოს საუკეთესო მეცნიერ-მოღვაწეთა მიერ შემუშავებული და განმტკიცებული ისტორიული შეხედულების გასაცრუებლად და გასაქარწყლებად იყო მოწყობილი. ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მთლიანობისა და განუყოფელობის შეგნებით გამსჭვალულნი, ამ აზრის ხალხში განმტკიცებისათვის მებრძოლნი გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელნი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებდნენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა «ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა» [2], ხოლო შემდეგში დავიწყებული ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წ-ა ნინომ, რომლის სასწაულთმოქმედებამა და ქადაგებამ «მიიზიდა ყოველი სავსებაჲ ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ» [3]. ნიკოლოზ კათალიკოსიც წ-ა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩუენ ქართველთაჲსა“ [4].

ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წ-ა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის ცალკე და განსაკუთრებული მქადაგებლის არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილიც არა

---

[1] მცნ. სასჯ., გვ. 9.

[2] რუის-ურბ. კრების ძეგლის წერა: ქ-კბი II, 58; შეად. ც-ა გ-ი მთ-წმდლსჲ: ათონის კრებული, გვ. 315.

[3] რუის-ურბ. კრების ძეგლის წერა: ქ-კბი II, 58.

[4] სასწ. სვეტიცხოვ., 40—4., 69.

ჰქონიათ, რათგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულს შემეცნებას სპობდა. გასაოცარია, რომ ამაში მონაწილეობას იღებდა და ასეთი რამის ქადაგების ნებას აძლევდა ის ბაგრატ მეფე, რომელსაც თავისი თავი მეფეთა-მეფედ და ლიხთიმერისა და ლიხთამერის საქართველოს გამაერთებლად და მფლობელად მიაჩნდა. როგორ შეეძლო მას ქართველთა ერთობის ერთ-ერთი გამოხატულობის ფსიქიური საფუძვლის ნიადაგის გამოცლისათვის თუნდაც ხელი შეეწყო?

## „მცნება სასჯულოს“ დაწერის თარიღის საკითხი

ეს იმდენად უგუნური საქციელია, რომ უნებლიეთ იბადება ეჭვი, „მცნება სასჯულო“ მართლა 1470—1474 წ-ში უნდა იყოს დაწერილი, იმ დროს, როდესაც ბაგრატ მეფე მართლაც ორისავე ტახტის მპყრობელი იყო და როდესაც მას ბუნებრივად საქართველოს ერთობა-განუყოფელობისათვის უნდა ეზრუნა, თუ ეს ძეგლი უფრო ადრეა შედგენილი, სახელდობრ მაშინ, როდესაც მის ხელთ მხოლოდ დასავლეთი საქართველო იყო და როდესაც პირადი სიმტკიცის გულისათვის და სიძულვილით დაბრმავებულს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა უფრო ადვილად შეეძლო? 1470—1474 წ. „მცნება სასჯულოს“ დაწერის თარიღად თ. ჟორდანიას და ს. კაკაბაძის მიერ იმიტომ არის მიღებული, რომ ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით ამ ძეგლში მოხსენებული შამადავლა ბედიანად 1470 წ. გახდა და 1474 წ. გარდაიცვალა. უკანასკნელი თარიღი, როგორც დავრწმუნდით, სწორი უნდა იყოს. მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სამართლიანია პირველი თარიღიც?

## 5. უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში

იმ დროს, როდესაც თვით საქართველოში ასეთი გამწვარებული ბრძოლა იყო, ხან ჩუმი, ხან გაჩაღებული, ერთი მხრით ქვეყნის მთლიანობის დასარღვევად და თემური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მეორე მხრით სრულიადი საქართველოს აღსადგენად, ჩვენი ქვეყნის მახლობლად, სპარსეთში და ოსმალეთში დამლუპველი შინაური ბრძოლით გართულ ქართველთათვის თითქმის სრულებით შეუმჩნევლად დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები მზადდებოდა. მხოლოდ მოულოდნელად თავზე დამტყდარს მტრის შემოსევას უნდა დროებით მაინც გამოეფხიზლებინა მებრძოლნი.

1476 წ. «ქორონიკონს რჲდ (164) აქა უზუნასან საქართველო ამოსწყჳდა»-ო, ასე მოკლედ და მშრალად მოგვითხრობს ამ ამბავს იკორთის ჟამნგულანის კინკლოსი[1]. სხვა ქართულ წყაროებ-

[1] ს. კაკაბაძე, გამ. 4.

შიც ამ შემოსევის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შენახული. სამაგიეროდ უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის შესახებ ორი თანამედროვის მიერ შედგენილი აღწერილობა მოგვეპოვება, რომელთა ავტორები ამ ამბავის თვითმხილველნიც-კი ყოფილან: ერთი ჯიოვან მარია ანჯიოლელლოს კალამს ეკუთვნის, მეორე იოსაფა ბარბაროს. ორივე სპარსეთის შაჰთან წარვლენილი იტალიელი დესპანები იყვნენ. პირველის ცნობები უფრო მოკლეა, თუმცა არსებითად ორივენი თითქმის ერთსადაიმავეს მოგვითხრობენ. იოს. ბარბაროს აღწერილობა მხოლოდ ანჯიოლელლოს აღწერილობასთან შედარებით ზოგიერთს ახალ ცნობებს შეიცავს.

## უზუნ-ჰასანის საიდუმლო სამზადისი

1475 წ-თგან მოყოლებული უზუნ-ჰასანი 1477 წლამდე მოსვენებით ყოფილა. ამ წელს კი დიდი ლაშქრის მოწყობას შესდგომია. თანაც თურმე ხმას ავრცელებდა, ვითომც ოსმალების წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, ნამდვილად-კი ის საქართველოში შესასევად ემზადებოდა. სპარსეთის მბრძანებელი საქართველოს აოხრებას იმიტომ უპირებდა, რომ ქართველებმა მისთვის დახმარების აღმოჩენა არ მოისურვეს, როდესაც იგი თურქ-ოსმალების წინააღმდეგ მიემგზავრებოდაო [1].

## შემოსევის თარიღი

უზუნ-ჰასანს ორთავე იტალიელი დესპანის სიტყვით საქართველოზე სწორედ 1477 წ. გამოულაშქრია და ამ თანამედროვეთა და ერთი მათგანის ვითარცა თანადამხვდურის მოწმობა ცხადჰყოფს, რომ ქართულ წყაროებში მოყვანილი თარიღი 1476 წ. მცდარია.

## ჰასანის ლაშქრის რაოდენობა

ჰასანბეგის ანუ უზუნ-ჰასანის ჯარი ანჯიოლელლოს სიტყვით 20000—24000 ცხენოსან ჯარისკაცისაგან და 11000 ქვეითობისაგან შესდგებოდა. იოს. ბარბაროს-კი ქვეითი ჯარის რაოდენობა გაცილებით ნაკლები აქვს აღნიშნული, სახელდობრ მხოლოდ 4—5000-მდე. მაგრამ ეს მოლაშქრენი თურმე ცოლშვილითა და მთელი სახლეულობით წამოსულან [3], როგორც მოხეტიალე, უბინადრო ტომს შეჰშვენოდა. ესენი საომარი ასპარეზისათვის დასახმარებლად იყვნენ განკუთვნილნი და სულ დაახლოებით ექვს ათასამდე იქმნებოდნენ [3]. მაშასადამე, *საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული ძალის საერთო რიცხვი 35—40000 კაცამდის ყოფილა.*

---

[1] Breve narratione della vita et fatti del signor Ussuncassano. Fatta per Giovan Maria Angiolello. იხ. *Ramusio*, Navigationi et viaggi v. II, 70 და *Josafa Barbaro*, genti'luoino venetiano. Il viaggio della Tana. Cap. 27 იმავე რამუზიოს წიგნში.

[2] *ანჯიოლელლო*, იხ. რამუზიოს გამოც. II, 70 და იოს. ბარბარო იქვე, cap. 27.

[3] J. *Barbaro*, cap. 27.

## გამოლაშქრება

უზუნ-ჰასანს ისე მოხერხებულად უწარმოებია სამზადისი და თავისი ნამდვილი განზრახვა უკანასკნელ წუთამდის ისე საიდუმლოდ შეუნახავს, რომ მაშინაც, როცა ის თავისი ლაშქრითურთ საომრად წამოსულა, პირდაპირ საქართველოსაკენ მომავალი გზა კი არ აურჩევია, არამედ ქართველთათვის თვალების ასახვევად შვიდი დღის განმავლობაში ჯერ თურმე სხვა მიმართულებითა და გზით (via di Ponente) უტარებია თავისი ჯარი, ხოლო შემდეგ-კი მხარ-მარჯვნით უბრუნებია პირი სწორედ საქართველოსაკენ, რომელსაც შემოჰსევია კიდეც.

## შემოსევა

თავის ჩვეულებისაებრ, მას წინ 5000 წინამავალი მოთარეშე ჯარისკაცი (corridori) გაუსტუმრებია, რომელნიც გზადაგზა ჰკაფავდნენ და სწვავდნენ ხეებს, რათგან სპარსეთის მბრძანებლის ლაშქარს მაღალი მთებიცა ჰქონდათ გადასალახავი და უუდიდესი ტყეებიც გასავლელი. ამნაირი ხერხის წყალობით რაკი უზუნ-ჰასანი და მისი ლაშქარი შორითგანვე ხედავდნენ ცეცხლს, დანამდვილებით იცოდნენ, რა გზასაც უნდა დასდგომოდნენ და საითკენ უნდა წასულიყვნენ[1].

## ტფილისისა. გორისა და ქარელის დაჭერა

ორი დღის განმავლობაში საქართველოში ამგვარად სიარულის შემდგომ სპარსეთის ბატონი თავისი ჯარითურთ ქალაქ ტფილისსა და ციხეს მისდგომია, რომელიც იმგვარადვე, როგორც მთელი სანახები, მცხოვრებთაგან და ჯარის მიერ დაცლილ-მიტოვებული დახვედრია და ამის წყალობით უბრძოლველად დაუკავებია კიდეც. ამის შემდგომ უზუნ-ჰასანი კვლავ დაძრულა და დაწინაურებულა. რაკი ამ დასავლეთის მიმართულებითაც ხალხი გახიზნული აღმოჩნდა და ქვეყანა მომეტებულ ნაწილად მიტოვებული დახვდა, გზადაგზა ყველაფრის გამანადგურებელმა უზუნ-ჰასანმა ამგვარადვე უბრძოლველად გორიცა და მისი მიდამოებიც დაიკავა[2].

როგორც ეტყობა, უზუნ-ჰასანის ხერხს კარგად გაუჭრია და ქართველნი, რომელთაც ისედაც დაუდევრობა ხასიათის დიდ ნაკლად აქვთ, სრულებით მოუმზადებელნი დახვედრიან. როდესაც მათ უზუნ-ჰასანისა და მისი ჯარის საქართველოსაკენ გამოლაშქრების ამბავს მიუტანდნენ, ტყუილად ეჩვენებოდათ კიდეც, სანამ მტრის ჯარის მიერ საქართველოს საზღვარის გადმოლახვა არ დაარწმუნებდა, რომ უზუნი ოსმალთა წინააღმდეგ-კი არა, არამედ საქართველოს დასასჯელად მოდიოდა. ასეთს პირობებში სრულებით მოუმზადებელ ბაგრატ მეფეს, რასაკვირველია, ტფილისთან მტრისათვის არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და უეჭველია უბრძოლველად უნდა დაეხია უკან, რო-

---

[1] J. Barbaro, cap. 27.

[2] იქვე.

გორც ეტყობა ბაგრატი გორთან აპირებდა გამაგრებას და შებრძოლებას. მაგრამ საქმე იმდენად გაფუჭებული და ხალხიც უკვე ისე იყო არეული, რომ ცხადი აშლილობა ეტყობოდა ყველას. სწორედ ამ მდგომარეობას გვისურათებს ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: «მოვიდეს თათარნი და მეფეს ბაგრატს ასე ებრძანა ჩემისა ძმისა ამილახორისათუის: „გორს შემიდეგ“-ო. გორს ისი ალარ შევაყენეთ და ჩემი ძმა სულმამა შევაყენეთ»-ო[1].

## მოლაპარაკება დაზავების შესახებ

ქ. გორისა და მისი სანახების დაპყრობის შემდგომ სპარსეთის მბრძანებელს თურმე საქართველოს მეფე ბაგრატთან და მის მეზობელ ყუარყუარე ათაბაგთან (Gorgora) მოლაპარაკება დაუწყია, ასე მოგვითხრობს იოსაფა ბარბარო (cap. 27). ჯიოვან მარია ანჯიოლელლოს-კი ნათქვამი აქვს, რომ თვით ბაგრატ მეფემ საქართველოს სხვა მეზობელ მთავართან (con un'altro Re di Congiurre) და შვიდ დანარჩენ ბატონთან ერთად შეთანხმება და დაზავება ითხოვესო. უზუნ-ჰასანმა მათ თურმე 16000 დუკატი მოსთხოვა და მთელი ქვეყნის დაცლა აღუთქვა ტფილისს გარდა, რომლის თავის ხელში შენარჩუნება უზუნ-ჰასანს, ანჯიოლელლოს სიტყვით იმიტომ უნდოდა, რომ გზა-ადგილი და კარი იყო („per esser luogo di passo“). მოპირდაპირენი შეთანხმებულან. ქართველებს 16000 დუკატის გადახდა უკისრიათ. ამ ფულის მთლად ფლურად (danari) გადახდის მაგიერ ოთხი მონღოლური ოქროს დიდი, „ბალიშ“-ად წოდებული ფულის მიცემა სდომებიათ და ბაგრატ მეფეს უზუნ-ჰასანისათვის გაუგზავნია კიდეც. სპარსეთის ბატონს მათ დასაფასებლად იტალიელი დესპანი იოსაფა ბარბარო მიუწვევია, მაგრამ სანამ შაჰთან მივიდოდა ბაგრატ მეფისა და ყუარყუარეს მოციქულებს დაუსწრიათ და საიდუმლოდ შეჰხვეწნიან, რომ „ბალიშების“ ფასი დიდი ეთქვა უზუნ-ჰასანისათვის, რათგან ჩვენც ქრისტიანები ვართ და თქვენცაო.

როდესაც იოს. ბარბარო უზუნ-ჰასანს ჰხლებიპ და „ბალიშები“ გაუშინჯავს, უთქვამს: თითო 4000 დუკატი ღირსო. ამაზე სპარსეთის ბატონს გაუცინია და უპასუხნია, ეტყობა თქვენს ქვეყანაში მეტად ძვირად ფასობს, „ბალიშები“ არ მინდა, ფლურად გადაიხადონო.

## სამხედრო მოქმედების განახლება და მესხეთში შესვლა

იმიტომ რომ ქართველებმა უზუნ-ჰასანის ეს მოთხოვნილება ვერ აასრულეს, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, მხოლოდ იოს. ბარბაროს სიტყვით ამის შემდგომ სპარსეთის ბატონის ჯარი სწრაფად დაძრულა და მხარ-მარცხნივ წასულა ყუარყუარე ათაბაგის ქვეყნის წინაამდეგ. როგორ მიმდინარეობდა აქ სამხედრო მოქმედება, ამაზე იტალიელს მოგზაურს არაფერი აქვს ნათქვამი (cap. 27).

---

[1] ზევდგინიძის საჩივრის წიგნი, 24.

მხოლოდ ქ⁻ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებას მოეპოვება ცნობა უზუნ-ჰასანის მესხეთში შეჭრისა და სამხედრო მოქმედების შესახებ. თარიღად აქაც შეცდომით 1476 წ. (ქ⁻კსა რდდ) არის დასახელებული. იქ ნათქვამია: «წარმოემართა უზუნ-ჰასან ძალითა დიდითა სამცხესა ზედა. ესმა ესე ყვარყვარეს და ოთხთა ძეთა მისთა, რამეთუ პირისპირ განწყობა ვერ ძალედვა სიმრავლისაგან ურიცხვობისა სპათა მათთასა და ქმნეს განზრახვა რათა სამთაგან ერთი წარსულიყო და დაეცხრო გულისწყრომა მძლავრისა მის რათა არღარა მოსულიყუნეს ქუეყანასა სამცხისასა. მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყვერს და მოსრნეს მრავალნი ქრისტიანენი მღვდელნი და მონაზონნი და ერისაგანნი და წარტყვევნეს სრულიად სამცხე და ტყვე ყვეს ხატი აწყვერსა ღ⁻ის მშობლი[სა] და წარიყვანეს ქვეყანასა მათსა»[1].

## საქართველოს დამარცხების მოჩვენებითი და ნამდვილი მიზეზი

ამნაირად, აქაც სპარსეთის მბრძანებლისათვის ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწევიათ. მიზეზად უკვე უზუნ-ჰასანის ჯარის ურიცხვობაა დასახელებული, მაგრამ, როგორც გამოირკვა, შემოსეულ სპარსთა რაოდენობა 34—40000-ს არ აღემატებოდა. ხოლო ზევით, როდესაც ქართველ-ევროპიელთა ოსმალთა საწინააღმდეგოდ განზრახული ლაშქრობის შესახებ გვქონდა საუბარი, უკვე აღნიშნული იყო, რომ მარტო გიორგი მეფეს პირადად მაშინ თავისუფლად 40000 ჯარისკაცის გამოყვანა შესძლებია ბრძოლის ველზე, ხოლო ყუარყუარე ათაბაგს 20000 კაცი მეომარი ჰყოლია. მთელი სრულიადი საქართველო მაშინ თურმე ოსმალეთის გასანადგურებლად 70000 ჯარისკაცის მიშველებას ჰპირდებოდა დასავლეთი ევროპის ქრისტიანებს. სრულებით ცხადია, მაშასადამე, რომ ქართველთა უძლურების მთავარი მიზეზი სპარსთა ლაშქრის ურიცხვობა-კი არ იყო, არამედ შინაური შეუთანხმებლობა, განკერძოება და უდარდელი მოუმზადებლობა, თორემ თავის სადარაჯოზე ფხიზლად მყოფს შეერთებულს, სრულიადს საქართველოს, როგორც დავრწმუნდით, უზუნ-ჰასანის ლაშქარზე ერთიორად მეტი „ურიცხვობის“ გამოყვანა და მტრისათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო.

მართლაც, ქართველთა შორის მაშინდელი უთანხმოებისა და მტრობის შესახებ ერთს ასურულად დაწერილ წყაროშიაც-კია ცნობა შენახული. იქ სწერია: ბერძენთა წელთაღრიცხვის 1789 წ. ანუ 1477 წ. ქ. შ. ქართველ მეფეთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების დროს ყუარყუარე-ბეგმა ოთმანისშვილს ჰასანბეგს იმ სანახებთა გადაცემა აღუთქვა, რომელიც მას ეკუთვნოდა, იმ პირობით-კი, თუ ის თავისი მხრით თურქთა ჯარითურთ საქართველოს შემოესეოდა, ალბათ მის, ყუარყუარეს, მოსაშველებლად. სწორედ ასეც მოხდა,

[1] დამატ., 894.

ისე რომ ჰასანბეგმა ეკლესიები და მონასტრები აოხრა, ხალხი ტყვედ წაასხა და სიწმიდის სამსახურებელი ბარძიმ-ფეშხუმი, ჯვრები და ფიალები თან გაიტაცა. ხუცესნი, დიაკონები და ბერები დაახოცინა და ბევრი ჭაბუკი და ბავშვი თან გაიყოლა. ტყვე ქრისტიანები ზოგი ძალით გამაჰმადიანდნენ, ზოგი გაყიდულ იქმნენ, ზოგი კიდევ მონებად აქციესო[1]. ამ ცნობაში ბევრი რამეა ბუნდოვანი და გამოსარკვევი. უფრო საფიქრებელია, რომ ყუარყუარეს ეს მოღალატური საქციელი, უზუნ-ჰასანის მოწვევა საქართველოში შემოსასევად, უეჭველია საქართველოს მეფის საწინააღმდეგოდ და მის, ათაბაგის მოსაშველებლად, გიორგი მეფის დროს მომხდარიყოს, ვიდრე ბაგრატის მეფობაში. ამგვარი ცნობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქართულ წყაროებშიც მოიპოვება. შემდეგ, როდესაც თვით ყუარყუარეს უგუნურებითვე გზა საქართველოში შესევისათვის უკვე გაკვლეული იყო და ქართველთა შეუთანხმებლობა კვლავ გამომჟღავნებულ ჰირად იქცა, უზუნ-ჰასანს ათაბაგის დაუხმარებლივაც და თვით მის სურვილისდა წინააღმდეგაც შეეძლო რომ საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრად ქცეულიყო. ამის გამო ზემომოყვანილ ასურულ ცნობაში შესაძლებელია ორი თუმცა ახლო, მაგრამ მაინც სხვადასხვა დროის ამბავს ჰქონდეს ერთად თავი მოყრილი.

ასე იყო თუ ისე, ერთი გარემოება-კი მაინც ცხადია, რომ უზუნ-ჰასანის შემოსევისათვის ხელი სწორედ ყუარყუარე ათაბაგის მეფისადმი მტრობასა და შეუთანხმებლობას შეუწყვია. იტალიელი დესპანის აღწერილობითგანა ჩანს, რომ თვით უზუნ-ჰასანის ამ შემოსევის დროს საქართველოს მეფესა და ყუარყუარეს შორის მტრობა თითქოს არ უნდა ყოფილიყო და მაშინ ყუარყუარეც სპარსეთის მბრძანებლის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფილა.

ამაზე უფრო მეტის თქმაც შეიძლება: თუ ასურულ წყაროს ზემომოყვანილი ცნობა ყუარყუარე ათაბაგისაგან უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსასევად წაქეზების შესახებ მართალია, თვით ჰასანის მოქმედებითგან აშკარავდება, რომ შემდეგში მდგომარეობა ასე თუ ისე უნდა შეცვლილიყო: უზუნ-ჰასანს ყუარყუარე უკვე თავის მოკავშირედ-კი არა, არამედ მტრად მიუჩნევია.

## უზუნ-ჰასანის უკან დაბრუნება

უზუნ-ჰასანი, როგორც ჩანს, სამცხის აოხრებით დაკმაყოფილებულა და თითქოს აწყურს იქით აღარ წასულა.

ყუარყუარე ათაბაგის სამფლობელოზე უზუნ-ჰასანის გალაშქრების ამბავის შემდეგ იოს. ბარბაროს ქუთაისისა და სკანდის ციხეების მდებარეობისა და მდგომარეობის შესახებაც აქვს ცნობები მოყვანილი, მაგრამ იყო თუ არა ლიხთიმერეთში თვით უზუნ-ჰასანი თავისი ლაშქრითურთ, გარკვევით არ ჩანს. შინ გაბრუნებისას უზუნ-ჰასანს, როგორც ეტყობა, ტფილისზე აღარ გაუვლია,

[1] იხ. Rerum Seculo XV in Mesopotamia gestarum librum e codice bibliothecae Bodleianae Syriaco edidit et interpretatione latina illustravit doctor Ottomar Behusch. Breslau 1838, p. 16. აქეთგან ამონაწერი მ. ბროსესთვის ყაზანის პროფესორს Gottwald-ს მიუწოდებია, იხ. Histoire moderne 1-re livr. გვ. 209—210 შენ. 3.

არამედ რაღაც მთა გადაულახავს და სომხითში მისულა, რომელიც სპარსეთის ბატონს ეჭირა, და სამი დღის სიარულის შემდგომ ლორეს ციხემდის მიუღწევია კიდეც. ცხადია, მაშასადამე, რომ უზუნ-ჰასანი სამხრეთის გზით დაბრუნებულა სპარსეთში.

## ზავის პირობები

სპარსეთის ბატონს საქართველოს მიწაწყალისათვის მხოლოდ მაშინ დაუნებებია თავი და წასულა, როდესაც ბაგრატ მეფესა და ყუარყუარე ათაბაგთან საბოლოოდ შეთანხმებულა და 16000 დუკატი მიუღია. ზავის პირობაში გარკვეული ხარკის (certo tributo) გადახდა იყო აღთქმული[1]. ნათლად არა ჩანს მხოლოდ, ის 16000 დუკატი წლიური ხარკის რაოდენობას შეადგენდა, თუ ერთდროული კონტრიბუცია იყო და ყოველწლიურად ხარკიც ცალკე ჰქონდათ გადასახდელი?

თუ ყოველწლიური ხარკი სხვა იყო და 16000 დუკატი კიდევ სხვა, მაშინ ხარკის რაოდენობა გამოურკვეველი გვრჩება. იტალიელი დესპანის აღწერილობითგან არც ისა ჩანს, თუ რით დამთავრდა საბოლოო შეთანხმება, შეინარჩუნა თუ არა უზუნ-ჰასანმა, როგორც აპირებდა, ქ. ტფილისი თავის ხელში, თუ საქართველოს დედაქალაქზე ხელი აიღო? ის გარემოება, რომ უზუნ-ჰასანს უკან დაბრუნებისას ტფილისზე არ გაუვლია, თითქოს გვაფიქრებინებდა, რომ უკანასკნელი უფრო მართალი უნდა იყოს. მაგრამ ვენეტიკელი ელჩების სიტყვებითგან ირკვევა, რომ აღმოსავლ. საქართველოს სამხრეთის ისეთი დიდმნიშვნელოვანი კუთხე, როგორც ლორეს ველია, უზუნ-ჰასანს ისევ სპარსეთისათვის შეუნარჩუნებია. ხოლო ქ~ცის შევს.-გადაკეთ. პირველ გაგრძელების ცნობა ამტკიცებს, რომ სპარსეთის ბატონს სომხითისა და ლორეს ველის გარდა საქართველოს დედაქალაქი ტფილისიც შეუნარჩუნებია. 5000-მდე მარტო ტყვე წაუყვანია უზუნ-ჰასანს საქართველოთგან[2].

## კონსტანტინე ბატონიშვილისა და მზეჭაბუკის სპარსეთში გამგზავრება

ამის შემდგომ ქ~ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების სიტყვით «გარდაკდა მცირე რამე ხანი და წარვიდა» ბატონიშვილი «კოსტანტინე თათარშიგან და სხვამან ვერავინ გაბედა ქართველმან დარბაისელმან წარსვლა თათარშიგან და ბატონის ხლება. დიდად ერთგულად და კარგად იყვნენ ბარათიანნი და იგინივე წარჰყვეს თანა და მსახურეს. და წარჰყვაცა მზეჭაბუკ, პირმშო შვილი ყვარყვარესი»[3]. მათ ორთავეს ალბათ საგანგებო მინდობილობა და დავალება ექმნებოდათ უზუნ-ჰასანთან საქართველოს შესახებ.

[1] ჯიოვან ანჯიოლელლო, იქვე II, 70.

[2] იქვე, II, 70.

[3] დამატ., 894.

## უზუნ-ჰასანის სიკვდილი

იმ დროს, როცა კონსტანტინე ბატონიშვილი და მზეჭაბუკი უზუნ-ჰასანთან იყვნენ, ეს ოსმალთა შეუპოვარი და დაუძინებელი მტერი, მათ წინააღმდეგ შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის ოცნებით გატაცებული, 1478 წ. გარდაიცვალა. ვენეტიკის რესპუბლიკას ოსმალთა დასამხობად აღმოსავლეთში საუკეთესო მებრძოლად უზუნ-ჰასანი მიაჩნდა, რომელსაც ვენეტიკელნი თავიანთ დესპანების პირით ყოველგვარს დახმარებას ჰპირდებოდნენ, ოღონდ მას ოსმალთა წინააღმდეგ ებრძოლა. მაგრამ უზუნ-ჰასანის სიკვდილთან ერთად ვენეტიკელი პოლიტიკოსების ოსმალებზე გამარჯვების იმედებსაც სამუდამოდ ბოლო მოეღო, რათგან მის შემდგომ ოსმალთა ღირსეული მოწინააღმდეგე არა ჩანდა.

## ჰასანის სიკვდილის შემდგომ

მამის შემდგომ სპარსეთის ტახტზე თუმცა ჰასანის შვილი ხალილი ავიდა, მაგრამ მას კიდევ სამი ძმა ჰყავდა და მემკვიდრეობის გამო სპარსეთში ჩვეულებრივი ძმათაშორისი ბრძოლა და სისხლის ღვრა გაჩაღდა. ხალილს კონსტანტინე ბატონიშვილი და მზეჭაბუკი საქართველოში გამოუსტუმრებია „შეწყალებული"[1]. რა გვარს შეწყალებას ჰგულისხმობს ამ ცნობის ავტორი, არა ჩანს, მხოლოდ ხალილ-იაღუბ შორის სამეფო ტახტის გამო დაწყებული ბრძოლით სპარსეთში ამტყდარი არეულობის დროს «დაავდეს თათართა ტფილისი და სომხითი». ამ გარემოებით ისარგებლა და «დაიჭირა მეფემან ბაგრატ» საქართველოს დედაქალაქი და ჩვენი ქვეყნის სამხრეთის კარი[2]. მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს აღარც ბაგრატ მეფეს უცოცხლია და ტახტზე კონსტანტინე დამჯდარა მეფედ.

---

[1] ქ˝ცის შევს.-გადაკ. გაგრძ. დამატ., 895.
[2] იქვე, 894.

# უკანასკნელი მცდელობა წინანდელი მდგომარეობის აღსადგენად

## 1. ბიოგრაფიული ცნობები კონსტანტინე მეფისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ

### კონსტანტინეს მამისშვილობა და გამეფების თარიღი

კონსტანტინე მეფის სამეფო ტახტზე ასვლის თარიღი ქ˘ცის მეორე გაგრძელებაშია მოყვანილი. იქ ნათქვამია «ქ˘კა რჲვ (166) დაჯდა მეფე კოსტანტინე»[1].

ამგვარი ცნობა ერთ კინკლოსშიცაა, სადაც სწერია: «ქ˘სა რჲჳ: კოსტანტინე დაჯდა მეფედ»[2]. ქ˘ცის პირველს შევსებულ-გადაკეთებულს გაგრძელებაში უფრო ვრცელი ცნობაა და კონსტანტინეს მამისშვილობაც არის მოხსენებული. «ქ˘კსა: რჲვ: დაჯდა მეფედ ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის შვილი კოსტანტინე»-ო[3]. მაშასადამე, გამეფების წლად 1478 წ. აღნიშნული.

ქ˘ცის იმ გაგრძელებას, რომელიც ვახტანგისეული საისტორიო კომისიის მიერ არის შედგენილი, სულ სხვა ცნობა აქვს: «შემდგომად გარდაცვალებისა ბ ა გ რ ა ტ ი ს ა დაჯდა მის წილად ძ ე მ ი ს ი კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე ქრისტეს აქათ: ჩჲჲა» (1461) და მხოლოდ არშიაზე სწერია უცნობი პირის შენიშვნა: ეს გიორგი მეფის ძე იყო და არა ბაგრატისი“-ო[4].

ბატონიშვილს ვახუშტსაც ეს ამბავი სულ სხვანაირად აქვს წარმოდგენილი: მამისშვილობითაცა და თარიღითაც მისი ცნობა ყველა ზემომოყვანილისაგან ძალიან განსხვავდება. ის ამბობს: «ქ˘ს ჩჲჲთ (1469) ქრ. რნზ, ინდიქტიონსა ბ შემდგომად მეფისა გიორგისა დაჯდა ძე მისი კოსტანტინე»-ო[5].

მაშასადამე, წყაროებსა და ავტორთა შორის ამ საკითხის შესახებ თვალსაჩინო შეუთანხმებლობაა, კონსტანტინეს როგორც გამეფების თარიღის განსაზღვრისა, ისევე მამისშვილობის დასახელების დროს.

### ცნობების წინააღმდეგობა და საბუთები

გამეფების თარიღად 1461 წ., 1469 წ. და 1478 წ.-ია დადებული. რომელი მათგანი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ თარიღად? რაკი ვახტანგისეულ

---

[1] პარიზ. ქ˘კა, 6.
[2] ქ˘ბი II, 298.
[3] დამატ., 895.
[4] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამ., 38.
[5] ისტ. ჰ ი ჰ ი ნ ა ძ ე, 16.

საისტორიო კომისიის ქ҃ცის გაგრძელება და ბატონიშვილი ვახუშტის თხზულება წყაროების მიხედვით შედგენილი საისტორიო ნაწარმოებია, ქ҃ცის გადაკეთებული გაგრძელებანი კი გამოკრებული ნაშრომებია და ყველა ზემოხსენებული დედაწყაროების მაგიერობას ვერ გაგვიწევენ, ამიტომ ჩვენი საკითხის გამოსარკვევად ერთად-ერთი სანდო და გამოსადეგი გზა ისევ თვით კონსტანტინე მეფის სიგელ-გუჯრების შესწავლაა.

თავის 1487 წ. „ბრძანება“-ში კონსტანტინე თავის თავზე ამბობს: „ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიანმა... ღ҃თივ გვრგვნოსანმან და ღვთისაგან შეწყალებულმან პატივცემულმან მეფეთა-მეფემან კოსტანტინე და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა პირმშომან დავით, გიორგი და ბაგრატ“ ეს სიგელი გიბოძეთ, რომელიც დაიწერა «ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეათესა. ქ҃კს: როე (175): კელითა მდივნისა ჩუენისა თუმანიშვილის ზაქარიასითა»-ო [1].

1488 წ. მცხეთისადმი ბოძებულს გუჯარში-კი კონსტანტინე თავის თავზე შემდეგს ცნობებს გვაწვდის: ჩვენ «განმაერთებელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან, ორისავე სამეფოსამან მტკიცედ და შეურყევლად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა-მეფემან კოსტანტინე და პირმშომან ძემან ჩუენმან პატრონმან მეფემან დავით, გიორგი და ბაგრატ» [2] ეს გუჯარი გიბოძეთ, დაწერილი «ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეათესა ქ҃კსა: როვ (176) კელი[თა]... კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრისა ფახრიშვილისა ანდრონიკესათა» [3].

1492 წ. მცხეთისათვის ნაბოძებს სიგელში სწერია: «მეფეთა-მეფისა კოსტანტინესგან და თანამეცხედრისა ჩუენისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისაგან და ძეთა ჩუენთა დავით, გიორგი და ბაგრატისაგან ნებითა და შეწევნითა ღ҃თისათა აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შირვანშა და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლით ვიდრე დასავალამდე თუით კელმწიფედ ფლობით მპყრობელმქონებელმან» ეს სიგელი მოგეცით «ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათხუთმეტესა ქ҃კსა: რპ (180)-ო [4].

## ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ

ამგვარად, 1487 წ. კონსტანტინეს მეფობის მე-10 ინდიქტიონი იყო, 1488 წ.-საც — მე-10 და 1492 წ. — მე-15 ამ შედარებითი შეს-

[1] ქ҃კბი II, 305—306.

[2] გვ. 5.

[3] ქ҃კბი II, 306 და ს. კაკაბაძე, სიგ. ქ҃ლის მეფე კონსტანტინესი, 1468 წ. ტფ. 1913 წ., გვ. 5 და 7—8.

[4] ქ҃კბი II, 309—310 და ისტ. საბ. III, 41—42.

წავლითგან ნათლად ჩანს, რომ კონსტანტინე 1478 წ. გამეფებულა. მხოლოდ ქვათახევის მონასტრის 1477 წ. ერთს შეწირულობის წიგნში კონსტანტინე უკვე მეფედ იხსენიება[1]. ამიტომ თითქოს ისე გამოდის, რომ იგი 1477 წ-ს დამჯდარა[2] და არა 1478 წ. მაგრამ ეს კონსტანტინე მეფის 1477 წ. ტახტზე ასვლის თარიღი ბევრს ეჭვს და წინააღმდეგობას იწვევს. იგი რომ უტყუარ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევისა და მაინცდამაინც მისი სიცოცხლის დროს კონსტანტინე გამეფებული ყოფილა. ჩვენ-კი ზემოდასახელებულ თანამედროვე და თანადამხვდური იტალიელი მოგზაურებისაგან დანამდვილებით ვიცით, რომ უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევის დროს მათ მეფედ ბაგრატი დახვედრიათ და მასთანვე დაუდვია ზავის პირობა სპარსეთის მბრძანებელს, როდესაც ის საქართველოთგან გასულა. ამასთანავე თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ კონსტანტინე მართლაც 1477 წ. გამეფდა, მაშინ მთლად ირღვევა ყველა იმ ცნობების ქსელი, რომელიც ქ˝ცის შევს.-გად. მეორე გაგრძელებაშია, რომ კონსტანტინე ჰასანის შვილმა ხალილმა გამოისტუმრა „შეწყალებული", რომ ბაგრატ მეფემ ამ დროს ტფილისი და სომხითი დაიბრუნა. მაგრამ იქნებ ქ˝ცის შევს.-გად. მეორე გაგრძელების ვითარცა მერმინდელ, გვიან შედგენილი და სხვადასხვა წყაროებითგან გამოკრებილი ძეგლის ამ ცნობებს მაინც არ უნდა ენდოს ადამიანი და იქნებ კონსტანტინე იმავე 1477 წ. უზუნ-ჰასანთან მივიდა სპარსეთში, ბაგრატ მეფის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება და უზუნ-ჰასანისაგან და არა ხალილისგან იმავე 1477 წელს მეფედ „შეწყალებული" საქართველოში დაბრუნდა? სანამ ამ აზრს დავადგებოდეთ, უნდა დარწმუნებული ვიყოთ, რომ 1477 წ. ქვათახევის მონასტრის სიგელი უტყუარია და ნუსხა-დედანია და არა პირი, რომ მისი ცნობა სრულს ჭეშმარიტებას შეიცავს. ჩვენ-კი ამის შესახებ ვიცით მხოლოდ, რომ საბუთი „ტყავზე"-ა დაწერილი „მქრალად ლამაზი ხელით"[3] და თარიღი ნაწილი რიცხვითი ნიშნით, ნაწილი მთლიანად სწერია: «დაიწერა: ქ˝კნს: რ: სამოცდა ხუთსა:»[4]. ხოლო თვით ძეგლი და, მაშასადამე, ტექსტიც ნუსხა-დედნად უნდა იყოს მიჩნეული, თუ

---

[1] ისტ. საბ. II, 21.

[2] ე. თაყაიშვილს საქ. სიძვ.-ში გამოცემული აქვს 1466 წ. „პიტაკი", რომელსაც თავი დაზიანებული აქვს, ხოლო ამ საბუთის პირში სწერია «მეფემან კონსტანტინემან ხელმან (sic!?) ჩვენმან გულაშარ» გიწყალობეთო (იხ. II, 20). რაკი სხვა წყაროებითგან ვიცით, რომ ამ დროს მეფედ ბაგრატი იჯდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ან დედნის ტექსტი გადამწერს შეცდომით აღუდგენია და კონსტანტინე მეფედ უქცევია, ან ჯერ კიდევ იმ ჟამშია დაწერილი, როდესაც ბრძოლის შედეგი საბოლოოდ გამორკვეული არ იყო და გიორგი მეფეთა-მეფის დატყვევების შემდგომ კონსტანტინეს თავისი თავი მეფედ ჩაუთვლია.

[3] ისტ. საბ. II, 20.

[4] იქვე, 21.

შეიძლება იმდროინდელი, ან მერმინდელი პირი იყოს, არა ჩანს. ასეთს პირობებში საკითხის უეჭველობით გადაჭრა შეუძლებელია და უპირატესობა ჯერჯერობით მაინც 1478 წ. უნდა მიეცეს.

## კონსტანტინეს მამისშვილობა

კონსტანტინე მეფის მამისშვილობის საკითხის გამოსარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა თვით ამავე მეფის ზაქარია ჯავახიშვილისადმი 1466 წ. ბოძებულს წყალობის წიგნსა აქვს, რომელშიაც იგი გიორგი მეფეს თავის ბიძად იხსენიებს: «ბიძასა ჩუენსა მეფესა გიორგის ულალატა» ყუარყუარემამო[1]. მაშასადამე, ცხადია, რომ ბატონიშვილის ვახუშტის ცნობა, ვითომც კონსტანტინე გიორგი მეფის შვილი ყოფილიყოს, მცდარია: კონსტანტინე გიორგი მეფის ძმისწული ყოფილა. გიორგი მეფე დიდი ალექსანდრე მეფის შვილი იყო, რომელსაც გიორგის გარდა შვილად დავითი, ვახტანგი და დიმიტრი ჰყავდა. ხოლო რაკი დავითი პატარაობითგანვე ბერად იყო შეყენებული, ამიტომ კონსტანტინე უნდა ან ვახტანგისა, ან დიმიტრის შვილი ყოფილიყო. ამ უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად-კი, თუ რომელი მათგანის შვილი იყო მეფე კონსტანტინე, ერთი საბოლოოდ გადამჭრელი ცნობა არის შენახული ქვათახევის მონასტრის 1477 წლის სიგელში, რომელშიაც ნათქვამია: ვიყიდე მამული «კითხვითა და ბრძანებითა დიმიტრის ძისა მეფისა კონსტანტინესითა»-ო[2]. მაშასადამე, ქ῀ცის შევსებულ-გადაკეთებული პირველი გაგრძელება მართალი იყო და კონსტანტინე მეფე სწორედ დიმიტრის შვილი ყოფილა.

## კონსტანტინეს თანამეცხედრე და შვილები

კონსტანტინე მეფის 1487, 1488 და 1492 წ.-ის სიგლებითგან, რომელთა ამონაწერები ზემოთ უკვე მოყვანილი გვქონდა, ირკვევა, რომ მისს თანამეცხედრეს დედოფალთა-დედოფალს თამარი რქმევია, ხოლო ვაჟიშვილი სამი ჰყოლია: დავით, გიორგი და ბაგრატი, მათგან დავითი „პირმშო“ ძე ყოფილა. მხოლოდ ალბულა ფანიაშვილისათვის 1491 წ. ნაბოძებს წყალობის წიგნში სამის მაგიერ ოთხი შვილია მოხსენებული. იქ სახელდობრ ნათქვამია: «მეფეთ-მეფისა კონსტანტინესაგან და ძეთა ჩუენთა დავით, გიორგი, ბაგრატ და დიმიტრისაგან... აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შირვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და საქართველოსა მტკიცედ-კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელთასა»[3]. რაკი 1492 წ. ეს მეოთხე შვილი დიმიტრი უკვე აღარა ჩანს და კონსტანტინე მეფის ისევ სამი ძე არის მოხსენებული[4], ამიტომ საფიქრებელია, რომ მეოთხე შვილი მეფეს მოჰკვდომია.

---

[1] ს῀ქლს სძ῀ვლნი II, 20.

[2] ისტ. საბ. II, 21.

[3] ს῀ქლს სძ῀ვლენი, III, 475.

[4] ისტ. საბ. III, 41.

საყურადღებო ცნობაა კონსტანტინე მეფის მცხეთის საკათალიკოსო საყდრისათვის 1488 წ-ს ნაბოძებს სიგელში მოხსენებული, რომელშიაც თვით კონსტანტინე მეფე თავის პირმშო ძეს მეფეს უწოდებს და ამბობს: «პირმშომან ძემან ჩუენმან პ ა ტ რ ო ნ მ ა ნ მ ე ფ ე მ ა ნ დავით»-ო[1]. ამ დროს, 1488 წ.-ს ის უკვე დაქორწინებული, ახალ ჯვარდაწერილი ყოფილა და ცოლად ბარათაშვილის ასული ჰყოლია. «სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმე შეესწრა»-ო, ნათქვამია ზემოაღნიშნულს სიგელში, «ჩვენი შვილი დავით და უხუედრი ბარათაშვილის ასული შეირთო»-ო[2]. საგულისხმო ის არის, რომ დავითი მხოლოდ ამ ერთს მამის სიგელში იხსენიება მეფედ: არც წინათ, მაგ., 1487 წ., არც შემდეგ, მაგ., 1491 და 1492 წ., ის უკვე მეფედ არ იწოდება. ჯერ კიდევ გამოსარკვევია (და მომავალში ამ საკითხს უნდა ყურადღება მიექცეს), შეიძლება თუ არა ეს გარემოება ისე გავიგოთ, რომ დავითმა 1488 წ. მიიღო მეფობა და შემდეგში მაგ., 1491 და 1492 წ. სამეფო ტახტი დაკარგა, თუ ამ გარემოებას სხვა რაიმე მიზეზი ჰქონდა?

## კონსტანტინე მეფის წოდებულება

კონსტანტინე მეფეც თავის წინაპრებივით, რომელთაც საამისო უფლებაც ჰქონდათ და საკუთარი ღვაწლითა თუ მემკვიდრეობით მოიპოვეს, თავის თავს ყველა საბუთებში მეფეთ-მეფეს უწოდებს. მისი თანამეცხედრეც ყოველთვის დედოფალთ-დედოფლად იხსენიება. ამას გარდა კონსტანტინე წინამოსაყდრეებივით 1488 წ. თავის თავზე ამბობს, ჩვენ «გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ მ ა ლ ი ხ თ ი მ ე რ ი ს ა დ ა ლ ი ხ თ ა მ ე რ ი ს ა მ ა ნ ო რ ი ს ა ვ ე ს ა მ ე ფ ო ს ა მ ა ნ მ ტ კ ი ც ე დ დ ა შ ე უ რ ყ ე ვ ლ ა დ მ პ ყ რ ო ბ ე ლ მ ა ნ»-ო[3]. მეფური წოდებულებაც თავის წინაპრებთან შედარებით მას ოდნავადაც არ შეუცვლია: ისიც «აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფე, შანშა და შირვანშა» არის[4].

მომავალში იმედია გამოირკვევა, თუ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ კონსტანტინე მეფე 1491 წ. და 1492 წ. სიგლებში წინანდებურად, როგორც მაგ., 1488 წ., უკვე თავის თავს ლიხთიმერისა და ლიხთამერის გამაერთიანებლად და ორისავე ტახტის მპყრობელად აღარ იხსენიებს, არამედ მხოლოდ «ყოვლისა ჩრდილოეთისა და საქართველოსა მტკიცედ კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელ»-ად[5] ან «ყოვლისა საქართველოისა და ჩრდილოეთისა აღმოსავლით ვიდრე დასავალადმდე თუით-კელმწიფედ მფლობელ-მპყრობელ-მქონებელ»-ად[6], — ის, რომ ასეთი მაღალხმიანი სამკაული უკვე ოდნავადაც ცხოვრების სინამდვილეს

---

[1] ქ˝კბი II, 306 და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „სიგელი ქართ. მეფე კონსტანტინესი", 5.

[2] იქვე, ქ˝კბი II, 306 და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, 6.

[3] ქ˝კბი II, 306, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სიგელი ქ˝ლის მეფის კონსტანტინესი, 1488 წ., გვ. 8.

[4] 1491 წ. სიგ.: სქ˝ს სძ˝ვლნი, III, 475 და 1492 წ. სიგ.: ქ˝კბი II, 309—310 და ისტ. საბ. III, 41—42.

[5] 1491 წ. სიგ. ფ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა: ს˝ქს ს˝ძვლნი, III, 475.

[6] 1492 წ. მცხეთის № 480 სიგ.: ისტ. საბ. III, 41.

აღარ შეეფერებოდა, თუ აქ შემთხვევით, მხოლოდ დიპლომატიკის სფეროს გარემოებასთან გვაქვს საქმე? ძველებური მეფის წოდებულება თითქოს ამ უკანასკნელ აზრს უფრო ამართლებს.

## კონსტანტინეს გამეფების გარემოება

აქ თავისდათავად იბადება საკითხი, თუ როგორ მოხდა, რომ ბაგრატის შემდგომ სამეფო ტახტზე მისი შვილი-კი არ ასულა, არამედ კონსტანტინე? სამწუხაროდ წყაროების უქონლობის გამო ჰიპოთეზის გარდა დანამდვილებით ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. საფიქრებელია, რომ ბაგრატის სიკვდილის უმალ ბატონიშვილს კონსტანტინეს მარჯვე შემთხვევით უსარგებლია და აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტი დაუპყრია და აქეთგან დასავლეთ საქართველოზეც მოუხერხებია თავისი ხელისუფლების გავრცელება. ამგვარად, ის ორისავე ტახტისა მპყრობელობისა და საქართველოს მთლიანობის პოლიტიკის მიმდევარი უნდა ყოფილიყო.

უეჭველია ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე ბატონიშვილიც ამ შემთხვეულობის გულხელდაკრებილი მაყურებელი არ იქმნებოდა და მეფე კონსტანტინესა და ალექსანდრეს შორის ბრძოლა მოხდებოდა, მაგრამ არც ქართულ წყაროებში და არც უცხოურში ამაზე ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ ჩანს. მხოლოდ ვახუშტს აქვს ორიოდე წინადადებით აღწერილი ამ ორ პირთა შორის მომხდარი ბრძოლა ლიხთიმერეთის გამო, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ცნობათა უქონლობის გამო ბევრი რამე ჯერჯერობით სრულებით გამოურკვეველი რჩება და მომავლისათვის უნდა გადაიდოს.

## კახთა მეფე ალექსანდრე და მისი სახლობა

კონსტანტინე მეფის თანამედროვე იყო კახთა მეფე ალექსანდრე, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, გიორგი მეფეთა-მეფის ძე იყო. სამეფო ტახტზე ალექსანდრე 1476 წელს ასულა, რადგან 1479 წელს 23 და 24 იანვარს დაწერილს ორს სიგელში მისი მეფობის უკვე სამი ინდიქტიონი ყოფილა [1]. 1479 წელსაც და 1503 წელსაც მისი დედა „დედუფალთ-დედუფალი“ ნესტანდარეჯანი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და საბუთებში მოხსენებულია [2].

ალექსანდრე კახთა ბატონის თანამეცხედრეს ანა ერქვა, რომლისაგან ალექსანდრეს ორი შვილი ჰყოლია, გიორგი და დიმიტრი. რაკი არც დავით გარეჯის 1479 წ. გუჯარში და არც იმავე წლის მცხეთის სიგელში ალექსანდრეს და ანას შვილები არ იხსენებიან, ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი ჯერ ან დაბადებული არ იყვნენ, ან პატარები უნდა ყოფილიყვნენ. 1503 წ. სიგელში ალექსანდრე მეფე თავის ორსავე შვილს, გიორგისა და დიმიტრის, იხსენიებს [3], ხოლო 1505 წლის სიგლითგანა ჩანს, რომ მათგან გიორგი „პირმშო ძე“ ყოფილა [4].

---

[1] ქ^კბი II, 300 და 301.

[2] იქვე, 300, 301 და 319.

[3] იქვე, 319.

[4] ისტ. საბ. III, 42 და ქ^კბი II, 325.

დამახასიათებელია, რომ კახთა ბატონი ალექსანდრე თავის თავზე 1505 წლის სიგელში ამბობს: «ნებითა ღ̃თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშა და შაჰრვანშა (sic) და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე თუითკელმწიფედ ფლობით მპყრობელ-მქონებელისა **ნათესავმან** მეფემან ალექსანდრე»-ო[1], ამასთანავე ოთხსავე, 1479, 1503 და 1505 წლების ჩვენამდე მოღწეულს სიგელში ალექსანდრე თავის თავს მარტივად მხოლოდ მეფედ იხსენიებს და არც ერთში მას თავის თავისთვის მეფეთ-მეფის წოდებულება არ უხმარია[2].

ბატონიშვილი ვახუშტის წყაროაღუნიშვნელი ცნობით კახთ ბატონი «ალექსანდრე იყო შვენიერი, ჰაეროვანი, მოისარ-მოასპარეზე საჩინო და უებრო, კეთილ-უბოროტო, მოწყალე, მშვიდი და მდაბალი»[3]. მაგრამ ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის ის სიტყვაძვირობა, რომელიც ალექსანდრეს მეფობის შესახებს მის მოთხრობას ასე ცხადად ემჩნევა, გვაფიქრებინებს, რომ კახთა ბატონის ზემოჩამოთვლილ ღირსებათა უხვი შემკულობის დამამტკიცებელი ნიშანდობლივი ცნობები არც მას უნდა ჰქონოდა ხელთ, არამედ ზეპირსიტყვაობაზე უნდა იყოს დამყარებული.

ვახუშტისავე სიტყვით ალექსანდრე კახთა მეფე კონსტანტინე მეფეს დაჰზავებია და საზავო ხელშეკრულებაში ქართლისა და კახეთის საზღვრებიც განუსაზღვრავთ[4]. როგორი თვისებისა იყო ეს ხელშეკრულება და რანაირი უფლებრივი ურთიერთობა იყო ამ საბუთით დამყარებული, არა ვიცით რა. მხოლოდ ის გარემოება, რომ კახთ-ბატონი თავის თავს საბუთებში მარტივად მეფეს და არა მეფეთა-მეფეს უწოდებდა, როგორც კონსტანტინე მეფე იყო ჩვეული, გვაფიქრებინებს, რომ თითქოს კახთა მეფე საქართველოში უფროსობას არ ჩემულობდა და ამით კონსტანტინე მეფის პირველობას უცილობლად სცნობდა. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ეს გარემოება ზემოაღნიშნული დაზავება-ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობის შედეგია, თუ მხოლოდ ცხოვრების სინამდვილით ნაკარნახევი ნაბიჯი?

## ალექსანდრე ბაგრატის ძის მცდელობა იმერეთში გასამეფებლად. კონსტანტინე მეფის გამარჯვება

კონსტანტინე მეფის მეორე თანამედროვედ ბაგრატ მეფის ძე ალექსანდრე იყო. მისი იმერეთში გამეფების შესახებ ბატონიშვილს ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ თავისი მამის სიკვდილის შემდგომ მეფედ დაჯდა და უკვე კურთხევასაც აპირებდა, ისე რომ მოუწოდა «დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და გელოვანს». მაგრამ არც ერთს მათგანს ალექსანდრესთან მოსვლა არ უნებებიათ. კონსტან-

[1] ისტ. საბ. III, 42.
[2] იხ. ქ̃კბი II, 300, 301, 319, 325; ისტ. საბ. III, 42.
[3] ვახუშტი, ისტ. ჭიჭინაძე, 159.
[4] იქვე.

ტინე მეფემ, ასეთი ურჩობის ამბავის შეტყობის უმალ, იფიქრა რომ საქართველოს გაერთიანებისათვის მარჯვე დრო დაუდგა: საჩქაროდ ჯარი შეაგროვა, თანაც «ეზრახა დადიანსა» და შეუთანხმდა და 1479 წ.[1] იმერეთს ჩავიდა, სადაც, მას «მიერთნენ ყოველნი იმერნი, ვინათგან დადიანსა მისცა პირი მტკიცე». ასეთს გარემოებაში ალექსანდრეს არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და «წარვიდა სიმაგრეთა შინა». ხოლო კონსტანტინე მეფე იმერეთის მთავართა თანადგომით, განსაკუთრებით ბაგრატ მეფის მოუმდურავი დადიანის დახმარებით, იმერეთშიც გაბატონდა და მას «მისცეს ციხე ქუთათისა»-ო[2]. ამგვარად, ალექსანდრე ბატონიშვილის მცდელობა გასამეფებლად ამაო გამომდგარა, კონსტანტინე-კი ორისა ტახტისა, ლიხთიმერისა და ლიხთამერის მეფეთა-მეფედ გამხდარა. ხოლო კონსტანტინე მეფე რომ დამარცხებულა ათაბაგთან ბრძოლაში, მარტო მაშინ და ამის შემდგომ, 1484 წ.[3] ალექსანდრე ბატონიშვილმა ისარგებლა თურმე შემთხვევით, «შემოიკრიბა რაჭა, ლეჩხუმი» და მათი დახმარებით «მოვიდა და აღიღო ქუთათისი» და ეხლა კი უკვე მეფედაც ეკურთხა და «დაიპყრა იმერეთი»-ო[4].

1484 წ. ალექსანდრეს გამეფებას ერთი ჩხეიძის კინკლოსიც იხსენიებს[5]. მაგრამ ამაზე უფრო მეტი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რასაკვირველია, გელათის მონასტრისადმი 1485 წ. ნაბოძებს ეტრატზე დაწერილს ალექსანდრე მეფის სიგელსა აქვს, რათგან ამ საბუთში ნათქვამია: «დაიწერა... ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ს ა მ ე ფ ო ბ ი ს ა ჩ̃ ნ ი ს ა ს ა მ ე ა თ ო რ მ ე ტ ე ს ა, ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს ა ა ს ო თ ხ მ ო ც დ ა ს ა მ ს ა»-ო[6]. თუ 1495 წ. ალექსანდრეს მეფობის მე-12 წელიწადი ყოფილა, მაშასადამე, ის მართლაც 1484 წ. გამეფებულა, როგორც ვახუშტის აქვს აღნიშნული. სამწუხაროდ ამავე მეფისა და იმავე მონასტრისადმი მეორე 1509 წ. ნაწყალობევი სიგელი სულ სხვანაირს ცნობას გვაძლევს. იქ ნათქვამია: დაიწერა «ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს ა ა ს ო თ ხ მ ო ც დ ა ჩ ვ ი დ მ ე ტ ს ა, ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ს ა მ ე ფ ო ბ ი ს ა ჩ̃ ნ ი ს ა ს ა ა თ ხ უ თ მ ე ტ ს ა»[7]. ამ უკანასკნელი ცნობის თანახმად ალექსანდრე ვითომც 1494 წ. უნდა გამეფებულიყოს. მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ათი წლით შეცდომა იყოს თარიღში ან თვით დედანში, ან გადაწერის დროს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ალექსანდრე თავისი მამის ბაგრატ მეფის სიკვდილის უმალვე, ჯერ კიდევ 1478 წ. გამეფებას ცდილა, მაგრამ მეფობა ვერ შეუნარჩუნებია. პოლიტიკურადაც და ქრონოლოგიურადაც მთელი ეს ცნობა ბაგრატის სიკვდილის თარიღთან არის დაკავშირებული. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ფიქრობდა, რომ „რათგან

---

[1] ქრ. ჩუოთ, ქრ. რჲზ.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 283.

[3] ქრ. ჩუპდ, ქრ. რობ.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 283.

[5] ქ̃კბი II, 303.

[6] ი ქ ვ ე, 311.

[7] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავ. საქ. საბ. I, $4_{7-8}$.

1495 წელს ყოფილა მე-12 წელი ალექსანდრეს მეფობისა, ამის გამო ბაგრატის სიკვდილი და ალექსანდრეს გამეფება, წინააღმდეგ არსებულ ცნობათა, უნდა ყოფილიყო 1483 ან 1484 წ., რაიცა ეთანხმება ჟურულის გუჯარს, სადაც ბაგრატ II ცოცხლად ჩანს 1482 წ.“-ო[1]. მაგრამ ჟურულიანთ სიგელის ცნობაზე ასეთი საკითხის გადაჭრის დროს დამყარება არ შეიძლება, რათგან სხვა სასისხლო სიგელებივით იგიც ნატყუარ საბუთად უნდა იყოს მიჩნეული, როგორც ეს საგანგებოდ გამორკვეული მაქვს „დიპლომატიკის“ წიგნში (იხ. თავი, ნატყუარი საბუთები)[2]. ამგვარად, ის ლოგიკური კავშირი, რომელიც თ. ჟორდანიას აზრით ვითომც ბაგრატ მეფის გარდაცვალებასა და მისი ძის ალექსანდრეს 1484 წ. იმერეთში გამეფებას შორის უნდა ყოფილიყო, ირღვევა და ეს გარემოება ვახუშტის ზემომოყვანილს მოთხრობას თითქოს უფრო სანდოდა ხდის.

## ალექსანდრე მეფის სახლობა

ალექსანდრე მეფის თანამეცხედრედ დედოფალი თამარი ყოფილა, რომელიც გელათის 1502 წ. და 1509 წ. სიგლებში იხსენიება[3].

ალექსანდრე მეფეს 1509 წ. შეწირულების წიგნში ნათქვამი აქვს თავის „ძეთა“ შესახებაც, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთს, ბაგრატს, იხსენიებს სახელდებით: ჩვენ «მეფეთა-მეფემა თამარ და ძეთა ჩუენთა, საყვარელმა, თქვენ შევედრებულმა ძისა თქვენისამან ბაგრატ»[4], ქ~ცის შევსებულ-გადაკეთებულ პირველს გაგრძელებაში ბაგრატ ბატონიშვილის დაბადების თარიღიცკი მოიპოვება: «1495 წ. ქ~კსა რპგ ბაგრატ დაიბადა ძე ალექსანდრესი თებერვლისა კგ-სა»[5]. ქ~ცის შევს.-გად. მეორე გაგრძელებას თარიღად «ქ~კნი: რპგ» ანუ 1505 წ. აქვს[6], რაც მატიანის ქრონოლოგიურს რიგსა და მიმდევნობასაც არღვევს და თავისდათავადაც შეუსაბამოა და ცხად შეცდომად უნდა ჩაითვალოს, როგორც უკვე განსვ. მ. ბროსემაც და თ. ჟორდანიამაც შენიშნეს[7]. ბატონიშვილს ვახუშტსაც თარიღად 1495 წ. აქვს აღნიშნული. ამასთანავე, როგორც ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილ 1509 წ. სიგელის მიხედვით მოსალოდნელი იყო, რათგან იქ მეფეს ნათქვამი აქვს „ძეთა ჩვენთა“-ო, ვახუშტს ალექსანდრეს მეორე შვილიცა ჰყავს დასახელებული. ვახუშტს სახელდობრ უწერია: «უშვა ალექსანდრე მეფესა დედოფალმან თამარ ძე ბაგრატ ქ~ს ჩუჲე (1495 წ.), ქრ. რპგ, შემდგომად ამისა უშვა ძე დავით»[8].

---

[1] ქ~კბი II, 303.

[2] [ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 176—178, 185—187].

[3] ქ~კბი II, 318—319 და ს. კაკაბაძე, დასავ. საქ. საბ., I, $3_{10-11}$.

[4] ს. კაკაბაძე, დასავ. საქ. საბ., I, $3_{9-12}$.

[5] დამატ., 904.

[6] პარიზის ქრონიკა, ჭიჭინაძე, 6.

[7] Hist. de la G. I, 642 და ქ~კბი II, 311.

[8] ვახუშტი, ისტ., 284.

## ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყუარყუარე ათაბაგს შორის არადეთთან

თუმცა კონსტანტინე მეფეს საქართველოში შექმნილი პოლიტიკური გარემოება თავში თითქოს სწყალობდა და იმიერ-ამიერ სახელმწიფო ტახტის მფლობელი შეიქმნა, მაგრამ შემდეგში და უკვე ცოტა ხნის შემდგომ მისმა ბედმაც უკუღმა იწყო ტრიალი. აქაც უმთავრესი მნიშვნელობა მესხეთის მთავრებსა ჰქონდათ. როგორი დამოკიდებულება სუფევდა მეფე-ათაბაგს შორის კონსტანტინეს გამეფებისთანავე, დანამდვილებით არ ვიცით, მხოლოდ ვგონებ მშვიდობიანობა მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს სიწყნარე ხანგრძლივი არ ყოფილა და 1483 წ. კვლავ ძმათა სისხლი დაიღვარა. ამის შესახებ კინკლოსებში მეტად მოკლედ არის მოჭრილი სიტყვა და ნათქვამია მარტო: 1483 წ, «ქკ̃სა როა აქა მეფე კოსტანტინე და ყუარყუარე არადეთს შეიბნეს, ყუარყუარეს გაემარჯვა»-ო[1]. ქ̃ცის ვახტანგისეული გაგრძელება წელიწადს. თვესა და რიცხვსაც უმატებს: «თვესა აგვისტოსა იბ»[2]. ხოლო შევს.-გად. მეორე გაგრძელება ამ შემთხვეულობას იმავე თვესა, მაგრამ რიცხვად «აგვისტოს 16» სდებს[3].

## ამ ბრძოლის მიზეზის შესახები ცნობები

რამ გამოიწვია ეს ბრძოლა, ძეგლებში ნათქვამი არ არის. ხოლო ქ̃ცის ვახტანგისეულსა და შევს.-გადაკ. პირველ გაგრძელებას სულ სხვადასხვა მიზეზი აქვს დასახელებული. ვახტანგისეულ „სწავლულ კაცთა“ სიტყვით ყუარყუარე ათაბაგის ერთი ვაჭარი არეშში წასულა აბრეშუმის „სყიდვად“. იქ მას ვიღაც არეშელ ვაჭართან ჩხუბი მოსვლია, ამ უკანასკნელს მესხი ვაჭრისათვის უცემნია კიდეც და აბრეშუმიც წაურთმევია, თანაც თურმე დაცინვით წაუძახნია: «წარვედ პატრონისა შენისადა და აუწყე ჭირი შენი და ესე არ მიყოს ბატონმა შენმა, დუქანი არ დამიქციოსო და ჩემს დუქანზედ ყურით არ მიმაკრასო». მიმძლავრებული და შეურაცხყოფილი ვაჭარი ათაბაგთან მისულა და შეუჩივლია. განრისხებულმა ყუარყუარემ «ხუთასითა რჩეულითა სპითა გარდმოვლო ფარავანი და ჩამოვლო დმანისი», სადაც «უმასპინძლეს ორბელიანთა». შემდეგ აქეთგან «წარვიდა, ჩამოვლო ხუნანი, განვიდა მტკუარსა და მივიდა არეშს, მიიძღვანა (შეურაცხყოფილი) ვაჭარი სახლსა მას არეშელისა ვაჭრისსა, შეუხდუნნა კაცნი. გამოიყუანეს კაცი იგი და მიიყუანეს თავის დუქანზედა და ყურითა მიაჭედეს და წიხლიც უკრა დუქანსა და ეგრეთვე უყო, როგორც მას ეთქვა და აბრეშუმიც გამოატანინა ვაჭარსა»[4]. ამგვარი შურისძიების შემდეგ ყუარყუარე ათაბაგი შინისაკენ გამოემგზავრა, გზად «შემოვლო კახეთი და შემოიარა ყარაიაზედა, შეუღლო მცხეთაზედა და მივიდა შიდა ქართლსა»[5]. აქ-კი მას გზა გადაუღობეს შიდა ქართლელებმა. კონსტანტინე მეფემ ყუარ-

---

[1] იკორთის № 6 ჟამნგულანი 5 და სხვანი, ქ̃ები II, 302.

[2] მ. ჯანაშვილი, 43.

[3] პარიზ. ქ̃კა, ჭიჭინაძე, 6.

[4] ჯანაშვილი, 42.

[5] იქვე, 42—43.

ყუარე ათაბაგის არც არეშში გალაშქრების და არც უკან გამობრუნების ამბავი არ იცოდა და ამიტომ მეფის „უდასტუროდ“ გაშვება ვერ გაბედესო. ყუარყუარესათვის გზის გადაღობვის გულმოდგინე მომხრენი ყოფილან «ციციშვილნი და უფროსად ზაზა ციციშვილი თაობდა», რომელთაც ათაბაგს გადაჭრით აუწყეს „გაუშვებლობა“. ყუარყუარემ მოციქულის პირით შემოუთვალა: «მე თქვენს მამულში არა წამიხდენია-რაო. ჩვენსა და თქვენსა მტრობა ხომ არ არის რაო, ძმობისა და მეზობლობის მეტი თქვენთან საქმე არა მაქვს რაო. ჩემს მტერს პასუხი უყავ და ჩემს გზაზე მივალო. თქვენ რა სამართლით მიდგებით წინაო?» ციციშვილებმა და მათმა მომხრეებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და ამიტომ «იქმნა ბრძოლა ძლიერი ქრისტეს აქათ: ჩუპდ (1484 წ.): თვესა აგვისტოსა იბ არადეთს». სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს «შალიკაშვილი, რომელი იჯდა ურასა კვიცსა ზედა» და მაჩაბელი ერთმანეთს შეხვდნენ და შეეჩეხნენ: «შემოსცა შუბი შალიკაშვილმა და გაუხეთქა კუბო ფარისა და განვლო მხარსა შიგან და გარდმოაგდო ცხენიდამა, შეუძახა ესრეთ „აწყურისა ღვთისმშობლის მადლმა, თუ ურას კვიცს არა ვჯდარიყავ, შიგ გაგაგდებინებდიო“. მაშინ წარმოიჩოქა მაჩაბელმა, გაიკრა ხმალსა ხელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გაუგდებინა და ტახტზედ დაასო, და შესძახა მაჩაბელმა „სპარსმა წმიდა გიორგიმა, თუ გარდმოგდებული არ ვყოფილიყავ, შუა გაგკვეთდიო“». ამგვარი ორთავემხრივი გულადობისდა მიუხედავად, მაინც «სძლო ათაბაგმან ამისთვის, რომ არას ემართლებოდენ და სამართალი მისი სჯობდა»-ო[1].

## ვახუშტის ცნობა

ბატონიშვილს ვახუშტს არადეთის ბრძოლის როგორც საბაბი, ისევე ამბავი ქ'ცის გაგრძელების მსგავსადვე აქვს მოთხრობილი, მხოლოდ აქა-იქ ისეთი ცნობებიცაა ჩართული, რომელიც ქ'ცის გაგრძელებაში არ მოიპოვება. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ სახელოვანს მეცნიერს ამ შემთხვევაში პირდაპირ ქ'ცის გაგრძელებით-კი არ უსარგებლია, არამედ მხოლოდ იმგვარივე წყაროთი, რომელზედაც ქ'ცის გაგრძელების შემდგენელთ თავიანთი მოთხრობა დაუმყარებიათ. ვახუშტის აღწერილობას თვალსაჩინო განსხვავება განსაკუთრებით თვით ბრძოლის წინა და მერმინდელი გარემოების ამბებს ემჩნევა. მას სახელდობრ ყუარყუარეს ნათქვამი სხვანაირად აქვს გადმოცემული. მისი სიტყვით ყუარყუარეს თავის უზიანობის გარდა ისიც აღუნიშნავს, რომ «უმეტესად განვადიდე სახელი ქართველთა, ვინადგან უმტერე მტერსა. ამისთვის ჯერ არს თქვენდაც სიხარული, რამეთუ ვარ მკვიდრი და მონათესავე თქვენი»-ო. ვახუშტის ცნობით ციციშვილებსა და მათ მომხრე ქართველებს მესხეთის მთავართან მოსალაპარაკებლად მროველი ეპისკოპოსი გაუგზავნიათ, რომელსაც ათაბაგისთვის გადაჭრით გამოუცხადებია: «ანუ მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩვენსა ვინადგან ხარ მკვიდრი, ანუ შეგიპყრობთ»-ო. როდესაც ათაბაგმა ამაზე უარი უთხრა, მროველმა მოა-

[1] ქ'ცა გაგრძ., ჯანაშვილი, გვ. 43.

გონა, «არა უწყი, რამეთუ ძალი ხნავს აღმართსა»-ო? ასეთი მკვახე სიტყვით ეს მოციქული ყუარყუარემ უკან გაისტუმრა და «მიაქცია ათაბაგმან მროველი ბრძოლისა პირსა ზედა»-ო. ამას არადეთთან ბრძოლაც მოჰყვა, რომელიც ქართლელთა დამარცხებით დამთავრებულა. მაშინ ათაბაგის მოლაშქრეებმა სხვათა შორის ეს მროველიც შეიპყრეს და გაბოროტებულებმა «დაუწყეს თრევა მეტყველთა „უკეთუ ხნავს ძალი აღმართსა, ნებამ დაფარცხოს თავდაღმართი“-ო. ასე იმიტომ მოეპყრნენ, რომ მან მღვდელმთავარმა მშვიდობიანობის ჩამოგდებას ხელი არ შეუწყოო[1]. ცხადია, ყველა ზემომოყვანილი ცნობები სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის შეთხზული არ იქმნება, არამედ მას იმავე წყაროთგან ეცოდინებოდა, საითგანაც ქ῾ცის გაგრძელების შემდგენელთ ამოუღიათ. საყურადღებო გარემოებაა, რომ არც ქ῾ცის გაგრძელებაში, არც ვახუშტის აღწერილობაში, არც არადეთთან მომხდარ ბრძოლაში და არც მთელ ამ ამბავში კონსტანტინე მეფე მონაწილედ არ იხსენიება. პირიქით, ქ῾ცის გაგრძელებაში ბოლოში დაძენილია: «ვითარ ესმა მეფესა კონსტანტინესა საქმე ესე, დაუმძიმდა დიდად», მაგრამ ვერა გააწყო რაო[2].

## ქ῾ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ცნობა

ქ῾ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებას ყუარყუარე ათაბაგის შაქში გალაშქრების ამბავის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი და აქ არადეთის ბრძოლის მიზეზად სულ სხვა გარემოებაა დასახელებული. მთელი ეს ამბავი უზუნ-ჰასანის მიერ გატაცებულ აწყურის ღვთისმშობლის ხატის უკან დაბრუნების მოთხრობასთან არის დაკავშირებული და თითქოს რომელიღაც მაწყვერელი მემატიანის ნაწარმოებითგან უნდა იყოს ამოღებული. რაკი ბატონიშვილს ვახუშტს ამგვარი ცნობა არ მოეპოვება, ცხადია, რომ მოთხრობა მესხური მატიანითგან არ უნდა იყოს გადმოწერილი.

ეს ქ῾ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებაში შეტანილი მოთხრობა სასწაულებრივ-საარაკო ცნობებით არის უხვად შემკული. იქ ნათქვამია, რომ უზუნ-ჰასანის შემოსევის დროს აწყურის ღვთისმშობლის გატაცების შემდგომ, სპარსეთში «არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა»[3]. როდესაც სპარსელნი ამ საზარელი მოვლენის მიზეზის გამორკვევას შეუდგნენო, მიხვდნენ, რომ ყველაფერი ღვთის რისხვა იყო და გატაცებული ხატისაგან ემართებოდათ. ამიტომ ეს ხატი მოძებნეს და სამცხეში დაბრუნება გადასწყვიტეს, იმ იმედით, რომ სახედარი, რომელზედაც ხატი აკიდებული იყო, გზას თვით გაიგნებდა და ვითომც სწორედ ასეც მომხდარიყოს[4].

---

[1] ვახუშტი, ისტ. ჰიჰინაძე, 239—240.
[2] ჯანაშვილი, გვ. 44.
[3] დამატ, 896.
[4] იქვე.

შემდეგ ამ მოთხრობაზედვეა ხელოვნურად დაკავშირებული მეფე კონსტანტინესა და ყუარყუარეს შორის არადეთს მომხდარი ბრძოლის ამბავიც. ვითომ უზუნ-ჰასანის შემოსევისა და ხატის გატაცების უმალ «აღდგეს ყოველნი და შთავიდეს ქართლს და მწირობდენ მუნ შვიდ წელ»[1]. ხოლო როცა მოესმათ ხატის „სასწაულითა მოსვლა", ვითომ მაშინვე „მესხთა ქართლს მყოფთა" სამშობლოში დაბრუნება გადაეწყვიტოთ. მეფე კონსტანტინე-კი «აყენებდა და არა უტევებდა წარმოსვლად»-ო. ამიტომ მესხ ლტოლვილებს ვითომც ღამით გაპარვა ურჩევიათ. როცა «ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა ლაშქრითა თჳსითა და დევნა უყო... და მოეწივნეს ა დ გ ი ლ ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ა რ ა დ ე თ ე წ ო დ ე ბ ი ს. ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყ̃დ წმიდისა აწყურისა ღ̃თს მშობელისასა და განეწყვნეს ურთიერთას და შეიბნეს კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ე ფ ე დ ა ყ უ ა რ ყ უ ა რ ე ა თ ა ბ ა გ ი დ ა მ ე ს ხ ნ ი ქ̃ კ ს: რ ო ა (171 = 1483 წ.) თ თ ვ ე ს ა ა გ ვ ი ს ტ ო ს: ი გ: ა თ ა ბ ა გ ს ა დ ა მ ე ს ხ თ გ ა ე მ ა რ ჯ ვ ა»-ო[2]. დამარცხებული «მეფე ლტოლვილი მცირედითა მჴედრითა განერა და უკუნიქცა სახიდ თჳსად»[3].

## ცნობათა კრიტიკული გარჩევა

თავისთავად იბადება საკითხი, რომელი ამ ორ მოთხრობათაგანი უფრო მართალი უნდა იყოს, ან საზოგადოდ, რამდენად დასაჯერებელი და უტყუარია ორივე?

არადეთი, სადაც ციციანთ-ქართლელთა და ყუარყუარე-მესხთა შორის ანუ მეფე კონსტანტინესა და ათაბაგ ყუარყუარეს შორის ბრძოლა მომხდარა, ქართლში მდებარეობს მდ. ფრონის მარჯვენა ნაპირზე სწორედ იმ შარა გზაზედ, რომელიც ქართლიდგან, გორიდგან რუისით და სალოლაშენ — არადეთ — მოხის-ვაყით ბორჯომის ხეობაში მიდის.

ქ̃ცის შევს.-გადაკ. გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ი ს მ ო თ ხ რ ო ბ ა ისე უხვად არის დაუჯერებელი ამბებით შემკული, რომ თანამედროვე მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს უ ფ რ ო ა რ ა კ ა დ ა ნ თ ქ მ უ ლ ე ბ ა დ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა, ვ ი დ რ ე ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ი ს ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა დ. ზემომოყვანილ ცნობებს გარდა მრავალი დაუჯერებელი „სასწაულთმოქმედებაა" ბავშური გულუბრყვილობით ჩაქსოვილი ამ მოთხრობაში[4]. ამიტომ იგი უნებლიეთ უნდობლობას იწვევს და დაუჯერებელი არაკის შთაბეჭდილებას ახდენს.

ამ მოთხრობის კრიტიკული განხილვა ამ გრძნობასა და შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს. სრულებით დაუჯერებელი რამეა, რომ მესხნი „ყოველნი" აწყურის ღვთისმშობლის ხატის წარტყვენვით შეწუხებულნი თავიანთ ადგილითგან აყრილიყვნენ და შვიდი წლის განმავლობაში ქართლში ყოფილიყვნენ ხიზნად. ამგვარადვე დაუჯერებელია, რომ ამდენი ხნის ქართლში გადმოსახლე-

---

[1] დამატ., 894.

[2] ი ქ ვ ე, 897.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე, 896—897.

ბულნი ამ ხატის დაბრუნების ამბავის გაგონებისთანავე აყრილიყვნენ სამშობლოში დასაბრუნებლად. გაუგებარია აგრეთვე, რატომ უნდა შეეშალა ხელი კონსტანტინე მეფეს დროებით შემოხიზნული მესხებისათვის თავიანთ ქვეყანაში წასვლისათვის? ყველა ამ საეჭვო გარემოებას შემდეგი მნიშვნელოვანი დაკვირვებაც უნდა ზედ დაერთვას. *მთელს მოთხრობაში არსად ათაბაგი ყუარყუარე არა ჩანს. მხოლოდ ბოლოში სრულებით მოულოდნელად ნათქვამია*, რომ, როდესაც ჩუმად გაპარულ მესხთ კონსტანტინე მეფე დაედევნა და ლტოლვილნი და მდევარნი „განეწყვნეს ურთიერთს“, მარტო აქა *ჩნდება საითგანღაც ყუარყუარე ათაბაგიც* და სწერია: «შეიბნეს კონსტანტინე მეფე და ყუარყუარე ათაბაგი და მესხნი» და ამ ბრძოლაში «ათაბაგსა და მესხთა გაემარჯვა»-ო[1].

რათგან სრულებით დაუჯერებელია, რომ ყუარყუარე ათაბაგიც შვიდი წლის განმავლობაში ქართლში კონსტანტინე მეფესთან შეხიზნული ყოფილიყოს, ამიტომ უნებლიეთ იბადება აზრი, რომ *არადეთის ბრძოლის კინკლოსური მოკლე ცნობა შემდეგში უნდა იყოს სრულებით ხელოვნურად და უშნოდ გადაბმულ-დაკავშირებული ხატის სასწაულთმოქმედების აღმწერელ მოთხრობასთან*. საფიქრებელია, რომ ეს საქმე უკვე ამ ხატის მემატიანის ნამუშევარი იყოს, მაგრამ საბოლოოდ ეს კავშირი შესაძლებელია ქ῀ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების ავტორს განემტკიცებინოს. რომ ძველადაც, თვით მახლობელ თაობასაც-კი, ზოგიერთი იმდროინდელი მოვლენა აწყურის ღვთისმშობლის ხატის სასწაულთმოქმედების შედეგად მიუჩნევიათ, ამას მზეჭაბუკ ათაბაგის XVI საუკ. დამდეგის აწყვერის საყდრისადმი შეწირულობის წიგნიც ცხადჰყოფს. მზეჭაბუკ ათაბაგს ამ საბუთში სხვათა შორის ნათქვამი აქვს: აწყურის ხატო «რაოდენნი ნიშნი და სასწაულნი აღასრულენ სამხილებელად ბარბაროზთა ზედა, რამეთუ პირველ წყლულებითა ჰგუემენ უსჯულონი და მტერნი ხატისა შენისანი და აწ ჟამთა ამათ შინა ჩუენთა»-ც სასტიკად დასაჯეო[2]. საფიქრებელია, რომ აქ ბარბაროსებად სპარსელები იწოდებიან, მაგრამ რას გულისხმობდა, სახელდობრ რა ნიშებსა და სასწაულებზე ლაპარაკობდა, ძნელი სათქმელია. მაინც საეჭვოა, რომ ის „სასწაულთმოქმედებათა“ აღწერილობა, რომელიც ქ῀ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებაშია ჩართული, თანამედროვის, გინდ მზეჭაბუკის თანამოჟამის მიერ ყოფილიყოს შედგენილი.

ეს ნაწარმოები რომ მართლაც თანამედროვის კალამს არ ეკუთვნის და მერმინდელი აღმწერლის ნაშრომად უნდა ჩაითვალოს, ამას ავტორის შემდეგი სიტყვებიც ამტკიცებენ: აწყურის ღვთისმშობლის ხატით დატვირთული უხედნი კვიცი «განგებითა საღმრთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი *ეწოდების*»-ო[3]. რა ერქვა ამ ად-

[1] დამატ., 897.

[2] ისტ. საბ. II, $27_{17-23}$.

[3] დამატ., 896.

გილს წინათ, ავტორს ნათქვამი არა აქვს. თანამედროვეს-კი წინანდელი სახელი უეჭველია მოხსენებული ექნებოდა. ავტორი ამბობს, ვითომც ხატმა აქამდის მოაღწია თუ არა, «მყის განათლდა სრულად სამცხე» ისე, რომ «იხილეს ყოველთა ანაზდათი იგი შეცვალებაჲ ბნელისა ნათლად და მიხედნეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ბრწყინვიდა ხატი... და განკვირვებულთა თქვეს, რაჲმე არს ელვის სახედ ბრწყინვალე» და ვითომც ამიტომ და »მიერითგან ეწოდა ადგილსა მას ელავსი»-ო[1]. ეს მოთხრობა ჩვეულებრივი ხალხური თქმულებაა გაუგებარი საგეოგრაფიო სახელის „ელავსი“-ს მნიშვნელობის ასახსნელად შეთხზული. ჩვენთვის მაინც ის გარემოებაა საყურადღებო, რომ ავტორი ისეთ დროს ყოფილა, როდესაც მხოლოდ „მერმინდელი“ სახელი-ღა ახსოვდათ, პირვანდელი სახელი-კი უკვე აღარ იცოდნენ.

მართალია, ვახტანგისეულ სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი მოთხრობა ამავე არადეთის ბრძოლის მიზეზის, ანუ საბაბის შესახებ არაფერს სასწაულებრივს არ შეიცავს და ყუარყუარეს მიერ შაქში მოწყობილი მოულოდნელი თავდასხმა მცირერიცხოვანი ჯარითურთ მაშინ არაფერს გასაოცარს არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩვეულებრივ ამგვარ თავდასხმას საპასუხო შურისსაძიებლად მოწყობილი ლაშქრობა მოჰყვებოდა ხოლმე. ქ̃ცის გაგრძელებაში მოყვანილი მოთხრობაც გარეგნული სანდოობისდა მიუხედავად აქა-იქ ეჭვს ჰბადებს. იქ ნათქვამია, ვითომც კონსტანტინე მეფეს ყუარყუარეს შაქში გალაშქრებისა და უკან გამობრუნების ამბავი არც კი სცოდნოდეს. მაგრამ ეს გარემოება ძნელი დასაჯერებელია და თვით მოთხრობაში მოყვანილ ერთს ცნობასაც ეწინააღმდეგება. თავში იქ სახელდობრ ნათქვამია, რომ ყუარყუარე ათაბაგმა შაქში ჯარითურთ მიმავალმა დმანისზე გაიარა, სადაც მას ორბელიანთ მასპინძლობა გაუწიესო. აქეთგანა ჩანს, რომ მესხეთის მფლობელს პირველადაც ქართლის მეფის კონსტანტინეს საბრძანებელზე გამოუვლია. ამიტომ და მეტადრე ორბელთა ასეთ მასპინძლობის გამო, დაუჯერებელია კონსტანტინეს ყუარყუარეს ამბავისა არა სცოდნოდეს რა?

შემდეგ მთელ მოთხრობასაც უფრო გმირული, ხალხური ზეპირსიტყვაობის ელფერი აზის, როგორც შაქში ლაშქრობის შესახებ, ისევე და მეტადრე არადეთის ბრძოლის ზოგიერთ მეომართა მამაცური მოქმედების აღწერილობაში, თუმცა იქ შეუძლებელი არაფერია მოთხრობილი. მროველის შესახებ ნათქვამსაც ზეპირსიტყვაობითი ენამახვილობის ელფერი გადაჰკრავს.

უმთავრეს საეჭვო გარემოებად-კი ის ცნობა უნდა ჩაითვალოს, ვითომც კონსტანტინეს ყუარყუარეს გალაშქრებისა და უკან გამობრუნების შესახებ არა სცოდნოდეს და არა შეეტყოს რა. წარმოუდგენელია, რომ მის ქვეყანაში სამხედრო მოქმედებისათვის სამზადისი და შეთანხმებაზე მოლაპარაკება ეწარმოებინათ და მას-კი ამის შესახებ არც რამე სცოდნოდეს და არც რამეს შეჰკითხებოდნენ. მკითხველი რომ ჩაუკვირდეს ვახტანგისეულ

---

[1] დამატ., 897.

კაცთა ნაამბობს, ისე გამოდის თითქოს ბრძოლა არადეთთან ყუარყუარე ათაბაგსა და მესხთ ზაზა ციციშვილთან და მის მიმდგომ ქართლელებთან მოსვლოდეს და თითქოს ამ ბრძოლაში კონსტანტინე არც სულიერად და არც ხორციელად გარეული არა ყოფილიყოს და მხოლოდ შემდეგში შეეტყოს. ეს ცნობა არსებითად ეწინააღმდეგება ყველა კინკლოსებს, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ არადეთთან კონსტანტინე მეფე და ყუარყუარე შეიბნენ.

ამ შეუთანხმებლობის გამო თავისთავად იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სანდო წყაროებითგან აქვთ ამოღებული ვახტანგისეულ სწავლულ კაცებს ცნობები შაქის ლაშქრობისა და არადეთის ბრძოლის შესახებ? ზოგიერთი უკვე ზემოაღნიშნული თვისებები გვაფიქრებინებენ, რომ მთელი ეს ამბავი ზეპირსიტყვაობაზე, ხალხში თუ მოწინავე წრეებში არსებული გარდმოცემის მიხედვით უნდა იყოს შედგენილი. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ზემოდასახელებული წინააღმდეგობაც ადვილი ასახსნელი იქნებოდა. მაგრამ სწორედ ამ ხანისათვის, კონსტანტინეს მეფობისათვის სწავლულ კაცთ თავიანთი წყარო დასახელებული აქვთ და ირკვევა, რომ მათ ხელთ წერილობითი საისტორიო წყარო ჰქონიათ. ერთგან მათ ნათქვამი აქვთ: «ამა ალექსანდრესა და კონსტანტინესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიელნი და არღარა მორჩილებდა ათაბაგი და განდგა კახეთი, რამეთუ თუით ძველად ნაწერი რომელიმე ვპოეთ კონსტანტინეს ცხოვრება, მაშიგან დაგვიწერია»-ო[1]. ეს ცნობა და გარემოება, რასაკვირველია, სწავლულ კაცთა ნაამბობს უფრო მეტს ნდობას ანიჭებს, მაგრამ რაკი თვით ძეგლი, ეს კონსტანტინეს ცხოვრება, შენახული არ არის, მისი ღირსებისა და ნაკლის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. თავისთავადაც ის გარემოება, რომ XVIII საუკ. დამდეგის მეცნიერთ ეს ნაშრომი ძველად აქვთ მიჩნეული, რასაკვირველია, კონსტანტინე მეფის, ჯერჯერობით მაინც, დაკარგული ცხოვრების შემდგენელის თანამედროვეობის და სხვა თვისებათა გამოსარკვევად არ გამოდგება.

## დასკვნა არადეთის ბრძოლის შესახებ

წყაროების კრიტიკული განხილვის შემდგომ ჩვენ დავრწმუნდით, რომ თუმცა ქ῾ცის გაგრძელების ცნობა ქ῾ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების დაუჯერებელს მოთხრობას სჯობია და უფრო სანდო შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ სრულებით უზადოდ ვერც ეს ცნობა ჩაითვლება. ხოლო რაკი იქ კონსტანტინე მეფის პირადი მონაწილეობა არადეთის ბრძოლაში არ იხსენიება, ამიტომ, როგორც კინკლოსების ცნობების

---

[1] ქ῾ცის გაგრძ., ჯანაშვილი, 44.

150/151

საწინააღმდეგო, ჩვენი მთავარი მიზნისათვის, არადეთთან კონსტანტინე მეფესა და ყუარყუარე ათაბაგს შორის მომხდარი ბრძოლის მიზეზის გამოსარკვევად გამოსადეგიც არ არის. ამგვარად, იმის გარდა, და იმაზე მეტი, რაც ხულ მოკლედ კინკლოსებშია არადეთის ბრძოლის შესახებ ნათქვამი, დანამდვილებით არა ვიცით რა.

## ᲐᲠᲐᲓᲔᲗᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲒᲐᲛᲔᲤᲔᲑᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ

არადეთის ბრძოლამ სრულის სიცხადით გამოარკვია კონსტანტინე მეფის სისუსტე და ამით, რასაკვირველია, მისმა მეტოქე მოწინააღმდეგეებმა მაშინვე ისარგებლეს. მართლაც, ვახუშტის სიტყვით საჩქაროდ «შემოიკრიბა რაჭა, ლეჩხუმი ალექსანდრე, ძემან ბაგრატ მეფისამან, მოვიდა და აღიღო ქუთათისი ქ~ს ჩუპდ (1484), ქრ. რობ, დაჯდა მეფედ, ეკურთხა და დაიპყრა იმერეთი»[1]. სრულებით ბუნებრივია, რომ რაჭა-ლეჩხუმის მოწინავე წოდებას ამის გამო ალექსანდრე მეფე განსაკუთრებულის ყურადღებით მოჰპყრობოდა და მათი გრძნობა-გუნებისათვის ანგარიში გაეწია. ამ მხრივ ერთი საყურადღებო საბუთია შენახული. იქ მოთხრობილია, რომ რაჭა-ლეჩხუმის თავადს სარგის ჯაფარიძესა, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს სვანეთის მცხოვრებთათვის შურისძიების მიზნით შვიდი წლით სრულიად გზა შეუკრავთ. უკიდურეს გაჭირვებაში ჩაცვივნულ სვანებს დადიანის შუამავლობით მეფე ალექსანდრესთვის დახმარება და შველა უთხოვიათ. ამაზე ასე უბრძანებია «მეფეთა მეფესა პატრონსა ალექსანდრეს, თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო. თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო, სვანთ გზას მივცემო, და ჯაფარიძეთაც ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძეს საქმეს არ გარდავწყვეტო». ამასთანავე მეფესა გულახდილად აღუარებია: ჯაფარიძენი «მწვედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო»[2], თუ რომ მეფე ამ საქმეში მხარს სვანებს დაუჭერდა. რაკი ალექსანდრემ რაჭა-ლეჩხუმელთა თანადგომითა და დახმარებით შესძლო გამეფება, მისთვის მათ სულისკვეთებას თუ მომხრეობას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

## ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲘᲒᲚᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ

მართალია, ამ სიგლის ბოლოს ნათქვამია: «დაიწერა წიგნი ესე ქ~კსა რკ და ერთსა კელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილისა ფალავანდისათა»-ო[3] და ამის გამო ამ საბუთის ფრანგული თარგმანის გამომცემელს აკად. მ. ბროსეს, ვითარცა 1433 წლისა, დიდი ალექსანდრის სიგელად მიაჩნდა[4], ხოლო ამ ძეგლის ქართული ტექსტის დამბეჭდავს ს. კაკაბაძეს,

---

[1] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 283.

[2] იხ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, I, 128.

[3] იქვე, 131.

[4] Bullet, Scient, t. IV, 268–72.

არა ჩანს რატომ, სხვა ალექსანდრეს საბუთად მიაჩნია, სახელდობრ იმ ალექსანდრესიო, „რომლის 1392 წლის სიგელმა ჩვენამდის მოაღწია და რომელსაც ყოლია შვილი ვახტანგ. მეფე ალექსანდრე ამოწმებს 1408 წლის ცირღილასძეთა სიგელსა... ალექსანდრეს შვილი ვახტანგი 1432 წ. უკვე მეფედ იხსენებდა“ და „გორგასლად წოდებული, გარდაიცვალა 1445 წ. ვახტანგ იყო რაჭა-არგვეთის მფლობელთა შტოს წარმომადგენელი“ და „ამ სიგლის მბოძებელი ალექსანდრე მეფეც რაჭას ფლობს და იმავე სამეფოს შტოს წარმომადგენელი უნდა იყოს“-ო[1]. ნატყუარ სასისხლო სიგლებზე დამყარების მაგიერ ს. კაკაბაძეს რომ ალექსანდრე მეფის ზემომოყვანილი საბუთის მწიგნობრის ვინაობისა და მოღვაწეობის დროსათვის მიექცია ყურადღება, ის ადვილად დარწმუნდებოდა, რომ მთელი მისი თეორია მცდარია. მას მაშინ ეცოდინებოდა, რომ „კელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილისა ფალავანდისათა“ დაწერილია გელათის ეტრატზე ნაწერი 1495 წ. მეფეთა-მეფისა ალექსანდრესი და მისი თანამეცხედრესი თამარის მიერ ნაბოძები სიგელი[2]. რაკი ამ საბუთითგან ირკვევა, რომ ფალავანდი ფალავანდიშვილი იმერეთის მეფის მწიგნობარი ყოფილა, ცხადია, რომ ბროსე-კაკაბაძის მიერ გამოცემული ზემოაღნიშნული სიგელიც იმერეთის მეფის ალექანდრეს დროისა უნდა იყოს. თარიღი შეცდომით უნდა იყოს გადმოწერილი და დედანში ალბათ ეწერებოდა «ქ˜კნსა: რპ: ერთსა», რაც 149 წ. უდრის და გადმომწერს „პ“-არი „კ“ანად წაუკითხავს. დიდი ალექსანდრეს ბლომად შენახულ სიგელთა შორის კი არც ერთი არ არის ფალავნად ფალავანდიშვილისაგან დაწერილი, რათგან მის დროს ამგვარი მწიგნობარი არ ყოფილა.

## ბრძოლა ალექსანდრეს მეფობის წინააღმდეგ და აღმოს. საქ˜ლოში მტრის შემოსევა

სახელოვანი ქ˜ლი მეცნიერი ისტორიკოსის ცნობისდა თანახმად არც ამ შემთხვევაში დაუნებებიათ ალექსანდრე მეფის მოწინააღმდეგეებს იმერეთის სამეფო ტახტი. დადიანს ეხლაც ისევ კონსტანტინე მეფე მოუწვევია, რაც სიხარულით შესრულებული ყოფილა კიდეც. 1487 წ. კონსტანტინე სპითურთ იმერეთს გადავიდა თუ არა, მაშინვე სამეგრელოთგან ლიპარიტ დადიანი მოეგებაო. ალექსანდრე ვერც ამ შემთხვევაში შეჰბრძოლებია მტრებს და ისევ მაღალ მთებში შეხიზნულა. კონსტანტინე მეფემ კვლავ დაიპყრა ქუთაისი და ჩაიბარა დანარჩენი სიმაგრეებიც და უკვე საბოლოოდ იმერეთის მომტკიცებას აპირებდა, რომ უეცრად ქართლითგან შეატყობინეს «მოსლვა სპასპეტის ასანბეგისა ყეენისაგან და მოდგომა ტფილისისა მისგან სპითა ქს. ჩუპჱ (1488), ქრ. როვ»-ო. ამის გაგონებისთანავე კონსტანტინემ ქუთაისი მიატოვა

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, I, 131.

[2] ქ˜კბი II, 310—311.

და ტფილისის დასაცავად და მტრის მოსაგერიებლად წავიდა. მაშინ ალექსან-დრე მეფემ ისევ დაიბრუნა ქუთაისი და იმერეთის სამეფო და როგორც იყო დადიან-გურიელიც დაიზავა [1].

თუმცა ვახუშტის ზემომოყვანილი მოთხრობის წყარო არა ჩანს, მაგრამ რომ მისი მოთხრობა უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ამას ერთს ჟამნში და ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველსა და მეორე გაგრძელებაში შენახული მატიანი-სებური ცნობაც ცხადჰყოფს. იქ ნათქვამია: 1489 წ. «ქ˜კსა: როზ: ახალცი-ხეს თათარნი მოვიდეს: მასვე წელიწადსა ალექსანდრემ ქუთაისი აიღო ძემან ბაგრატისამან»-ო [2]. რაკი აქ ახალციხეში თათრების მოსვლაზეა ლაპარაკი და არა ტფილისზე გარემოდგომაზე, ამასთანავე ქრონიკონიც განსხვავდება, ამი-ტომ საფიქრებელია, რომ ვახუშტსა და ზემოაღნიშნულ ძეგლებს სხვადასხვა წყარო უნდა ჰქონოდათ ამ ამბავის შესახებ.

მაშასადამე, სხვა ცნობებითაც მტკიცდება, რომ იმე-რეთის მეფეს ალექსანდრეს 1488-ს თუ 1489 წ-ს ქუთაისი აუღია. ხოლო რაკი იმავე მეფის სიგლებითგან უკვე გა-მორკვეული იყო, რომ ალექსანდრე 1484 წ. გამეფდა, ცხადია ამის შემდგომ ისეთი რამე უნდა მომხდარიყოს, რამაც ალექსანდრეს სამეფოს ქალაქი დააკარგვინა და 1489 წ. კვლავ ასაღები გაუხადა. ამის გამო ბატონიშვილი ვახუშტის მოთხრობა, როგორც ეტყობა, უტყუარი უნდა იყოს. ქ˜ცის გაგრძელებათა და ჟამნის ზემომოყვანილი სიტყვებითგან არა ჩანს, რომ ალექსანდრე მეფის მიერ ქუთაისის აღებასა და თათრების ახალციხეში მოსვლას შორის რაიმე მიზეზობრივი დამოკიდებულება ყოფილიყოს, მაგრამ ის მაინც მტკიცდება, რომ გარეშე მტერი აღმოსავლეთ საქართველოს შემოესევია. ამითაც ვახუშ-ტის ნაამბობს ერთგვარი ნდობა ენიჭება და საფიქრებელია, რომ სიმარ-თლეს უნდა გვიხატავდეს.

## ცნობები იაყუბ-ყაენის ლაშქრის საქართველოში შემოსევაზე

მაგრამ ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებასა და უკვე ვახუშტსაც იაყუბ-ყაენის აღმოსავლეთ საქართველოში შემოსევის შესახებ სხვა უფრო ვრცელი და შინაარსიანი ცნობებიც მოეპოვებათ. სახელოვან ქ˜ლ ისტორი-კოსს თარიღად 1486 წ. აქვს აღნიშნული და შემდეგს მოგვითხრობს: იაყუბ-ყაენმა თურმე სამხრეთითგან შემოუტია საქართველოს და ჯერ «გამოვლო აბოცი» შემდეგ მესხეთში გადმოვიდა და «მოადგა ახალქალაქსა და გარე-მოთა ქვეყანათა». სპარსეთის მბრძანებლის ამ შემოსევას «მანუჩარ ვერ წინააღუდგა და ვერღა რასმე ავნებდა სპათა მისთა, გარნა მცდელობდა მაგ-რებასა ციხე-ქვეყანისასა». ამისდა მიუხედავად იაყუბის ლაშქარმა «მცირეს ხანსა შინა შემუსრა ახალქალაქი და გამოიყვანნა მუნით მესხნი წარჩინე-

---

[1] ვახუშტი, ისტ., 284.

[2] ქ˜კბი II, 307 დამატ., 904 და პარ. ქრ., ჭიჭინაძე, 6.

ბულნი და ტყვენი მრავალნი მუნ მყოფნი». შემდეგ თვით ქალაქიც დაუწვავს და მერმე ახალციხეს მისდგომია. «აღიღო იგიცა და უყო ეგრეთვე მასცა». ბოლოს ჯერი აწყურზედაც მიმდგარა, რომელიც თურმე „შეაჭირვა ფრიად“. უმწეო მდგომარეობაში მყოფმა და დახმარების იმედ-გადაწყვეტილმა მოქალაქეებმა „ითხოვეს ზავი“ უვნებლობისა ყაენისაგან თავიანთთვისაცა და ქალაქ-საყდრისათვისაც. იაყუბმა თურმე «მისცა პირი მტკიცე, ვინადგან მკსინვარებდა ჰაერი და მისცეს მოქალაქეთა აწყვერი ციხით სეკტემბერსა კე»[1]. აწყურთან მყოფ სპარსეთის ბატონს ქართლის დარბევაც მოუნდომებია და იმავე დროს ყაენმა «წარმოავლინა აწყვერითგან სპანი. ესენი დაესხნეს დბანისს და ქვეშიკევს, მოსტყვევნეს და წარვიდნენ». მაგრამ ბარათაშვილები თავის ჯარითურთ გზაში ჩასაფრებიან და მოთარეშენი ძალიან დაუზარალებიათ[2]. ამ ამბავმა იაყუბ-ყაენი ცუდ გუნებაზე დააყენა. ამიტომ რა «მოვიდნენ სპანი ყეენისანი მოწყვეტილნი ქართლის სომხითიდამ, განრისხნა ყეენი და არღარა აღუსრულა პირი მესხთა, ტყვე-ჰყვნა აწყვერისანი სრულიად და აწყუერის ღუთისმშობელი». შემდეგ ამ კუთხის მოოხრების უმალ იაყუბი ისევ შინისაკენ გაბრუნდა. რაკი «მანუჩარ ათაბაგს აღუძნდა დატყვევება აწყურის ღვთისმშობლისა, წარავლინა ვეცხლი დიდ-ძალი და დაიხსნა და დაასვენა აწყურსავე»-ო[3].

ქ´ცის შევს-გადაკ. პირველი გაგრძელების მოთხრობა თუმცა უფრო ვრცელია, მაგრამ შინაარსით ვახუშტის ნაამბობისაგან არსებითად არ განირჩევა, ისე კი მაინც რამდენიმე თვალსაჩინო განსხვავება მოიპოვება. ქ´ცის გაგრძელებით იაყუბის შემოსევა საქართველოში ვითომც ერთი წლით ადრე, 1485 წ. დაეწყოს, ტაშირს შემოჰსეოდეს და ვითომც ქართლის მეფისთვის შეეთვალოს, რომ ქვემოქართლელნი მათთან ერთად მესხეთს მიხდომოდნენ. გაუგიათ თუ არა ეს ამბავი «ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე ს და ძეთა მისთა მზეჭაბუკს და ბაადურს», სამზადისს შესდგომიან: ქვეყანა დახიზნეს და გაამაგრესო. თვით მესხეთს ამ წყაროს ცნობითაც იაყუბი 1486 წ. შეჰსევია. ქ´ცის გაგრძელებაში ახალქალაქის აღების შესახებ არაფერია ნათქვამი და პირდაპირ ახალციხის გარემოდგომის მოთხრობით იწყება[4], მაგრამ იქნებ ახალქალაქის აღება თავისთავად იგულისხმებოდეს. ახალციხის და აწყურის აღების ამბავი იმით განირჩევა მხოლოდ ვახუშტის მოთხრობისგან, რომ იქ ჩართულია ცნობა აწყურის ღვთისმშობლის ხატის „შემკობილების“ გაძარცვისა და ხატის სასწაულთმოქმედების შესახებ. როდესაც ხატის დაწვა მოიწადინეს და აღგზნებულ ცეცხლში ჩააგდესო, მაშინვე «ცეცხლი იგი დაშრტა და ხატსა ყოვლადვე არა შეეხო, არცა თუ ნაბრძვილი აჩინა, რომელი ესე მრავალთაგან და თვით თვალითაცა ჩვენითა სახილველ იქმნა»-ო. ამ უცნობი (ალბათ მაწყვერელი უნდა ყოფილიყო) მემატიანის სიტყვით, დაინახა თუ არა ეს „სასწაული“ იაყუბ-ყაენის ლაშქარში მყოფმა ერთმა „არამართლმადიდე-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 238

[2] ი ქ ვ ე, 19—20.

[3] ი ქ ვ ე, 238.

[4] დამატ., 898.

ზელმა“ ქრისტხანმა, იაყუბ-ყაენის შინ გაბრუნების შემდგომ მაშინვე ხატი აიღო, შეახვია და თავის ქვეყანაში წაიღოო[1]. რამდენადაც ამ ხატის დაბრუნების ამბავი ვახუშტს, როგორც დავრწმუნდით, მარტივად და ბუნებრივად აქვს მოთხრობილი და ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ დიდი ფულით დაიხსნაო, იმდენად სასწაულებრივი ბურუსით აქვს მოცული ქ῀ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების წყაროს. იქ მოთხრობილია, ვითომც იმ კაცს თვით აწყურის ღვთისმშობელი გამოსცხადებოდეს და ეთქვას, რომ თუ ჩემ ქვეყანაში არ დაგიბრუნებივარ, «დიდი ბოროტი მოვაწიო შენზედა»-ო. ამის შემდეგ ეს კაცი წამოვიდა და «აუწყა ყოველივე პატრონსა ყვარყვარეს და მანუჩარს. ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა და მსწრაფლ წარგზავნნეს კაცნი სარწმუნონი და დაიკსნა პატრონმა მანუჩარ»-ო[2]. ამგვარად, ბოლოსდაბოლოს აქაც ხატი ფულით ყოფილა გამოხსნილი და „სასწაულთ-მოქმედება“ მერმინდელი მემატიანის მიერ მხოლოდ გარეგნულად არის მიკერებული.

## წყაროთა ცნობების შედარებითი დაფასება

ვახუშტისა და ქ῀ცის გაგრძელების მოთხრობათა შედარება ამგვარად გვარწმუნებს, რომ მათ მაინც თუმცა სხვადასხვა, მაგრამ ერთგვარი, ერთ სათავითგან მომდინარე წყარო უნდა ჰქონოდათ. საზოგადოდ ვახუშტის მოთხრობა უფრო უძველეს შთაბეჭდილებას ახდენს, ქ῀ცისა-კი „სასწაულთმოქმედებით“ შემკულია, რაც საფიქრებელია მერმინდელი ავტორის საქმე უნდა იყოს. მაგრამ ერთი გარემოება განსაკუთრებით საყურადღებო: ვახუშტის მოთხრობით მთელი ეს ამბავი, მტრის შემოსევა და ხატის თავგადასავალიც, მანუჩარის დროს უნდა მომხდარიყო, და მის გარდა სხვა არავინ იხსენიება. ქ῀ცის გაგრძელებაში-კი ყუარყუარე ათაბაგისა და მისი შვილების გარდა ამდროინდელი ამბების მოთხრობაში არავინ იხსენიება. მხოლოდ აწყურის გატაცებული ხატის დამხსნელად და გამომსყიდველად აქაც მანუჩარი ჩანს. როგორც ზევით თავის ალაგას ათონის ალაპების მიხედვით გამორკვეული იყო, ამ დროს ყუარყუარე ათაბაგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამიტომ ცხადია იმ შემთხვევაში ქ῀ცის გაგრძელების ცნობა სჯობია ვახუშტისას, რომლის ქრონოლოგიური, გენეალოგიური ცნობები ამ დროს სამცხის ათაბაგთა შესახებ ათონის ზემოაღნიშნულ უტყუარ წყაროს სრულებით არ უდგება.

უკვე მ. ბროსესა აქვს აღნიშნული, რომ იაყუბ-ყაენის ამ შემოსევის შესახებ საქართველოში სხვაგან არსად ცნობები არ მოიპოვება და ამის გამო მათი სრული სიმართლის გამორკვევა საბოლოოდ შეუძლებელია[3]. მაგრამ თავისდათავად თვით მოთხრობა დაუჯერებელს არაფერს შეიცავს და თა-

[1] დამატ., 899—900.

[2] იქვე, 900.

[3] Hist. mod. I, 14.

ნაც სპარსული საისტორიო წყაროები ეხლაც წინანდებურად ისე ნაკლებ არის შესწავლილი და უფრო ნაკლებ გამოქვეყნებული, რომ სპარსულ მწერლობაში ამჟამად რაიმე შემთხვეულობის შესახებ ცნობების უქონლობა არავითარ საწინააღმდეგო საბუთად არ გამოდგება.

## მაწყვერელის დასჯა აწყურის გაცემისათვის

სამცხის ათაბაგს აწყურთან მტრის გამარჯვება ღალატის შედეგად მიუჩნევია და მემატიანის სიტყვით საშინლად განრისხებულა. «ვითარცა ესმა ესე ყუარყუარეს და მეუღლესა და ძეთა მისთა, განრისხნეს გამცემელთათჳს ციხისათა და სიკვდილად დასჯა ბრძანეს მაწყვერელისა და სხვათა ყოველთა რომელნი შინაგამცემელნი იქმნეს»[1], მაგრამ შემდეგ შეჰბრალებია და მხოლოდ ექსორია უყვია. ხოლო მის მაგიერ «მოიძიეს სხვა ეპისკოპოსი და ჰპოვეს საზღვართაგან პონტოსათა ქალაქით ტრაპიზონელი სახელით სჳმეონ, რომელი მაშინ საჰეთმპყრობელობდა საყდარსა ტბეთისასა. ამას მოუბოძა უკანასკნელ მაწყვერელობა»-ო[2]. რაკი ეს სჳმეონი ტრაპიზონელი ყოფილა, საფიქრებელია რომ ის ბერძენი ყოფილიყო და მაშინ უნებლიეთ იბადება საკითხი, ეს ახალი, 1485 წ. შემდგომ დასმული, მაწყვერელი სჳმეონი ის «ბერძენი.... მღვდელმონაზონი სჳმონი» ხომ არ იყო, რომელიც ყუარყუარე ათაბაგის მახლობელი პირი ყოფილა, «დიდით ხნით ყმა მათდა ქმნილიყო»[3] და 1475 წ. ყუარყუარეს მიერ ახალგარდაცვალებული ბაჰადურის სულის სახსენებლის დასაწესებლად საბერძნეთსა და ათონის მთაზე იყო გაგზავნილი?

## იაყუბ-ყაენის მეორეგზისი შემოსევა

ვახუშტისა და ქ~ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების სიტყვით 1488 წ. იაყუბ-ყაენმა თავისი ლაშქარი ხალილ-ბეგის მეთაურობით გამოგზავნა საქართველოში და ქაოზიანთა და აღჯაყალის ციხეების აღებას შეუდგა[4]. აღჯაყალის ციხე მერმინდელ ბორჩალოში იყო და მისი ნანგრევები ეხლაც არის აღნიშნული 5-ვერსიან რუკაზე. ხოლო ქაოზიანი როგორც ეტყობა უკვე ბატონიშვილი ვახუშტის დროს აღარ არსებობდა და საძიებელი იყო. სახელოვან ქ~ლ გეოგრაფს ორთავე ციხის შესახებ შემდეგი ცნობები აქვს: «ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრისა კევი და აწ უწოდებენ აღჯაყალას თეთრციხეს, იაყუფ-ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე»[5]. ქაოზიანის მდებარეობის განსაზღვრა ცოტა ბუნდოვანია: „არქევანი პირველ იყო გაჩიანი და სანადირო ქალაქი, მერმე ქაოზიანი და აწ ესე დაბა რომელი დასავლითცა არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი: არამედ ჭაპალის

1 ქ~ცის შევს.-გადაკ. გაგრძ. დამატ., 900.
2 იქვე, დამატ., 900.
3 ათონის ალაპ., 269.
4 ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 20 და დამატ., 900.
5 გ~გფა. ბროს., 138.
5 ი ქ ვ ე, 144.

ჩრდილო ქციის კბოდეზედ არს არქევანი. ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაც არს დიდ-დიდნი ნაშენებნი»-ო[1]. რათგან არც ერთი აქ დასახელებული ადგილთაგანი თანამედროვე რუკებზე აღარ მოიპოვება, ამიტომ ქაოზიანის მდებარეობის გამოსარკვევად ვახუშტის რუკა უნდა მოვიშველიოთ. იქ არქევანი მაშავერის ქციასთან შესართავის ახლოს, აღმოსავლეთით არის ნაჩვენები. თანამედროვე ხუთვერსიან რუკაზე, მაშასადამე, ეს ციხე მოლა-ახმედლოს მახლობლად უნდა ვეძიოთ, თუმცა იქ რუკაზე ციხის ნანგრევები არ იხსენიება. ვგონებ თვით ვახუშტსაც ქაოზიანის მდებარეობა დანამდვილებით არ უნდა სცოდნოდა.

კონსტანტინე მეფემ, რასაკვირველია, მაშინვე მტრის საწინააღმდეგოდ ჯარი გაგზავნა. ბრძოლა გაჩაღდა. ყაენმაც თავის ლაშქარს მეშველი სამხედრო ნაწილებით ზურგიც გაუმაგრა თურმე და წინსვლის საშუალებაც მისცა. სპარსელებმა ტფილისამდისაც კი მიაღწიეს და ბრძოლა დაუწყეს. თავის ჯარს კონსტანტინე მეფეც მოეშველა. თავის მხრივ ქაიხოსრო ციციშვილი, ჯავახ ჯავახიშვილი და ბარათიანნი ჭანდარს დაბანაკებულ მტერს თავს დასცემიან და საგრძნობლად დაუზარალებიათ. ამ გარემოებას ტფილისის წინააღმდეგ მებრძოლი მტრის ჯარი შეუფიქრიანებია: ალბათ გზის შეკვრის შესაძლებლობით შეშინებულს ტფილისი მიუტოვებია და უკან დახევას შესდგომია, მაგრამ ყუმისის ბოლოს ქართველები გადასდგომიან და ბრძოლა აუტეხიათ. ამგვარადვე სამხედრო მოქმედება ორბეთის ძირსაც სწარმოებდა. საბოლოო გამარჯვება ქართველებს ხვდათ.

მაგრამ შემდეგ ყაენმა ხალილბეგს კვლავ ჯარი შიაშველა. მოვიდნენ სომხითის გზით და ორბეთის ძირს მიადგნენ. მერმე კოჟრის ციხესაც დაუწყეს ბრძოლა. ქართველებმა მეშველი ჯარის უქონლობის გამო ღამით ციხე მიატოვეს. მტერმა დააქცია ეს ციხე და შემდეგ, რასაკვირველია, ტფილისისაკენ გამოემართა. კოჟრის ციხის დაცლის ამბავმა ნიჩბისის წყალზე მდგომი მეფე კონსტანტინე, რასაკვირველია, ძალიან შეაწუხა. ათაბაგთან და კახთ ბატონთან მოლაპარაკებამ შეერთებული ძალით მტრის განდევნის შესახებ ფუჭად ჩაუარა. ამიტომ კონსტანტინე მეფემ სპარსეთის ჯართან პირდაპირ შებმა ვერ გაბედა და ნაწილობრივი, მოულოდნელი თავდასხმითა და შებმით დაკმაყოფილდა. რათგან სამხედრო მოქმედება და მტრის თარეში ქვედა ქართლში, სომხით-საბარათიანოში იყო, ამის გამო წინააღმდეგობის გაწევა მეტადრე ადგილობრივ მოსახლეობას დააწვა ტვირთად. მათ ბარათიანთა, ჯავახიშვილების და სოლაღაშვილების საგვარეულოები მეთაურობდნენ, რომელთაგან თავის გულადობითა და სიმარჯვით მერაბ ბარათაშვილს უსახელნია თავი. ენაგეთთან დამარცხებულსა და გაქცეულს მტერს რომ დევნა დაუწყეს ქართველებმა, «მისჯარნეს კევსა კირკალსა» და მიესიენ. აქა და მეორე რაზმზე ქართველებს იმდენად დიდი გამარჯვება რგებიათ სპარსელებზე, რომ ტფილისის წინააღმდეგ მებრძოლს მტრის ნაწილებს შიშით ქალაქის გარემოცვისათვის თავი მიუნებებიათ და წასულან[2].

---

[1] გ͡გფა. ბროს., 144.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი ს ისტ. ჭიჭინაძე, 20—22 და დამატ., 900—903.

ამ ცნობების დამამტკიცებელი თუ უარისმყოფელი სხვა რაიმე წყაროები არ მოგვეპოვება. თვით ვახუშტისა და ქ"ცის შევს.-გად. გაგრძელების მოთხრობა ამ ადგილას ბაგრატ და კონსტანტინე მეფეთა ცხოვრებაზე არის დამყარებული. ამ წყაროს კი თავისდათავად დიდი ღირსება არა აქვს, შეცდომებიც მოეპოვება, ერთგვარი ბარათაშვილებისადმი მიმკერძოებელი მიდრეკილებაც ემჩნევა[1]. ამიტომ მხოლოდ მომავალში, როდესაც სპარსული საისტორიო წყაროები საკმაოდ იქნება გამოქვეყნებული და შესწავლილი და ქართული სხვა ძეგლებიც გამოქვეყნდება, ზემომოყვანილი ცნობების სრული სიმართლის გამორკვევა შესაძლებელი შეიქმნება.

## საქართველოს მთლიანობის საკუთარი ძალით აღდგენის იმედის ჩაშლა

ყველა ზემომოთხრობილი ცხადად ჰყოფს, რომ კონსტანტინე მეფის დაუცხრომელს ცდას აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად და სახელმწიფოს წინანდელი მთლიანობის აღსადგენად, გარეშე მტრის ხშირი შემოსევა ან ბოლოს უღებდა ხოლმე, ან უკვე გაკეთებულ საქმეს სპობდა და მიღწეულის შედეგს აქარწყლებდა. შინაურობაში-კი განკერძოებისადმი მიდრეკილებას ისე გაუდგამს ფესვები, რომ მათ მოსასპობად განსაკუთრებით ხელშემწყობი პოლიტიკური გარემოება და გარეშე მტრის შემოჭრისაგან და საქართველოს ბრძოლაში ჩარევისაგან ხანგრძლივი უზრუნველყოფა იყო საჭირო. მაშინდელ მდგომარეობაში კონსტანტინე მეფე ბოლოს და ბოლოს უნდა დარწმუნებულიყო, რომ მისი ცდა ამაო იყო. ბატონიშვილს ვახუშტს ამ საკითხისთვის მაინც ერთი საგულისხმო ცნობა აქვს. მას აღნიშნული აქვს, რომ 1490 წ-ს შემოსეული „თათრები" რომ უკან წავიდნენ და კონსტანტინე მეფემ ალჯაყალა და ქაოზიანი დაარღვია, თბილისში დაბრუნდა თუ არა, «შემოკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და განიზრახვიდა თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა. მაშინ დიდებულნი იტყოდენ: „ვინადგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ განგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მერე (მძლე?) ვექმნეთ ერთსა, არღარა მიგუცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს მეფობასავე შენსა". ხოლო იხილა რა ესე ვითარება თვისთაგანცა მეფემან, ამისთვის აღირჩია მშვიდობა» და კიდეც გაეზავა დანარჩენ ქართველ მეფე-მთავრებს. «კახთა ბატონმან ალექსანდრე და მეფემან კონსტანტინე ჰყვეს მშვიდობა სიყვარულისა, კვალად ათაბაგისათანა და შემდგო-

[1] [ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, I, თბ., 1916, გვ. 218—220].

მად ალექსანდრე იმერთა მეფისათანა და რომელნი აღვწერენით საზღვარნი დაიპყრნეს ეგრეთ»-ო[1].

## ალექსანდრე იმერთა მეფესთან დაზავების თარიღი

ამ სიტყვებითგანაც თითქოს ისე გამოდის, რომ ყველაზე გვიან კონსტანტინე მეფეს ზავი და მშვიდობა მაინც იმერეთის მეფე ალექსანდრესთან უნდა დაედვა. როდის, ამის შესახებ სამწუხაროდ სახელოვან ისტორიკოსს არაფერი აქვს ნათქვამი და არც სხვაგან მოიპოვება რაიმე ცნობა. მხოლოდ განსვენებულ თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს დაბეჭდილი აქვს „მთის წ͠ა გიორგის" გუჯრის, როგორც თვით აქვს აღნიშნული, „მეტად დამახინჯებული" პირი, რომელსაც ბოლოში 1491-ს „მეფეთ-მეფე" კონსტანტინე ამტკიცებს თავისი თანამეცხედრე თამარითა და შვილებითურთ[2]. ამ დამტკიცებას წინ უძღვის „მეფეთა-მეფე" ალექსანდრესი და „დედოფალთა დედოფალი" თამარის ძეებითურთ „გამთავებლობის" მოწმობა. ხოლო თვით სიგელი ბაგრატ მეფეთა-მეფის მიერ არის ბოძებული, მაგრამ თარიღი არც ბაგრატისას აქვს და არც ალექსანდრესას[3], არამედ მხოლოდ კონსტანტინე მეფისას. ეს საეჭვო გარემოებაა, თუ აქ გადამწერს არ გამორჩა ბაგრატ მეფის მოცემულობის შესახები ცნობა და ქრონიკონი. ხოლო თუ ეს და სხვა ზოგიერთი ნაკლი მართლაც გადამწერთაგან იყო შეპარული და თვით საბუთი უეჭვოა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან კონსტანტინე მეფეს საბოლოო დაზავებამდის კიდევ უცდია გაბატონება დასავლეთ საქართველოში და 1491 წ. სამეფო ხელისუფლება ხელთა ჰქონია ისე, რომ დაზავება, უეჭველია რაიმე მაიძულებელი გარემოებით გამოწვეული, ამ წლის შემდგომ უნდა ვიგულისხმოთ, ან უნდა დავასკვნათ, რომ ზემომოყვანილი წყაროების ცნობა მცდარია და კონსტანტინე 1491 წ-მდე დასავლეთ საქართველოს მფლობელად ყოფილიყოს. ის გარემოება, რომ კონსტანტინე მეფის ხელის მოწერას ალექსანდრე მეფის ხელის მოწერა უძღვის წინ, გვაფიქრებინებს, რომ პირველი აზრი თითქოს უფრო სამართლიანი უნდა იყოს.

## სამეფოებისა და სამთავროების შემოსაზღვრულობა

სრულიად საქართველოს დაშლის შემდგომ შექმნილი ქართული სამეფოები და სამთავროები მართალია ურთიერთს ხშირად ებრძოდნენ და რაკი თითოეული თავის საბრძანებლის საზღვრების გაფართოებასა ცდილობდა, ამ სამეფო-სამთავროების მოხაზულობა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ მაინც ყველა ამ ერთეულებს უეჭველია თავიანთი ჩვეულებრივი და ასე თუ ისე უდავო საზღვრებიც ექნებოდათ. ეს ჯერ ერთი იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ თითოეული ამ ერთეულთაგანი ამა თუ იმ წინანდელს თემს წარმოადგენდა,

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი ს ისტ., ჰიჰინაძე, 23.
[2] ქ͠კბი II, 308—309.
[3] ი ქ ვ ე, 307 და 308.

როგორც მაგალითად გურია, სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი, ქართლი, იმერეთი, კახეთი და სხვა, რომელთაც წინათაც ვითარცა საერისთავთ-ერისთავოებს თავიანთი საგამგეო და სათემო საზღვრები ჰქონდათ. მეორეც იმიტომ, რომ მას შემდგომ, რაც კონსტანტინესა და დანარჩენ მეფე-მთავართა შორის შეთანხმება მომხდარა და მოპირდაპირენი დაზავებულან, მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად თავიანთ სამფლობელოების საზღვრების შესახებაც უნდა ავად თუ კარგად შეთანხმებულიყვნენ. ამას ვახტანგის მიერ შეყრილი სწავლული კაცნიც გრძნობდნენ და მათ თავიანთ შრომაში მოყვანილი აქვთ კიდეც დაწვრილებითი ცნობები ახალი დაარსებული სამეფო-სამთავროების მოხაზულობის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს ის წყარო, რომლითგანაც ამოღებული უნდა იყოს ეს ცნობები. ამის გამო მათი ღირსების დაფასება და სანდოობაც ჯერ გამოსარკვევია.

## კახეთის სამეფოს საზღვრები

კახთ ბატონების საბრძანებელი მათის სიტყვით ასე ყოფილა შემოფარგლული: «კახთა ბატონთა მას ჟამსა ეპყრა—გადმოღმართი ლეკის მთისა ეპყრა თუშეთი,—ხოლო დიდონი არა მორჩილობდენ ნებისაებრ მისისა,—ზემოთ ფშავი და თიანეთი, სადა შეერთვის ფშავის წყალი არაგვსა, მიერითგან ვიდრე არაგუსა გაღმართი ხეუძმორამდის. ხეუძმორიდამ გაყოლილი ლილოს სერამდის რადენის სერსა წყალი გასდის და გაერთუის მარტყოფის წყალსა გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯისუმდე, აჯისუს ვიდრე მტკვრის შესართავამდე. მას ქუემოთი მტკუარს გაღმართი ვიდრე შაქისის სამძღურამდე»-ო[1].

## ქართლის სამეფოს საზღვრები

ქართლის სამეფოს საზღვრებად სწავლულ კაცთ აღნიშნული აქვთ: «აჯისუს ზეით უდაბნონი და სამგორს ქვემოთი ლილო და ლილოს ქვემოთი და ხეუ-ძმარას ქვემოთი და არაგუს აქათი და ფშავის წყალის აქათი, გუდამაყარი და ხეუხილაკას აქათი და კასრის ხევს აქათი და წედისის მთის გადმოღმართი და კუდარო და ჰალის მთის გადმოღმართი, ერწო და შვილდაურსა და პერანგას გადმოღმართი, გორას ძირს აქათი, ლიჩი ღოდორა ქეფინის ხევი და ჩხერის ციხე და მას ზემოთი ისრე გაყოლით მთის აქათი ხეობა ვიდრე დვირამდის, კოდიანს გადმოღმართი, ნინოს ხევი რომ ჩამოივლის გაღმით სამგორისაკენ: ცივწყაროს ხევ-ხევ გაჰყვება გახშული ბარშიამის მთა ჩამოივლის, ჯანჯლის ციხე საღამოს თავსა ბორცვს ზემოთი წაივლის სერ-სერ სათხე-ქუნცელის თავსა გარდავლითა ხენჭურის თავსა პალაკაციოს მთამდე, რომელსა თურქნი იელდაღის ეძახიან, პალაკაციომდე სერ-სერი ჩაივლის კარის სოფლის აქათი ერეუნის საზღვრამდის ჩაყოლებით ბანბაკი და ლორე ვიდრე ყაზახის სამძღვრამდე ეპყრა მეფესა ქართლისასა»-ო[2].

---

[1] იხ. ქ˜ცის გაგრძ., ჯანაშვილი, 45.

[2] იქვე, 45—46.

161/162

## იმერეთის სამეფოს საზღვრები

იმერეთის სამეფოს საზღვრებად სწავლულ კაცთ დასახელებული აქვთ: «წედისის მთის აქათი, დიგორის მთის აქათი, ლენტეხი და თაკვერი, რომელსა აწ ჰქუიან ლეჩხუმი, ცხენისწყალს ჩაყოლით, გამოღმართი და საჯავახოს აქათი გაყოლით ფერსათის მთას აქათი ვიდრე ქართლის სამძღვრამდის»[1].

## სამეგრელოს საზღვრები

ბედიანს ანუ სამეგრელოს მთავარს «ეპყრა ცხენისწყალს ჩაღმართი, ლეჩხუმის ქვემოთი, სვანეთის მთის გადმოღმართი, აფხაზეთის ზემოთი»[2]. სამეგრელოს მთავარს აფხაზეთის მთავარიც ექვემდებარებოდა, მაგრამ «მორჩილობდა არა ყოველსავე ბრძანებასა დადიანისასა». აფხაზეთის მთავრის სამფლობელოს შეადგენდა მთელი «აფხაზეთი ჯიქეთამდის»[3]. აფხაზეთის გარდა სამეგრელოს მთავარსვე ეკუთვნოდა «ზღვას ჩამოღმართი და რიონის გაღმართი»[4].

## გურიის საზღვრები

გურიის სამთავროს «ეპყრა რიონს გაღმართი საჯავახო, იმას აქათი გამოსწორივ ღომისციხეს გადმოღმართი, ერგე, აჭარა და ჭანეთი რკინისპალოს აქათ»[5]. როგორც დავრწმუნდით, ბაგრატის დროს გურია ბედიანს ეკუთვნოდა და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, წარმოადგენდა თუ არა გურია კონსტანტინეს მეფობის ჟამს უკვე გამოცალკევებულს პოლიტიკურს ერთეულს, თუ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქ҃ცის გაგრძელების ცნობა მცდარია.

## საათაბაგოს საზღვრები

მესხეთის მთავარს «ათაბაგს ეპყრა გურიელის სამზღვარს ზეითი, ფერსათის მთის გადაღმართი, დვირს ზეითი, აქათ ქართლის საზღვრამდის, იქით კარის სამძღვრამდის, არზრუმისაკენ გურჯი-ბოღაზის აქათი»[6]. ეს ცნობა ვგონებ სრული არ უნდა იყოს.

## კონსტანტინე მეფის მცდელობა შორეული მოკავშირეების დახმარებით თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად

შინაურ ბრძოლაში მარცხსა და მძლავრ მაჰმადიან მეზობლებთან უსწორო ბრძოლას კონსტანტინე მეფის დაუცხრომელი მხნეობა ვერ შეუსუსტებია. მას ახლა შორეული მოკავშირეებისა და მფარველების ძებნა დაუწყია, რომ მათი დახმარებით ზურგიც გამაგრებული ჰქონოდა და მტრისათვის შეტევაც შესძლებოდა.

---

[1] ქ҃ცის გაგრძ., ჯანაშვილი, 46.
[2] იქვე, 46.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, 46.
[6] იქვე, 46.

## მოციქულობა ეგვიპტის სულტანთან

პოლიტიკური მიზნითა და დავალებით კონსტანტინე მეფეს ეგვიპტის სულტანთან ქაიროში დესპანად კარის ეკლესიის მოძღვარი „ნილოსი“ [1] გაუგზავნია [2]. რათგან, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ეს ამბავი 1492 წ. შემდგომ 1496 წლამდე უნდა მომხდარიყო, ცხადია, რომ კონსტანტინე მეფეს თავისი დესპანი ეგვიპტის მამლუკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ად-დინ კაიტბეისთვის (1468—1496 წ.წ.) გაუგზავნია. საქართველოს მეფეებს ეგვიპტის მბრძანებლებთან უკვე XV საუკ. დამდეგითგან მეგობრობა და ურთიერთისადმი პატივისცემა ჰქონდათ [3]. რა მინდობილობით გაუგზავნია კონსტანტინე მეფეს თავისი დესპანი ეგვიპტის მფლობელთან, არა ჩანს, მხოლოდ ქაიროში საქართველოს მეფის წარმომადგენელი დიდი სიხარულით მიუღიათ. არც გასაკვირველია, რათგან კონსტანტინე და ხალიფა ურთიერთის მოკავშირენი ყოფილან. ამ გარემოებას თვით საქართველოს მეფისავე სიტყვა ცხადჰყოფს. ესპანიის დედოფალს იზაბელას ის სხვათა შორის ატყობინებდა, რომ მას არც ერთ სხვა „უსჯულო“ ხელმწიფესთან კავშირი არ ჰქონდა (იხ. წერილი). აქეთგან აშკარაა, მაშასადამე, რომ კონსტანტინე მეფეს ეგვიპტის ხალიფასთანაცკი მოკავშირეობა შეკრული ჰქონია.

## არაბთა განდევნა ესპანიითგან და კონსტანტინეს მცდელობა ესპანიასთან კავშირის შესაკვრელად

კონსტანტინე მეფის დესპანი რომ ქაიროთგან იერუსალემში მისულა, იქ ესპანიის დედოფლის დესპანებს შეჰხვედრია. მათგან საქართველოს ელჩს უნდა გაეგონა მაშინდელ ქრისტიანეთათვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთში სასიხარულო ამბავი იზაბელა დედოფლის ჯარისაგან არაბების საბოლოო დამარცხებისა და ესპანიითგან სამუდამოდ განდევნის შესახებ. გახარებულს ქართველს დესპანს ესპანიის ძლევამოსილი დედოფლის დესპანები საქართველოში დაუპატიჟნია და თავის მეფესთან წამოუყვანია. ეჭველია მას პოლიტიკური მიზანი ექნებოდა. იქნებ მასვე დაჰბადებოდეს ის გეგმა, რომელმაც შემდეგ კონსტანტინე მეფე აიძულა თავისი მოციქული თვით ესპანიის მბრძანებელთან გაეგზავნა.

## დასავლეთის ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ძველი გეგმის განახლება

საქართველოში ჩამოსვლისთანავე იზაბელას დესპანებს კონსტანტინე მეფისათვის არაბებზე თავიანთი საბოლოო გამარჯვების ამბავი მოუხსენებიათ. წრფელი აღტაცებითა და სიხარულით აივსებოდა ყოველი ქართველის

[1] ტექსტში შეცდომით „კორნელი“ სწერია. ამ შეცდომის განმარტება იხ ქვემოთ.

[2] იხ. კონსტანტინეს წერილი ესპანიის დედოფლისადმი, ბროსე, H. moder. de la G. I, 408

[3] იხ. მარტიროზ სომეხთა ეპისკოპოსის ცნობა. ნ. მარის Предварительный отчет-ში Сообщ. Прав. Палест. Об. т. XIV, ч. II, 1903 წ., გვ. 50.

გული ამ მოულოდნელი ამბავის გაგონებაზე. თავიანთ სამშობლოში მძლავრ მაჰმადიან მეზობელ სახელმწიფოთაგან უაღრესად შეწუხებულ საქართველოს გაერთიანებისა და განახლების მოტრფიალე პოლიტიკურ წრეებს ამ დროს ეგებ თავიანთი ოცნების უიმედობის აზრი გულში უკვე შეპარული ჰქონოდათ. ეს ახალი სასიხარულო გამარჯვება, ეს თუმც შორეულ, მაგრამ მაინც ქრისტიანეთა მტარვალ მაჰმადიანებზე ძლევამოსილების ამბავი, კვლავ სასოებას გაუცხოველებდათ. აკი კონსტანტინე წერდა კიდეც ესპანიის ძლევამოსილ დედოფალს: «გვგონია და ვხედავთ კიდეც, რომ ამიერითგან აღმოსავლეთის მზე უკვე იწყებს დედამიწის მთელი დანარჩენი ნაწილის მოფენას თავისი მაცისკროვნებელი ბრწყინვალებითა»-ო [1]. ამ შორეული, სხვისი გამარჯვების სასიხარულო ამბავის მოღწევაც-კი საკმაო ყოფილა, რომ ქართველ პოლიტიკოსთათვის კონსტანტინე მეფის მეთაურობით კვლავ ძველი ოცნებისა და გეგმის განხორციელების შესაძლებლობის აზრი აღეძრა. ამიტომ მათ ამ შემთხვევით უსარგებლიათ დასავლეთის ქრისტიანობასთან კავშირის განსაახლებლად. კონსტანტინე მეფეს იგივე ხუცესი ნილოსი ალბათ იმავე ესპანიის ელჩებისათვის გაუყოლებია. საქართველოს მამულიშვილთ თავიანთ ქვეყნის ხსნისა და პოლიტიკური აღორძინების იმედი მისცემიათ. ისინი ფიქრობდნენ, რომ რაკი ესპანიის დედოფალმა არაბთა დამარცხება და თავის სამშობლოთგან სამუდამოდ განდევნა შესძლო, ოსმალთა და სპარსთა დამარცხება-განდევნაც ადვილად შესაძლებელი იქმნებოდა, თუ რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ქრისტიანობა შეერთებული ძალით მაჰმადიანობას შეებრძოლებოდა.

## რომის პაპთან და ესპანიის დედოფალთან დესპანის გაგზავნა

ამ ოცნების განსახორციელებლად კონსტანტინე მეფემ დესპანი ნილოსი [2], რომელიც ეგვიპტეში ჰყავდა გაგზავნილი, ეხლა დასავლეთ ევროპაში გაგზავნა. ეს დესპანი რომის პაპთან და ესპანიის ძლევამოსილ დედოფალთან გაისტუმრა საგანგებო სიგელებითა, საიდუმლო დავალებითა და მისართმევი საჩუქრებით დატვირთული. არც ერთი ამ წერილთაგანის დედანს ჩვენამდის არ მოუღწევია. პაპი ალექსანდრე VI-ის სახელობაზე დაწერილი ეპისტოლე დაკარგულია და მისი შინაარსის გაგება მხოლოდ პაპის საპასუხო ეპისტოლითგან შეიძლება. მისი ლათინური ტექსტი და ქართული თარგმანი მ. თამარაშვილსა აქვს დაბეჭდილი თავის ცნობილ წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" [3]. ესპანიის დედოფლისადმი გაგზავნილი სა-

---

[1] Brosset, I, 408.

[2] იზაბელას სახელობაზე დაწერილს სიგელში დესპანი თუმცა კორნილიოსად არის წოდებული, მაგრამ რომის პაპის ალექსანდრე VI-ის კონსტანტინე მეფისადმი 1496 წ. საპასუხო ეპისტოლეში დესპანად ნილოსია (Nilum confessorem et oratorem tuum). უეჭველია ამ ორსავე საბუთში ერთი და იმავე პირის სახელი უნდა იყოს. „კორნილიოს" რუსულ თარგმანის დამახინჯება უნდა იყოს და წარმომდგარი იქმნება „კვრ-ნილოს"-ითგან, როგორც რუსული საბუთების ენაში მიღებული იყო.

[3] იხ. გვ. 598—599 და 64—65.

ბუთისა-კი მხოლოდ ძველი რუსული ენით ნათარგმნი პირი არის შენახული. იგი სრულებით შემთხვევით იყო 1823 წ. აღმოჩენილი ბ-ნ ბ უ ს ს ე ს მიერ ვარშავის არქივში და 1823-ვე წელს იყო დაბეჭდილი [1].

## კონსტანტინე მეფის ეპისტოლის ნამდვილობა-უეჭველობის საკითხი

იმ გარემოებამ, რომ კონსტანტინე მეფის წერილი რუსულად აღმოჩნდა, ბუნებრივად ეჭვი დაბადა. კონსტანტინეს მეფური წოდებულობა ცხადად დამახინჯებულია თარგმნის დროს და ეს გარემოება არც გასაკვირველია, რათგან იქ ჩამოთვლილი ქვეყნების სახელები რუსებისა და პოლონელებისათვის სრულებით გაუგებარი და უცნობი იყო. ესპანიის დედოფლის სახელად ელისაბედი სწერია იზაბელას მაგიერ, როგორც უნდა ყოფილიყო, რათგან არაბთა საბოლოო დამარცხება და ესპანიითგან განდევნა 1492 წ. მოხდა სწორედ იზაბელას დროსა და პირადი მონაწილეობით [2]. ბ რ ო ს ე ს ეს ორი სახელი სინონიმებად მიაჩნია და საჭიროდ არც-კი სთვლის, რომ აქ გადამწერის შეცდომა ვიგულისხმოთ [3]. ეს შეცდომა შეიძლება საქართველოშიც მოსვლოდეთ, რათგან ამგვარი სახელი ქართველებს პირველად ექნებოდათ გაგონილი, მაგრამ შესაძლებელია საბუთის თარგმანისა და გადაწერის დროსაც მომხდარიყო.

უფრო მსხვილ შეცდომად ამ საბუთის რუსულ თარგმანში მოყვანილი თარიღი უნდა ჩაითვალოს. «დაიწერა [სიგელი] ესე მარტსა ათსა დღესა 1465 წელსა შობითგან ქრისტესითა»-ო [4]. ეს თარიღი არც კონსტანტინეს მეფობას უდგება და არც იზაბელასას. ამ გარემოებამ თავის დროზე მ. ბროსე ისე შეაფიქრიანა, რომ თვით საბუთის სიყალბის აზრიც-კი დაებადა, მაგრამ სიყალბის შესაძლებლობა თვითვე უარჰყო. სამაგიეროდ ამ შეცდომითი თარიღის გასამართლებლად განსვენებულს აკადემიკოსს არა ერთი მცდარი მოსაზრება აქვს გამოთქმული [5].

## ეპისტოლის თარიღი მცდარი და ნამდვილი

პაპი ალექსანდრე VI კონსტანტინე მეფისადმი 1496 წ. დაწერილი ეპისტოლითგან, რომელიც მ. თამარაშვილსა აქვს გამოქვეყნებული, სრული უეჭველობით მტკიცდება, რომ კონსტანტინე მეფეს ესპანიის დედოფლის არაბებზე გამარჯვება მართლაც მიულოცია პაპისათვის. ეს გარემოება ცხად-

---

[1] რუსულ სამეცნიერო საზოგადოების გამოცემაში „Труды Высочайше утвержденного вольного Общества российской литературы", რომელსაც აგრეთვე „Соревнователь просвещения и благотворения" ერქვა (იხ. წ. II, გვ. 213—219, № 5, 1823 წ.). ეს საბუთი 1850 წ. გადმობეჭდილი იყო Закавказский Вестник-შიც, აკად. მ. ბ რ ო ს ე მ მისი ფრანგული თარგმანი ისტორიული განმარტებითურთ ჩაურთო თავისს Histoire moderne de la Géorgie, addition première, p. 407—411.

[2] Cl. H u a r t, Histoire des arabes. t. II, p. 193—194, 1913 წ.

[3] B r o s s e t, H. mod. I, 509.

[4] ი ქ ვ ე, 409.

[5] ი ქ ვ ე, 410.

166/167

ჰყოფს, რომ კონსტანტინე მეფეს არაბთა ესპანიით განდევნის ამბავი გაგებული ჰქონია. ხოლო, რათგან კონსტანტინე მეფის ეპისტოლის რუსულ თარგმანშიაც და ალექსანდრე VI საპასუხო ეპისტოლეშიაც, როგორც აღნიშნული გვქონდა საქართველოს დესპანად ერთი და იგივე პიროვნება, ხუცესმონაზონი ნილოსია მოხსენებული და ამ ეპისტოლეების შინაარსი, ერთიმეორეს კარგად უდგება, თანაც დაუჯერებელია, რომ კონსტანტინე მეფეს არაბებზე ძლევამოსილების გამო მხოლოდ რომის პაპისათვის მიელოცა, თვით გამარჯვების ძლევამოსილი გმირისათვის-კი არა მიეწერა-რა, ამიტომ სრულებით ცხადი ხდება, რომ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ე ფ ი ს ე პ ი ს ტ ო ლ ი ს ძ ვ ე ლ ი რ უ ს უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი, უ ე ჭ ვ ე ლ ი ს ა ბ უ თ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს.

ამ საბუთის დაწერის თარიღიც ადვილად ირკვევა: რაკი პაპი ალექსანდრეს საპასუხო ეპისტოლე 1496 წ. ივლისის ათს არის დაწერილი[1], კონსტანტინე მეფის იზაბელა დედოფლის მიმართ წარგზავნილი და არაბებზე გამარჯვების გამო დაწერილი მისალოცი სიგელი შეიძლება მხოლოდ 1492 წ. შემდგომ იყოს დაწერილი 1496 წლამდე. რათგან რუსულ თარგმანში ეს საბუთი 1465 წ. 10 მარტით არის დათარიღებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ თვით დედანი 1495 წ. 10 მარტს იქნებოდა შედგენილი. თუ კონსტანტინე მეფის ეპისტოლე ქართულად იყო დაწერილი, რაც თავისდათავად საეჭვოა ესპანიის დედოფლისადმი მიმართვის გამო, თარიღი ქ˜კნით იქნებოდა აღნიშნული, რათგან ამ დროს ქრისტესით წელთაღრიცხვა ქ˜ლ საბუთებში მიღებული არ იყო. ბ რ ო ს ე ს აზრი ვითომც კონსტანტინე მეფის ვარშავაში აღმოჩენილი საბუთი, გამოურკვეველი მიზეზების გამო ვარშავაში დატოვებული, თვით დედანი იყოს და არა პირი[2], უსაფუძვლო აზრად უნდა ჩაითვალოს, რათგან პაპი ალექსანდრეს საპასუხო წერილითგან ვიცით, რომ საქართველოს მეფის დესპანმა ნილოსმა დასავლეთ ევროპას მიაღწია და თავის მბრძანებლის სიგელიც თან მიიტანა. მაგრამ ბროსსე რომ მართალიც ყოფილიყო, ამ შემთხვევაშიაც თარიღი ქრისტესით არ იქნებოდა აღნიშნული: რუსეთში ამ დროს დასაბამითგანი წელთაღრიცხვა იყო მიღებული. ამგვარად, ცხადია, რომ ორთავე შემთხვევაში საბუთის რუსულად გადმოთარგმნის დროს თარიღის ქრისტესით გამოანგარიშება არ დასჭირდებოდათ. მაგრამ რაკი საბუთის დაწერის დროს საქართველოში თვით ესპანიის დესპანები იყვნენ და დასავლეთთან მიწერ-მოწერა წინათაც, მაგ., გიორგი მეფის დროსაც, ლათინურად უწარმოებიათ, ამიტომ ჭკუასთან უფრო ახლო იქნება დავასკვნათ, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის დედანი საქართველოში ჯერ ქართულად იქნებოდა შედგენილი და მერმე იქვე და მაშინვე ლათინურად ნათარგმნიც დაერთობოდა. ლათინური თარგმანის თარიღი, როგორც პაპების იმდროინდელ საბუთებშიც გვხვდება, ქრისტესით იქნებოდა აღნიშნული. ამიტომ რუსულ თარგმანში შეპარული შეცდომა უფრო რომ გრაფი-

---

[1] იხ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს გამ., 600 და 66.

[2] Add. I, 409 შენ. 1.

კულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმომდგარი ან თარგმნის, ან გადაწერის დროს. მაინცდამაინც თვით კონსტანტინე მეფის და პაპი ალექსანდრე VI წერილებითგან ნათლადა ჩანს, რომ კონსტანტინე მეფის წერილი შეუძლებელია 1465 წ. ყოფილიყო დაწერილი, არამედ უნდა 1493—1495 წ. იყოს შედგენილი.

## როგორ მოხდა, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის რუსული თარგმანი ვარშავაში აღმოჩნდა?

რაკი პირდაპირი გზა საქართველოთგან რომში და ესპანიაში ოსმალების ხელთ იყო და იმ საიდუმლო პოლიტიკური გეგმის გამჟღავნება, რომელიც კონსტანტინე მეფის წერილებში იყო აღნიშნული, ოსმალებს რომ ხელში ჩავარდნოდათ, საბედისწერო შეიქმნებოდა თვით დესპანისა და საქართველოსთვისაც, ამიტომ როგორც შემდეგშიც მომხდარა, ქართველი დესპანი პოლონეთის, ხმელეთის გზით წასულა. სწორედ ამ გზით წარმავლობის კვალად უნდა ჩაითვალოს ის პირველი შეხედვით უცნაური გარემოება, რომ კონსტანტინე მეფის ეპისტოლის ძველი რუსული თარგმანი პოლონეთის დედაქალაქის არქივში აღმოჩნდა. აქ ეს საბუთი, ჯერ გამოურკვეველი მიზეზის გამო, იმ დროს პოლონეთში ძალიან გავრცელებული ძველი რუსული ენით უთარგმნიათ.

## კონსტანტინე მეფის ეპისტოლის შინაარსი და მიზანი

კონსტანტინე მეფე ესპანიის ძლევამოსილს დედოფალს იზაბელას თავის ეპისტოლეში სიხარულს უცხადებდა არაბებზე საბოლოო გამარჯვების გამო, ღმერთს მისთვის ყოველ სიკეთეს შესთხოვდა და სხვათა შორის სწერდა: ღვთით შენ დაიმორჩილე ყველა ურწმუნო მფლობელნი და განსაკუთრებით უსჯულო სარკინოზნი, სირცხვილეულ ჰყავ მათი მრჩეველნი და უუდიდესი ქალაქები წაართვი მათ ისე-კი რომ ღვთის გარდა არავინ შემწე მშველელი არ გყოლია ამ გამარჯვებაში, რომელიც ღმერთმა მხოლო გიწყალობა და აგარის უწმინდურ ნათესავზე ძლევამოსილების გვირგვინით შეგამკოო. სიხარულით გავიგეთ აგრეთვე, რომ ზოგიერთი მეფეები თქვენი მოკავშირეები ყოფილან და ღმერთს მადლობა შევწირეთ, რომ მან ყველა ქრისტიან მეფეთა და მართლმადიდებელთა სიყვარულითა და კავშირით უზრუნველ გყოთ.

რა იქმნა სიდიადე და დიდება ქრისტიანეთა, რა მოუვიდა მათ პატივსა და იმედს, დიდსა და სახელოვან ქალაქს კონსტანტინეპოლს, სად არიან მართლ-მადიდებელი მეფეები; მათი სიხარული და განცხრომა? სიხარული მწუხარებად და ვაებად შეიცვალა, დიდება დამცირებად. ოდესღაც გაბრწყინვებულნი ეხლა წყვდიადში ვიმყოფებით. ოდესღაც ჩვენ პატივისცემით მოსილ ხელმწიფეებთან გვქონდა ხოლმე ურთიერთობა, ეხლა მწუხარებისა და ცრემლების გარდა არასა ვხედავთ. ჰოჲ, რაოდენ სიკეთეს არის მოკლებული ნათესავი ჩვენი? სად არიან ტრაპიზონის ხელმწიფეები ან სხვები, რა მოუვიდა სერბთა ქვეყანას და მრავალ სხვასაც?!

168/169

მაგრამ ვიცით და ეხლა მტკიცედ ვიმედოვნებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენ ძლევამოსილებას მოგვანიჭებს აგარის უწმინდურ ნათესავზე. ეგვიპტის სულტანთან ამავე მიზნით გაგზავნილმა ჩვენმა დესპანმა შინისაკენ მომავალმა იერუსალემში თქვენი დესპანები ნახა, რომელნიც თან წამოიყვანა. მათგან გაგონილმა ახალმა ამბავმა თქვენი გამარჯვების შესახებ დიდი სიხარულით აგვავსო. და იგივე ჩვენი დესპანი ეპისტოლითურთ გამოვისტუმრეთ თქვენთან. მაგრამ იმის გარდა, რაც ამ ეპისტოლეშია დაწერილი, ჩვენი დესპანი ბევრს სხვასაც რასმე პირადად სიტყვიერად მოგახსენებთ იმიტომ, რომ გზაზე მრავალი მტერია, უსჯულო სპარსელები ხომ, როგორც იცით, უწყალოდ გვტანჯავენ. ამ ჩვენს მტრებს ბევრი უბედურება მოუყენებიათ ჩვენთვის და სამს რამესა გვთხოვენ ხოლმე: გადაიხადეთ დიდი ხარკი, იბრძოლეთ მუდამ ჩვენთან ერთად და გამაჰმადიანდითო. ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ჩვენ-კი ტრაპიზონის, კონსტანტინეპოლის და სხვა ქრისტიანეთა დაცემის შემდგომ მარტოდ-მარტონი და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით. მაგრამ აწ ურიცხვნი ერნი აგარიანთა, სპარსთა, თურქთა და არაბთა, შერცხვენილ-აღშფოთებული არიან. დროც მოახლოებულია. სახელითა ღვთისათა გევედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოილაშქროთ. აიღეთ ფარად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარი და მაცხოვარი ჩვენი თქვენს სურვილს ხელს შეუწყობს. მეც პირადად შვილებითურთ და მთელი ლაშქრით, რომლის შეყრასაც-კი შევსძლებ, დაბრუნდება თუ არა ჩემთან შენი დესპანი, არ დავიყოვნებ და შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები. ხოლო სიყვარულის ნიშნად ამ მცირე ძღვენს გაახლებთ: იეზდის 19 ოქროქსოვილს, 40 მისხალს ობოლ მარგალიტს და 17 ვეფხვის ტყავს. დაიწერა სიგელი ესე ჩვენი 1495 წელსა მარტისა ათსა დღესა.

## ქართველ პოლიტიკოსთა სულისკვეთება

კონსტანტინე მეფის ამ წერილში მშვენიერად არის გამოხატული მაშინდელ ქართველ მამულიშვილთა სულიერი მდგომარეობა და გულისნადები. იმის შიშით, რომ საქართველოს მეფის ეს ეპისტოლე მტერს არ ჩავარდნოდა ხელში კონსტანტინეს, როგორც იქ აღნიშნულია, ყველაფრის თქმა არ შეეძლო და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო და ჩვენთვისაც საყურადღებო იქმნებოდა, ის თურმე სიტყვიერად ჰქონია დესპანს დაბარებული. იმისდა მიუხედავად, რომ როგორც ირკვევა, მრავალი საგულისხმო და დიდმნიშვნელოვანი ცნობა მაშინდელი საქართველოსა და ქართველთა გულითადი ზრახვების შესახებ ამ წერილში შეტანილი არ ყოფილა, მაინც მთავარი საიდუმლოების მიხვედრა ძნელი არ არის. კონსტანტინე მეფის სიტყვებითგანა ჩანს, რომ

საქართველოს მმართველ წრეებს თავიანთი ქვეყნის წარსული სიძლიერე და სიდიადე სრულებითაც დავიწყებული არ ჰქონდათ. ურიგოდ არ ჰქონიათ გათვალისწინებული მახლობელ აღმოსავლეთის ის საზოგადო პოლიტიკური მდგომარეობაც, რომელმაც საქართველოს დაუძლურებას შეუწყო ხელი და ეხლაც მოღონიერება-განახლებისათვის დროსა და საშუალებას არ აძლევდა. ეს წერილი ამტკიცებს, რომ მაშინდელი საქართველოს უმწეო მდგომარეობისდა მიუხედავად ქართველ მამულიშვილებს კონსტანტინე მეფის მეთაურობით სასოწარკვეთილებითა და უიმედობით არ გაუტეხიათ გული, არც ფარ-ხმალი დაუყრიათ, არამედ საქართველოს აღდგენისათვის მაინც იღვწოდნენ და უკეთეს მომავლის შესაძლებლობაზე ოცნებობდნენ ხოლმე. რამდენად ფართოდ უყურებდნენ ისინი ამ საქმეს, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ თვით მაჰმადიან ხელმწიფის, ეგვიპტის სულტნის მეგობრული კავშირის და დახმარების იმედი და გეგმა ჰქონიათ თავიანთ მეზობელ მაჰმადიანთა მძლავრი სახელმწიფოების საწინააღმდეგო ბრძოლაში გამოსაყენებლად.

ის გარემოებაცაა საყურადღებო, რომ წინანდელი მოსაზღვრე ძლიერი საქრისტიანო ქვეყნების, განსაკუთრებით ბიზანტიისა და ტრაპიზონის, მოსპობის საქართველოსათვის საბედისწერო მნიშვნელობის გათვალისწინებას შეუგნებინებია, რომ საქართველოს ნამდვილი და საბოლოო ხსნაც მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რომ შეერთებულის ძალით აღმოსავლეთის მაჰმადიანობის მძლავრობას ბოლო მოეღებოდა და ბიზანტიის საქრისტიანო სახელმწიფოს ბრწყინვალე დედაქალაქი და საქართველოსათვის დასავლეთისაკენ უახლოესი გზა კვლავ ქრისტიანთა ხელში გადავიდოდა და მაჰმადიანთა მძლავრობისგან თავისუფალი იქნებოდა.

საგულისხმოა, რომ კონსტანტინე მეფე ესპანიის დედოფლისადმი წარგზავნილს ზემომოყვანილს წერილში მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინეპოლზე გალაშქრებას ეხვეწება ესპანიის მბრძანებელს და საქართველოს მაჰმადიან მტარვალობისაგან დახსნაზე იქ არაფერია ნათქვამი. პაპი ალექსანდრე VI-ის 1496 წ. საპასუხო წერილითგანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფე რომის ეკლესიის მაღალს მწყემსთმთავარს ესპანიის მეფე-დედოფლის უსჯულოებზე ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა და თანაც სთხოვდა მათ კონსტანტინეპოლისა და იერუსალემის უსჯულოთა ხელითგან განთავისუფლებისათვის დასავლეთის ქრისტიანე სახელმწიფოებს თავისი ჯარითურთ გამოელაშქრათ [1].

---

[1] იხ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ისტ, კათ. 598—599.

„Accepimus, . literas tuas quibus summam erga nos ac sanctam sedem Apostolicam devotionem et reverentiam tuam quantumve reipublicae chsistianoe de victoria adversus infideles per clarissimos filios nostios Regem et Reginam Hispaniarum illustres potita gratulabaris... Intelleximus etiam... sententiam tuam in expeditionem adversus Jesu Christi fidei rebelles undique parandam et quantum ad hujusmodi salutaria coepta una cum filio tuo exercitus offerebas ad prophanata templa expianda et opressos populos in Christi libertatem vindicandos... Nihil est quod magis cupiamus... semperque invigilamus et supra vires enitimur ita principes hos christianos tenere pacatos, ut de Constantinopolitana et Jerosolimitana aliisque patriarchalibus sedibus recuperandis spes certa capiatur“.

კონსტანტინე მეფე თავის მხრით თავისი შვილითა და ჯარითურთ ამ ლაშქრობაში მხურვალე მონაწილეობის მიღებას ჰპირდებოდა.

## კონსტანტინე მეფისგან თავისი უმთავრესი მიზნის გამოუმჟღავნებლობის მიზეზი

უეჭველია და თავისდათავად ცხადი, რომ საქართველოს მეფესა და პოლიტიკოსებს უმთავრესად თავიანთ ქვეყნის უმწეო მდგომარეობითგანა და მტრის ხელითგან განთავისუფლების სურვილი ალაპარაკებდათ. მაშ რა მიზეზია, რომ იქ ფართო გეგმებზე-კი არის ლაპარაკი, საქართველოს მაჰმადიანთა მძლავრებისაგან განთავისუფლების შესახებ-კი ვედრება არ ჩანს. იქნებ ქართველ მმართველ წრეებს ესმოდათ, რომ კონსტანტინეპოლის ოსმალთა ხელთაგან გამოგლეჯა და აღმოსავლეთის მაჰმადიანთა დამარცხება იმავე დროს მათი სამშობლოს განთავისუფლების და აღორძინების მომასწავებელი იყო და ამიტომ საქართველოსთვის დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტად მიიჩნიეს? ან იქნებ იმიტომ სდუმდნენ ამის შესახებ, რომ კარგად იცოდნენ, რომ მარტო საქართველოს გულისათვის დასავლეთის ქრისტიანები თავს არ შეიწუხებდნენ და საქმე რომ ასე დაეყენებინათ, სრულებით ჩაიფუშებოდა? შესაძლებელია, მაგრამ დუმილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი უეჭველია პოლიტიკური სიფრთხილე უნდა ყოფილიყო და შიში, რომ ეს გარემოება შემთხვევით ქართველთა დაუძინებელ მტრებს უდროოდ არ გაეგოთ და შური არ ეძიათ. საფიქრებელია, რომ ამის მოხსენება უნდა ჰქონოდა დავალებული საქართველოს დესპანს პირადად და სიტყვიერად; სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის საიდუმლოება, რის დაწერაც ეპისტოლეში კონსტანტინე მეფემა და ქართველმა პოლიტიკოსებმა შეუძლებლად სცნეს.

## კონსტანტინე მეფის პიროვნების დამახასიათებელი გარემოებანი

ერთი გარემოებაა განსაკუთრებით საყურადღებო კონსტანტინე მეფის წერილში: ფართო საგარეო პოლიტიკის წარმოება საქართველოს მტრის მძლავრობისაგან განსათავისუფლებლად მხოლოდ მას მოსვლია ფიქრად, ეტყობა მართლაც მხოლოდ მას შესტკიოდა გული სრულიად საქართველოს კეთილდღეობისათვის. არც ათაბაგს, არც იმერეთის მეფეს, ან ბედიანს ამ გეგმაში მონაწილეობა არ მიუღიათ. დამახასიათებელია, რომ კონსტანტინე მეფეს არც ესპანიის დედოფლისადმი წარგზავნილს ეპისტოლეში და, როგორც პაპი ალექსანდრეს საპასუხო წერილითგან ჩანს, არც რომის ეკლესიის მწყემსმთავრისადმი მიმართულ მილოცვის წიგნში თავისი საკუთარი შვილის გარდა არც-ერთი სხვა ქართველი მეფე-მთავართაგანი მოკავშირედ, ან ლაშქრობის მოსალოდნელ მონაწილედ მაინც არ დაუსახელებია. ალბათ, მათ შორის ისეთი ქიშპობა და შეუთანხმებლობა იყო, რომ ასეთ საქმეშიაც-კი კონსტანტინეს მათი თანადგომის იმედი არა ჰქონია.

კონსტანტინე მეფის ზემოაღნიშნულ არა ერთ მაღალ სულიერ ღირსებასთან ერთად აღსანიშნავია ის გულუბრყვილობა და ესპანიის გეოგრა-

ფიული მდებარეობის და მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის სრული უცოდინარობა, რომელსაც იგი იჩენდა, როდესაც ის ესპანიის დედოფალს სთხოვდა თავის ჯარით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გამოელაშქრა!...

## დასავლეთ ევროპაში მოციქულობის უნაყოფობა

რა შედეგი მოჰყვა კონსტანტინე მეფის ეპისტოლეებსა და დესპანობას დასავლეთ ევროპის ქრისტიანე სახელმწიფოების წინაშე? იგივე რაც გიორგი მეფის დროს მოჰყვა. რა პასუხი შემოუთვალა ესპანიის ძლევამოსილმა დედოფალმა, არ ვიცით, რომის პაპს-კი ეშმაკის შეწუხება მოუხდა: მაჰმადიანთაგან დამონავებული ქრისტიანების განთავისუფლება ადვილად მოსახერხებელი იყო, მაგრამ ყოველი კეთილი რჩევის ძველმა მოწინააღმდეგე მტერმა (ე. ი. ეშმაკმა) უთანხმოების თესლი დათესა იმ მთავართა შორის, რომელნიც ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას გვპირდებოდნენო. საქართველოს მეფისთვის რომ გული არ გაეტეხა და არ აეცრუვებინა, პაპმა შემოუთვალა: მე მაინც იმედი მაქვს, რომ ჩამოვარდნილ უთანხმოებას ვძლევ და თქვენს წადილს ავასრულებო[1].

## მესხეთის ამბები. ქაიხოსრო ათაბაგი

უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ 1498 წ. ღრმა მოხუცებული ყუარყუარე ათაბაგი ჩიიცვალა. «შემდგომად მისა პირმშო ძე მისი ქაიხოსრო ეპატრონა ყოველსა საკელმწიფოსა მამისა მისისსა»[2]. ამ ქაიხოსროს პიროვნებისა და ათაბაგობის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შენახული. ქაიხოსრო ათაბაგის აღზრდილი ამბროსი მეტად აქებს თავის აღმზრდელს: ქაიხოსრო იყო «ღმრთის მსახური და ყოვლითურთ სრული საღმრთოჲთა და საკაცობოჲთა ზნეუკლები, გლახაკთა, ობოლთა და დაღონებულთა კელისა ამპყრობელი»[3]. მაგრამ ამგვარი დახასიათება მაშინ ჩვეულებრივი, გაზეპირებული ქება იყო და, ვითარცა გამზრდელისაგან ნათქვამი, დიდს არაფერს ჰნიშნავს თავისდათავად. ქაიხოსრო ათაბაგის შესახებ არც სხვა წყაროებს მოეპოვებათ რამე. თვით ვახუშტ ბატონიშვილსაც დაწვრილებითი ცნობები არ ჰქონია და მხოლოდ საზოგადოდ აღნიშნული აქვს, რომ «ჟამსა მისსა იწყეს კირთება აზრუმ-ტრაპეზონის ფაშათა საათაბაგოსი და ჰანეთისა და ამშვიდებდა ქაიხოსრო ათაბაგი მორჩილებისა პირსა ზედა და სძლობდა მარადის»-ო[4].

ცნობათა სიმცირე ქაიხოსრო ათაბაგის შესახებ, რასაკვირველია, იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ მისი გაზრდილის ამბროსის სიტყვით «ამა სოფლისა პატრონობასა ზედა არღარასა ხანისა დამყოფელი» ყოფილა და «სიტყუითა

---

[1] თამარაშვილის ისტ. კათ. 599.
[2] ათონის 1500 წ. ახლო ხანის ალაპი. იხ. ათონის კრებული, 266.
[3] იქვე.
[4] ვახუშტი, ისტორია., ჯიჯინაძე, 241.

ლუთისაჲთა ამა საწუთოჲთ საუკუნოჲდ მიიზიდა»[1]. მაშასადამე, ქაიხოსროს ათაბაგობა ხანმოკლე ყოფილა.

სამწუხაროდ, ქაიხოსროს გარდაცვალების თარიღი ამბროსის აღნიშნული არა აქვს[2]. ის იხსენიებს მხოლოდ «დღესა მიცვალებისა მისისსა» მაისის ექუსსა[3]. სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის სიტყვით «მ ო კ უ დ ა ქაიხოსრო ათაბაგი წ ლ ი ს ა ნგ (53) მაისსა ვ (6) ქს. ჩფბ (1502) ქრ. რჟ»[4]. ამავე ცნობას ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველი და მეორე გაგრძელებანიც იმეორებენ[5]. ყანჩაეთის ჟამნ-გულანში, წ˜ა ნიკოლოზის ქრონიკაში და წ. კ. ს № 252 ხელთნაწერში ნათქვამია: 1500 წ. «ქ˜კსა: რპჱ: აქა მიიცვალა ქრისტიანობისა ნათელი ქაიხოსრო ათაბაგი»-ო[6]. ქაიხოსროს გარდაცვალების ეს თარიღი, 1500 წ. ნამდვილი ჳნდა იყოს.

ქაიხოსროსა და მის ძმას მზეჭაბუკს შორის ძალიან კარგი დამოკიდებულება ყოფილა. ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსის სიტყვით მათ «ფრიადი სიყვარული აქუნდა ურთიერთას». ამიტომ არც გასაკვირველია, რომ მზეჭაბუკი ძმის დაკარგვით შეწუხებულიყო. ამავე ამბროსის თუ დავუჯერებთ, მთელ იქაურ მოსახლეობასაც ეს დანაკლისი მწვავედ უგრძვნია ისე, რომ «დიდი მწუხარებაჲ და გლოვა მოატყუა მამულსა სახლსა მისსა და უფროჲსლა ძმასა მისსა პატრონსა მზეჭაბუკს»-ო[7].

მაშინდელი წესისდა მიხედვით მზეჭაბუკმა თავის ახლად გარდაცვალებული ძმის ქაიხოსროს სულისათვის „დიდად იზრუნა“ და ამ მიზნით «უხუად მიჰფინა საკსენებელად სულისა მისისა-თჳს» როგორც საქართველოში „თჳსთა ქვეყანათაცა“, ისევე „უცხო ქვეყანათაცა“. მზეჭაბუკს ქაიხოსროს გაზრდილი ამბროსი სწორედ ამგვარი მინდობილობით გაუგზავნია «სრულიად საბერძნეთად, იჱრუსალიმს და სინასცა მრავლითა საქონლითა». ამბროსის დაუწყია სახსენებლისათვის შესაწირავის «გაცემა ტრაპიზონით კონსტანტინეპოლამდის», მოუვლია ათონის მთის ყველა მონასტრები, «სადაყუდებულონი და მესენაკენი» და ყველასთვის სალოცავად სასყიდელი მიუცია. ამბროსის უეჭველია გადაჭარბებული სიტყვით «სრულად ელადისა და მაკედონის თემსა მონასტერთა, მიტრაპოლიტთა, ეპისკოპოზთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყუსუფალთა», ერთი სიტყვით ყველაზე დიდძალი ქონება დაუხარჯავს ქაიხოსროს სულის შესანდობარისა და სახსენებლისათვის. მარტო ათონის ქართველთა მონასტრისათვის 25500 „ოთმანურისა“ საფასე შეუწირავს, ზოგი ოქროს,

---

[1] ათონის კრ. 266.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს ნათქვამი აქვს, ვითომც ათონის აღაპებში 1500 წ. ყოფილიყოს აღნიშნული (Канчаетский жам-гулани: СМОМПК XXIX გვ. 10), მაგრამ ეს შეცდომაა.

[3] ათონ. კრ., 267.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე. 241.

[5] დამატ. 904 და პარიზის ქრ., ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 6.

[6] იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს Канч. жам-гул. 10 და ქ˜ები II, 313.

[7] ათონის აღაპები, 266.

ზოგი ვერცხლის ფულად[1]. ამ უხვი ხელგაშლილობითგანა ჩანს, რომ მზეჭაბუკს თავისი ძმა ქაიხოსრო ათაბაგი მართლაც ძლიერად უნდა ჰყვარებოდა.

## მზეჭაბუკის გაბატონება მესხეთში და მისი ვინაობა

ქაიხოსროს გარდაცვალების შემდგომ მესხეთში, როგორც ეტყობა, მზეჭაბუკი გაბატონებულა. ბატონიშვილს ვახუშტს მზეჭაბუკი ქაიხოსროს შვილად და ათაბაგად მიუჩნევია. მას სახელდობრ ნათქვამი აქვს: «ქაიხოსროს შემდგომად დაჯდა ძე ამისა ათაბაგად მზეჭაბუკი»-ო[2]. მაგრამ დიდებულს ისტორიკოსს აქ ორი შეცდომა შეჰპარვია. თვით მზეჭაბუკის საკუთარი სიტყვები ცხად-ჰყოფენ, რომ იგი ქაიხოსროსი-კი არა, ყუარყუარეს შვილი იყო. „მე ძემან დიდისა პატრონისა ყუარყუარესმან პატრონმან მზეჭაბუკ“-მაო, ნათქვამი აქვს მას თავის თავზე სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძებს სიგელში[3]. ამასვე ადასტურებს მზეჭაბუკისაგან ათონს და სხვა სალოცავებში გაგზავნილისა და ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსის მიერ დაწერილი აღაპის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მზეჭაბუკი განსვენებული ქაიხოსროს ძმა იყო[4].

ვახუშტის მეორე შეცდომად ვგონებ მზეჭაბუკის ათაბაგობის შესახები ცნობა უნდა იყოს მიჩნეული. უკვე თ. ჟორდანიამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას, რომ გერასიმე კუმურდოელი თავის ქართლისა კათალიკოსისადმი 1500—1502. წ. მირთმეულს ფიცის წიგნში „პატრონად მზეჭაბუკს უწოდებს და არა, ათაბაგად, თუმცა ის იყო საათაბაგოს მმართველი. ცხადია, რომ გერასიმე მემკვიდრეობის წესით ათაბაგად ჰხადოდა ათაბაგის ქაიხოსროს შვილს ყუარყუარეს (თუმცა ის არ იჯდა ათაბაგად) და არა ქაიხოსროს ძმას მზეჭაბუკს, რომელიც ერთგული არ იყო მცხეთისა და მეფისა, როგორც ამას ცხადად ასაბუთებს ქვემოდაბეჭდილი მცხეთის სიგელი № 415[5]: ჩანს, რომ ქართლში კანონიერ ათაბაგად მიაჩნდათ ყვარყვარე IV“-ო, ამბობს თ. ჟორდანია[6].

თ. ჟორდანიას დაკვირვება გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნის შესახებ ყურადღების ღირსია. ის გარემოება, რომ გერასიმე მზეჭაბუკს მხოლოდ პატრონს უწოდებს და არა ათაბაგს, მართლაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მზეჭაბუკი არც უნდა ყოფილიყო ათაბაგად. მაგრამ ამ გარემოების განმარტება, რომლითაც თ. ჟორდანიას ამ საგულისხმო მოვლენის ახსნა უნდოდა, მცდარია. გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნითგან, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, არა ჩანს, რომ მზეჭაბუკს მაშინ მცხეთის საკათალიკოსო საყდართან, ან მეფესთან რაიმე მტრობა ჰქონოდა და ამის გამო

---

1 ათონის აღაპები, 266—267.
2 ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 241.
3 ისტ. საბ. II, 27.
4 ათონის აღაპები, 266.
5 დოროთეოს ანტიოქიის პატრიარქისაგან აღწერილი.
6 ქკბი II, 315 შენ. **.

არც შეიძლება ქართლში კანონიერ ათაბაგად ყუარყუარე მიეჩნიათ. ამასთანავე ყუარყუარეს ათაბაგად თვით იგივე გერასიმე კუმურდოელივე იხსენიებს და არა ქართლის მმართველი წრეები[1]. ამაზე უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვით ყუარყუარე ათაბაგიც ქაიხოსროს ძე, რომელიც თავის ათაბაგ-ამირსპასალარობას არ ივიწყებს, თავის ბიძას მზეჭაბუკს 1518 წ. სიგელში ათაბაგად არ იხსენიებს, არამედ მარტივად ნათქვამი აქვს «პატრონი ბიძა ჩემი»-ო[2]. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ მზეჭაბუკი ქართლში-კი არა, თვით მესხეთშივე არ ითვლებოდა ათაბაგად. მაგრამ საბუთებით სრული უეჭველობით მტკიცდება, რომ განსახღვრულს ხანაში მესხეთს სწორედ მზეჭაბუკი განაგებდა, თუმცა უკვე 1500—1502 წ. გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნში ათაბაგად ყუარყუარე იხსენიება. ამ უცნაური მოვლენის ნამდვილი მიზეზის გამორკვევა ამჟამად რასაკვირველია შეუძლებელია სრული უეჭველობით, მაგრამ იქნებ ეს გარემოება ყუარყუარეს ქვეყნის გამგეობისათვის უსრულასაკობით ყოფილიყო გამოწვეული მისი მამის ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების დროს, თუმცა გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნში ყუარყუარე ათაბაგის შვილნიც-კი იხსენიებიან. იქნებ მზეჭაბუკი მის სრულწლოვანობამდე ქვეყნის დროებით მმართველადა და ყუარყუარეს მზრუნველად ითვლებოდა?

## მზეჭაბუკის მოქმედების გეზი თავდაპირველად

ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით მზეჭაბუკი «დაეზავა მეფესა კოსტანტინეს», რომელსაც «პატივისცემდა და ისმენდა»-ო[3]. საითგან აქვს სახელოვანს ქართველ ისტორიკოსს ეს ცნობა ამოღებული, არა ჩანს. მხოლოდ ერთი დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ პირველად დაბეჭდილი საბუთი[4], რომელიც შემდეგ თ. ჟორდანიამ ხელმეორედ გამოსცა და თავის ქ˝კბის მეორე წიგნში ჩაურთო (გვ. 317—318), გვაფიქრებინებს, რომ კონსტანტინე მეფესთან მზეჭაბუკს, თუ ოდესმე მართლაც ზავი და სიყვარული, ან მისი პატივისცემა ჰქონდა, დაზავება მაინც ხანგრძლივი არ უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად მზეჭაბუკს, როგორც ეს გერასიმე კუმურდოელი მთავარეპისკოპოსის ფიცის წიგნითგანა ჩანს, მეფე კონსტანტინესა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან მართლაც კარგი თუ არა, წესიერი დამოკიდებულება მაინც ჰქონია. გერასიმე კუმურდოელი ქართლისა კათალიკოსის ევაგრეს წინაშე ამოწმებს, რომ როდესაც კუმურდოს საეპისკოპოსო საყდრის განთავისუფლების შემდგომ «პატრონმა მზეჭაბუკ შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და კელი მიბოძა», მაშინვე მცხეთაში «თქუენსა წინაშე საკურთხევლად გამოგუგზავნნა»-ო[5]. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მზეჭაბუკი თავის წინაპრებივით არ

---

[1] ქ˝კბი II, 315, გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნი.

[2] ქ˝კბი II, 3ɔ5.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, 241.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, 287. შენ.

[5] ქ˝კბი II, 315.

176/177

მოქცეულა, არამედ მცხეთის საკათალიკოსო ტახტის უზენაეს საეკლესიო უფლებებისა და სამცხე-საათაბაგოს სამწყსოების მასთან ხელქვეშეთი დამოკიდებულების დამცველი ყოფილა: თითონ მას გაუგზავნია საეპისკოპოსოდ არჩეული პირი საქართველოს კათალიკოსთან საკურთხევლად. მზეჭაბუკს რომ სდომებოდა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტის წინააღმდეგ ემოქმედა, საკურთხეველი ეპისკოპოსი აფხაზეთის კათალიკოზთან შეეძლო გაეგზავნა. ბაგრატ მეფისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის წყალობით ხომ აფხაზეთის კათალიკოსს მესხეთის ეკლესიაც უნდა დაჰმორჩილებოდა. ამისდა მიხედვით მზეჭაბუკის ამგვარს ნაბიჯს თავისი მოჩვენებით მაინც გამამართლებელი საფუძველი ექმნებოდა. და თუ მზეჭაბუკს თავის სამოქმედოდ ეს გზა არ აურჩევია, ეს მართლაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მისი თავდაპირველი გეზი წესიერი და მშვიდობიანი ყოფილა.

გერასიმე კუმურდოელს კურთხევის წინ ევაგრე კათალიკოსისათვის წერილობითი აღთქმა დაუდვია: «დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი»-ო. საქართველოს დედა-ეკლესიისა და საჭეთმპყრობელისადმი ერთგულებასა და მეფეთა მლოცველობას კუმურდოელი იმით ჰპირდებოდა გამოხატვას, რომ ფიცსა სდებდა «ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიკსენებდეთ»-ო[1]. რათგან გერასიმე თვით მზეჭაბუკისაგან იყო არჩეული კუმურდოელად და მისგანვე იყო მცხეთაში წარმოგზავნილი, მას ალბათ უნდა სცოდნოდა, რომ მისი ამგვარი აღთქმის წინააღმდეგ თვით მზეჭაბუკსაც არა ექნებოდა რა. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, საფიქრებელი ხდება, რომ მზეჭაბუკი როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა, ისევე მეფე კონსტანტინეს უზენაეს უფლებებსა სცნობდა. გერასიმე კუმურდოელის ფიცის წიგნი, თ. ჟორდანიას საფუძვლიანი საბუთიანობის მიხედვით, ვგონებ, 1500 — 1502 წ. უნდა იყოს დაწერილი[2], და ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ მზეჭაბუკი თავის მოღვაწეობის პირველ ხანებში მართლაც, ვახუშტისა არ იყოს, უფრო ზავის გუნებაზე უნდა ყოფილიყო.

## მზეჭაბუკისგან პოლიტიკური გეზის შეცვლა და განკერძოების გზაზე დადგომა

შემდეგ, როგორც ჩანს, მდგომარეობა სრულებით შეცვლილა და დამოკიდებულებაც ქართლის მეფისადმი მეტად უნდა გამწვავებულიყო. მზეჭაბუკსაც თავის მოქმედებისათვის სრულებით სხვა გეზი მიუცია. რა გარემოებამ და მიზეზმა გამოიწვია ასეთი ძლიერი ცვლილება, ჯერჯერობით საკმაო სიცხადით ვერ ირკვევა. მხოლოდ ქაიხოსროს ძესა და მზეჭაბუკის ძმისწულს ყუარყუარე ათაბაგ-ამირსპასალარს თავის 1518 წ. სიგელში აქვს აღნიშნული, რომ «პატრონი მეფე და პატრონი ბიძა ჩემი შემდურდეს და მან სამცხის საეპისკოპოსონი უკუიჭირნა»-ო[3], და ეს ცნობა ცხადჰყოფს, რომ

---

[1] ქ~ები II, 315.

[2] იქვე.

[3] იქვე, 335.

177/178

მეფე—მზეჭაბუკს შორის რაღაც მიზეზის გამო უსიამოვნება ჩამოვარდნილა და გადამტერებულან. მზეჭაბუკის მთელი მერმინდელი მოქმედებაც ამით ყოფილა ნაკარნახევი.

მზეჭაბუკის მტრობის შედეგი მკაფიოდ არის გამოხატული ერთს ფრიად დამახასიათებელ ძეგლში, რომელიც „ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა“ პატრიარქის დოროთეოსისაგან არის აღწერილი და როგორც უკვე აღნიშნული იყო ჯერ დ. ბაქრაძემ, შემდეგ თ. ჟორდანიამ დაბეჭდეს. თუ გერასიმე ჯუმურდოელი თავისს 1500—1502 წ. ფიცის წიგნში მზეჭაბუკს მარტივად მხოლოდ „პატრონს“ უწოდებდა, დოროთეოს პატრიარქი მას «დიდისა პატრონის მზეჭაბუკის» და თვით «დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფისა, პატრონისა მზეჭაბუკის» წოდებულებით ამკობდა[1]. მართალია, თვით მზეჭაბუკი თავის ამდროინდელს ან ოდნავ მერმინდელს სიგელშიც თავის თავს წინანდებურად მხოლოდ „პატრონს“ ეძახის[2], მაგრამ დოროთეოს პატრიარქისაგან ნახმარი ზემომოყვანილი წოდებულება რომ მარტო მისი მლიქვნელობით არ უნდა აიხსნებოდეს, ამას თვით მისივე გულუბრყვილობითა თუ განზრახ ნათქვამი სიტყვებიც ცხადჰყოფენ, რომ საბუთში აღნიშნულის «თქუმად“ ვიიძულენით... დიდისა პატრონის მზეჭაბუკის მიერ»-ო[3]. ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ დოროთეოს პატრიარქს მზეჭაბუკის გულისნადები კარგად უნდა სცოდნოდა და ამიტომ მზეჭაბუკის ზემომოყვანილი ბრწყინვალე, მეფური წოდებულებაც მისი გულის ზრახვებისა და მისწრაფების ალბათ უტყუარს გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. ამის გამო საფიქრებელი ხდება, რომ მას შემდგომ რაც მზეჭაბუკი მეფეს „შეემდურა“, მას უნდოდა ყველასთვის და სხვებზე მეტად, რასაკვირველია, მეფისათვის ეგრძნობინებინა, რომ მესხეთის ბატონი არამც თუ ქართლის მეფეს არაფრით ჩამოუვარდებოდა, არამედ სჯობდა კიდეც. იგი ნამდვილად „დიდი მეფე“ იყო და თანაც „ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფე“. იგი თავისი საბრძანებლის სრული ბატონ-პატრონი იყო, თანაც ჭეშმარიტი ქრისტიანე და ღვთისმოსავი ისე, რომ „დედის მუცლით ჩემითგან“ ღვთისმშობლისადმი „მოლტოლვილი“ ვიყავიო, გაიძახოდა თვით მზეჭაბუკი[4]. დოროთეოს ანტიოქიის პატრიარქიც მისდა საამებლად ამას კვერს უკრავდა და გაიძახოდა «მაგან ოდენ მხოლომან იყურჭუმ[ა] ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებისასა»-ო[5].

მართალია, მესხეთის სამწყსოები და ეკლესია-მონასტრები საქართველოს მწყემსთმთავარს, მცხეთის საკათალიკოსო საყდარს ექვემდებარეობოდნენ, მაგრამ ეს იყო და ეს მხოლოდ, რომ მზეჭაბუკსა და მის ქვეშევრდომთ აიძულებდა ქართლის კათალიკოს-პატრიარქის უზენაესობა უნებლიეთ გამოემჟღავნებინათ: საეპისკოპოსო პირები ხომ უეჭველად უნდა გაეგზავნა

[1] ქ^კბი II, 317.
[2] სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძები 1500—1516 წ.: ისტ. საბ. II, 28.
[3] ქ^კბი II, 317.
[4] სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძები სიგ.: ისტ. საბ. II, 27.
[5] ქ^კბი II, 317.

საკურთხევლად. ეს იყო რომ მზეჭაბუკის, ამ „დიდი მეფისა“ და „ყოვლისა აღმოსავლეთის კელმწიფის“, დამოუკიდებლობის შარავანდედს ჩრდილს აყენებდა. მაგრამ ბაგრატ მეფემ თავისი საქციელითა და მაგალითით მზეჭაბუკისთანა პატივმოყვარე ხალხს თუმც სათაკილო, მაგრამ ადვილი გზა უჩვენა თავისი საბრძანებელი მესხეთისათვის ამ მხრივაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მტრობით დაბრმავებულს მზეჭაბუკსაც სწორედ ეს გზა აურჩევია. თუმცა მზეჭაბუკს აფხაზეთის კათალიკოსთანაც შეეძლო საეპისკოპოსო პირები წარევლინა მით უმეტეს, რომ ბაგრატ მეფისა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის წყალობით მესხეთის სამწყსო სწორედ აფხაზეთისა და ლიხთიმერეთის კათალიკოსის ხელქვეშეთად უნდა ქცეულიყო. მაგრამ მზეჭაბუკს, როგორც ეტყობა, ეს არ მოუსურვებია. არც გასაკვირალია, მას, „დიდს მეფეს“ ეს არც შეჰშვენოდა: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ის იმიტომ ხომ არ ჩამოსცილდებოდა, რომ თავისი ეპისკოპოსები და მესხეთის სამწყსო აფხაზეთის კათალიკოსისათვის ეყმო და დაემორჩილებინა... მას სრული და ყოველმხრივი დამოუკიდებლობის მოპოება და ბატონობის გაფართოება სურდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მზეჭაბუკის ის „ყოველი ნება და წადილი“, რომლის აღსრულებასაც დოროთეოს პატრიარქი მას უსურვებდა[1].

## ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსის მოსვლა და მზეჭაბუკის ფართო გეგმა

მზეჭაბუკის საბედნიეროდ ანტიოქიის პატრიარქი კვლავ სწვევია საქართველოს. იყო თუ არა იგი აღმოსავლეთში, არა ჩანს, მესხეთს-კი სწვევია. ანტიოქიის პატრიარქებს საქართველოში სტუმრობა, როგორც ეტყობა, გაუტკბათ. ალბათ, უხვად დატვირთულები ბრუნდებოდნენ აქეთგან შინ, რომ უცხოქვეყნელი მიტროპოლიტ-პატრიარქები ჩვენი ქვეყნის ასეთი ხშირი სტუმრები გამხდარან: 50 — 60 წლის განმავლობაში საქართველოს სულ ცოტა სამი ამგვარად მოკალმასე პატრიარქ-მიტროპოლიტისათვის გაუვსია ჯიბეები. ეხლა მესხეთის ბატონს «წყალობითა ღვთისათა დოროთეოს პატრიარქი დიდისა ღ̃თისისა ქალაქისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა» მწყემსთ-მთავარი სწვევია. როგორც თვით დოროთეოს მესხეთის მკვიდრთათვის «ყოვლისა აღმოსავლეთისა» ეკლესიის მესაჭედ მოუჩვენებია თავი, ისევე არც პატივმოყვარე მზეჭაბუკისათვის დაუკლია წყალობა, არც მისთვის დაუშურვია «ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფობა».

დოროთეოს პატრიარქის გულახდილი განცხადებითგანა ჩანს, რომ მზეჭაბუკს მისი სტუმრობა თავის მიზნებისა და წადილის განსახორციელებლად გამოუყენებია და მძულვარების გრძნობაც ჩაუნერგავს თავის მტრად მიჩნეულ თანამოძმეებისადმი. დოროთეოს პატრიარქი ამბობს, რომ მზეჭაბუკს «ებრძანა აწყურის ღ̃თისმშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანაჲს რაჲ გარდაკდა და თუ რაბამნი სასწაულნი აღასრულნა

1 ქ̃კბი II, 317.

და [ნიშ]ნი სურვილითა და სიყუარულითა მისითა... და ჩუენიცა ებისკოპოზი ყოფილიყო მათ წინაშე სახელით გრიგოლ ებისკოპოზი ბოლოზნისა და მას თჳთ განეცადა ყოველი საქმე და თუალითა ეხილა და გულისჴმაჲ ეყო უსჯულოება მეფეთა და ერისა მათისა და პატრონისა მზექაბუკის ღ̃თისმოშიშებაჲ და მართლმადიდებლობაჲ და ღ̃თის მოყუარებაჲ»[1]. მაშ მზექაბუკი უმანკო მტრედი გამომდგარა, ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად მებრძოლნი ქართლის მეფე და კათალიკოს-პატრიარქი და ხალხი-კი „უსჯულო“ ყოფილან. განა ამის შემდგომ სამართლიანი არ უნდა ყოფილიყო ანტიოქიელი პატრიარქის ამ უსჯულოებისადმი მიმართული რისხვა და ლოცვა-კურთხევა მზექაბუკისათვის, რომ დოროთეოსს ეთქვა და ესურვა: «რომელთა იხილონ წუერი ჰოროლისა მისისა, თჳნიერ კუეთებისა ლტოლვილ იქმნენ ყოველნი წინააღმდგომნი პატიოსნისა და ღ̃თის მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პატრონისა მზექაბუკისაგან»-ო[2].

რასაკვირველია, ეს ყველაფერი დოროთეოს პატრიარქის პირადი შეთხზული არ იქმნებოდა, არამედ მზექაბუკისა და მის მომხრეთა ოცნება. თვით დოროთეოსს ეს გარემოება თავის ეპისტოლის და სიგელის მკითხველებისათვის არც დაუმალავს და პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ «ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდისა პატრონის მზექაბუკის მიერ»-ო[2].

ამის შემდგომ ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რაოდენად ფართოდ ჰქონია მზექაბუკს თავისი პოლიტიკური გეგმა განზრახული. მას ნდომებია, რომ «თჳნიერ ბრძოლისა» უბრძოლველად მოსცემოდა „ურჯულო“, ე. ი. ქართლის მეფის საბრძანებელი და მისი ჯარი უბრძოლველადვე «თჳნიერ კუეთებისა» გაქცეულიყო. ერთი სიტყვით მას ქართლის დაპყრობა-შემოერთება და, როგორც ეტყობა, მართლაც „დიდისა მეფისა“ სახელისა და წოდებულების მოხვეჭა ჰსურდა, გამეფებაც უნდოდა, რომ «სახელი მისი მზისა და მთვარისაებრ» ყოფილიყო დიდებული[4].

## მზეჭაბუკის გათამამების მიზეზი: გურიელის სამფლობელოს დასაკუთრება

უეჭველიეთ იბადება საკითხი, თუ რას შეეძლო ასე გაეთამამებინა მზექაბუკი, რომ ქართლის უბრძოლველად დაპყრობაზე გინდ მხოლოდ ოცნება დაეწყო. ბატონიშვილს ვახუშტს მოეპოვება ერთი ცნობა, რომელმაც იქნებ ამ საკითხს ასე თუ ისე ნათელი მოჰფინოს. მას ნათქვამი აქვს, რომ «მზექაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილების პირსა ზედა». ამით გამაგრებულმა

---

[1] 1500—16 წ. საბუთი: ქ̃კბი II, 317—318.

[2] ქ̃კბი II, 317.

[3] იქვე.

[4] იქვე.

«მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თვით»-ო[1].

საითგან აქვს ეს ცნობა ვახუშტს ამოღებული და რამდენად სწორი უნდა იყოს მზეჭაბუკის ოსმალებთან დაზავებისა და მორჩილების ამბავი, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მხოლოდ მოთხრობა მზეჭაბუკისაგან გურიელის სამფლობელოს დაპყრობა-დასაკუთრების შესახებ ვგონებ მართალი უნდა იყოს. ამას ცოტა არ იყოს თვით მზეჭაბუკის შემდეგი სიტყვებიც ადასტურებენ. სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძებ წყალობის წიგნში მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: აწყურის საყდრისათვის შემომიწირავს «დიდებული მონასტერი ზარზმა სრულად მისითა შესავლითა აგარაკ-სოფლიანითა და გლეხებითა რასცა მამულისა მქონებელი ყოფილა ზარზმა და დღესცა არის ანუ ქალაქად სადმე სახლობს მონასტრისა ყმა ანუ სოფლოანში[გ]ან»-ო. შემდეგ მზეჭაბუკს დამატებული აქვს: «შემომიწირავს და მომიკსენებია აჭარულითა და გურიულითა მამულითა»-ო[2].

მზეჭაბუკს იმ დროს რომ აჭარა და გურიის ნაწილი მაინც არ სჭეროდა, როგორ შეეძლო აწყურის საყდრისათვის შეეწირა ის, რაც მას არ ეკუთვნოდა და მის საბრძანებელში არ იყო? ხოლო თუ მზეჭაბუკი ზარზმის მონასტრის აჭარაში და გურიაში მდებარე მამულებსაც აწყურის საყდარს სწირავდა და აძლევდა, საფიქრებელი ხდება, რომ ამ დროს მას, ვახუშტ ბატონიშვილის თქმისა არ იყოს, გურიელის სამფლობელოს ნაწილი, აჭარა და თვით გურიის რომელიღაც კუთხე უნდა დაპყრობილი ჰქონოდა. თუ ჩვენი დასკვნა მცდარი არ არის, მაშინ მზეჭაბუკის გაკადნიერებისა და გადიდგულების ასახსნელად ეს გარემოებაც გამოდგებოდა. ბატონიშვილს ვახუშტს მზეჭაბუკისაგან აჭარა-ჭანეთის დაპყრობის ამბავი ოსმალთა 1512 წ. შემოსევამდე აქვს ნაგულისხმევი, მაგრამ არა ჩანს, თუ რამდენად უწინარეს უნდა მომხდარიყო.

## მესხეთის ეკლესიის გამოყოფა

ასე იყო თუ ისე, მართლა გურიელზე გამარჯვებამ გაუბრუა თავი მზეჭაბუკს და გააამპარტავნა, თუ სხვა მიზეზმა წააქეზა იგი, ეს-კი ცხადია, რაც მას მაინც კარგად ეცოდინებოდა, რომ მარტო ანტიოქიისა და გინდ „ყოვლისა აღმოსავლეთის“ პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და გამარჯვების წადილით ბევრს ვერაფერს გააკეთებდა. ამიტომ მან ჯერ თავისი საბრძანებლის სარწმუნოებრივადაც საქართველოს დედაეკლესიისაგან მოწყვეტა გადასწყვიტა, რომ ამ საშუალებით, ეკლესიებში საქართველოს კათალიკოსისა და მეფის ხსენების ამოკვეთით, საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის ეს გარეგნული, სიმბოლური გამოხატულებაც გამქრალიყო და მცხეთის საყდართან დამოკიდებულება მოსპობილიყო.

---

[1] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 241.

[2] ისტ. საბ. II, 27.

ამგვარი მიდრეკულება, როგორც დავრწმუნდით, მესხეთის მთავრებს წინათაც ეტყობოდათ, მაგრამ არც ერთს მათგანს ეს საქმე ბოლომდე არ მიუყვანია და მცდელობა დაუმთავრებელი რჩებოდა. მხეჭაბუკმა ეხლა ანტიოქიითგან სტუმრად მოსული პატრიარქის დახმარებით ამის უცილობლად განხორციელება გადასწყვიტა. ამისთვის აწყურის საეპისკოპოსო საყდრის „განმთავრება“ იყო საჭირო, რომ მესხეთის ყველა საეპისკოპოსოები მისი ხელქვეშეთი გამხდარიყვნენ, რომ მესხეთს თვითმწყსობის უფლება მოეპოვნა. მზეჭაბუკი თვითვე ამბობს: «ვინებე მეცა განდიდება და განმთავრება წმიდისა საყდრისა» აწყურისაო[1]. მაგრამ ეს არა კმაროდა, რათგან ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის თვითმწყსობა იყო აუცილებლად საჭირო. ამისთვისაც მზეჭაბუკს ღირსეული კანდიდატი ჰყავდა და მღვდელმთავართმთავრად სუიმონ მაწყუერლის დადგენა ჰქონდა განზრახული. ის, თუ არ ვცდებით, ჯაყელთა ოჯახში შეზრდილი ტრაპიზონელი ბერძენი უნდა ყოფილიყო. მისთვის, ვითარცა არა ქართველისა და უცხოელისათვის, საქართველოს მთლიანობაზე ზრუნვა და დედაეკლესიის ერთგულების გრძნობა გაუგებარი იყო და ასეთს პიროვნებას უფრო ადვილად შეეძლო მზეჭაბუკის უკუღმართი პოლიტიკურ-ეროვნული ზრახვების განხორციელება ეკისრა.

რაკი შესაფერისი კაცი აღმოჩნდა, ეხლა ამ გეგმის განხორციელებისათვის მხოლოდ უზენაესი მწყემსთმთავრის დასტური და ლოცვა-კურთხევა-ღა იყო საჭირო. მზეჭაბუკი ამას აფხაზეთის კათალიკოსისგან ვერ მიიღებდა. მაგრამ მას ამ საქმის გაკეთება უიმისოთაც შეეძლო ეხლა, როდესაც კალმასობისათვის მოსული ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი მასთან იყო სტუმრად. დოროთეოს პატრიარქი მოგვითხრობს კიდეც, რომ მზეჭაბუკ ათაბაგმა თავისი აზრი და გრძნობა, რომლითაც ის სჳმეონ მაწყვერელისადმი გამსჭვალული ყოფილა, „გულისკმა გვიყო“-ო, «ეგრეთვე მაწყვერელისა სიკეთე და ღ̃თის მოშიშება და მართლმადიდებლობაჲ და მეცნიერება და სჯულთა ღ̃თისათა კეთილად დაპყრობაჲ და დაცვა მცნებათა ღ̃თისათაჲ»-ო. ვითომც სწორედ „ამისთჳს“ და ვითომც «ვითარცა ჯერ იყო და სამართალ, მადლითა ღ̃თისათა ვინებეთ» და ამ მაწყუერელს «მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისი, რათა ებისკოპოსნი მისგან იკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა მორჩილებდენ და სჯულთა მისთა ერჩოდენ და მისგან იმწყესებოდენ და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევარნი მისნი წყეულ». ამ მაწყუერელისათვის «მიგვიცემიეს კელმწიფებაჲ შეკრვისა და განკსნისაჲ»-ო[2].

მზეჭაბუკის მიზანი მიღწეული იყო: მესხეთის საეპისკოპოსო პირებს მცხეთაში წასვლა და მეფე-კათალიკოსის ერთგულების აღთქმის დადება აღარ დასჭირდებოდათ. მესხეთს თვითმწყსობის უფლება ჰქონდა მიღებული,

---

[1] სუიმონ მაწყუერელისადმი ნაბოძები წყალობის წიგნი: ისტ. საბ. II, 27.

[2] 1500—16 წ. საბუთი: ქ̃კბი II, 318.

საქართველოს დედასაყდარსაც ჩამოშორებული იყო. ამ გზით მზეჭაბუკმა მესხეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ის კავშირიც გასწყვიტა, რომელიც ამ დაქსაქსულობისა და განკერძოების ჟამს ჩვენი ქვეყნის ერთობის გრძნობასა და ხსოვნას არ აქრობდა. პირადი პატივმოყვარეობითა და მტრული გრძნობით დაბრმავებულს მზეჭაბუკს ავიწყდებოდა, რომ ამით ქართველი ერის ისედაც მცირე ძალას უფრო ასუსტებდა და მტრის გაბატონებას საუკეთესო ნიადაგს უმზადებდა. იმ ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ძალის განმტკიცების მაგიერ, რომელსაც საქართველოს ეკლესიის მთლიანობა ჰქმნიდა და გარეშე უცხოთესლი და უცხოსჯული მტერთან ბრძოლას აადვილებდა, ქ˜ლ ეკლესიას სახელი გაუტეხა და დაქუცმაცებით მოზღვავებულ ოსმალებთანა და მაჰმადიანობასთან ბრძოლის უნარი მოაკლო. მართალია, მზეჭაბუკის საქციელის შედეგი მერმე მისმა ძმისწულმა მოსპო და ბიძისაგან მოწყობილი უკეთური საქმე გამოასწორა, მაგრამ შხამიანი თესლი ნიადაგში მაინც ჩაბნეულ იქმნა, და საძრახისი მაგალითი უკვე ნაჩვენები იყო. პირველსავე ხელსაყრელ პირობებში, გარეშე მტრის მძლავრებისა და კირთების ქვეშ ეს შხამიანი თესლი კვლავ აღმოცენდებოდა და მესხეთში მცხოვრებ ქართველობისათვის საბედისწერო შეიქმნებოდა,

# საქართველოს მდგომარეობა XV საუკუნის განმავლობაში

## საქართველოს განახლება თემურ-ლენგის განადგურების შემდგომ

XV საუკ. დამდეგს თემურ-ლენგის შემოსევამ საქართველოს მთავრობას უუძნელესი ამოცანა წამოუყენა. ქვეყანა საშინელს მდგომარეობაში იყო როგორც პოლიტიკურადა და კულტურულად, ისევე ზნეობრივადაც. არა ერთს მაშინდელს მოღვაწეს შეეძლო სასოწარკვეთილებით შეხედნა დანგრეულ და გადაბუგული ციხე-ქალაქებისა, მრავლად განადგურებული სოფლებისა და მხეცური ხოცვა-ჟლეტისაგან შეთხელებული მოსახლეობისათვის. მტრის მრისხანებისაგან მიფანტულ-მოფანტული ხალხი ზნეობრივადაც თავზარდაცემული იყო. ქვეყნის აშლილობის აუცილებელს თანამგზავრებს დაქსაქსულობასა და თემობრივი განკერძოებისადმი მიდრეკილებასაც უნდა ეჩინა თავი. ასეც იყო სწორედ.

მეფე ალექსანდრე დიდმა, როგორც დავრწმუნდით, გასაოცარი მხნეობითა და დაუღალავი მოღვაწეობით თავისი სამწუხაროდ ჯერეთ უცნობ თანამშრომლებითურთ XV საუკ. პირველ ნახევარში არამც-თუ დაშლილი და ტანჯული ქვეყანა კვლავ მოასულიერა, სახელმწიფოებრივი მანქანა აღადგინა, დაწიოკებული ხალხი თავის კერას დაუბრუნა და დააბინავა, არამედ დანგრეული საყდრებისა, ეკლესიებისა და ციხეების აღდგენაც განიზრახა. ამ დიადი საქმის განსახორციელებლად მან, ალბათ, საქართველოს საკანონმდებლო კრების დასტურით დროებითი საგანგებო გადასახადი შემოიღო და თუ ყველა ვერა, უმთავრესი ციხე-ქალაქებისა და შესანიშნავი ძეგლების აღდგენა მაინც მოახერხა. განადგურებულსა და გადაბუგულს საქართველოში, რომლის ყოველ კუთხესაც წინათ სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებდა, 24 წლის მედგარი მუშაობის წყალობით სიცოცხლისა და აღმაშენებლობის საამური ხმა გაისმა. განახლებული სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და სხვა ძეგლები ცოტად მაინც გვიჩვენებენ, თუ რაოდენი ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს ნიჭი და უ ნ ა რ ი გამოიჩინა მაშინ ქართველმა ერმა. ულუმბო-ნაზარტევის ეკლესიის კედლის მოხატულობას, რომელსაც თვით ამ დიდებული გვირგვინოსნისა და მისი თანამეცხედრის[1], ქუცნა ამირეჯიბისა და სხვა იმდროინდელ ისტორიულ პირთა სურათებიც ამშვენებდნენ, კარგად შეგვ-

---

[1] სამწუხაროდ, როდესაც მე ვნახე ეს მოხატულობა, ალექსანდრე მეფისა და მისი მეუღლის სურათს ზედა ნაწილი უკვე ჩამოცვივნული ჰქონდა.

ლია მაშინდელი ბერძნულ-ქართული მხატვრობის მაღალი ღირსება და თავისებური იერი წარმოგვიდგინოს, ხოლო ალექსანდრეს ბრძანებით მოჭედილი დიდი ოქროს ჯვარი წ͠ა გიორგის ცხოვრებისგან ამოღებული, ნაჭედი სურათებით შემკული, მაშინდელი ქართული ოქრომქანდაკებლობითი ხელოვნების ზეაღმატებული თვისებების საუცხოვო ნიმუშია.

## ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲣᲙᲣᲦᲛᲐ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ

ყველა ეს მაშინდელი საქართველოს აღორძინების ფრიად გამამხნევებელი მოვლენა იყო და ქვეყანა საფიქრებელი იყო სწრაფი ნაბიჯით განახლებისა და კვლავ გაძლიერების გზას უნდა დასდგომოდა, მაგრამ საქმეთა მერმინდელმა მიმდინარეობამ ეს იმედები არ გაამართლა.

## ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ამ დიად აღმაშენებლობით მუშაობას მაშინდელი ცხოვრების მხოლოდ სახელმწიფოებრივ-კულტურულისა და ნივთიერი მხარის გაუმჯობესება შეეძლო. ქართველი ერის ერთი მთავარი მაშინდელ უბედურებათაგანი თემურ-ლენგის დროს საქართველოს მრავალრიცხოვანი შვილების გაწყვეტა და მთელი სოფლებისა და ოჯახების ამოხოცვა იყო. ამის ანაზღაურება, ამ საშინელი დანაკლისის შევსება აღარავის ძალუძდა. ამან დააუძლურა ხანგრძლივ საქართველო პოლიტიკურ-კულტურულად და გაალარიბა ეკონომიურად. თემურ-ლენგისაგან მოყენებული ზიანი იმდენად დიდი იყო, რომ განადგურებული ქვეყნის წინანდებურად აღდგენა და დასახლება შეუძლებელი შეიქმნა. ყველა გაოხრებული სოფლების დასაშენებლად საქართველოში მცხოვრებნი აღარა კმაროდნენ იმიტომ, რომ მონღოლთა მრისხანე ხოცვა-ჟლეტის წყალობით ქართველობის რიცხვმაც ძალზე იკლო. მრავალი დანგრეული და გაუკაცრიელებული სოფელი ისევე ოხრად დარჩა და ჯერ ნასოფლარად იქცა, შემდეგ-კი ბალახითა და ტყითაც დაიბურა.

საქართველოს მოსახლეობის ასეთი საშინელი დანაკლისის შევსება მხოლოდ და მხოლოდ დროსა და ხელშემწყობ პირობებს, მყუდრო შინაურს ცხოვრებას და საგარეო პოლიტიკურ დამოუკიდებულებას შეეძლო, მაგრამ საქართველოს მშვიდობიანი ურთიერთობა არც მეზობლებთან ჰქონდა და არც შინაურობაში. უკვე ორმოციან წლებში, როგორც დავრწმუნდით ჯეჰან-შაჰის შემოსევას აღმოს. საქართველოს მყუდროება დაურღვევია. შემდეგ სამოციან წლებითგან მოყოლებული უზუნ-ჰასანის ორგზისს, მეტადრე 1477 წლის შემოსევას, აღმოს. საქართველოს თვისვე საგრძნობი ზა-

186/187

რალი უნდა მოეყვანებინა. ამასთანავე ამბროზიო კონტარინის სიტყვით 1475 წ. თბილისში და, რასაკვირველია, საქართველოს სხვა ადგილებშიაც შავი ჭირი ყოფილა მოდებული, რომელიც ძალიან ჰმუსრავდა თურმე ხალხს[1]. ამის წყალობით მცხოვრებთა რიცხვის ზრდით შენაძენი მოსახლეობის ნამატი კვლავ საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო.

## მაშინდელი საქართველოს უმთავრესი უბედურება შინაური ბრძოლა და განკერძოებისადმი მიდრეკილება იყო

XV საუკ. საქართველოს ცხოვრების უმთავრესს უბედურებას, ამ საუკუნის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში მაინც, იმდენად გარეშე მტერი არა, რამდენადაც შინაური, ძმათაშორისი ბრძოლა შეადგენდა. უეჭველია ამ საუკუნეში ჩვენი სამშობლო ამ შინაურმა ბრძოლამ უფრო დააუძლურა, ვიდრე გარეშე მტრის შემოსევამ, რომელიც ამ დროს შედარებით არც ხშირი ყოფილა და არც წინანდებურად გამანადგურებელი.

თუმცა ნაწილობრივ წინათაც, მაგრამ მეტადრე XV საუკ. მეორე ნახევარში, საქართველოს შინაური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენად უნდა ერთის მხრით საქართველოს თემობრივი განკერძოებისადმი მიდრეკილება და დანაწილებისათვის მცდელობა, მეორე მხრით ამ პროცესის საწინააღმდეგო და საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად წარმოებული ბრძოლა ჩაითვალოს. ამ ორგვარი ბრძოლის დასაწყისი, როგორც დავრწმუნდით, თვით ალექსანდრე დიდის ხანამდის აღწევს, თუმცა ზედმიწევნითი ცნობები ამის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

პოლიტიკური ისტორიის განხილვის დროს ამ ბრძოლის მიმდინარეობა და ხასიათი შეძლებისაებრ გადაშლილი იყო, და იქ დავრწმუნდით, რომ წინანდელი თეორიები სრულიადი საქართველოს სამეფოებადა და სამთავროებად დანაწილების შესახებ მცდარია და ნამდვილად მთლიანი სახელმწიფოებრივი სხეულის დაშლა თანდათანი, შედარებით ხანგრძლივი პროცესისა და ბრძოლის შედეგი ყოფილა. მონღოლთა ასწლოვანი ბატონობით გამოწვეულ კულტურული დაქვეითების ნიადაგზე აღმოცენებული და საქართველოს გეოგრაფიული პირობებით ხელშეწყობილი თემობრივი განკერძოებისადმი მისწრაფება თემურ-ლენგის მრისხანე შემოსევით გამოწვეული დაქსაქსულობით უფრო უნდა გაძლიერებულიყო. ალექსანდრე I ეს მოძრაობა თუმცა ალაგმა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მხოლოდ ნაწილობრივ. მისი სრული მოსპობისათვის ორი ხელისუფლება იბრძოდა: საერო და სასულიერო მთავრობა. თემური განკერძოების მომხრენიც თავის მხრივ მარტო სახელმწიფოს მთლიანობის დაშლა-დანაწილებისათვის-კი

[1] იხ. მოგზაურობა: მოამბე, 1894 წ. № XI, 60—61.

არ ილვწოდნენ, არამედ თვით ქართულ ეკლესიასაც-კი არ-ზოგავდნენ და მისი მთლიანობის დარღვევასაც არ მოჰრიდებიან.

საწუხაროდ, XV საუკ. წერილობითი ძეგლების სიმცირის გამო, მეტადრე იმდროინდელი საისტორიო თხზულებების, თვით მატიანეებისაც-კი უქონლობის გამო, ძალიან ცოტა რამ ვიცით იმ გამწვარებული ბრძოლის შესახებ, რომელიც მაშინ გაჩაღებული იყო საქართველოში მეფესა და მთავრებს შორის ჩვენი სახელმწიფოს განუყოფელობის შესანარჩუნებლად. რათგან ჩვენი ცნობები უმთავრესად კინკლოსებზეა დამყარებული, ჩვენ ამ ბრძოლის მხოლოდ ისეთ შემთხვევების შესახებ ვტყობილობთ ხოლმე ამბებს, იმასაც სულ მცირედ და მშრალად დაწერილს, როდესაც საქმე ომამდე და სისხლისღვრამდე მივიდოდა. ამის გამო ამ მნიშვნელოვანი პროცესის განვითარების მთლიანი სურათის სრულად აღდგენა შეუძლებელი ხდება და ჯერჯერობით მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვეხატება.

შედარებით უფრო უკეთესად შეიძლება აღდგენილი იყოს ამ ბრძოლის მეორე მხარე, როდესაც საქართველოს თემური განკერძოება-დამოუკიდებლობის მომხრენი და მებრძოლნი ქართული ეკლესიის მთლიანობის დარღვევასაც შეეცადნენ. მართალია აქაც მხოლოდ სამიოდე საბუთი გვაქვს, მაგრამ ისეთი, რომელიც ამ ბრძოლის შინაგან პროცესს გვისურათებს და თავისი შინაარსიანობით მრავალმეტყველია.

## საქართველოს კათალიკოსების პოლიტიკა

სრულიადი საქართველოს მთლიანობა-განუყოფელობისა და დანაწილების გარშემო ატეხილ ბრძოლაში საქართველოს საკათალიკოსო საყდრის მწყემსთმთავრები გადაჭრით მთლიანობისა და განუყოფელობის მომხრენი იყვნენ და მთელი თავიანთი ძალღონით სრულიად საქართველოს დანაწილებისა და ქვეყნის დაშლის მომხრეთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჩვენ უკვე განხილული გვქონდა ამ საბედისწერო ბრძოლის მონაწილეთა საბუთიანობა, თუ როგორი დაუნდობლობით ცდილობდნენ განკერძოების და თემობრივი დამოუკიდებლობის მომხრენი ქართველი ერის ერთობის სულიერ-კულტურული საფუძვლის შერყევასაც-კი[1], თუ როგორი კადნიერებით თავიანთ მიზნის მიღწევისათვის ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შელახვასა და დარღვევასაც-კი არ თაკილობდნენ. მეორე მხრით ჩვენ თვალწინ იმ მტკიცე და მედგარი პოლიტიკისა და წინააღმდეგობის სურათიც გადაიშალა, რომელსაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები მთელი თავიანი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი იარაღითა და გავლენით აწარმოებდნენ საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაშლის შემცდელთა და მათ მომხრეთა წინააღმდეგ.

---

[1] იხ. აქვე „საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დარღვევა“ და სხვა.

## ეკლესიის მთლიანობის სახელმწიფოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა და გაყოფის საბედისწერო შედეგი

სანამ ჯერ კიდევ ბრძოლა დამთავრებული არ იყო და საქართველო ჯერ სამეფო-სამთავროებად მთლად არ იყო დანაწილებული, კათალიკოსები სრულიადი, განუყოფელი საქართველოს შერჩენისათვის იბრძოდნენ და, როგორც დავრწმუნდით, განკერძოებისაკენ მიდრეკილ სამთავროების ეპისკოპოსებს საქართველოს მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის ერთგულების ფიცსა და აღთქმას ადებინებდნენ. როდესაც სრულიადი საქართველოს სამეფოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფისა და დაშლის თანდათანი პროცესი დაიწყო, ამ დროს საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა: ამიერითგან მხოლოდ ის და მისი საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქი-ღა იყო საქართველოსი და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველი. დედაეკლესიისაგან ჩამოშორება მაშინ იმ სულიერ სარწმუნოებრივ კავშირსა სწყვეტდა, რომელიც მხოლოდ-ღა აერთებდა დანარჩენ საქართველოსთან ამა თუ იმ პოლიტიკურად უკვე განკერძოებულს ნაწილს. მესხეთის გამაჰმადიანებას, საქართველოსაგან ჩამოშორებას და მისი უდიდესი ნაწილის გათურქებას უეჭველია სხვათა შორის ათაბაგთა მიერ მისი საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოსაშორებლად წარმოებულმა დაუნდობელმა ბრძოლამ და, რასაკვირველია, თვით გამოყოფამ შეუწყო ხელი. ერთი მხრით ამ გამწარებულმა ბრძოლამ ხალხის თვალში ეკლესიისა და ქრისტიანობის ავტორიტეტი შეასუსტა, მეორე მხრით მესხეთის სამღვდელოებას, დედაეკლესიას მოწყვეტილს და განმარტოებულს, მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის უნარიანობა დაუკარგა. ხოლო იქ, სადაც ქრისტიანობამ მაჰმადიანობას დაუთმო ასპარეზი, ქართველობის ეროვნული გადაგვარება და გათურქებაც დაიწყო. ამგვარად ცხადია, რომ მაშინდელ პირობებში ქართული ეკლესიის მთლიანობის დამცველი საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობისათვის მებრძოლი იყო და მისი დამრღვევი-კი ქართული ეროვნული საქმის დამღუპველი.

## ეპისკოპოსთათვის ერთგულება-მორჩილების ფიცის შემოღება

აღსანიშნავია, რომ მესხეთის მთავართან, ათაბაგთანა და ურჩი სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქედფიცხელი სამღვდელოების დასამორჩილებლად ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელის ხელთ მყოფი სჯულის კანონზე დამყარებული ხელისუფლება უკვე საკმარისი არ ყოფილა. მარტო ამ იარაღით მორჩილების დამყარება და წესიერი დამოკიდებულების აღდგენა შეუძლებელი გახდარა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იძულებული იყო საგანგებო საშუალებისათვის

შიემართა და ერთი მხრით ურჩთა შეჩვენება, მეორე მხრით საეპისკოპოსოდ კურთხევისათვის მცხეთაში ახალმოსულთათვის სრულიად საქართველოს დედაეკლესიის მორჩილების და ერთგულების ფიცისა და ხელწერილის წესი შემოეღო. მაშასადამე, ჩვენშიც დასავლეთ ევროპის საეკლესიო ისტორიითგან კარგად ცნობილი მოვლენის მსგავსი დაწესებულება და წესი შექმნილა და, როგორც რომის პაპები პირველად XI საუკუნეში და შემდეგ საუკუნეებში არაერთხელ იძულებული იყვნენ ეპისკოპოსთა ურჩობისაგან უზრუნველსაყოფელ საეპისკოპოსო კანდიდატებისათვის ეგრეთ წოდებული „Juramentum oboedientiae“ მორჩილების ფიცი (Gehorsamseid) შემოეღოთ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებსაც ამავე იარაღისათვის მიუმართავთ და თავიანთი სჯულისკანონზე დამყარებული უფლება ფიცსა და ხელშეკრულებაზე დამყარებული უფლებით გაუმაგრებიათ (იხ. ჩემი ჯერ დაუბეჭდავი „ქართული სამართლის ისტორია“ II წიგნი)[1].

## საქართველოს დაყოფის დამღუპველობა

უდავოა და ამ აზრის უარყოფა უეჭველია მაშინაც არავის შეეძლო, რომ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფა საქართველოსთვის პოლიტიკურად დამღუპველი, კულტურულად დამაქვეითებელი და დამაკნინებელი იყო. რასაკვირველია, იგი ქართველი ერისათვის ქონებრივადაც დამღუპველი იყო: ერთი მეფისა და სამეფო კარის, ერთი დარბაზის კართან მყოფ დაწესებულებათა და უმაღლეს მოხელეთა შენახვის მაგიერ მას სამი—ხუთი ერთგვარი დაწესებულებისა და ხელისუფალთა შენახვა უნდა ეკისრა. მართალია წინანდელი ბრწყინვალება ამ სამეფო-სამთავროებში აღარ იყო, მაგრამ ჯერ ერთი, ყოველს სახელმწიფოს თავისი აუცილებლად საჭირო აპარატი უნდა ჰქონოდა, და თანაც მეფე-მთავართა შორის გაჩაღებული მეტოქეობა-შეცილება არც ერთ მათგანის თავმოყვარეობას საშუალებას არ აძლევდა თავისი პატარა საბრძანებლის ხარჯები გონივრული მომჭირნეობით ვიწროდ შემოეფარგლა. ამის გამო არა ერთი უკვე ზედმეტი ხელისუფლის თანამდებობის მოსპობა ვერ ხერხდებოდა და ისედაც გაჭირვებულს ხალხს მძიმე ტვირთად აწვებოდა.

## საქართველოს მთლიანობის დარღვევის მიზეზები

მაშ რა მიზეზი იყო, რომ საქართველოს მთლიანობა მაინც დაირღვა და დანაწილებისადმი მისწრაფებამ გაიმარჯვა, თემობრივობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა?

---

[1] [დაიბეჭდა 1929 წელს: „ქართული სამართლის ისტორია II ხ“. რედ.]

190/191

## ᲗᲔᲛᲝᲑᲠᲘᲕᲝᲑᲐ

რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ამ ბრძოლის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში ქართველი ერის წიაღში არსებულს და ტომობრივ-გეოგრაფიული პირობების წყალობით ყოველთვის ძლიერს თემობრივ თავისებურობასა ჰქონდა. მონღოლთა ბატონობამ და თემურ-ლენგის შემოსევამ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ეს მოვლენა უფრო გააძლიერა. მაგრამ თემობრივი თავისებურება მხოლოდ მაშინ არის საშიში, თუ ამავე დროს ამ ერის სახელმწიფოებრივობა სუსტია და ერთობის გრძნობას და საზოგადოებრივობის ალღოს სჭარბობს. მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლებისა და ძლიერი ეროვნული თვითშემეცნებისათვის იგი სრულებით უვნებელია.

## ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲣᲡᲢᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲐ

ქართულ სახელმწიფოებრიეობას-კი წინანდელთან შედარებით უკვე XV საუკ. დამდეგითგან მოყოლებული ერთი არსებითი ცვლილება ეტყობა. მართალია, ალექსანდრე I, გიორგი მეფე და ბაგრატ მეფე თავიანთ თავს კვლავინდებურად მეფეთა-მეფეს უწოდებდნენ, მაგრამ ამ გაერთიანების ხანაშიაც მეფის წოდებულობაში სრულიადი საქართველოს ორად დაყოფილობის კვალი მაინც შენახული იყო და მეფეთ-მეფეები ვალადა რაცხდნენ თავიანთ თავს ორისავე სამეფოსა და ტახტის ლიხთიმერისა და ლიხთამერი საქართველოს გამაერთიანებლობა და სამეფოს უცილობლად მპყრობელობა მოეხსენებინათ ხოლმე. ამავე დროს მათს ხელისუფლებას შემცირებისა და შესუსტების ცხადი ნიშნები ატყვია. ამ მხრივ, რასაკვირველია, შემთხვევითი მოვლენა არ არის და, პირიქით, ფრიად დამახასიათებელია, რომ ალექსანდრე I-ითგან მოყოლებული სამეფო სიგლები წინანდებურად მარტო მეფის სახელით-კი აღარ იწერებოდა და მარტო მბოძებელი მეფის სახელდებას-კი არ შეიცავდა, არამედ მეფის თანამეცხედრე დედოფალთ-დედოფალი, მეფის ყველა შვილები და ძმებიც-კი იხსენიებოდნენ. ამგვარად, საბუთები მთელი სამეფო ოჯახის სახელით გამოდის დაწერილ-ნაბოძები[1].

ეს გარემოება, თუ ადამიანი ქართული სიგელთმცოდნეობის წინანდელ წესებს გაითვალისწინებს, ძლიერს შთაბეჭდილებას სტოვებს და საუცხოვოდ ჰვისურათებს მაშინდელი ჩვენი სახელმწიფოებრივობის ერთს დამღუპველ ნაკლთაგანს. ცხადად ეტყობა, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დროს მეფე უკვე ერთადერთი ბატონ-პატრონი აღარ ყოფილა: მის საქმეებში დედოფალიც, შვილები და ძმებიც იღებდნენ მონაწილეობას და ერეოდნენ. მეფე უკვე ისეთს მდგომარეობაში და პირობებში იმყოფებოდა, რომ ქალებისა და ოჯახის სხვა წევრთა სურვილისა და გავლენისათვის ანგარიში უნდა გაეწია, უნდა ცდილიყო, რომ მათი პატივმოყვარეობა შელახული არ ყოფილიყო. ამი-

---

[1] იხ. ამის შესახებ ჩემი გამოკვლევა „დიპლომატიკა ანუ სიგელთმცოდნეობა საზოგადოდ და მეტადრე ქართული“.

ტომვეა, რომ ყველას იხსენიებდა ხოლმე საბუთებში და სიგლებს ყველას სახელით აწერინებდა. რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობა მეფის ხელისუფლებისათვის და ჩვენი სახელმწიფოებრივობისათვის დამღუპველი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც.

## ამ მოვლენის დასაწყისი და მიზეზები

უეჭველია, ამ სამწუხარო მოვლენის დასაწყისი თუ არა, მიზეზები მაინც უფრო ადრინდელ ხანაში უნდა ვეძიოთ. იგი წარმოშობილი უნდა იყოს იმ ძველი წესის დარღვევის წყალობით, რომლის მიხედვითაც წინათ საქართველოს მეფეს თავისი ქვეშევრდომის ცოლად შერთვა არ შეეძლო და თავისი მეფური ღირსების თანასწორი, უცხოქვეყნელი თუ მეზობელი სახელმწიფოს სამეფო ოჯახის წევრი უნდა მოეყვანა თანამეცხედრედ. ეს წესი მეფის ცოლის ნათესაობას საშუალებას არ აძლევდა საქართველოს მეფის პოლიტიკასა და მოქმედებაზე რაიმე გავლენა მოეხდინა. ამასთანავე მაშინ შინაური ოჯახური პატივმოყვარეობის ნიადაგზე აღმოცენებული ინტრიგებიც უფრო ნაკლებ იყო შესაძლებელი და მოსალოდნელი.

პირველად ლაშა-გიორგიმ დაარღვია ქართული სახელმწიფო სამართლის ეს წესი და შემდეგ მონღოლთა ბატონობის ხანაში ქვეშევრდომთა ცოლად მოყვანა უკვე იშვიათს მოვლენას აღარ წარმოადგენდა. ამ გარემოებამ დედოფლის ნათესავები მეფეს დაუახლოვა და მათ გავლენა მოუპოვა. რასაკვირველია, ამას სხვა წოდებრივად თანასწორი წრეების უკმაყოფილება უნდა გამოეწვია და მეფის მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაეძნელებინა. მონღოლთა-დროინდელი ქართველთა ჟამთააღმწერელის სიტყვებითგან ვიცით მართლაც, რომ XIII საუკუნეში სამეფო კარზე მეფის თანამეცხედრეთა გავლენის წყალობით შუღლისა და მტრობის ქსელი ყოფილა გაბმული, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივობისათვის მეტად დამღუპველი გამოდგა. ამან ქართული სახელმწიფო სამართლის საფუძვლებიც-კი შეარყია. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მაშინ მეფის სახლობის ამნაირმა გავლენიანობამ ქართულ სიგელთა დაწერილობაში თავისი გამოხატულება მაინც ვერ ჰპოვა და იმდროინდელ მეფეთა სიგლებში საბუთის მბოძებელი მეფის გარდა არავინ იხსენიებოდა.

როგორც ჩანს, მეფის ოჯახის გავლენა XV საუკუნითგან უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო და სწორედ დედოფლის ნათესავთა პატივმოყვარეობის გამოხატულებას წარმოადგენს ქართული დიპლომატიკის წესების ზემოაღნიშნული ცვლილება სიგელთა სახელდებაში და მათი გავლენითვე უნდა ყოფილიყო წარმოშობილი: გუშინ სხვებსავით მხოლოდ ძოყმის ასულად ყოფილს, დღეს საქართველოს დედოფალთ-დედოფლად ქცეულს, ალბათ ჰსუროდა რომ მისი ასეთი აღზევება ყველას წინაშე და საბუთებშიაც აღბეჭდილი ყოფილიყო. წვრილმანმა ოჯახურმა პატივმოყვარეობამ და თავმომწონეობამ საქართველოს მეფის ტახტისაკენ გზა გაიკვლია და თავის დამღუპველი გავლენის ქვეშე მოქცევას ჰლამობდა. ცხადია, ასეთ პირობებში მეფეს მტკიცე ხელისუფლების

შექმნა ძალიან გაუჭირდებოდა და ძლიერი სახელმწიფოებრივობის გამოჭედვას, რაც ამ დროს საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა, ის უკვე ველარ მოახერხებდა. ყოველი ბატონიშვილი დედის ნათესავთა და საგვარეულოს ზეგავლენით, წაქეზებითა და თანადგომით, მეტადრე თუ იგი გამეფებული ძმის ღვიძლი ძმა-კი არა, არამედ სხვა დედის ნაშობი ნახევარძმა იყო, ასეთ პირობებში ადვილად შეიძლება ძმის წინააღმდეგ ტახტის მაძიებლად გამხდარიყო.

მეზობელ საქრისტიანო სამეფოების მოსპობამ ქართველ სამეფო სახლობის ასულთა მეზობელ მეფე-მთავრებზე გათხოვებაც შეუძლებელი გახადა. ასეთს პირობებში ისინი ან მეზობელ მაჰმადიან მბრძანებლებს უნდა გაჰყოლოდნენ ცოლად და მაშინ გამაჰმადიანების მოლოდინშიც ყოფილიყვნენ, ან თვით საქართველოში დარჩენილიყვნენ და თავიანთ ქვეშევრდომებზე, დიდებულებზე გათხოვილიყვნენ. როგორც პირველი, ისევე მეორე გზა არა ერთხელ ყოფილა ნაცადი, მაგრამ გამაჰმადიანების უნდომელობის გამო თანდათან მეფის ასულთა საქართველოშივე გათხოვება სულ უფრო და უფრო გახშირდა. თუ მეზობელ მაჰმადიან მბრძანებლებზე გათხოვება კეთილმოყვრობის წყალობით ხშირად საქართველოს მეზობლებთან ურთიერთობას აუმჯობესებდა, მეფის ასულთა შინაყრობაში გათხოვებას საქართველოს სახელმწიფოებრივობისათვის მაინც და მაინც კარგი შედეგი არ უნდა ჰქონოდა იმავე თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც საქართველოს დედოფლების დიდებულთა საგვარეულოებითგან აყვანა ჩვენი მაშინდელი სახელმწიფოებრივობისათვის საზიანო შეიქმნა. მეფის სახლობას და მეფეებს თავისივე ქვეშევრდომები სიძეებად უხდებოდნენ და ამით მეფის პოლიტიკასა და ბედიღბალზე გავლენიან უპასუხისგებო წრის შემადგენლობა, რასაკვირველია, ფართოვდებოდა. თანაც მეფესთან შესიძებულ ოჯახში მეფეთა ასულების მედიდურება შედიოდა და ქვეშევრდომთადმი მეფისაგან ერთგვარი, თანასწორი დამოკიდებულების შესაძლებლობას აფერხებდა. ამ ნიადაგზე შური და უკმაყოფილება დიდებულთა შორის ბუნებრივად უნდა წარმოშობილიყო და საქართველოს ისედაც გართულებული შინაური მდგომარეობა უფრო და უფრო უნდა გაეძნელებინა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელიცა და ვაზირები და დარბაისელნიც, როგორც მეფეთა მხრივ, ისევე მათ ასულთა გათხოვების დროს, უსწორო ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „უხვედრი“ ცოლქმრობის წინააღმდეგი იყვნენ და ამ მოვლენას კიდეც ებრძოდნენ. საშუალო საუკუნეებისათვის ჩვეულებრივი წოდებრიობის თვალსაზრისის გარდა, საფიქრებელია, რომ საქართველოს კათალიკოსებს, ვითარცა თავიანთი ქვეყნის მთლიანობისა და ძლიერებისათვის მებრძოლთ, ამ შემთხვევაში ის მავნებლობისა და ზიანის გათვალისწინებაც ალაპარაკებდათ, რომელიც ამ უხვედრ ქორწინებას ქართული სახელმწიფოებრივობისათვის მოჰქონდა.

ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ამგვარ სახელმწიფოებრივობაში და მეფეთა ხელისუფლების სისუსტის გამო თემობრივი განკერძოებისადმი მიდრეკილება, რაც უფრო დრო მიდიოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და საქართველოს მთლიანობისათვის უკვე სახიფათო შეიქმნა.

## კონსტანტინეპოლის ოსმალეთის დედაქალაქად გადაქცევის შედეგი საქართველოსთვის

ამ შინაური ყოფაცხოვრების პირობებით შემზადებულს ნიადაგს ერთზე საქართველოს გარეშე მომხდარმა მსოფლიო ისტორიულმა მოვლენამაც თავისი ძლიერი კვალი დააჩნია და ზემოაღნიშნული მისწრაფების განმტკიცებას თავის მხრივაც ხელი შეუწყო. ოსმალთა ძლევამოსილების შეუჩერებლივმა, სწრაფმა წარმატებამ მათ, როგორც ვიცით, ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოების სრული მოსპობა შეაძლებინა. 1453 წელი, დიდებული დედაქალაქის ბრწყინვალე კონსტანტინეპოლის თურქ-ოსმალთაგან აღების თარიღი, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბედიღბლის გადამწყვეტი შეიქმნა მრავალი საუკუნეების განმავლობაში მაინც. საქართველოსათვისაც იგი საბედისწერო გამოდგა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მაშინდელ ქართულ კინკლოსებს ეს ისტორიული მოვლენა გაკვრით აქვთ მხოლოდ მოხსენებული და თითქოს მისი დიადი მნიშვნელობის შეგნება არც-კი ემჩნევათ, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს მთავრობასა და მმართველ წრეებს, როგორც ეს გიორგი მეფეთ-მეფისა და მეტადრე კონსტანტინე მეფის ეპისტოლეებითგანა ჩანს, ოსმალთა ამ გამარჯვების საშინელი შედეგი საკმაოდ კარგად ჰქონიათ გათვალისწინებული. რაც დრო გადიოდა, ეს შეგნება უფრო და უფრო მკაფიო ხდებოდა და ამ გარემოებას კონსტანტინე მეფის ეპისტოლეს მთელი შინაარსიც საუცხოოდ ადასტურებს.

## დასავლეთის, ზღვის გზის შეკვრა, კულტურის ცენტრის დასავლეთ ევროპაში გადასვლა და მისი შედეგი

იმას გარდა, რომ ბიზანტიისა და ტრაპიზონის სამეფოების მოსპობის შემდგომ საქართველოს დასავლეთით ქრისტიან, თანაგმრძნობ სახელმწიფოს მაგიერ უკვე მტრულად განწყობილი მაჰმადიან-ოსმალთა ძლიერი სამფლობელო ეგულებოდა და ამის გამო ქართველობას აწიერითგან დასავლეთითგანაც მუდამ განსაცდელი და პირდაპირი საფრთხეც-კი მოელოდა, კულტურულადაც ეს ისტორიული მოვლენა ქართველი ერისათვის დიდი უბედურება იყო. ბიზანტიის დამხობითა და მისი გონებრივად დაქვეითებით საქართველოს ის საშუალებაც მოესპო, რომ დასავლეთ ევროპის კულტურული წარმატებისათვის თვალყური ედევნებინა და ცხოველმყოფელი განახლების, რენესანსის მოზიარე გამხდარიყო.

რაკი ამასთანავე გონებრივი და მხატვრული კულტურის ცენტრი საბერძნეთითგან და აღმოსავლეთითგან უკვე დასავლეთ ევროპაში გადავიდა და მაშინდელი განათლებული კაცობრიობის საერთაშორისო და საკულტურო ენად უკვე ლათინური იქცა, მხოლოდ დასავლეთ ევროპასთან პირდაპირი, უშუალო კავშირითა და ლათინური ენის შეთვისებით შეეძლოთ ქართველებს, რომ დაწინაურებულ კაცობრიობას არ ჩამორჩენოდნენ და თითონაც იმ მშვენიერი აღორძინების

195/196

მონაწილენიც გამხდარიყვნენ, რომელმაც დასავლეთ ევროპაში ჭაბუკური სიძლიერით იჩინა თავი და სწრაფი წარმატების გზაც გაუკაფა კაცობრიობას. საქართველოს-კი დასავლეთთან უშუალო კავშირის დაჭერის ყოველივე შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა: იქით კენ ზიმავალი გზა იმ ძლიერ ოსმალეთის მიერ იყო გადაღობილი, რომელიც ევროპისაგან მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ითვისებდა, გონებრივი და კულტურული წარმატებისათვის-კი გულისყური და ცოდნისმოყვარეობა დახშული ჰქონდა. ასეთ პირობებში მონღოლთა მიერ აკლებული და განადგურებული საქართველოსათვის კულტურული დაქვეითებისაგან თავის დაღწევა მეტად ძნელი იყო.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს მეფეები ოსმალთა კონსტანტინეპოლში გაბატონების შემდგომ რამდენჯერმე შეეცადნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან როგორმე კავშირი დაეჭირათ, რომ მათი დახმარებით მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთში და თავიანთ ქვეყანაში შექმნილი საზოგადო საშიში პოლიტიკური მდგომარეობა შეეცვალათ. უნდოდათ იმ საშინელი პირობებისათვის, იმ ალყაშემორტყმულობისათვის, რომელშიაც ოსმალთა ძლევამოსილებამ ქართველობა ჩააგდო, როგორმე დაეღწიათ თავი. თავ-თავის ადგილას ყოველი ამგვარი ცდის უნაყოფობა უკვე აღნიშნული გვქონდა.

## ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძველი

უიმედოდ სიცოცხლე, თუ მთლად შეუძლებელი არა, უხალისო ცხოველურ არსებობად იქცევა ხოლმე. ხოლო რამდენადაც უფრო ძლიერია იმედი, იმდენადვე უფრო ძლიერია ხოლმე ამ იმედების გაცრუებით გამოწვეული სასოწარკვეთილება. დიდი, სტიქიურის მსგავსი უბედურების, ან ძლიერი მტრისაგან დამარცხების შემდგომ ხსნისა და გამოსავლის უიმედობის გრძნობა და შიში ზოგჯერ დამარცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე. ასეთს მდგომარეობაში ადამიანის არსებაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალღო იღვიძებს და მაშინ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა საერთოსაზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრივობა და საზოგადო ინტერესი კერძოსა და პირადულს სულისკვეთებას უთმობს ბატონობას. სახელმწიფოს შემადგენელი ერთეული, თვით კერძო პიროვნებაც უპირველესად თავისი თავის, თავისი თემის, თავისი კუთხის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველობის მოვალეობის თავითგან მოცილებას სცდილობს. როგორც დაბალი ფიზიკური სხეული განსაცდელის დროს თავდაცვის მიზნით იკუმშება და თავის ქერქში ძვრება ხოლმე, ისევე სოციალურ სხეულს ემართება და რაკი სახელმწიფოსი და საერთო ძალის უკვე იმედგადაწყვეტილობაა ხოლმე გამეფებული, ასეთ პირობებში შეიძლება სახელმწიფოებრივობის დაქვეითებისა და დაშლის პროცესიც დაიწყოს.

## დაქვეითების პროცესი

ამ დაშლა-დანაწილებისადმი მისწრაფების დროს სახელმწიფოებრივობის განვითარების გზა თითქოს კვლავ განვლილი უნდა იყოს ხოლმე მხოლოდ უკუქცევითი მიმართულებით, იმავე საფეხურებზე თანდათანი ჩამოქვეითებით, რომელიც მას სახელმწიფოს შექმნის დროს ზეაღმავლობით განვლილი ჰქონდა. სახელმწიფო შემადგენელ ნაწილებად, წინანდელ სამეფოებად და თემებად იწყებს განკერძოებას: გავლენიან წრეებში და ხალხში თემობრივობისა და ტომობრივობის გაბატონებას ველარაფერი ელობება, თვით გაყრილი გვარიშვილებიც-კი თავიანთ საგვარეულოს იგონებენ და განსაცდელ-გაჭირვების წინააღმდეგ საერთო ძალით იწყებენ ბრძოლას: გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს და შესაძლებელია ასეთ პირობებში გვაროვნული წესწყობილებაც-კი აღდგეს. ასეთს დროს დღევანდელ, პირადს, გინდაც ნაწილობრივს, კეთილდღეობას რჩეობენ ხვალინდელისა ან მომავლისას და ივიწყებენ, რომ ყოველსავე გაჭირვებას თუ ძალმომრეობას თავისი დასასრული აქვს ხოლმე და ბოლოს და ბოლოს ერის ერთადერთი ხსნა ერთობა-განუყოფელობაშია და მტერი, თუ ცხოვრების დუხჭირი, მძიმე პირობები მათ ცალ-ცალკე უფრო ადვილად მოერევა, ვიდრე გაერთიანებულ-გაკაჟებულს.

რამდენადაც უფრო დიდი იყო თავზე დამტყდარი უბედურება და რამდენადაც უფრო ფართოდ იყო მოდებული ხალხში და ღრმად ჩამჯდარი განსაცდელით გამოწვეული უიმედობა და სასოწარკვეთილება, ამასთანავე რამდენადაც სუსტი იყო სახელმწიფოს ხელისუფლება და ძლიერი კულტურული დაქვეითება, იმდენად უფრო ადვილად და სწრაფად მიმდინარეობდა ხოლმე და მიმდინარეობს სახელმწიფოებრივობის დაშლის ზემოაღნიშნული პროცესი. სხვადასხვა ხელშემწყობ, თუ დამაბრკოლებელ, თანმდევ და მერმინდელ გარემოებებზე არის, რასაკვირველია, აგრეთვე დამოკიდებული, რომელ საფეხურამდე დაქვეითდება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი სახელმწიფოებრივობა. ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა, რადგან ეს ისტორიის ფილოსოფიის საკითხია, მით უმეტეს, რომ ჩემი „ისტორიის მიზანი“-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ.

აი რამ წარმოშვა სრულიადი საქართველოს სამეფოებადა და სამთავროებად დაყოფა და რამ შეუწყო ხელი ამ პროცესს. ამის გამო სრულებით შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ გამოყოფისათვის ატეხილი ბაგრატის აჯანყება და ყუარყუარე ათაბაგის ღალატი სწორედ გიორგი მეფის დროს დაიწყო და სწორედ მაშინ, როდესაც ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებთან მოკავშირეობით განზრახული შეერთებული ომის მოწყობის უიმედობა ცხადი შეიქმნა.

## მოსახლეობის შემცირების შედეგები საზოგადოდ და კერძოდ მეურნეობაში

ყველა ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა თავისი დაღი დაასვეს საქართველოს XV საუკ. ისტორიას, მეტადრე მის შინაურს ყოფა-ცხოვრებასა და კულტურულსა და ეკონომიურ მდგომარეობას. თემურ-ლენგის შემოსევის დროს მომხდარმა ხალხის ჟლეტამ, შემდეგ შინაურმა ბრძოლამ, ძმათაშორისმა სისხლის ღვრამ და შავმა ჭირმა საქართველოს მოსახლეობა, როგორც აღვნიშნეთ, საგრძნობლად შეამცირა. ასეთ პირობებში საქართველოს თავისი მიწა-წყლის წინანდებურად ინტენსიური დამუშავება აღარ შეეძლო და ბევრგან გაუკაცრიელებული ადგილები ისევ უკაცურადვე დარჩა. ამიტომაც არის, რომ ამ ხანის საბუთებში ქალაქისა, სოფლისა, ფუძისა, სახლისა და ვენახის გვერდით ჩნდება და ხშირადა გვხვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნავენახევი, პარტახი და სხვა ამის მსგავსი ტერმინები. ცხოვრების სინამდვილემ წარმოშვა ეს ქვეყნის გაოხრების მომასწავებელი სიტყვები, ურომლოთაც საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და მეურნეობის პირობათა დასურათება შეუძლებელი იყო. რაკი ინტენსიური მეურნეობის წარმოება ვეღარ ხერხდებოდა, სასოფლო მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობაც უნდა დაცემულიყო და მართლა დაეცა კიდეც.

## სასოფლო მეურნეობის დაქვეითება

დაქვეითება დასავლეთ საქართველოს უფრო ადრე და მეტად დაეტყო, ვიდრე აღმოსავლეთს; მაგ., მევენახეობა-მეღვინეობა სამეგრელოში უკვე იმდენად იყო დაცემული, რომ ადგილობრივი ღვინო დაბალხარისხოვანი დგებოდა და ტრაპიზონითგან შემოტანილს მეტოქეობას ვეღარ უწევდა. საფეიქრო ხელოვნებასა და ქსოვილებსაც ცხადი ჩამოქვეითება დამჩნევიათ: აქაური ქსოვილები თუმცა გაჰქონდათ უცხოეთში, მაგრამ მათი დაბალი ღირსების გამო წინანდებურზე გაცილებით ნაკლები. იმერეთსა და მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო მეურნეობა შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ აქაც სხვადასხვა სამეურნეო დარგებთან შედარებით მესაქონლეობა, ვითარცა უფრო ადვილი გასაძღოლი, უფრო ნაკლებ იყო დაქვეითებული.

## აღებმიცემობის დაცემა

დაცემული იყო, რასაკვირველია, ვაჭრობაც. ფული აღებმიცემობის დროს ქალაქებსა და სავაჭრო ცენტროებსა და გზებზე მახლობლად მდებარე ადგილებში ტრიალებდა, მოშორებით-კი უკვე იშვიათი სანახავი და სახმარებელი იყო: ვაჭრობა იქ სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლით წარმოებდა. საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც აღებ-მიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახადა.

## სრულიადი საქართველოს დაყოფის ეკონომიური შედეგი

საქართველოს შემადგენელ ნაწილებს, როგორც მაგ. მესხეთს და თვითისეთს თითქოს მოწყვეტილს თემსაც-კი როგორიც სვანეთი იყო, სრულიადი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაყოფის გამო გაჭირვება დაადგათ. ბუნებრივი პირობების გამო, ოროგრაფიულ თვისებათა წყალობით, მესხეთიცა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც, და სვანეთიც დანარჩენ საქართველოსთან იყო ეკონომიურად დაკავშირებული და ყველა ბუნებრივი სავაჭრო გზები მათ ქართლ-იმერეთისაკენ ჰქონდა და აქვს მიმართული. ამიტომ მესხეთის ჩამოშორებამ დანარჩენ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა შეასუსტა, ხოლო სვანეთივით მიყრუებულ კუთხესაც-კი როგორც თავის ადგილას სვან—ჯაფარიძე—კუჭაიძეთა მტრობის შესახები ცნობებითგან ცხადი შეიქმნა, უიმერეთ-გურიოთ და ქართლ-კახეთოთ ადამიანური ცხოვრება არ შეეძლო: სავაჭროდ, თუ სამუშაოდ და საჯამაგიროდ სწორედ აქ უნდა ჩამოსულიყვნენ. დაყოფის შემდგომ საქართველოს მეფე-მთავართა შორის ხშირი ურთიერთშორისი ბრძოლისა და მტრობის გამო ეს ბუნებრივი ეკონომიური კავშირი და ურთიერთობაც წამდაუწუმ სწყდებოდა და ჩვენი ქვეყნის წესიერ განვითარებას აფერხებდა, რაც ქონებრივად, რასაკვირველია, დამღუპველი იყო.

## კულტურული დაქვეითება

ასეთ პირობებში თითოეული თემი ხშირად უნებლიეთ თავის ქერქში უნდა მომწყვდეული ყოფილიყო და ვიწროდ შემოფარგლულს კულტურულ ცხოვრებასა და მეურნეობას უნდა შესჩვევოდა. ამას ჩვენი ერის მსოფლმხედველობაც უეჭველია უნდა დაეკნინებინა, ყოველი სამეფო-სამთავროს მკვიდრნი თანდათანობით მისი საკუთარი კუთხის ინტერესთა დამცველად გაეხადა და საერთო ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა გულშემატკივრობას გადაეჩვეინა. იმდროინდელი წერილობითი ძეგლებითგან ცხადადა ჩანს, რომ წერაკითხვის ცოდნაც უკვე საგრძნობლად დაქვეითებულა და ჩვენი ერის კულტურული დონე დაწეული იყო. დადუმდა ამ დროს მშვენიერი ქართული მხატვრული მწერლობაც და შემოქმედების კერაში ცეცხლი უკვე ძალზე იყო დაფერფლილი. წინათ ესოდენ მდიდარი და მაღალი ნიჭით მონაბერი ქართული საისტორიო მწერლობაც, რომელმაც XIV საუკუნეში ჯერ კიდევ შესძლო ჟამთააღმწერლისთანა შინაარსიანი მემატიანე წარმოეშვა, XV საუკ. ისე დაძაბუნდა, რომ საგვარეულო დღიურებისა და მშრალი კინკლოსების დონეს ვერ ასცილებოდა.

იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპის ერთა მსოფლმხედველობა ჰუმანიზმობისა და რენესანსის წყალობით ძველი ბერძნულ-ლათინური და არაბული მწერლობისა და კულტურის დაწაფებით თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა, სხვადასხვა სახელმწიფოში უნივერსიტეტები არსდებოდა და მეცნიერული კვლევა-ძიება განახლდა, მხატვრულმა მწერლობამაც ფრთების თავისუფლად გაშლა დაიწყო, იოჰან გუტენბერგისაგან ბეჭდვითი ხელოვნების მომპოვნელობით ადამიანის გონებრივი შემოქმედების აქამდე წარმოუდგენელი სისწრაფითა და სივრცით გავრცელება შესაძლებელი შეიქმნა, მარტინ ლუტერის

წყალობით სარწმუნოებრივი საკითხების მეცნიერული კვლევაძიება გაცხოველდა, დასასრულ ქრისტეფორე კოლუმბოსაგან ამერიკის აღმოჩენამ კაცობრიობას მანამდე უხილავი ქვეყნები, ხალხები და კულტურა, თანაც ახალი მიმოსვლისა და სავაჭრო გზები და მოღვაწეობის ასპარეზი მოუპოვა, ერთი სიტყვით, როდესაც დასავლეთი ჭაბუკური ხალისით წარმატების გზას დაადგა, ამ დროს დასავლეთისაკენ გზადახშული, მაგრამ დასავლეთთან კავშირის მოიმედე პატარა საქართველო მაშინდელ მახლობელ აღმოსავლეთთან ერთად დაწინაურების მაგიერ დაქვეითებისა და ჩამორჩენილობის გზაზე იყო დამდგარი და დამაღონებელს სანახაობას წარმოადგენდა.

## საქართველოს მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობა

ყველა ზემოაღნიშნულმა გარემოებამ და მიზეზებმა საქართველოს ქონებრივ კეთილდღეობასაც გარკვეული მიმდინარეობა შეუქმნა. პირველ ხანს, ალექსანდრე I-ისა და გიორგის მეფეთ-მეფობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობას თანდათანი გაუმჯობესება უნდა დასტყობოდა და დასტყობია კიდეც. ქვეყანამ 24 წლის განმავლობაში ჩვეულებრივს გარდა განსაკუთრებული აღმაშენებლობისათვის დანიშნული გადასახადის გამოღებაც შესძლო. გიორგი მეფე ფინანსიურად თავისთავს იმდენად კარგადა გრძნობდა, რომ მარტო ერთს თავის ასულს, ბიზანტიის კეისრის საცოლოდ დანიშნულს ყოველწლიურ სარგოდ 3000 ოქროს ფულს აძლევდა. შემდეგ-კი შინაური ბრძოლის ატეხისა და ქვეყნის აშლილობასთან ერთად საქართველოს კეთილდღეობასაც დაქვეითება დაეტყო. უკვე აჯანყების წყალობით გამეფებული ბაგრატის დროს 16000 დუკატის გამოღება სამძიმო ყოფილა. საქართველოს ყოფა-ცხოვრებას აშლილობისა და უწესრიგობის დაღი დაეტყო: გახშირებული ცარცვა-გლეჯა და მეკობრეობა ამისი შედეგი და დამამტკიცებელი იყო. ამიტომ თანდათან ქონებრივი გაჭირვება, რასაკვირველია, უფრო და უფრო უნდა გაძლიერებულიყო: ხალხს კულტურული დაქვეითება, გაღარიბება და დაგლახაკება უნდა დასჩნეოდა და დაეტყო კიდეც ცხადად.

ყველაზე ადრე ამგვარი მდგომარეობა უცხოეთში მდებარე ათონისა და პალესტინა-სინას მთის ქართულ მონასტრებსა და სავანეებს დამჩნევიათ. თუმცა მართალია უკვე XII საუკ. დამლევითგან მათ წინანდელი კულტურული მნიშვნელობა აღარა ჰქონდათ და ამის გამო უწინდელი ბრწყინვალება და მიმზიდველობა მოაკლდათ, მაგრამ ათონი და პალესტინა მაშინდელ მორწმუნეთათვის მაინც ძვირფასი იყო და მათი მოხილვა-მოლოცვის მონატრულიც ბევრი მოიძებნებოდა. ეს ამ მონასტრებს არსებობისათვის შემოსავლის უხვს წყაროს აძლევდა შემოწირულებათა სახით. ქვეყნის აშლილობითა და თურქთა-გაბატონებით გამოწვეულმა შორეული გზების საშიშროებამ ერთი მხრით, მეორე მხრით ხალხის გაღარიბებამ ათონსა და პალესტინაში წამსვლელთა რიცხვი წინანდელთან შედარებით ძალზე შეამცირა. თანაც მლოცველებსაც წინანდებურად დიდი ფულის თანწაღება და შეწირვა აღარ შეეძლოთ. ამის გამო მონასტრები გაჭირვებაში ჩაცვივდნენ და უსახსრობა დაეტყოთ. უფულობის გა-

მოისობით შენობების შეკეთებას ველარ ახერხებდნენ და ლამის თავზე დანგრეოდათ. მონასტრების XV საუკ. მეორე ნახევრითგან მოყოლებული სავაგლახო მდგომარეობის წარმოსადგენად ერთი ფრიად დამახასიათებელი ცნობაა შენახული. 1475 წ. სამცხითგან საბერძნეთს წარგზავნილი ქართველი მონაზონი აკაკი ათონის ქართველთა მონასტერში მისულა და მისი მდგომარეობის შესახებ შემდეგი საგულისხმო ამბავი აქვს მოთხრობილი: „განვიცადეთ ჩუენი ესე მონასტერი, რამეთუ ყოველთაგან უმეტეს დაგლახავებულიყო და ეკლესია ფრიად დაძუელებულიყო და სენაკები და ზღუდენი და პირღოსნი უმეტესნი დაქცეულიყვნენ და ფრიად უნუგეშინისცემოდ განსრულიყო და... ესევითარსა უპოვარებასა შინა“ იმყოფებოდათ[1].

რასაკვირველია, შენობების ამგვარი სავალალო მდგომარეობა და საზოგადო დაგლახაკება უცხოეთში მყოფ მონასტრებს უფრო ძლიერად უნდა დასტყობოდათ. საქართველოში ამგვარი დაგლახაკების პროცესი, იმ კუთხეებს გარდა, რომელნიც თემურ-ლენგის მხეცური შემოსევისა და მრისხანების ასპარეზად იქცა, ასე ძლიერად არ უნდა ყოფილიყო მოდებული. მაგრამ ზემომოყვანილი სურათი თვით საქართველოს მაშინდელი დაქვეითების ხასიათის გასათვალისწინებლად ერთგვარად მაინც გამოდგება: ასე ძლიერად-კი არა, მაგრამ ამისი მსგავსი მოვლენა თვით საქართველოშიაც, მეტადრე ცენტროს მოშორებულ ადგილებში სრულებით იშვიათი არ უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რასა და როგორ უნდა მოესპო და ემსხვერპლა არა ერთი მტრის განადგურებისაგან გადარჩენილი, ან დაზიანებული ქართული ხელოვნების ძეგლები.

საერთო გაჭირვების გამო უცხოეთში მყოფ მონასტრებს სამშობლოთგან დიდი შემოწირულება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში-ღა მოსდიოდათ, როდესაც გარდაცვლილი მეფისა თუ მთავრის სახლობის საყვარელი წევრის სულის მოსახსენებლად გამოიმეტებდნენ. ასეთი შემთხვევა, როგორც მაგ., 1475 წ. იყო, როდესაც ყუარყუარე ათაბაგმა თავისი უდროოდ გარდაცვლილი შვილის ბაჰადურის სულის მოსახსენებლად ათონის მონასტერს 20000 ოთმანურის ოქრო და ვერცხლის ფული, ფლური და თეთრი შესწირა, ან 1498 წ., როდესაც მზეჭაბუკმა იმავე სავანეს თავისი საყვარელი განსვენებული ძმის ქაიხოსრო ათაბაგის ხსოვნისათვის 25500 ოთმანურის ფლური და თეთრი გადასცა[2], ამ ხანაში უკვე ძალიან იშვიათი მოვლენა იყო ხოლმე.

## საქართველოს კათალიკოსების ეკონომიური პოლიტიკა

საქართველოს ეკლესია მონღოლთა ბატონობის დროს ქონებრივად იმდენად თვით მონღოლებისაგან არ დაზარალებულა, რამდენადაც საქართველოს მთავრობისავე პოლიტიკის წყალობით, ულუ-დავითისა და მწიგნობართ-უხუცესისა და ვაზირთა ყოველთა უპირველესის ბასილი უჯარმელისაგან სა-

---

[1] ბაჰადურის 1475 წ. ალაპი: ათონის კრებული 269.

[2] ათონის კრებული 268—269 და 266—267.

202/203

ეკლესიო მამულების ჩამორთმევისა და სხვებზე გადაცემის გამო. ამან საქართველოს მდიდარს ეკლესიას თავისი უძრავი ქონების დიდი ნაწილი დააკარგვინა. მონღოლთა ბატონობის დროს დატრიალებული ეკონომიური კატასტროფა იმდენად დიდი და სტიქიური იყო, რომ ამის გამოსწორება მაშინ შეუძლებელი შეიქმნა: გაღარიბებული საგვარეულოების წევრნი, რომელთაც მოტაცებული საეკლესიო მამულები ჩაუვარდათ ხელში, ამ მამულებს ვერას გზით ველარ დასთმობდნენ. XV საუკ. საქართველოს ეკლესიის მწყემსთ-თავრები საკათალიკოსო ტახტის მიმოფანტული მამულების კვლავ შეგროვებას შესდგომიან. თავიანთი გეგმის განსახორციელებლად მათ თავისებური სარწმუნოებრივ-ეკონომიური პოლიტიკის წარმოება დაუწყიათ და ამით მიზნისათვის კარგად მიუღწევიათ კიდეც.

ქართულმა საეკლესიო სამართალმა, რომის საეკლესიო სამართლის მსგავსად, რომელმაც ე. წ. ინდულგენცია ანუ ქონებრივი საზღაურის საშუალებით ცოდვათა მონანიება შემოიღო საშუალო საუკუნეებში, „სასჯულო და საკანონო საქმე“ და „ჯურუმის“ წესი შეიმუშავა. ამ წესისდა თანახმად კათალიკოსი დამნაშავეს „შეუნდობლობას“ უცხადებდა და „უზიარებლობით“ სჯიდა, სანამ ის თავის დანაშაულობას არ მოინანიებდა და ამისთვის ჯარიმად დადებულ ქონებრივ საზღაურს არ გადაიხდიდა.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელთ ეს წესი და დებულება თავიანთი ეკონომიური პოლიტიკისათვის, მოტაცებული მამულების უკან დასაბრუნებლად და შესაგროვებლად გამოუყენებიათ. ისინი ყოველი, მცირეოდენი ცოდვა-დანაშაულობითაც-კი სარგებლობდნენ და იმ პირთ, რომელთაც მოტაცებულ-მიბოძებული საეკლესიო მამულები ეჭირათ და დაჩემებული ჰქონდათ, მაშინვე სასჯულო და საკანონო საქმეს აუტეხდნენ და სასჯელად „შეუნდობლობას“ დაადებდნენ ხოლმე. ამ უზიარებლობითა თუ „გაწყრომით“ კათალიკოსები თავიანთ მიზანს აღწევდნენ ხოლმე და დამნაშავედ მიჩნეული და გაბმული პირი სასჯელისა და გაწყრომის თავითგან მოსაცილებლად ქონებრივ საზღაურს მიართმევდა ხოლმე. ამგვარ საზღაურად ყოველთვის ეკლესიის ზოგჯერ დიდიხნის მოტაცებულ-მითვისებული მამული იყო ხოლმე არჩეული. ამნაირი სარწმუნოებრივ-ეკონომიური პოლიტიკის წყალობით საქართველოს ეკლესიამ ნაწილობრივ მაინც თავისი უძრავი ქონება უკან დაიბრუნა. რადგან XIII საუკუნესთან შედარებით XV საუკ-ში მიწის სიმცირის მაგიერ ხალხის ნაკლებობა შეიქმნა საგრძნობი და მოსახლეობის გაწყვეტისა და შემცირების გამო პარტახტი ბლომად იყო, მემამულეები ამ დროს თავიანთ უძრავ ქონების მოვლას ველარ ასდიოდნენ და ნაწილობრივ დაუმუშავებელი რჩებოდათ. ამ გარემოებამ მიტაცებული მამულების უკან დაბრუნებას წინანდელი მტკივნეულობა დაუკარგა და საქართველოს კათალიკოსებს თავიანთი ეკონომიური გეგმისა და პოლიტიკის განხორციელება გაუადვილა[1].

---

[1] იხ. ამის შესახებ ჩვენს ჯერ დაუბეჭდავ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ II წიგნში.

## ფინანსური პოლიტიკა საქართველოში

მოსახლეობის შემცირებისა და სასოფლო მეურნეობა-აღებმიცემობის დაქვეითების გამო როგორც საქართველოს სახელმწიფოსი, ისევე კერძო პირებისა და მესაკუთრეების შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. ხარჯები-კი მთლად წინანდებურად თუ არა, მაინც ბლომად იყო გასაწევი. სრულიადი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, პირიქით ზოგიერთი ზედმეტი ხარჯებიც-კი გამოიწვია. კულტურული სახელმწიფოს დაქვეითებისა და დიდი ეკონომიური კრიზისების დროს ქონებრივი გაჭირვება ყოველთვის ქალაქებისა, ქალაქის მცხოვრებთა, მოხელეობისა და მსხვილი მესაკუთრეებისათვის არის ხოლმე უფრო მწვავედ საგრძნობი, სოფელი მას შედარებით უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ იტანს ხოლმე.

რაკი აუცილებლად საჭირო ხარჯების დასაფარავად ეკონომიურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში ჩვეულებრივი შემოსავალი აღარა კმაროდა და არც სახელმწიფოს-და ჰყოფნიდა და არც მემამულეებს, შემოსავლის რაიმე გზით გადიდებაზე ზრუნვა თავისდათავად უნდა დაბადებულიყო. ამის მისაღწევად ყოველთვის და ყოველგან უპირველესად ახალი გადასახადების შემოღებასა და ძველების ნორმის გადიდებას ეტანებიან ხოლმე. შესაძლებელია, რომ XV საუკ-ში საქართველოშიც ზოგიერთი ახალი გადასახადი შემოეღოთ. მაგრამ ეს საკითხი ჯერ სრულებით შესწავლილი არ არის. ესეც რომ დამტკიცდეს, განსაკუთრებული აქ არა იქმნებოდა რა. ქალაქებისა და ვაჭრობა-მრეწველობის დიდი დაქვეითების გამო, ქალაქსა და საბაჟო დაწესებულებებს შემოსავლის ახალი წყაროს მოცემა არ შეეძლო. ამიტომ ეს ახალი ტვირთი, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ისევ სოფელს დააწვა.

საინტერესოა ის ფინანსიური ღონეობა და ხერხი, რომელიც მაშინდელ საქართველოში ყოფილა ნახმარი. დამახასიათებელია, რომ XV საუკ. შუა წლებითგან მოყოლებული საბუთებში ერთი მხრით „პირველი საწყაო“ და საზომი იხსენიება, რომელიც იმავე დროს „ცოტა“, ესე იგი პატარა საზომი ყოფილა, მეორე მხრით ახალი, რომელიც დიდ კოკად, ლიტრად და კაბიწად, საზოგადოდ დიდ საზომად იწოდება. ამავე ძეგლებში საზომების გამოცვლა-გადიდებაზეა ლაპარაკი. ყველა ამ ცნობებითა მტკიცდება, რომ XV საუკ-ში წინანდელთან შედარებით საზომები გაუდიდებიათ და გამოუცვლიათ. ზედმიწევნითი გამოანგარიშება ცხადჰყოფს, რომ XVI საუკ. დამდეგისათვის, მაგ., მაშინდელი ლიტრა პირვანდელ ლიტრასთან შედარებით ექვსჯერ იყო უკვე გადიდებული.

საფიქრებელია, რომ საზომების გადიდება მაშინდელი ფინანსისტების ერთგვარი ოსტატური ხერხი უნდა ყოფილიყო შემოსავლის გასადიდებლად. მთელი ამ ღონეობის ცბიერება იმაში მდგომარეობდა, რომ გადასახადების ნორმები და გამოსაღებ-

ლის ოდენობის სახელ-რიცხვები ძველი და უცვლელი რჩებოდა, კანონი და გამოსაღებელის გარიგების წიგნები დაურღვეველი იყო, შემოსავალი-კი მეტი შემოვიდოდა და საგრძნობლადაც გადიდდებოდა, რადგან გადასახადები წინანდელი პატარა ლიტრისა, კაბიწისა და კოკის მაგიერ ახალი გადიდებული საზომებით უნდა გამოეღოთ.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ნორმების იგივეობისდა მიუხედავად გადასახადები საქართველოში საგრძნობლად გაუდიდებიათ. ამის სიმძიმეს მობეგრე, გადასახადების გამომღებელი ხალხი ამ ფინანსიურ-ეკონომიური ღონეობის ხერხიანობისდა მიუხედავად, რასაკვირველია, იგრძნობდა და შეუძლებელია ამას უკმაყოფილება და წინააღმდეგობა არ გამოეწვია. უეჭველია სწორედ ამ გარემოების მომასწავებელი უნდა იყოს ის, რომ ზოგიერთ საბუთებში ყმები მებატონეებს საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის პირობას ადებინებდნენ.

გადასახადების გადიდება მხოლოდ მაშინ შეიძლება შემოსავლის გასადიდებლად მიზანშეწონილ და საღ საშუალებად იქმნეს ცნობილი, როდესაც ამას ხალხის კეთილდღეობის უცილობელი გაუმჯობესება წინ უსწრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, რასაკვირველია, მეტი გაღარიბების მიზეზად შეიქმნება. ამის გამო უეჭველია საქართველოს მაშინდელ პირობებში გადასახადების ესოდენი გადიდება ჩვენი ერის ეკონომიური კეთილდღეობისათვის სახეირო არ უნდა ყოფილიყო და ხალხისა და მეურნეობის დაგლახაკებას უფრო გააძლიერებდა[1].

## საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა

საქართველოს პოლიტიკურს დაკნინებას, სამეფო-სამთავროებად დაყოფასაცა და ეკონომიურ დაქვეითებასაც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ჩვენი სახელმწიფოს სახელისა და პატივისცემისთვის, რასაკვირველია, ზიანი უნდა მიეყენებინა. მართლაც უკვე ცნობილს არაბ მწერალს შეჰაბედდინ ელ-კალკაშანდის († 1448 წ.) აქვს აღნიშნული, რომ XIV ს. მეორე ნახევრითგან და ცოტა უფრო ადრეც ქართველთა მეფეებისადმი წინანდელი ზეაღმატებული პატივისცემა შემცირდა. მათ უკვე ისეთი ძალზე შექებულ-შემკობილი წოდებულებით აღარა სწერდნენ, როგორც ეს უწინ და ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის დროს იყო მიღებული. ელ-კალკაშანდის დროს უკვე ამგვარი ჩამომცრობილი მომართვისა და მოსალმების წესი იხმარებოდა თურმე, როდესაც საქართველოს მეფეებსა სწერდნენ[2]. ამდენად მგრძნობიერი ყოფილა მაშინაც საერთაშორისო დამოკიდებულება ყოველგვარი პოლიტიკური ცვლილებისადმი, რომელიც-კი ამა თუ იმ სახელმწი-

---

[1] იხ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, II წ.

[2] იხ. ბარონ ვ. ტიზენჰაუზენის Заметка Элькалькашанди о Грузинах; ЗВОРАО I, 208—215.

ფოში ხდებოდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ XV საუკ-ში, მეტადრე მთლიანობის დარღვევისა და შინაური ბრძოლის გაჩაღების შემდგომ საქართველოს სახელი უფრო უნდა დაცემულიყო მით უმეტეს, რომ დასავლეთით მას უკვე ოსმალეთის ძლევამოსილი სახელმწიფო გაუჩნდა მეზობლად.

მაგრამ ამისდა მიუხედავად, რაკი ქართველები უშიშარ და მედგარ მეომრებად იყვნენ ცნობილნი და მათი ქვეყნის მტრისაგან ფეხებ ქვეშ გათელა ყოველთვის სამაგიეროს იწვევდა ხოლმე, სამხედრო ძალაც იმ დროისათვის საკმაო ჰქონდათ, მეზობლები საქართველოს, დაკნინება-დაქვეითებისდა მიუხედავად, მაინც ანგარიშს უწევდნენ და პატივსაცა სცემდნენ. ისეთ შორეულ ქვეყნებშიაც-კი, როგორიც ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ. იმდროინდელ ევროპიელ მოგზაურთაგან ვიცით, რომ ქართველები მაშინაც იერუსალიმში სალოცავად შესვლის დროს სხვებივით სულტანს გადასახადს-კი არ აძლევდნენ, არამედ თავისუფლად საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მჯდომარენი გაშლილ-გაფრიალებული ეროვნული დროშითურთ სრულებით თავისუფლად შედიოდნენ ხოლმე. თვით ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებსაცკი ქართველებისა ეშინიანთო [1].

XV საუკ-შიაც ქართველებს მაინც იმდენი გავლენა ქონდათ იერუსალიმსა და ეგვიპტეში, რომ როდესაც სომეხთა ეპისკოპოსს მარტიროსს უნდოდა ქართველ მონაზონთაგან გოლგოთა დაებრუნებინა, იმისდა მიუხედავად, რომ მისივე სიტყვით ამ საქმისათვის ეგვიპტეშიც-კი გამგზავრებულა რამდენჯერმე, ეგვიპტელი მოხელეებისათვის მირთმეულ საჩუქრებშიაც დიდძალი ფული დაუხარჯავს, მაინც ვერა გაურიგებია რა. ეგვიპტის სამეფო კარზე მას ბოლოს თურმე გულახდილად ურჩიეს გოლგოთას სამუდამოდ გამოსთხოვებოდა და ქართველებთან შეცილებისათვის ისევ თავი დაენებებინა იმიტომ, რომ ქართველ ბერებს ზურგს მათი მეფე უმაგრებს, რომელიც ძღვენს გარდა ჩვენ შეგვპირდა, რომ თავის სამეფოში მაჰმადიანებს არ შეავიწროებსო.

ეგვიპტის მამლუკების ბრძანებით ქართველ მლოცავთა დასაცავად და უზრუნველყოფისათვის ქართველთა ჯვარის მონასტერთან ყოველთვის საგანგებო მოხელე არაბი იმყოფებოდა ხოლმე, რომელიც მოვალე იყო ქართველ მლოცავებს ალაბშივე (ალეპოში) დაჰხვედროდა, იერუსალემამდის გაჰყოლოდა და ამგვარადვე გამოეცილებინა ისინი, როდესაც უკან დაბრუნდებოდნენ. ამის შესახები ბრძანების თვით არაბული დედანიც-კი არის შენახული [2].

---

[1] „Georgiani isti quando Hierosolymam eunt peregrinatum, Sultano tributum non solvunt, sed in camelis, dromedariis et equis pompatricis venientes, erectis vexillis Hierosolymam ingrediuntur. . Sultanus ac Turca eos valde timent". Bartolomaei de Salignaco Itinerarium Hierosolymitanum an. 1522 t. VIII. (ამჟამად თვით ამ თხზულების ხელთუქონლობის გამო მ. თამარაშვილის ამონაწერის მიხედვით მომყავს).

[2] იხ. ნ. მარის Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме Сообщ. Прав. Палестинского Общ. т. XIV, ч. II, 50—51.

ზემომოყვანილი ცნობებითგან ცხადი ხდება, რომ დაკნინებისა და დაქვეითებისდა მიუხედავად საქართველოს საერთაშორისო დამოკიდებულებასა და მეზობლობაში სახელი და მნიშვნელობა თუმცა შემცირებით მაგრამ მაინც შენარჩუნებული ჰქონდა და მას ანგარიშს უწევდნენ შორეულ ქვეყნებშიაც-კიეს გარემოება ამტკიცებს, რომ განუყოფელად დაცული საქართველო უეჭველია უფრო მოსაკრძალავი იქმნებოდა და რომ ჩვენი ქვეყნის უკულმართობის მიზეზი XV საუკუნეში იმდენად გარეშე მტერი აღარ იყო, რამდენადაც შინაური ბრძოლა-დაქსაქსულობა და განკერძოება.

ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური ისტორიის განხილვა ამჟღავნებს ამასთანავე, რომ მთლიანობის მოსპობისა და დაყოფის შემდგომაც სრულიადი საქართველოს დედააზრი არ გამქრალა, არამედ მაინც არსებობდა: მას მხურვალე მომხრე-მებრძოლნიც ჰყავდა, წინანდელი სახელმწიფოებრივი მდგომარეობის აღსადგენადაც მცდელობა არა ერთხელ და სხვადასხვა გზით ყოფილა მოწყობილი. ამგვარს მდგომარეობაში იყო საქართველო XV საუკ.-და ასეთი, მრავალი ნაკლით დატვირთული მემკვიდრეობა გადასცა მან XVI საუკ. ქართველობას.

# საძიებელნი*

## I

## ამბების ქრონოლოგიური სია

1390 წ. (დაახლოებით) ალექსანდრე მეფის დაბადება 11
1411 წ. კონსტანტინე მეფის და მისი ლაშქრის ყარა-იუსუფის მიერ ტყვედ წაყვანა და დახოცვა 21
1412 წ. 20 თებ.—21 მარტი ქრონ. 100, ალექსანდრე დიდის გამეფება 9
1414 წ. მამია დადიანის მკვლელობა და მისი ძის ლიპარიტის სამეგრელოს მთავრად დაჯდომა 23
1414—15 წ. ალექსანდრე მეფის მიერ ივანე ათაბაგის დამარცხება და ტყვედ ჩაგდება 23—24
1414—15 წ. ალექსანდრე მეფის მიე თამარის ცოლად შერთვა 20
1416 წ. თურქთა მიერ ახალციხის ამოგდება 24
1417—19 წ. ალექსანდრე მეფის ძის დავითის შემონაზონება 17
1425 წ. ალექსანდრე მეფის მიერ საქართველოს ერთობლივი განახლების მუშაობის დაწყება 31
1431 წ. ალექსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლის განახლების დამთავრება 23
1431 წ. ალექსანდრე მეფის მიერ ლორის აღება 25
1434—35 წ. (დაახლოებით) ბეშქენ ორბელიანის მიერ სივნიეთის და მახლობელი ადგილების შემოერთება 27
1435 წ. (დაახლ.) ბაგრატ მეფის დაბადება 105
1438 წ. ბეშქენ ორბელიანის მოწამლვა 28
1439 წ. მეფე ალექსანდრეს ავადმყოფობა 33
1440 წ. ალექსანდრე მეფის მიერ საგანგებო გადასახადის ამოკვეთა 32
1440 წ. თავრიზის მეფის ჯეჰან-შაჰის შემოსევა (თ. მეწობელის ცნობა) 34
1442 წ. ალექსანდრე მეფის შემონაზონება 35—36
1442 წ. ვახტანგ ალექსანდრეს ძის გამეფება 38
1444 წ. ჯეჰან-შაჰის შემოსევა 35, 38, 39
1446 წ. ვახტანგ მეფის გარდაცვალება 38
1446 წ. ალექსანდრეს ძის გიორგის გამეფება 42
1447 წ. ბრძოლა აღბუღა ათაბაგსა და ყუარყუარეს შუა 47

---

*) [„საძიებლები“ იბეჭდება იმავე სახით, როგორც პირველ გამოცემაშია; გვერდებიც აღნიშნულია ძველი გამოცემისა. ძველი გამოცემის გვერდები ახალ გამოცემაშიც არის აღნიშნული ყოველი გვერდის შიგნითა კუთხეში. რედ.]

1449 წ. უზუნ-ჰასანის მიერ თეთრბატკნიანთა ტომების შეერთება 60

1451 წ. ბიზანტიის კეისრის კონსტანტინეს მიერ კარისკაც ფრანძესის გამოგზავნა საცოლოს ამოსარჩევად 44

1451 წ. ჯეჰან-შაჰის მიერ სპარსეთის დაპყრობა 60

1451 წ. და 1457 წ. უზუნ-ჰასანის შესევა შავბატკნიანთა სამფლობელოში 60

1452 წ. ალექსანდრე მეფის ძის დიმიტრის გარდაცვალება 37

1452 წ. ჯეჰან-შაჰის მიერ ფარსის დაპყრობა 60

1453 წ. 29 მაისი კონსტანტინეპოლის აღება თურქ-ოსმალების მიერ 61, 194

1454 წ. ყუარყუარე ათაბაგის ძის ბაჰადურის დაბადება 116

1454—1456 წ. მეფე გიორგი ალექსანდრეს ძის მიერ ნესტან-დარეჯანის ცოლად შერთვა 44

1459 წ. საქართველოს მეფე-მთავრების შორის ზავის ჩამოგდება და ხელშეკრულების დადება 66

1460 წ. საქართველოს ელჩების ევროპაში მისვლა 67, 75

1461 წ. ქართველი დესპანების საფრანგეთში მისვლა 76

1461 ან 62 წ. უზუნ-ჰასანის შემოსევა საქართველოში და ლორის დაპყრობა

1462 ან 63 წ. ჩიხორის ბრძოლა 84—85

1465 წ. გიორგი მეფის მიერ თავისი ასულის ცოლად მიცემა ერისთავ ვამიყ შაბურის ძისათვის 46

1465—66 წ. ბაგრატ გიორგის ძის გამეფება ქართლში 100—101

1465—66 წ. ყუარყუარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის ტყვედ წაყვანა 92, 100

1471 წ. ოსმალთა მიერ ყარამანის დაპყრობა. უზუნ-ჰასანის ოსმალეთში შესევა 107

1472 წ. ოსმალების მიერ უზუნ-ჰასანის ლაშქრის კერელუს ტბასთან დამარცხება 107

1473 წ. სულტან მუჰამედის მცირე აზიაში გადმოსვლა 107

1474—75 წ. ბედიანი შამადავლას გარდაცვალება 112

1475 წ. არეულობა სამეგრელოში 111

1475 წ. ყუარყუარე ათაბაგის ძის ბაჰადურის გარდაცვალება 116

1475 წ. შავი ჭირი თბილისში 186

1476 წ. გიორგი მეფის სიკვდილი 97

1476 წ. ალექსანდრე გიორგის ძის კახეთში გამეფება 96, 139

1477 წ. უზუნ-ჰასანის საქართველოში შემოსევა 126

1478 წ. კონსტანტინე დიმიტრის ძის გამეფება 133

1478 წ. უზუნ-ჰასანის გარდაცვალება 132

1479 წ. კონსტანტინე დიმიტრის ძის იმერეთში გაბატონება 140

1483 წ. კონსტანტინე მეფის და ყუარყუარე ათაბაგის არადეთთან შებრძოლება 143

1484 წ. ალექსანდრე ბაგრატ მეფის ძის იმერეთში გამეფება 141, 151
1485—86 წ. იაყუბ-ყაენის ალმოს. საქართველოში შემოსევა 153—154
1487 წ. კონსტანტინე მეფის მიერ ქუთაისის მეორედ დაპყრობა 152
1488 წ. იაყუბ-ყაენის მეორეგზისი შემოსევა 157
1488—89 წ. ალექსანდრე ბაგრატის ძის მიერ ქუთაისის კვლავ ალება 153
1491 წ. ყუარყუარე ათაბაგის მეუღლის დედისიმედის გარდაცვალება 115
1492 წ. არაბების ესპანიითგან განდევნა 165
1492—96 წლებს შუა კონსტანტინე მეფის მიერ ეგვიპტის სულტანთან დესპანის გაგზავნა 163
1493—95 წ. კონსტანტინე მეფის მიერ ესპანიის დედოფალ იზაბელასადმი ეპისტოლეს გაგზავნა 166—67
1495 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის ძის ბაგრატის დაბადება 142
1498 წ. ყუარყუარე ათაბაგის სიკვდილი 113—4, 172
1500 წ. ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალება 145, 173

## II

## ამ წიგნში განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლები და გამოკვლევანი[1]

Aenea Sylvius, Pii II Pontif. Epist. lib. I
489 66
852 67
ათაბაგის ჩივილი უცნობი პირისადმი მიწერილი ქკბი II
302—303 57
ანჯიოლელლო მარია, Breve narratione della vita et fatti del signor Ussuncassano. გამოც. რამუზიოსი—Navigationi et viaggi II
70 107, 126, 131
ალაპები, ათონის კრებული 256 69, 114, 173, 174
265—66 113
269 114, 115
269 115, 116, 156
267 173
ალაპების ნუსხა ქუცნა ამირეჯიბისა ქკბი II
208—12 13, 14, 15, 25

---

[1] ციფრების პირველი წყება სათანადო ძეგლის გამოცემის გვერდს აღნიშნავს, ხოლო მეორე — „ქართველი ერის ისტორიის" IV წ. I ნაწილისას.

211/212


| | | |
|---|---|---|
| ბარბარო იოსაფა, მოგზაურობა „მოამბე“ 1894 წ. № XI | 47—48 | 104, 117 |
| | 45 | 109, 110 |
| | 47 | 111, 118 |
| Barbaro Josafa Navigationi et viaggi რამუზიოს გამოცემა v. II cap. 27 | | 126, 127, 128 |
| Brosset M. Add. et éclair. XXIII, | 411 შენიშ. 2 | 67, 68 |
| „ Voyage Six. rap. 6 | | 31 |
| „ Histoire de la Géorgie I | 642 | 142 |
| „ Bullet. Scient. IV 268—72 | | 151 |
| „ Histoire de la Géorgie I | 14 | 156 |
| | 408 | 163, 164 |
| | 409 | 165, 166 |
| | 410 | 166 |
| დასავლეთ საქართველოს საბუთები ტ. I, გამოც. ს. კაკაბაძისა | 2 | 112 |
| | 3 | 142 |
| | 4 | 141 |
| Waddingo, Annales Minorum t. 13 | 154 | 65, 71 |
| ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, გამოც. ს. კაკაბაძისა, 1914 წ. | 15 | 45 |
| ვახუშტ ბატონიშვილი, გეოგრაფია, გამოც. ბროსესი | 362 | 87 |
| | 138 | 157 |
| | 144 | 157 |
| საქართველოს ისტორია გამოც. დ. ბაქრაძისა | 287 შენიშვნა | 176 |
| | 297 | 15 |
| | 297—8 | 23 |
| | 298 | 22 |
| | 299 | 26, 31 |
| | 298 | 31 |
| | 300 | 35 |
| | 302 | 35, 38, 39, 44, 95 |
| | 302—3 | 47 |
| | 303 | 37 |
| | 303 შენიშ. 2. | 59 |
| | 303—4 | 59 |

| | | |
|---|---|---|
| ვახუშტ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, გამოც. დ. ბაქრაძისა | 304 | 78 |
| | 305 | 78 |
| | 305—6 | 79 |
| | 304—7 | 79 |
| | 304—5 | 84 |
| | 307 | 88 |
| ვახუშტ ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, გამოც. ჩუბინაშვილისა | 6 | 82 |
| | 155 | 116 |
| | 239 | 38 |
| საქ. ისტორია გამოც. ზ. ჭიჭინაძისა | | |
| | 10 | 82 |
| | 16 | 133 |
| | 19—20 | 154 |
| | 20 | 157 |
| | 20—22 | 158 |
| | 23 | 159 |
| | 154 | 94 |
| | 157 | 94 |
| | 158 | 97 |
| | 159 | 140 |
| | 237 | 116 |
| | 238 | 154 |
| | 239 | 115 |
| | 239—240 | 145 |
| | 241 | 115, 173, 174, 176, 181 |
| | 283 | 141, 151 |
| | 284 | 142, 153 |
| | 365 | 79, 95, 112 |
| ზედგინიძე-ამილახორის საჩივრის წიგნი საქ. სიძველნი ტ. IV | | |
| | 20 | 90 |
| | 21 | 91 |
| | 22 | 89 |
| | 23 | 89 |
| | 24 | 92, 105, 106, 127 |
| თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის | | |
| | 58 | 73 |
| | 60 | 73 |
| | 60—61 | 67 |
| | 61 | 68, 75 |
| | 63 | 75, 76 |

213/214


თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის

| | | |
|---|---|---|
| | 64—65 | 165 |
| | 66 | 166 |
| | 592 | 69 |
| | 594 | 48, 65, 67 |
| | 595 | 48, 67, 71, 73, 74, 75 |
| | 596 | 66, 71, 72, 73, 74, 77 |
| | 597 | 48, 65, 66, 71, 72, 73 |
| | 598 | 48, 65, 67, 71, 101 |
| | 598—99 | 165, 170 |
| | 599 | 172 |
| | 600 | 166 |
| თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური მოგზაურობანი, I, | | |
| | 106 | 31 |
| თაყაიშვილი ექ., საქ. სძველნი II, | 39 | 102 |
| „ **Канчаетский Жам-гулан** СМОМПК XXIX | | |
| | 10 | 173 |
| თითას მანელის ძის ხატიკი ქკბი II | | |
| | 258 | 38 |
| თომა მეწობელი ისტორია | 77—8 | 25 |
| | 117 | 27 |
| | 117—18 | 28 |
| | 118—19 | 28 |
| | 119 | 34 |
| | 119—122 | 34 |
| | 122 | 35 |
| | 124 | 35 |

ოკრიბის ჟამნ-გულანი № 6

| | | |
|---|---|---|
| 1447 წ. ს. კაკაბაძის გამოც. 4; ქკბი II | 258 | 38, 46 |
| 1461 წ. „ „ 4 | | 85 |
| 1463 წ. „ „ 5 „ | 312 | 113 |
| 1466 წ. „ „ 4 | | 92 |
| 1476 წ. „ „ 4 | | 125 |
| 1484 წ. „ „ 5 „ | 302 | 143 |

კაკაბაძე ს., დიდი ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი თბ. 1913 წ.

| | | |
|---|---|---|
| | 4, 5, 7 | 7 |
| წვრილი ეტიუდები | 13 | 26, 27 |
| ვახტანგ უცნობი XV საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი | | |
| | 15 | 42 |
| სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, 1912 წ. | | |
| | 4—7 | 47 |

214/215

კაკაბაძე ს., გენეალოგია ბაგრატ VI აფხ. და ქართ. მეფისა. თბ., 1913 წ.

| | | |
|---|---|---|
| | 1—2 | 80 |
| | 3 | 80, 81 |
| | 4 | 83 |
| | 6 | 101 |
| | 8 | 80, 82 |
| წერილები და მასალები I | | |
| | 128 | 151 |
| კინკლოსები: 1414 წლისა ქკბი II, | 221 | 23 |
| 1416 წლ. „ „ | 223 | 24 |
| 1431 წლ. „ „ | 236 | 25 |
| 1446 წლ. „ „ | 258 | 38 |
| 1447 წლ. „ „ | 258 | 46 |
| 1462 წლ. } 1463 წლ. } „ „ | 281 | 85 |
| 1478 წლ. „ „ | 298 | 133 |
| 1483 წლ. „ „ | 302 | 143 |
| 1484 წლ. „ „ | 303 | 141 |
| 1489 წლ. „ „ | 307 | 153 |
| 1498 წლ. „ „ | 312 | 113 |
| 1500 წლ. „ „ | 313 | 115 |
| 1500 წლ. „ „ | 313 | 173 |

კონტარინი ამბროზიო, IL viaggio del magnifico M. Ambrosio Contarini ambasciadore della illustrissima signoria Di Venetia al gran Signore Ussun Cassan, Re di Persia. ქართული თარგმანი „მოამბე“ 1894 წ. № XI

| | | |
|---|---|---|
| | 49 | 109, 112 |
| | 50 | 111, 112 |
| | 51 | 111, 112, 116 |
| | 51 | 104 |
| | 52 | 106, 117, 118 |
| | 52—54 | 105 |
| | 53 | 104, 105, 118 |
| | 53—54 | 117 |
| | 54 | 118 |
| | 54—55 | 108 |
| | 55 | 117 |
| | 56 | 105, 111, 112, 117 |
| | 57 | 106, 118 |
| | 58 | 113 |
| | 60—61 | 186 |
| | 61 | 104, 117, 118 |

215/216

| | | |
|---|---|---|
| Lébeau, Histoire du Bas-Empire, nouvelle edition t. XXI | | |
| | 219—221 | 45 |
| | 221—222 | 46 |
| Лен-Пуль, Мусульманск. династии, პროფ. ვ. ბარტოლდის დამატ. | | |
| | 158 | 73 |
| | 302 | 73 |
| მარი ნ., Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме — Сообщ. Прав. Палест. Об. т. IV ч. II 1903 წ. (მარტიროზ სომეხთა ეპისკოპოსის ცნობა) | 50 | 163 |
| | 50—51 | 207 |
| VI მსოფლიო კრების კანონები, ა. ხახანაშვილის გამოცემა | | |
| | 98 | 52 |
| მინაწერი XV ს. ხელით ქკბი II, | | |
| | 301 | 90 |
| მოხილვა წმიდათა ადგილთა, პ. იოსელიანის გამოცემა, | | |
| | 43 | 33 |
| მცნება სასჯულო გამოც. ს. კაკაბაძისა, 4; ქკბი II, 294 | | 111, 112, 121 |
| | 5, „ „ 294 | 111 |
| | 4 | 119, 120 |
| | 5 | 119, 122 |
| | 7 | 118 |
| | 9 | 123 |
| | 10 | 122 |
| ller A., Der Islam etc, II, | 320 | 28 |
| | 323 | 60 |
| | 324 | 60 |
| | 338—39 | 106 |
| | 340—41 | 107 |
| | 341 | 109 |
| Müller K., prof. Kirchengeschichte II, 1897 წლის გამოცემა, | | |
| | 112 | 63 |
| | 112—13 | 63 |
| | 113 | 64 |
| ნიკოლოზ კათალიკოსი — სასწაულნი სვეტიცხოვლისანი | | |
| | 40—43, 69 | 124 |
| პარიზის ქრონიკა გამ. ზ. ჭიჭინაძისა | | |
| | 6 | 38, 39, 46, 85, 92, 114, 115, 116, 133, 142, 143, 153, 173 |
| Посольство в Г. Звенит. С. Р. К. I | | |
| | 169—70 | 94 |
| Phrantzes I 3 c. I | | 45 |

| | | |
|---|---|---|
| ჟორდანია თ., ქკბი II | 277 | 42 |
| | 288 | 81 |
| | 291 | 95 |
| | 303 | 141 |
| | 311 | 142 |
| | 315—16 შენიშ. **) | 175 |
| რუის-ურბნისის ძეგლის წერა, ქკბი II, | 56, 58 | 124 |
| სიგელი 1408 წ. კონსტანტინე მეფისა საქ. სიძველნი, III, | 434 | 16 |
| სიგელი 1412 წ. ალექსანდრე მეფისა ისტ. საბ. III, | 7—10 | 83 |
| 1412—13 წ. ალექ. მეფ. ისტ. საბ. III, | 7—10; ქკბი II, 220 | 8, 10, 11, 12, 14, 17, 19, 20, 21, 25 |
| 1413 წ. ალექს. მეფისა ქკბი II, 220 | | 8 |
| 1414 წ. „ „ ისტ. საბ. II, | 3—4 | 8, 17, 19 |
| 1417 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 223—24 | | 8, 17, 19 |
| 1419 წ. „ „ ქკბი II 224 | | 11 |
| 1419—20 წლ. ალექ. მეფ. ისტ. საბ. III | 10—12; ქკბი II 226 | 8, 10, 11, 17, 18, 21, 25, 29 |
| 1424 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 228 | | 8, 17, 18, 25 |
| 1426 წ. „ „ ქკბი II 229 | | 18 |
| 1427 წ. „ „ ქკბი II 230 | | 18 |
| 1428 წ. „ „ ქკბი II 231 | | 18 |
| 1328 წ. „ „ ისტ. საბ. III | 13—14 | 18 |
| 1429 წ. ალექს. მეფისა ისტ. საბ. III | 13—14; ქკბი II 235—36 | 8, 18 |
| 1431 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 237—38 | | 8, 18, 29 |
| 1433 წ. „ „ ისტ. საბ. II 4—6 | | 18 |
| 1433 წ. ალექს. მეფისა ისტ. საბ. III | 15—16; ქკბი II 239—40 | 8, 18, 19, 103 |
| 1433—34 წ. ალექს. მეფისა ისტ. საბ. III | 17 | 19 |
| 1434 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 242 | | 8, 18 |
| 1435 წ. „ „ ქკბი II 242—243 | | 8, 25, 26, 27 |
| 1437 წ. „ „ ქკბი II 243 | | 8 |
| 1438 წ. „ „ ისტ. საბ. III | 20—21 | 8, 18 |

ს ი გ ე ლ ი 1438 წ. ალექსანდრე მეფისა ისტ. საბ. III
18—20 8, 18, 19, 103

1439 წ. ალექსანდრე მეფის მიერ დადებული „განჩინება მთიულთა"
ქკბი II 245—46 25

1440 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 247—8 7, 9, 10, 12,
20, 31, 32

1440 წ. ივანე მანგლელ-ტფილელისა ისტ. საბ. II
6—7 83

1440 წ. ალექსანდრე მეფისა სქლს სძვლნი II
15 8

1441 წ. ალექსანდრე მეფისა ისტ. საბ. III
22—24 8, 18, 19, 35

1441 წ. ალექსანდრე მეფისა ისტ. საბ. III
21—22; ქკბი II 249—50 8, 33

1442 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 251—52 35

1445 წ. დიმიტრი მეფისა ქკბი II 257 37

1447—48 წ. გიორგი მეფისა გამოც. ს. კაკაბაძისა—მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი 3; ქკბი II
259—60 15, 40, 41

1447—59 წ. ქაჩიბაძისა ისტ. საბ. III
36—38 83

1449 წ. გიორგი მეფისა ისტ. საბ. III
29—32; ქკბი II 261 35, 37, 40, 41

1451 წ. გიორგი მეფისა სქლს სძვლნი II
3; ქკბი II 262—63 41

1452 წ. გიორგი მეფისა სქლ. სძვლნი II
17 41

1453 წ. გიორგი მეფისა ქკბი II 266—67 41

1453 წ. „ „ სქლს სძვლნი II
38—39 41

1453 წ. ანჩელისა ქკბი II 267—68 49, 50, 51,
53, 54, 55

1453 წ. ვარძიის ძმათა ქკბი II 269 59, 52, 53, 55

1453 წ. კუმურდოელის ერთგულების წიგნი ქკბი II
268 51, 55

1453 წ. გიორგი მეფისა სქლს სძვლნი II
16 43

1460 წ. გიორგი მეფისა ისტ. საბ. III
34—36; ქკბი II 277—78 41, 43, 73

1460 წ. გიორგი მეფისა სქლს სძვლნი II
6; ქკბი II 278—79 41

**სიგელი** 1463 წ. გიორგი მეფისა სქლს სძვლნი II 19 — 41

1464 წ.—76 წლ. გიორგი მეფისა ისტ. საბ. III 39—40; ქკბი II 283—84 — 44

1465 წ. შაბურის ძისა ისტ. საბ. II 15—18 — 44, 46

1466 წ. ბაგრატ მეფისა ქკბი II 287—88 — 81, 83, 101

1466 წ. კონსტანტინე მეფისა სქლს სძვლნი II 20—21 — 92, 136

1468 წ. ბაგრატ მეფისა სქლს სძვლნი II 40 — 84, 100, 102, 106

1470 წ. ქვენიფნეველისა სქლს სძვლნი III 555—61 — 83, 104

1477 წ. დედაბერი ნინოსი ისტ. საბ. II 20—21 — 135, 136

1479 წ. ალექს. მეფისა ქკბი II 300—1 — 96, 139

1479 წ. „ „ ქკბი II 301 — 96

1487 წ. კონსტანტ. მეფისა ქკბი II 305—306 — 134

1488 წ. „ „ ქკბი II 306; ს. კაკაბაძის გამოც. „ქ̃ლის მეფის კონსტანტინეს სიგელი 1488 წლ." 5, 7—8 — 82, 134, 137, 138

1491 წ. კონსტანტინე მეფისა სქლს სძვლენი III 475—76 — 137, 138

1491 წ. მთის წმ. გიორგის გუჯარი ქკბი II 307—309 — 160

1492 წ. კონსტანტინე მეფისა ისტ. საბ. III 41—42; ქკბი II 309—310 — 134, 137, 138

1495 წ. ალექსანდრე იმერთა მეფისა ქკბი II 310—11 — 141, 152

1500—2 წ. კუმურდოელის ფიცის წიგნი ქკბი II 315 — 175, 176, 177

1500—16 წ. მზექაბუკისა ისტ. საბ. II 26—28 — 148, 174, 178, 181, 182

1500—16 წ. დოროთეოს პატრიარქისა ქკბი II 317—18; დ. ბაქრაძე—ვახუშტის საქართველოს ისტ. 287 შენიშ. — 49, 113, 176, 178, 179, 180, 183

1502 წ. ალექსანდრე იმერთა მეფისა ქკბი II 318—19 — 142

1503 წ. ალექსანდრე კახთა მეფისა ქკბი II 319 — 139

1505 წ. ალექსანდრე კახთა მეფისა ისტ. საბ. III 42—43; ქკბი II 325 — 139

ს ი გ ე ლ ი 1508 წ. ბაგრატ მეფის დის გაიანესი ისტ. საბ. II
25—26; ქკბი II 326 — **84**
1509 წ. ალექსანდრე იმერთა მეფისა—ს. კაკაბაძის გამოც. „დასავლეთ საქართველოს საბუთები“ წ. I
4 — **141, 142**
1518 წ. მზეჭაბუკ ათაბაგისა ქკბი II
335 — **175, 177**

ტ ი ზ ე ნ ჰ ა უ ზ ე ნ ი ვ., Заметка Элькалькашади о Грузинах **ЗВОРАО I**
208—215 — **206**

„Т р у д ы Высочайше утвержденного вольного **Общества российской литературы**“ ანუ „Соревнователь просвещения и **благотворения**“ წ. **II**, № 5, 1823 წ.; გადმობეჭდილი „Закавказский **вестник**“-ში 1850 წ.
**165** შენიშვნა

ქ̃ც ი ს შ ე ვ ს ე ბ უ ლ - გ ა დ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა, დამატება

| | |
|---|---|
| 887 | **9** |
| 888 | **11** |
| 889—90 | **36** |
| 891 | **38, 39** |
| 893 | **116** |
| 894 | **129, 132, 146** |
| 895 | **132, 134** |
| 896 | **146, 148** |
| 896—97 | **147** |
| 897 | **146, 147, 148** |
| 898 | **85, 154** |
| 899—900 | **155** |
| 900 | **156, 157** |
| 900—903 | **158** |
| 904 | **114, 153, 173** |

ქ̃ც ი ს გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა, გამოც. ჟანაშვილისა

| | |
|---|---|
| 34 | **10** |
| 35 | **35** |
| 38 | **133** |
| 42 | **143** |
| 42—43 | **143, 144** |
| 43 | **143** |
| 44 | **145, 150** |
| 45 | **161** |
| 45—46 | **161** |
| 46 | **162** |

S t r a s s m a n prof. Gesundheitspflege des Weibes 1903 წ.
28, 33 — **115**

| | | |
|---|---|---|
| ც̃აჲ გ̃ი მთაწიდელისაჲ, ათონის კრებული | | 124 |
| | 315 | |
| ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ. III | | 16 |
| ქართული სამართლის ისტორია წ. I | | |
| | 63, 64, 67—68 | 63 |
| წიგნი II | — — | 190 |
| ისტორიის მიზანი | 218—220 | 158 |
| | 275 | 36 |
| | 275 | 94 |
| | 296—97 | 36 |
| საქართველოს ეკონომიური ისტ. წ. II | | |
| | | 113, 118, 203, 205 |
| დიპლომატიკა | | 142, 191 |
| ჰამმერი, Hist. de l'empire Ottoman II | | |
| | 509 | 73 |
| | 510 | 73 |
| Herzberg G. prof. Geschichte der Byzantiner und des Osmanischen Reiches | 588—89 | 62 |
| | 582, 587, 591 | 63 |
| Horn P. Geschichte Irans in islamischer Zeit: Grundriss d. iranischen Philologie II | 578 | 73 |
| Huart Cl. Histoire des arabes t. II | 193—94 | 165 |

ივანე ჯავახიშვილი

# ქართველი ერის ისტორია

მეოთხე წიგნი

II ნაწილი

(XVI საუკუნე)

ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული ხელნაწერი მასალა
დასაბეჭდად გაამზადა

სიმ. ყაუხჩიშვილმა

# [ქართლის მეფე დავითი]

## [დავითის გამეფება]

კონსტანტინე მეფის გარდაცვალებისა და მისი ძის დავითის მეფედ დაჯდომის შესახებ სამი სხვადასხვა თარიღი მოიპოვება, მაგრამ მათ შორის განსხვავება მხოლოდ თითოწლობით არის. ერთს კინკლოსში თარიღად 1503 წ. დადებული: «ქ̃კსა ას ოთხმოცდა თერთმეტსა მეფე კონსტანტინე მიიცვალა»[1]; მეორეში-კი 1504 წ.: «ქ̃კსა: რჟბ: აქა კ̃ე მეფე მიიცვალა»[2]; მესამეში 1505 წ.: «ქორონიკონს რჟგ (1505 წ.) კოსტანტინე მეფე მიიცვალა»-ო[3].

ქ̃ცის გადაკეთებულ-შევსებულს პირველს გაგრძელებაში თარიღად ამგვარადვე როგორც მეორე გაგრძელებაში 1503 წ. მიღებული: «ქ̃კს: რჟა: მეფე კოსტანტინე მიიცვალა და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით»[4]. ბატონიშვილს ვახუშტს-კი თარიღად 1505 წ. მიუჩნევია[5]. რადგან დავით მეფის არც ერთს ჩვენამდი მოღწეულსა და გამოქვეყნებულს სიგელს ქორონიკონთან ერთად მისი მეფობის ინდიქტიონი დართული არა აქვს, ამიტომ ჯერჯერობით არავითარი საბუთი არ არსებობს იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი ზემოაღნიშნული თარიღთაგანი უნდა ჭეშმარიტად ჩაითვალოს.

## [დავითის ნათესაობა და ოჯახი]

«სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა კოსტანტინეს ძისა მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითის»[6] ნათესაობა და ოჯახი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო: მას ექვსი ძმა ჰყოლია: 1524 წ. მცხეთის სიგელში მეფე დავითი თვით ამბობს, შემოწირულება მცხეთის საყდარს «ნებადართვითა ძმათა ჩემთა გიორგი, ბაგრატ, დიმიტრი, ვახტანგ, ალექსანდრე და მღდელმონაზონისა მელქიზედეკისათა» მოვახსენეო[7]. ამათგან გიორგი ბერად შემდგარა და გერასიმეს სახელი მიუღია. ბაგრატს 4 შვილი ჰყოლია და «ძეთა მათთა» რქმევია «ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგი». ალექსანდრეს მხოლოდ ორი

---

[1] ერისთავიანთ დაუჯდომელი: ე. თაყაიშვილი, 13.

[2] ჩხეიძის ქ̃კა: ქ̃კბი II, 319.

[3] იკორთის № 6 ჟამნგულანის კინკლოსი: ს. კაკაბაძე, 5.

[4] დამატ., 904—5 და პარიზის ქ̃ა, 6.

[5] ვახუშტი, ისტორია: ჭიჭინაძე, 247.

[6] 1520 წ. ქვათახევის № 2 სიგ.: ისტ. საბ. II, 291.

[7] ისტ. საბ. II, 32=ქ̃ბი II, 368.

კონსტანტინე და გორგასალი (sic!) ჰყავდა თურმე[1]. თვით დავით მეფეს-კი საკუთრივ სამი შვილი ჰყოლია: ლუარსაბი, ადარაზანი და რამაზი[2]. თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებულს მცხეთის 1516 წ. სიგელში (№ 8) დავით მეფე თავის შვილად დიმიტრისაც იხსენიებს[3], რომელიც არც ერთს სხვა სიგელში აღარ არის მოხსენებული. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დავით მეფეს ეს ვაჟი მოჰკვდომია. დავით მეფეს ორი ქალიშვილიცა ჰყოლია. ერისთავი ბაინდურ მოგვითხრობს: «ჩ̃ნ ერისთავმან ბაინდურ და ჩ̃ნთა ძმათა ზურაბ, გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ» ეს წიგნი მივართვით მცხეთის საკათალიკოსო საყდარს «მას ჟამსა ოდეს მეფის დავითის ქალი» შევირთეთ[4]. მეორე ქალი ჯავახ-ჰილაძეზე ყოფილა გათხოვილი: ამ ვაჟის მამას თვით აქვს ეს ამბავი აღწერილი მცხეთის ერთს შეწირულობის წიგნში, რომელშიაც ნათქვამია: «ჩ̃ნ ჰილაძემა გუსტან... ჩ̃ნსა შვლსა ჯავახს მეფის ლუარსაბის დაჲ შევრთეთ»-ო[5]. ის გარემოება, რომ დავით მეფის შვილი იმ საბუთში «მეფის ლუარსაბის და-დ» არის წოდებული, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, როდესაც ეს ქალიშვილი გათხოვილა, მისი მამა უკვე მკვდარი იყო და მის მაგიერ მეფედ ლუარსაბი იჯდა, რომელსაც გაუთხოვებია სწორედ თავისი და.

დავით მეფის თანამეცხედრის სახელი გამოქვეყნებულს მის საბუთებში არ იხსენიება, მაგრამ მისი შვილი ლუარსაბ მეფე თავის ერთს სიგელში დედის სახელს გვამცნებს. 1552 წ. თბილისის სიონის სიგელში (№ 104) მას ნათქვამი აქვს: «მფარველ გვექმენ ჩვენ... მეფეთ-მეფესა ლუარსაბს და დედასა ჩუენსა დედოფალთ-დედოფალსა თამარს»-ო[6].

## [სამი მეფეთა-მეფე საქართველოში]

### [ქართლში]

გიორგი მეფითგან მოყოლებული საქართველოს მეფე-მთავრები მთელ თავის სიცოცხლეს ვერ შერიგებოდნენ ქვეყნის დანაწილებას და სრულიადი საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდნენ, მაგრამ მწარე გამოცდილებას ისინი უნდა დაერწმუნებინა, რომ მათს ცდას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია. **XVI** საუკ. თუმცა საქართველოს დანაწილება საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჩანს, მაგრამ, როგორც იმდროინდელი საბუთები ცხადჰყოფენ, არავინ ამას არ ურიგდებოდა და ყველა მეფეები ცალ-ცალკე გაერთიანებისათვის იბრძოდნენ და დანარჩენთა მიმართ დამპყრობელობითს პოლიტიკას აწარმოებდნენ.

---

[1] მცხეთის 1548 წ. № 52 სიგ.: ისტ. საბ. II, 38—39.

[2] 1524 წ. მცხ. სიგ. № 7: ისტ. საბ. II, 32 = ქ̃ბი II, 368. იხ. აგრეთვე 1519 ქვათახ. № 4 სიგ.: ისტ. საბ. II, 50.

[3] ქ̃ბი II, 334.

[4] 1527 წლის ახლო ხან. № რკზ სიგ.: ქ̃ბი II, 371.

[5] ქ̃ბი II, 390.

[6] ისტ. საბ. II, 41.

ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ საქართველოში მაშინ ერთსა და იმავე დროს სამი „მეფეთა-მეფე“ ბრძანდებოდა, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე სრულიად საქართველოს ხელმწიფის მეფურს წოდებულობას ხმარობდა. მაგ., დავით ქართლის მეფე სიგელებში თავის თავს მუდამ „მეფეთ-მეფეს“ უწოდებდა: «ჩუენ... მეფეთ-მეფემან... დავით»[1], «დავსხედით... ბარათაშვილთა... გაყოფად თუით პატრონი მეფეთა-მეფე დავით»[2]... მაგრამ ასე მარტო თვით დავითი-კი არ უწოდებდა თავის თავს, არამედ ყველა მისი თანამედროვენიც, მაგ., ქვათახევის 1520 წ. სიგელში (№ 2) ფანასკერტელი ციციშვილი მერაბ ამბობს: «მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითისა, მისთა ძმათა და ძეთა დამოწმებითა» შემომიწირავსო[3]. «მეფისა დავითის სახლის უხუცესისა და მწიგნობართა მთავრისა» სოლაღას შვილი ივანეს შეწირულობის წიგნში ქართლისა კათალიკოსი სწერს: «ესე ვითარცა მეფეთა-მეფესა დავითს დაუმტკიცებია» ჩვენც დამამტკიცებელნი ვართო[4].

დავით მეფის შვილი ლუარსაბიც ამგვარადვე თავის თავს მეფეთ-მეფედა სთვლიდა და უწოდებდა: ჩვენ «გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ლუარსაბ»[5], ჩვენ ღვთივ-გვირგვინოსანის მეფეთ-მეფის პატრონისა დავითის ძეთა მეფეთ-მეფემან ლუარსაბმა და ძმათა ჩვენთაო[6]. ლუარსაბი თავის თავზე ამბობს: «მე... ყოვლისა საქართველოსა ტახტისა და გვირგვინისა ფლობით მპყრობელმან თქუენ (ე. ი. ღვთის) მიერ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ლუარსაბ»[7].

## კახეთში

პოლიტიკური პრეტენზიების მხრით კახეთის მეფეები არამც თუ ქართლის მეფეებს რითმე ჩამოუვარდებოდნენ, პირიქით, სჭარბობდნენ კიდეც. ალექსანდრე კახეთის მეფე, რომელიც 1503 წ. მცხეთის სიგელში თავის თავზე ამბობს «ჩუენ პატრონმან მეფეთა-მეფემან ალექსანდრე»-ო[8], შემდეგს მრავალმნიშვნელოვანს მეფურს წოდებულობასა ხმარობს: «თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალმან ანა და პირმშომან ძემან ჩუენმან გიორგი და დიმიტრი ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანშა და შარვანშა და **ყოვლისა საქართველოსა** და ჩრდილოეთისა

[1] 1516 წ. მცხეთის № 8 სიგ.: ქ´კბი II, 334.

[2] 1523 წ. სიგ.: ქ´ბი II, 349.

[3] ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. II, 29.

[4] 1525 წ. შიო მღვ. სიგ.: ქ´ბი II, 357 და ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. III, 58.

[5] თბილისის სიონის 1540 წ. სიგ.: ქ´ბი II, 384.

[6] ქვათახევის 1550 წ. სიგ.: ქ´ბი II, 390. იხ. აგრეთვე 1545 წ. მცხეთის სიგ.: ქ´ბი II, 387.

[7] 1552 წ. მცხეთის № 2 სიგ.: ისტ. საბ. III, 63.

[8] ქ´ბი II, 319.

ალმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე თუით კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელისა ნათესავმან მეფემან ალექსანდრე»[1]. აი, მისი შვილი გიორგი კახთა მეფეც როგორი წოდებულობით ამკობდა თავის თავს 1511 წ. მცხეთის სიგელში: ჩვენ «განმაერთებელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან ორისავე ტახტისა და სამეფოსამან მტკიცედ მპყრობელმან აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან... პატრონმან მეფეთა-მეფემან გიორგი»[2]. ან წაიკითხეთ ლეონ მეფის სიგელი: ჩვენ «ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა (მეფემან). შარვანშე და შანშე (sic) და ყოვლისა ალმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამან-კედართა თუით-ფლობით კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ლეონ, თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ“[3]. გიორგი მეფის წოდებულობის პირველს ნაწილს რომ ვკითხულობთ, გეგონებათ გიორგი ბრწყინვალის, ან ალექსანდრე დიდის სიგელიაო, ზემომოყვანილი მეფური წოდებულობის მეორე ნახევარი-კი მხოლოდ დავით ალმაშენებელისა და თამარ მეფის საბუთებს შეჰშვენის.

## [დასავლეთ საქართველოში]

დასავლეთ საქართველოს მეფეებიც თავიანთ თავს სხვაფრით არ იხსენიებდნენ თუ არ მეფეთა-მეფედ. მათი მეფური წოდებულობაც სრულიად საქართველოს ხელმწიფების შესაფერისი იყო. იმავე ალექსანდრე კახთა მეფის თანამედროვე მისი სეხნია იმერეთის მეფე ალექსანდრეც თავის თავზე სწერს: «ჩვენ ორისავე ტახტისა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა მპყრობელმან მეფეთა-მეფემან ალექსანდრემან და... დედოფალთა-დედოფალმან თამარ»-ო[4]. მისი შვილი ბაგრატიც არ იშლის დაწინანდებურად გაიძახის: «ჩუენ... ორისავე ტახტისა და სამეფოსა... მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ»[5], «ჩუენ... ალმოსავლეთით დასავლეთამდე მფლობელ-მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ... ნებითა ღ´თისათა აფხაზთა და რანთა» და სხვა სრულს მეფურს წოდებულობაში არის ხოლმე[6].

## [მესხეთის მთავრები]

მართალია, მესხეთის მთავრებს მეფის სახელის მოხვევა მათს საბუთებში მაინც არ უცდიათ, მაგრამ თავიანთ ქერქში ვეღარც ისინი ეტეოდ-

---

[1] მცხეთის 1505 წ. სიგ.: ისტ. საბ. III, 42.
[2] 1511 წ. № 472 სიგ.: ისტ. საბ. III, 44—45.
[3] 1537 წ. სიგ. მცხეთისა № 2: ისტ. საბ. II, 39.
[4] 1502 წ. გელათის სიგ.: ქ´ბი II, 318—319.
[5] 1519 წ. გელათის სიგ.: ქ´ბი II, 344.
[6] გელათის 1519 წ. ახლო ხანის სიგ.: ქ´ბი II, 344.

ნენ, ჩვეულებრივი ათაბაგობა მათ აღარ აკმაყოფილებდათ: ისინი უკვე «ათაბაგ-ამირსპასალარნი» და «დიდთა ათაბაგთა ნათესავნი» იყვნენ[1]. მზეჭაბუკ ათაბაგი-კი მეფედა და ყოვლისა აღმოსავლეთის ხელმწიფედაც იწოდება.

## [იმერეთის მეფე ალექსანდრე და ქართლის მეფე დავითი]

მაშინდელ ქართველ მეფე-მთავართა შორის დავით მეფე სხვებზე უფრო თაოსნობასა და გამბედაობას მოკლებულ კაცად მოჩანს. ენერგიულს პოლიტიკას იმერეთის მეფე ალექსანდრე აწარმოებდა, რომელიც თავისი საკუთარი საბრძანებლით არ დაკმაყოფილებულა და დავითის სამფლობელოს ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდა.

### [ალექსანდრეს ლაშქრობა ქართლში]

მატიანე-კინკლოსებს მოთხრობილი აქვთ, რომ ალექსანდრე მეფეს ლიხის მთა გადმოულახავს და ქართლის შუაგულამდის შემოჭრილა. იქ ამის თაობაზე ნათქვამია:

«ქორონიკონსა რჟვ (1508 წ.) აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა»[2]:

«ქ˜კსა: რჟვ: აქა მეფემჴნ ალექსანდრე გორი დაიჭირა»[3].

1509 წ. «ქ˜კს: რჟზ: ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისმან, აღილო გორი»[4].

ამ ამბავს ქ˜ცის შევსებულ-გადაკეთებული პირველი და მეორე გაგრძელებაც იხსენიებს და თარიღად 1509 წ. სდებს. მას ამასთანავე თვე და რიცხვიც აქვს მოყვანილი: «თვესა აგვისტოსა ვ» 6-ს[5].

ცნობები ამის შესახებ, რასაკვირველია, ბატონიშვილ ვახუშტსაც მოეპოვება. თარიღად მასაც 1509 წ. აქვს დასახელებული. სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ამ შემთხვევაშიც სხვებზე უფრო ვრცელი და საგულისხმო ცნობები აქვს დართული როგორც მიზეზისა, ისევე თვით საქმის მიმდინარეობის შესახებ. ვახუშტის სიტყვით იმერეთის მეფეს ალექსანდრეს შურისძიება ამოძრავებდა. მან ისარგებლა შემთხვევით, რომ მისი მედგარი მოწინააღმდეგე მეფე კონსტანტინე უკვე მკვდარი იყო და ქართლის სამეფო ტახტზე ისეთი სუსტი ნების პატრონი და თაოსნობას მოკლებული პიროვნება იჯდა, როგორიც დავით მეფე იყო, და ჯავრის ამოყრა განიზრახა. «შემდგომად კონსტანტინე მეფის გარდაცვალებისა, მოიხსენა ალექსანდრე მეფემან შური პირველი, შემოიკრიბა სპანი, გარდაუხდა ქართლს» და ქ. გორს ასაღებად მიადგა[6].

---

1 მცხეთის 1518 წ. სიგ.: ქ˜ბი II, 335.

2 იკორთის № 6 ჟამნგულანი, ს. კაკაბაძე, 5.

3 ჩხეიძის ქრ.: ქ˜ბი II, 326.

4 ლექსთა კრებული: ქ˜ბი II, 326.

5 დამატ., 905 და პარ. ქ˜კა. ზ. ჭიჭინაძე, 7.

6 ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 284.

თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ კონსტანტინე მეფის გარდაცვალების თარიღად წყაროები 1503, 1504 და 1505 წ. სდებენ და უკანასკნელს ვახუშტიც ჭეშმარიტად სთვლის, მაშინ თავისდათავად იბადება საკითხი, რომ კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ 4 წელიწადი იყო გასული ალექსანდრეს ქ. გორის ასაღებად გამოლაშქრებამდე, იმ დროისათვის საკმაოდ ხანგრძლივი მანძილი, რომ იმერეთის მეფის ეს სამხედრო მოქმედება მარტო კონსტანტინე მეფისადმი შურისძიების წყურვილის შედეგად გვეცნა. უფრო საფიქრებელია, რომ აქაც მეფეთ-მეფობისა და ორისავე ტახტისა, ლიხთ-იმერეთისა და ლიხთამერეთის მპყრობელობის განხორციელების იგივე წადილი უნდა იყოს მისაჩნევი. ვახუშტის სიტყვით, როდესაც დავით მეფეს ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ გორის გარემოცვის ამბავი მოუტანეს, «შეუძნდა ესე ყოველთა და ეტყოდა მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა». მაგრამ დავით მეფემ ეს «არა ინება მეტყველმან მათ-მან, რამეთუ „მიეგების მეშფოთეთა შფოთი“»-ო. ალექსანდრემ ამის წყალობით ადვილად აიღო გორი და «დაიპყრა თვით»[1]. გორის ციხის დაპყრობით იმერეთის მეფის ხელში ქართლის მთელი ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილი ლიახვის ხეობამდის მაინც უნდა გადასულიყო.

## [ოსმალთა შემოსევა იმერეთში. ქუთაისისა და გელათის აოხრება]

მაგრამ იმერეთის მეფის გორში და ქართლის ჩრდილო-დასავლეთს ნაწილში ბატონობა ხანგრძლივი არ ყოფილა, რადგან თვით იმერეთი მოულოდნელად შემოსეული მტრის სათარეშო-ასპარეზად იქცა და შინაც მიშველება იყო საჭირო. ბატონიშვილს ვახუშტს ამის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ იმ დროს, როდესაც ალექსანდრე ქართლში იყო, «მოართვეს მორბევა იმერეთისა ჩიხთაგან, უკუნ იქცა და წარვიდა იმერეთს»-ო[2]. ამავე ისტორიკოსის იმერეთის „ცხოვრებაში“ ეს შემთხვევა უფრო დაწვრილებით არის მოთხრობილი: «ამავე ქორონიკონს მოუხდნენ ჩიხნი იმერეთს და მოარბიეს სრულიად. ესე ესმა ალექსანდრეს, ქართლს მყოფს, უკმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოწყვეტად მათდა, არამედ მათ არღარა ესწრა და განემზადებოდა შურისგებად და ბრძოლად ჩიხთა ზედა»-ო[3].

ჯერ კიდევ მ. ბროსე გააკვირვა „ჩიხთა“ სახელმა. მას ეგონა, რომ „ჩიხნი“ იგივე „ჯიქნი“ იყვნენ[4]. მაგრამ ჯერ ერთი ჯიქნი არსად ქართულ წყაროებში ჩიხებად არ იწოდებიან და მეორეც ისა, რომ „ჩიხთა“, გინდა ჯიქთა, შემოსევას არც ერთი ქართული კინკლოსი ამ დროს არ იხსენიებს. სხვადასხვა წყაროები ამ გორის აღების ახლო ხანებში დასავლეთს საქართველოში მტრის შემოსევისა და ქვეყნის აოხრების შესახებ მარტო შემდეგს ცნობებს შეიცავენ.

---

[1] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 25.
[2] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 25.
[3] იქვე, 284—285.
[4] Brosset, Hist. moderne, I livraison, 18, n. 2.

«ამავე[1] ქ~კსა (როდესაც ალექსანდრემ გორი აიღო) მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს ნნ~ბრსა»[2]. გორის აღების შემდეგო «ქ~კსა: რჟვ:... მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს»-ო[3].

1510 წ. «რჟჱ. აქა მოვიდეს თათარნი ნოენბერსა კგ და დაწვეს საყდარი ქუთათისი (sic) და გელათი»[4].

«ქ~კს: რჟჱ: ამა ქრ~ნკნსა მოვიდეს თათარნი ნოემბერსა: კგ: და დაწვეს საყდარი ქუთათისი (sic) და გელათი»[5].

1512 წ. «ქ~კნსა ორასსა ხვანთქარი მოვიდა, ლიხთიმერეთი და გელათი დაწვაჲ და ქუთათისი»-ო[6].

ქ~ცის შევსებულ-გადაკეთებულ პირველსაცა და მეორე გაგრძელებასაც ამ ამბავის შესახებ სიტყვა-სიტყვით ერთი და იგივე აქვს მოთხრობილი ისე, რომ, უეჭველია, ცნობა ერთი წყაროთგან უნდა მომდინარეობდეს. თარიღითაც ეს ცნობა არც ერთს ზემომოყვანილს კინკლოსს არ უდგება და 1509 წ. არის აღნიშნული. «ამასვე წელსა[7] ქუთათისს თათარნი მოვიდეს და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ და ქუთათისი და საყდარი და სხვანი ეკლესიანი და ციხე ვერა აიღეს და აურაცხელნი ტყვენი წარასხეს ქრისტეანენი. თვე იყო ნოენბერი კგ»[8].

მაშასადამე, ზოგიერთს[9] მატიანისებურს წყაროებშიაც ქ. გორის ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ აღების შემდგომ და იმავე წელს დასავლეთს საქართველოში მტრის შემოსევა და მძინვარებაა მოთხრობილი. მართალია, ისეთი კინკლოსებიც[10] მოიპოვება, სადაც ამ შემოსევის ამბავი გორის აღებასთან ერთად არ არის მოხსენებული, მათ შორის ორი ხელნაწერი უძველესი და ამ შემოსევის უახლოესი ხანისაა, XVI საუკ-ისაა, მაგრამ ასეთ წყაროებში ქ. გორზე ალექსანდრე მეფის გალაშქრება და მისი დაპყრობა საზოგადოდ არც არის მოხსენებული. ამიტომ ამგვარი წყაროებით ზემოაღნიშნულ კინკლოსებისა და ქც~ის შევს.-გადაკ. გაგრძელებათა ცნობის უარყოფა შეუძლებელია, რათგან ამ შემთხვევაში argumentum e silencio გამოსაყენებელი არ არის.

ამგვარად, ვახუშტის სიტყვები, რომ ალექსანდრე მეფის მიერ გორის აღების წელსვე ლიხთიმერეთს მტერი შეესია, სხვა წყაროებითაც მტკიცდება.

---

[1] რჟვ = 1508 წ.

[2] იკორთის № 6 ჟამნგულანი: ს. კაკაბაძე, 5.

[3] ჩხეიძის ქრ.: ქ~კბი II, 326.

[4] ქ. შ. წ.კ. ს. ხელთნ. № 252 კინკლოსი: ე. თაყაიშვილი, Матер. для истории Грузии, 6.

[5] საეკლ. მუზ. ხელთნ. № 49, XVI საუკ. და გელათის წმ. გიორგის XVI საუკ. გულანი: ქ~ბი II, 327.

[6] ერისთავიანთ დაუჯდომელი: ე. თაყაიშვილი, 14.

[7] როდესაც გორი ალექსანდრეს მიერ იყო დაპყრობილი.

[8] დამატ., 905 და პარ. ქ~კა, ჟიჟინაძე, 7.

[9] იკორთის № 6 ჟამნგ., ჩხეიძის კინკლ. და ქ~ცის შევსებულ-გადაკეთებულ ორსავე გაგრძელებაში.

[10] ერისთ. დაუჯდ. და XVI საუკ. ხელთნაწერი.

მტრის შემოსევის თარიღის შესახებ ზემომოყვანილ წყაროებს შორის თუმცა თანხმობა არ სუფევს, მაგრამ ორი თარიღად 1508 წელსა სდებს, ორივე ქ˜ცის გაგრძელება 1509 წ., ორი კიდევ—1510 წელს და მხოლოდ ერთი მათგანი ამ ამბავს 1512 წ. მიაკუთვნებს. პირველი თარიღი მისაღები არ უნდა იყოს და შეიძლება 1509 წ. ან 1510 წ. ყოფილიყო. უკანასკნელი თარიღის შემცველს ხელთნაწერებს ის დიდი უპირატესობა აქვთ, რომ ისინი XVI საუკ. და გელათში არიან დაწერილნი, მაშასადამე, როგორც ქრონოლოგიურად, ისევე გეოგრაფიულად ამ ამბავთან დაახლოებული არიან და ამიტომ იქ უნდა უკეთესად იყოს სინამდვილე დაცული. ქც˜ის შევსებ.-გადაკ. გაგრძელების ცნობა სამაგიეროდ მტრის ამ შემოსევის შესახებ უფრო დაწვრილებითს ცნობებს შეიცავს და თარიღიც უფრო ზედმიწევნილობით არის აღნიშნული, რათგან გელათის აოხრების თვე და რიცხვიც არის დასახელებული. ეს ორი გარემოება თავისდათავად უნებლიეთ მეტს ნდობას იწვევს, განსაკუთრებით, თუ იმავე დროს ქც˜ის პირველი გაგრძელების იმ სიტყვებსაც მივაქცევთ ყურადღებას, სადაც ნათქვამია «ქ უ თ ა ი ს ს თათარნი მოვიდეს»-ო, რაც ამ ცნობის ღირსებისა სიმტკიცესაც ცხადჰყოფს.

ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ ბატონიშვილს ვ ა ხ უ შ ტ ს ლიხთიმერეთში მტრის ორი შემოსევა აქვს აღნიშნული: ერთი 1509 წ., რომელმაც ალექსანდრე მეფე აიძულა ქართლითგან აყრილიყო და იმერეთში დაბრუნებულიყო, მეორე 1512 წ. ბაგრატ მეფის დროს, როდესაც გელათი და ქუთაისი აოხრდა[1]. ამასთანავე პირველ შემომსეველთ ვ ა ხ უ შ ტ ი ჩიხებადა სთვლის, მეორე-კი ოსმალთა შემოსევად აქვს მოხსენებული. ყურადღების ღირსია, რომ კინკლოსებშიაც მტრის ვინაობა ყველგან, სადაც შემოსევის თარიღად 1508, 1509, და 1510 წ-ია, თათრად არის მოხსენებული და მხოლოდ ერთში, რომელშიაც თარიღად 1512 წ. მიღებული, ნათქვამია «ხვანთქარი მოვიდა»-ო, ე. ი. ოსმალთა შემოსევად ითვლება.

ვ ა ხ უ შ ტ ი, როგორც ეტყობა, თავის მოთხრობას იმერეთში მტრის მეორე შესევის შესახებ ამ ერისთავიანთ დაუჯდომელის მსგავს წყაროებზე ამყარებდა, რასაც განსაკუთრებით შემომსევთა ვინაობა და თარიღიც ცხადჰყოფს. საფიქრებელია, რომ პირველი შემოსევის შესახები ცნობა („ჩიხთა" თავდასხმის მომთხრობელი) ერთ-ერთ ზემომოყვანილის მსგავს (თათართა შემოსევის შესახებ) კინკლოსებურ წყაროთგან უნდა ჰქონდეს გამოჩენილს ისტორიკოსს ამოღებული. ალბათ, თარიღების სხვაობამ მას აფიქრებინა, რომ ორი შემოსევა იყო. მაგრამ, თუ ყველა წყაროების ცნობას ჩავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ, თარიღებისა და თავდამსხმელთა ვინაობის განსხვავებისდა მიუხედავად, ყველანი ერთს ამბავს მოგვითხრობენ და ნამდვილ თარიღად 1509 ან 1510 წ. უნდა ყოფილიყო.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჰიჰინაძე, 285.

## [ალექსანდრე მეფის გარდაცვალება]

ვ ა ხ უ შ ტ ი ს სიტყვით, მტრის ამ შემოსევის შემდგომ მეფე ალექსანდრეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია, მძიმედ ავად გამხდარა, «დასნეულდა სალმობითა ძლიერითა და მოკუდა»-ო[1]. ალექსანდრეს სიკვდილის თარიღად მას 1510 წ. აქვს აღნიშნული[2], მაგრამ ამის შესახებ სხვა ქართულ წყაროებში დიდი შეუთანხმებლობაა. ქც˝ის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებაში გადამწერს ცხადი შეცდომა უნდა მოსვლოდა, რათგან თარიღად 193 ქორონიკონია[3]. ეს თარიღი წინამავალს თარიღს (197) არ შეესაბამება, წესრიგსაც არღვევს და, უეჭველია, თავდაპირველს დედანში 198 ქკ˝ნი ეწერებოდა ისევე, როგორც ეს ბარათაშვილისეულს ქცა˝ში სწერია[4].

სწორედ ეს ქორონიკონი, ანუ 1510 წ. არის აღნიშნული ერთს სამწუხაროდ დაზიანებულს კინკლოსში. გარდაცვლილი მეფის სახელი შენახული არ არის, მაგრამ მისი მოადგილის და მემკვიდრის მეფე ბაგრატის სახელი ცხადჰყოფს, რომ დაზიანებულს ადგილას მეფე ალექსანდრეს სახელი უნდა მჯდარიყო. იქ სწერია: 1510 წ., «ქკ˝ს: სჟ͞Ⴈ: გარდაიცვალა მეფე [ალექსანდრე და დაჯდა] მეფედ ბაგრატ»[5].

მაგრამ ერთი ცნობაც მოიპოვება, რომელიც ალექსანდრე მეფის სიკვდილს 1513 წ. სდებს. იქ ნათქვამია: «ქკ˝ნსა ს˝ა (1513 წ.) აქა ალექსანდრე მეფე მიიცვალა ამავე ქკ˝ნსა მისი შვილი ბაგრატ მეფედ დაჯდა»[6].

## ბაგრატის გამეფება იმერეთში

რაკი ალექსანდრე მეფის გარდაცვალების თარიღი იმავე დროს მისი მემკვიდრის ბაგრატის გამეფების თარიღიც არის, ამიტომ ჭეშმარიტების აღდგენა შეიძლებოდა ბაგრატ მეფის ისეთი სიგელებით, რომლებშიც მისი მეფობის ინდიქტიონიც არის აღნიშნული. მაგრამ ამგვარი ცნობა ჯერჯერობით მხოლოდ სამ საბუთში მოიპოვება. სამწუხაროდ, მათგან ორივე სიგელის დედნის მაგიერ შეცდომით გადაწერილი პირია. ნიკორწმიდის 1534 წ. № 34 გრაგნილში ნათქვამია: «დაიწერა ინდიქტიონსა მეფობისა ჩ˝ნისასა მეოთხესა ქკ˝სა: სკბ: თვესა აგვისტოსა ცხრასა»[7]. ეს ინდიქტიონი რომ სწორი იყოს, მაშინ ბაგრატი 1531 წ. უნდა გამეფებულიყო, რაც სრულებით დაუჯერებელი რამეა. უეჭველია, დედანში ოთხის მაგიერ 24 ინდიქტიონი უნდა ყოფილიყო.

გელათის 1545 წ. სიგელშიც სწერია: «დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა, ქკსა: სლგ: თვესა ივ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭიჭინაძე, 285.

[2] ი ქ ვ ე.

[3] დამატ., 905.

[4] იხ. დამატ., 905, შენ. 4.

[5] ჟამნი № 2: ქკ˝ბი II, 327.

[6] იკორთის № 6 ჟამნგულანი; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, 5.

[7] ქკ˝ბი II, 379.

ნისსა: იბ:»[1]. აქაც ცხადი შეცდომაა, რათგან ბაგრატის გამეფების თარიღად 1541 წ. მიღება სრულებით შეუწყნარებელი რამე იქმნებოდა.

ხსნა მხოლოდ ოყურეშის ეკლესიის ერთი ხატის წარწერაშია, რომელიც თვით ბაგრატ მეფის მიერ არის შეკეთებული და მისივე ბრძანებით წარწერით არის შემკული. იქაც მეფობის ინდიქტიონი არის მოხსენებული. ამ წარწერაში ნათქვამია: «ჩვენ ღვთივ-გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენ-მან დედოფალთა დედოფალმან ელენე ხატი ესე... მოვაჭედ[ინ]ეთ... ქ~კსა: სკდ; ინდიქტიონსა მეფობისა ჩემისა (sic) კვ»[2]. 1536 წ. თუ ბაგრატის მეფობის ოცდაექვსი ინდიქტიონი იყო შესრულებული, მაშ ის 1510 წ. გამეფებულა.

ამ დასკვნას გელათისადმი 1513 წ. ბაგრატ მეფის მიერ ნაბოძები სიგელის ცნობაც ადასტურებს. იქ სახელდობრ ნათქვამია: «მე ჯვარისამტვირთველსა ფანჩულიძესა იაკობსა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამა დაწერილისა. ქორონიკონსა სა (201), ინდიქტიონსა მეფობისა... ბაგრატისსა სამსა»-ო[3].

მაშასადამე, ოყურეშის ხატის წარწერის მსგავსად, ამ სიგელისდა მიხედვითაც ბაგრატი 1510 წ. გამეფებულა. ამგვარად, ბატონიშვილი ვახუშტისა და № 2 ჟამნის ცნობათა სიმართლე ცხადი ხდება.

## [კახეთის მეფე ავ-გიორგი და ქართლის მეფე დავითი]

იმერეთის მეფის ალექსანდრეს სიკვდილმა დავით ქართლის მეფეს ერთი მოუსვენარი მეზობელთაგანი ჩამოაშორა. სამაგიეროდ ეხლა აღმოსავლეთით გაუჩნდა მას ძლიერი მოცილე და მოწინააღმდეგე. ბატონიშვილ ვახუშტის სიტყვით, სანამ კახეთში მეფედ ალექსანდრე იჯდა, მშვიდობიანობა და მეგობრობა სუფევდა ქართლსა და კახეთში. კახთ-ბატონს ალექსანდრეს უკვე მეფე კონსტანტინესთან დაუდვია ზავი და საზღვრების შესახებ მათ შორის სრული თანხმობა მომხდარა[4].

ალექსანდრე კახთა მეფეს, ქ~ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების და ვახუშტის ცნობით, ორი ვაჟი ჰყავდა, რომელთაგან «უხუცესსა ეწოდა გიორგი და უმრწემესსა ეწოდა დიმიტრი»[5], რაც თვით ალექსანდრეს საბუთებითაც მტკიცდება. 1505 წ. მცხეთის სიგელში ის ამბობს: «თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან დედოფალმან ანა და პირმშომან ძემან ჩუენმან გიორგი და დიმიტრი» და ჩვენ «ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე თუით-კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელისა ნათესავმან მეფემან ალექსანდრე»-ო[6].

---

1 საქართველოს სიძველენი I, 25.
2 Brosset, Voyage, IX rapp., 26.
3 ს. კაკაბაძე, 5, 11—14.
4 ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 159.
5 დამატ., 906 და ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 159.
6 ისტ. საბ. III, 42.

## [გიორგის ლაშქრობა ქართლში]

უფროსი შვილი გიორგი მძლავრი და ბოროტი ბუნების კაცი იყო. მას მამის მშვიდობიანი პოლიტიკა არ მოსწონდა და ქართლის შემოერთებას ურჩევდა. რაკი გიორგიმ მამა ვერ დაიყოლია, თითონ «დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა». ალექსანდრე მეფე და მისი უმცროსი შვილი გიორგის ამას უშლიდნენ და ეხვეწებოდნენ, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრისათვის თავი დაენებებინა: ქართლელნიც ჩვენი «ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა, კმა არს შენთვის კახეთიცა»-ო [1].

მაგრამ მოძმეთა სისხლის დაღვრა როგორ შეაშფოთებდა გიორგისავით ბოროტს ადამიანს. მას არამცთუ მამის და ძმის დარიგებისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია; პირიქით, მის გულში უფრო შემზარავს ზრახვას დაუბუდია.

## [გიორგის მიერ მამის, ალექსანდრე მეფის მოკვლა]

გიორგის მარტო ქართლის დაპყრობა-კი არ გაუხდია მიზნად, არამედ კახეთის ტახტის ხელში ჩაგდებაც. ამასთანავე, ისე, რომ მას მომავალში, არავინ ჰყოლოდა მოცილე. მემატიანე ქ̃ცის შევს.-გადაკ. გაგრძელებაში ამტკიცებს, ვითომც, რაკი ალექსანდრე მეფე და მისი შვილი დიმიტრი გიორგის ქართლის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო გეგმის განხორციელებას წინააღუდგნენ და «გარდაუდგნენ წინა საფურცლესა», ამით განრისხებული «აღივსა შურითა გიორგი და ღალატით მოკლა მამა თვისი ალექსანდრე», რომელიც თურმე «დამარხეს კახთა მეფეთა სასაფლაოსა ალავერდს შინა, შიგნით საყდარსა უკანა ეკვდერსა შინა». თუ მამა ასე მხეცურად გამოასალმა წუთისოფელს, ხეირი არც ძმისათვის დაუყრია: «შეიპყრა ძმა თჳსი დიმიტრი და დასთხარა თვალები»-ო. როდესაც გიორგის ეს საზარელი საქმე ჩაუდენია, «მაშინ იყო ქ̃კნი: რჟთ:» ანუ 1511 წ. [2].

ღალატით მოწყობილი მკვლელობა წინასწარ განზრახულსა და განგებულს ბოროტმოქმედებას გულისხმობს და ცხადად მოწმობს, რომ ავ-გიორგის ეს საშინელი საქმე არც დამაბრმავებელი ვნებათაღელვისა და მით უმეტეს არც ფათერაკის შედეგი უნდა ყოფილიყო.

მამა მოკლა თუ არა, გიორგი ბატონიშვილი მაშინვე კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა და თავისი თავი ურცხვად «ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა და სამეფოს» გამაერთიანებლად და მპყრობელად და «აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა» მეფეთა-მეფედ გამოაცხადა, ყოველი ღირსებით «აღმკულად», რომლის დროსაც «აგარიან ნათესავნი, მტერნი წინააღმდგომნი» ვითომც «სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ» იყვნენ [3].

---

[1] დამატ., 906.

[2] დამატ., 906.

[3] 1511 წ. მცხ. № 472 სიგ.: ისტ. საბ. III, 44—45.

გიორგი არც ამას დასჯერებია და, თუმცა თვალდათხრილი მაინც, თავისი ძმა დიმიტრი კახეთში არ დააყენა და «ცოლითა და შვილით გამოაგდო»[1].

ამის შემდეგ, ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების სიტყვით, მამისმკვლელი გიორგი «მოვიდა მცხეთას და სვეტს ცხოველს შემოეხვეწა და იყო რამდენიმე ხანი» ალბათ თავისი შემაძრწუნებელი ცოდვისა და ბოროტმოქმედების მოსანანიებლად[2].

რამდენად მართალია ქ˜ცის შევს.-გადაკეთებული პირველი გაგრძელების მთელი ეს ცნობა? მოკლედ ეს ამბავი მეორე გაგრძელებასაც მოეპოვება: «ქ˜კსა. რჟთ: მოკლა კახთა მეფემან გიორგი მამა მისი მეფე ალექსანდრე და ძმას თვალები დასთხარა დიმიტრის»[3]. სწორედ ასევეა მოთხრობილი ერთს სხვა კინკლოსშიაც:

1511 წ. «ქ˜კს. რჟთ: გიორგი კახთა მეფემ მოკლა მამა მისი ალექსანდრე და ძმას დიმიტრის თვალები დასთხარა»-ო[4].

ბატონიშვილი ვ ა ხ უ შ ტ ი[5] იმაზე მეტს, რაც ქ˜ცის შევს.-გადაკეთებულს პირველ გაგრძელებასა აქვს, არაფერს მოგვითხრობს. პირიქით, მას ზოგიერთი ნიშანდობლივი და ზედმიწევნითი გარემოება აღუნიშვნელი დარჩენია, რაც მოწმობს, რომ ვახუშტს ამ შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებული წყარო არ ჰქონია, ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელების ავტორს-კი სხვებთან შედარებით უფრო ვრცელი და შინაარსიანი წყაროთი უსარგებლია.

გიორგი კახთა მეფეს რომ მართლაც დიდი ცოდვა ჰქონია ჩადენილი, ამას მისივე სიტყვებიც ამტკიცებენ. 1511 წ. ერთს მცხეთის შეწირულობის წიგნში ის ამბობს: «ჩუენთა ცოდვათა სიმრავლისა და სოფლისა ვითარებისაგან ც ო დ ვ ი ს ა ს ა ქ მ ე ს შ ე ვ ე ს წ ა რ»-ო[6]. ეს „ც ო დ ვ ი ს ს ა ქ მ ე“ იმდენად არაჩვეულებრივი და მძიმე უნდა ყოფილიყო, რომ მის გარჩევაში სამს ქართველს მღვდელმთავარს დასჭირებია მონაწილეობის მიღება. ამას თვით გიორგივე გვაუწყებს იმავე საბუთში: «თქუენ პატრონი ქ˜ზი დიონოსი, პატრონი მთავარ-ეფისკოპოზი მალაქია და პატრონი ამბა ალავერდელი იოანე რ ჯ უ ლ ი ს ა წ ე ს ი თ ა გ ა მ ო გ ვ ე ნ ა ხ ე ნ ი თ»-ო[7]. ცხადია, უბრალო და ჩვეულებრივი ცოდვა რომ ჩაედინა, ამდენი მაღალი სამღვდელო პირის ჩარევა საჭირო არ იქნებოდა. უეჭველია, ისინი გიორგი მეფესთან იმ «ცოდვისა საქმეს» სამხილებლად და დასაურვებლად უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი, რომელსაც ზემომოყვანილი საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ. მეფეს, ალბათ, ეთაკილებოდა მხოლოდ და არ უნდოდა

---

[1] დამატ., 906.

[2] ი ქ ვ ე.

[3] პარიზის ქ˜კა, ჟ ი ჟ ი ნ ა ძ ე, 7.

[4] კრებული ლექსთა: ქკ˜ბი II, 328.

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ჟიჟინაძის გამოც., 159—160.

[6] ისტ. საბ. III, 45.

[7] ი ქ ვ ე.

შეწირულების წიგნში პირდაპირ ეთქვა, სახელდობრ რა საზარელი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი.

ქართლის კათალიკოსს, მთავარეპისკოპოსს და ალავერდელს გიორგი მეფისაგან ცოდვის შონანიება და დაურვება მოუთხოვიათ და მასაც ყველაფერი აუსრულებია. მარტო ის გარემოებაც, რომ საკათალიკოსო საყდრის ყველა მამულებისათვის მას სითარხნისა და შეუვალობის სიგელი დაუმტკიცებია, მათზე კარგს შთაბეჭდილებას მოახდენდა. მაგრამ გიორგი მეფეს საგანგებოდ ხაზგასმულობით ნათქვამი აქვს: რაც თქვენ მოგვთხოვეთ, «გავიგონეთ და მცხეთისა საყდარსა შემოვეხუეწენით და დავიურვეთ»-ო [1]. ეს სიტყვები იმასვე გულისხმობს, რაც ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებასა აქვს მოთხრობილი, რომ ავ-გიორგი «მცხეთას მივიდა და სვეტს-ცხოველს შემოეხვეწა»-ო. საურავად მას ერთი ს. კუნელნი შეუწირავს საკათალიკოსო საყდრისათვის, რომ «სულ-კურთხეულისა მამისა ჩუენისა ალექსანდრესთუის» ალაპი გადაეხადათ, და ერთიც ს. ჩეკურნი, რომ მის მეფობის წარსამართებლად და ცოდვათა შესანდობელად“ ალაპი დაწესებულიყო [2].

მაშასადამე, თვით გიორგი მეფისვე საბუთი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქ˜ცის შევს.-გადაკ. პირველი გაგრძელებისა და სხვა კინკლოსური წყაროების ზემომოყვანილი ცნობა მართალი უნდა იყოს.

იგივე გიორგი მეფის 1511 წ. გუჯარი საშუალებას გვაძლევს ამ შემაძრწუნებელი ამბავის თარიღიც ზედმიწევნით განვსაზღვროთ. ეს საბუთი დაიწერა «ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა. ქ˜კსა: რჟთ» [3]. რაკი 1511 წელს გიორგის მეფობის უკვე ერთი ინდიქტიონი ანუ წელიწადი ყოფილა შესრულებული, ამიტომ ისე გამოდის, რომ გიორგი 1510 წ. გამეფებულა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ავ-გიორგი 1511 წ. დამდეგს გამეფდა, თვით საბუთი-კი ამავე წლის დამლევს იყო დაწერილი, შესაძლებელია, რომ მეფობის ერთი ინდიქტიონი ყოფილიყო. რაკი ავ-გიორგი მეფედ მამის მკვლელობის შემდეგ დაჯდა, ამიტომ ცხადია, რომ ალექსანდრე კახთა მეფე მის შვილს ღალატით ან 1510 წ., ან, როგორც საისტორიო წყაროებშიცაა აღნიშნული, 1511 წელს გამოუსალმებია წუთისოფელს.

თანამედროვეებმა და შთამომავლობამ ამ შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებისათვის, მამის მკვლელობისათვის, „ავ-გიორგი“ უწოდეს [4].

## [ავ-გიორგის მიერ ქართლის დარბევა]

ავ-გიორგის რომ თავისი მამა ვერაგულად მოუკლავს, მაშინ ქართლის მეფე დავითი, ვახტანგის სწავლულ კაცთა, ვახუშტისა და ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების თქმით, თურმე ატენს იდგა «ტაძრეულითა და მცველითა თვი-

---

[1] ისტ. საბ. III, 45.

[2] იქვე.

[3] იქვე, 46

[4] ვახტანგ VI, „სწავლ. კაცთა“ ქ˜ცის გაგრძ. 47, ქ˜ცის შევს.-გადაკ. გაგრძელება, გვ. 906.

სითა». ავ-გიორგი დავითს ატენს მიუხდა და აღება უნდოდა, მაგრამ ვერას გახდა და შინ წავიდა. შემდეგშიაც ის თავისას არ იშლიდა და ქართლს არბევდა და აოხრებდა[1]; დავით მეფე, როგორც სუსტი ნების პატრონი და გაუბედავი, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა: მას წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ხოლო რაკი ძმები მეფის ასეთს სისუსტეს ხედავდნენ, აღშფოთებულნი აქეზებდნენ თავის უფროსს ძმას: კმარა, გვეყო რაც აქამდის მოვითმინეთო. წინათ კახეთიც «მამათა ჩვენთა ეპყრათ» და ავ-გიორგის წინამორბედებმა «მამათა ჩვენთა კახეთი მიუღეს". ამას ასე თუ ისე ვიტანდით. ავ-გიორგის «აწ ქართლისაცა ჰნებავს მიღება» და საქართველოში მარტოდ-მარტო გაბატონებაო. რაკი ასეა, ჩვენც შეერთებულის ძალით შევებრძოლებით და დავაჴხობთო. მაგრამ დავით მეფე მაინც იერიშის მიტანაზე არ დათანხმებულა[2]. მაშინ ბაგრატ ბატონიშვილმა ავ-გიორგის ალაგმა პირადად ითავა და ამიტომ «სთხოვა უმრწემესმან ძმამან მისმან მეფესა დავით მუხრანი საუფლისწულოდ და დროშა» და «გამოითხოვა ერისთავი ქსნისა და კეობა არაგვისა»[3]. ვახტანგი თავის ძმას ჰპირდებოდა, რომ თუ მისი თხოვნა შეწყნარებული იქმნებოდა, მაშინ ის ავ-გიორგის შეიარაღებულს წინააღმდეგობას გაუწევდა. თუმცა მეფე დავითს ეს ამბავი არ მოსწონებია, მაგრამ მაინც იძულებული ყოფილა დათანხმებულიყოო[4]. ბაგრატმა მუხრანს «მტვერის ციხე» ააშენა, «რომელ არს ციხისძირის თავსა»-ო და თითონაც იქ დადგა საცხოვრებლადო[5]. ასე და ამ დროს შეიქმნა მუხრან-ბატონობაო. ეს ავ-გიორგის სამტროდ მოწყობილი საქმე და სამზადისი მას არ გამოჰპარვია: მაშინვე ჯარი შეუყრია და ახლად აგებულს ციხეს მისდგომია. სამი თვის უნაყოფო გარემოცვის შემდგომ, როდესაც ავ-გიორგი დარწმუნებულა, რომ ამგვარი საშუალებით ვახტანგ ბატონიშვილის ძლევა ადვილი არ იყო, აყრილა და კახეთში გაბრუნებულა[6].

## [ავ-გიორგის შეპყრობა ქართლის მეფის მიერ]

ცოტა ხნის უკან ავ-გიორგის კვლავ გამოულაშქრია, შეჰსევია ზემო-ქართლს და დაურბევია. ნაცარცვ-ნაშოვნით დატვირთული ის თურმე უკვე არხეინად შინ ბრუნდებოდა: გათამამებულს ჯარი წინ მიუდიოდა, თითონ-კი უდარდელად ნადირობით შორით უკან მისდევდა. ამ გარემოების შეტყობისთანავე ბაგრატ ბატონიშვილი ავ-გიორგის ჩაუსაფრდა: მცირერიცხოვანი ჯარით «დაუმზირდა ხევსა მას შინა, რომელ არს ძალისა და ჭაპურს შუა». ავ-გიორგი რომ ამ ადგილს მოუახლოვდა, ბაგრატი მოულოდნელად მას თავს დაეცა და თვით კახთა მეფეცა და მისი ამალაც შეიპყრა. დაჭერილი ავ-გიორგი ბაგრატმა მუხრანის ციხეში ჩააგდო. ეს ამბავი ქ҃ცის გაგრძელების

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭიჭინაძე, 25; ქ҃ცის გაგრძ. 47 და დამატ., 906—907.

[2] ქ҃ცის გაგრძ.: მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი, თბილისი, 1907 წ., გვ. 47.

[3] ქ҃ცის გაგრძ. (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი) 47, დამატ., 907 და ვახუშტის ისტ., ჭიჭინაძე, 26.

[4] ი ქ ვ ე.

[5] ი ქ ვ ე; ქ҃ცის გაგრძ. 47.; დამატ., 907 და ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭიჭინაძე, 26.

[6] ქ҃ცის გაგრძ. 47—48; დამატ., 907—908; ვ ა ხ უ შ ტ ი, 26.

შემდგენელ „სწავლულ კაცთა“ სიტყვით მომხდარა «ქრისტეს აქათ ჩფიდ» 1514 წ.[1] იგივე თარიღი აქვს ქ˝ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებასაც. მას მხოლოდ წინ უძღვის თარიღი ქრონიკონითაც: «ქ˝კსა სა»,201-საო[2]. ვახუშტ ბატონიშვილს ქრისტესით 1513 წ. აქვს აღნიშნული, ხოლო ქრონიკონით 201[3].

შეპყრობილი ავ-გიორგის ბედიღბლის შესახებ ქ˝ცის ვახტანგისეულს გაგრძელებაში ნათქვამია, რომ ბაგრატმა «მაშინ მიუმცნო ძმას თუისსა მეფესა დავითს საქმე ესე და, რა ესმა საქმე ესე, განიხარა ფრიად, და ხანსა მცირედსა მოკუდა ავ-გიორგი და რომელნიმე იტყუიან დაარჩვესო და რომელნიმე იტყუიან თავისსა დღით მოკუდაო. აღაშენა მცხეთას მცირე ეკლესია მთავარანგელოზისა ჩრდილოთ კერძო და მუნ დამარხეს და მიერითგან იტყუიან კახი ბატონნი, რომე მცხეთა სამარხო არისო ჩვენიო»[4]. დანამდვილებით არც ბატონიშვილს ვახუშტს სკოდნია ავ-გიორგის აღსასრულის ამბავი: მაშინვე, როდესაც შეიპყრეს, «ამასვე ქრონიკონს მოაშთვეს ანუ მოკუდა»-ო[5]. მხოლოდ ქ˝ცის შევს.-გადაკეთებულ გაგრძელებაშია გადაჭრით ნათქვამი, რომ დაჭერის მერმე «შემდგომად მცირედისა ჟამისა მოაშთვეს ავ-გიორგი ციხესა მასშინა და მოკვდა»-ო, დანარჩენი-კი მისი დასაფლავების შესახებ იმგვარადვეა მოთხრობილი, როგორც ქ˝ცის ვახტანგისეულ „სწავლულ კაცთა“ გაგრძელებაშია[6].

თუ ზემომოყვანილ ცნობებს ჩავუკვირდებით, შევატყობთ, რომ „სწავლულ კაცთ“ ავ-გიორგის შეპყრობისა და სიკვდილის ამბავი ზეპირი გადმოცემით უნდა ჰქონდეთ მოთხრობილი. ამას მეტადრე ის მათი განცხადება გვაფიქრებინებს, სადაც ნათქვამია: «რომელნიმე იტყუიან დაარჩვესო და რომელნიმე იტყუიან თავისი დღით მოჰკვდაო»[7]. ღვინისა და ორაგულის ურთიერთისადმი მოძღვნის სახუმარო დამცინავი მოთხრობაც, რომელშიც ავ-გიორგის მიერ მტვერის ციხის გარემოცვის ამბავია ჩაქსოვილი, ზეპირ გარდმოცემას უფრო მიაგავს, თუმცა თავისდათავად შესაძლებელია მართალიც იყოს. ბატონიშვილი ვახუშტისა და ქ˝ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების ცნობები არსებითად ახალს არას შეიცავენ და „სწავლულ კაცთა“ მოთხრობას მისდევენ იმ განსხვავებით, რომ ვახუშტსაც ვერ გადაუწყვეტია, რომელი ორ ცნობათაგანი ავ-გიორგის სიკვდილის შესახებ უფრო სწორია. ამიტომაც არის, რომ ნათქვამი აქვს: «მოაშთვეს ანუ მოკუდა»-ო. ქ˝ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორს-კი „მოშთობის“ ცნობა მიუჩნევია სამართლიანად.

---

1 ქ˝ცის გაგრძელება (მ. ჯანაშვილი, ნაშრომი), გვ. 48.
2 დამატ., 909.
3 ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 27.
4 ქ˝ცის გაგრძელება (მ. ჯანაშვილი, ნაშრომი), გვ. 48.
5 ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 27.
6 დამატ., 909.
7 ქ˝ცის გაგრძელება, გვ. 48.

ჰქონდათ, თუ არა, „სწავლულ კაცებს“ ავ-გიორგის შეპყრობისა და სიკვდილის შესახებ ზეპირ ცნობებს გარდა რაიმე წერილებითი წყაროები, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუმცა ამ ამბავის დათარიღება იქნება ამის შესაძლებლობას გვაფიქრებინებდეს. ვახუშტ ბატონიშვილის შესახებ-კი სრული უეჭველობით შეიძლება ითქვას, რომ მას ხელთ წერილობითი წყაროები ჰქონია. ბაგრატ ბატონიშვილისაგან ავ-გიორგის დატყვევების გამო ვახუშტს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: «ხოლო სხვა ქორონიკონში თვით დავით მეფისა და ავ-გიორგის შებმა სწერია»-ო[1]. ამ სიტყვებითგან ცხადად ჩანს, რომ სახელოვანს ქართველ მეცნიერ ისტორიკოსს, ერთი წყაროს გარდა, ჰქონია „სხვა“ წყაროც, რომელშიაც განსხვავებული ცნობა წერებულა. ვახუშტის სიტყვები «სხვა ქორონიკონში» თითქოს გვაფიქრებინებენ, რომ მას ავ-გიორგის ბაგრატ მუხრან-ბატონის მიერ დატყვევების შესახებაც, ზეპირ გარდმოცემას გარდა, იქმნება წერილობითი წყაროც, „ქორონიკონი“ ჰქონდა, თუ რომ აქ ქორონიკონად ქ˜ცის „სწავლულ კაცთა“ გაგრძელება არ არის ნაგულისხმევი, რაც საეჭვოა. ხოლო ვახუშტი ბატონიშვილის შენიშვნაში მოყვანილი ზემოაღნიშნული ცნობა რომ სრულს სიმართლეს შეიცავს, ამის დამამტკიცებელი საბუთი ეხლაც არა ერთი მოიპოვება. მართლაც, სხვადასხვა კინკლოსებში შემდეგსა ვკითხულობთ:

1513 წ. «სა აქა ქართლის მეფე დავით და კახი მეფე გიორგი შეიბნეს მუხრანს და გიორგი მეფე მოკლეს, ძალის შეიბნეს»-ო[2].

«ქ˜კსა ორას და ერთსა მეფე დავით ქართლისა და მეფე გიორგი კახეთისა შეიბნეს მუხრანს და მეფეს დავითს გაემარჯვა და გიორგი კელთ დარჩა და მასვე წელსა მოკლეს»-ო[3].

«ქკს: სა: ქართლის მეფე და კახი მეფე გიორგი მუხრანს ძალის შეიბნენ და ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და კელთ დარჩა მეფე გიორგი. ამავე წელს მოკლეს მეფე გიორგი»[4].

კინკლოსების ზემომოყვანილი ცნობები ავ-გიორგის დამარცხებისა და სიკვდილის გარემოებას მართლაც სულ სხვაგვარად გვიხატავენ, ვიდრე „სწავლულ კაცთა“ და ბატონიშვილი ვახუშტის თხზულებაშია მოთხრობილი. აქ მეფე დავითსა და ავ-გიორგის შორის მომხდარი ბრძოლაა, მთავარ მოქმედ პირადაც ბაგრატ ბატონიშვილი-კი არა, არამედ ქართლის მეფეა დასახელებული. ბაგრატი ამ ცნობებში არც-კი იხსენიება. მეტის-მეტი სიმოკლის გამო, არაფერია მოხსენებული იმის შესახებ, თუ როგორ დარჩა ხელთ დავითს ავ-გიორგი, ჩასაფრების წყალობით, თუ პირდაპირი შებრძოლებით. სიტყვა „შეიბნეს“ თითქოს ამ უკანასკნელ აზრს უფრო სამართლიანად ხდის, თუმცა ჩასაფრებულსაც მეფე დავითს ავ-გიორგითან ბოლოს მაინც შებმა დასჭირდებოდა, თუ მან მოწინააღმდეგის უეცრად მოკვლა ვერ მოახერხა. ბრძოლა იმავე ად-

---

[1] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 26.

[2] ყარაეთის ჟამნგულანი, ე. თაყაიშვილი, 10.

[3] ერისთავიანთ დაუჯდომელი, ე. თაყაიშვილი, 13.

[4] წიგნი ქრონიკონნი: ქ˜ები II, 332.

გილას მუხრან-ძალისს მომხდარა, სადაც „სწავლულ კაცთა“ და ვ ა ხ უ შ ტ ს. ბაგრატისაგან ავ-გიორგის შეპყრობა აქვთ მოთხრობილი. შედეგი-კი და თარიღი აქ სრულებით მკაფიოდ არის აღნიშნული: მეფე დავითი და ავ-გიორგი 201 ქრონიკონს ანუ 1513 წ. შებმულან, ქართლის მეფეს გაუმარჯვნია ისე, რომ თვით კახთა მეფეც-კი ხელთ ჩავარდნია და იმავე წელს ავ-გიორგი მოუკლავთ.

ცხადია, ერთ-ერთს ამ ორ მოთხრობათაგანს ვითარცა ჭეშმარიტების შემცველს უპირატესობა უნდა მიენიჭოს: შეუძლებელია ორივე ამბავი ცალ-ცალკე და ერთსა და იმავე ალაგას მომხდარიყო. კინკლოსების ცნობას „სწავლულ კაცთა“ და ვ ა ხ უ შ ტ-ქ ც ის შევსებ.-გადაკ. გაგრძელების მოთხრობასთან ის თვალსაჩინო უპირატესობა აქვს, რომ იგი წერილობითი წყაროა და არა ზეპირი გარდმოცემა. ზეპირად გარდმოცემის დროს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მოთხრობა თანდათანობით ადვილად შეიცვლებოდა და გადაკეთდებოდა. ამიტომ შესაძლებელია ბაგრატის შემწყვდევა ავ-გიორგის მიერ მტვერის ციხეში, მეტადრე-კი ავ-გიორგისათვის ამ უშედეგო გარემოცვასთან დაკავშირებული მხატვრული სახუმარო ცნობები ღვინისა და ორაგულის შესახებ, სწორედ ზეპირსიტყვაობის შემოქმედების ნაყოფი იყოს და არა უტყუარი სინამდვილე.

## [დავით მეფის ლაშქრობა კახეთის დასაპყრობად]

### [ავ-გიორგის ცოლისა და შვილის შეპყრობა]

მოპოვებული გამარჯვების შემდგომ დავით მეფეს მარტო თავისი დაუძინებელი მტრის მოშორება უკვე აღარ აკმაყოფილებდა, მას უნდოდა საზოგადოდ ცალკე კახეთის სამეფოს არსებობა მოესპო და თავისი საბრძანებლისათვის შემოეერთებინა. ამიტომ ავ-გიორგის მოკვლის შემდგომ, დავით მეფე კახეთში შესულა და დაუპყრია. ხოლო, რაკი ავ-გიორგის დარჩა თანამეცხედრე დედოფალი ელენე და მცირეწლოვანი შვილი ლეონი ანუ ლეუანი, დავით მეფეს, როგორც ეტყობა, კახთ-ბატონობის სამეფო საგვარეულო შტოის მოსასპობლად, დედა-შვილის შეპყრობაც სწადდა. ამის შიშით კახთა მეფის სახლთუხუცესსა გარსევან ჩოლოყაშვილს, რომელიც დედოფლის ნათესავიც ყოფილა, დედოფალიცა და ლეონიც თავისთან დაუმალავს. ეს რომ დავით მეფემ შეიტყო, მაშინვე «წარავლინა ძმა თუისი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათა დასჩხრიკონ კახეთს მსახლობელნი დიდით ვიდრე მცირემდი, რათა იპოვონ ყრმა იგი». ლეონ ბატონიშვილის მოსაძებნად წასულნი სხვათა შორის სახლთხუცესის გარსევანის სახლშიაც ყოფილან, სადაც ეს მცირეწლოვანი უფლისწული დამალული იყო. მისულ „სწავლულ კაცთა“ სიტყვით გარსევანი გამასპინძლებია და ვითომც ამგვარი ხერხით გადაურჩენია კიდევაც ლეონი: «გარსევანმა მოიყუანა ყრმა იგი ლეუან მონისა თუისისა მსგავსად» გამოწყობილი და გამასპინძლების «დღესა მეღვინედ იმსახურებდა ყრმასა, ვითარცა მონასა». ხოლო როდესაც საქმე გამოძიებამდის მივიდა, «დღესა მეორესა შეფიცა ფიცითა საშინელითა ბაგრატს» ბატონიშვილს: «რაოდენიცა თქუენ ჩემსა

სახლში არ იხილენით და რაც თქუენმა თვალმა არ ნახა, იმის მეტი არა მყუანდეს არცა დიდი კაციშვილი და არც ცოტასი»-ო. ასე ოსტატურად მოწყობილი ფიცით გარსევანს ვითომც დაეჯერებინოს ლეონის აღმოსაჩენად მოსულნი და პატარა ბატონიშვილი ამ ხერხით გადაერჩინოს[1].

ბაგრატ მუხრანბატონი, ერისთავი და ამილახორი რომ დაბრუნდნენ, გარსევან ჩოლაყაშვილი დარწმუნდა, რომ ლეონის თავისთან დამალვა გამოუმჟღავნებლივ დიდხანს შეუძლებელი იყო. ამიტომ გარსევანმა კახთა მეფის მემკვიდრე წაიყვანა და დამალა «ციხესა მას ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა»-ო[2]. ქ῀ცის გაგრძელების ამ მოთხრობას ბატონიშვილი ვ ა ხ უ შ ტ ი[3] და ქ῀ცის შევს.-გადაკ. გაგრძელებაც იმეორებენ[4]. ამ ორ უკანასკნელს ავტორს თავისი საკუთარი წყარო ამ ამბავისათვის, როგორც ეტყობა, არ უნდა ჰქონოდა და მათი მოთხრობა მხოლოდ „სწავლულ კაცთა“ ნაამბობს იმეორებს. არა ჩანს, რომ „სწავლულ კაცთაც“ აქ რაიმე იმდროინდელი წერილობითი ძეგლით ესარგებლათ. პირიქით, გარსევან ჩოლოყაშვილის ეშმაკობის ამბავი, რომლითაც ქართლის მეფის გამომძიებელთათვის მას ლეონ ბატონიშვილის ვინაობა და იქ მყოფობა ვითომც უნდა დაემალოს, გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ალბათ უფრო ზეპირსიტყვაობასთან და ხალხურ გარდმოცემასთან უნდა გვქონდეს საქმე. ამიტომ შესაძლებელია გარსევან ჩოლოყაშვილის ხერხიანობის ამბავი უფრო ხალხური სიტყვიერების ნაყოფი იყოს, ვიდრე სინამდვილე. ქ῀ცის შევს.-გადაკ. გაგრძელებას გარსევანის ამ ოსტატობის შესახებ ცოტა სხვანაირად აქვს ნაამბობი. მოთხრობა როგორც ეტყობა გადაკეთებულია, მაგრამ ისე უშნოდ, რომ მას უკვე ყოველგვარი მნიშვნელობა და გონებამახვილობა და ენამახვილობა დაჰკარვგია.

„სწავლულ კაცთა“ და ვ ა ხ უ შ ტ ბატონიშვილს, მაშასადამე, ლეონ ბატონიშვილი ოჩანის ციხეში ეგულებოდათ დამალული. ქ῀ცის შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების აღმწერელი-კი ამტკიცებს, რომ კახელებმა «წ ა რ ი ყ ვ ა ნ ე ს ლ ე ვ ა ნ მ ო ს კ ო ვ ი ს ა კ ნ ი ა ზ თ ა ნ ა და დედა მისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მაღრანისასა (ან მაღნარისასა) და განამაგრეს ციხე იგი»-ო[5].

ეს ცნობა, ცხადია, სწავლულ კაცთა და ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცნობისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება და, რასაკვირველია, შეუძლებელია ქ῀ცის შევსებ.-გადაკ. გაგრძელების ავტორისაგან შეთხზული იყოს. სამწუხაროდ არა ჩანს, საითგან არის ამოღებული, რომ მისი ღირსება გამორკვეულიყო. რუსულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია შენახული. პირიქით, 1492 წ. შემდგომ ორმოცდაათი წლის განმავლობაში რუსულ საისტორიოსა და დიპლომატურ წყაროებში საქართველოსთან რაიმე კავშირის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება[6].

---

[1] ქ῀ცის გაგრძ. (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი) 48—49.

[2] ი ქ ვ ე, 49.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჭიჭინაძე, 27 და 160.

[4] დამატ., 909—910.

[5] დამატ., 909.

[6] С. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. 1-ый. 1889 წ. გვ. XXIX.

მაგრამ, როგორც შემდეგში, თავის ადგილას, აღნიშნული იქმნება, უკვე სამეფო ტახტზე მჯდომს ლეონს რუსეთის მეფეებთან მიწერმოწერა და დამოკიდებულება ჰქონდა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ქ̃ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ზემომოყვანილი ცნობა შეიძლება სრულებით უსაფუძვლო არ იყოს.

## [შაჰ-ისმაილის შემოსევა ქართლის დასაპყრობად]

დავით მეფის კახეთის უცილობელს პყრობას ბოლო თურმე გარეშე ხალხის შემოსევის მოლოდინმა და შიშმა მოუღო. ქართული კინკლოსების ცნობით, 1518 წ. ყაენი, ანუ სპარსეთის შაჰი, ისმაილი ქართლის დასამორჩილებლად წამოსულა. რამ გამოიწვია და როგორი გეგმა ჰქონდა ისმაილს, ჯერ არა ჩანს, მაგრამ მისი მოქმედება ამტკიცებს, რომ მას მაინცდამაინც ფართო განზრახვა არ უნდა ჰქონოდა. კინკლოსებში ნათქვამია:

1518 წ. «ქ̃სა: სვ.: წამოვიდა ყაენი ქართლისა ოკრებად, მეფემან დავით თჳსი შვილი გაუგზავნა»-ო[1].

«ქ̃კს: სვ: ყეენი წამოვიდა ლაშქრითა დიდითა ქართლ̃ს აოხრებლად და პატრონმა დავით მეფემან თავისი შვილი რამაზ გაუგზავნა ყეენს და დაიხსნა ქართლი»-ო.

ამგვარივე ცნობა ქ̃ცის შევს.-გადაკ. პირველსა და მეორე გაგრძელებაში მოიპოვება, მხოლოდ ზოგიერთი ახალი გარემოებაა იქ აღნიშნული. იქ სახელდობრ ნათქვამია: «ქ̃კსა ს̃ვ. ყაენი ჩამოვიდა ულუსითა საქართველოს, საქრისტიანოთა ხატთა და ჯვართა, ყველასა ატყუვე[ვე]ბდეს. პატრონმან მეფემან დავით თავისი შვილი რამაზ თათარში გაგზავნა და ყაენს წინ მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო»[3].

### [ისტორიკოს ხონდემირის ცნობები]

ქართული ზემომოყვანილი კინკლოსების ცნობების სიმართლეს ადასტურებს, სპარსელი ისტორიკოსი ხონდემირი რომელსაც თავისი თხზულებაში ამის შესახებ ამასთანავე უფრო ვრცელი და შინაარსიანი მოთხრობა აქვს ჩართული. ხონდემირის სიტყვით, შაჰ ისმაილს 1518 წ. ნახჭავანში მოსვლისთანავე ქართველების წინააღმდეგ თავისი ერთ-ერთი სარდალთაგანი დივ-სულტანი გამოუგზავნია. დივ-სულტანს საქართველოში მარჯვედ უომნია, ციხეები და ქალაქები აუღია ისე, რომ ქართველ მეფე-მთავრებს ნებაყოფლობითი შეთანხმება ურჩევიათ. დავით მეფე, კახთ-ბატონი ლევანი და მანუჩარ ათაბაგი სპარსეთის სარდალთან სადარბაზოდ მივიდნენ და მორჩილება განუცხადეს. დივ-სულტანმა სამაგიეროდ მათ უვნებლობა აღუთქვა და ყველანი ნახჭავანში წაიყვანა. აქ ქართველ მეფე-მთავრებს ხარკის ძლევა

---

[1] ჟამნი № 2: ქ̃ბი II, 335.

[2] წიგნი ქრონიკონნი: ქ̃ბი II, 335.

[3] დამატ., 912 და ზ. ჭიჭინაძე, პარიზის ქ̃კა, 7.

[4] 926 წ. ჰიჯრ.

[5] დაუდ-ბეგ, ლევენდ-ბეგ და მინუჩეჰრ-ბეგ.

აღუთქვამთ, რომლის შემდგომაც შაჰ-ისმაილს ისინი, გვირგვინ-საპატიო ტანისამოსით დასაჩუქრებულნი, შინ გაჰოუსტუმრებია. სპარსეთის მბრძანებელი ამით დაკმაყოფილებულა. რაკი სპარსეთში მშვიდობიანობის დამყარება ჯერ კიდევ ბევრს ძალღონეს მოითხოვდა, საზღვრების დაცვასაც ფხიზელი დარაჯობა სჭირდებოდა, შაჰ-ისმაილს ფართო გეგმის განხორციელება საქართველოს შესახებ არ შეეძლო[1].

თუმცა სპარსელი ისტორიკოსის მოთხრობა ქართული ხელთნაწერების მინაწერთა ცნობებზე გაცილებით უფრო შინაარსიანია, მაგრამ მაინც ზოგი მნიშვნელოვანი საკითხი გამოურკვეველი რჩება და ზოგიც ბუნდოვანია. ხონდემირის სიტყვებითგან არა ჩანს, საქართველოს რომელს ნაწილს შეესია სპარსთა ლაშქარი, და მხოლოდ ქართული წყაროებითგან ვიცით, რომ ყაენის ჯარი ქართლის ასაოხრებლად წამოსულა. ხონდემირის სიტყვით, სპარსეთის სარდალს ჯერ ციხე-ქალაქი აუღია საქართველოში და მხოლოდ შემდეგ ქართველი მეფე-მთავარნი სამშვიდობო მოლაპარაკებას შესდგომიან. ქართულ წყაროებში ამ მხრივ თანხმობა არ სუფევს. კინკლოსებში სპარსთა ჯარის საქართველოში წარმატებული და საზოგადოდ ყოველგვარი სამხედრო მოქმედების შესახებ არაფერია ნათქვამი და ისე გამოდის, თითქოს დავით მეფეს თავისი შვილი რამაზი მტრის მომავალი ლაშქრისათვის წინ მიეგებებინოს და ქართლი მოსალოდნელი განსაცდელისაგან დაეხსნას. ამგვარადვე აქვს მოთხრობილი ვახუშტსაც, რომელსაც ეს გარემოება უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული და რომელიც აღნიშნავს: 1518 წ., როცა «წარმოემართა შაჰ-ისმაილი ყეენი დაპყრობად და მოოხრებად ქართლისად», ქართლის მეფემ განსაცდელს მით დააღწია თავი, რომ «იმის-მან მსმენელმან დავით აღილო ძღვენი დიდი და ძე თჳსი რამაზ წარავლინა წინაშე ყეენისა და აღუთქვა მორჩილება, რათა არა მოაოხროს ქართლი და ქვეყანა»-ო[2].

მხოლოდ ქ˜ცის შევს.-გადაკ. ორსავე გაგრძელებაში მოგვეპოვება ხონდემირის სიტყვების დამადასტურებელი ცნობა, რომ ქართლში შემოსეული სპარსელნი «საქრისტიანოთა ხატთა და ჯვართა, ყველასა ატყუევ[ევ]ბდეს» და მერმე დავით მეფემ თავისი შვილი «ყაენს წინ მიაგება» და მშვიდობიანი მოლაპარაკებით მტრის მრისხანებისაგან «დაიხსნა საქრისტიანო».

თუ ქართული წყაროები მხოლოდ ამით კმაყოფილდებიან, ხონდემირი ან მისი სპარსული წყარო ზემომოყვანილს ფრიად საგულისხმო ზემოაღნიშნულს ცნობებს უმატებენ, რომელთა განხილვაა საჭირო. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვებითგან ისე გამოდის, თითქოს მეფე დავითს, ლევან კახთბატონსა და მანუჩარ ათაბაგს დივ-სულტანთან ერთად და ერთ დროს დაეწყო საზავო მოლაპარაკება და ერთადვე აღეთქვათ მორჩილება. ქართველ მეფე-

[1] იხ. Dorn, Beiträge zur Geschichte der kaukasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen. III. Erster Beitrag zur Geschichte der Georgier: Mémoires de l' Academie impériale des sciences de S.-Peterbourg, sixième série, t. VI, 1884 წ., გვ. 330.

[2] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 21—28.

შთავართა შორის არსებული მტრობის გამო, ფსიქოლოგიურად მათი ერთიერთმანერთის დასწრების წადილი იყო უფრო მოსალოდნელი, მეტადრე ლევან მეფის მხრით. მაგრამ, როგორც ქართული ზემომოყვანილი წყაროებითგანა ჩანს, ქართლის მეფეს დავითს, ვითარცა დაზარალებულს, დაუწყია სპარსეთის ყაენთან მოლაპარაკება, დანარჩენების შესახებ არც-კია იქ რაიმე ნათქვამი. მაგრამ, რაკი არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლევან მეფისა და მანუჩარის მხრით ყაენისათვის მორჩილების გამოცხადება ხ ო ნ დ ე მ ი რ ი ს, ან მისი წყაროს შეთხზული იყოს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართლის მეფეს, ვითარცა უკვე დაზარალებულს, უფრო შვენოდა პირველად მოლაპარაკების დაწყებაცა და მორჩილების აღთქმის დადებაც. მის მაგალითს ეტყობა დანარჩენნიც მიჰყოლიან. თუმცა ქართული წყაროები სდუმან, მაგრამ საფიქრებელია, რომ ხ ო ნ დ ე მ ი რ ი ს ცნობა, რომ ზემოჩამოთვლილი ქართველი მეფე-მთავრები ხარკის მიცემაზე თანხმობის გამოცხადების შემდგომ თაჯებითა (=გვირგვინს) და საპატიო ტანისამოსით დასაჩუქრებულნი შაჰ-ისმაილს საქართველოში გამოუშვია, სრული სიმართლე უნდა იყოს. მაშასადამე, აღმოსავლეთი საქართველო ისევ სპარსეთის მოხარკედ ქცეულა. სამწუხაროდ ხარკის რაოდენობა ხ ო ნ დ ე მ ი რ ს აღნიშნული არა აქვს.

## [დავით და კახთა მეფე ლევანი]

ქ~ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებას ლეონის თავგადასავლის ამბავიც სხვანაირად აქვს მოთხრობილი. იქ ნათქვამია, რომ რამდენიმე ხნის შემდგომ «მოვიდა ლევან სპითურთ რუსით და შთამოვიდა კახეთს და შევიდა ციხესა მას შინა ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა». კახელები მივიდნენ მასთან და ერთგულება შეჰფიცეს და «დაიპყრა კახეთი ლევან»[1]. შეიტყო თუ არა ეს დავით მეფემ, მაშინვე „გარდავლო გომბორი“, კახეთში ჩავიდა და კვლავ დაიპყრა, ლეონი-კი გაიქცა და «შევიდა ციხესა მას შინა, რომელ არს თავსა მაღნარისასა». დავით მეფე ამ ციხეს მიადგა და ბრძოლა დაუწყო. მაგრამ ამ დროს ქართლითგან ცნობა მოუვიდა, რომ ოსმალნი ჯერ სამცხეს, შემდეგ ქართლსაც შემოესივნენ[3]. ამის გამო მეფე დავით იძულებული იყო აყრილიყო და ქართლის დასაცავად წასულიყო.

საკმარისი იყო დავით მეფე კახეთს გასცლოდა, რომ მაშინვე ლეონი ჩამოსულიყო და კვლავ გამეფებულიყო. მაგრამ მეფე დავითმა ზემო ქართლში ოსმალთ დამარცხება მოახერხა და შემოსეული მტრის ჯარი ზოგი გაწყვიტა, ზოგი გააქცია. ამის შემდგომ დავით მეფე ისევ კახეთში შევიდა და საგარეჯოში მას კახთ მორჩილება განუცხადეს. ლეონი ქიზიყში იყო. დავითი იქ წავიდა და კვლავ გამარჯვების მოიმედე ლეონს პატარა ლაშქრით შეებრძოლა, მაგრამ შესცდა და ბრძოლაში დამარცხდა: დავითი ქართლში დაბრუნდა, ლეონი-კი თავის სამეფოს დაეპატრონა[3].

---

[1] დამატ., 910.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე, 911.

ამრიგად, ქ˜ცის გაგრძელებაში ისმაილ-შაჰის შემოსევის მაგიერ ოსმალთა შემოსევის ამბავია მოთხრობილი. რომელი ამ მოთხრობათაგანია უფრო სწორი? როგორც ვნახეთ, ყველა კინკლოსები ყაენის შემოსევას მოგვითხრობენ და არა ოსმალთა. ამ ცნობას და თარიღსაც სპარსული საისტორიო მწერლობაც ადასტურებს და ეს გარემოება უკვე დიდი საბუთია ვახუშტ-კინკლოსების სასარგებლოდ და ქ˜ცის პირველი გაგრძელების მოთხრობის წინააღმდეგ. ის გარემოებაც არის აღსანიშნავი, რომ ამ წყაროს მთელი მოთხრობა უთარიღოა, ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა, ქ˜ცის მეორე გაგრძელებისა და კინკლოსების ცნობა-კი თარიღიანია. თვით მეფე დ ა ვ ი თ ი ს ხასიათსა და ნიჭსაც უფრო მორჩილება და დახავება შეჰშვენის, ვიდრე ის გამარჯვება, რომელიც ვითომც მეფე დავითს ოსმალებთან ბრძოლის დროს მოეპოვოს.

## ლეონ მეფის სახლობა

კახთა მეფის ლეონის სახლობის შესახებ ქ˜ცის ვახტანგისეულსა და შევს.-გადაკ. გაგრძელებებში და ვახუშტის თხზულებაში საერთოდ თანხმობრივი ცნობებია, მაგრამ მაინც ბევრი რამ იქ გამოსარკვევი და კრიტიკულად განსახილველია. ლეონ მეფეს ორი ცოლი ჰყოლიაო. პირველი, გურიელის ასული, თინათინი იყო, რომელმაც შუამთის მონასტერი ააშენა[1]. როდის შეირთო ლეონმა თინათინი არა ჩანს. როგორც ქ˜ცის ვახტანგისეულისა, ისევე შევს.-გადაკეთებული პირველი გაგრძელებისა და ვახუშტ ბატონიშვილის მოწმობით ლეონს პირველი ცოლის, თინათინისაგან, მხოლოდ ორი ვაჟი ალექსანდრე და ვახტანგი ჰყოლია. მარტო ვახუშტი მეორე შვილის სახელად ვახტანგის მაგიერ იესესა სდებს[2]. შემდეგ უკვე წყაროთა თანხმობა ირღვევა. ქ˜ცის ვახტანგისეულისა და შევს.-გადაკ. გაგრძელებისდა თანახმად თინათინ დედოფალი ორი ვაჟის შობის შემდგომ[3] თითქოს უნდა გარდაცვლილიყოს. მაგრამ ამ ორივე წყაროს მოწმობა ამ ადგილას ბუნდოვანია და გაუგებარი. არც ერთს მათგანს და არც დანარჩენთ თინათინის მიცვალების თარიღი აღნიშნული არა აქვთ. ზემოაღნიშნული ორი ძეგლის მიხედვით მაინც ისე გამოდის, რომ დედოფალი შუამთაში დამკვიდრებულა და იქვე მონასტერში გარდაცვლილა. ლეონ მეფეს მისი თანამეცხედრე გაჰყრია, რადგან ქმარი იყო «კაცი მეძავი»-ო, ამბობს ქ˜ცის ვახტანგისეული გაგრძელება[4]. და ამასვე უფრო მეტი სიმკაცრით იმეორებს შევს.-გადაკ. ქ˜ცის ავტორიც: «ლევან იყო სიძვისა და მრუშებისა მოყუარე»[5]. ბატონიშვილი ვახუშტიც ლეონ მეფის ამგვარს დახასიათებას ეთანხმება და «ფრიად მეძავად» მიაჩნია[6]. ქმრის ამგვარი თვისე-

---

[1] ქ˜ცის ვახტ. გაგრძ. (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი) 49; ვახუშტი, ჭიჭინაძე, 162; ქ˜ცის შეს.-გადაკ. გაგრძ., დამატ., 911.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ჭიჭინაძე, 162.

[3] «ამისა შემდგომად მიიცვალა»: დამატ., 912.

[4] ქ˜ცის გაგრძ. (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი), გვ. 50.

[5] დამატ., 912.

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ჭიჭინაძე, 162.

ბის გამო თინათინს განშორება ურჩევია და ამის გამო «არღარა ინება მეუღლეობა მის თანა»-ო[1]. ამის გამო ლეონ მეფემ ცოლს თავი დაანება «ნებითავე თინათინისათა»-ო[2]. მაგრამ თანაც ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ დაშორებისა დროს «მრისხანემან ამისთჳს ლევან წარატანა სენიცა თინათინს», რომელიც შუამთას მივიდა, თავისი მზითვით მონასტერი აავო და «იყოფოდა მუნ სიკუდილამდე»[3]. ეს ცნობა არ ამტკიცებს, რომ თითქოს ცოლქმართა დაშორება მშვიდობიანად მომხდარიყოს.

ქ͠ცის გაგრძელებათა ცნობით ვითომც არც თინათინს უნდა ჰქონოდა თავისი ქმრის, თავშეუკავებელი ვნებათა-ღელვის პატრონი ლევანისადმი ნაკლები სიძულვილი და გულისწყრომა ჩამარხული. პირიქით, თუ ამ ორ წყაროს დავუჯერეთ, ვერც მონასტრის კედლებს, ვერც დროს თინათინის გული და უხანო ქმრის ღალატით აღშფოთებული სვინიდისი ვერ დაუმშვიდებია და სამარეშიაც და ცივ მიწაშიაც თავისი ქმრის გვერდით წოლა არ მოუსურვებია. სიკვდილის წინ მან «დაუტევა ანდერძი, რათა არ დამარხონ გვამი მისი ქმრისა მისისა ლევანისა თანა, არამედ დაიმარხოს იგი შუამთას თჳსსა აღშენებულსა მონასტერსა და ჰყვეს ეგრე»-ო[4].

ბუნდოვანი გამონათქვამის გამო თითქოს ისე გამოდის, რომ ლეონ მეფეს მხოლოდ თინათინის სიკვდილის შემდგომ უნდა შეერთოს მეორე ცოლი, რომელიც შამხალის ყარამუსალის ასული ყოფილა. ამისგან კახთა მეფეს კიდევ შესძენია შვილები, ქ͠ცის გაგრძელებათა სიტყვით სამი—გიორგი, ელიმირზა და ქაიხოსრო[5], ხოლო ვახუშტით—ოთხი, რომელიც მესამედ ვახტანგს, ხოლო მეოთხედ ხოსროს ასახელებს[6].

მთელ ამ მოთხრობაში არც ერთი შემთხვევის თარიღი დასახელებული არ არის. მხოლოდ ალექსანდრე უფლისწულის დაბადების წელიწადია აღნიშნული ქ͠ცის შევს.-გადაკ. ორსავე გაგრძელებასა და ვახუშტის თხზულებაში. უკანასკნელ წყაროში ნათქვამია: «უშვა ცოლმან თინათინ ძე ალექსადრე ქრისტესით ჩფკზ (1527), ქორონიკონსა სიე» (215), ხოლო ქ͠ცის შევსებ.-გადაკ. ორსავე გაგრძელებას სხვა თარიღი აქვსთ: «ქ͠კს: სკგ: (223=1535). მეფე ალექსანდრე ძე ლევანისა იშვა»-ო[7]. რაკი ამ ცნობაში ალექსანდრე მეფედ არის მოხსენებული, საფიქრებელია, რომ იგი დაბადების ჟამს საგვარეულო მემატიანის მიერ ჩაწერილი ცნობა არ უნდა იყოს, არამედ მერმინდელი, როდესაც ალექსანდრე უკვე გამეფებული იყო. მეორე მხრით თარიღის განსხვავების გამო შეუძლებელია ვახუშტის შრომითგან იყოს ეს თარიღი ნასესხები.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ჭიჭინაძე, 162.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.
[4] დამატ., 912 და შეად. ქ͠ცის გაგრძ. 50.
[5] ქ͠ცის გაგრძ. (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი), 50 და დამატ., 912.
[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ჭიჭინაძე, 162.
[7] დამატ., 919 და პარიზის ქრ. 8.

ზემომოყვანილი ცნობების უთარიღობა საქმეს აძნელებს, განსაკუთრებით რაკი თინათინის თანამეცხედრედ მოყვანისა, განტევებისა და სიკვდილის წლები უცნობი რჩება. ალექსანდრე უფლისწულის დაბადების თარიღი რომ დანამდვილებით გვცოდნოდა, ეს ცოტაოდნად მაინც საქმეს გვიშველიდა, მაგრამ ეს თარიღიც საეჭვოა. ერთადერთ სანდო წყაროდ ამგვარს მდგომარეობაში სიგელებია. სამწუხაროდ, ლეონ მეფის სიგელთაგან ჯერ მხოლოდ ერთია სრულად გამოცემული და მოთავსებულია ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ისტორიულ საბუთებში, დანარჩენი საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ჩვენი ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საბუთები თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ჰქონია ხელთ, მაგრამ მას, როგორც ჩვეულებრივ იქცეოდა ხოლმე, ამ შემთხვევაშიაც მხოლოდ მოკლე ამონაწერები აქვს მოყვანილი, ან შინაარსი აქვს გადმოცემული, რაც ამ ცნობებით სარგებლობას აძნელებს და დიდ სიფრთხილესაც გვიკარნახებს. და აი რა ირკვევა საბუთების წყალობით. ზემოაღნიშნული წყაროების მიხედვით ლეონ მეფის პირმშო ძე ალექსანდრე უნდა ყოფილიყო და 1527 წ., ან 1535 წ. დაბადებულა. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ფიქრობდა რომ ვახუშტის მიერ დასახელებული პირველი ამ თარიღთაგანი გუჯრების მიხედვით უფრო მართალი უნდა იყოს[1]. ლეონ მეფის 1537 წ. მცხეთისადმი ნაბოძებს სიგელშიკი სწერია: «მე... მეფეთ-მეფემან პატრონმან ლეონ, თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან პატრონმან თინათინ და ძეთა ჩუენთა პატრონმან გიორგი, იესე, ალექსანდრე და ელიმირზა» ესა და ეს შემოგწირეთო. ამ საბუთს ბოლოში ლეონის შემდგომ თინათინიც ხელს აწერს[2]. ეს ძეგლი ჯერ ერთი ქ˜ცის შევს.-გადაკ. ორთავე გაგრძელებათა ცნობას ალექსანდრე უფლისწულის დაბადების წელიწადის სრულს უვარგისობას ამტკიცებს და თანაც ცხადჰყოფს, რომ 1537 წ. არამცთუ ალექსანდრე, ლეონის დანარჩენი 3 შვილიც გიორგი, იესე და ელიმირზა დაბადებული ყოფილან. აღსანიშნავია აგრეთვე ის მიმდევნოება, რომლითაც ლეონის შვილები არიან დასახელებულნი. ჩვეულებრივ უფროს-უმცროსობის მიხედვით იწერებოდნენ ხოლმე ბატონიშვილები და, თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ისე გამოდის, რომ ლეონის პირმშო შვილი ალექსანდრე-კი არა, გიორგი უნდა ყოფილიყო, მისი მომდევნო იესე და მხოლოდ მესამე შვილი ყოფილა ალექსანდრე, რომლის შემდგომ ელიმირზა უნდა ვიგულისხმოთ დაბადებულად. ბატონიშვილთა ჩამოთვლის ზემომოყვანილი რიგი რომ შემთხვევითი არ არის და ერთგვარს სიმტკიცეს შეიცავს და, მაშასადამე, უფროს-უმცროსობაზე უნდა იყოს დამყარებული, ამას 1553 წ. ლეონ მეფის მიერ ნინოწმინდისადმი მიცემული სიგელი ადასტურებს. იქაც ნათქვამია: «ჩუენ ღ˜თივ გუირგუინოსნისა მეფეთ-მეფისა გიორგის ძემან მეფემან პატრონმან ლეონ და ძეთა ჩუენთა პატრონთა გიორგი, იესე, ალექსანდრე, ელიმირზა და დავით» ეს სიგელი გიბოძეთო[3]. აქაც უფლისწულნი იმავე მიმდევნოებით არიან დასახელებულნი იმ განსხვავებით, რომ ბოლოში ელიმირზას შემდგომ დავითია მოხ-

[1] ქ˜ბი II, 371.

[2] ისტ. საბ. II, 34, 36.

[3] ისტ. საბ. III, 63—64.

ჩენებული. უკანასკნელი გარემოება მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ დავითი 1537 წ. შემდგომ უნდა იყოს დაბადებული.

ალექსანდრე ბატონიშვილი რომ პირმშო ძე ყოფილიყო, ის იქნებოდა სწორედ პირველად ლევანის ძეთა შორის დასახელებული. მეორე გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: უფლისწულთა შორის პირველად დასახელებულს გიორგი ჰქვია და რათგან თითონ ლეონ მეფეც გიორგი მეფის შვილი იყო, საფიქრებელია, რომ მამამ თავის პირმშო შვილს, როგორც ხშირად მიღებული იყო, თავის მამის სახელი უწოდა. ამგვარად, საეჭვო ხდება, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ლეონ მეფის პირმშო ძე ყოფილიყო.

მაშასადამე, ლეონ მეფის სახლობის შესახებ გადმოცემულ ცნობათაგან ბევრი რამ სათუო ხდება. მაგრამ სათუო გარემოებათა აღნუსხვა ზემონათქვამით ვერ ამოიწურება. ყველა ზემომოყვანილ წყაროებში თინათინის შვილებად ალექსანდრე და იესე, ან ვახტანგ ბატონიშვილები არიან აღნიშნულნი, თანაც ლეონის მეორე ცოლს, შამხალის ასულსაც, ოთხი თუ სამი ვაჟი შესძენია, ვითომც თინათინის ქმრისაგან დაშორებისა და შუამთის მონასტრის აშენებისა და შიგ დამკვიდრების შემდგომ. მაგრამ ესეც საეჭვოა, რათგან ჯერ კიდევ 1537 წ., როდესაც თინათინს ლეონი თანამეცხედრედ და დედოფალთ-დედოფლად იხსენიებს, უკვე იხსენიებიან მაინც ორნი შამხალის ასულისაგან შენაძენი შვილნი გიორგი და ელიმირზა ბატონიშვილებად, თუ იესეს ვახუშტის ცნობისდა თანახმად ძედ მივიჩნევთ.

ამგვარად, ან ზემოდასახელებული წყაროების გარდმოცემა სწორი არ არის და 1537 წ. სიგელში მოხსენებული ოთხივე შვილი გიორგი, ალექსანდრე და ელიმირზა თინათინისაგან იყვნენ შეძენილნი, ან არა და უნდა დავასკვნათ, რომ ლეონ მეფეს სჯულიერ თანამეცხედრესთან ერთად უკანონო ცოლიც, შამხალის ასული, ჰყავდა და თავის კანონიერ შვილებთან ერთად უკანონოებსაც იხსენიებდა საბუთებში. ეს-კი სანამ ამისი უთუო და უტყუარი დამამტკიცებელი საბუთები არ გვექნება, ძნელი დასაჯერებელია. საგულისხმოა, რომ არც ქ˜ცის გაგრძელების ვახტანგისეულისა და არც შევს.-გადაკეთებულის შემდგენელთ, არც ბატონიშვილს ვახუშტს სცოდნიათ ამ შამხალის ქალისა და ლეონის მეორე ცოლის სახელი. ამაზე, რასაკვირველია, გაცილებით უფრო საყურადღებოა, რომ მაშინაც, რაც თინათინი აღარა ჩანს და საბუთშიაც აღარა გვხვდება, შამხალის ასული თუ სხვა ვინმე ლეონ მეფის თანამეცხედრედ არ იხსენიება. ასეა მაგ., 1553 წ. სიგელში, რომელშიაც ლეონ მეფე თავის თავს და მხოლოდ თავის ხუთს შვილს გიორგის, იესეს, ალექსანდრეს, ელიმირზასა და დავითს იხსენიებს, თანამეცხედრეზე-კი არაფერი აქვს ნათქვამი. მაშასადამე, თუ თინათინის შემდგომ ლეონმა შამხალის ასული მართლაც მოიყვანა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ცოლად-კი არა, არამედ ხარჭად ჰყოლია და მისი მოხსენებაც სიგელებში შეუფერებლად მიუჩნევია. ასეთ პირობებში ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ხარჭის შვილებიც მოეხსენებინა სიგელებში, თუ გიორგი, ელიმირზა და დავითი მართლა შამხალის ნაშობნი იყვნენ.

ის განსხვავება, რომელიც ერთი მხრით ვახუშტისა და მეორე მხრით ქ˜ცის გაგრძელებათა ცნობებს შორის არსებობს ლეონ მეფის ძეთა სახელების

შესახებ, რამდენადაც საბუთებითგან ჩანს, არც ერთი მათგანის შეცდომას არ მოასწავებს, არამედ ორივე მხარის ცნობები მართალი გამოდის, მხოლოდ არც ერთს მათგანს უფლისწულთა სრული სია არა აქვს და, მათი ცნობებიც რომ შევაერთოთ, მაინც ზოგიერთ სიგელის ცნობებთან შედარებით ნაკლულევანი გამოდის. ამგვარად, ვახუშტიც მართალია, როდესაც ლეონ მეფის შვილთა შორის იესეს იხსენიებს, რათგან ეს ცნობა არა ერთი სიგელით, მათ შორის ორისავე სრულად გამოცემული 1537 წ. და 1553 წ. საბუთებით მტკიცდება.

სამაგიეროდ ის გარემოება, რომ 1553 წ. სიგელში დასახელებული უფლისწული დავითი არც ქ˜ცის გაგრძელებათ და არც ბატონიშვილ ვახუშტს მოხსენებული არა ჰყავთ, ცხადჰყოფს, რომ მათი ცნობები არც მთლად სწორია და არც განსაკუთრებით სრული.

თუმცა თ. ჟორდანიას საბუთებითგან ამონაწერი, ან ამოკრებილი ცნობები, რასაკვირველია, სათანადო ზედმიწევნილობით [არ] არის მოსილი, და ზოგიერთიც, როგორც ქვევით გამოირკვევა, ურთიერთს ეწინააღმდეგება, მაგრამ სხვა გამოცემის უქონლობის გამო, უნდა ამით დავკმაყოფილდეთ, მითუმეტეს, რომ მთავარი საკითხების გამორკვევა ამ ცნობების საშუალებითაც მაინც შესაძლებელია.

თუ თ. ჟორდანიას ლეონ მეფის 1527 წ. მცხეთის ორისავე[1] სიგელითგან მოყვანილს ამონაწერებში მეფის შემდგომ უფლისწულთა სახელები თითონ არ გამოუტოვებია და თვით საბუთებშიაც ლეონს გარდა არავინ იხსენიება[2], მაშინ საფიქრებელია, რომ 1527 წ. ლეონ მეფეს ჯერ არამცთუ ალექსანდრე უფლისწული დაბადებული არ ჰყოლია, ჯერ არც ერთი შვილი არ ჰყოლია და, რათგან ამასთანავე არც თანამეცხედრე დედოფალი თინათინის ხსენება მოიპოვება, სათუო ხდება ცოლიც-კი ჰყავდა ამ დროს თუ არა. გამოქვეყნებულ საბუთთაგან 1532 წ. სიგელშია მოხსენებული თინათინი და მათი ორი ძე: «ჩ˜ნ ღ˜თივ-გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმა ლევან (sic) და დედამან ჩ˜ნმან დედოფალთ დედოფალმან ელენე და თანამეცხედრემან ჩ˜ნმან დედოფალმან თინათინ და ძეთა ჩ˜ნთა გიორგი და იესე ესე» წიგნი მოგახსენეთო[3]. მაშასადამე, ლევანს 1532 წ. უკვე ორი შვილი ჰყოლია. თუ 1527 წ. ლევანს მართლაც ჯერ თანამეცხედრედ თინათინი არ ჰყოლია, მაშინ ცოლის შერთვა 1527 წ. შემდგომ ან ამავე წელს უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ორი შვილის დაბადება დაახლოებით 1529—1532 წწ. უნდა მიეკუთნოს. აღსანიშნავია, რომ ამ პირველს სიგელშიაც ლევანის ძეთა შორის ალექსანდრე არ იხსენიება სრულებით და ორ ძმათაგან პირველად გიორგი სწერია. ამით ცხადი ხდება, თუ რამდენად სცდებოდა ვახუშტი, როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილის დაბადების თარიღად 1527 წ. სდებდა და თანაც მართლდება ჩვენი ზემომოყვანილი დაკვირვება, რომ ალექსანდრე-კი არა, გიორგი უნდა ყოფილიყო ლევანისა და თინათინის პირმშო ძე, ხოლო მისი მომდევნო იესე იყო. ირკვევა, რომ

[1] № 89, „ნუსხა“ № სპგ და „ნუსხა“ № სოვ.

[2] ქ˜კბი II, 371.

[3] ქ˜კბი II, 375.

1532 წ. ალექსანდრე ჯერ დაბადებული არ ყოფილა. როგორც უკვე გამორკვეული გვქონდა, ქ˜ცის გაგრძელებათა მსგავსად ალექსანდრეს დაბადების თარიღად არც 1537 წ. მიღება შეიძლება, რაკი ალექსანდრე უფლისწულის მომდევნო ელიმირზა 1537 წ. სიგელში უკვე იხსენიება. თუნდაც რომ უკანასკნელი სწორედ ამავე წელს დაბადებულიყო, შეუძლებელია ალექსანდრე 1532 წ. უწინარეს და 1535—36 წწ. შემდეგ ყოფილიყო შობილი, რაკი ალექსანდრე და ელიმირზას ტყუპობის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

ლეონ მეფის შვილების დაბადების მიმდევნოებისა და ქრონოლოგიის გამოსარკვევად 1553 წ. სიგელსა აქვს მნიშვნელობა, რათგან ამ საბუთში გიორგი, იესე, ალექსანდრე და ელიმირზას გარდა მხოლოდ ერთი ზედმეტი შვილი, დავითია მოხსენებული. იმის გასაგებად, თუ როდის უნდა შესძენოდა ლევანის სახლობას ეს ახალი წევრი, 1548 წ. მცხეთის სიგელი გამოგვადგება. იქ კახთა ბატონი ამბობს: «ჩუენ... მეფემა ლეონ... [თანა]მეცხედრემან ჩ˜ნმან... თ ი ნ ა თ ი ნ და ძეთა ჩ˜ნთა გ ი ო რ გ ი, ი ე ს ე, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და ე ლ ი მ ი რ ზ ა... ესე სიგელი... მოგაკსენეთ... ქ˜კს სჳმეონს მას ჟამსა, ოდეს ჩ უ ე ნ ი ქ ა ლ ი ე ლ ე ნ ე ბაგრატის შვილს ერეკლეს[1] მივათხოვეთ უხუედრად»-ო[2]. მაშასადამე, 1548 წ. დავითი ჯერ დაბადებული არ უნდა ყოფილიყო და იგი 1549—1552 წ. უნდა ვიგულისხმოთ შობილად.

აღსანიშნავია, რომ 1548 წ. სიგელში ლევან მეფე იხსენიებს თავის თანამეცხედრეს თინათინ დედოფალს, 1553 წ. საბუთში-კი თინათინი უკვე აღარ ჩანს. ეს ორი თარიღი საშუალებას მოგვცემდა დაგვესკვნა, რომ თინათინ დედოფალი დაახლოებით 1549—1552 წ. უნდა ან შუამთაში შესულიყო, ანიქნებ გარდაცვლილიყო კიდეც, რომ აქეთგან უკვე სხვადასხვაგვარი სიძნელე არ იწყებოდეს.

ქართული და სპარსული საისტორიო წყაროებითგან ვიცით, რომ ალექსანდრე მეფის შვილი გიორგი კახეთის ჯარითურთ ქართლის მეფის სვიმონის მისაშველებლად მისული სპარსეთის ჯარის სარდალთან ომში მოიკლა[3]. ყანჩაეთის გულანისა და სხვა კინკლოსებისა ისევე როგორც ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობით ეს ამბავი მომხდარა «ქ˜კს: სმთ:», ე. ი. 1561 წ. ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი ს სიტყვებითგანა ჩანს, რომ ისიც 1560 წ. შემდგომ მახლობელ დროსა სდებს[4]. ცხადია, რომ 1561 წ. შემდგომ დაწერილს ლეონ მეფის რომელსამე სიგელ-გუჯარში გიორგი უფლისწული იხსენიებოდეს და, თუ მოხსენებულია და უთარიღოდ არის მოღწეული, შეუძლებელია 1561 წ. მერმინდელი იყოს. ამიტომ უეჭველია ნინოწმინდის № 2 გუჯარი, რომელსაც თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს სიტყვით 251 ქრონიკონი უზის და 1563 წ. დაწერილად გამოდის, დამახინჯებული უნდა იყოს და შეუძლებელია 1561 წ. მერმინდელი იყოს, რათ-

---

[1] მუხრან-ბატონს.

[2] ქ˜ები II, 388. ადგილები ასევე გამოტოვებული აქვს თვით თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს.

[3] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ხელნთ. გვ. 281; ვ ა ხ უ შ ტ ი, ჭიჭინაძე, 165; კინკლოსები: ქ˜ნი II, 402; ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი: იხ. Dorn, Geschichte der Georgier, 341.

[4] იქვე.

გან აქ ლეონ მეფის ძეთა შორის გიორგიც იხსენიება[1]. მეორე მხრით თ. ჟორდანიასვე მოყვანილი აქვს მცხეთის სიგელის „ნუსხა № ტმგ“ შინაარსი, რომელშიაც ნათქვამიაო: «ჩ̃ნ... მეფემან ლეონ და მეცხედრეჲან (sic!) ჩ̃ნმან... დედოფალმან თინათინ (და ძეთა ჩ̃ნთა პატრონმა ალექსანდრე, ელიმირზა, კ̃ე, თეიმურაზ, ქაიხოსრო, ვახტანგ, ერეკლე და ბაგრატ) ესე... წიგნი... მოგაკსენეთო»[2]. საბუთი როგორც ეტყობა უთარიღოდ ყოფილა შენახული, მაგრამ თ. ჟორდანიას სიტყვით „1549 წ. ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი“, რაც შეუწყნარებელია, რათგან ლეონ მეფის ძეთა შორის პირველად ალექსანდრეა დასახელებული და ყველგან თავში აღნიშნულნი გიორგი და იესე აქ არ იხსენიებიან. რათგან გიორგი 1561 წ. მოიკლა, ალბათ ის ამის გამო არ გვხვდება ამ სიგელში. რაკი გიორგი უფლისწული არ არის დასახელებული, მაინცდამაინც შეუძლებელია ეს საბუთი 1561 წ. უწინარეს ყოფილიყო შედგენილი. ამ ძეგლისათვის მერმინდელს თარიღს ლეონ მეფის ძეთა მრავალრიცხოვანებაც გვაფიქრებინებს, რათგან როგორც დავრწმუნდით ჯერ კიდევ 1553 წ. მასა და თინათინს 5 შვილის გარდა არავინა ჰყავთ მოხსენებულნი. მათგან მეხუთე დავითია, რომელიც ელიმირზას მომდევნო ყოფილა. ამ უკანასკნელ საბუთში-კი გიორგისა და იესეს გარდა არც დავითია მოხსენებული, სამაგიეროდ-კი კ̃ე, თეიმურაზ, ქაიხოსრო, ვახტანგ, ერეკლე და ბაგრატი კიდევ 6 ახალი შვილია, თუ აქ რაიმე გაუგებრობა და შეცდომა არ არის და სამეფო ოჯახის სხვა წევრები ლეონ მეფისა და თინათინის შვილებად არიან შეცდომით მიჩნეულნი. რაკი ისინი თინათინის შვილებად არიან სიგელში აღნიშნულნი, 1553 წ. შემდგომ უნდა დაბადებულიყვნენ. იმ ხანშესულობაში, რომელშიაც თინათინი უკვე უნდა ყოფილიყო, ძნელი წარმოსადგენელია ამნაირი ხშირი ნაყოფიერება და ექვსი შვილის შობისათვის სულ ცოტა 8—9 წელიწადი უნდა გვეანგარიშა. გამოდის, რომ ბაგრატი 1562—63 წ. უნდა დაბადებულიყო. თუ გავიხსენებთ, რომ თინათინს პირველი შვილი დაახლოებით 1528—29 წ. უნდა ჰყოლოდა, 1562—63 წ. თინათინ დედოფალის ქმროსნობა-დედობის 35 წელიწადი უნდა ყოფილიყო. ხოლო თუ წარმოვიდგენთ, რომ ის, მაშინდელ ჩვეულებისაებრ, გათხოვებისას 12—15 წლისა იქმნებოდა, 1562—63 წ. როდესაც მას უკანასკნელი ვაჟი უნდა ჰყოლოდა, 47—50 წ. უნდა ყოფილიყო. ასეთ ხანში-კი შვილოსნობა თუმცა შესაძლებელია, მაგრამ მაინც იშვიათი შემთხვევაა[3]. ყველა ამ მოსაზრებისა და სიძნელის გამო ჯერ უნდა გამოირკვეს, რამდენად სწორად აქვს თ. ჟორდანიას ეს საბუთი დაბეჭდილი?

ერთი გარემოებაა ამ სიგელში კიდევ დამაფიქრებელი: უკვე 1553 წ. სიგელში ლეონ მეფე თინათინ დედოფალს აღარ იხსენიებს, ამ საბუთში-კი, რომელიც დაახლოებით 1562—63 წ. ჩანს შედგენილად, კახთ-ბატონი კვლავ თავის თანამეცხედრეს დედოფალ თინათინს ასახელებს. თუ ეს საბუთი უტყუ-

---

[1] ქ̃კბი II, 405.
[2] ქ̃კბი II, 390.
[3] Prof. P. Strassmann, Gesundheitspflege des Weibes. 1913 წ., გვ. 145.

არია და თ. ჟორდანიასაც ცნობები სწორად აქვს გადმოცემული, მაშინ ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ლეონ მეფეს თინათინი 1553 წ. სიგელში დასახელებული არა ჰყავს.

საყურადღებოა, თუ რატომ არ იხსენიება ნინოწმინდის სიგელში იესე ბატონიშვილიც. შეიძლება გვეფიქრა, რომ აქაც გიორგი ბატონიშვილსავით მიზეზი სიკვდილი ყოფილიყოს, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა. ის შემდეგშიაც დიდხანს ცოცხალი იყო. ამიტომ ცხადია ამ მოუხსენებლობის მიზეზი სხვა უნდა ყოფილიყო. ვახუშტ ბატონიშვილს ნათქვამი აქვს, რომ ლუარსაბ მეფის სიკვდილის შემდგომ შაჰთამაზის გულისწყრომისა და საფრთხის თავითგან ასაშორებლად ლეონ მეფემ «წარავლინა ძე თჳსი იესე წინაშე ყეენისა ძღუნითა და ტყვითა ქალ-ყრმითა და აუწყა თვისი არა რისა შეცოდება ქს. ჩფნჅ (1558 წ.) ქრ. სმვ»[1]. საითგანა აქვს სახელოვან ისტორიკოსს ეს ცნობა, არა ჩანს და არც ის არის აღნიშნული, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო იესეს დესპანობა. საზოგადოდ მისი ხსენება ჰქრება ვახუშტის თხზულების ფურცლებითგან. იქნებ ის სპარსეთის შაჰმა შინ აღარ გამოუშვა და თავისთან მძევლად დაიჭირა და ამიტომ არ იხსენიება ის ლეონ მეფის ნინოწმინდის სიგელში? სპარსული წყაროებითგან, განსაკუთრებით ისკანდერ მუნშის ნაამბობითგან ირკვევა მხოლოდ, რომ იესე ბატონიშვილი, რომელსაც იქ ისე-ხანი ქართველი ძე ლევან-ხანისა ეწოდება[2] სპარსეთში, ალამუტის ციხეში სვიმონ მეფესთან ერთად იყო დატყვევებული და ორივენი შაჰ-ისმაილ II-მ 1577 წ. განათავისუფლა[3]. ალამუტის ციხეში იესე ბატონიშვილის ჩასმის არც მიზეზი და არც გარემოება აღნიშნული არ არის. თუ ვახუშტ ბატონიშვილის ზემომოყვანილი ცნობა სწორია და უფრო საფიქრებელია, რომ სწორი უნდა იყოს, მაშინ შესაძლებელია საქმე მართლაც ისე დატრიალებულიყოს, რომ შაჰს იესე ბატონიშვილი აღარ გამოეშვას და მძევლად დაეტოვებინოს. 1561 წ. სვიმონ მეფისათვის გიორგი კახთა ბატონიშვილის ჯარითურთ სპარსთა წინააღმდეგ საომრად მიშველების გამო განრისხებულს შაჰს შესაძლებელია იესე ბატონიშვილი ალამუტის ციხეში ჩაესვა. ცოტა საეჭვოა, გაბედავდა თუ არა ჩვეულებრივ ფრთხილი და გაუბედავი ლეონ მეფე სვიმონ მეფისათვის სპარსთა წინააღმდეგ შველას, თავისი ძე რომ მძევლად ჰყოლოდა? ამიტომ იქნებ ვახუშტ ბატონიშვილის ცნობაში თარიღი სწორი არ იყოს და ეს ამბავი 1561 წ. მომხდარიყოს, როდესაც გიორგი ბატონიშვილის ბრძოლაში მოკვლის შემდგომ ლეონ მეფემ თავისი შეუცოდველობისა და გაურეველობის დასამტკიცებლად თავისი აწ უკვე უხუცესად გამხდარი შვილი იესე აახლა ძღვნითა და ხარკით დატვირთული, რომელიც იქვე იქნა დატოვებული მძევლად. შესაძლებელია ირანის მბრძანებელს მაშინვე ჩაემწყვდია იესე ალამუტის ციხეში და იქნებ სწორედ ამიტომვე არ იხსენიებოდეს ლეონ მეფის ნინოწმინდისადმი ნაბოძებს სიგელში? მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ისედაც სპარსთაგან უდანაშაუ-

---

[1] ვახუშტი, ისტორია, ჭიჭინაძე, 165.

[2] عیسی خان گرجی ولد لوند خان

[3] Dorn 343—344.

ლოდ დასჯილი იესე მამას კიდევ თავის მხრივ უმიზეზოდ დაესაჯა მით, რომ მისი ხსენება მოესპო საბუთებში. იტალიელ ისტორიკოსს J. Th. Minadous-ს აქვს ერთი, საფიქრებელია სტამბოლში ქ[``]ველთაგანვე გაგონილი ცნობა, რომელიც, ვითარცა უფრო ადრინდელი, ეგების უფრო ნამდვილი გამოდგეს. მას აქვს ნათქვამი, რომ იესე, რომელსაც ისიც იესეს უწოდებდა, შაჰთამაზს მიემხრო, გამაჰმადიანდა და მის უერთგულეს კაცად იქცა[1]. ჩვენ რომ დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ ეს ცნობა სწორია, მაშინ იესეს მო[უ]ხსენებლობის მიზეზი ლეონ მეფის ზემოაღნიშნულ საბუთში ცხადი იქმნებოდა: მამას არ სურდა თავისი მოღალატე შვილი სიგელ-გუჯრებში მოეხსენებინა. მაგრამ ამ ცნობასაც თავის მხრივ ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი ს ცნობა ხდის სათუოდ. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, იესე, ვითომც სვიმონ მეფესთან ერთად, ისმაილ II დროს, მხოლოდ 1577 წ. უნდა გამაჰმადიანებულიყოს და მართლაც იესე რომ ამაზე უწინარეს, შაჰთაბაზის დროსვე, გამაჰმადიანებული ყოფილიყო, შაჰი მას ალამუტის ციხეში რადღა ჩასვამდა?

ერთი რამე მაინც საკმაო სიცხადით ირკვევა: ლეონ მეფისა და თინათინის პირმშო ვაჟიშვილად ალექსანდრე-კი არა, არამედ გიორგი უფლისწული უნდა ყოფილიყო და მხოლოდ როცა 1561 წ. გიორგი ბრძოლაში მოუკლავთ და იესეც ზემოაღნიშნული მიზეზების გამო კახთა მეფის ოჯახს ჩამოშორებია, მესამე ვაჟი ალექსანდრე ძმათა შორის უხუცესად და ტახტის მემკვიდრედ ქცეულა.

ლეონ მეფეს ვაჟებს გარდა ქალებიც ჰყოლია. ერთი ელენე 1548 წ. უკვე ბაგრატ მუხრან-ბატონის შვილზე ერეკლეზე ყოფილა გათხოვილი.

ზემონათქვამითგან და საბუთების მიხედვით არა ჩანს, რომ თინათინ დედოფალი ლეონ მეფეს ისე მალე გაჰშორებოდეს და ქმრისადმი მტრობასიძულვილის გარდა ვითომც მათ შორის აღარაფერი ყოფილიყოს, როგორც ამას ქ˝ცის გაგრძელებანი და ვახუშტ ბატონიშვილიც ერთხმივ მოგვითხრობენ. საკმარისია ადამიანმა თვით შუამთის მონასტრის ტაძრის მხატვრობასა და ერთი ხატის წარწერას დააკვირდეს, რომ დარწმუნდეს, რამდენად უსაფუძვლო უნდა იყოს ეს, როგორც ჩანს, ზეპირი გადმოცემა, ქ˝ცის გაგრძელებათა და ვახუშტის თხზულებაში შენახული. ეკლესიის კედელზე ეხლაც კარგად მოჩანს მის აღმაშენებელთა სურათები და თუმც ზემოაღნიშნული წყაროების ცნობით ეს ეკლესია თინათინს ვითომ მაშინ უნდა აეგო, როდესაც ქმარს დაშორდა, და ლევან მეფემაც განრისხებულმა შუამთაში დამკვიდრებულს თანამეცხედრეს თითქოს შვილებიც-კი მიუყარაო, მაგრამ კედელზე-კი დახატულია „სურათები ეკლესიის მაშენებელთა დედოფალ თინათინისა და ლეონ მეფისა ძითურთ, რომელთაც ხელები გაპყრობილი აქვთ აქვე დახატულისა... ეკლესიის გეგმისაკენ“[2]. აქეთგან ცხადადა ჩანს, რომ, თუ თინათინს ტაძარი მართლაც მხოლოდ საკუთარი ფულითა და თავისი მზითვით აუშენებია, მას თავის ქმრის ლეონ მეფისადმი არამცთუ მტრული განწყობილება არა ჰქონია, არამედ ისიც თავის გვერდით დაუხატვინებია და თავისთან ერთად ამ ეკლესიის აღმაშენებ-

[1] Pers. Hist. გვ. 53.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგ. I, 265.

ლად დაუსურათებია. რაც უნდა იყოს, ეს გარემოება მეფე-დედოფალს შორის მტრული განწყობილების დამამტკიცებელი არ არის და წარმოუდგენელია, რომ მეფეს ასეთ პირობებში, როგორც ვახუშტს აქვს ნათქვამი, თინათინისათვის შვილები მიეგდოს. ესეც-კია რომ რაკი ეკლესიის კედელზე მარტო ერთი ძეა, ალბათ პირმშო — გიორგია, დახატული, საფიქრებელია, რომ შუამთის მონასტერი იმ დროს უნდა იყოს აშენებული, როდესაც ლეონ-თინათინს ერთი შვილის მეტი არ ჰყავდათ, ე. ი. დაახლოებით 1529—31 წ. მაშასადამე, ლეონ მეფეს არც შეეძლო თინათინისათვის შვილების მიგდება, რათგან მაშინ ერთი შვილის გარდა არც ჰყავდა. შემდეგშიაც, როდესაც მეფე-დედოფალი შუამთის მონასტერს თავიანთ წყალობას არ აკლებდა, ლევანი და თინათინი ცალ-ცალკე-კი არა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მათ შორის გულისწყრომა და მტრობა რომ ყოფილიყო, არამედ ერთად სწირავდნენ. აი მაგ., რა არის შუამთის ჩვილედი ღვთისმშობლის ოქროს ხატის წარწერაში სხვათა შორის ნათქვამი: «მამკობსა... მეფესა ლეონს და თანამეცხედრესა პატრონსა დედოფალსა თინათინს ნუ დასჯი რაჟამს განიკითხვიდე კაცთა. შევამკევით ხატი ესე... მეფობისა ჩ~ნისა წარსამართელად... და ძეთა ჩ~ნთა სადღეგრძელოდ»-ო[1]. თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ ლეონ მეფე თინათინ დედოფალს, თავის თანამეცხედრეს, და ყველა შვილებს ყველა თავის სიგელებში იხსენიებს და სხვა დედოფალი არც ერთს საბუთში აღნიშნული არ არის, მგონია ყველა ეს საკმაოა, რომ ჩვენს საისტორიო წყაროებში აღნუსხული ზეპირი გარდმოცემა საეჭვოდ მივიჩნიოთ.

რუსეთის მეფის დესპანების სიტყვით ვიცით, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს ლევანის შვილს იმიერ-კავკასიის მთიელთა შორის მართლა ნათესაობა ჰყავდა, მაგრამ დაღესტნის შამხალთან-კი არა, რომელთანაც დიდი მტრობაც-კი ჰქონია, არამედ ჩერქეზთა ბატონთან, რომელიც ალექსანდრეს ბიძა ყოფილა.

## [ირანი XVI საუკუნეში]

XV საუკუნის დასასრულს სპარსეთში მყოფ უზუნ-ჰასანის ულირს შთამომავლობის ქიშპობის დროს თავი იჩინეს ისხაკ სეფი ედ-დინის (სარწმუნოების სიწმინდე) მემკვიდრეებმა, რომელთაც მეშვიდე იმამის მუსა ალ-კასიმის შთამომავლობად მიაჩნდათ თავიანთი თავი. ვითარცა სუფის და დარვეშთა შეიხს, ყოველს მათს უფროს წევრს ხალხში დიდი გავლენა და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. მათი შიას მოძღვრების მიმდევრობა მათს მიმზიდველობას უფრო აძლიერებდა და სპარსელთათვის სათაყვანებელ პიროვნებად ხდიდა. ამ სეფის შთამომავლობასა და საგვარეულოსთან პატრონყმური დამოკიდებულებით დაკავშირებული იყო თურქთა შვიდი ტომი, რომელნიც მას სამხედრო

[1] იქვე, 267 და Brosset, Voyage arch. I rapp. p. 57—58.

ძლიერებასაც ანიჭებდნენ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც გავლენიანად ხდიდნენ. ერთი ამ შთამომავალთაგანი ჯუნეიდი არდაველსა და მის სანახებში იმდენად გაძლიერდა, რომ თვით შავბატკნიანთა მთავარს ჯეჰან-შას მისი შეეშინდა და თავითგან მოიშორა. ჯუნეიდი მის მოწინააღმდეგე თეთრბატკნიანთა მთავართან შაჰ უზუნ-ჰასანთან მივიდა, რომელმაც სიხარულით შეიწყნარა შემოხიზნული. რასაკვირველია, უფრო ძლიერი მომტკიცებისა და დაახლოების იმედით, უზან-ჰასანმა ჯუნეიდს თავისი დაც-კი მიათხოვა და სიძედ გაიხადა. 1458—59 წ. გარდაცვლილ ჯუნეიდის შვილმა ჰაიდარმაც (ე. ი. ლომმა) უზუნ-ჰასანის დამოყვრება მოისურვა, უზუნის ქალი შეირთო ცოლად. ჰაიდარს სამი ვაჟი ჰყავდა ალი, იბრაჰიმი და ისმაილი, რომელთაგან უკანასკნელი დაახლოებით 1480 წ. უნდა დაბადებულიყო. მას შემდეგ რაც 1490—91 წ. შაჰი იაყუბი ჰასანის შვილი გარდაიცვალა, მის შვილებსა და დანარჩენ ნათესავთა შორის ისეთი ცხარე და თითქმის მუდმივი ბრძოლა ატყდა, რომ სპარსეთი დაიყო და დაქუცმაცდა.

ჯერ კიდევ ჰაიდარმა დაიწყო თავის სამფლობელოს საზღვრების გაფართოება და შირვანშაჰის მიწების დაპყრობას ცდილობდა, რამაც მის სიმამრს იაყუბს სამართლიანი შიში დაუბადა. იაყუბ ყაენი შირვანშაჰს მიეშველა, ისე რომ ჰაიდარი იძულებული იყო მათს შეერთებულს ლაშქარს შებრძოლებოდა, რომლის დროსაც 1488 წ. კიდეც მოკლულ იქმნა. თუმცა იაყუბმა ჰაიდარის სამივე შვილი დაატყვევებინა, მაგრამ თითონაც მალე გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდგომ სამივე არდაველში დაბრუნდნენ. მათგან ალი სპარსეთში მძვინვარე შინაურ ომს 1495 წ. მსხვერპლად შეეწირა, დანარჩენნი-კი გილანში შეიხიზნენ, სადაც შიას მომხრენი ძლიერნი იყვნენ. გილანის მთავარი მათ სიხარულით დაეხმარა და მასპინძლობა გამოიჩინა. როცა იბრაჰიმი მოკვდა და შეიხობა მის ძმას ისმაილს ერგო, მან არდებილში და სხვაგან თავის მოყმე და მომხრე თურქ ტომების შეგროვება დაიწყო. 7000 მეომარი რომ შეიყარა, ის დაიძრა და გაილაშქრა მამისა და ძმის სიკვდილისათვის შურის საძიებლად და ჯავრის ამოსაყრელად შირვანშაჰის წინააღმდეგ. 1499 წ. მან შირვანშა დაამარცხა და მოკლა, ხოლო მისი სატახტო ქალაქი შამახია ხელში ჩაიგდო. ამგვარად, ისმაილმა პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეხი მოიკიდა. მისი ლაშქარი, ყიზილბაშებისაგან (ანუ წითელთავებიანებისაგან) შემდგარი, კარგად შერჩეულს და გამოცდილს ჯარს წარმოადგენდა[1].

სპარსული საისტორიო თხზულების „შაჰინშაჰნამაჰს“ ცნობით 1501 წ., როდესაც ისმაილ-შაჰი შირვანში აპირებდა გალაშქრებას, დიდებულები მოიწვია და შეეკითხა, რომელ სამხედრო გეგმას ურჩევდნენ. ერთნი ამ ბჭობის დროს იმ აზრისანი იყვნენ თურმე, რომ ისმაილს უნდა საქართველოზე, სახელდობრ ყვარყვარეს წინააღმდეგ გაელაშქრა, რომ მას ამ კუთხის „ურწმუნონი“ მოესპო; მეორენი ისტაყარ-საადში ურჩევდნენ დაზამთრებას და შემდეგ გარემოებისდა მიხედვით მოქმედებას; მესამენი ქართლის მეფის საჯდომ ქალაქზე თბილისზე და გორზე გალაშქრებას სთვლიდნენ საუკეთესო გეგმად. მაგრამ

[1] K. Müller, Der Islam II, 349.

ისმაილმა სამივე უარჰყო და შირვანში წასვლა არჩია[1]. ამ გადაწყვეტილების დროს შაჰი, ალბათ, იმ სამართლიანი აზრით ხელმძღვანელობდა, რომ მისთვის ყველაზე უფრო საშიშარნი შირვანში თავშეფარებული უზუნ-ჰასანის ორი შვილიშვილი, ალვანდი და მურადი იყვნენ, ვითარცა სპარსეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრენი და მისი ბუნებრივი მოწინაალმდეგენი; სანამ მათ თავითგან არ მოიშორებდა, ყოველივე სხვა ფართო სამოქმედო გეგმა სცაშიში უნდა ყოფილიყო.

თავის გადაწყვეტილებისამებრ იმან შირვანში გაილაშქრა და 1501 წ. არეზთან ნახჭავანის მახლობლად ალვანდი დაამარცხა. მურადზე-კი გაიმარჯვა ერთი წლის შემდეგ 1502 წ. ჰამადანთან; ამის წყალობით მან ადერბეჯანი დაიპყრა, შეიერთა და მაშინვე თავის სატახტო ქალაქად თავრეჟი აქცია. მან ამის შემდგომ უბრალო შეიხის სახელი იუკადრისა და თავისი თავი ირანის შაჰად გამოაცხადა[2].

ისმაილ-შაჰმა ჯერ დასავლეთისაკენ იბრუნა პირი მურადის მოკავშირის და მიმშველებელის აბულესტანის მთავრის დასასჯელად და დასამორჩილებლად. სანამ შემდეგში მისი მემკვიდრენი არ დარწმუნდნენ, რომ დასავლეთის გზა გასაფართოებლად სპარსეთისათვის ძლიერი ოსმალეთის მიერ იყო შეკრული, მანამდის სეფიანთა საგვარეულოს შაჰებს უფრო დასავლეთისაკენ ეჭირათ თვალი. როდესაც ჯარი დაასვენა და შეავსო, ისმაილ-შაჰმა კვლავ განაახლა თავისი სამხედრო დამპყრობელობითი მოქმედება ისე, რომ 1508 წლ. ქერმანითგან მოყოლებული ერზინჯანამდისა და ამიდამდის (დიარბექირამდის), თვით ბაღდადიც ხელში ეჭირა[3]. 1510 წ. ისმაილ-შაჰი ანაზდეულად ოზბეგთა მთავარს ხორასნის მმართველს თავს დაეცა და ბრძოლაში დამარცხებულსა და დატყვევებულს ბოლო მოუღო. ამ დიდმა გამარჯვებამ სპარსეთის მნიშვნელოვანი კუთხე ხორასანი არგუნა[4].

თუ სპარსეთის შაჰი ისმაილი დასავლეთით მდებარე თარაქამა ტომის მოსახლეობის დაპყრობასა და შეერთებას ცდილობდა, არც ოსმალეთი იყო გულხელდაკრეფილი მაყურებელი. უკვე 1508 წ. სულტან ბაიაზიდ II-ის შვილი ტრაპიზონის მმართველი ერზინჯანს შეესია[5]. შაჰის შიის მფარველობითმა პოლიტიკამ და სუნის მიმდევართა სასტიკმა და დაუნდობელმა დევნამ თურქ-ოსმალებთან ისედაც გამწვავებული დამოკიდებულება უფრო გაართულა 1512 წელს-კი ოსმალეთის ტახტზე სულტნად სელიმ I დაჯდა და ეს უკვე გაბედული სამხედრო მოქმედების აუცილებლობის მომასწავებელი იყო[5]. ასეთს პირობებში ისმაილ-შაჰმა სცადა დასავლეთში ეპოვა მოკავშირეები და ამ მიზნით ვენეტიკის რესპუბლიკასა და ეგვიპტის სულტანს მიჰმართა, მაგრამ ამ ცდისაგან არა გამოვიდა-რა. რაკი შაჰმა სელიმის ოსმალეთის სულტნად ცნობა არ მოისურვა, ომი მასთან აუცილებელი შეიქმნა. თავისი გამარჯვება რომ

[1] დორნი, იხ. Brosset, Histoire moderne, Add. V, 446.

[2] K. Müller, Der Islam II, 350.

[3] იქვე, 351.

[4] იქვე, 352.

[5] იქვე, 357.

უზრუნველეყო და სპარსეთის შაჰს ოსმალეთის მცხოვრებთა შორის ერთი თანამგრძნობი და თანამორწმუნეც-კი არ ჰყოლოდა, სელიმმა 7—70 წლის ყველა შიის აღმასრულებელნი ან მოაკვლევინა, ან საპყრობილეებში ჩაამწყვდევინა. ოსმალო მწერლის სიტყვით 40000-მდე ადამიანი შეეწირა მსხვერპლად სელიმის ამ საზარელს განკარგულებას[1].

თუმცა თავისი მოწინააღმდეგის ქვეყანას 1513 წ. პირველად ისმაილ-შაჰი შეესია, ისე, რომ თითქოს მან სელიმს ბრძოლაში დაასწრო, მაგრამ საკმარისი იყო სულტანს 1514 წ. თავისი უზარმაზარი 140.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი ლაშქარი თავისი თოფხანითა და ჯაბახანით დაეძრა, რომ სპარსეთის მბრძანებელის ჯარი იძულებული გამხდარიყო უკან დაეხია. ვერც სპარსთა პირადმა გულადობამ, ვერც მეომართა გაწვრთნილობამ სპარსეთი ოსმალეთის სულტანის არტილერიისა და იანიჩარების გამანადგურებელი მოქმედებისაგან ვერ იხსნეს. ისმაილ-შაჰმა იფიქრა, რომ განსაცდელს იმით დააღწევდა თავს, თუ რომ მტერს შორს შეიტყუებდა. მხოლოდ ურმიის ტბის აღმოსავლეთით მდებარე კალდირანის ან ჩალდირანის მინდორზე შეებრძოლა შაჰი დადევნებულს მტერს იმ მიზნით, რომ თავისი სახელმწიფოს სატახტო ქალაქი დაეცვა. აქ 1514 წ. 23 აგვ. სასტიკი ბრძოლა მოხდა. სპარსეთის ჯარმა თუმცა დიდი გულადობა და თავგანწირულება გამოიჩინა, მაგრამ ოსმალეთის არტილერიისა და იანიჩართა მედგარი შეტევის წინააღმდეგ მაინც ვერა გააწყო რა. ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ძლევამოსილი სელიმი დიდის ზეიმით სპარსეთის შაჰის საჯდომ ქალაქში შევიდა. სპარსეთი მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავარდებოდა, იანიჩარებისათვის რომ სპარსეთის ამ ასპარეზის სიმწირეს ომის გაგრძელების ხალისი არ მოესპო. ამგვარად, შაჰ-ისმაილმა შუამდინარე და დასავლეთი სომხეთი დაკარგა. მთელი ეს ქვეყანა მოსულამდის 1515 წ. ოსმალებმა დაიპყრეს და შეინარჩუნეს. რაკი 1516 წ. სელიმმა სირიაზე და ეგვიპტეზე გაილაშქრა, შაჰ-ისმაილს საშუალება მიეცა სული ამოეთქვა და დაესვენა[2], მაგრამ მაინც სიკვდილამდის (გარდ. 1524 წ.) მას მტრული მოქმედების განახლება ოსმალეთის წინააღმდეგ აღარ უცდია.

შაჰ-ტახმასპი (1524—76) მცირეწლოვანი იყო ჯერ, მამა რომ მოუკვდა. მას მამის შორსგამჭვრეტელობა და გონების სიღრმე აკლდა. მისი მოქმედება უფრო დაწვრილმანებული იყო და მიზანშეწონილობა აკლდა.

---

[1] K. Müller, Der Islam II, 358.
[2] იქვე, 359.

# [ქართლის მეფეები გიორგი IX და ლუარსაბი]

## [დავით მეფის გადადგომა და მისი შემონაზონება]

**1512 წ.** «ქ˜კს: ს: მოკუდა ლიპარიტ და დაჯდა მამია»[1].

ამავე «ს˜ა (=1513 წ.) ქ˜კნსა პატრონი ვახტანგ და მეფე ბაგრატ მოხისს შეიბნეს და ბაგრატს გაემარჯვა»[2].

**1516 წ.** «სდ. აქა პატრონი მზეჭაბუკ მიიცვალაჲ»[3].

«სდ, აქა დიდი მზეჭაბუკ მიიცვალა ათაბაკი»[4].

«ქ˜კსა: სდ: აქა დიდი მზეჭაბუკ მიიცვალა ივნისის: გ:»[5].

«ქ˜კნსა ს˜იდ (1526 წ.) ამა ქ˜კნსა მეფე დავით მიიცვალა ქალაქს»[6].

«ქ˜კნსა ორას და თოთხმეტსა მეფე დავით მიიცვალაჲ ქალაქსა»[7].

ამგვარივე ცნობა გარდაცვალების ადგილის აღუნიშნავად სხვაგანაც[8] მოიპოვება.

დავით მეფეს სამეფო ტახტისათვის თავი დაუნებებია და ბერად აღკვეცილა. ამას თვით მისივე შემდეგი სიტყვებიც ცხადჰყოფენ: მე «შენ მიერ შემოსილმან პორფირითა და გუირგუინითა სამეფოთა და აწ შენძლითვე ღირსქმნულმან სახესა მონაზონობისა დავით ბაგრატუნიანმან ნებითა ღმრთისათა მეფემან ქართუელთამან და აწ მონაზონმან დამიანე»[9]. რამ აიძულა მეფე დავით სახელმწიფო საჭეთპყრობელობისათვის თავი დაენებებინა, საბუთებითგან არა ჩანს. ვახუშტს-კი 1523 წლის ქვეშ ნათქვამი აქვს: «შემდგომად ამისა განიხილა მეფემან დავით სოფლისა სიმუხთლე და უსვეობა თჳსი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონაზონ»-ალო[10]. ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით, მეფე დავითმა «მისცა მეფობა ძმასა თჳსსა გიორგის და თვით დავით მეფე შევიდა ტფილისსავე მო-

---

[1] დადიანთ ქ˜კა: ქ˜კბი II, 331.

[2] იკორთის № 6 ჟამნგულანი, ს. კაკაბაძე, 5. უეჭველია ასე უნდა წერებულიყო იმ დედანში, საითგანაც ეს ცნობა იკორთის ჟამნგულანშია გადმოწერილი (შეად. უკვე თ. ჟორდანიას ქ˜კბს II, 331).

[3] ყანჩაეთის ჟამნგულანი: ე. თაყაიშვილი, 18.

[4] ქ. შ. წ. კ. ს. ხელ. № 252, კინკლოსი, ე. თაყაიშვილი, 6.

[5] ჟამნი № 2: ქ˜ბი II, 334.

[6] იკორთის № 6 ჟამნგულანი, ს. კაკაბაძე, 5.

[7] ერისთავიანთ დაუჯდომელი, ე. თაყაიშვილი, 14.

[8] ჟამნი № 2 და წიგნი ქრონიკონნი: ქ˜კბი II, 357 და 369.

[9] 1524 წ. მცხ. № 7 სიგ.: ისტ. საბ. II, 32=ქ˜კბს II, 368.

[10] ვახუშტი, ისტ., ჭიჭინაძე, 32.

ნასტერსა შინა და შემდგომად მოკვდა წელსა ქ~ს ჩფკე, ქრ. სიგ.»[1]. ქ~ცის შევსებულ-გადაკეთებულმა პირველმა გაგრძელებამ დავით მეფის შემონაზონების თარიღისა დანამდვილებით არა იცის-რა: ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ 206 ქრონიკონის ანუ 1518 წლის შემდგომ, «დაჰყო რაოდენიმე ხანი» და შემდეგ «იქმნა მონაზონ და უწოდეს დამიანე»-ო[2]. ქ~ცის მეორე გაგრძელებას ეს ამბავი არც-კი აქვს მოხსენებული. ამგვარად, არა ჩანს, საითგან აქვს სახელოვანს ქართველს მეცნიერ-ისტორიკოსს ცნობა, რომ დავით მეფის შემონაზონების მიზეზი მისი „უსვეობა" იყო. შენახულ სხვა წყაროებშიაც არსად არის ნათქვამი, რომ დავითს მეფობა თავის ძმის გიორგისათვის გადაეცეს. მეტადრე ის გარემოებაა საყურადღებო, რომ თვით ეს დავით მეფის ძმა გიორგი თავისთავს თავის სიგელში არც ერთხელ მეფეს არ უწოდებს და ამბობს მხოლოდ: მე... «გ ი ო რ გ ი  ბ ა გ რ ა ტ ო ნ ი ა ნ მ ა ნ... ძ ე მ ა ნ  მ ე ფ ე თ - მ ე ფ ი ს ა  კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს მ ა ნ ვცან ვითარმედ სოფელი წუთერთ და მსწრაფლ წარმავალ არს... ამისთუის დ ა უ ტ ე ვ ე  ყ ო ვ ე ლ ი ვ ე  ა მ ა ო ე ბ ა  დ ა  დ ი დ ე ბ ა  მ ი ს ი  დ ა  შ ე ვ ი მ ო ს ე  ს ა ღ~თ ო  მ ო ნ ა ზ ო ნ ე ბ ა... «მ ე  პ ა ნ კ რ ა ტ ო ნ ი ა ნ მ ა ნ, გ ი ო რ გ ი  ყ ო ფ ი ლ მ ა ნ,  გ ე რ ა ს ი მ ე»[3]. ე რ თ ა დ ე რ თ ი  ც ნ ო ბ ა მხოლოდ, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ვახუშტი მართალი იყოს და მისი სიტყვები რომელიმე საბუთზე იყოს დამყარებული, ლუარსაბ მეფის თბილისის სიონისათვის 1540 წ. ბოძებული შეწირულობის წიგნია. იქ სახელდობრ ნათქვამია: «დაიწერა სიგელი ...ესე ჩუენი  ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ს ა  მ ე ფ ო ბ ი ს ა  ჩ უ ე ნ ი ს ა ს ა  მ ე ა თ ც ა მ ე ტ ე ს ა  ქ~კ ს ა:  ს კ Ⴑ:»[4]. თუ 1540 წ. ლუარსაბის მეფობის მეცამეტე წელი იყო, მაშინ ისე გამოდის, რომ ლუარსაბი 1527 — 28 წ. გამეფებულა. ხოლო, რაკი დავით მეფე 1524 წ. ბერად შედგა და 1526 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ცხადია 1524—27 წ. შუა ვინმე უნდა ყოფილიყო მეფედ. უცნაური ის არის, რომ ბატონიშვილი  ვ ა ხ უ შ ტ ი  ლუარსაბის გამეფების თარიღად 1534 წ.-სა სდებს[5], რაც ლუარსაბ მეფის ზემომოყვანილს სიგელის ცნობას ცხადად ეწინააღმდეგება.

**1526** წ. «ქ~კს: სიდ: მოსცეს ბაგრატს არადეთის წყალი, გამოღმა ალი, სურამი და ახალდაბა»[6].

«ქ~კსა. სიდ. მოსცეს ბაგრატს ქართლი არადეთის წყლის გამოღმა, ალი, სურამი და ახალდაბა. ამასვე წელიწადს მიიცვალა მეფე დავით»[7].

«ქ~კს: ს~იდ: მისცეს ბაგრატს ქართლი,  მ ე ფ ე ს ა  ი მ ე რ ე თ ი ს ა ს ა  არადეთის წყალს გამოღმა, ალი, სურამი და ახალდაბა»[8].

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჯიჯინაძე, 32.
[2] დამატ., 912—13.
[3] 1540 წ. სიგ.: ისტ. საბ. II, 38, 39.
[4] ქ~ბი II, 384 = AKAPK I.
[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტ., ჯიჯინაძე, 34.
[6] წიგნი ქრონიკონნი: ქ~ბი II, 369.
[7] პარიზის ქ~კა, ზ. ჯ ი ჯ ი ნ ა ძ ე, 7.
[8] ქ~ცის შევს.-გად. გაგრძ. დამატ., 913.

ბატონიშვილს ვახუშტს ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი.

**1533 წ.** «სკა. აქა გაილაშქრა მამია დადიანი (sic) და მამია (sic) გურიელი (sic) ჯიქეთს და მოკლეს მამია დადიანი და გიორგი გურიელის შვილი დატყუე იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი»[1].

**1535 წ.** «სკგ. მურჯხითის (sic) ომი ქრისტიანეთა წაკდენისა მიზეზი. აქა შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაკი ყვარყვარე ახალქალაქს და გაემარჯვა მეფეს, კელთ დარჩა ყვარყვარე და მისი ლაშქარნი და დაიპყრა ძემან ალექსანდრესმან სრულიად საათაბაკო»[2].

«სკგ. აქა მურჯახეთს შეიბნეს»[3].

**1536 წ.** «ქ˜კნს სიდ აქა მურჯახეთს შეიბნეს»[4].

**1527 წ.** «ქ˜კსა ორასს ოცდახუთსა შეიბნეს მურჯახს, ათაბაგზედ მეფეს ბაგრატს გაემარჯვა»[5].

**1538 წ.** «ქ˜კს: სკვ:... აგვსტოსა: იგ: დღესა ხუთშაბათსა შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე ახალქალაქს და დაიკოცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფესა და კელთ დარჩა ყუარყუარე და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესმან»[6].

ამგვარადვეა მოთხრობილი ეს ამბავი წ˜ა გიორგის გულანში იმ განსხვავებით, რომ იქ 12 ავვისტოა აღნიშნული[7]. თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ „რადგან 12 ავვისტოს ხუთშაბათი მართლა 1535 წელს მოდიოდა, ამის გამო დასაჯერებელი არ არის სხვათა... ქრონიკათა მოწმობა, ვითომ ეს ამბავი მომხდარიყოს 1536 წ. ანუ 1537 წ.[8]

## [შაჰთამაზის შემოსევები ქართლში]

ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით, შაქ-შირვანის მფლობელი ასანბეგი სპარსეთის შაჰის ჩაგონებითა და წაქეზებით კახეთს ესხმოდა და არბევდა ხოლმე. ლეონ მეფემ ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადა გათამამებული მეზობლის მოქკვიანება, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ ამ გზით არა გამოვიდოდა-რა, შეჰყარა თავისი ჯარი და შაქს შეესია. ასანბეგი ამ ბრძოლაში დამარცხდა და თითონაც მოკლულ იქმნა და მისი ლაშქარიც გაწყდა. დიდი ალაფით დატვირთული ლეონ მეფე გამარჯვებული გრემს დაბრუნდა. სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი ამ ამბავს შაჰთამაზის დროს, 1536 წ. შემდგომ იხსენიებს[9]. სპარსელი ისტორიკოსი-კი, რომელიც მთელ ბრალს ქართველებს

---

[1] ქ. შ. წ. კ. ს. ხელთ. № 252 კინკლოსი, ე. თაყაიშვილი, 6; საეკლ. მუზ. პარაკლიტონი და წ˜ა გიორგის გულანი № 49: ქ˜კბი II. 378.

[2] ქ. შ. წ. კ. ს. ხელთ. № 252, ე. თაყაიშვილი, 6—7.

[3] ყანჩაეთის ჟამნგულანი, ე. თაყაიშვილი, 11.

[4] იკორთის № 6 ჟამნგულანი, ს. კაკაბაძე, 5.

[5] ერისთავიანთ დაუჯდომელი, ე. თაყაიშვილი, 14.

[6] საეკ. მუზ. პარაკლიტონი № 49: ქ˜კბი II, 381.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] ვახუშტი, ისტორია, ჭიჭინაძე, 162—163.

და ლეონ მეფესა სდებს, ამ შემთხვევის თარიღად შაჰ-ისმაილის სიკვდილის წელიწადსა სდებს[1], ანუ 1524 წ., და ეს ცნობა ვგონებ უფრო სწორი იყოს.

შაქის კახთა მეფისაგან მოტყვევნის შემდგომ ლუარსაბ მეფემ და მესხთა ბატონმა ლეონ მეფესთან პირობა დასდეს სპარსეთის წინააღმდეგ შეერთებული ძალით ბრძოლის წარმოების შესახებ. კახთა მეფემ სიამოვნებით შეჰკრა ამგვარი პირობა, რათგან შაქის აოხრების შემდეგ თითონაც სპარსეთის შაჰის შიში ჰქონდა. ამგვარად შეთანხმებულთ სამთავე მოკავშირემ ადარბაგანს რბევა და ოხრება დაუწყეს. ეს მით უფრო ადვილი განსახორციელებელი იყო, რომ ლეონ მეფისაგან ომში მოკლული ასანბეგის მაგიერ შაქელების მიერ თავის მბრძანებლად დასმული დერვიშ მაჰმადხანი სპარსეთის შაჰს არამცთუ არ დაემორჩილა, სპარსეთზე თავდასხმას მიჰყო კიდეც ხელი[2].

სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი ქართველ მეფე-მთავართა შეთანხმების თარიღად 1547 წ. სდებს და შაჰთამაზის პირველ გამოლაშქრების წინ იხსენიებს[3], მაგრამ რათგან სპარსული წყაროებით, უფრო სწორი ცნობით, პირველი შემოსევის თარიღად 1540 წ. უნდა მივიღოთ, ამიტომ მთელი ეს უკანასკნელი ამბავი 1540 წ-მდე მომხდარად უნდა ვიგულისხმოთ. მართალია, ეს სპარსელი ისტორიკოსის სიტყვებსა და აზრს თითქოს ეწინააღმდეგება, მაგრამ ამბების ისტორიულ მსვლელობას უკეთესად უდგება და გვიხსნის შაჰთამაზის შაქში და საქართველოში პირველი შემოსევის მიზეზს.

სპარსელი ისტორიკოსის ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი ს ა და ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს სიტყვით, შაჰთამაზის საქართველოში გამოლაშქრება თვით ქართველთა მოუსვენარი ხასიათითა და კადნიერებით იყო გამოწვეული. ქართველები შირვანსა და შაქს ძალას ატანდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენო, არბევდნენო. შირვანელნი და შაქელნი, ვითარცა მაჰმადიანნი, სპარსეთის ბატონ შაჰთამაზთან ჩიოდნენ და დახმარებას სთხოვდნენ. ამის გამო ირანის მბრძანებელი დაიძრა და შირვანში და შაქში მოვიდა. ლეონ კახთა მეფემ რომ განსაცდელი იგრძნო, მაშინვე ჩაყოლა არჩია «მრავალის ძღვენითა და ბევრის ფეშქაშით შაქის ყაენს ეახლა». შაჰთამაზს მისი ასეთი მოსწრაფება, რასაკვირველია, ძალიან იამა და სამაგიეროდ «დიდი პატივი მიაპყრო». ლეონ მეფეს სპარსეთის ბატონის წინაშე ქედიც-კი მოუხრია ისე, რომ კახთ-ბატონმა თურმე «ყმობა და სამსახური იკისრა». ასეთ პირობებში არც გასაკვირველია, რომ ლეონ მეფეს შაქის აოხრება აღარ მოეკითხა[4]. არც სპარსელ ისტორიკოსს, არც ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ს ამ ამბავის წელიწადი აღნიშნული არა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ ვ ა ხ უ შ ტ ს თარიღი მოეპოვება.

შაჰთამაზი ჯერ კიდევ შაქში იმყოფებოდა, რომ მესხეთის მთავარის, ყუარყუარე ათაბაგის შვილი ქაიხოსრო ათაბაგიც ლეონ მეფის მსგავსად «დი-

---

1 Dorn, 334.

2 ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, ჭიჭინაძე, 163, Dorn, 334.

3 ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე.

4 ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, *269.

დის ძლევნით» ირანის ბრძანებელს ეახლა, რისთვისაც შესაფერისად იქმნა დასაჩუქრებული, მეტადრე რაკი ქაიხოსრო ათაბაგმაც ერთგული სამსახური იკისრა[1].

ამ ორი ქართველთა მბრძანებლის ამგვარმა გულმოდგინეობამა და მორჩილებამ თუმცა საგრძნობლად დაასუსტა საქართველოს მებრძოლი ძალა და საერთო მტრის წინააღმდეგ თანხმობრივი მოქმედების შესაძლებლობა ჩაშალა, ყველას მოუხრია სპარსთა შაჰის წინაშე ასეთი მოსწრაფებით ქედი, მაგრამ მაინც თურმე «ქართლის ერისთავი და მეფე ლუარსაბ და იმერელი მეფე ბაგრატ და მამია დადიანი ურჩობდეს»[2].

**1541 წ.** «ქ~კსა სკთ აქა ყაენმან ტფილის ქალაქი ამოსწყვდა»[3]. უფრო დაწვრილებით არის მოხსენებული ეს ამბავი ერისთავიანთ დაუჯდომელისა და ყანჩაეთის ჟამნგულანის კინკლოსებში, სადაც ნათქვამია: «ქ~კსა ორას ოცდაცხრასა შ ა ჰ თ ა მ ა ზ ყაენი მ ო პ ა რ ვ ი თ ქალაქს მოვიდა, ამოსწყვიტა ა ღ ა ო კ რ ა რ ა ჲ»[4]

ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს სიტყვით შაჰთამაზი საქართველოში პირველი შემოსევის დროს 1540 წ., მას შემდგომ, რაც თბილისი და ბირთვისი დაპყრობილი ჰქონდა, ლუარსაბ მეფე-კი ქართლში საჯავახიანოს მთებში შეხიზნული, «მრავალგვარად ცდაში იყო», რომ როგორმე «ლუარსაბ მეფე ან მოკლას, ან შეირიგოს». მაგრამ ვერც მოკვლა მოახერხა და ვერც დაჭერა, შერიგება-კი ლუარსაბთან არასგზით «არ იქმნა»[5], რათგან ლუარსაბს ამის გაგონებაც არ სურდა. შერიგება ხომ დამორჩილებით უნდა დამთავრებულიყო, ლუარსაბი-კი სწორედ ამას უკადრისობდა.

**1543 წ.** «ქ~კსა სლა აქა ფაშაები ამოვიდეს ოცდაორი ათასი, სრულად ტაო ამსწყვდეს მოუკდა ბაგრატ მეფე ქ~ლქს გაიმარჯუა, მრავალი ამოსწყვდა»[6].

«სლა. აქა ქარხაქის (sic) ომი. ურუმნი მოვიდეს, ტაო ამოსწყვდეს და ბაგრატ მეფემან გაიმარჯვა და მრავალნი ამოსწყვდნა»[7].

«ქ~კსა: სლა: აქა ხუანთქრის ფაშები მოვიდეს რიცხვით ოცდაორი ათასი და ს~დ ტაო ამოსწყვიდეს. მოუკდა მეფე ქ ა რ ა ღ ა ქ ს, გაიმარჯვა, ამოსწყვიდნა მრავალნი»[8]. ეს ცნობა სიტყვა-სიტყვით გამეორებულია ვედრებისის ღვთისმშობლის 1661 წ. ჟამნგულანის კინკლოსში[9].

**1544 წ.** «ქ~კსა ორას ოცდა თორმეტსა ბასიანს შეიბნეს და ურუმთ გაემარჯვაჲ, მეფენი მეოტნი მორჩნეს»[10].

---

[1] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, *269—270.
[2] ი ქ ვ ე, *270.
[3] იკორთის № 6 ჟამნგ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, 5.
[4] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 14 და 11.
[5] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, *271.
[6] იკორთის № 6 ჟამნგ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, 5.
[7] ყანჩაეთის ჟამნგულ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 11.
[8] წ~ა ნიკოლოზის ქრ.: ქ~კბი II, 386.
[9] იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს საისტ. მასალანი II, 53.
[10] ერისთავიანთ დაუჯდომელის კინკ., ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 15.

**1545 წ. 17 ივნისს.** პაპი პავლე III. «Leva[r]sap Georgianorum civitatis et Regni Regi illustri salutem etc. Ex plurium fide dignorum relatione percepimus te quamvis tantis terrarum spaciis a nobis remotum tamen sanctam Romanam Ecclesiam ceterarum ecclesiarum caput Romanosque pontifices ei presidentes Domini Nostri J. C. vicarios et Beati Petri apostolorum principis successorem pia devotione et affectu credere et venerari. Idemque tecum sentire charissimos in ‖ Christo filios nostros affines tuos Patirach Cochati (<Pacrath Cothathisi), Lyon Zagam (= Leon Zegam) et Gorghoram Chelsecha (< Achalzicha) civitatim et regnorum Georgianorum reges illustres... plurimum exultavit cor nostrum... quod vos quatuor maximos reges... fortissimos christiane fide athletas, quamvis ad infidelibus undique circumvalatos tamen in eiusdem christiane fidei cultu et constantia tanto tempore conservaverit et conservat»[1]

1545 წ. 17 ივნისს პაპი პავლე III ლუარსაბ მეფეს სწერდა:.. Si tuos oratores ad nos mores ceterorum christianorum regum et principum transmittes per quos te cum omni populo tuo in filium ejusdem sancto Romane et universalis ecclesie et capitis eius potestati Romani pontificis devote offeras ac dedas idemque persuadeas predictis tribus regibus Georgianis affinibus tuis ut faciant et cum tuis suos ad nos oratores mittant eandem obedientiam oblaturos Romane et universali ecclesie potestate nobisque“[2].

„Stephano Archiepiscopo Nesciovan (< Nachciavan)... Cum itaque tam tua quam aliorum fide dignorum relatione perceperimus, quod charissimo Leva[r]sap, Patírac Cocati, Lion Zangam et Ghorgoram Chelesca Georgianorum Regnorum Reges illustres... Sanctam Romanam Ecclesiam universi orbis Ecclesiarum caput. Nosque... D. N. J. C. Vicarios... credere et ve- ‖ nerari... Te... ad prefatos Reges et eorum Singula regna et dominia nostrum et apostolicae Sedis Nuncium et oratorem... instituimus et deputamus“[3].

[1] თამარაშვილი, ისტ., კათ.. 602—603.
[2] იქვე, 604.
[3] პაპი პავლე III-ის 1546 წ. ეპისტოლე: თამარაშვილი, ისტ., კათ., 604—605.

## [შაჰთამაზის მეორე ლაშქრობა]

შაჰთამაზის მეორე შემოსევის დროსაც 1546—47 წ. იგივე ამბავი გამეორდა. საქართველოს შუაგულში მოსულს მტერს კვლავ კახთა მეფე ეახლა, მაგრამ ეხლა მის მაგალითს მიჰბაძა იმერეთის მეფემაც, რომელიც წინათ ლუარსაბ მეფესთან ერთად ირანის მბრძანებლის წინაშე ქედის მოხრაზე არ დათანხმდა და სხვა ქართველ მეფეებზე უკეთესად იყო სპარსთა შესევისაგან უზრუნველყოფილი.

ამგვარად, «კახეთის ბატონი ლევან და იმერეთის მეფე ბაგრატ ძღვნითა და კარგის ფეშქაშით ყაენსთან მოვიდნენ»[1]. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით ძღვენთან ერთად ხარკიც უნდა ჰქონოდეთ თან მიტანილი[2]. სპარსეთის შაჰი, რასაკვირველია, ამით არ დაკმაყოფილდებოდა და მისთვის მათ საჩუქრებსა და ხარკზე უფრო მეტი მნიშვნელობა მათ სამხედრო დახმარებას ჰქონდა და ამ ორმა ქართველმა მეფემ «ეს ლაშქრობა ერთგულად იმსახურეს» კიდეც[3] საქართველოს ამაოხრებელ მტერთან.

შაჰთამაზის ეს მეორე გამოლაშქრებაც უფრო რომ უშედეგო იყო და უბრალო თარეშად გამოდგა მხოლოდ. სწორედ შუა ზამთარი იყო, როდესაც სპარსეთის შაჰი საქართველოს შემოესია და ამ «იანვრის სიცივეშიგ» მეტად მკაცრი ზამთარი დადგა; მაშინ «მტკვარი ასრე გაეყინა, რომ ლაშქარი მასზედ გადიოდ-გამოდიოდა». ხოლო «თოვლს საქართველო ასრე გაეხადა, რომ მთა და ბარი გასწორებული ჩნდა»-ო, მოგვითხრობენ ფ. გორგიჯანიძე და სპარსელი ისტორიკოსი[4].

საქართველოში შემოსასევად შაჰთამაზმა თვალის ასახვევად პირდაპირ აღმოსავლეთისა-კი არა, სამხრეთის გზა აირჩია და «ანისის გზით შორეკალს მივიდა, იქიდამ სამცხეს მივიდა»[5]. სპარსელი ისტორიკოსიც შემომსევთა შურეღილზე გადმოსვლას ადასტურებს[6]. შაჰთამაზი თავის ლაშქრიანურთ ქართველებს «ჯავახეთის თავს დაესხა, მრავალი სული დაატყვევეს», მაგრამ მთავარ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. შემდეგ იქითგან გამობრუნდნენ და «ქართლსზედ ჩაიარეს საბარათიანოს გზითა». აქაც მხოლოდ ცარცვა-გლეჯა იყო და პატარ-პატარა შეტაკება ჰქონდათ: «თარეში გაუშვეს, ალაგ-ალაგ სახიზრები გასტეხეს და ბევრი ტყვე წაასხეს». მაგრამ არც სპარსელნი წასულან დაუზარალებელნი; პირიქით, ქართველებმა სხვადასხვა შეტაკებაში «მრავალნი ყიზილბაშნი ამოსწყვიტეს»[7]. შაჰთამაზის ჯარს მხოლოდ იმით შეეძლო თავი ენუგეშებინა, რომ მაინც ტყვეებითა და ნატყვენავით დატვირთული ბრუნდებოდა უკან[8].

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, *272.
[3] Dorn, 333.
[3] ფ. გორგიჯანიძე, *272 და Dorn, 333—4.
[4] იქვე, 334.
[5] იქვე.
[6] Dorn, 333.
[7] ფ. გორგიჯანიძე, *272.
[8] Dorn, 334.

შაჰთამაზი თავისი ლაშქრითურთ ბარდაში დაბანაკდა საზამთროდ. მეორე 1546—7 წ. ლაშქრობაში ერთგული სამსახურისათვისაც შაჰთამაზმა კახთ-ბატონი და იმერეთის მეფე კვლავ დაასაჩუქრა. ჯერ «გზიდამ მეფე ბაგრატ გაისტუმრეს იმერეთს და ოცდაათასის მარჩილის ხალათი და სხვა საჩუქრები მიართვეს, თავ[ა]დთა და აზნაურშვილთ გარდა, იმათაც ხალათები და შეკაზ-მული ბედაური ცხენები უზომა, კმალი და ქუდი». საჩუქრებით დატვირთული ბაგრატ მეფე და მისი თანამყოლი ქვეშევრდომნი ახალციხის გზით შინ დაბ-რუნდნენ. კახეთის მეფეს მეტს ხანს მოუხდა შაჰთამაზთან ყოფნა და სპარსეთის მბრძანებელმა მხოლოდ განჯითგან «როგორც მეფე ბაგრატ, ისევე ბატონი ლევან გაისტუმრა მრავალის საჩუქრითა, კმლით, გვირგვინითა, ბედაურის ცხე-ნები მურასა ლაგამ-უნაგირითა». «შაჰთამაზმა ყველა ეს თვითონ ძასაც და მის თავადაზნაურებსაც» უწყალობა. ამგვარად, კახეთის მეფეც და მისი თანა-მხლებნი «ნაშოვრით სავსენი კახეთს მივიდნეს»[1].

სპარსეთთან ომის დროს, 1547 წ. სექტ., სულეიმანი არზრუმში იყო დაბანაკებული და იქითგან თავისი მეორე ვეზირი აჰმედ-ფაშა საქართველოში გაგზავნა. 6 კვირის განმავლობაში მან 20 ციხე აიღო, მათ შორის თორთუმი, ნეჯაჰი, მირახორი, ალჯაყალა, ბენგერდი (=ფანასკერტი?), ისტერტუდი (?)[2].

**1550 წ.** «ქ͠კსა სლჱ აქა ტაოს ქვეყანა დაიჭირეს ურუმთა»[3]. ამგვარივე ცნობა სიტყვა-სიტყვით მოიპოვება აგრეთვე სხვა წყაროებშიაც[4].

**1548 წ.** «ქ͠კს: სლვ: აქა დაიჭირა მეფემან ბაგრატ ლეონ დადიანი»[5].

## [ლუარსაბ მეფე და ქაიხოსრო ათაბაგი]

ლუარსაბ მეფე ქაიხოსრო ათაბაგის ღალატს ასე ადვილად ვერ შეურიგ-დებოდა და საქართველოს მოსისხლე მტერთან მიმხრობას ვერ აპატიებდა. მართლაც, სპარსელი ისტორიკოსის ცნობით 1552 წ. თვით ყვარყვარეს შვილს ქაიხოსრო ათაბაგს შაჰთამაზისათვის შეუჩივლია, რომ ლუარსაბ მეფე, ლორის ბატონი შერმაზანი და ვახუშტი მის სამფლობელოს შეესივნენ, ზოგი ადგილი დაიჭირეს და თემის დანარჩენ ნაწილს-კი არბევდნენ[6].

მაშასადამე, თვით ეს ამბავი 1552 წ. უწინარეს, ალბათ, 1551 წ. უნდა მომხდარიყო. როგორც ეტყობა, გასცლია თუ არა შაჰთამაზი საქართველოს, ქართლის მეფეს და მის დიდებულებს სამცხე-საათაბაგოს მფლობელის დასჯი-სათვის მიუყვიათ ხელი.

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, *272; Dorn, 334.

[2] Hammer, II, 72.

[3] იკორთის № 6 ჟამნგულ., ს. კაკაბაძე, 5.

[4] 1661 წ. საისტ. საზოგ. № 342 ჟამნგულ.-ში: ე. თაყაიშვილი, საისტ. მას. II, 52; ყანჩაეთის ჟამნგულ.: ე. თაყაიშვილი, 11.

[5] წ͠ა გიორგი გელათური გულანი: ქ͠კბი II, 389.

[6] ფ. გორგიჯანიძე, *273, Dorn, 335.

თვით მესხეთში მოწინავე წრეებში მესხ თავადთა შორის ქაიხოსრო ათაბაგის პოლიტიკური გეზის მოწინააღმდეგენი ბევრნი აღმოჩნდენ, რომელნიც ლუარსაბ მეფის მიმართულებასა და ქცევას უფრო ემხრობოდნენ და მისდევდნენ კიდეც. ამის წყალობით გმირ ქართლის მეფეს თვით მესხეთში მომხრენი და ზურგის გამმაგრებელნი ჰყავდა[1].

## შაჰთამაზის ლაშქრობა შაქში

შაჰთამაზს როგორ შეეძლო შაქის მთავარი დერვიშ მაჰმადხანისათვის სპარსეთის ურჩობა და ცარცვა-გლეჯა ეპატიებინა. ამიტომ 1551 წ. მან გადასწყვიტა ამ გათამამებული ადამიანისათვის ჭკვა ესწავლებინა, მეტადრე მას შემდგომ, რაც დერვიშ მაჰმადხანმა შირვანში დაბანაკებული სპარსთა ლაშქარზე თავდასხმა სცადა. შეიტყო თუ არა ლეონ კახთა მეფემ სპარსეთის მბრძანებლის განზრახვა, მაშინვე თავისი ქვეყნისათვის სარგებლობის იმედით სპარსთა შაჰინშაჰს მიემხრო და არაშში (თუ არიშში) შაჰთამაზს ეახლა. ირანის მბრძანებელმა საქმის მოგვარება ჯერ დაყვავებით სცადა, მაგრამ დერვიშ მაჰმადხანიქედის მოხრის უარზე იყო. შაქის მცხოვრებნი შაჰთამაზის შემოსევის მოლოდინში ნაწილი გიშის ციხეში შევიდნენ და გამაგრდნენ, ნაწილი მიუვალ მთებში შეიხიზნენ. თვით შაქის ხანი ციხეში იმყოფებოდა და იქითგან თავის ქვეყნის გამაგრებას ცდილობდა. შაქის ბატონისა და მის სამფლობელოს დასამორჩილებლად და დასასჯელად შაჰთამაზს თავისი ლაშქარი მაინცდამაინც არ შეუწუხებია, არამედ შაქის თვით მთავარ სიმაგრისა და უმთავრეს მებრძოლი ძალის მოსასპობლად და დასამორჩილებლად მან შირვანის შაჰი აბდულახან უსტაჯლუ და ლეონ კახთა მეფე გაგზავნა თავთავიანთ ჯარითურთ. გიშის ციხისა და სახიზნარების ასაღებად-კი თავისი სარდლები გაისტუმრა. სამ ადგილას ერთბაშად სამხედრო მოქმედების გაჩაღების საშუალებით შაჰთამაზმა შაქის მებრძოლნი გააცალკევა და დაქსაქსა. ამის წყალობით მან მოწინააღმდეგეს ბრძოლის უნარი დაუკარგა და ამანვე ციხეების აღება შეაძლებინა. თვით დერვიშ მაჰმადხანმაც თავის სიმაგრეს თავი დაანება და ფეხის მოკიდება და შეფარება სხვაგან სცადა. მაგრამ შირვანშაჰისა და კახთა მეფის ჯარმა ისიც ტყვედ ჩაიგდო და თანამოლაშქრენიც დაუხოცა. ამგვარად, თითონ დერვიშ მაჰმადხანიც დაიღუპა და შაქიც მთლად სპარსელებს ჩაუვარდათ ხელში 1551 წ.[2].

მართალია, კახთა ბატონმა მოუსვენარი და მარბეველი შაქის დასჯაში მონაწილეობა მიიღო და ამით გული მოიოხა, მაგრამ თუ ლეონ მეფე მთელ ამ საქმის შედეგს ჩაუკვირდებოდა, მას უნდა ეგრძნო, რომ საქართველოს მდგომარეობა სპარსთა შაქში გაბატონებით წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო გაუარესდებოდა და ამიტომაც საზიანო იყო.

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, *273.

[2] Dorn, 335 და ფ. გორგიჯანიძე, *272—273.

## [შაჰთამაზის მესამე ლაშქრობა ქართლში]

შაჰთამაზი ჯერ კიდევ ახლად დამორჩილებულსა და დაპყრობილს შაქში იყო, რომ 1552 წ. ქაიხოსრო ათაბაგის, ყვარყვარეს ძისაგან საჩივარი მოუვიდა. მას თურმე «არზა მოეწერა, მეფის ლუარსაბისაგან ეჩივლა და ლორის ბატონებისა შერმაზანისა და ვახუშტისაგან ეჩივლა»: თქვენი მომხრეობის გამო მოსვენებას არ მაძლევენ, «ზოგი რამე ჩემი ქვეყნისაგან დაიჭირესო და ჩემს თემს არბევენო». თახაც სასწრაფოდ ატყობინებდა, რომ ოსმალეთიც ეწუქრებოდა და აზრუმის ბეგლარბეგი ისკანდარფაშა ჩემზედ წამოსულა და არტანუჯის ციხეს გარშემოსდგომიაო»[1].

რადგან ქაიხოსრო ათაბაგი სპარსეთის მბრძანებელის «ერთგული და ნამსახური იყო», შაჰთამაზმა მისთვის მიშველება და დახმარების აღმოჩენა თავის ინტერესებისათვის სასარგებლოდ მიიჩნია. ამიტომ ის სწრაფად აიყარა და იმავე 1552 წ. საქართველოს მესამედ შემოესია. ამგვარად, სპარსთა საქართველოში ამ შემოჭრის მიზეზი თვით ქართველი მთავარი, ქაიხოსრო ათაბაგი იყო. შაჰთამაზი დიდი ლაშქრითურთ პირდაპირ სამცხეს მივიდა. როგორც ქართლში, ისევე მესხეთში «მესხთ თავადები ქაიხოსროვ ყორყორეს შვილის ურჩნი და მეფის ლუარსაბის მიმდევნი აიყარნეს და ციხეთა და ქვაბთა შიგან დაიხიზნეს». სპარსეთის მბრძანებელმა შეხიზნულების გასანადგურებლად ჯარი გაუსია, მაგრამ ქართველები მტერს თავგამოდებით ებრძოდნენ და ამიტომაც ყოველი გამარჯვება ძვირად უჯდებოდა. ზოგი ციხე-სიმაგრეები აიღეს სპარსელებმა, ზოგის აღება ვერასგზით ვერ შესძლეს[2].

სწორედ ამ შემოსევის დროს იყო, რომ გაიცარცვა და განადგურდა ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი...* რომლის მშვენიერებით თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსის ცნობით თვით სპარსელი მცარცველებიც-კი იმდენად განცვიფრებულები ყოფილან, რომ მის სანახავად შაჰთამაზიც-კი მისულა.

ბოლოს, ციხეში შეხიზნული და დამალული დიდებულნი ამოანი, შერმაზანი, ავალისშვილი და სხვანი იძულებული იყვნენ გამარჯვებულს შაჰთამაზს ნებაყოფლობით დაჰნებებოდნენ, მოვიდნენ და «ხელმწიფეს წინაშე მიწას აკოცეს».

ამგვარად, ქაიხოსრო ათაბაგის პირადი საქმე გამოსწორდა. სპარსეთის შაჰმა მისი მოწინაღმდეგენი ამოწყვიტა და თემი დაუმორჩილა. ისკანდარფაშაც შაჰთამაზის მოახლოვების გაგონებაზე ოსმალოს ჯარითურთ არტანუჯის ციხეს გაეცალა. მადლიერმა ქაიხოსრო ათაბაგმა სპარსეთის ყაენს მრავალი ფეშქაში და ძღვენი მოართვა, რისთვისაც შაჰთამაზმა, რასაკვირველია, სამაგიერო გადაუხადა. მისი თხოვნით ვახუშტი და შერმაზანის შვილი, რომელნიც ლუარსაბის სამეფოში ლორისა და ფამბაკის ბატონები იყვნენ, ვითარცა მეთაურნი, შაჰმა მოაკვლევინა, ხოლო მათი სამფლობელო ლორე, ფამბაკი და აღჯაყალა თავის ერთგულ ქაიხოსრო ათაბაგს მისცა[3].

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, *273; Dorn, 335.

[2] იქვე. Dorn, 336.

* [აქ ივ. ჯავახიშვილის დედანში ერთი სტრიქონი ცარიელია. რედ.]

[3] იქვე, 337.

რასაკვირველია, შაჰთამაზი ამ შემთხვევაში თავისი მიზნისათვის იღვწოდა: ამ გზით ხომ შემდეგში სპარსეთმა ქართლში შემოსევისათვის გზა გაიკაფა და გაიადვილა.

ამის შემდგომ შაჰთამაზმა უკან იბრუნა პირი, ქართლზე ჩამოიარა და, ლუარსაბ მეფის მომხრეებს საცა-კი მოახერხა თარეში გაუსია. მაგრამ მათაც მტერი დაუზიანებელი არ გაუშვიათ. შაჰთამაზი თავის ლაშქრითურთ დასაზამთრებლად ისევ ყარაბაღში წავიდა[1].

## [ირან-ოსმალეთის ზავი და საქართველო]

1553—54 წ. შაჰთამაზსა და ოსმალეთის ხონთქარს სულეიმანს შორის ზავი დაიდო, რომლის მიხედვით, «ხონთქარმან და ყაენმან საქართველო შუა გაიყვეს» ისე რომ «სამცხე და ქართლი და კახეთი ყაენს» დაეთმო, «იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა ხონთქარს» უნდა ჰკუთვნებოდა ტრაპიზონისა და ტირიბოლამდე.

ეს, რასაკვირველია, სპარსეთ-ოსმალეთის მხრით თავიანთი პოლიტიკური მოქმედებისა და გავლენის ასპარეზის გამიჯვნა იყო მტრობისა და მეტოქეობის მოსასპობად. საყურადღებოა, რომ ეს საქართველოს შესახებ დადებული შეთანხმება საქართველოს დაუკითხავად მოხდა და დაზავებულმა მოწინააღმდეგეებმა ერთიმეორეს მიანიჭეს ის, რაც მათ ჯერ რეალურად მაინც არ ეკუთვნოდათ. ამგვარად, ფ. გორგიჯანიძის სამართლიანი სიტყვისა არ იყოს, სპარსეთ-ოსმალეთის მბრძანებლებმა «საქართველოს მეფეებთ უნებურათ და შეუკითხავათ საქართველო გაიყვეს». ეს ზავის პირობები თუმცა სპარსეთისთვისაც ურიგო არ იყო, რომ ოსმალეთის მხრით მაინც ზურგი უზრუნველყოფილი ექმნებოდა და მათი თავდასხმის შიში აღარ უნდა ჰქონოდა, რაც მას საშუალებას მისცემდა საქართველოს მისადმი მიკუთვნილი ნაწილი მართლაც საფუძვლიანად ჩაეგდო ხელში, მაგრამ დადებული ხელშეკრულება მაინც უფრო ოსმალეთისათვის იყო ხელსაყრელი.

## [ლუარსაბ მეფის ბრძოლა სპარსთა წინააღმდეგ]

საქართველოს გავლენა-ბატონობის სფეროებად ორად გაყოფას 1553—54 წ. თურქ-ოსმალთა დადებული ზავის თანახმად ყველა ქართველი მეფე-მთავრები ნებსით, თუ უნებლიეთ დაემორჩილნენ ლუარსაბ მეფის გარდა, რომელმაც ამ ხელშეკრულებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მეტის გამწარებით განაგრძო. მახლობელ მიზნად მან საქართველოს დედაქალაქის კვლავ დაბრუნება დაისახა და ყველა გარემო მცხოვრებნი ამას მხურვალედ თანაუგრძნობდნენ და მის განსახორციელებლად ხელის შეწყობას ცდილობდნენ.

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, *275, Dorn, 337.

[2] იქვე, 337—338.

[3] იქვე, 338.

მეფე ლუარსაბი თავის 1552 წ. თბილისის სიონისათვის ბოძებულს სიგელში გვიამბობს ქ. თბილისის მტრის მიერ დროებით დაპყრობის ამბავს. ამ დროს, როდესაც მტერი თბილისში გაბატონებული იყო, «შესრულ იყუნეს ტაძრად შენდა (სიონის ღვთისმშობელოო) და შეეგინნეს» ეკლესიაო. ამიტომ ჩვენ მეფეთ-მეფემ ლუარსაბ მაშინვე, როდესაც «ჟამთა ვითარებისაგან ულმრთოთა აგარიანთა მიერ წარხმულსა ტახტსა ჩვენსა ტფილის სასხდომად თქუენძლით კუალად ვეგენით», ჩვენ შევედით საქართველოს დედაქალაქში და «მოვიყუანეთ წმიდა მეუფე ჩვენი ქ~კზი ღირსი ზებედე, თქვენი საჰეთმპყრობელი სამეუფოსა ქალაქისა მთავარ-ეფისკოპოზი იოსებ ყ~დ კარგი და ყოველნი ეპისკოპოზნი ქართველთა (sic) და მესხთა განვწმიდეთ წმიდითა აიაზმითა პირველად დიდებული და პატიოსანი ტაძარი თქვენი და კუალად ყოველნი ეკლესიანი ტფილისისანი»[1].

შაჰთამაზმა ლუარსაბის სამხედრო მიზნების ამბავი შეიტყო თუ არა, გადასწყვიტა ქართლის მეფე სასტიკად დაესაჯა. მისი წადილი იყო ამ გულგაუტეხავი, ამაყი და შეუპოვარი მოწინააღმდეგის შეპყრობა და მოსპობა. რათგან ლუარსაბ მეფე საბარათიანოში იყო, შაჰთამაზი სწრაფად აქეთ გამოეშურა თავის ლაშქრითურთ. არც ლუარსაბ მეფეს გამოჰპარვია სპარსეთის მბრძანებელის ამოძრავება. მანაც მცხოვრებნი ციხე-სიმაგრეებში და მიუვალ მთებში დახიზნა და თითონაც ერთ-ერთი ციხითგან მტრის საწინააღმდეგო ბრძოლას ხელმძღვანელობას უწევდა. შაჰთამაზმა თავისი ჯარი ციხე-სიმაგრეებისა და სახიზრების წინააღმდეგ საომრად გაგზავნა. ბრძოლა ადვილი არ იყო და «ორგნითვე მრავალი დაიხოცეს». ბევრგან სპარსელებმა ქართველებს «სახიზრები წაართვეს და ცოლშვილი ტყვეთ წაუსხეს». თანდათან საბარათიანო შაჰთამაზის ჯარმა დაიპყრო, მაგრამ ირანის მბრძანებელმა თავის მთავარს მიზანს ვერ მიაღწია და ამ ბრძოლის მეთაური და სულის ჩამდგმელი ლუარსაბ მეფე ვერ ჩაიგდო ხელში. თუმცა ქართლის მეფე პირადად საბარათიანოში იყო, მაგრამ სპარსელი ისტორიკოსის თქმით „ამგვარი ეშმაკობით“ ხელითგან გაუსხლტა და სანდო ადგილს შეაფარა თავი[2].

საბარათიანოთგან შაჰთამაზი შიდა ქართლში ჩავიდა და გორისაკენ გაემართა ჯარითურთ, რათგან ლუარსაბ მეფე სწორედ აქ ეგულებოდა. აქაც დაუღალავმა ქართლის მეფემ იმავე ხერხს მიმართა: ხალხი ციხეებში და მიუვალ მთებში დახიზნა, თითონ-კი ბრძოლას ხელმძღვანელობას უწევდა ისე-კი, რომ მტერმა მისი სადაობა არ იცოდა. სპარსელი ისტორიკოსის მოწმობით ქართლში შაჰთამაზის ლაშქრისათვის გზები ძნელი გასავალი ყოფილა და ტყეებით დაბურული ვიწრო ხეობები თურმე ჯარს საქმეს უჭირებდა. ირანის მბრძანებელი აქაც იმგვარადვე მოიქცა, როგორც საბარათიანოში, მხოლოდ ვინც «ნებით ციხეს მოსცემდის, არას აწყენდიან, არც არას წაართმევდიან, მაგრამ რომელსაც ციხეს ძალით აიღებდიან, თვითანც ამოსწყდებოდიან და

---

[1] 1552 წ. თბილ. სიონის № 104 სიგ.: ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. II, 41.
[2] ფ. გორგიჯანიძე; Dorn, 338.

მრავალს ყიზილბაშს ამოსწყვეტდიან, ძალით აღებულს ციხეში მყოფი ტყვეთ-წაასხმიდიან»[1].

სპარსელებმა შეიტყვეს, რომ ლუარსაბ მეფის დედა მრავალ თავადებისა და აზნაურშვილების ოჯახობითურთ ატენის ციხეში იყო შეხიზნული. რაკი თვით ქართლის მეფეს პირადად ვერა დააკლო-რა, ამ ციხის აღსაღებად თავისი ლაშქარი მიუსია. მაგრამ ატენის ციხე ვითარცა შაღალსა და თითქმის მიუვალს მწვერვალზე აგებული ადვილი ასაღები არ იყო. ციხეში მყოფმა ქართველმა მეომრებმა დაბლობში დაბანაკებული «მრავალნი ყიზილბაშნი ამოსწყვიტეს». ამგვარად, ატენის «ციხის აღება გაძნელდა», იმიტომ, რომ «არც სიბა მიიტანებოდა, არც შეეთხრებოდა, არც სითმე ზარბაზანი მიუდგებოდა». ასეთ პირობებში სპარსელებს ატენის ციხის აღების იმედი უნდა გადაეწყვიტათ. მაგრამ მათ დაიჭირეს ერთი ატენელი კაცი, რომელმაც სიკვდილის შიშით გასცა, თუ საითგან ჰქონდათ ციხეში შეხიზნულებს წყაროს წყალი, რომელიც ციხის გარემოცვის ატანას უადვილებდა. როდესაც ეს თავის სიცოცხლის გადასარჩენად ქვეყნის გამცემი კაცი მტერს გაუძღვა და ამ წყაროს გზა უჩვენა, სპარსელებმა წყალი დაუწყვიტეს და წყურვილით შეწუხებული ქალები, ბავშვები და მეციხოვნენი იძულებული გახდნენ, რომ დაჰნებებოდნენ. ამგვარად, ლუარსაბ მეფის დედა და ბევრი წარჩინებული ქართლელის ოჯახობა სპარსელებს ჩაუვარდათ ხელში. მამაკაცთაგან ბევრი დაახოცინა შაჰთამაზმა. სულ საბარათიანოსა და შიდა ქართლში სპარსეთის ლაშქარმა 30.000 ქალები, ბავშვები და დიდები ტყვედ ჩაიგდო, ამათგან შაჰთამაზმა თავადაზნაურობის ოჯახის წევრები და ლუარსაბ მეფის დედა თვით აიღო თავის სამხედრო საპატრონო ნაწილად მეხუთედის ანგარიშში, მაგრამ ამ მეოთხე გამოლაშქრების მთავარი მიზანი ამჟამადაც ისევ მიუღწეველი და განუხორციელებელი დარჩა, რათგან ლუარსაბ მეფე არამც თუ ვერ დაიჭირა, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით ისიც-კი ვერ გაიგო, თუ სად იმყოფებოდა შეხიზნული. მხოლოდ გორგიჯანიძისაგან ვიცით, რომ სახელოვანი ქართლის მეფე აჩაბეთის ციხეში იმყოფებოდა. შაჰთამაზმა ასეთ მდგომარეობაში ისევ ყარაბაღში დაბრუნება არჩია[2].

1554 წ. სულეიმან სულტანმა შაჰთამაზს ომი გამოუცხადა, ომი სწარმოებდა ნახჭავანის, ერევანის, ყარაბაღისა [და] შურაგულის [მიდამოებში], სადაც ქვეყანა აოხრდა. ერევნის შაჰი და მისი შვილები ამოხოცილ იქმნენ, სულტანის მშვენიერი ბაღი განადგურებულ იქმნა; ნახჭავანში ქვა-ქვაზე არ დასტოვეს. 5 დღის სავალზე გარშემო ყველაფერი აწიოკებული იყო. შაჰი ლორის მთებში იყო შეხიზნული, სადაც გარშემო ყველაფერი ცეცხლითა და მახვილით იყო განადგურებული. სულტანმა უკან დახევა გადასწყვიტა[3].

1554 წ. აგვისტოში სულტანს სულეიმანს მოუვიდა თუ არა ცნობა, რომ შაჰმა საქართველოში რამდენიმე ციხე აიღო, მაშინვე ბრძანება გასცა, რომ 4000 იანიჩარითა და რუმელისა, ანატოლის და ყარამანიის მთელი ჯარით შაჰის წინააღმდეგ გაელაშქრათ, რაც ასრულებულ იქმნა, მაგრამ ოლთისითგან ცნობა მოუვიდათ, რომ შაჰმა უკან დაიხია[4].

---

[1] ფ. გორგიჯანიძე; Dorn, 338—336.

[2] იქვე, 339.

[3] Hammer II, 85; შეად. დამატ. 922.

[4] Hammer II, 86.

**1554 წ.** «ქ˜ქსა ორას ორმოცდაორსა შაჰთამაზ ყაჲენი ქალაქს მოვიდა და ამოსწყვიტა ქ˜ყნა იგი ქართლისა»[1].

## [გარისის ომი და ლუარსაბ მეფის მოკვლა]

პირად უბედურებას, დედის ტყვედ ჩავარდნას, ლუარსაბ მეფის გულადობა და ბრძოლის სურვილი არამც თუ არ შეუსუსტებია და სპარსეთის შაჰის წინაშე ქედის მოხრით თავისი ოჯახური ბედნიერების მოპოვებით აზრი არ აღუძრავს, პირიქით, ამ გარემოებამ მისი ნაცადი მხნეობა და სამშობლო ქვეყნის აღმაშენებლობის დაუშრეტელი წყურვილი თითქოს უფრო გაუძლიერა. საკმარისი იყო შაჰთამაზი საქართველოს საზღვრებს გასცილებოდა, რომ ლუარსაბ მეფე მაშინვე თითონაც გორში დაბრუნებულიყო და ყველანი, ვინც მტერს გადაურჩა, თავის გარშემო შემოეგროვებინა მტრისაგან დაზიანებული ქვეყნის აღსადგენად მუშაობის გაჩაღებისათვის. ორიოდე წელიწადი იყო მხოლოდ გასული შაჰთამაზის უკანასკნელი შემოსევის შემდგომ, რომ ლუარსაბ მეფემ და ქართლის მმართველმა წრეებმა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის კვლავ ძალა მოიკრიბეს.

1555 წ. ქართლის მეფე გორითგან დაიძრა და სპარსეთის სამფლობელოს რბევა დაუწყო. ფ. გორგიჯანიძის ცნობით ლუარსაბმა გარისვარხუნა აიღო[2].

შაჰთამაზმა წასვლისას ქართლის მეფისათვის თვალყურის დევნება ყარაბაღის ბეგლარბეგს შავერდი სულთან ზიადოღლი ყაჯარის მიანდო. ამიტომ შეიტყო თუ არა მან ეს ამბავი, მაშინვე ყარაბაღის ჯარითურთ ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა. მტრის მოახლოების შემდგომ გამოირკვა, რომ ქართლის მეფეს შედარებით ძალიან მცირერიცხოვანი რაზმი ახლდა. ამიტომ მისი თანამოლაშქრენი, ფ. გორგიჯანიძის ცნობით, ლუარსაბ მეფეს ბევრს ეხვეწნენ, რომ უბრძოლველად უკან დაეხია, «მაგრამ მეფემ ძრახვას სიკვდილი არჩივა» და შებმა გადასწყვიტა. სპარსელი ისტორიკოსი-კი ამბობს, ვითომც ყარაბაღის ბეგლარბეგის მოახლოებისთანვე ლუარსაბ მეფემ თავის რაზმითურთ მტრის შესაცდენად და შესატყუებლად, აგრეთვე სისუსტის გამო, ჯერ უკან დაიხია, ხოლო როდესაც სპარსთა ჯარი ამ კუთხის ასაოხრებლად აქეთ-იქით გაიფანტა, მაშინ ქართლის მეფე საფარითგან გამოვიდა და ქართველ წარჩინებულთა თანხლებით შავერდი სულთანის მთავარს ძალას დაეცაო[3].

ფ. გორგიჯანიძის სიტყვით-კი, პირიქით, ლუარსაბ მეფე თავად-აზნაურშვილებითურთ შავერდი სულთანის რაზმს «საომრად წინ მიეგებნეს», თუმცა ქართველნი მტერთან შედარებით მეტად მცირერიცხოვანნი იყვნენ,

---

[1] ერისთავიანთ დაუჯდომელის კინკ.: ე. თაყაიშვილი, 14—15.
[2] ფ. გორგიჯანიძე; Dorn, 339—340.
[3] იქვე, 340.

მაგრამ მაინც, ლუარსაბ მეფის ჩვეულებისამებრ, შეტევა პირველად სწორედ ქართველებმა დაიწყეს. ბრძოლის დანარჩენი მიმდინარეობა სპარსელ და ქართველ ისტორიკოსებს ერთნაირად აქვთ მოთხრობილი. სპარსთა ჯარმა თუმცა წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ქართველთა თავგამოდებულ შეტევას ვერ გაუძლო, ბევრი დაიხოცა, დანარჩენნი გაიქცნენ, მათ შორის თვით ბეგლარბეგიც. ქართველები გაქცეულებს დაედევნენ და მიმდევნნი მიჰხოცდნენ სპარსელ ჯარისკაცებს. ლუარსაბ მეფე-კი მცირერიცხოვანი ამალით მაღლობზე იდგა და ბრძოლის დასასრულს თვალყურს ადევნებდა. მოულოდნელად ტყითგან მუჰამმედ სულტან მირჩინი პატარა გუნდითურთ მეფისაკენ გამოემართა. შენიშნა თუ არა ეს ლუარსაბმა, მაშინვე «მეაბჯრეს შუბი გამოართვა» და მტერს ცხენგაჭენებული «წინ მიეგება», მაგრამ მეფის გაჭენებულ ცხენს უეცრად «ფეხი ხვრელში ჩაუვარდა» და ცხენი კისერზე დაეცა, მეფე-კი ქვეშ მოჰყვა. ამით ისარგებლეს სპარსელებმა და ერთ-ერთმა მათგანმა ზაქირმა ცხენქვეშ მოქცეულ ლუარსაბს ისარი დააყარა და სასიკვდილოდ განგმირა. ქართველები ფიცხლად ზაქირს მისცვივდნენ და იქვე გაათავეს. მუჰამედ სულტანმა-კი იხელთა დრო და ლუარსაბის ცხენით მლევართ თავი დააღწია. სახელოვანმა ქართველთა მეფემ იქვე განუტევა სული. მისმა ამალამ ლუარსაბ მეფის ცხედარი წაასვენეს და მცხეთაში დაასაფლავეს [1].

**1556 წ.** «ქ˝კსა ორას ორმოცდა ოთხსა გარის შეიბნეს ქართველნი ყიზილბაშნი. ქართველთ გაემარჯვა და ქრისტეს მოწამე ლუარსაბ მუნ აღესრულა და ძე მისი სვმონ მეფე იქმნა» [2].

«ჟამსა... მამისა ჩუ˛ნისა... მეფობისა»-ო, ამბობს სვმონ მეფე, «მოვიდა უსჯულოებით აღძრული და ყოვლისა ქვეყანისა მაოკრებელი და ყოვლისა სჯულისა მტერი აგარის მონათესავე და წინააღმდგომი ყოველთა ჯუარისმოსავთა... ახალი ივლიანე უსჯულო თამაზ აურაცხელითა და მრავლითა ულუსითა და ამოსწყვიდა საქართველო და მრავალნი სულნი პირითა მახვილისათა მოსრნა˝ და ტყუჱ ყო და... დედაქალაქი მცხეთა აღაოკრა და ამას ჟამ ჟა შინა მეფეთა შორის სანატრელმან... მამამან ჩემმან... ლუარსაბ თჳთცა მიიღო წამებისა გჳრგჳნი»-ო [3].

«მოვიდა მაჰმადის მოსახელე შაჰთამაზ ყაენი (sic) გულისწყრ ომითა მკსინვარე. ამოსწყვიტა და ააოკრა ქართლის ქვეყანა. ეს ყველაი მეფობასა პატრონის ლუარსაფისსა (sic). განგრძელდა გულისწყრომა და მკსინვარება მისი ოც წელ საქართველოსა ზედა. ეწამა ღ˝თის მოყუარე მეფე ჩუენი ბატონი ლუარსაფ და დასთხია მისი პატიოსანი სისხლი ქ˝ესთუის» [4].

შაჰთამაზი რომ ლუარსაბ მეფის დროს აღმოსავ. საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა, ქართლს 20 წლის განმავლობაში თავდასხმითა და თარეშით აოხრებდა, სწორედ „ასეთს ჟამს ვაშენეთ“-ო, ამბობს ქართლისა კათალიკოსი დოროთეოზი, «მონასტერი ესე (იტრიისა) დიდის ჭირითა და რუდუნებითა, რომე მოგუიკდებოდეს თარეშნი აგარიანთა დააჰყრიდეს წაკართეჱსა გალატოზები და ტყეშიგ ჩავცინდებოდეთ ყველანი»-ო [5].

**1556 წ.** «სმდ. აქა შაჰთამაზ ჩადგა ქართლს და სომხეთს და აღაოხრა სრულად ხევთამდის» [6]. ესევე ამბავი სხვაგან 1557 წ. არის მოხსენებული [7].

---

[1] ფ. გორგიჯანიძე; Dorn, 340.
[2] ერისთავიანთ დაუჯდომელი: ე. თაყაიშვილ, 15.
[3] 1559 წ. მცხეთის № სით: ქ˝კბი II, 401.
[4] იტრიის ეკლ. გუჯარი XVI საუკ.: ს˝ქლს სძვ˝ლნი III, 126.
[5] იქვე.
[6] წ. ქ. გ. ს. № 252 ქინკლ.: ე. თაყაიშვილი, 24.
[7] ქ˝კბი II, 399, წ. ქ. გ. ს. № 1204.

## [ლუარსაბ მეფის დახასიათება]

საუკუნე ნახევრის შემდგომ ქართველთა მოწინავე წრეებში არსებული შეხედულების გასათვალისწინებლად ლუარსაბ მეფისაგან მტრის წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო მოქმედების შესახებ საყურადღებოა ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს დახასიათება. მას აღნიშნული აქვს, რომ შაჰთამაზის პირველსავე შემოსევის დროს 1540 წ. სპარსელების ყოველგვარმა ცდამ—ლუარსაბის ნებისყოფა მოეტეხათ და სამხედრო მოქმედების უნარი წაერთმიათ—უნაყოფოდ ჩაუარა. და ისინი იძულებული იყვნენ შინ დაბრუნებულიყვნენ. ამ გარემოებას სპარსელი ისტორიკოსიც ვერ მალავს[1]. ეს იმიტომ მომხდარა, რომ სპარსელები მოქანცულან. ფ. გორგიჯანიძეს ამის მიზეზის შესახებაც საგულისხმო დაკვირვება აქვს მოყვანილი: «ყიზილბაშნიც მეფეს უკან დევნით შეჯერდეს ამისათვის, რომ ცოტას შეებმებოდა, ბევრს უკუეცლებოდა და გზებს შეუკრავდა, ღამით თავს დაესხმოდა»-ო[2]. ლუარსაბის სიკვდილის გარემოების აღწერის წინ წამძღვარებულ დახასიათებაშიც უბრუნდება იგი ამავე საკითხს და ამბობს, რომ შაჰთამაზის ყოველივე ცდა ლუარსაბ მეფის დასამარცხებლად და შესაპყრობად იმიტომ გამოდგა ამაო, «რომ (ლუარსაბ მეფე) ცოტას შემოებმებოდა და ამოსწყვეტდა, ბევრს უკუეცლებოდა, უფროსიერთი ღამით დაესხმოდა და ზოგთ უკან წაეწეოდა და ზოგთ ვიწროში დახვდებოდა,—ამ რიგის საქმეებით მრავალს ნავნებს იქმოდა»-ო.

მეტად საყურადღებოა XVII საუკ. ქართველი განათლებული წრეების მსჯელობა საქართველოს პოლიტიკური სისუსტისა და თავგანწირული ბრძოლის უნაყოფოების მიზეზების შესახებ, რომელიც გამოთქმული აქვს ისტორიკოს ფ. გორგიჯანიძეს: მას აღნიშნული აქვს, რომ ქართველებს ვითარცა ქრისტიანებს «იქით ურუმნი არბევდეს და აქათ ყიზილბაშნი და ამისთანას ორს დიდს კელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს კმალი, იქეთ [იქნიეს] და მრავალი ნავნებიცა ქნეს, მაგრა არ იქნა და ვერცა რას თავს გაუვიდნეს»-ო. რატომ, რა მიზეზი იყო, რომ ამ გულადობამ ქართველობას თითქოს ფუჭად ჩაუარა? ამის მიზეზად მაშინდელ ქართველობას მარტო საქართველოს გარეშე მტრების ძლიერება არ მიაჩნდა და ფ. გორგიჯანიძის ნათქვამი ამტკიცებს, რომ XVI საუკ. საქართველოს სისუსტის შინაგანი მიზეზებიც კარგად ჰქონიათ გათვალისწინებული. ჩვენი ისტორიკოსი პირდაპირ ამბობს: «საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ გაყოფილ და ერთმანერთნის ურჩნი და ქიშპნი, მტერნი ერთმანერთისა მარბევნი და მაწყინარნი». აი რა აუძლურებდა საქართველოს, რა ანიავებდა და აქარწყლებდა შეგნებულ ქართველ მამულიშვილთა თავგანწირულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ლუარსაბ მეფის პიროვნებისა და მისი პოლიტიკურ-ეროვნული თავმოყვარეობისა და შეგნების გასათვალისწინებლად მეტად დამახასიათებელი გა-

[1] D o r n, Geschichte, 333.

[2] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, *271.

-რემოებაა, რომ სპარს-ოსმალთა 1553—54 წ. საზავო პირობებს, საქართველოს მათ შორის ორად გაყოფის შესახებ, «სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს, მაგრამ მეფე ლუარსაბ არ სჯერ იყო და კიდეც თაკილობდა». ამის გამო, რაკი მისი ეროვნული თავმოყვარეობა შელახული იყო, არამცთუ მორჩილებაზე არა ფიქრობდა, პირიქით «ამისთვის უფრო ურჩობდა და აქათ ერანის თემსა იქით ურუმის ქვეყანას არბევდეს». ქართლის მეფის ამგვარ მამულიშვილურ სულისკვეთებას და შეუპოვარი ბრძოლის წყურვილს არამცთუ მის პირად ქვეშევრდომთა შორის, საქართველოს დანარჩენ სამეფოებსა და სამთავროებშიაც ბევრი თანამგრძნობი და მიმდევარი ჰყავდა: ამიტომ იყო, რომ «გარეშე ქვეყნის თავადნი (ლუარსაბ) მეფეზე ერთგულათ იყვნენ»[1].

უფრო საყურადღებოა ის დახასიათება ლუარსაბ მეფის პიროვნებისა, რომელიც სპარსელ ისტორიკოსსა აქვს: ლუარსაბი გასაოცარი მამაცი ადამიანი იყო, გულოვანი პირადადაც და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწეებით გარშემორტყმული, რომელსაც სპარსეთის შაჰის არც ყმობისა და მორჩილების უღლის დადება სურდა და არც ხარკის ძლევაზე უნდოდა საუბარი ვისთანმე, რომელსაც ვერც სპარსეთის ლაშქრის მოქმედებამ მოახრევინა ქედი[2],

ამავე სპარსელი ისტორიკოსის ცნობებზე დამყარებული ლუარსაბ მეფის პირადი თვისებების დახასიათების დროს, ქართველი ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძე მისი დროის ქართველთა შორის გარდმოცემით შენახულსა და XVII საუკ. მოწინავე განათლებულ წრეებში გავრცელებულ აზრსა და შეხედულებას გვაწვდის. ფ. გორგიჯანიძეს ნათქვამი აქვს: «ლუარსაბ მეფე მამაცობაზედ ნაქებია ყოველს საქართველოს მეფეთა და თავადთა ზედან ძველით ახლებამდისინ. თავათ კარგი სარდარი იყო და მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმეველ-მჭმეველი, სამართლიანი, ყმა-მორჩილი. ომში კოხტა და უშიშარი, თანაც მაგარი ქრისტიანი»-ო. მას ისეთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტრფიალი ჰქონდა, რომ «თვითან სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა» და სწორედ ამიტომ და «ამისის ჯავრით ხუთჯერ შაჰთამაზ ყაენმა იმაზედ ილაშქრა და ვერას საქმითა ვერც მოამშვიდა და ვერც მოკლა და ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწა»-ო. გასაკვირველიც არაფერია და არც დაუჯერებელი, როდესაც იგივე ავტორი ამტკიცებს, რომ «ურუმთა და ყიზილბაშთ ნამეტნავად მისგან ეშინოდა»-ო.

XVII საუკ. ქართველ მმართველთა წრეებში შენახული იყო გარდმოცემა ლუარსაბ მეფის შესახებ, ვითომც მას უკანასკნელი ბრძოლის დროს სიზმარი ენახოს, რომელშიაც მას თავისი ჯარის მტერზე გამარჯვება და თავისი სიკვდილი ამოეკითხოს. თუნდაც რომ ეს ცნობა მართალი არ იყოს, ამ ამბავში საუცხოოდ არის ლუარსაბ მეფის თავგანწირული სულისკვეთება და მუდმივი საზრუნავის დამახასიათებელი თვისებები ჩაქსოვილი და საყურადღებოა ვითარცა მისი იდეალების მერმინდელი გამოხატულების ძეგლი. როდესაც დიდებულმა მეფემ სიზმარში თავისი მომავალი სიკვდილის აუცილებლობა

---

[1] ფ. გორგიჯანიძე; Dorn, 338.

[2] Dorn, 339.

განსჭვრიტა და ეს გარემოება თავის დიდებულებს გაუმჟღავნა, მან თავის მემკვიდრის სვიმონის მეფობის ერთგულობა შეაფიცინა ყველას და ანდერძად დაუდვა: „ჩემის სიკვდილით ნუ მოიშლებითო და ნურც ჩემი სიკვდილის კმას გაავგდებთო. რა ყიზილბაშნი გალაკოთ, მას უკან მცხეთას მიმაბარეთ. ჩემს გლოვას-ტირილს დაეხსენით“ და „ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდითო“ [1].

მეფის სიტყვამ ყველა დამსწრენი აატირა და შეაფიქრიანა, ამიტომ ურჩიეს რაკი ასეთი ცუდი სიზმარი გინახავთ, მტრებს ნუ შევებმებით და უბრძოლველად უკან დავიხიოთო. მაგრამ «ეს სიტყვა მეფემ შორს დაიჭირა და ასრე უპასუხა: დღესაქამომდე ხვანთქარსა და ყეენს ზურგი არ შევაქციე, რით იქნების, რომ ახლა ერთს ყაჯარს პირი ავარიდოო». და დიდი ხვეწნისდა მიუხედავად ლუარსაბმა სირცხვილის «ზრახვას სიკვდილი არჩივა» [2], მტერს შეება, დაამარცხა, მაგრამ თავისი თავიც ოდნავად არ დაუზოგავს და სიცოცხლე შესწირაო.

---

[1] ფ. გორგიჯანიძე: ქ~ცის შევს.-გად. გავრძ., დამატ. 933.

[2] იქვე.

## [სვიმონ პირველის მეფობა ქართლში]

### [სვიმონის გამეფება]

«ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატონიანმან... გჳირგჳინოსანმან მეფეთა-მეფემა პატრონმა სვიმონ და ძმათა ჩუენთა» მოგახსენეთ «სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა ქ~კსა: სმვ:»[1].

რაკი 1558 წ. სვიმონის მეფობის მეორე წელიწადი ყოფილა, სვიმონი მაშინ, მართლაც, 1556 წ. გამეფებულა. ამაზე უფრო ზედმიწევნილობითაც შეიძლება განსაზღვრული იყოს თარიღი. ერთს, 1558 წლის საბუთში ნათქვამია: «დაიწერა სიგელი ესე ქ~კსა: სჲჱ: თუესა ივლისსა ოცსა მეფობასა... სუიმეონისასა ინდიკტიონსა მეფობისა მათისასა კდ». აქეთგან ცხადადა ჩანს, რომ სვიმეონი მეფედ სწორედ 1556 წ. დამჯდარა და არა 1557 წ.[2].

ამავე საბუთითგანა ჩანს, რომ 1558 წ. სვიმონ მეფეს ჯერ არც შვილები და თვით ცოლიც-კი შერთული არ უნდა ჰყოლოდა: იქ ძმების მეტი არავინ იხსენიება. მართლაც ქ~ცის გაგრძელებებს მოყვანილი აქვთ ცნობა სვიმონ მეფის დაბადების წელიწადის შესახებ. «ქ~კსა: სკე: (225) მეფე სვიმონ იშვა ძე ლუარსაბისი»[3]. რაკი აქ სვიმონი მეფედ იწოდება, ცხადი ხდება, რომ ეს ცნობა მერმინდელი უნდა იყოს, იმ დროისა, როდესაც სვიმონი უკვე გამეფდა, ან უფრო გვიანი. თუ თარიღი მაინც სწორია და უტყუარ საბუთზეა დამყარებული, სვიმონი 1537 წ. დაბადებულა და 1556 წელს, როდესაც სამეფო ტახტზე ავიდა, 19 წლის ჭაბუკი ყოფილა.

ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვით 1559 წ. «მეფემან სვიმონ მოიყვანა ცოლად ასული ბატონის ლეონისა ნესტანდარეჯან, ნაშობი შამხალის ქალისაგან და ჰყო ქორწილი»-ო[4]. ეს ცნობა მთლად თარიღიანად ქ~ცის შევსებაშიც ... ს-გად. პირველს გაგრძელებასაც აქვს გამეორებული[5].

### [სვიმონის ბრძოლა თბილისისათვის]

თუმცა ჭაბუკმა, სვიმონ მეფემ დიდი მხნეობა გამოიჩინა და სამეფოს საქმეების მოგვარებას შეუდგა. თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, მტერს

---

[1] ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. III, 66, 67.

[2] იხ. აგრეთვე ქ~კბი II, 409.

[3] დამატ. 920.

[4] ვახუშტი, ისტ., ჰიჰინაძე, 39.

[5] დამატ. 935.

ეჭირა და ქართლის მეფის საჯდომად გორი იქცა. გორში მოსული სვიმონ მეფე მამის მსგავსად გაფანტულ ხალხის შეგროვებასა და დამშვიდებას შეუდგა. მტრისაგან აფორიაქებული ქვეყანა თავის ჩვეულებრივს მუშაობასაც უნდა შესდგომოდა და განადგურებისაგან მიყენებული ზიანის აღდგენაც მოეხერხებინა. ლუარსაბ მეფის ერთგულებით ნაცადი და მტერთან ბრძოლაში გამოწრთობილი წარჩინებულნი მის ნორჩს ძესაც ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ. ამის წყალობით 4—5 წელიწადში სვიმონ მეფემ ქვეყნის აღდგენა შესძლო და ცხოვრება ასე თუ ისე თავის კალაპოტში ჩააყენა და იმდენი ძალღონე მოიკრიბა, რომ საქართველოს დედაქალაქის მტრის ხელითგან გამოგლეჯაზე ფიქრს შეუდგა.

კახთ ბატონის ლეონ მეფის სიძობამ სვიმონ მეფეს საშუალება მისცა, არამც თუ მტრის შემოსევისაგან კახეთის მხრით უზრუნველყოფილიყო, არამედ თვისი დიდი განზრახვის განსახორციელებლად მეშველი ჯარიც მიეღო. სხვა მეზობელ ქართველთა მეფე-მთავრებსაც სთხოვა სვიმონმა სამხედრო დახმარება და, თუ სპარსელ ისტორიკოსს დავუჯერებთ, ყოველმხრივ სიამოვნებით მოჰშველებიან კიდეც. ლეონ მეფეს მაინც თავის სიფრთხილისათვის არ უღალატნია და მოსაშველებლად თითონ-კი არ წამოსულა სვიმონ მეფესთან, არამედ თავის პირმშო შვილს გიორგის ნება დართო, ან იქნებ მხოლოდ არ დაუშალა, რომ ქართლის მეფესთან ერთად კახეთის ჯარითურთ თბილისის აღებაში მონაწილეობა მიეღო.

1560 წ. საქართველოს დედაქალაქის მტრის ხელითგან გამოსაგლეჯად სვიმონ მეფე ქართლის ჯარითურთ გორითგან დაიძრა. კახთა ჯარის მოშველებამ ქართველ მეომართა რიცხვი საგრძნობლად გაადიდა, მაგრამ არც მტერი იჯდა გულხელდაკრეფილი. პირიქით, ყარაბაღის ხანმა საჩქაროდ მთელი არეზს აქათის ჯარი შეაგროვა და თბილისში მყოფი სპარსთა მეციხოვნე ჯარის მოსაშველებლად წამოვიდა. ქართველთა შეერთებულმა მხედრობამ მტრის საწინააღმდეგოდ ერთს ვიწრო ხეობაში ხანდაკი გათხარა, რომ სპარსთა ჯარი მოულოდნელად არ დასცემოდა ქართველებს. მტერი რომ ამ თხრილს მოუახლოვდა, ჩამოქვეითდა და ხანდაკი გაასწორა. რაკი ეს ხელოვნური დაბრკოლება გადმოლახული იყო, საომრად გამოწყობილი მოპირდაპირენი გახურებულ ბრძოლაში ჩაებნენ.

სამხედრო მოქმედების მიმდინარეობის შესახებ ფ. გორგიჯანიძისა და სპარსელი ისტორიკოსის ცნობათა შორის, — რამდენადაც ეს ბრძოლის დასაწყის ნაწილს ეხება, არსებითი განსხვავებაა[1]. ქართველ ისტორიკოსს თუ დავუჯერეთ, ქართველთა შეერთებული მხედრობა გატაცებით, «თავმიცემითა და თავგამომეტებით» იბრძოდა ისე, რომ თუმცა ქართველთაც დიდი ზარალი მოუვიდათ, მაგრამ სპარსთა ლაშქარი უფრო მეტად დაზიანდა. მტერი უკვე შედრკა და გაქცევას აპირებდა, რომ კახეთის ჯარში ხმამაღლა ტირილი და თავში ცემა დაიწყეს, ბატონიშვილი მოგვიკლესო. მკვდარი რომ საომარი ადგილითგან გამოეტანათ, ბრძოლას თავი მიანებეს. ასეთ პირობებში დანარჩენი

[1] ფ. გორგიჯანიძე, Dorn, 341.

ჯარიც აირია და ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით-კი გ ი ო რ გ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვითომც შავერდი ხანის რაზმის შეტევის გამო ქართველთა ჯარის უკან დახევისა და ლტოლვის დროს უნდა ყოფილიყოს მოკლული. მასთან ერთად ათასი კაცი კიდევ სხვა დახოციათ ქართველებს. სვიმონ მეფემ თავისი ჯარითურთ გორისაკენ გასწია ისევ. ასე დამარცხებით დამთავრდა ქართლის ჭაბუკი მეფის პირველი დამოუკიდებელი სარდლობა.

1561 წ. «ქ˜კს ორას ორმოცდა ცხრასა იქმნა ომი ციხედიდსა და თათართ გაემარჯვა და ძე მეფისა ლეონისი მოკლეს» [1]. ყანჩაეთის ჟამნგულანში ლეონ მეფის მოკლული შვილის სახელი არის მოყვანილი და იქ ნათქვამია: «სნთ, აქა ომი ციხედიდს იყო და მოკლეს ძე მეფისა ლეონისი გიორგი» [2]. მხოლოდ ეოთი წყარო [3] აკუთვნებს ამ ამბავს 1559 წ.[4]. ისკანდერ მუნშის-კი თარიღად 1560 წ. აქვს აღნიშნული [5].

## [მეფის ძმის დავითის მოღალატეობა]

1560—1561 წ. შეერთებული ქართველთა მხედრობისა და სვიმონ მეფის დამარცხების შემდგომ ქართლის ჭაბუკ მეფესა და მის ძმას დავითს შორის რაღაც უსიამოვნება მომხდარა. რა ნიადაგზე იყო იგი აღმოცენებული არა ჩანს, მაგრამ ბატონიშვილის გარდა ზოგიერთი ბარათიანნიც გულნაწყენნი ყოფილან. დავით ბატონიშვილმა ისიც-კი იკადრა, რომ ძმაზე, სვიმონ მეფეზე, შემომწყრალი, თავის სამშობლო საქართველოს დაუძინებელ მტერთანა და გამანადგურებელთან შაჰთამაზთან წავიდა. სპარსეთის მბრძანებელი ყაზმინს იყო და როცა «დავითის მოსვლა კელმწიფეს მოახსენეს, დიდად იამა და სრულ ბეგლარ-ბეგი ვინც-კი კარზედ იყო წინ მიაგება». რაკი საქართველოთგან მომავალი ბატონიშვილი «მისის ძმის მეფის სვიმონისაგან შემომწყრალი იყო, ამისთჳს უფრო პატივი სცეს და შვილობის რაყამი უბოძეს, და მეჯლიშიგან ყაენმან თჳსსა სიახლოვეს დაისვა და ვითაც კელმწიფეს ქვეშ მოუფინეს დადორი დაუდვეს და ზედ დასვეს და მისნი თავადები მეჯლიშში დასხეს და ალაგ-ალაგ შუაში ჩაუსხდენ» [6].

ან რა საკვირველია, შაჰთამაზს რომ ასეთი ზეიმით მიეღო დავით ბატონიშვილი. ქართლის მეფის ლუარსაბის წინააღმდეგ იძულებული იყო ხუთჯერ გაელაშქრა საქართველოში, ოცი წლის განმავლობაში იბრძოდა მის დასამორჩილებლად, ახლა მამის მაგიერ სვიმონმა იკისრა სპარსთა ბატონობის საწინააღმდეგო ბრძოლა და ირანის მბრძანებელი ვერას გახდა, ვერც ერთს მათგანს ქედი ვერ მოახრევინა და ყმობის უღელი ვერ დაადვა. ეხლა თვით ლუარსაბ მეფისავე შვილი და სვიმონ მეფის ძმა ნებაყოფლობით ძმაზე საჩივ-

---

[1] ერისთავიანთ დაუჯდ.: ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 15.
[2] ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 12.
[3] „წიგნი ქრონიკონნი“.
[4] ქ˜კბი II, 401.
[5] B r o s s e t, Addit. V, 453.
[6] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე. *282; დამატ. 937; Dorn 342.

ლელად მასთან მოდიოდა და სპარსეთის ბატონობის საქართველოში დასამყარებლად ამაზე უკეთესს და მარჯვე შემთხვევას როდის მოესწრებოდა?

დავით ბატონიშვილი იმ მხრივაც სპარსელებისათვის იარაღად ადვილად გამოსაყენებელი გამოდგა, რომ, პატიოსანი ადამიანის სვინიდისსა და ეროვნული გრძნობის დაკარგვასთან ერთად, მან სარწმუნოებაც უყოყმანოდ დასთმო და გამაჰმადიანდა. ამიერითგან ის უკვე დაუთ-ხანად იქცა და ამ სახელწოდების გარდა მან და დანარჩენმა მოღალატეებმა უფრო საფუძვლიანი და ბრჭყიალა საჩუქრებიც მიიღეს თავის სამშობლოს გამცემლობისა და სპარსეთის ყურმოჭრილი მონობისათვის. ყველაფერი რაც შაჰთამაზმა უბოძა და «რაც ბატონყმათ მიეცათ, სრულ ცხრაასის თუმნისა იყო»-ო. დაუთ-ხანს ამას გარდა ის გარემოება ახარებდა, საქართველოს დედაქალაქში შევიდოდა და მეფედ დაბრძანდებოდა. მას «ქალაქისა და სომხით-საბარათიანოს მეფობა მისცეს და რაყამში შვილობილი ჩაუწერეს და მესტუმრე თან გაატანეს და დიდის პატივითა და მორჭმით გაისტუმრეს». მაგრამ რათგან დაუთ-ხანს, ვითარცა მოღალატეს, საქართველოში ბატონობისათვის არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა და არავინ აბოგინებდა, ამიტომ, თუ სპარსთა სამხედრო ძალა თან არ ახლდებოდა, მას თბილისში დარჩენა არ შეეძლო. მაგრამ ეს გარემოება თვით სპარსელებისათვისაც ძალიან ხელსაყრელი იყო და ამის გამო «წელიწადში თვითოს ნაპირის ხანს მეფის დავითის» ანუ დაუთ-ხანის «მცველად მოუყენებდნენ თავისი ლაშქრით ქალაქის ციხეში»[1].

დაუთ-ხანის სპარსთა წყალობით გამეფება არც სვიმონ მეფეს, არც სხვას ვისმეს უცვნია საქართველოში. პირიქით, ქართლის მმართველმა წრეებმა უფრო მეტი გამბედაობით განაახლეს ბრძოლა თბილისის მტრის ხელთაგან გამოსაგლეჯად.

«ჩუენ ღთიუ-გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან სვიმონ» ურბნელ მთავარეპისკოპოსს ვლასეს 1566 წ. ჰპირდებოდა, რომ „თუ ღ˜თმან შუამდგომლობითა თქუენითა წყალობით მოგვხედნეს და ჩუენ ჩუენი სახელმწიფო და სამეფო დაგურჩეს და შეწევნითა თქუენითა მშვიდობით დავიპყრათ“, თქვენს თხოვნას ავასრულებთ[2].

## [სვიმონმა ორგზის დაამარცხა დაუთ-ხანი]

**1567 წ.** «ქ˜კსა ორას ორმოცდა თხუთმეტსა მეფე სვმონ და დაუთ-ხან შეიბნეს დიღვამს და მეფესა გაემარჯვა»[3].

**1567 წ.** «ქ˜კსა ორას ორმოცდა ხუთსა[4] მეფე სვმონ და დაუთ-ხან შეიბნეს სამადლოს და მეფესა გაემარჯვა»[5].

---

[1] ფ. გორგიჯანიძე, *283; ქ˜ცის შევს.-გად. გაგრძ. დამატ. 937—8; Dorn, 342.

[2] ურბნისის სიგ.: ქ˜ბი II, 407.

[3] ერისთავიანთ დაუჯდ, 15; წიგნი ქრონიკონნი: ქ˜ბი II, 408.

[4] Sic! უნდა იყოს თხუთმეტსა „მიე“.

[5] ერისთავიანთ დაუჯდ. 16.

სამადლოს მახლობლად სვიმონ მეფესა და დაუთ-ხანს შორის მომხდარ ბრძოლის შესახებ ცნობა ქ̃ცის შევსებულ-გადაკეთებულს ორსავე გაგრძელებაშიც მოიპოვება, მაგრამ იქ თარიღად „სნვ“ ქორონიკონი 1568 წ. არის დასახელებული და სვიმონ და დაუთ-ხანის პირველ შეტაკების ამბავის შემდეგ არის მოთხრობილი: «ქ̃კსა. ს̃ნვ. მეფე სვიმონ და დაუთ-ხან შეიბნეს სამადლოსა და მეფეს გაემარჯვა»-ო [1]. უეჭველია ზემომოყვანილს კინკლოსის ცნობას დედანში „სნე“ ან „სნვ“ ან უფრო რომ „სმივ“ ეწერებოდა და რომელსამე გადამწერს „ათი“ (ი) გამორჩებოდა.

სვიმონ მეფის ორგზისმა გამარჯვებამ 1567 წ. სპარსთა ჯარზე და დაუთ-ხანზე სპარსეთის მთავრობა შეაფიქრიანა. შაჰთამაზმა გადასწყვიტა თავისი ლაშქრის სახელიც აღედგინა და შეშინებულ დაუთ-ხანისათვის შერყეული ტახტი გაემაგრებინა.

## [ფარცხისის ბრძოლა და სვიმონ მეფის დატყვევება]

1568 წ. ამ მიზნით მან დიდი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. სვიმონ მეფემ ფ ა რ ც ხ ი ს ს მოუყარა თავი თავის მეომრებს და აქვე მოხდა კიდეც გახურებული ბრძოლა. ჩვეულებრივი სიმამაცით და თავგანწირულობით სვიმონ მეფე ყველას გულადობის მაგალითს უჩვენებდა და მტერს შიშის ზარსა სცემდა შუბისა და ლახტის თავისებური ხმარებით. სპარსთა ჯარი უკვე შემდრკალი იყო, რომ შამხალ სულთანის ყმას ჯემშიდს ვილაც უცნობმა, ვახუშტისა და ქ̃ცის შევს.-გადაკ. გაგრძელების ავტორის სიტყვით ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, მეფის ვინაობა შეატყობინა. ამის შემდგომ სპარსთაგან განსაკუთრებული რაზმი გარშემოერტყა მეფეს, ჯემშიდმა სვიმონის ცხენთაგან ჩამოგდება ცხენის დაძგერებით შესძლო და სპარსელებმა ძირს დაცემული მეფე შეიპყრეს:

**1569 წ.** «ქ̃კსა ორას ორმოცდაჩვდმეტსა იქმნა ომი ფარეხეთს და მეფე სვმონ კვლთ დარჩა ყიზილბაშთა» [2]. ამგვარივე თარიღი და ცნობა სხვაგანაც გვხვდება [3]. ქ̃ცის შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელებაც ამავე თარიღსა სდებს [4].

სვიმონ მეფის თავგანწირული ბრძოლის მნიშვნელობა საქ̃ლოს მტრების წინააღმდეგ თანამედროვეებს კარგად ესმოდათ: მას შემდეგ რაც «დაჯდა მეფედ ბატონი სუიმონ», მან «დადვა თავი და სული ღ̃თისათვის და საქრისტიანოსათვის და დატყვევდა» [5].

როცა დატყვევებული მეფე სვიმონი «მიიყუანეს შაჰთამაზს წინაშე», სპარსეთის მბრძანებელმა თავის დაუძინებელი გულადი მოწინააღმდეგის მიმართ სულგრძელობა გამოიჩინა და «მანცა დიდად პატივსცა» [6].

---

[1] პარიზ. ქ̃კა 10 და დამატ. 939.

[2] ერისთავიანთ დაუჯდ. 16.

[3] ყანჩაეთის ჟამნგულ. 22, წ. კ. გ. ხელთ. კინკლ. № 252: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 24.

[4] დამატ. 940.

[5] იტრიის სიგ. XVI ს.: სქ̃ლს სძვლ̃ნი III, 126.

[6] ი ქ ვ ე.

წრფელად თუ განზრახ შაჰთამაზისაგან აღმოჩენილმა დიდმა პატივის-ცემამ ვერ მოალბო რაინდი მეფის ამაყი გული. ვერც უხვი საბოძვრითა და საჩუქრებით დაიყოლია იგი თავის ნებაზე. თუ თამაზს იმედი ჰქონდა, რომ დაუთ-ხანივით სვიმონ მეფეც თავის რწმენას ისე ადვილად დასთმობდა, მალე გაუცრუვდა. როცა ვერც იძულებით გაამაჰმადიანეს, განრისხებულმა შაჰმა სვიმონ მეფე ალამუტის ციხეში გაგზავნა [1].

შაჰთამაზი ისე გარდაიცვალა, რომ სვიმონ მეფე მისი ხანგრძლივი ტყვეობისდა მიუხედავად მაინც თავის სურვილზე ვერ დაიყოლია.

## [ᲓᲐᲣᲗ-ᲮᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲤᲝᲑᲐ]

**1575 წ.** «ქ˜კსა. სჳდ; დაუთ-ხან ქართლის ბატონად დასვეს» [2]. ამგვარივე ცნობა კინკლოსშიც მოიპოვება [3].

# [ᲙᲐᲮᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ II]

მე «მეფეთა-მეფისა სულკურთხეულისა პატრონისა ლეონის ძემან მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ და ძეთა˜ ჩუენთა პატრონმან ერაკლე, პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი, პატრონმან კონსტანტინე და ბატონმან როსტომ» გიბოძეთ სიგელი, რომელიც დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა თხუთმეტსა ქ˜კსა: სნიზ:» [3]. თუ 1579 წ. ალექსანდრეს მეფობის 15 ინდიკტიონი შესრულებულა, მაშასადამე, 1564 წ. უნდა გამეფებულიყო.

«ჩვენ შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან და უძლეველმან იესიან დავითიან სოლომონიან ყოვლისა საქართველოსა მპყრობელ-მქონებელმან შანშა და შარვანშა, მეფეთა-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და საყვარელთა და პირმშოთა ძეთა ჩვენთა პატრონმან დავით და პატრონმან გიორგიმ და პატრონმა კონსტანტინე ეს... წიგნი და ნიშანი... მოგახსენეთ»-ო, რომელიც დაიწერა «დასაბამითგან წელთა შვიდი ათას ას და ოთხსა, ქ˜კსა: სპე: თვესა აპრილსა ოცდათსა (sic), მზის მოქცევასა: Ც: სათვალავსა მთავრისასა: კ˜დ: ინდიკტიონსა ოცდასამსა» [4]. რაკი 1597 წ. ალექსანდრე კახთ-ბატონის მეფობის 23 ინდიკტიონი ყოფილა, მაშასადამე, ის 1574 წ. უნდა გამეფებულიყო.

„ჩუენ... მეფეთა-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ, საყუარელთა ძეთა ჩუენთა პატრონმან ერეკლე, პატრონმა დავით, პატრონმა გიორგი და პატრონმა კოს-

[1] ფ. გორგიჯანიძე, *283; Dorn, 343.

[2] პარიზის ქკა 10.

[3] წიგნი ქრონიკონნი: ქ˜კბი II, 416.

[4] ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. II, 50, 53—54.

[5] იხ. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები I, 4 და 6.

ტ ა ნ ტ ი ნ ე» სიგელი გიბოძეთ, რომელიც დაიწერა «ქ̃კსა: სნით: ი ნ დ ი კ ტ ი-ო ნ ს ა მ ე ფ ო ბ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ს ა წ ე ლ ს ა (sic) მეშვიდესა»[1]. აქეთგან თითქოს ისე გამოდის, რომ ალექსანდრე 1574 წ. უნდა გამეფებულიყოს.

ამგვარივე ცნობის შემცველი სხვა სიგელიც არსებობს, სახელდობრ ალექსანდრე მეფის იოსებ ჯანდიერისშვილისადმი ნაბოძები, 1584 წ. დაწერილი წყალობის წიგნი, რომელიც შედგენილია „ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ს ა მ ე ფ ო-ბ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ს ა წ ე ლ ს ა (sic) მ ე ა თ ე ს ა თ უ ე ს ა ო კ ტ ო მ ბ ე რ ს ა თ ე ქ ჳ ს მ ე ტ ს ა ქ̃ კ ს ა ს ო ბ»[2]. მაშასადამე, ა მ ს ა ბ უ თ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ა ც ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე 1574 წ. უ ნ დ ა გ ა მ ე ფ ე ბ უ ლ ი ყ ო.

ალექსანდრე კახთა მეფე თავის 1597 წ. გუჯარში თავისს უფროს დას ქეთევანს იხსენიებს. მისი სიტყვით ის ალბათ 1597 წ. ახლო ხანებში ძმასთან დაბრუნებულა. ეს ამბავი ალექსანდრეს ამ გუჯარში ამგვარად აქვს აღწერილი: «მძლავრობითა უცხო თესლთათა ჩვენი უხუცესი და პატრონი ქეთევან მოვიდა ჩვენსა სახლშიგან. ვითარცა უწყით ქრისტიანეთა ზედა მათ ღ̃თის მტერთა მიერ ძლეულება და უწყალოება, მრავალი სატანჯველი მიაპყრეს და თავისის მამულისაგან ექსორია-ყვეს. ჩვენ, ვითარცა შეჰგვანდა კელმწიფებასა ჩვენსა, ვიგულეთ და შევიტკბეთ და იგი ჩვენი და... მივეცი მონასტერი მეტოქი და სახიზარი... და დავაყენეთ უდაბნოსა მას შინა აკურისასა და დავანებეთ რაცა მისი შესავალი იყო ამა წესითა, ვითა სადამდის ცოცხალ-იყოს ჩვენი და პატრონი ქეთევან, მანამდისი (sic) მას ჰქონდეს... ჩვენმან დამან იკმაროს და ჭამოს»-ო[3].

**1575 წ.** «ქ̃კსა ორას სამოცდა სამსა ღ̃ის მოყუარე მეფე ლეონ მიიცვალაჲ».

«ქ̃კსა ორას სამოცდა სამსა მეფე კახთა ალექსანდრე და ძმისწულნი მისნი შეიბნეს, ჴიაურს და მეფესა ალექსანდრეს გაემარჯვა და ძმისწულნი მისნი დაიხოცნეს»-ო[4]. ქ̃ცის შევს.-გადაკ. პირველს გაგრძელებაში 1576 წ-ია აღნიშნული[5].

## [იმერეთის მეფე გიორგი]

«ჩუენ ღ ვ თ ი ვ - გ ჳ რ გ ჳ ნ ო ს ა ნ მ ა ნ მ ე ფ ე თ - მ ე ფ ე მ ა ნ გ ი ო რ გ ი და დ ე დ ო ფ ა ლ თ ა - დ ე დ ო ფ ა ლ მ ა ნ... რ უ ს უ დ ა ნ დ ა პ ი რ მ შ ო მ ა ნ... ძ მ ა ნ ჩ უ ე ნ მ ა ნ ბ ა გ რ ა ტ» შემოგწირეთ მამული «ი ნ დ ი კ ტ ი ო ნ ს ა მ ე-ფ ო ბ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა მ ე ო თ ხ ე ს ა ქ̃ კ ს ა: ს ნ ვ: თ ვ ე ს ა ა გ ვ ი ს ტ ო ს ა ლ»[6]. მაშასადამე, იმერეთის მეფე გიორგი 1565 წ. უნდა გამეფებულიყო.

---

[1] ქ̃ძი, II, 420, დავით გარესჯ. № 1 სიგ. 1581 წ.

[2] საქ̃ლოს სძ̃ვლნი III, 186.

[3] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები I, 5.

[4] ჴრისთავიანთ დაუჯდომელი 16.

[5] დამატება 941.

[6] გელათის 1568 წ. სიგ.: ქ̃ძი II, 409—410.

«დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეოთხესა (sic) ქ˜კსა: სნზ: თუესა თებერუალსა: დ:»[1]. თუ 1569 წ. გიორგი მეფის მეოთხე ინდიქტიონი იყო, მაშინ თითქოს 1566 წ. უნდა გამეფებულიყო.

**1578 წ.** «ქ˜კსა: სჲვ:... მიიცვალა მეფეთა-მეფის გიორგის შვილი ბაგრატ თვესა მაისსა: კბ: დედა მათი დედოფალი რუსუდან მიიცვალა აგუისტოსა დ:»[2].

პირველი ცოლის 1578 წ. სიკვდილის შემდგომ გიორგი იმერთა მეფეს მეორე ცოლი შეურთავს.

«ჩუენ მეფეთ-მეფესა ბაგრატის უხუცესის შვილისა მეფეთ-მეფისა გიორგის თანამეცხედრემან, დედოფალთ-დედოფალმან ბატონის დიასამიძის სახელოანის შერმანზანის და ანას ქალმან პატრონმან თამარ ყოფილმან ქრისტინემ» შემოგწირეთ 1586 წ. და შევამკეთ ხატიო[3]. მაშასადამე, ის შერმაზან დიასამიძის ასული ყოფილა და თამარი რქმევია. ქმრის გიორგი მეფის სიკვდილის უმალ ის მონაზონად შემდგარა და ქრისტინეს სახელი მიუღია.

**1568 წ.** «სნვ. აქა იყო დიდი ჟამი იმერეთს. ამავე ქორონიკონსა თვესა ივნისსა კდ გაურისხდა ღმერთი ხოსროსა ვახტანგის შვილსა: ულალატა მეფეს გიორგის ძესა ბაგრატისსა. ტყვე იქმნა ძმისწული მეფისა, ძე კონსტანტინესი. განერა მეფე მშვიდობით»[4].

იმერეთის მეფე გიორგი თავის 1568 წლის [სიგელში] თითონვე მოგვითხრობს მთელ ამ ამბავს: ცხუკურის «მამული ძველად ჩუენი სახასო იყო და მერმე ნემსაძესა ბეჟანს მივეცით და ჟამთა ვითარებისაგან ნემსაძემან გვიღალატა და ჩუენი ბიძაშვილი ხოსრო დაგვასხა იანეთს საშვილიაშივან და ცოლშვილითა და ჩუენითა დარბაისრითა სასიკუდილოთ მოგვინდომა. ჩუენ იმ წინა დღესა ავიყარენით და ზემოთ ჩ˜ნს მამულშიგან აღმოვედით. და ისინი მივიდნეს და დაესხნეს ჩვენს ნადგომევსა და თუ იქი დავრჩომოდით ღალატითა, თუ ღმერთი მოუშვებდა, დაგვხოცდეს. აწე ისიც გავაძეთ და ჩუენს საბატონოშიგან აღარ მოუშვით და ესე მამული ნასისხრად ხახულისა და საკურთხეველის ღ˜თის მშობელს შევწირეთ»-ო[5].

**1574 წ.** «სჲბ. აქა პატრონი ქაიხოსრო ყაზმინს მიიცვალა»[6].

## [დავით XI ანუ დაუთ-ხანი]

„ნებითა და ბრძანებითა ღ˜თისათა ჩვენ მეფეთ-მეფისა ბატონის ლუარსაბის ძე საწყალი დაუთ-ხან ჩვენ საქმეზედან

[1] ქ˜კბი II, 412.
[2] საეკ. მუზ. ხელთ. № 49: ქ˜კბი II, 417.
[3] ქ˜კბი II, 425.
[4] წ. კ. გ. ს. ს. № 252: ე. თაყაიშვილი, 8; Материалы для ист. Грузии, 8.
[5] გელათის 1568 წ. სიგ.: ქ˜კბი II, 409—410.
[6] ყანჩაეთის ჟამნგულანი: ე. თაყაიშვილი, 13.

სტამბოლს სულთანს მურად ხვანთქართან მოვედით სასაქმოდ და აქ სტამბოლს ორს წელიწადს ვიყავით»-ო[1].

პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული, უსაქმურად მყოფი დაუთხანი სტამბოლში ცხოვრების ძლიერს მაჯის ცემას გრძნობდა და აკვირდებოდა. არ გამოჰპარვია მას ის კულტურულ-გონებრივი საგანძური, რომელიც მაშინდელს სტამბოლში მოიპოვებოდა და მისი ცნობისა და ცოდნისმოყვარეობა თავისთვის გონების საზრდოსა პოულობდა და მრავალს, მანამდე მისთვის უხილავ გრძნობების მოზღვავებასაც ხელს უწყობდა. ის მოგვითხრობს, რომ ერთხელ სტამბოლში სიარულის დროს «კაის ფილოსოფოსსა და ბედნიერს კაცს შემოვეყარენით», რომელმაც «თავის სახლში მრავლის იძულებით მიგვიყვანა»-ო. მას «მრავალი სააქიმო და სამეცნიერო წიგნები ჰქონდა, რომელნიც მწვედ მოგვეწონა»-ო[2].

იმ მრავალ წიგნებში, რომლებიც დაუთ-ხანს სტამბოლში უნახავს, სხვებზე მეტად ორი წიგნი მოსწონებია. ეს თურქულად, ანუ როგორც თვით დაუთ-ხანი ამბობს „თათრულად“ დაწერილი «ორი წიგნი ორს ფილოსოფოს კაცთაგან და სხვათა მრავალთა სააქიმოს წიგნებშიგან გამორჩეული და გამოკრებული იყო»[3]. ორივე წიგნი როგორც ეტყობა ერთი მხრით კომპილაცია ყოფილა, რომელშიაც მათ შემდგენელთ რაც კი «იმა მრავალ სააქიმოთა წიგნთაგან ან აქიმობა და ან წამლები მოსწონებოდა» თავიანთ ნაშრომში შეუტანიათ, მეორე მხრით საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილების ნაყოფი ყოფილა და შეიცავდა ბევრს ისეთს რამესაც, რაც «მრავალჯერ დაეცადა» მის შემდგენელს[4].

დაუთ-ხანს რომ ეს წიგნები უნახავს, მათი შოვნის სურვილი აღძვრია. ხოლო რაკი ამის მსგავსი თხზულება მას თავის სამშობლოში არ ეგულებოდა და «ესე ჩვენც ვიცოდით, რომ საქართველოშიგან ამისთანა და ამგვარი ქართული სააქიმო წიგნი არ იყო»-ო, ამიტომ «ჩვენ შევბედეთ და შევეცადენით, ვითა ესე ორი თათრული სააქიმო წიგნები ქართულად გადმოვსთარგმნოთ»-ო[5]. დაუთ-ხანს მთელი თავისი არსებით „მწვედ“ უგრძნია ამ წიგნის მნიშვნელობა საქართველოსთვის, სადაც შესაფერისი საექიმო წიგნებისა და ცოდნის უქონლობის გამო ხალხს დიდი ზიანი მოსდიოდა. იგი წრფელი გრძნობით მოგვითხრობს: ჩვენ საკუთარი თვალით «საქართველოში მრავალი ასეთი კაცი ვნახეთ, რომ უხელობითა[6] და უცოდინარობით მოკვდა და დაზიანდა»-ო. ამ კარაბადინის შესწავლამ-კი დაგვარწმუნა, რომ რაც-კი «მათ

---

[1] დაუთ-ხანის, სამკურნალო კარაბადინი, წინასიტყვაობა, ჩჩ. ჯ. თაყაიშვილი Описание I, 624.

[2] დაუთ-ხანის სამკურნალო კარაბადინი: Описание I, 624.

[3] იქვე, Описание I, 625.

[4] იქვე, Описание I, 625.

[5] იქვე, Описание I 624, 625.

[6] ვ. ი. ხელის შეუწყობელობითა და მოუვლელობით.

კაცთა ზედა სენი და ჭირი ვნახეთ», ადვილი მოსარჩენი ყოფილა და «მისი სენის და ჭირის წამალი ყველა ადვილის საქმით მას წიგნებში ეწერა»[1]. ამ გარემოებამ სტამბოლში მჯდარი დაუთ-ხანი ცხადად დაარწმუნა რა ზიანი მოსდიოდა საქართველოს, რაკი ქართული მწერლობა უკვე ჩამორჩენილი იყო და მეზობელთა განათლებას კვალდაკვალ ველარ მისდევდა.

დაუთხანს ამ ორი ოსმალური წიგნის პირდაპირი თარგმნა არ სურდა, არამედ მათგან ერთი საექიმო სახელმძღვანელოს შედგენა, «ამა ორის თათრულის წიგნის ერთგან შეკრება» და ერთ თხზულებად გადაკეთება. სწორედ ამ მიზნისაკენ იყო მისი მთელი წადილი მიპყრობილი. დაუთხანი ამბობს, რომ შემდეგ, რაც განზრახული საქმის განხორციელება მოვიწადინე, «ჩემი თავი და ჩემი გულისყური, ჩემი ჭკვა და მცოდინარობა დავსცადე», რომ გამომერკვია «ამა ორის თათრულის წიგნის ერთგან შევსება» და გადმოთარგმნა «შემიძლიან თუ არა»-ო? ის ევედრებოდა ღმერთს, «ამდონი ჭკუა, გონება, სწავლა და გულისყური მიბოძე და ამდენი ძალა და გაძლება მომეცი», რომ განზრახული საქმე ღირსეულად შევასრულოთო[2].

სპეციალური შინაარსის სამეცნიერო წიგნის გადმოთარგმნა საზოგადოდ ადვილი არ არის და შესაფერისს ცოდნას და გაწვრთნილობას მოითხოვს. მით უმეტეს ძნელი უნდა ყოფილიყო ეს დაუთ-ხანისათვის, რომელსაც, ვითარცა პოლიტიკურს მოღვაწეს ამასთანავე უხეიროს, წინათ ამგვარი არც წიგნები და არც საკითხები საგანგებოდ, რასაკვირველია, არ აინტერესებდნენ. მისთვის ეს საქმე ალბათ სრულებით ახალი და უჩვევი უნდა ყოფილიყო. ისიც გულახდილად უჩივის იმ მრავალ სიძნელესა და დაბრკოლებას, რომელიც მას უგვრძნია და გადაჰლობნია. «მან უწყის, რომელსა არცა ცხადი დაემალვის და არცა იდუმალი, რომე ამ წიგნის დაწერასა-გადმოთარგმანებასა შიგა მრავალი ჭირი და სარჯელი ვნახეთ და მრავალსა ალაგსა დავლონდით და მწვედ გაგვიძნელდა, მრავალი საჭირო და საძნელო სიტყვები და საქმენი» შეგვხვდა, რომელთა გადმოცემა ადვილი არ იყო და მოფიქრებას მოითხოვდა. თავის გულმოდგინებითა და ხალისიანობით დაუთ-ხანმა მისივე სიტყვით ყველა სძლია და «რაც ამა ორსა თათრულსა წიგნშიგან ეწერა, — ან მრავალფერისა სენისა მიზეზი და ნიშნები, ალამათები, ან მაჯუნისა და შარბათების შექმნა, ან ტკბილისა და აბების გაკეთება, ან მრავალგვარის სენის წამლები, — ყველა თათრულით ენითგან მართლად და კარგად გადმოვსწერეთ და გადმოვთარგმნეთ»-ო[3].

---

[1] დაუთ-ხანის სამკურნალო კარაბადინი: Описание I, 624.

[2] იქვე: Описание I, 625.

[3] იქვე: Описание I, 626.

დაუთ-ხანმა თავის მეორე მიზანსაც მიაღწია და როგორც განზრახული ჰქონდა მან ქართულად იმ ორი წიგნის კომპილაცია შეადგინა ისე, რომ «რაც იმა ორსა თათრულსა წიგნშიგან თათრულად ეწერა», მე ყველა ეს «ამ ერთს ქართულს წიგნშიგან ქართულად დავსწერე»-ო[1].

დაუთ-ხანს მთელი ეს შრომა იმისთვის გაუწევია, რომ ქართველთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის ხელი შეეწყო. ხალხი მოუვლელობითა და უცოდინარობით ტყუილად არ ამოწყვეტილიყო, რომ, «თუ კაცი ასეთს ადგილას ავად გახდეს, რომ იქ აქიმი და შემტყობი კაცი არ იყოს და ან განგებითა ღვთისათა მისი დღენი არ აღსრულებულიყოს, კაცი მწვედ არ გაისარჯოს» და განსაცდელსა და მისწრაფებულს სიკვდილს გადაურჩეს[2].

„საწყალი“ დაუთ-ხანი სამწერლო მოღვაწეობას მადლიან საქმედ სამართლიანად სთვლის და სრულს ჭეშმარიტებას სწერს, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელის შეწყობა მისაბაძ სათნოებად მიაჩნია,—«კაცმან კაცი რომ სარჯლისა და სიკვდილისაგან დაიხსნას და მოარჩინოს, უფრო უმეტესი მადლი არის»-ო[3]. მაგრამ, ახსოვდა, თუ არა, ამ „საბრალოს, ულირსს დაუთ-ხანს“, რომელიც, სტამბოლში მყოფი, თავის ნაშრომის დამთავრების შემდგომ მისი სამკურნალო წიგნის მკითხველს ევედრებოდა «შენდობას მიბრძანებდით კეთილისა თქვენისა ენისაგან», რომ საქართველოში მრავალი კაცი მარტო «უხელობითა და უცოდინარობით» კი არ დაზიანებულა და მომკვდარა, არამედ არა ნაკლებ და უფრო მეტად შინაური, ძმათაშორისი მტრობითა და ბრძოლით, როდესაც ქართველთა უდანაშაულო და უმანკო სისხლი ილვრებოდა მისებრ უგუნურ ბატონიშვილთა და დიდებულთა წყალობით, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გმირ და რაინდ მებრძოლთა გვერდში ამოდგომასა და შველას, ვერაგობას, მტრის ბანაკში ყოფნასა და ქვეყნისა და მშობელი ერის ღალატსა რჩეობდნენ. აგონდებოდა თუ არა ეს თავისი სააუგო წარსული ამ მართლაც რომ „ულირსს დაუთ-ხანს“, როდესაც, მას შემდგომ რაც სამშობლოს უბედურებით მან საკუთარი ბედნიერება მოიპოვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვერც ძლიერი მტრის მფარველობამ უზრუნველყო მისი ღალატით შენაძენი სვიანობა, ის სტამბოლში გაქცეული ამაოდ ელოდებოდა გარეშე ძალის დახმარებას. ეტყოდა თუ არა „შენდობას“ დაუთ-ხანს, შეიბრალებდა, თუ არა, მას მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ოსმალური კარაბადინითგან ერთი ქართული საექიმო წიგნი შეადგინა, ეს მისდროინდელი მკითხველის შეგნება-სინდისის საქმე იყო; ისტორიასა და შთამომავლობას მისთვის არც შენდობა უთქვამს და არც შეუბრალებია. მის კარაბადინს ქართული ეროვნული საქმისათვის მიყენებული ზიანის არც გამოსწო-

---

[1] დაუთ-ხანის სამკურნალო კარაბადინი: Описанце I, 626.

[2] იქვე, Описание I, 624 და 626.

[3] იქვე, I, 625.

რება, არც ანაზღაურება შეეძლო. შთამომავლობას მისი ავტორობის არა ახსოვდა-რა, ისტორიას-კი ერთი წიგნის შედგენისათვის მისი საუგო მოღვაწეობის დავიწყება არ შეეძლო და უფრო „უ ღ ი რ ს ა დ“ მიაჩნია ვიდრე საბრალოდ.

## [ომი ოსმალეთსა და სპარსეთს შორის]

**1577 წ.** ვანის ფაშამ ხოსრო-ფაშამ ოსმალეთის მთავრობას ურჩია ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლა და, რაკი სპარსეთში არეულობა იყო და შაჰიც სუსტი გამოდგა, სპარსეთისათვის ომი აეტეხა. ასეც მოიქცა ოსმალეთის მთავრობა. მისი ჯარის მთავარსარდალმა მუსტაფა-ფაშამ ყველა მოსაზღვრე და მახლობელ სამფლობელოებს აცნობა თავისი მთავარსარდლობის ამბავი და მომხრეობა და შველა სთხოვა სპარსეთის წინააღმდეგ. სხვათა შორის ამგვარივე წერილი კახეთის მეფეს ალექსანდრეს ლევანის ძეს, ლუარსაბის ძეს გიორგი მეფეს, იმერეთის მეფეს, გურიელს და დადიანსაც [გაუგზავნა][1].

სანამ ოსმალნი ომს დაიწყებდნენ, სპარსელებმა დაასწრეს, 1578 წ. მარტის დამლევს შეჰსორში, ქურდისტანის დედაქალაქში დაეცნენ[2]. ოსმალნი აჩქარდნენ და ლაშქარი დასძრეს. გზაში სხვადასხვა მფლობელთაგან მათ შორის გურიელისა, დადიანისა, შამხალისა და ავართ-ბატონისა და იმერეთის მეფისაგან des lettres de soumission მოუვიდათ, რაც სიხარულითა და კეთილ მოსურნეობით იყო მიღებული[3].

ტოკმაკ [თუ თოყმაყ?] ხანი 30.000 სპარს ლაშქრითურთ ჩილდირს შეესია და არტაჰანს რბევა დაუწყო[4]. 2700 საბარგო აქლემი რომ მოუვიდათ, ოსმალთა სარდალი ჭირმიხითგან (Tschirmik) აიყარა, 15 დღის შემდგომ არტაჰანის ციხის წინ დაიბანაკა. სამი დღის შემდგომ ოსმალთა ჯარმა საზღვარი (sic) გადალახა და საქ˜ლოს წინააღმდეგ გაემართა. ჯერ სანამ ჩილდირთან ანუ ქაჯთა ციხესთან გადამწყვეტი დიდი ბრძოლა მოხდებოდა, ამაზე 15 დღის უწინარეს 27 ივლისს მუსტაფა-ფაშამ მანუჩარს წერილი მოსწერა, რომელშიაც მასაც პირადად და მის დედასა დედისიმედს და მის ძმა გრიგოლსაც ჩჩევდა სპარსთადმი წინანდელ მომხრეობისა და ერთგულებისათვის თავი დაენებებინათ და ოსმალთ მიმხრობოდნენ[5].

10 აგვ. 1578 წ. მკაცრი ომი მოხდა ჩილდირის, აგრეთვე ქაჯთა ციხედ წოდებული პატარა ციხის წინ პარს-ოსმალთა შორის. ოსმალთ გაიმარჯვეს, თუმცა დიდი ზარალი-კი მოუვიდათ, ისე რომ 7 ქურთთა ბეგიც-კი მოკლულ

---

[1] აალის ისტორია, ნუსრეტნამა და Hammer, H. d. l'Emp. Ott. II, 220—221.

[2] იქვე, II, 221.

[3] Hammer, იქვე II, 222. აქ უნდა მოთხრობილი იყოს ის, რაც მესხურ დავითნის მატიანეს აქვს, გვ. $96_{12}$—$98_{7}$.

[4] Hammer II, 222.

[5] წერილი აალის ნუსრეტნამაში მოყვანილი, იხ. Hammer II, 223.

იქმნა. „ველე, ჯანიყალა, ალჯაყალა და ჩილდირი“ (Les places de Wele, Janikalaa, Akdschekalaa et Tscildir) ოსმალთ დაემორჩილნენ [1].

ქ˜ლი წყარო, მესხური მატიანე, საზოგადოდ ადასტურებს ოსმალური წყაროების ცნობებს, მაგრამ ზოგიერთში ავსებს და ასწორებს კიდეც. ქართველი მემატიანის სიტყვები ნათლად მოწმობენ, რომ მესხნი საერთოდ და განსაკუთრებით ათაბაგის გვარის შვილები ოსმალთა მოწინააღმდეგენი და სპარსთა თანამებრძოლნი ყოფილან: ოსმალთა გამარჯვება და სპარსთა მარცხი თავიანთ დამარცხებად მიაჩნდათ, სპარსთა გამარჯვება-კი თავიანთთვის სახეიროდ მიაჩნდათ. მაგ., მემატიანე ამბობს: «ხუანთქრის ლაშქარი და ლალა-ფაშა მგელციხის ციხეს მიადგეს, შეიბნეს... ღვთის შეწევნით უკუ-ეყარნეს და ციხე ჩვენვე დაგვრჩა, ჩვენთა გაემარჯვა»-ო [2]. ან კიდევ: «მობრუნდა ყარახან, ექუსასი კაცი ახლდა, დაესხა თავსა ამოსწყუიდნა ურუმნი, გააქცივნა სახელსა ზედა ღვთისასა და გაემარჯუა ყარახანს» [3]. მესხური მემატიანის სიტყვით ქაჯისციხის წინ ბრძოლას წინუძღოდა ომი მგელციხესთან, რომელიც 7 მარიამობისთვის 1578 წ., ხუთშაბათს დღეს მომხდარა და სამშაბათამდის (ე. ი. 12 მარიამ.) ომი ყოფილა. ოსმალთა ლაშქარს ვერა გაუწყვია-რა და ციხითგან აყრილა [4]. იმის მეორე დღეს, როდესაც მგელციხესთან ბრძოლა დაწყებულა, პარასკევს 8 მარიამობისთვეს «ქაჯისციხე, ველი და თეთრციხე წაგუართვეს ურუმთა და ქაჯისციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეხოცნეს»-ო [5]. თარიღშია მხოლოდ მცირედი განსხვავება. ოსმალური წყაროები ამ ბრძოლას 10 მარიამობისთვეს მიაკუთვნებენ. ქართული-კი 8 მარიამობისთვეს. ჩილდირი უდრის ქაჯთაციხეს; ველე — ველს, ალჯაყალა — თეთრციხეს, ჯანიყალა?

უნდა აღნიშნული იყოს ცნობათა ერთი განსხვავება. მესხური მატიანე ოსმალთა სარდალს ლალა-ფაშას უწოდებს, ოსმალური წყაროები-კი მუსტაფა-ფაშას.

9 მარიამობისთვეს, ე. ი. ერთი დღის შემდგომ, — ხოლო რაკი ზემოაღწერილი ბრძოლის თარიღად ოსმალური მატიანენი 10 მარიამობისთვეს სდებენ, მათი ანგარიშით 11-ს, — «შაბათსა დილასა ძუნძნასა და წინწლას შუა არზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს, და [მაჰმადი] სულტანი და ყარახან ბაზუქლუ კიდევ მუღალუს ბატონი იქ შეიყარნეს. მაჰმადი სულტან გორაზე წამოადგა. მისი ვინც იყო გუერც მოიყენა და სხვაჲ ბატონები შეებნეს ურუმთა. პირველად გაიმარჯუეს ყიზილბაშთა და მერმე ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯუეს. მაჰმადი სულტან გამოიქცა, გარდაეხუეწა» [6]. ჰამმერს ამაზე არაფერი აქვს [7].

---

[1] აალი ნუსრეტნამე, Taricchi Osman-Pascha, Dschihannama: Hammer II, 222.

[2] ხრონიკა მესხური დავითნისა, 98$_2$—$_7$.

[3] იქვე, 97$_6$—$_8$.

[4] იქვე, 98$_1$—$_7$.

[5] იქვე, 98$_8$—$_{10}$.

[6] იქვე, 98$_{10}$—99$_4$.

[7] შეად. II, 223.

ი (ათს) მარიამობისთვესა, ოსმალთა ანგარიშით 12-ს, მანუჩარმა «ქაჯისციხისთვის შემოიკრიბნა სპანი, გარნა ვერცა ომსა და ვერცა ციხეს ალებას მიუსწრა»[1]. თვით მესხურ მატიანეში და შევს.-გადაკ. ქ˜ცი'ა გაგრძელების შესატყვისს ადგილას ეს წინადადება თავში ცოტა სხვანაირად იკითხება. იქ მანუჩარის შესახებ ნათქვამია მხოლოდ «ქაჯისციხესა შეეყარა»-ო და შემდეგ იგივე რაც ზემოთ არის მოყვანილი[2].

ურუმთა გამარჯვების შემდგომ მესხეთის მმართველ წრეებსა და თვით ჯაყელის გვარისშვილებს როგორც ეტყობა შიშის ზარი დასცემიათ და სიმხდალე გამოუჩენიათ. ამის მიზეზად თუ განსაკუთრებით სხვათა შორის არა მაინც მესხ დიდგვარიანთა ღალატი უნდა ყოფილიყო: 10 აგვისტოს ქაჯისციხის ანუ ჩილდირის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა და უკვე 2 მარიამობისთვეს თურმე «ამილახორის შვილი ქოიარ მიეგება არტანს და ორი ციხე მან შესძლვნა ლალა-ფაშას მ ა რ ი ა მ ო ბ ი ს თ უ ე ს ა ო რ ს ა»[3]. ხოლო ამაზე უფრო ადრეც „წინათ" «არფაქსად ჰბირებოდა ექუსითა ციხითა» და ოსმალთა სარდლისათვის «ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეეძლუნა»[4]. ასეთი ღალატისათვის ოსმალებს არფაქსადი დაუჯილდოებიათ: «ხახული სასანჯახოდ მისცეს»[5]. ეს იმას ჰნიშნავს, რომ არფაქსადი სანჯაყბეგად გაუხდიათ. ვ ა ხ უ შ ტ ს ამ ამბავის შესახებ პირდაპირ ნათქვამი აქვს, რომ «ფაშამ ხახულის სანჯახობა მისცა» ამ ადამიანს[6]. ამასთანავე მანუჩარს ოსმალებმა «ახალქალაქი უწინვე წაართვეს»[7].

როდესაც ამ ამბებს 10 მარიამობისთვეს ქაჯთაციხის ანუ ჩილდირის დიდი ბრძოლა და დამარცხება ზედ დაერთო, მანუჩარი შემდრკარა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა წაგებულად ჩაუთვლია. მაშინ მან მუსტაფა-ფაშასაგან 27 ივლისს მიღებული წერილის შინაარსი თავისთვის ურიგო წინადადებად აღარ მიიჩნია და პასუხიც გაუგზავნა, რომელშიაც ოსმალთა მომხრეობაზე თანხმობას უცხადებდა და ხელშეკრულების დადებას თხოულობდა და იერლაყს[8]. მესხური მატიანის სიტყვით მანუჩარი 17 მარიამობისთვეს დაჰმორჩილებია ლალა-ფაშას: «პატრონმა მანუჩარმა იზ ამავ თუესა თმოგუის ციხე მისცა ლალა-ფაშასა»[9]. მანუჩარის დამორჩილება იმდენად დიდმნიშვნელოვანი და ხელსაყრელი გარემოება იყო, რომ ოსმალთა სიხარულს, რასაკვირველია, საზღვარი არ ექმნებოდა. არც გასაკვირველია, რომ მანუჩარის სურვილი დაეკმაყოფილებინათ და მისთვის აწყვერის სანჯაყი მიეცათ[10].

---

1 ვ ა ხ უ შ ტ ი, ჰიჰინაძე 251, ჩუბინაშვილი, 165.

2 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 950.

3 მესხ. მ˜ტნე $99_{7-9}$; ვ ა ხ უ შ ტ ი, ჰიჰინაძე 251, ჩუბინაშვილი, 165, შევს. ქ˜ცა, 950.

4 მესხ. მ˜ტნე $99_{9-11}$; ვ ა ხ უ შ ტ ი, ჰიჰინაძე, 251, ჩუბინაშვილი, 165, შევს. ქ˜ცა, 950.

5 მესხ. მ˜ტნე $99_{12-13}$, შევს. ქ˜ცა, 950.

6 ჰიჰინაძე, 251, ჩუბინაშვილი, 165.

7 მესხ. მ˜ტნე $99_{14-16}$, ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, შევს. ქ˜ცა, იქვე.

8 აალის ნუსრეტნამე; Hammer II, 223.

9 მესხ. მ˜ტნე $99_{13-14}$; ვ ა ხ უ შ ტ ი, ჰიჰინაძე, 251, ჩუბინაშვილი, 165; შევს. ქ˜ცა, 950.

10 ჰ ა მ მ ე რ II, 223, აალის ნუსრეტნამე.

რაკი თმოგვისციხე და ახალქალაქი ოსმალთა ხელში გადავიდა, მათს სარდალს უკვე უშიშრად შეეძლო წინსვლა. მისი მიზანი იყო მთელი აღმოსავლეთი საქართველო და კავკასია სპარსთა ბატონობისა და გავლენისაგან განეთავისუფლებინა და ოსმალეთისათვის დაემორჩილებინა. მუსტაფა-ფაშამ, როგორც ვიცით, იმთავითვე საქ῀ლოს მეფე-მთავრებს მიმართა სპარსეთისათვის ზურგი შეექციათ და ოსმალეთს მიმხრობოდნენ. ქართლის მეფის დავითისაგან, რომელიც „დაუთხან"-ად იწოდებოდა, ოსმალთა ჯარის სარდლის „სერასკერს" პასუხი არ ჰღირსებია. ის თამაზ-შაჰის სიმამრი იყო და სპარსეთის ერთგულ მომხრედ ითვლებოდა. ამიტომ ოსმალთ იმედიც არ უნდა ჰქონოდათ, რომ „დაუთხანი" ისევე ადვილად მიემხრობოდა და დაემორჩილებოდა როგორც მანუჩარი. ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ დაუთ-ხანმა უბრალო პასუხიც-კი არ აღირსა მუსტაფა-ფაშას[1]. ამის გამო ოსმალთა სარდალს მისი ძალით დამორჩილება გადაუწყვეტია. რაკი ქართლისაკენ მიმავალი გზა ეხლა უკვე თავისუფალი იყო და მნიშვნელოვანი ციხეები მათ ხელში ეჭირათ, «გაიარეს, წავიდეს ტფილისის ქალაქზე»[2].

დაუთ-ხანს ოსმალთათვის თბილისამდის არსად წინააღმდეგობა არ გაუწევია, არც თბილისის დაცვისა და შენარჩუნების იმედი ჰქონია. მან ამის მაგიერ თუმცა უფრო მარტივი და ადვილი, მაგრამ უგუნური საშუალება ირჩია: მომავალი მტრის წინაშე საქ῀ლოს დედაქალაქი «დაუთხან დაწუა და გაეცალა, ლორეს ჩავიდა»[3].

## [სვიმონ მეფის დაბრუნება ტყვეობიდან]

საქ῀ლოს კათალიკოსი იტრიის მონასტრის სიგელში ვითარცა თანამედროვე მოგვითხრობს, რომ სპარსთა მიერ დატყვევებულმა სვიმონ მეფემ «დაყო ცხრა წელიწადიც ტყვეობასა» და მხოლოდ როცა შაჰთამაზი მოკვდა, მაშინ მოხედა წყალობამან ღ῀თისამან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმონ ტყუეობიდამან»[4]. რაკი სვიმონ მეფე 1569 წ. დატყვევდა და 9 წელიწადს ტყვეობაში ყოფილა, მაშასადამე, სვიმონ მეფის ტყვეობითგან საქ῀ლოში დაბრუნება 1578 წ. უნდა მომხდარიყო.

**1578 წ.** «ქ῀კსა ორას სამოცდა ექუსსა მეფე სჳმონ მოვიდა ტყუეობიდამან და ციხე გორისა აიღო და დაიპყრა ქართლი, სომხითი და ლორე»[5].

ალექსანდრე კახთა მეფემ რომ ოსმალთა მესხეთში ძლევამოსილების ამბავი შეიტყო გარდასწყვიტა, რომ კახთა მეფეების სპარსელთა მომხრეობის ნაცად მიმართულებისათვის ზურგი შეექცია და ოსმალებთან დაეჭირა საქმე. ასე მოიქცა 1578 წ.[6].

---

[1] ჰამმერ II, 223—224.

[2] მესხ. მ῀ტნე $99_{16-17}$, შევს. ქ῀ცა, 950,

[3] მესხ. მ῀ტნე $99_{16-17}$; შევს. ქ῀ცა, 950; აალის ისტორია; ნუსრეტნამე და პეჩევი — ჰამმერ II, 224.

[4] სქ῀ლს სძვლ῀ნი III, 126.

[5] ერისთავიანთ დაუჯდომ., 16—17.

[6] Dorn, 345—6.

სვიმონ მეფეს სრული უფლება ჰქონდა ალექსანდრე კახთა მეფის მომდურავი ყოფილიყო, როგორც პოლიტიკური უთანხმოების გამო ისევე პირადადაც. ხოლო როდესაც ალექსანდრემ ოსმალთა მომხრეობის გზა აირჩია, სვიმონ მეფემ-კი უკვე სპარსთა ერთგულება და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა ირჩია, ქართლის მეფესა და კახთა ბატონს შორის არსებულს უთანხმოებას მათი პოლიტიკური მოქმედების გეზის შეურიგებლობაც ზედ დაერთო. ოსმალთა და სპარსთა შორის საზავო ხელშეკრულების გამო მოლაპარაკების დაწყებამ ცოტახანს სიმშვიდე ჩამოაგდო, რითაც სპარსელებმა ისარგებლეს, რომ ალექსანდრე მეფეც ისევ თავისკენ გადაებირებინათ და სვიმონ მეფეც უფრო მოემტკიცებინათ. სპარსელებს არც მისი ერთგულების იმედი ჰქონდათ. ამიტომ სპარსელებმა კახთ ბატონისა და ქართლის მეფის შერიგება სცადეს. სპარსელებმა სვიმონ მეფეს თავისი ქალიშვილის მოცემა სთხოვეს ჰამზა-მირზასათვის საცოლოდ. ამ გზით მათ იმედი ჰქონდათ, რომ სვიმონი მათ გადადგომას ველარ გაბედავდა. ქართლის მეფემ გარეგნულად თავისი თავი ბედნიერად მოაჩვენა, მაგრამ სხვადასხვა გარემოების მომიზეზებით სპარსელთა თხოვნას არ ასრულებდა. უეჭველია სვიმონს არ სურდა ერთგვარი მძევლის მიცემით თავისი მომავალი პოლიტიკური მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა, მაგრამ ქართველთა სარწმუნოებრივს შეხედულებასაც ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: სვიმონს, მის სახლობასა და მმართველ წრეებს არ უნდოდათ ქრისტიანე ქართველი ქალი მაჰმადიანისათვის მიეთხოვებინათ.

სვიმონი რომ აეძულებინათ, სპარსელებმა სამხედრო მუქარასაც-კი მიჰმართეს. ამასთანავე მათ გადასწყვიტეს, რომ ქართლისა და კახეთის მეფეები შეერიგებინათ და სპარსთადმი ერთგულებისათვის უფრო საფუძვლიანად მოემტკიცებინათ. შერიგება მოახერხეს კიდეც. ალექსანდრეს და სვიმონ მეფეს ჯვარზე და სახარებაზე ფიცი დაადებინეს, რომ ერთმანერთს დაეხმარებიან, სპარსთა ერთგულებას არასდროს არ უღალატებდნენ და სპარსელებთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. მაგრამ სპარსელები ეხლა არც ამით და არც ქალის საცოლოდ წაყვანით არ დაკმაყოფილდნენ და კახთ ბატონსაცა და ქართლის მეფესაც, იმგვარადვე როგორც ქართველ დიდებულებს მძევლებად ვაჟიშვილების მოცემა სთხოვეს. ხელში ჩაჭერილთ ამ უსიამოვნო მოთხოვნის ასრულების გარდა არაფერი დარჩენოდათ და ალექსანდრე მეფე იძულებული იყო თავისი 12 წლის ვაჟი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე გაეტანებინა სპარსეთში, სვიმონ მეფემ-კი თავისი შვილი ლ უ ა რ ს ა ბ ი გაგზავნა. ალექსანდრე კახთა მეფეს ამის გარდა 3.000 ერაყული შაჰური თუმანის გადახდა მოსთხოვეს იმ წლების ხარკის ფასად, როდესაც ის სპარსელებს გადუდგა და ოსმალებს მიემხრო. 1.000 თუმანი კიდევ სხვა სპარსეთის ტახტის მემკვიდრისა და 1.000 თუმანი სპარსეთის სარდლებისა და დიდებულებისათვის საჩუქრად უნდა გამოეღო. კახთა ბატონი იძულებული იყო მთელი ეს მოთხოვნაც აესრულებინა[1].

---

[1] D o r n, 349—350.

რათგან ალექსანდრე სპარსელებს 1578 წ. გადაუდგა და ოსმალთ მიემხრო, ხოლო შერიგება სპარსელებთან 1582 წ. უნდა მომხდარიყო, ისე გამოდის, რომ კახთა მეფეს 3—4 წლის ხარკი ჰქონდა სპარსეთისათვის ამ დროს გადასახდელი. რაკი მას 3.000 ერაყული შაჰური თუმანი მოსთხოვეს, უნდა ვიფიქროთ, რომ კახთა სამეფოს სპარსეთისათვის ყოველწლიურად 750—1000 ერაყული შაჰური თუმანი უხდია ხარკად.

**1579 წ.** «სჲზ. აქა ლალა ფაშაჲ გადმოვიდაჲ»[1].

«ჲზ. აქა ლალა-ფაშა გამოვიდა. ესე არს აწინდელი ქორონიკონი რომელსა დაიაა»-ო[2].

**1578 წ.** «ქ˝კსა ორას სამოცდა ექვსა ლალა-ფაშა გამოვიდა, რომელი არს ლალა გამზრდელი ხუანთქრისა, ა გ ვ ი ს ტ ო ს ა»[3].

«ქ˝კს: სჲვ: მოკვდა ყაენი შაისმაილი. გამოვიდეს ურუმნი და აღიღეს ციხეები სამცხისა და ქართლისა»[4].

უნივერსიტეტის მიერ შეძენილი გიორგი მთაწმინდელის ოთხთავის მინაწერი:

იოანეს სახარების ბოლოს, იქ, სადაც თავდება ცნობილი ანდერძი გიორგი მთაწმიდლისა, ასომთავრულად სწერია: «ღ˝თო შ˝ე ფ˝დ ცოდვილი ბესარიონ ამისი მწერალი და წდ˝ნო ოთხნო მახარებელნო: მათე, მარკოზ, ლუკა და ი˝ე დაიკსენით ყ˝ისა ჭირისაგან».

მერე ნუსხახუცურით: «დაიწერა წ˝დაჲ ესე ოთხთავი ივნისსა ოცსა. ქ˝კნსა ორას სამოცდა შუიდსა. დასაბამითგან წელთა შვიდიათას ოთხმოცდა ოთხსა. მას ჟამსა: ოდეს ლალაფაშა გამოიძახა[?] ხუანთქარმან: და ჩავიდეს. შავანი[?] დაიჭირეს. ციხე ააშენეს. ლაშქარი დააყენეს, გაამგზავრეს და წამოვიდეს. შაქისი და კახეთი დაიჭირეს: ალექსანდრე მეფე კახეთისა მოეგება. წინაშემოეწყო მას. თემი[?] და შაქისი მას მისცეს. სამცხე დაიჭირეს. ათაბაგი პატრონი ყრ˝ყრე: და პატრონი მანუჩარ მოვიდეს. შეეწყუნეს: და კოსტანტი[ნო]პოლეს წავიდეს. ქართლი დაიჭირეს. ტფილისი ციხე და გორი გაამაგრეს. მეფე ქართლისა სჳმონ ყაენს ტყუჱდ ჰყვა. გამოუშვა და ამ საქმეს მოესწრა. იმხანად მოატყუა[?] მეფემან. ალარ დაეწყო(?) ლალაფაშას: და ველარც ციხეები იშოა»[5].

სახარების სულ ბოლოს ნუსხახუცურით სწერია: «დაიწერა წ˝დაჲ ესე ოთხთავი და სრულ იქმნა ივლისსა. ქ˝კნსა სჲზ კელითა ფ˝დ ცოდვილისა ბესარიონისითა. შენდობა მიბრძანეთ ო˝ო ჩემნო. წ˝ო ჩემნო. რ˝ა თ˝ქ̃ნცა ო˝ნ სს˝ფლო ცათაჲ მოგანიჭოს. ცოდვილსა ბესარიონს და დედმამათა მისთა შეუნდოს ღ˝ნ ა˝ნ».

**1580 წ.** «სჲღ. აქა სინამ ფაშაჲ გამოვიდაჲ»[6].

**1581 წ.** «ქ˝კსა ორას სამოცდა ცხრასა მეფე სჳმონ და მეფე კახთა ალექსანდრე შეიბნეს მარტყოფს ჭოტორს და მეფე სჳმონს გაემარჯვა»[7]. სხვა წყაროში ამ ამბავის თარიღად ქ˝კნი 266 (სჲვ) არის დასახელებული ანუ 1578 წ.[8].

**1581 წ.** «ქ˝კსა ორას სამოცდა ცხრასა მოვიდა სარდარი რომელსა ეწოდა მაჰმად-ფაშა. დახუდა მეფე სჳმონ, მუხრანს შეიბნეს და მეფე სჳმონს გაექარჯვა და ფაშა ლტოლვილი ქალაქს მივიდა»[9].

---

[1] ყანჩაეთის ჟამნგულანი, 113.

[2] წ. კ. გ. ს. ხ. № 252: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Материалы для истории Грузии, 8.

[3] ერისთავიანთ დაუჯდ., 16.

[4] საეკ მუზ. ხელთ. № 49: ქ˝კბი II, 417.

[5] ის სიტყვები, რომელთაც კითხვითი ნიშანი უზის გვერდით, თითქმის გადალესილია და ნათლად აღარა ჩანს.

[6] ყანჩაეთის ჟამნგულანი: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 13.

[7] ერისთავიანთ დაუჯდომ., 17.

[8] წიგნი ქრონიკონნი: ქ˝ები II, 416.

[9] ერისთავიანთ დაუჯდ., 17.

**1583** წ. «სოა. აქა პატრონს მანუჩარს აწყუერს ულალატეს და გაემარჯუა»[1].

**1582** წ. «სო. აქა მანუჩარს ულალატეს ფაშებმა ათაბაკს»[2].

**1585** წ. «ქ̃კსა ორას სამოცდა ცამეტსა მეფე სვმონ და ფაშა ლორის (sic) შეიბნეს და მეფეს გაემარჯვა და მოისრა ურუმი ვითარ ოთხ:ს სამეოცდა თორმეტნი»[3]. ამნაირივე ცნობა სხვა წყაროებშიაც მოიპოვება, სადაც ამას გარდა დამატებულია, რომ «ფაშა გაქცეული ქალაქს შევიდა»[4].

**1585** წ. «ქ̃კსა ორას სამოცდა ცამეტსა მეფემ ალილოჲ ლორეს ქვაბნი ვითარ ცხრაჲ»[5].

**1585** წ. «ქ̃კსა ორას სამოცდა ცამეტსა მეფე სვმონ მოადგა ციხესა ლორესსა აპრილსა ერთსა და ალილო ივნისისა ათსა»[6].

**1586** წ. «ქ̃კსა ორას სამოცდა თორმეტსა მეფე სვმეონ და ფაშა ქალაქისა ასან შეიბნეს ტაბაკმელას და მეფეს გაემარჯვაჲ მოისრა ურუმი ვითარ ხუთასი. ამავე ქრონიკონსა აილო გალაჟანი ტფილისისა და უკან-ციხე»[7].

**1587** წ. «ქ̃კს: სოე: აქა ახალციხეააშენეს ურუმთა დასაბამითგან წელთა შვდი ათას ოთხმეოცდა ათოთხმეტსა. ნახეთ მას უკან საქმე როგორ მოვა»[8].

«ქ̃კსა: სოე: გორი და ახალციხე ააშენეს ურუმთა»[9].

ს ვ ი მ ო ნ მ ე ფ ე რ ო მ ი ს პ ა პ ა ს ს წ ე რ დ ა:

... „refero sanctitati tuae, quod b e a t i s s i m u s, s a n c t u s e t a D e o c o r o n a d a t u s f u i t R e x e t p a t e r m e u s C h i l l u a r S a p h i (< C h i r L u a r s a p h i = *κύρ Λουαρσαβι*), ut Sanctitas tua audivit, propter amorem Christi, I m p i i A g a r e n i o c c i d e r u n t e u m i n b e l l o e t a c c e p i t M a r t y r f i n e m e t s a n g u i n e m s u u m e f f u d i t, e t n u n q u a m v o l u n t a t e m e o r u m f e c i t, p o s t r e m o e t n o s a u x i l i o D e i a c c e p i m u s t h r o n u m p a r t i s n o s t r i e t e x t u n c a b e l l i s n o n c e s s a v i m u s d i u n o c t u q u e i n t e r p u l v e r e m e t p l u v i a s. Q u o t b e l l a e t a n g u s t i a s e t m a e s t i t i a s p r o p t e r a m o r e m C h r i s t i a c c e p i m u s e t a l i a m a l a p a s s i s u m u s? d o n e c v u l n e r a t i f u i m u s i n p r o e l i o e t i n c l u s i f u i m u s i n c a r c e r e i n m a n i b u s P e r s a r u m e t D e i v o l u n t a t e et auxilio eius et per orationes tuas sanctas l i b e r a t i s u m u s e t i n t e r u m s e d i m u s i n t h r o n o n o s t r o e t i t e r u m n o n q u i e v i m u s a b e l l o, c u m O t t o m a n i s f e r i s e t t r a n s i e r u n t p l u r a p r o e l i a c u m O t t o m a n i s u t o p i n i o r v o s a u d i v i s s e, q u o t m o e r o r e s e t a n g u s t i a e? S e d n o n o c c u m b i m u s h i c u s q u e a d c a p u t m e u m c u m p a r v u l o f i l i o m e o u t e f f u n d e r e m s a n g u i n e m m e u m p r o p t e r C r u c i f i x u m C h r i s t u m meum". (თამარაშვილი, ისტ. კათ. 606).

„Miseratione Dei S y m e o n R e x C a r d e l l i (sic < C a r d l i i), t o t i u s I b e r i a e e t O r i e n t i s.

Excelse et splendidissime et sanctissime et beatissime Domine noster, Pater noster et Papa Magnae Romae... || v e n i t h u c P r o c u r a t o r M a g n a e S c y t h i a e E c m i a c e n s i s n o m i n e T e r J a c o b e t a c c e p i m u s v e n e r a n d a m s c r i p-

---

[1] ყანჩაეთის ჟამნგულანი: ე, თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 13.
[2] წ. კ. გ. ს. ხ. № 252: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Материалы, 9.
[3] ერისთავიანთ დაუჯდომ., 17.
[4] წიგნი ქრონიკ. და ჩხეიძის ქრ.: ქ̃კბი II, 423.
[5] ერისთავიანთ დაუჯდ., 17.
[6] ი ქ ვ ე, 18.
[7] ერისთავიანთ დაუჯდ., 18, და ჩხეიძის ქრ.: ქ̃კბი II, 425.
[8] წ. კ. ს. ხ. № 1204: ქ̃კბი II, 423.
[9] წიგნი ქ̃კონ.: ქ̃კბი II, 426.

turam tuam, sed nos nescimns intelligere eam et de ore retulit nobis quod erat praestantius; gavisi sumus"... საბუთს 1546 წ. უზის, თამარაშვილი ასწორებს 1596 წ. (ისტ. კათ. 607), ხოლო ფრანგ. L'église georgienne'-ში 1578 წ. (გვ. 470), სვიმონ მეფის მე-9-ე ინდიქტიონის დაწერილი პაპისადმი.

სვიმონ მეფე თავის გამუდმებული ბრძოლების აღწერას სპარს-ოსმალთა წინააღმდეგ რომის პაპისადმი წარგზავნილ წერილში ასე ამთავრებს: „Nunc Christianitas et totus mundus est inte et in manibus tuis, o Domine mi sanctisime, nunc da virtutem et auxilium ut salvetur populus Christianus... nos donec vixerimus non faciemus voluntatem Agarenorum. Sed nos in deinceps quis scit quid velit fieri? Veremur ne convertatur bonitas in insipientiam et incidamus in impietatem. Ideo refero sanctitati tuae, da auxilium et misericordiam Christianis et salva eos a manibus iniquorum. Et precor et rogo... praecipue ne obliviscaris scribere nobis, ut sciamus sanitatem tuam et Populi tui, piorum Christanorum ut cor nostrum cognoscas ore suo referet Sanctitati tuae Ter Jacob"... (თამარაშვილი. ისტ. კათ. 607).

## [სვიმონ მეფე და იმერეთი]

როცა «მამან ჩემმან... ლუარსაბ... მიიღო წამებისა გვირგვინი», მე «შემდგომად მათსა... ორისავე ტახტისა კელმწიფედ მპყრობელი ვიქმენი»-ო, დაწერილი აქვს სვიმონ მეფეს თავის 1559 წ. მცხეთის გუჯარში[1]. და ამ სიტყვებში მეფის პოლიტიკური რწმენაა გამოხატული. თუმცა ნამდვილად მხოლოდ ქართლის მეფე, სვიმონ მაინც არ იშლის და თავის თავს ორისავე ტახტის, ანუ იმიერ-ამიერი საქართველოს კელმწიფედ სთვლის და ცხადია პირველივე მარჯვე შემთხვევით ისარგებლებდა, რომ ეს თავისი წადილი განეხორციელებინა.

**1589 წ.** «ქ~კსა: სოზ: აქა ბატონს სვიმონს შემოება დადიანი და გაემარჯვა დადიანს ოფისკურას»[2].

**1591 წ.** «ქ~კსა ორას სამოცდა ცხრამეტსა მეფე სჳმონ და მეფე ლეონ შეიბნეს გოფანთას და მეფეს სჳმონს გაემარჯვა»[3].

რაკი სვიმონ მეფემ გორის ციხე აიღო, ისე ეგონა, რომ ბედის ჩარხი საბოლოოდ მობრუნდა და საქართველოს გაერთიანების დრო დაუდგა. ამიტომ «მეფემ რა გორის ციხე აიღო, იმერეთის დაჭირვაც მოინდომა. აბაშიძენი და ჩხეიძენი და წერეთლები და ვინც წყალწითელას აქეთ საბატიოს კაცის შვილნი ესახლნენ, ყველანი მეფეს სვიმონს მოუვიდნენ დიდროანის ზარბაზნებით უომრათ. ქუთაისს მიიყვანეს და ცხენისწყალს აქეთნი თავადებნი ზოგნი მოუვიდნენ და ზოგნი არა. დადიანს მოუვიდნენ. მეფე სვიმონ შეუპოვრობით და ამაყობით უფროს ერთნი საქართველოს ლაშქარი და ჯარი დააბრუნა და თვითან დადიანზედ გაილაშქრა. და მეფეს დღესხვალიობით ატყუებდენ თუ,

[1] ქ~კბი II, 401.

[2] ქვათახ. გულანი: ქ~ბი II, 426.

[3] ერისთავიანთ დაუჯდომ., 18.

დადიანი მოგივაო და დადიანს სწერდენ თავს დაგვესხითო, არ შემოგებ-მითო»[1].

**1592** წ. «ამავე (280) ქ˝კნსა შეიბნეს მეფე სჳმონ და მამია დადიანი და იმერელნი: დადიანსა და იმერელთა გაემარჯვა და ძე კონსტანტინესი როსტომ მეფედ დასვეს ქუთათის»[2]. ჩხეიძის ქრონიკაში ამ ამბავის თარიღიცა და თვით აღწერილობაც ცოტა განსხვავდება: **1591** წ. «ქ˝კს: სოთ:.. შეიბნეს მეფე სვიმონ და მამია დადიანი. დ ა დ ი ა ნ ს თ ა ნ ა ხ ლ დ ე ნ ი მ ე რ ნ ი. დადიანს გაემარჯვა»[3]...

**1591** წ. «სოთ: გურიელს მამიას აბხაზზე გაემარჯვა»[4].

**1591** წ. «ამავე (279) ქრ˝ნკსა. ლევან მეფე დაიჭირა მამია დადიანმა და მუნ აღესრულაჲ»[5].

**1591** წ. «სოთ. აქა შამოება (sic) მეფე როსტომს დადრანი და გაემარჯვა მეფე როსტომს და დაიპყრეს ქართველნი»[6].

**1592** წ. «ქ˝კსა ორას ოთხმოცსა მეფემ სჳმონ აიღო ციხე ქუთათისისა და ბაგრატ გამოიყვანა ძმისწული გიორგი მეფისა ფაშად ქალაქისა დააყენა»[7]. ჩხეიძის ქრონიკა ამ ამბავს 1591 წ. ანუ ქ˝კსა 279 მიაკუთვნებს[8].

**1592** წ. «ამავე (280) ქ˝კსა იმერელთა აიღეს ქუთათისი»[9]. ჩხეიძის ქრონიკაში თარიღად 1591 წ. მოხსენებული[10].

**1592** წ. «ამავე (280) ქ˝კსა წარვიდა სჳმონ მეფე დაპყრობად იმერეთისა და აიღო ციხე კაცხისა, კვარა, სკანდა და ქუთათისი»[11]. ეს ამბავი ცოტა სხვანაირად არის მოთხრობილი ჩხეიძის ქრონიკაში: 1591 წ. «ქ˝კს: სოთ:... მეფე სვიმონ წარვიდა ლიხთიმერეთს, აღიღო ციხე კაცხი და ქვეყანანი გურიამდ და სკანდამდე და ქუთათისი»[12].

**1599** წ. «ქ˝კსა ორას ოთხმოცდა შვიდსა მეფემ სჳმონ აიღო ციხე გორისა»[13].

**1599** წ. «ქ˝კს: სპზ: მეფემან სვიმონ ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აიღო, მას შინა მყოფნი ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუქციეს ბრძოლასა შინა მეფესა თულაშვილმა. დაიჭირეს თათართ მეფე

---

[1] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, *290.
[2] ერისთავიანთ დაუჯდ., 19.
[3] ქ˝კბი II, 427.
[4] წ. კ. ს. ხ. № 1204: ქ˝კბი II, 427.
[5] ერისთავიანთ დაუჯდომ., 18.
[6] წ. კ. გ. ს. ხ. № 252: ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Матерıалы, 9.
[7] ერისთავიანთ დაუჯდ., 18.
[8] ქ˝ბი II, 427.
[9] ერისთავიანთ დაუჯდ., 19.
[10] ქ˝კბი II, 427.
[11] ერისთავიანთ დაუჯდ., 19.
[12] ქ˝კბი II, 427.
[13] ერისთავიანთ დაუჯდ., 19.

სვიმონ და სტამბოლს ხონთქართან გაგზავნეს, იედიყულაში დაატყვევეს სამი წელიწადი იქ იყო, გამოიყვანეს და ათ (sic) მეიდანზედ თავი გააგდებინეს»[1].

**1599 წ.** «სპზ. აქა მეფე სვიმონ დაიჭირეს ურუმთა»[2]. ამის შესახებ უფრო ვრცელი და შინაარსიანი ცნობაც მოიპოვება. «ამავე (287) ქკ῀ნსა მოვიდა სარდარი ჯაფარ-ფაშა და ლაშქარი ურიცხუ იქმნა და (sic) ომი ძლიერი მეფე სჳმონ კელთა დარჩაჲ და დაიპყრეს ყოვლი სომხითი და ლორე»[3].

---

[1] წიგნი ქრონიკ.; ქ῀კბი II, 431.

[2] ყანჩაეთის ჟამნგულანი: ე. თაყაიშვილი, 13

[3] ერისთავიანთ დაუჯდ., 19—20.

# ქართველთა მონასტრები უცხოეთში XVI საუკუნეში

ძველ დროს ქართველი ერის სულიერი ძლიერებისა და დიდი ქონებრივი კეთილდღეობის ერთ-ერთ ცხადლივ დამამტკიცებელ საბუთთაგანად საბერძნეთისა და პალესტინა-სინასმთის განათლების ცენტრებში მრავალრიცხოვანი, მშვენივრად მოწყობილი ქართული მონასტრების არსებობა და მათი ინტენსიური მოღვაწეობა უნდა ჩაითვალოს: ამგვარადვე როდესაც საქართველო პოლიტიკურად დასუსტდა, სახელმწიფოებრივად დაკნინდა და მცირე სამეფო-სამთავროებად იქცა, მოსახლეობაც გარეშე თუ შინაური პირობების წყალობით შემცირდა და ეკონომიურად დაეცა, ჩვენი ერის ესოდენ დაუძლურება და სავალალო მდგომარეობა ამ უცხოეთში მდებარე ქ˜ლ მონასტრებს დაეტყოთ. ხალხი ცოტა-ღა იყო და არამცთუ უცხოეთისათვის ძალა აღარ შესწევდა, შინაც მცხოვრებთა სიმცირე მეტად საგრძნობი შეიქმნა. ამიტომ აღარც ბერები-ღა მიდიოდნენ მრავლად სამოღვაწეოდ და წმიდა ადგილების მიმოხილვისა და მოლოცვის მსურველიც აღარ ჩანდნენ და, თუნდაც რომ აღმოჩენილიყვნენ, წინანდებურად ქონებრივი შეძლება აღარ ჰქონდათ, რომ თავიანთი სურვილი ისე ადვილად აესრულებინათ.

ცხოვრების ასეთმა გაჭირვებამ, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულუხვ მლოცავთა შემცირებამ ყველა უცხოეთში არსებული ქ˜ლი მონასტრები საშინელს მდგომარეობაში ჩააგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. ძმობას თავისი თავის შენახვაც-კი უჭირდა და რა გასაკვირველია, თუ რომ გადასახადების გამოღება გაუძნელდებოდათ და საშინელს სიღარიბეში ჩაცვივდებოდნენ. რაკი სხვა სახსარი არ მოეპოვებოდათ, გადასახადების გადაუხდელობა-კი მათ მთელი ქონების დაკარგვას უქადდა, ამიტომ სხვა გზა არ იყო, უნდა სადმე დროებით ესესხათ იმ იმედით, რომ ცხოვრების პირობები გამოიცვლებოდა, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, ვალსაც თავითგან მოიშორებდნენ და უძრავი ქონებაც შერჩებოდათ. ვისაც ქ˜ლი მონასტრებისა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბერების მაშინდელი ქონებრივი გაჭირვების მთელი სიმკაცრის და საშინელების ნათლად წარმოდგენა სურს, მან უნდა იმდროინდელ ქართველ მოგზაურთა და ქ˜ლ ხელთნაწერების მინაწერების ცნობები გადაიკითხოს. ამ ცნობებითგან, მაგ., ირკვევა, რომ გოლგოთის ქართველთა მონასტრის ბერები სრული უსახსრობის გამო იძულებული ყოფილან სიწმინდის სამსახურებელიც-კი დაეგირავებინათ. ფილიპე შაქარაშვილი ათონის ალაპებში მოგვითხრობს, რომ 1565 წ. რომ

იერუსალიმს ჩაველ, «ოცდა ათვრამეტის ფლურის წინდი ბარძიმ-ფეშხუმები დავიკსენ» და მონასტერს დავუბრუნებინეო [1].

თავისდათავად ცხადია, რომ ასეთს გაჭირვებაში, როდესაც ლუკმა პურის შოვნაც უძნელდებოდათ და სახელმწიფო გადასახადების გადასახდელად საეკლესიო ნივთების დაგირავება უხდებოდათ, აღარც სამონასტრო ქონებისა და შენობების მოვლისა და შენახვის თავი ექმნებოდათ. ამიტომ მოუვლელობისა და შეუკეთებლობის გამო შენობები, რასაკვირველია, თანდათან ზიანდებოდნენ და ფუჭდებოდნენ. სწორედ ცხოვრების ასეთი სიდუხჭირის გამო იოანე და ეფთჳმეს მიერ დაარსებული და თორნიკესა და სხვა გულუხვ ქართველთა შეწირულებით აგებული ათონის ქართველთა პორტაიტისა ღვთისმშობლის მონასტერი 1565 წ. ფილიპე შაქარაშვილს ისეთს გაჭირვებაში დახვედრია, რომ თვით მთავარი ეკლესია უკვე «ფრიად ძველი და მოშლილი, დაქცეული, ცუარისა და წჳმისა არა დამჭირველი» ყოფილა [2].

---

[1] ათონის ალაპ. 276.

[2] იქვე.

# [კახთა მეფე ალექსანდრე]

ისკანდერ მუნშის ცნობით იესე ლეონ კახთა მეფის შვილი და სვიმონ მეფე შაჰთამაზს ალამუტის ციხეში გაუგზავნია 1568 წ. იესეცა და სვიმონ მეფეც იქ 1577 წ. ყოფილან, როდესაც შაჰისმაილს ორთავ გამოუშვია. ამგვარად*, ცხადი ხდება, რომ 1574 წ. როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მამის ლეონის სიკვდილის შემდგომ კახეთის სამეფო ტახტზე უნდა ასულიყო, ის მართლაც ერთადერთი უფროსი, კანონიერი ტახტის მემკვიდრე იყო და არავის ჰქონდა უფლება მას შესცილებოდა.

სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით იესე, ანუ ისახანი ისმაილ II-ს გამოუშვია ალამუტის ციხითგან 1577 წელს სვიმონ მეფესთან ერთად. მუჰამედ ხუდაბანდა-შაჰს (1578—1585) ისახანისათვის შაჰთამაზის ძმისწული, საამმირზას ასული მიუცია ცოლად და შაქის ხანად დაუნიშნავს[1]. ეს ამბავი ხუდაბანდა-შაჰის მეფობის პირველსავე წელიწადს უნდა მომხდარიყო, რათგან ლალა-ფაშას 1578 წ. საქართველოში შემოსვლის დროს ისახანი შაქის ხანად მჯდარა უკვე. ვითარცა გამაჰმადიანებულს და სიძეს სპარსეთის შაჰი იესეს, რასაკვირველია, თავისთვისაც და სპარსეთისათვისაც სანდო კაცადა სთვლიდა. ხუდაბანდა-შაჰს ამიტომ, როგორც იტალიელი ისტორიკოსის J. Th. Minadous-ის ცნობითგან ირკვევა, ისახანის კახთა სამეფო ტახტზე აყვანის სურვილიც ჰქონია. ამის განსახორციელებლად ჯერ ალექსანდრე მეფე უნდა ჩა-

---

* ქვემოთ 285. გვერდზე ვათავსებთ გრემის ბერძნული წარწერის პირს. წარწერა ივ. ჯავახიშვილის დავალებით გადმოღებული და წაკითხული ყოფილა 1924—26 წლებში და მისი პირი იდვა წინამდებარე „ქართველი ერის ისტორიის" დედნის 351 გვერდის წინ, იმ გვერდის წინ, სადაც ნათქვამია: „ამგვარად ცხადი ხდება, რომ 1574 წ., როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მამის ლეონის სიკვდილის შემდგომ კახეთის სამეფო ტახტზე უნდა ასულიყო..." (იხ. აქვე, გვ. 284). როგორც ჩანს, წარწერის პირის გადმომღებს მასალა გადაუცია ივ. ჯავახიშვილისათვის, რომელიც ფიქრობდა ეს ბერძნული მასალა გამოეყენებინა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის" ტექსტში გრემის წარწერაზე არაფერია ნათქვამი.

რედ.

[1] ისკანდერ მუნში: Dorn, 343—344.



=

† ἀνηγέρθη κ(αὶ) ἀνεκ(αι)νίσθη ὁ θεῖος κ(αὶ) πάνσεπτος ναὸς τὸν πανμεγίστων Μιχαὴλ. κ(αὶ) Γαβριὴλ. ‖ διὰ σ[υ]νδρομῆς κ(αὶ) ἐξόδου κόπου τε κ(αὶ) μόχθου τοῦ ἐνδοξοτάτου βασιλέου Λεόνι. ἀρχηερατεύοντ(ος) ‖ Νικο[λάου ..]ετρους ἐ. ζω πε. κ(αὶ) ἡγουμενέβοντ(ος) Σάββ[α ........ 14 δηκδ ........]ου ..αρίου ιερομοναχου
ἐν μηνὶ Αὐγούστου εἰς τὰς ιθ ἡμέρα Δ
κ(αὶ) προτ(ο)σηγγέλου Σσαλονηκός.

3. Νικολάου κ(αὶ) Πέτρου[ς]? ἔ(τει) ἡγουμενεύοντος χαρτ]ουλαρίου?
πρωτοσυγκέλου

მოეგდოთ ტახტითგან. ეს ამბავი კახთ-ბატონს არ გამოჰპარვია და სპარსეთის შაჰის იდუმალი გეგმა შეუტყვია. ამ გარემოებამ ალექსანდრე მეფე აიძულა 1578 წ. ოსმალთა და სპარსთა შორის ატეხილ ომით ესარგებლა. როდესაც ხვანთქრის მთავარსარდლისაგან მოწოდება მოუვიდა სპარსეთს ვებრძვით და მხარი დაგვიჭირეთო, სპარსთა შაჰების მეგობრობის ნაცადს გზას გადაუხვია და ოსმალებს მიემხრო.

[აქ ივ. ჯავახიშვილის დედანში ამონაწერები მოსდევს მ ი ნ ა დ ო ს „სპარსეთის ისტორიის" გერმანული თარგმანიდან. რედ.]

1) „Dieser (ალექსანდრე კახთა მეფე) ist etwan dem Persischen König ganz und gar zugethan gewesen, aber nachdem T a m a s sich unterstanden hat, i h n z u v e r j a g e n, u n d s e i n e n B r u d e r n J s s e, w e l c h e r e i n P e r s i e r w o r d e n, u n d d e m T a m a s sampt dem Teuffel sich ergeben, auch als ein Gottloser verruchter Mensch nichts anders dann die R e g i e r u n g b e g e h r t h a t, a n s e i n s t a t t e i n z u s e t z e n, hat er dem Persier wenig vertraut, und bey sich zweiffelhafftig und Neutral beschlossen zu folgen demjenigen, welcher stärcker und mächtiger würdt". (J. Th. M i n a d o u s Pers. Hist. 53).

2) „Dieser (ე. ი. ალექსანდრე მეფე) an statt der Waffen stettig mit bieten und Geschencken sich unterstanden, das seine zu erhalten, als derjenige, so vor allen durch die Päss S i r u a n, und als ein benachbarter mit R e i u a n un T e f l i s der Persier Gewalt nicht hat widerstehen können, nichts aber destoweniger hat er sich beflissen ihm die Türcken mit reichen und köstlichen Verehrungen auch zu Freundt zu machen' und sich also mitten unterden Waffen, da der Krieg am hefftigsten gewehret, sich zu gleich die Freund und Feind Kriegsrüstung nicht theilhafftig gemacht. Sein Hofhaltung hat er zu Z a g e h n, ein S t a t t r e i c h v o n S e i d e n w e r c k, so seyn ihm unterworffen Grin, auch andere Flecken und Casteln mehr, der am Reichthumb und barn Gelt alle andere G e o r g i a n e r übertrifft, derwegen er auch in besserer Ruhe sitzet" (J. Th. M i n a d o u s Pers. Hist. 53).

3) „Der ander L e u e n t o g l i, gleicher gestalt ein Georgianischer Herr, dieweil er s a h e w i e e s s e i n e n B r ü d e r n e r g a n g e n, und von wegen des S a h a m a l s seines benachbarten und B l u u t s v e r w a n d t e n Flucht wenig vertrauwen auff die Sophianische Hüft und Schutz setzet, hat er sich von denselbigen abgewendet und die alte Zuneygung und Gehorsam gegen jhnen... Zudem seyn die Völcker ein Tpürcken am nehesten gesessen und mit jhnen auch die andern in Media Atropatia wohnen, darin heutiges tags S i r u a n ligt, nicht wol zufrieden gewesen mit solchem neuwen König. Und liess sich letzlich ansehen, als wolt Persia unter diesen regirenden Herrn von wegen so viel mercklicher Enderung und Eutbörung gar sehr geniedriget und mehr als zuvor nie in abnemmen gebracht werden" (J. Th. M i n a d o u s Pers. Hist. 16).

4) „Als nun Mustaffa die böse enge Weg des Gebürgs von Teflis hinder sich gebracht, hat er sich den folgenden Tag gelägert bey etlichen sampfichten

tieffen Feldern, darin, dieweil er etwas verharet, seyn zu jhm von dem L e u e n t o g l i Gesandten ankommen, die jhm angezeyget, wa'n es jhm nicht entgegen wer jhr Herr Alexander bereyt jn underthänig zu besuchen, auch selber mit dem Mund den Gehorsam und Zuneygung, die er allezeit gegen den Ottomanischen S u l t a n e n in seinem Hertzen getragen hett, zu vermelden und vergewissern. Diese Gesandten hat der Mustaffa gar gern gesehen und mit sondern Freuden vernomen, dass sie jhm zu gehorsamen sich also gantz willig erbatten hetten. Derhalben sie alsbald widerumb abgefertiget und jhnen befohlen, sie solten jhren Herrn kommen lassen, dann seine Freundschafft jhm lieb und angeneme wer. Diese Gesandten, welche Christen waren, seyń also von jhm abgeschieden und jhren Herrn beruffen" (J. Th. M i n a d o u s. Pers. Hist. 72).

5) „Zu welches Georgianer (ალექსანდრე კახთა მეფის) Ankunfft der Türckische General allen Hauptleuten dess Kriegsheer befehl gethan, jhn mehr als zuvor mit gewöhnliché anzeygungen der Frolockung zu empfahen. Welches alles mit grossem Pracht verrichtwirdt, und ist sein Ankunfft jederman gar lieb und angenem gewesen. Dieser L e u e n t o g l i nach dem er gar köstliche Gaben und Verehrung, als viel derselben nur zu bekommen gewesen, mit sich gebracht, hat er auch darüber dem General mit den zierlichen Worten, als nur müglich gewesen, allen gehorsamen und unterthänigen Willen angeboten, den Amurat seinen Herrn nennendt und gab zu verstehen ‖, dass jm gleich beschwerlich wer, dass Mustaffa nicht durch sein Land den Weg genomen hett, darin er Fütterung gnug, und alle Notturfft fur sein Volck gefunden hett. Dieweil es aber jhm anders gefällig wer gewesen, versehe er sich doch, er würdt solches zu seiner Widerkunfft von S i r u a n, thun, dann er willig und bereit were den Ottomanischen zu diensten alle sein Vermögen darzustrecken. Zu dem zeugt er an, dieweil er auss wichtigen Ursachen diesem Zug gehn Siruan nicht köndt selber beywohnen, wolt er doch mit seinem Gemüth allezeit bey ihnen seyn und den Schöpffer aller ding bitten umb ein schleunigen Fortgang und glückselige Eroberung der gemeldeten örter. Und hat also widerumb auff ein newes gebeten, er wolt durch seine Stätt im herumb herausziehen sein weg nemmen. Nach solchem aber sein Urlaub von jhm genomen" (J. Th. M i n a d o u s Pers. Hist. 72—73).

6) სადარბაზოდ მოსული ალექსანდრე მეფის „Der Mustaffa hat die Geschenck angenommen, und an stat derselbigen jm ein Faustkolben, T a r z c h e n und Güldenes Stück verehret, und kecken und ernstlichen Worten jhm geantwortet und auch zum Beschluss, diesem Christlichen Fürsten zugesaget, im widerkehren durch sein Land zu reysen. Und auff diese weiss hat er jn widerumb von sich gelassen, mit dem befehl, dass man jhnen gleicher mass, wie man jhn ehrlich empfagen, also auch widerumb zum abzug stattlich beleyten solt" (J. Th. M i n a d o u s Pers. Hist. 73).

7) Canac'-ის წყლის გამოღმა „der Mustaffa widerumb die Zelt hat müssen auffschlagen lassen, und warten biss der Tag herfür käme, und als nun widerumb hell und liecht war worden, haben sie gesehen, dass sie des Leuentogli Land kommen waren. Von dessen wegen hat der Mustaffa durch das gantze Läger ausschreyen un' verbieten lassen, dass sie niemandts bey verlierung Leib und Gut, in dieses Alexandri Gebiet einen Menschen belästigen oder Schaden zufügen, sondern jederman sich gleytlich erzeygen und die Leut wol halten solten. Folgenden Tag seyn sie noch stettig durch gemeldtes Georgianer Landt gewandert, dazumal jhnen nie nicht Prouiant gemangelt hat, sonderlich an den Tag, als auss Zaghen von dem Alexandro Gesandten komen, und dem Mustaffa ein grosse anzahl Viehes, Getreydts, Frücht und andern notwendigen Sachen zu erhaltung und erquickung des Krigssvolcks verehret haben, neben entschüldigung ihres Herrn aussen bleibens, dieweil er Leibs Schwachheit halben verhindert were worden, sich selber einzustellen. Mit diesen allen ist Mustaffa wol zufrieden gewesen. Un' nachdem er die Statt Zaghen zu der rechten Hand ligen hat lassen, ist er dess Alexandri Leuten, so jhm den Weg || wiesen gefolget, stracks auff Teflis zu, von welchen er ein so nahen gerathen Weg geführt ist worden, dass er innerhalb drey Tagen ohn alle Beschwernuss, Hunger, Durst oder andere Verhindernuss gehn Teflis ankommen ist, da der Mustaffa sie mit gutem Danck un' Verehrung widerumb von sich gelassen (J. Th. Minadous Pers. Hist. 83—84),

8) „Nach verrichtung dieses alles... seyn unterwegen die Gesandten von dem Leuentogli, Herr zu Zaghen... zu jhm kommen, die er gantz gesehen, fürnemlich darumb, dass auss jhren Anzeygungen und auch des Kriegsvolcks selber zu Teflis Zeugnussen, er gründtlich erfahren hat mügen, wie gemeldter Leuentogli jhnen viel guts bewiesen, und in die Vestung Proniant, Gelt und was jhm lieb und angenem gewesen, in jhrer stettigen Betrangnuss jhnen geschickt hett... Die gemeldte Gesandten haben jhren Herrn entschüldiget, dass er Leibs Schwachheit und anderer Geschafften halben, nicht selber sich erzeyget, und alles was er kondt und mocht, geleystet hett. Diss alles ist dem Sinan sehr angenem gewesen, derwegen er dess Leuentogli Gesandten mit gülden Stücken begabt und jhrem Herrn ein Streit Kolben und Schwerdt mit Gold und Edlengesteynen, geziehret, geschickt, und sich mit gantz freundtlichen Worten vernemmen lassen, dass er gar wol mit jhnen zu frieden were und gute Bündtnuss mit erhalten wolt" (J. Th. Minadous Pers. Hist. 141).

9) „Die fürnembste Potentaten aber... darin... seyn die nachfolgende Leuentogli, den die Innwohner Schender, unsere aber Alexa nnen, mit dem Zunamen des grossen nenen" (J. Th. inadous Pers. Hist. 47).

...hat dess Leuent Sohn von den Innwohnern Schender, das ist Alexander mit dem Zunamen der Gross genannt, dess Isse Bruder, sein Herrschaft zwischen Reiuan und Siruan ausserhalb Tomanis, welches mehrin der grösseren Armenia nahent bey Atropatia, dan' in Georgia ligt" (J. Th. Minadous. Pers. Hist. 53).

10) „Etliche aber geben auss, dass Sinan auch demselben Alexander... geschrieben und etwas znverstehen geben hab, der Friedshandlung wegen, mit vermeldung, dass er als ein Freund der Türcken und persier, auch solt müglichen fleiss ankeyren, dass diese Entbörung gestillt und der beiden König Gemücht widerumb vereinigt werden. Aber dieweil solches in grosser Geheymn || uss ist gehandelt worden, hab ich nicht durchauss ein Gewissen grundt erfahren können" (J. Th. Minadous Pers. Hist. 141—142).

როდესაც 1582 წ. სპარსეთსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო და გარეშე მტრის საშიშროებისაგან უზრუნველყოფილმა სპარსეთმა მარჯვე დრო იშოვა, რომ კახთა მეფე ალექსანდრესთვის ოსმალთათვის მიმხრობისათვის პასუხი მოეთხოვა, კახთ-ბატონი იძულებული იყო ნებაყოფლობით აესრულებინა შაჰის ყოველივე მოთხოვნილება: თავისი შვილი კონსტანტინე მძევლად მიეცა და 3000 ერაყული შაჰური თუმანი გადაეხადა იმ წლების ხარკის საფასურში, რომელიც მას ოსმალთა მომხრეობის გამო გადახდილი არ ჰქონდა. მაგრამ თანაც ალექსანდრე მეფემაც სპარსეთის მთავრობას თავის მხრით მოსთხოვა, თავისი ძმა ისახანი საქართველოში თავისთან წამოეყვანა და შესაფერისად შეენახა. ამით ალექსანდრე მეფეს უნდოდა, რომ თავისი თავისა და სამეფოს წინააღმდეგ სპარსთაგან გაიძვერაობისა და ვერაგობის იარაღად გამოყენებული ადამიანი მათთვის ჩამოეშორებინა და უვნებელი ეყო. მაშინ სვიმონ მეფემაც ალექსანდრე მეფის მაგალითს მიჰბაძა და თავისი მოღალატე ძმის დაუთ-ხანის, რომელიც ალექსანდრე მეფესთან იყო შეხიზნული, მოცემა მოითხოვა მსგავსივე პირობებით. თუმცა სპარსეთის მთავრობისათვის ეს მოთხოვნა მეტად უსიამოვნო იყო, მაგრამ აღმოს. საქართველოსთან მშვიდობიანობის ჩამოგდების გულისათვის იძულებული იყვნენ ამაზე თანხმობა განეცხადებინათ; ფიცი იყო ორთავესგან ჩამორთმეული მხოლოდ, რომ ამ გაცემულ ბატონიშვილებს არაფერს ცუდს არ შეამთხვევდნენ. მაგრამ თავიანთი ფიცი არ შეასრულეს და მალე მათ ხმა გაავრცელეს, რომ გაცემულნი თავისით გარდაიცვალნენო.

## კახეთის საზღვრები

კახთა მეფის ალექსანდრეს საბრძანებელის ჩრდილოეთის საზღვრის გამოსარკვევად ერთს ცნობასა აქვს მნიშვნელობა, რომელიც რუსთა ელჩის თ-დ ზვენიგოროდსკის დესპანობის ამბავში მოიპოვება. იქ ნათქვამია, რომ ალექსანდრე მეფის შიკრიკს კახეთში მიმავალ მარჯვე გზის შესახებ ასე უამბია. ელჩებისათვის უფრო ხელსაყრელი იქმნება, თუ «итти послом безстрашно

на Метцкие гребни, на Шихово племя, на Бурнашову да на Амалееву землю, да на Батцкие[1] гребни; а владеет тою Батцкою землею государь их Александр»[2].

კახთ ბატონის სამფლობელოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპირო ქვეყნის შესახებაც რუსების დესპანების 1589—90 წ. მოგზაურობის აღწერილობაში მოიპოვება ცნობები. 24 ენკენისთვეს 1589 წ. ელჩ თ̃დ ს. ზვენიგოროდსკის თავის ამხანაგებითურთ გაუვლიათ ლარსის სადგურითგან, რომელიც თურმე სალტან-მურზას ეკუთვნოდა, ერთი ვერსით მოშორებით მდ. თერგის პირას (под Шатом горою)[3]. აქეთგან საქართველოში ორი გზა მიდიოდა. ერთი მათგანი მხოლოდ ზაფხულში ყოფილა გამოსადეგი, როცა თოვლი გამდნარია ხოლმე. ეს გზა ამ მთაზე მიდიოდა, 3—4 დღის სავალის მანძილზე უკვე Сонская земля იწყებოდა, რომელიც ალექსანდრე კახთა მეფის ხელისუფალსა და ყმას ერისთავს[4] ეკუთვნოდა. სალტან-მურზას უთქვამს რუსებისათვის, რომ ეხლა, ენკენისთვეში, ამ გზით გავლა შეუძლებელია იმიტომ, რომ შემოდგომითგან მოყოლებული იქ დიდს თოვლსა სდებს ხოლმე. ეხლა თქვენ მეორე გზით უნდა წახვიდეთ, რომელიც ხევზე მიდის მდ. თერგის გაყოლებით ასწვრივ. შემოდგომას თერგი დაპატარავებულია და ხიდების გადებაც ძნელი არ არისო. თერგზე ჯერ სამგან მოგიხდებათ ხიდის გაკეთება. შემდეგ მეოთხე ხიდის გადებაც მოგიხდებათ ჩერებაშოვის სადგურის მახლობლად, რომელიც უკვე ერისთავისა არის («Аристова князя Сонские земли»). იმ ადგილამდის ერთ დღეში შეიძლება მისვლაო[5]. ჩერებაშის სადგურთან ან ბინასთან ახლო უკვე როგორც ეტყობა საქართველოს, ანუ კახეთის სამეფოს მაშინდელი საზღვარი იწყებოდა. ეს კუთხე თავად[ს]

---

[1] ბაწბიები.

[2] Посольство в Грузию кн. Звенигородского: СРК I, 128.

[3] «Стояли под Шатом горою, проехав Ларсов кабак Салтан-мурзы с версту на реке на Терке» (СРК I, 144).

[4] «За Аристовым князем». Аристов: რუსებს ასე დაუმახინჯებიათ ქართული სიტყვა „ერისთავი“. როდიონ ბირკინისა და სხვა რუს ელჩების 1587—88 წ. მოგზაურობის აღწერილობაში ეს სიტყვა უკეთესად არის ჩაწერილი რუსულად: Иристов князь Сонской (СРК I, 34—35). „ირისტოვ“ ახლო უდგება ქართულს სახელს. ერთგან სრულებით სწორად სწერია კიდეც: «к Еристову князю» (გვ. 34).

[5] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК I, 149 და 152.

«Салтан Мурза говорил: преж сего шли государевы посланники от его кабака на Шат гору для того, что им лучилось итти летом и снегов на горах тогды не было. А ходу их было тою дорогою до Сонские земли, что за Аристовым князем, полчетверта дни; а тот Аристов и с своею землею служит Олександру царю. А ныне тою горою вам не пройти, что в осен на тех горах снеги великие живут; а итти вам ныне промеж гор щелью, рекою Терскою вверх, потому что ныне в осен в реке Терке живет вода не велика, мостит ее мочно. А мостов надобет на ней три моста, а четвертому мосту быти блиско Черебашова кабака. А тот Черебашов кабак Аристова князя Сонские земли; а доехати до того кабака днем мочно» (იქვე I, 152).

ეკუთვნოდა, რომელიც თავის მხრით ალექსანდრე მეფის სამფლობელოს შეადგენდა (იქვე I, 152)[1].

რუსი დესპანები რომ ს. ლარსითგან 26 ენკენისთვეს დაძრულან, იმავე დღეს უკვე საქართველოს საზღვარზე მისულან. მაშასადამე, ამ ადგილას საქართველოსი და კახთა მეფის სახელმწიფოს სანაპირო ხაზი ს. ლარსითგან დაახლოებით 3—5 ვერსზე ყოფილა დაშორებული.

28 ენკენისთვეს კვლავ დაძრულან რუსი დესპანები და უკვე საქართველოს მიწაწყალზე მიდიოდნენ (в Сонской земле), გაუვლიათ დიდი სადგური (большой Сонской кабак) და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტერს სამი ვერსით დაშორებიან. იმავე დღეს რუს ელჩებს ერისთავის სადგურითგან ორი ვერსით დაწინაურებით თვით ერისთავის გამოგზავნილი ორი აზნაური შეჰგებებია. მეორე დღეს, 29 ენკენისთვეს, თვით ერისთავიც მისულა დესპანების სანახავად (იქვე I, 153) აქეთგან მოყოლებული რუს ელჩებს ერისთავის თანხლებით მგზავრობა განუგრძიათ.

30 ენკენისთვეს ისინი მდ. თერგის გამოღმა გადმოსულან და იქ, სადაც თერგისა და არაგვის სათავეები ერთიმეორეს უახლოვდებიან, იმ ადგილას ყოფილან, ამ ორ წყალშუა. ოთხი დღის განმავლობაში მგზავრები თურმე ერისთავის სადგურში არაგვის პირას მდგარან, რათგან წყალდიდობის გამო გასვლა შეუძლებელი ყოფილა. მხოლოდ 5 ოქტომბერს მოუხერხებიათ წისქვილთან არაგვის გადმოლახვა და აქეთ ნაპირზე დაბანაკება. სწორედ აქ იყო თურმე ერისთავის საერისთავოს საზღვარი და ალექსანდრე მეფის საკუთრივ კახეთის სამფლობელო იწყებოდა (იქვე СРК I, 154)[2]. მოსაზღვრე ხაზად ამ ადგილას, მაშასადამე, არაგვი ყოფილა.

იმავე დღეს, 7 ოქტომბერს, დესპანებს, ერთს არაგვზე მდებარე ქალაქამდის მიუღწევიათ, რომელიც თურმე ალექსანდრეს შვილს უფლისწულ გიორგის ხელში ყოფილა. შემდეგ ბარში წყლის პირას მდებარე თვით

---

[1] «Что мост под Черебашовым кабаком над обет, про тот мост говорили грузинским послом, чтоб к Черебашу от себя послали, а велели ему мост мостити для того, что тот кабак Сонские земли, а та Сонская земля за Олександром царем... А провожал их (ე. ი. დესპანებს) до Черебашова кабака Салтан Мурза. А пристав от Олександра царя... к ним послом не приезжал пот тот кабак нихто (გვ. 152). И послы кн. Семен и диак Торх говорили груз. послом кн. Каплану с товарыщи: в обычее ведетца... государя нашего послов во всех государствах... на встречю им на рубеж присылают приставов»... (იქვე I, 132—133). Черебаш ადამიანის სახელი ჩანს.

[2] «Сентября во 30 де стояли послы, переехав реку Терку, в верховье меж Терского верховья и Арагуя реки; а Аристов княз ехал с послы вместе. Октебря в 1 де... в 4 де стояли на реке на Арагуе под Аристовым кабаком для того, что от дозжов река Арагуй была велика, проехати было не мочно. Октебря в 5 де стояли на той же реке на реке на Арагуе, переехав мельницу и рубеж Аристовой земли, на Олександрове земле».

მეფე ალექსანდრეს საკუთარ სოფლებში ჩამომხტარან. ხოლო 8 ოქტომბერს მგზავრები უკვე ალაზნამდის მისულან (იქვე СРК I, 155)[1].

9-სა და 10-ს ოქტომბერს დესპანებს უმგზავრიათ და შუაღამის პირველი საათი ყოფილა, როცა ალავერდის წ˝ა გიორგის მონასტერში მისულან კიდეც, რომელიც დიდი ადგილი ყოფილა და ალავერდის მთავარეპისკოპოსის საჯდომ საყდრად ითვლებოდა (იქვე СРК I, 155—156)[2].

ამგვარად ირკვევა, რომ საქართველოს მაშინდელი ჩრდილოეთის საზღვრითგან, რომელიც ლარსის ოდნავ სამხრეთით მდებარეობდა, 26 ენკენისთვეს წამოსული დესპანები უკვე 10 ოქტომბერს ალავერდში ყოფილან და ზოგიერთ დაბრკოლებისა და შემოდგომისდა მიუხედავად 2 კვირაში ჩასულან.

პირველი გზით საქართველოში რუსთა დესპანების მგზავრობის ამბავიც, რომელსაც ზემოაღნიშნულს ცნობაში შევხვდით, აწერილია როდიონ ბირკინისა და მისი ამხანაგების მოხსენებაში. ეს 1587—1588 წ. მომხდარა. სამწუხაროდ, თ˝დ ზვენიგორდცკისავით ზედმიწევნითი და დაწვრილებითი არ არის მათი მოთხრობა.

1587 წ. 20 ივლისს დესპანები სუნშის ციხექალაქითგან წამოსულან საქართველოში ჩერქეზეთზე და მთიულთა ქვეყნების გვერდით გაუვლიათ და 27 ივლისს ალკასის სადგურამდის მიუღწევიათ[3].

1 აგვისტოს ელჩები ალკასის თანხლებით კვლავ გზას გასდგომიან და მთის გზით ხუთი დღის განმავლობაში სიარულის შემდგომ საქართველოს საზღვრამდის მიუღწევიათ: ერისთავთან 6 აგვისტოს მისულან. მის საერისთაოში (в Сонской земле) ერთს კვირას მდგარან და ცხენები უყიდიათ, რათგან სხვანაირად მგზავრობის არავითარი საშუალება არ ჰქონიათ. 13 აგვისტოს ერისთავის სამფლობელოთგან დაძრულან და ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ, 16 აგვისტოს, კახთა მეფის საკუთარ სამფლობელოს საზღვარზე თურმე მისულან კიდეც. აქეთგან ალექსანდრე მეფის ბანაკამდის, სადაც ის მთებში ჯერგით ნადირობის გამო მდგარა, კიდევ შვიდი დღის სავალი გზა ჰქონიათ რუს დესპანებს. მაგრამ მოხსენებაში აღნიშნული არ არის, სახელდობრ რა ადგილას უნადირია კახთ ბატონს[4].

[1] «Того дни стояли послы на той же реке на Арагуе под городищем царевича Юрья Александрова сына; а Уман поехал с послы вместе, а Аристов воротился. Октебря в 7 дн стояли послы в царевых Александровых деревнях в лугу на ручье. Октебря в 8 де стояли на реке на Лозани».

[2] «Октебря в 10 де... и того же числа в пятницу стояли послы князь Семен и дьяк Торх под монастырем, а пришли в нот тот монастырь в час ночи; а говорил Уман, что тот монастырь Егорьевской Алаверды, место большое, живет в нем архиепископ Гаврил и попы и дьяконы и белые».

[3] «Июля 20 ден... Родивон Биркин да Петр Пивов пошли с Сунщина городища в Грузинскую землю на Черкасы на Алкаса князя мимо Горские землицы О к о к и, К у м у к и, М и н к и з ы, И н д и л и, Шибуты; а пришли под Алкасов кабак июля в 27 ден» (Посольство в Г. Родиона Биркина და სხვების: СРК. I, 33).

[4] იქვე, СРК I, 34—35. «И пошли... августа в 1 ден. И шли до Сонские земли горами пят ден; и пришли в Сонскую землю к Еристову князю августа в 6 ден... (გვ. 34)... И в Сонской земле стояли неделю, покупали лошади, ехати было не на чем—

თუ გავიხსენებთ, რომ ზვენიგოროდსკი მეორე გზით მოგზაურობის დროს 28 ენკენისთვეს დაძრულა, 5 ოქტომბერს უკვე საკუთრივ კახეთის საზღვარზე ყოფილა და რომ აქეთგან 4 დღე წყალდიდობის გამო არაგვის პირად ტყუილად მდგარა, მაშინ ცხადი იქნება, რომ ერისთავის სამფლობელოში მგზავრობას რუსთა მეორე დესპანობასაც მხოლოდ 4 დღე მოსდომია.

კახთა მეფეს საკუთრივ კახეთის გარდა დაღესტნის სამხრეთის ნაწილის ერთი მხარეც ემორჩილებოდა, სახელდობრ ყაზიკუმუხსა და კახეთის სამეფოს შორის მდებარე მხარე. ალექსანდრე მეფის 1588 წ. რუსეთში გაგზავნილმა დესპანებმა რუსთა საპასუხო დესპანებისა, მქადაგებლებისა და მხატვრებისათვის საქართველოში მიმყვანელ ყველაზე უფრო მარჯვე და უშიშარ გზის არჩევაზე მოლაპარაკების დროს განაცხადეს თურმე, რომ სამურის (? Саθурской) მთავარი ალექსანდრე მეფის ქვეშევრდომიაო[1]. ამ ქვეყნის მდებარეობის ზედმიწევნილობით გამორკვევისათვის ქართველ დესპანების შემდეგს ცნობასა აქვს მნიშვნელობა. მათი სიტყვით რუსეთითგან შამხალის სამფლობელოზე კახეთში მიმავალი გზა ასე მიდიოდა: Терки-[დან] ტუმენამდის ცხენოსანს ერთი დღე დასჭირდებოდა, ქვეითს-კი ორი დღე. ხოლო ტუმენითგან შამხალის ქალაქ Тарки-[მდე] აგრეთვე ორი დღის სავალი ყოფილა. აქეთგან ქაფირყუმიყამდის ცხენოსანი ერთს დღეს მოუნდებოდა, ქვეითი 2 დღეს. ქაფირყუმიყითგან ყოზანიჩამდის ერთი დღის სავალი იყო ფეხით. ყოზანიჩითგან ყაზიკუმუხისა და [სამურამდე] (Саθурского) 4 დღის სავალი ითვლებოდა. Саθурской ალექსანდრე მეფის ქვეშევრდომია. იქითგან-კი საქართველომდის მხოლოდ ორი დღის მანძილი-ღაა. სულ-კი საერთოდ Терки-[დან] საქართველომდის შამხალის სამფლობელოს გზით 15 დღის სავალი ყოფილა[2].

---

И ис Сонские земли пошли от Ерпстова князя августа в 13 ден; и Иристов княз... до Грузинсково рубежа ездил провожати сам. И шли его землею четыре дни. И августа в 16 ден пришли... на рубеж на Грузинской... А от Сонского рубежа Грузинскою землею до тех мест, где стоял Александр княз, ехали сем ден; а Олександр княз стоял в то время на горах облавничал».

«Пошли ис Корачаев октября в 28 де; а пошли покинув седла в Короченх [потому что на лошадех было ехать немочно и путь был добре нужен, все шли около гор по косогору]... А пришли в Сонскую землю в деревню Влешкараш ноября в 1 де. А пришли Вескеру тагоже числа... А ис Сонеи пошли ноября в 9 де; а в Дидьянскою землю пришли ноября 13 де в деревню в Худоню» (Статейный список Θ. Елчина. Посол. в Дад. землю 318).

[1] Посольство из Г. кн. Каплана: СРК I, 59.

[2] «про дорогу на Шавкала послы сказали: итти с Терки до Тюменя — конному з днище, а пешему 2 дни; а от Тюменскаго до Шавкала до города Тарки 2 ж дни; а от Тарков до Казиркумыка—конному день, а пешему 2 дни; а от КаΘиръкумыка до Козанычa пешему итти днище; а бт Козанычa до Казыкумыка до СаΘурского с 4 днище,—а СаΘурской подданой Александра царя; а от СаΘурского до Иберские земли ходу з 2 дни. И всего до Грузеи от Терки на Шевкали ходу 15 ден» (Посольство из Г. кн. Каплана: ბელოკუროვის СРК I, 59).

«კახთ მეფის დესპანებს მოსკოვის მთავრობისათვის უთქვამთ: „в третьем месте толко государь пожалует велит поставити город на реке на Бойнаке; а бывал в том месте город Александра ц-я и башни на том городище на избах есть. А жилцы тут многие и около того городища села и деревни многие и винограду и пашни и лесу много; а река тут великая болши Терека и мочно тою рекою с моря и судом ходит. А от моря до того городища верст с 15, а от Тарков днище. А на то место две дороги одна к Дербени, а до Дербени от того городища з днище; а другая дорога в Иверскую землю на Казы-Кумыки, а до Казы-Кумыков два дни“ (1603-4 წ.: СРК I, 401).

კახთა მეფის ალექსანდრეს 1588 წ. რუსეთში გაგზავნილ ელჩების სიტყვით შამხალს სამფლობელო ბარშიაც ჰქონია და მთებშიც. ჩრდილო-ეთით მდებარე ბარი იყო და სწორედ აქ მდებარეობდა მისი საჯდომი ქალაქი Тарки. მთებშიაც შამხალს მინდვრები ბლომად ჰქონია და მოსახლეობაც ყოფილა, ცხენებიცა და სხვა საქონელიც მრავალი ჰყოლია. შამხალის სამფლობელოში სულ თურმე 21.000 მეომარი შეიძლებოდა რომ გამოსულიყო საბრძოლველად. ამ უკანასკნელს ცნობას მაშინ თურმე ჩერქეზების ელჩებიც ადასტურებდნენ[1].

კახთა მეფის სამფლობელოს XVI საუკუნის დასასრულის სამხრეთის საზღვრის გამოსარკვევად ერთი ცნობა მოიპოვება. რუს დესპანებს თავიანთ 1601—1605 წ. მოხსენებაში აღნიშნული აქვთ, რომ როდესაც ალექსანდრე მეფე სპარსეთითგან შაჰაბაზისაგან თავის სახელმწიფოში ბრუნდებოდა, მასთან მომავალი სპარსთა ჯარი კახეთის სახელმწიფო საზღვარზე კაპრის წყალთან შეჩერდა[2].

მაშასადამე, მოსაზღვრე ხაზს მაშინ კაპრის წყალი შეადგენდა. ამგვარი მდინარე ახლანდელს რუკებზე აღნიშნული არ არის. მხოლოდ მდ. აღსტაფურაზე მდებარე დელიჯანის ცოტა ჩრდილოეთით 5-ვერსიან რუკაზე მოიპოვება კაპარი (кутан Капар: ე8, 62° 30¹—41°).

თ. მეწოპელს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ მონღოლები საქართველოში შემოსევის დროს თურმე *«Եկն յերկիրն Արարատեան և Կարբու և յերկիրն Կոտայից և խիսարեալ զամուրն Բջնուեաւ զնա»* (გვ. 18). მდ. კაბრი (فنبد ან عبدا) ისკანდერ მუნშისაცა აქვს მოხსენებული. მას ერთგან ნათქვამი აქვს, რომ ოსმალთა საქართველოში წინსვლის ამბავის მიღებისთანავე სპარსეთის ჯარმა ყარაბაღისაკენ იბრუნა პირი, იმამყულიხანს შეუერთდა, მტკვრის გაღმა გავიდა და ორთავე ლაშქარი, ოსმალთა და სპარსელებისა ერთიმეორეს ქართველთა მიწაწყალზე მდ. კაბრის პირას შეხვდნენ და შეებრძოლნენო. სპარსელებს გაჰმარჯვებიათ. ამით გათამამებულ

---

[1] Посольство из Г. кн. Каплана: ბელოკუროვის СРК I, 59 და 60.

[2] СРК. I, 483: «Кизилбашские люди сперва стали на рубеже у Капры реки, а Константин царевич приехал с отцом своим в Загем с немногими людьми».

სპარსთა ზოგიერთ წინამძღოლებს მდ. კ ა ბ რ ი გადაულახავთ და თავიანთი ჯარი დაუბანაკებიათ, ალბათ, ბრძოლის გასაგრძელებლად. მაგრამ ოსმალთაც ეს მდინარე მოულოდნელად გადმოულახავთ, უეცრად თავს დასხმიან და საშინლად დაუმარცხებიათ [1].

ირკვევა, რომ მდ. კაბრის სახელი ეხლაც არის ხალხში შენახული. იასაულ ო ზ ა რ ო ვ ს კ ი ს სიტყვებით მდ. აბარანს, ანუ კარ წახგუდს ეხლაც სოფ. კარპითგან მოყოლებულს კარპი-ჩაჲ ეწოდება, ამ მდინარის მთავარი ძარღვი ალაგიოზითგანა და ბამბაკის მთითგან გამომავალ წყლებითგან შესდგება [2]. ამ ცნობების მიხედვით ხუთვერსიან რუკის ე8 თითქოს 62°0'—40°30' უნდა ვიგულისხმოთ ეს საზღვარი, მაგრამ ძველად, ალბათ, ამ მდინარის ზემო ნაწილსაც კ ა ბ რ ი ს, ანუ კ ა პ რ ი ს წ ყ ა ლ ი ერქმეოდა და, ალბათ, საზღვარი ფამბაკის, ანუ ერევნის მთების მახლობლად იქმნებოდა, იქ, სადაც ამ წყლის დასაწყისია, ე. ი. 61° 45′ — 40° 45′.

## ႩႠႾႤႧႨႱ ႫႤႴႨႱ ႠႪႤႵႱႠႬႣႰႤႱ ႳႰႧႨႤႰႧႭႡႠ ႫႤႦႭႡႪႤႡႧႠႬ

მეფე ალექსანდრეს მეზობლებთან ნათესაურ-მოყვრული კავშირი ჰქონდა გაბმული. წინათაც ამგვარს კავშირს საქართველოს და სხვა ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრებისათვის მცირე მნიშვნელობა არ ჰქონია, ეხლა ხომ, საქართველოს დაკნინებისა და დანაწილების ხანაში, ყოველს საშუალებას, რომელიც ოდნავად მაინც მეზობელთა და საქართველოს შორის დაახლოებასა და ადამიანურ ურთიერთობას შესაძლებლად გახდიდა, ჩვენი ქვეყნისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო და წინდახედულ პოლიტიკოსს ამით უნდა უეჭველად ესარგებლა.

თვით ალექსანდრე მეფეს ჩერქეზთა ბატონთან ალკასთან ნათესაობა ჰქონია და ალკასი კახთ ბატონის ბიძა ყოფილა [3].

გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი იმის გამო, რომ რუსები მას აღარ ენდობოდნენ და სხვა მძევლებთან ერთად მას საკუთარი შვილის მძევლად მიყვანა მოსთხოვეს, მას თავისი ნათესაობა მოაგონდა და კახთა მეფის ამ საქმეში დახმარების იმედი დაებადა. ალკასს არ უნდოდა, რომ შვილი რუსებისათვის ჩაეგდო ხელში მძევლად და რუსეთის ელჩებს შეუთვალა, რომ ის თავის შვილს კახთა მეფეს ალექსანდრეს გაუგზავნის მძევლად და მის დესპანებსვე გაატანს თან ეხლავე. მაგრამ რუსებმა იმაზე უარი შეუთვალეს [4]. ამას ჩერქეზთ ბატონი არ შეუფიქრიანებია და იმავე 1589 წ. 19 ოქტომბერს ალექსანდრე მეფეს სწვევია ქ. გრემში პირადად ძღვენითა და საჩუქრებით [5].

---

[1] Dorn 347.

[2] Материалы для военного обозрения Эриванской губернии I, 498—499, თბილისი, 1890 წ.

[3] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК I, 166.

[4] 1589—90 წ.: Посольство в Г. кн. Звенигородского: СРК I, 149.

[5] იქვე I, 168, «уздеть его сказал, что Алкас княз... приехал к Олександру царю челом ударит и привел к нему в дарех полоняники да привез рыбу».

ალკასს ალექსანდრე მეფისათვის უთხოვნია, რომ მისი შვილი მას, კახთა მეფეს, დაეტოვებინა მძევლად და რუსეთის მთავრობასთან ეშუამდგომლა მისი შვილის სამაგიეროდ ზედმეტი მძევლების განთავისუფლების შესახებ. რუსთა ელჩებს მეფე ალექსანდრეს ამ საქმეში ჩარევა არ ესიამოვნათ და კახთა ბატონის წარმომადგენლებს განუცხადეს: თქვენმა მეფემ უნდა ყოველნაირად ალკასის რუსეთთან მომტკიცებას ხელი შეუწყოს იმიტომ, რომ ჩერქეზთ მთავარი თავისი სიტყვის ბატონი არ არის. წინათ, სანამ თქვენი მეფე ჩვენი ხელმწიფის მფარველობას მიიღებდა, ეგ ალკასი ალექსანდრე მეფეს ხარკს [ახდევინებდა] (со государя вашего Олександра царя имал дан). ეხლა-კი, მას შემდგომ რაც მეფე ალექსანდრე ჩვენი მეფის მფარველობის ქვეშეა, თითონ ალკასი ეახლა თქვენს მეფეს ძღვნითაო. შემდეგში ჩვენი ხელმწიფის მფარველობის წყალობით თქვენ მეფესთან ალკასის გარდა დანარჩენი მთეული მთავრებიც მოვლენ და პატივს დასდებენო [1].

ალექსანდრეს შვილიც ერეკლეც ყაბარდოელებთან დამოყვრებული ყოფილა. მას ცოლად ყაბარდოს მთავრის ხიტოს ასული ჰყოლია [2].

თვით საქართველოშიაც სხვა სამეფოებთანაც ნათესაობით თუ მოყვრობით ალექსანდრეს მახლობელი პირები მოეპოვებოდა თვით მეფეთა ოჯახშიაც. ქართლის მეფე სვიმონი მაგ., ალექსანდრე მეფის სიძე იყო [3].

სამეგრელოსთანაც კავშირი ალექსანდრე მეფეს გაბმული ჰქონდა იმის წყალობით, რომ საქართველოს ამ ქვეყნის მთავარიც დადიანი მისი სიძე იყო [4], რომელსაც კახთ ბატონმა თავის ასული მიათხოვა დიდი მზითვით. ამ ქალს მეფე ალექსანდრეს შაჰაბაზიც სთხოვდა, მაგრამ მან მაინც უპირატესობა დადიანს მიანიჭა, შაჰს-კი შეუთვალა ჩემი შვილი დადიანზე უკვე დანიშნული იყო, როდესაც თქვენი თხოვნა მომივიდა, და ამიტომ ნუ გეწყინებათ, რომ საქმე ასე დატრიალდაო. თანაც მის გულის მოსაგებად შაჰაბაზს საუკეთესო ცხენები და 20 საპალნე აბრეშუმი და სხვა საჩუქარი გაუგზავნა [5].

რუსთა დესპანები თ̃დი ს. ზვენიგოროდსკი და ტორხი ამბობენ, ვითომც ჩერქეზთ ბატონი ალკასი, სანამ კახთ ბატონი რუსეთის მეფის მფარველობას არ მიიღებდა, ალექსანდრეს კახთა მეფეს ხარკს ახდევინებდა [6]. მეორეჯერ ამავე საგანზე ლაპარაკის დროს უფრო გარკვევით არის ნათქვამი [7]

---

[1] იქვე, СРК I, 166—168.

[2] იქვე, 168.

[3] იქვე, 170: «Олександро ж царь говорил:.. в нынешних времянах трет была Иверского царьства за зятем моим за Семенем» (იქვე I, 169—170).

[4] რუსეთის ელჩი ალექსანდრე მეფეს ეუბნებოდა თავის მთავრობის სახელით, რომ ის ცდილიყო «зятя ж своего Дадьянсково князя» რუსეთთან დაკავშირებას: СРК I, 307

[5] 1696—99: СРК 310—311.

[6] СРК I, 167.

[7] «Алкас князь тебе и свой только тебе был недруг, с Сонские твоей земли с Аристова князя дан имал»: СРК I, 178.

და ირკვევა, რომ უცხოეთის ახალი პოლიტიკური ამბების შესატყობად და ამა თუ იმ სახელმწიფოს შესახებ საიდუმლო ცნობების შესაგროვებლად მეფე ალექსანდრე ვითომც სავაჭროდ და სასყიდლებზე გზავნიდა ხოლმე თავის სანდო კაცებს ხან გილანში, ხან ყაზმინში, ხან სტამბოლში და დასავლეთ ევროპაშიაც-კი, მაგ., რომში. ამის წყალობით მან ისიც იცოდა ხოლმე სხვა ქვეყნებში რა ხდებოდა და ისიც, თუ რა მზადდებოდა უჩუმრივ მახლობელ უცხოეთში[1].

## [სამხედრო საქმის ორგანიზაცია კახეთში ალექსანდრეს დროს]

კახთა მეფეს ალექსანდრეს სამხედრო საქმეც საკმაოდ კარგად ჰქონდა მოწყობილი. წესად იყო მიღებული, რათა ჯარი უნდა ყოველწლივ შემოდგომას შეყრილიყო სოფელ Тон-ში. მეფე შინჯავდა თავის ლაშქარს, მის ალთვალვას ახდენდა და აღწერის დავთრებს ადგენინებდა და შემდეგ ისევ შინ ისტუმრებდა იმ პირობით, რომ პირველ დაძახებაზევე ყველანი მზად ყოფილიყვნენ[2].

ამ დროისათვის მას კახეთში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყოლია. 10.000-სზე მეტი ცხენოსანი ითვლებოდა, რომელნიც ფარხმალით და შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი, 500 მხედარივე ანჩარი (с ручницами) და 3.000 ფარხმალიანი შვილდკაპარჭოსანი ქვეითი ჯარისკაცი. მთელი ეს ლაშქარი 5 ცხენოსანი და ქვეითობის რაზმად ანუ სადროშოდ იყო დაყოფილი. თითოეულს რაზმს თავისი, თავზე ჯვარით შემკული დროშა ჰქონდა[3]. ერთი რაზმი, რომელიც ბატონიშვილ გიორგის მეთაურობით იყო, მეფის სადროშო [ერქვა]; მეორე რაზმს მარჯვენითი წვერის ანუ მხარის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული; მესამე რაზმს, რომელსაც ალექსანდრე მეფის ძის დავითის და ქიზიყელის დროშის ქვეშ იყო, დიდი რაზმი ერქვა. დანარჩენ ორ სადროშო რაზმის სახელები შენახული არ არის[4]. რუს ელჩებსაც ალექსანდრე მეფის ჯარები მრავალრიცხოვნად ეჩვენა[5].

ბატონიშვილი გიორგი, მეფე ალექსანდრეს ძე, რუს დესპანებს 1604 წ. უმტკიცებდა, რომ ქართველებს რომ რუსებისაგან ნამდვილი სამხედრო დახმარება თავის თვალით თავის ქვეყანაშივე ეხილათ, დამშვიდებული ხალხი მარტო კახეთის სამეფოშიაც საკმაოდ დიდს ჯარს შეადგენდა. მისი სიტყვით

---

[1] 1539—1590 წ. ზვენიგორ. დესპ.: СРК. I, 205: «иное и яз посылаю для вестей будто с торгом на Гиляне да и на Казбин и во Царьгород и во Фрянки. И ныне приехал ко мне мой армении торговой человек. А сказал, что был в Риму у папы».

[2] СРК I, 172.

[3] იქვე, I, 171.

[4] იქვე, I, 172.

[5] იქვე.

შეიძლებოდა 20.000 აბჯარცმული შეიარაღებული ცხენოსანი მეომარი გამოსულიყო კიდეც [1].

ამ 13.500 ჯარისკაცს გარდა, რომელნიც მუდამ საომრად მზად უნდა ყოფილიყვნენ, კახეთს განსაკუთრებულ შემთხვევაში ამაზე ერთიორად უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანა შეეძლო. 1603 წ. ალექსანდრე მეფის დესპანი მოსკოვის მთავრობას არწმუნებდა, რომ კახთ ბატონს 30.000 მეომრამდის ჰყავს და მას თავისდათავად რუსების დაუხმარებლივაც შეეძლო შამხალს გამკლავებოდა, ის რომ უმალ თავის ვიწრო და მიუვალ ხეობებისკენ არ იხევდესო [2].

როდესაც მეფე ალექსანდრე თავის ჯარს საზეიმო ალლუმს უმართავდა ხოლმე, მაშინ მის წინ ერთს ხუცესს სკიპტრა მიჰქონდა ხოლმე, უკან სამეფო მედროშე სეფე დროშით მისდევდა, ხოლო ასამდის მისი მახლობელი ხელისუფლები ახლდნენ ზოგი სამეფო იარაღითა ხელში, ზოგი ფარით, ზოგი ლახტით (зерцалы, шестопером). მეფის ამალას უკან მისდევდნენ მებუკენი და მენაღარენი [3].

საზეიმო სამხედრო ვარჯიშობას მეფის ცოლშვილიც უმზერდა ხოლმე კარვითგან. ჯარის განხილვის შემდგომ მეფე მარტოკა მხედრივ მივიდოდა კარავთან, საითგანაც დედოფალი და მისი ასულნი გამობრძანდებოდნენ და თაყვანსა სცემდნენ. მოკლე საუბრის შემდეგ მეფე ისევ ჯართან ბრუნდებოდა და რაზმობრივ სამხედრო ვარჯიშობას აწყებინებდა ხოლმე [4].

კახეთს სამხედრო თვალსაზრისით კარგი მდებარეობა ჰქონდა. ამ გარემოებას მშვენიერად აფასებდნენ თვით ქართველებიც. ალექსანდრე მეფის შვილი გიორგი უფლისწული 1604 წ. რუს დესპანებს ეუბნებოდა: თქვენც ხომ ხედავთ, როგორია ჩვენი სახელმწიფო, მთებით არის გარემოზღუდული და ტყეებითაა დაბურული, გარდმოსავალები-კი მხოლოდ თითო-ოროლა ადგილას მოიპოვებაო [5].

---

[1] СРК. I, 482: «толко ден будут здесь в Грузинской земли городы и люди хоти немноше, а наших людей зберетца тысячь з 20 в доспесех и на аргамацех,—и на нас Турской и Кизылбашской взозрить не посмеют».

[2] იქვე, СРК I, 401.

[3] იქვე, СРК I, 172.

[4] იქვე, СРК I, 172.

[5] იქვე, СРК I, 482.

# [კახეთისა და რუსეთის ურთიერთობა]

## [დესპანების გაგზავნა რუსეთში ალექსანდრეს მიერ]

ალექსანდრე კახთა მეფეს რუსეთის მეფესთან თ ე ვ დ ო რ ე იოანეს ძესთან 1586—87 წ. თავისი დესპანები გაუგზავნია, რომელთაც რუსეთის მეფისათვის ალექსანდრეს ეპისტოლეც მიურთმევიათ. ამ საბუთის მაშინდელი რუსული თარგმანითგან ჩანს, რომ რუსთ მეფეს საქართველოში თავისი მოციქული თარჯიმანი ე გ ნ ა ტ ე დ ა ნ ი ლ ო ვ ი (Игнатий Данилов) თავისი ეპისტოლითა და ამბავით გაუგზავნია. რუს დანილოვს თავის მთავრობისაგან დავალებული ჰქონია უმთავრესად საქართველოში მიმყვანებელი გზების გაგებადაზვერვა და საქართველოს შესახებ ცნობების შეგროვება[1]. ამის საპასუხოდ ალექსანდრე მეფესაც სამი კაცი ელჩად აურჩევია, თავის წერილით, საჩუქრებით და საგანგებო დავალებით გამოუსტუმრებია.

რუსეთ-საქართველოს დიპლომატური იმდროინდელი დამოკიდებულებისათვის დამახასიათებელია, რომ არც რუსებმა იცოდნენ ქართული, არც ქართველებს გაეგებოდათ რუსული. ამიტომ უთარჯიმანოდ მათ ერთმანეთთან მოლაპარაკება არ შეეძლოთ. როგორც ეტყობა, საერთაშორისო სადიპლომატო ენად თურქული, ანუ „თათრული“ მიუჩნევიათ. სწორედ ამიტომ უნდა ყოფილიყო, რომ 1588 წ. მოსკოვში მიმავალს ქართველ დესპანებს ბ ა დ ი ს ყ ა ფ ლ ა ნ ს ა და მის ამხანაგებს რუსეთის მეფემ თევდორე ივანეს ძემ, „თათრული“ ენის მცოდნე თარჯიმანი დაახვედრა[2].

მოსკოვის მთავრობას თავისი სიგელ-ეპისტოლეები რუსულად უწერინებია. კახთ ბატონის სამფლობელოში მხოლოდ ერთი კაცი ყოფილა რუსულის მცოდნე და თარჯიმანად ის ჰყოლია მეფე ალექსანდრეს. მაგრამ 1596 წ. ახლო ხანებში ის მომკვდარა და კახეთის მთავრობა უთარჯიმანოდ დარჩენილა[3]. ამ დროს საქართველოში უცხო ენათაგან ყველაზე უფრო გავრცელებული თურქული ენა ყოფილა. ალექსანდრე მეფის მოხელეებს რუს დესპანე-

---

[1] «проведывать дороги в Грузинскую землю и земли Грузинские—какова земля», (გვ. 10).

[2] Посольство из Г. кн. Каплана: СРК. I, 54. «По государеву цареву... Федора Ивановича... указу послан к грузинским послом переводчик татарской Вельямин Степанов».

[3] СРК I, 298.

ბისათვის უთქვამთ: თურქული ჩვენ ყველამ ვიცითო[1]. გადმოგვითარგმნეთ რუსულითგან თურქულად თქვენ მიერ მოტანილი საბუთები და ჩვენ გავიგებთ და გადმოვაქართულებთო[2].

ალექსანდრე მეფის ეპისტოლის რუსული თარგმანით ისე გამოდის, თითქოს კახთა მეფეს თურქთა მძლავრებისა და შევიწროებისაგან დაცვა და მფარველობა ეთხოვოს[3]. რუსული ტექსტი როგორც ეტყობა სრული და სიტყვასიტყვითი თარგმანი-კი არ არის, არამედ შინაარსის გარდმოცემა[4].

## [ႩႠႾႤႧႨ ႣႠ ႸႠႫႾႠႪႨ]

დაღესტნითგან კახთა სამეფოსა და მთლად აღმოსავლეთს საქართველოს მოსვენება არ ჰქონდა. დაეშვებოდნენ მოულოდნელად მთებითგან, დაეცემოდნენ ხალხს, საჩქაროდ, სანამ ის შეიარაღებას მოასწრებდა, ცარცვა-გლეჯასა და ტყვენვას შეუდგებოდნენ და სწრაფადვე უკან ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყანაში და იქ დაიშლებოდნენ ხოლმე. ამ ავაზაკურ ნავარდს განსაკუთრებით დაჟინებით შამხალი აწარმოებდა, რომელიც კახეთის სანაპიროს მეტისმეტად აწუხებდა. 1589 წ. ალექსანდრე მეფის ხელისუფლის ომანის სიტყვით ყუმიყთა მთავარი შემოჰსევია კახეთის განაპირა კუთხეს. მეფე ალექსანდრეს მათ წინააღმდეგ თავისი ჯარი გაუგზავნია, რომელსაც შემოსეული მტერი სრულიად დაუმარცხებია ისე, რომ ყუმიყების მარტო დახოცილთა რიცხვი თურმე 400-ზე მეტი ყოფილა[5].

კახეთისათვის მაშინ იმდენად პირადად თვით ოსმალეთი არ იყო შემაწუხებელი, რამდენადაც ჩრდილოეთით მოსახლე დაღესტანელი მთეულები, მეტადრე შამხალის ქვეშევრდომნი («горские люди Шамкалски»): ისინი ქურდულად ღამ-ღამობით დაეცემოდნენ ხოლმე კახეთს და ვისაც მოახელებდნენ თან მიჰყავდათ ტყვედ. შემდეგ დატყვევებულებს ძალას ატანდნენ, რომ ქრისტიანობა უარეყოთ და გამაჰმადიანებულიყვნენ. ალექსანდრე მეფეს 1588 წ. რუსეთში გაგზავნილ დესპანების პირითაცა და პირადად დაწერილი ეპისტოლის საშუალებითაც თევდორე ივანეს ძეს სწორედ შამხალის თავდასხმისაგან დაცვასა სთხოვდა[6].

უფრო მკაფიოდ და ხაზგასმით ეს გარემოება ალექსანდრე მეფის დესპანებს სიტყვიერ მოლაპარაკების დროს აღუნიშნავთ. როდესაც მათ რუსეთის მთავრობისათვის მოუთხოვიათ, რომ კახეთის შემაწუხებელი და დამწიოკებელი შამხალი რუსებს დაესაჯათ, მისი თავგასულობა აელაგმათ და საქართველოში

---

1 «Мы по турски все умеем»: იქვე, I, 299.

2 იქვე, СРК I, 299.

3 «понеже... земля наша хрестьянская, а от неверных Турок в велицей беде и в утесненье, и в том твоя царская воля, как... от таких и неверных богомерских агарян оборониш» (გვ. 12).

4 იხ. С. А. Белокуров-ის გამოცემული Сношения России с Кавказом, вып. I, გვ. 10—12.

5 Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК. I, 155.

6 ბელოკუროვი, СРК I, 55—56.

მიმავალი გზები მათი ბრბოებისაგან გაეწმინდათ და უზრუნველეყოთ, ამაზე მათთვის უთქვამთ, ჩვენმა ხელმწიფემ შამხალს ჯერ მიწერილობის სიგელი გაუგზავნა, რომ თავდასხმას და წინანდელს ქცევას თავი დაანებოსო. თუ ვინცობაა არც ამან გასჭრა, მაშინ ჯარსაც გავგზავნით მის წინააღმდეგო.

ასეთი პასუხი ქართველებს არაფრად მოსწონებიათ და რუსეთის მთავრობისათვის პირდაპირ განუცხადებიათ: ჩვენმა მეფემ ალექსანდრემ იმიტომ იკისრა რუსთ ხელმწიფის ყმადნაფიცობა, რომ მას სწორედ შამხალისაგან დაეფარა და მისი მტრობისაგან უზრუნველეყო. საქართველოც სწორედ ამიტომვე არ მიემხრო არც ოსმალეთს და არც სპარსეთსა და თქვენი ხელმწიფის ყმადნაფიცნობა ირჩია. ეხლა-კი ისე გამოდის, რომ შამხალის წინააღმდეგ თქვენი ჯარი გაგზავნილი არ იქნება. მაშასადამე, მომავალშიაც საქართველო შამხალთან ომს თავს ვერ დააღწევსო[1]. ამ საყვედურითა და უკმაყოფილებით აღსავსე სიტყვებითგან ნათლადა ჩანს, რომ როდესაც ალექსანდრე მეფეს რუსთა მეფისგან მფარველობის თხოვნა გადაუწყვეტია, ამის უმთავრესი ამამოძრავებელი მიზანი საქართველოს ოსმალეთისა ან სპარსეთის მძლავრობისაგან თავის დახწევა და უზრუნველყოფა-კი არ შეადგენდა, არამედ ზურგის გამაგრება და თავდაცვა ჩრდილოეთელ მეზობლებისაგან, განსაკუთრებით შამხალის ტყვენვა-ცარცვა-გლეჯისაგან.

ეს გარემოება პირადად მეფე ალექსანდრემაც ხაზგასმით აღნიშნა და საგანგებოდ აღიარა. 1589 წელს, რუსეთითგან ჩამოსულ დესპანებთან, კახთ-ბატონს უთქვამს შამხალი ჩემი დიდი მტერია: წავალ თუ არა ოსმალეთის ან სხვა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ საომრად, მაშინვე შამხალი ჩემს სანაპირო ქვეყანას შემოესევა ხოლმე. ისე-კი ღამ-ღამობით ქურდულად ჩემს ქვეყანას დაეცემა, ხალხს მიხოცავს, ტყვედ მიჰყავს და ძალით ამაჰმადიანებსო. ამ მხრივ შამხალი ჩემთვის ოსმალოზე უფრო უარესია იმიტომ, რომ ოსმალეთის სულტანი აქ ძლიერი არ არის: ის მეომება, მეც მას ვეომებიო[2]. შამხალთან-კი კახთა მეფეს ბრძოლა არ შეეძლო, რათგან ის ფიცხლავ დაღესტნის შორეულ მთებში იმალებოდა და იქ სრულებით უვნებელი იყო.

დაღესტნელთა ის გათამამება და მტრული მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ალექსანდრე კახთა მეფეს თავის 1588 წ. რუსთა მეფეს-

---

[1] «послы говорили, что государь их Александр царь для того государю бил челом в подданные, чтоб государь оборонил его от недруга его от Шевкальского; а только ныне государевы рати на Шавкала не будет,—ино и вперед от Шавкала Грузинской земле не будет без войны. А Грузинская земля потому государю и била челом, в подданстве учинилася; а ни к Турскому, ни к Кизылбашскому не пристали за то, чтоб им были от своих недругов оборонену государевою милостью» (ბელუკოროვის СРК I, 61).

[2] СРК. I, 163: «болшой мне недруг Шевкал: где мне случитца итти на Турского украину или на которые на иные земли войною, а Шавкал в ту пору приходит на мою украину войною, а иное ночью татбою, люди побивает и к себе в бусурманскую веру сводит, ставитца мне пущи Турского. А Турской царь меня повоюет и яз против его повоюю: в здешних странах Турской мне не силен».

თან დაწერილს ეპისტოლეში აქვს აღნიშნული, რასაკვირველია, მარტო შამხალის ქვეშევრდომთა „ველურობითა“ და მტაცებლობითი ალღოთი არ აიხსნება, არამედ, როგორც თვით კახთა მეფესაც ხაზგასმით ნათქვამი აქვს, ამ სამწუხარო და საშიშს მოვალეობას თავისი პოლიტიკური მიზეზი და საფუძველიც ჰქონდა.

«ათასი (ორას სამოცი) წელიწადია [1], ამბობს ალექსანდრე მეფე თავის ზემოაღნიშნულს წერილში, რაც ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ამ ქვეყანას ვმფლობელობთ და ვმეფობთ და ყოველთვის შამხალი ჩვენ გვემორჩილებოდა და ხელთ ქვეშე იყო»-ო. ქვეყანაც მშვიდობიანად და მყუდროდ ცხოვრობდა. მხოლოდ მას შემდგომ, როცა ოსმალეთის სულტანი ქრისტიანთა მიწა-წყლის განადგურებას შეუდგა, მაშინ შამხალიც გადაგვიდგა და მტრობა დაგვიწყოო [2].

ჩვენ ვიცით, რომ დაღესტანში თვით ხუნზახამდის ქართველ მქადაგებელთა წყალობით ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ეკლესიები არსებობდა და ეპისკოპოსიც იჯდა. კიდევ XIII საუკუნეში ქართველ მქადაგებელთა მოღვაწეობა არამცთუ შეჩერებული არ ყოფილა, უფრო გაცხოველდა კიდეც და ახალი სამოქმედო ასპარეზი შეიძინა. შერმინდელ პოლიტიკურ დაცემისა და კულტურულ ჩამოქვეითების დროს საქართველოს იმდენი ძალა აღარ შესწევდა, რომ თავის საქრისტიანო ახალნერგ სამოციქულო ასპარეზისათვის მზრუნველობა გამოეჩინა. სამაგიეროდ ჯერ თემურლენგმა, ხოლო შემდეგ პოლიტიკურად გაძლიერებულმა ოსმალეთმა დიდი მხნეობით მაჰმადიანობის მქადაგებლობა თავის პოლიტიკურ ზრახვების განსახორციელებლად საუცხოო იარაღად გამოიყენა. ამგვარად, დაღესტანსა და ჩრდილოეთს კავკასიაში ჯერ თემურლენგის ძალდატანებითმა გადარჯულებამ, ხოლო შემდეგ ოსმალთა ქადაგებამ ქრისტიანობას სძლია და მაჰმადიანობა გავრცელდა. ამ დროითგან მოყოლებული ოსმალეთს დიდი უპირატესობა ჰქონდა, რათგან დაღესტნელები და იმიერ-კავკასიელი მთეულნი თურქთა ერთმორწმუნენი იყვნენ და სამხედრო მოქმედების დროს მათი ერთგული მოკავშირეები იქმნებოდნენ.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ცხადი იქმნება, რომ შამხალის მტრობა და თავდასხმა კახეთზე ნამდვილად იმავე ოსმალეთის პოლიტიკური და სამხედრო გეგმის შედეგი იყო და ერთგვარი ნიადაგის წინასწარი შემზადება მომავალი მოქმედების გასაადვილებლად.

მაგრამ მაინც კახთა მეფის ალექსანდრეს აზრი ცხადია და ის თავისას ამტკიცებდა, რომ ფიზიკურ საშიშროების მხრით მისი ქვეყნისათვის იმდენად თვით ოსმალეთი არ წარმოადგენდა საფრთხეს, რამდენადაც დაღესტნის ბატონი შ ა მ ხ ა ლ ი. კახთა მეფეს ამასთანავე გარკვევით უთქვამს თითონაც და თავისი დესპანების პირითაც, რომ მას რუსეთის სამხედრო დამხმარება და ძალა საქართველოში სრულებითაც არ ესაჭიროება, მის ერთადერთს სათხო-

[1] ასე სწორედ არის აღრიცხული ალექსანდრეს მიერ (იხ. СРК I, 125), აქ გადამწერის შეცდომით უნდა ეწეროს 1000 წ.

[2] ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ი, СРК I, 56.

ვარს-კი შამხალის, მისი ჩრდილოეთის მტრის, ისეთს მდგომარეობაში ჩაყენება შეადგენს, რომ მას საშუალება აღარა ჰქონდეს საქართველოს დაეცეს ხოლმე იმ დროს, როდესაც იგი ოსმალეთს ან სპარსეთს იგერიებს. საკუთრივ ოსმალეთის წინააღმდეგ მეფე ალექსანდრე რუსეთს არავითარს სამხედრო ძალას არ სთხოვდა[1].

## [მეზარბაზნე ოსტატების დაბარება რუსეთიდან კახეთში]

ალექსანდრე კახთა მეფე კარგად გრძნობდა და ხედავდა იმ ცხადს უპირატესობას, რომელიც სპარსელებსა და განსაკუთრებით ოსმალებს ქართველებთან შედარებით სამხედრო საქმეში ჰქონდათ. ვერც პირადი მამაცობითა და თავგანწირულობით, ვერც სამხედრო ნიჭით ქართველებს მაინცდამაინც ვერ გააკვირვებდნენ და აჯობებდნენ. სასროლი იარაღის მხრით-კი სპარსელები და უფრო მეტად ოსმალები ქართველებზე გაცილებით მაღლა იდგნენ. სხვა არა იყოს რა, მათ ზარბაზნები ჰქონდათ, ამასთანავე ოსმალებს მრავალრიცხოვანი ჯაბახანა მოეპოვებოდათ, ქართველებს-კი ამ დროს ერთი ზარბაზანიც არ ჰქონდათ. ამიტომ ალექსანდრე მეფის უპირველეს საზრუნავს, როგორც ირკვევა, თურმე სწორედ ზარბაზნების შეძენა შეადგენდა. მას ზარბაზნების ჩამოსხმის შესწავლა სურდა და თავის დესპანებს საიდუმლო სიტყვიერი დავალებით დააბარა, რომ თევდორე ივანეს ძისათვის მის მაგიერ მეზარბაზნე ხელოსნის, ოსტატის გამოგზავნა ეთხოვათ[2]. ამ ოსტატის გარდა ალექსანდრე მეფის დესპანებმა სხვა ხელოსან ოსტატების გამოგზავნაც სთხოვეს თავის ბატონის დავალებით[3]. ცხადია, კახთა მეფეს უნდოდა, რომ ტექნიკურ ცოდნაში ჩამოქვეითებული საქართველო დაეწინაურებინა და აემაღლებინა.

რამდენად დიდმნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა მეფე ალექსანდრეს ზარბაზნების ჩამოსხმის ხელოსნობის შესწავლა, ისიც ამტკიცებს, რომ მისი პირველი კითხვა, რომლითაც-კი თავისისა და რუსთა დესპანებისათვის მიუმართავს, თურმე სწორედ ამ საქმეს ეხებოდა. რუსთა ელჩს თ˜დ ს. ზვენიგოროდსკის მოთხრობილი აქვს, რომ სანამ ის და მისი ამხანაგები კახთა მეფეს წარუდგებოდნენ, მათთან ალექსანდრე მეფის კარისკაცი მოვიდა და უთხრა: ჩემმა ბატონმა, მეფე ალექსანდრემ წერილობით მიბრძანა, რომ მა თავის დესპანებს ყაფლანს და მის ამხანაგებს დაავალა რუსთა მეფისათვის მის მაგიერ ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატების გამოგზავნა ეთხოვა. ჩვენმა მე-

---

[1] СРК. I, 175: «Уман с товарыщи говорили; того государь наш Александро царь и мы всею землею у Бога просим, чтоб Бог возвысил великого государя руку над бусурманы. А люди великого государя сюды государю нашему не надобет. Милость бы великий государь государю нашему показал, велел воевати Шевкала от Терских городов: а с Турским государь нашь Александр царь учнет и сам стояти».

[2] Посольство из Грузии кн. Каплана: СРК. I, 56 და 47.

[3] СРК I, 57: «приходили осте ко государя нашего ц. величеству от Олександра ц. Иверского посольством и били челом... чтоб государь царь... велел послати учительных людей старцев и попов и мастеров всяких».

ფემ თ῀დს ყაფლანს ჰკითხა, აასრულა მან დავალება და სთხოვა თუ არა ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატების გამოგზავნა საქართველოში და რუსთა ხელმწიფემ ჩემი თხოვნა შეისმინა და ამ ოსტატების თქვენთან ერთად გამოგზავნა ბრძანა თუ არა, ან თვით მეზარბაზნე ოსტატები თქვენთან ერთად თუ ჩამოვიდნენო? ყაფლანმა მეფეს მოახსენა, რომ მან ამ ოსტატების გამოგზავნა რუსთა ხელმწიფეს სთხოვა, მაგრამ, მოგვდევენ თუ არა თქვენ დესპანებს ის ოსტატები, ეს-კი დანამდვილებით არ ვიცით. ამიტომ ჩვენმა ბატონმა, მეფე ალექსანდრემ მიბრძანა, რომ თქვენთვის მეკითხა, ჩამოყვანილი გყავთ თან ზარბაზნების ჩამომსხმელნი თუ არაო?[1]

ზემომოყვანლი ცნობა ნათლად გვიჩვენებს, რომ კახთა მეფეს მშვენივრად ჰქონდა გათვალისწინებული ზარბაზნების მნიშვნელობა იმდროინდელ სამხედრო ბრძოლაში და ამიტომ ჩქარობდა და გულმოდგინედ ცდილობდა ზარბაზნების ჩამოსხმის ხელობის შესწავლასა და გადმონერგვას საქართველოში.

## [კახთა მეფის ზრუნვა ერთიანი საქართველოსათვის]

კახეთის სამეფოს მთავრობამ კარგად იცოდა, რომ მაშინდელ საქართველოს სისუსტის ერთი მთავარ მიზეზთაგანი ქართველობის დაქსაქსულობა და შეუთანხმებლობა იყო.

თავისთავად საქართველო ერთობლივ მცირე ძალის პატრონი არ ყოფილა, მაგრამ რაკი მტერს გაერთიანებული ქართველთა მხედრობის მაგიერ თითოეულ სამეფოს ჯარი უხვდებოდა ხოლმე ცალ-ცალკე, ამიტომ ნაწილობრივი დამარცხებით მთელი ქვეყანაც სუსტდებოდა. სულ სხვა იქმნებოდა ქართველობას ერთობლივ რომ გაეწია კარზე მომდგარი მტრისათვის წინააღმდეგობა. ამას მაშინდელი ქართველი პოლიტიკოსებიც მშვენივრად ხედავდნენ. აი, მაგ., ალექსანდრე კახთა მეფის ძე გ ი ო რ გ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი რას ეუბნებოდა 1604 წ. რუს დესპანებს: ჩვენი ქვეყანა ბუნებრივადაც გამაგრებულია და მთებით არის მოზღუდული, მტრისათვის შემოსასვლევი მარჯვე გზებიც ცოტაა, ჯარიც ჩვენ 20.000-მდის გვყავს, ხოლო ქართლის მეფე გიორგი სვიმონის ძე თუ შეგვირიგდა, მასაც ამდენივე მეომარი მოეპოვება და მაშინ ხომ ვერც ერთი მტერი ჩვენ ვერას დაგვაკლებსო[2].

---

[1] 1589—90 г.г. Посольство в Г. кн. Семена Звенигородского и др., იხ. ბელოკუროვის СРК I, 158: «Оман же послом кн. Семену... говорил: писал ко мне государь мой Александро царь, что он посылал бити челом великому государю вашему послов своих Каплана с товарыщя о пушечных литцех. И государь наш кн. Каплана спрашивал великому государю он о пушечных литцех бил ли челом? И государь пожаловал ли, пушечных литцов велел ли дати? И ныне пушечные литцы с вами послы есть ли?—И Каплан сказал, что он о пушечных литцех великому государю бил челом, а того не ведает—с вами послы пушечныи литце есть ли или нет?—И государь нашь Александро царь велел вас спросити: пушечные литцы с Вами ест ли?».

[2] СРК I, 482: «А только к тому Карталинский Юрьи Симонов сын... с нами помиритца и у него столько ж ратных людей и нам никоторый недруг ничего не учинит».

რუს დესპანებთან 1589 წ. მოლაპარაკების დროს კახთა მეფემ ალექსანდრემ მათ თავისი გულისტკივილი და გულისნადები გადაუშალა და ჩიოდა: «უძველესი დროითგან საქართველო ერთს სახელმწიფოს შეადგენდა, მაგრამ ჩვენმა პაპისპაპამ ეს სამეფო სამ ნაწილად გაყო. ამ ჩვენს დროში საქართველოს სამეფოს ერთი მესამედი ჩემს სიძეს სვიმონს ეკუთვნის. ამ ჩემმა სიძემ სვიმონმა თითქმის მთელი თავისი სამეფო დაკარგა იმიტომ, რომ აფიონსა სწევს და ყოველთვის ოსმალებთან ომი აქვს. თურქებმა მის ქვეყანაში თავიანთთვის ციხეები ააგეს, ლამის არის მთელი მისი სამფლობელო დაიჭირონ და ვინ იცის კიდევ მომავალი რას გვიქადისო»[1].

რუსეთის ელჩებმა ან ვერ გაიგეს, რა ალაპარაკებდა ამ შემთხვევაში მეფე ალექსანდრეს, ან ისე გაიგეს, როგორც მათთვის უფრო სასურველი იყო. ისინი თავიანთ ჩვეულებრივს ბაქიობას მოჰყვნენ: შენს სიძეს სვიმონს ეგ საქმე იმიტომ დაემართა, რომ ჩვენს ხელმწიფეს მფარველობა არ სთხოვა. ხოლო თუ ის ჩვენს ბატონს შეეხვეწება, ეს შენი გულისათვის იმასაც თავის ხელთა და მფარველობის ქვეშე მოაქცევს და დაიცავსო (იქვე).

რუსი დესპანებისათვის, რასაკვირველია, სრულებით გაუგებარი იყო ალექსანდრე მეფის მოკლედ მოჭრილი, მაგრამ მაინც მრავალმეტყველი სიტყვა. მას რომ მარტო სვიმონ მეფის დაცვაზე ნდომებოდა საუბარი რუსებთან, განა ის ელჩებს საქართველოს ისტორიის ფურცლებს გადაუშლიდა და ძველს ამბავს მოუყვებოდა? არა, უმიზეზოდ არ ჩამოაგდო კახთ ბატონმა საქართველოს წარსულზე სიტყვა. ეს საკითხი ეტყობა მისი იდუმალი ზრახვისა და ოცნების საგანს შეადგენდა, ის აწუხებდა და იზიდავდა მას, ვითარცა პოლიტიკურს მოღვაწეს, ქვეყნის საჭეთმპყრობელს, მას არ სურდა და არც შეეძლო ყველაფრის გულახდილად თქმა და თავისი ნატვრის გამომჟღავნება. მეტად პასუხსაგები და სათუთი იყო ეს საკითხი, თანაც მეტად ფრთებ-შემკვეცელი იყო საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა, რომ იმაზე ცხადად და უქარაგმოდ, მით უმეტეს გრძლად ლაპარაკი შესაძლებელი ყოფილიყოს. ამიტომ ალექსანდრე მეფის სიტყვის დედააზრს, რომელიც როგორც ჩანს, რუს დესპანებს სწორად აქვთ გადმოცემული და ჩაწერილი, ჩაკვირვება უნდა და ბევრგან ქარაგმების გახსნა ესაჭიროება.

«უძველეს დროითგან საქართველო ერთს სახელმწიფოს შეადგენდა, მაგრამ ჩვენმა პაპისპაპამ ეს სამეფო სამ ნაწილად გაყო»-ო, უთქვამს ალექსანდრეს და სიტყვა არ დაუმთავრებია და ამაზე შეუწყვეტია. მაგრამ მისი აზრი მაინც ცხადია: მას უნდოდა ეთქვა: და აი ეხლა ჩვენი ქვეყანა რა საბრალო მდგომარეობაშია. საქართველო რომ გაერთიანებულიყო, ფიქრობდა მეფე ალექსანდრე, სულ სხვა იქმნებოდაო. მას ეხლაც მხოლოდ ერთი საქართველოს სამეფო ეკუ-

[1] СРК I, 169—170: Олександро ж царь говорил: истари Иверское государство было под одним царем; и прадед наш то царьство Иверское разделил на три части. И в нынешних времянах трет была Иверского царьства за зятем моим за Семеном. И зят мой Семон мало не все свое царьство потерял, что ест афьян, да всегды у него драка с Турскими людми; и Турского люди на его земле городы поставили и мало не всю его землю засели,—и впоред неведомо чему быти».

ლება. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ კახთ ბატონი თითქოს განზრახ დანაწილებულ საქართველოს სამეფოებად ხსენებას გაურბის და ამბობდა: „ჩვენმა პაპისპაპამ ეს სამეფო სამ ნაწილად გაყო“-ო და არა „სამ სამეფოდ“. განსაკუთრებით საგულისხმოა, როდესაც ის რუსებს მოუთხრობდა: „ამ ჩვენს დროში საქართველოს სამეფოს ერთი მესამედი ჩემს სიძეს სვიმონს ეკუთვნის“-ო. იმის მაგიერ, რომ ეთქვა, ქართლის სამეფო სვიმონს უჭირავსო, მას ხაზგასმით აქვს ნახმარი იმ სრულიად „საქართველოს სამეფოს მესამედი“, მისთვის თითქოს საქართველო მხოლოდ ერთია და ქართლის სამეფო არ არსებობს. ამავე თვალსაზრისით ის გარემოებაც არის საყურადღებო, რომ სვიმონს კახთ ბატონი არც ერთხელ მეფედ არ იხსენიებს და ორჯერვე მას მხოლოდ სიძედ ასახელებს, რუსთა დესპანებიც ამის მსგავსადვე მოქცეულან და საპასუხო სიტყვაში მათაც ქართლის მეფე მარტივად ალექსანდრე მეფის სიძედ მოუხსენებიათ.

ცხადად ეტყობა, რომ ალექსანდრე თავისი სიძის სვიმონის კმაყოფილი არ ყოფილა და მისი მარცხის მიზეზად პოლიტიკურს ასპარეზზე მარტო ოსმალეთის მძლავრობა-კი არ მიაჩნდა, არამედ მისი დამღუპველი მიდრეკილებაც, რომ ის აფიონს სწევდა. მეორე მიზეზად ოსმალების გამუდმებითი იერიში მიაჩნდა სვიმონის სამფლობელოზე. მეფე ალექსანდრე შიშით შეჰყურებდა მომავალს მაჰმადიან მეზობლების მძლავრების გამო. „ვინ იცის მომავალი კიდევ რას გვიქადის“-ო. ეუბნებოდა იგი რუს დესპანებს. მაგრამ გულში როგორც ეტყობა ფიქრობდა, რუსეთს რომ ჩემთვის დახმარება გაეწია, მაშინ საქართველოს მტრის მოგერიებაც შეეძლო და იქმნებ ძველებურად ერთ სამეფოდ ქცეულიყოო. ალექსანდრე მეფის სიტყვის დასაწყისი საქართველოს გაერთიანებულ სახელმწიფოდ ყოფნის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ როდესაც მან რუსეთის მფარველობას მიჰმართა, მას ეს იმედიც უნდა ჰქონოდა.

ალექსანდრე მეფეს მარტო ქართლზე-კი არ სჭერია თვალი შემოსაერთებლად, არამედ სრულიად საქართველოს მიწა-წყალის გაერთიანება სდომნია: „Александро царь выслал ис полаты думных всех своих людей опроче посла Сулеймана да околничего Умана. А говорил: в сех странах около моего государства земли были крестьянские — Мигрели и Татьяны; а ныне... покорил их по себя Турской царь не на великих временах и в тех землях многие люди по неволям стали в бусурманской вере. И толко государь вступитца за меня... взыщут его ж государя и обратятся в крестьянскую веру“ (СРК I, 220).

## [ალექსანდრეს ზრუნვა ქართული ტექნიკისა და ხელოვნების დაწინაურებისათვის]

ალექსანდრე მეფეს რუსთა ხელმწიფის დახმარებისა და მფარველობის მოლოდინი ბევრგვარს სხვა იმედსაც ულვიძებდა. პოლიტიკურად მოღონიერებისა და მყუდრო ცხოვრების უზრუნველყოფის გარდა, მას თავისი ქვეყნის კულტურის დაწინაურება სურდა. რუსეთითგან მოსასვლელ ხელოსნებს ქარ-

თული ჩამოქვეითებული ხელოსნობისათვის წამახალისებელი მაგალითი და ტექნიკა უნდა ეჩვენებინათ. რუს მხატვრების დახმარებით კახთა მეფეს დროთა ვითარებისაგან და გარეშე მტრების შემოსევათაგან დაზიანებული ქართული ეკლესიების მხატვრული შემკულობა აღედგინა, ხატები დაეხატვინებინა და კედლებიც სადაც საჭირო იქმნებოდა ხელოვან მოხატულობით გაემშვენებინა. ეს თავისი იმედები და გეგმა მეფე ალექსანდრეს რუსთა დესპანებისათვის თითონვე გაუმჟღავნებია. როდესაც ისინი თურმე ჩამოყვანილი მხატვრების უკანვე წაყვანას აპირებდნენ, მას უთქვამს: 1260 წელიწადი იქმნება, რაც ჩვენი სახელმწიფო გაქრისტიანდა და მას შემდგომ უსჯულოთა ოხრების წყალობით ბევრი მონასტერი და ეკლესია დაიქცა; ეხლა ჩემს სიცოცხლეშივე ყველა ამის განახლება მწადია, მინდა იმნაირადვე მოვაწყო, როგორც წინათ იყოო. ამისთვის ვთხოვე მე თქვენს ხელმწიფეს მხატვრების გამოგზავნა. ჩემი განზრახული საქმისათვის ეს რიცხვი საკმარისი არ არის და მე მინდოდა მეთხოვა, რომ სხვებიც მოეშველებინა. თქვენ-კი იმათიც უკან წაყვანა გსურთ, რომელნიც თან ჩამოიყვანეთო[1].

## [კახეთის და რუსეთის პოლიტიკური შეურიგებლობა]

იმთავითვე ქართველ მეფესა და რუსთ მეფეს შორის მათი პოლიტიკური ურთიერთობისა და დამოკიდებულების შესახებ გაუგებრობა და შეუთანხმებლობა დამყარდა. შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა ეს გარემოება, არამედ ორი ერთიმეორესთან შეურიგებელი პოლიტიკური მიმართულებისა და წადიერების ბუნებრივი შედეგი იყო.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თუმცა ალექსანდრე კახთა მეფე თავის ეპისტოლეში რუსთა მეფისადმი თავის თავს მეფეს უწოდებს («**грузинского Александра царя**») და მისი დესპანებიც მას მეფეს ეძახიან სიტყვიერი მოკითხვისა და მოხსენების დროს («**Иверские земли Александр царь**»), თვით რუსთა მეფე და მისი მოხელეები-კი ამ წოდებულობას განზრახ ერიდებიან და ალექსანდრე მეფეს ყოველთვის მ თ ა ვ ა რ ს უწოდებენ საბუთებშიაცა და სიტყვიერადაც[2].

ალექსანდრე მეფის წადილი იყო რუსეთის მფარველობით მაჰმადიან სამფლობელოების მედგარ იერიშებისა და მძლავრებისაგან საქართველო დაეცვა. თვით მისი ეპისტოლის რუსული თარგმანითგანაც ჩანს, რომ ალექსანდრეს რუსთ მეფის მფარველობის მეტი არა სდომებია რა[3].

რუსთა მეფეს მფარველობით დაკმაყოფილება არ შეეძლო და მიჩვეული იყო, რომ თავისი უმცროსი მოკავშირეები, ან მფარველობისა და დახმარების

---

[1] СРК I, 125.

[2] «И ц а р ь и великий князь Федор Иванович всея Русии спросил про Александра К н я з я здоровье, сидя; а молыл: Александр к н я з ь здоров ли?» (გვ. 11)... «подали государю от Александра к н я з я грамоту» (იქვე). «Грузинские земли начальнику Александру к н я з ю Иверскому» (გვ. 14).

[3] ... «сим своею головою и со всею своею землею под к р о в царствия ти и под вашу царскую руку рад п о д д а е т ц а»: ბელოკუროვის СРК I, 12.

მაძიებელნი პირდაპირ თავის ყმებად ან ქვეშევრდომებად ექცია. კახთა მეფის ალექსანდრეს წადილიც მან თავისებურად გაიგო და გამოიყენა კიდეც. რუსთა მეფე თევდორე ივანეს ძე ალექსანდრესადმი გაგზავნილს საპასუხო ეპისტოლეში ატყობინებდა სხვათა შორის: თვით შენ გვთხოვე წერილობითაც და სიტყვიერადაც დესპანების პირით, რომ «შენც და შენი ქვეყანაც ჩვენ მეფურ ხელთა ქვეშე ჩვენი მეფური სახელით გვეჭიროს»[1]. ალექსანდრე მეფე ამას-კი არა, არამედ სულ სხვას ითხოვდა.

ამგვარი შინაარსის სიმტკიცისა და ფიცის წიგნი რუსთ მეფის ყმობის შესახებ შეადგენინა რუსეთის მთავრობამ და ხელმოსაწერად და ფიცის მისაღებად გაუგზავნა ალექსანდრე მეფეს. რუსეთის მთავრობა რომ ეშმაკობდა და თავისი პოლიტიკური ზრახვა და წადილი უნდოდა გაჭირვებული ქართველობისათვის თავზე მოეხვია და მიეღებინებინა, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ თვით რუსთა მეფეს და მის მოხელეებს ეჭვი ეპარებოდათ და დარწმუნებული არ იყვნენ, მოაწერდა თუ არა [ხელს] ალექსანდრე მეფე მათ მიერ დაწერილს ფიცის წიგნს[2].

რუსეთის მთავრობას რომ სრული რწმენა არ ჰქონოდა, რომ მისი ფიცის წიგნი თვით კახთა მეფის ალექსანდრეს თხოვნასა და პოლიტიკურს მისწრაფებას არ შეეფერებოდა და ეწინააღმდეგებოდა კიდეც, ცხადია, ამგვარი ეჭვი არ ექმნებოდა.

რუსთა მეფემ ერთბაშად თავისი თავი „მწყალობელად“ წარმოიდგინა და გამოაცხადა, კახთა მეფე-კი „შეწყალებულად“ და „გაბედნიერებულად“ ჩასთვალა და აღიარა[3]. მედიდურებისა და ალექსანდრეს დამცირების კილოთი არის დაწერილი თევდორე იოანეს ძის ეპისტოლე და ყველა საბუთები და ამის შესაფერისად ეჭირათ მის დესპანებსაც თავი კახეთში.

თვით რუსთა ელჩების ნაამბობიც ამტკიცებს, რომ მეფე ალექსანდრე რუსთა მეფის მიერ შემოთავაზებული პირობებით და იმ პოლიტიკურ დამოკიდებულებით, რომლის დამყარებაც მას სურდა, კმაყოფილი არ ყოფილა. მას მოტანილ ფიცის წიგნში ბევრი რამე არ მოსწონდა და სანამ გარკვეული ხელშეკრულება არ დაიდებოდა და პირადადაც გამოცდილებით არ დარწმუნდებოდა, რომ რუსეთის მეფის მიერ აღთქმული მფარველობისა და მტრებისაგან დაცვის დაპირება სრულ სინამდვილედ იქცა, მანამდის ალექსანდრე მეფეს ფიცის წიგნის ხელის მოწერა შეუძლებლად მიაჩნდა[4].

---

[1] ბელოკუროვის СРК I, 14: «чтоб нам тебя и твою землю под своею царскою рукою держати в своем царском имяни» ... «в грамоте своей к тебе писали есмя как тебе и твоей земле быти под нашею рукою в нашем царском имени» (იხ. აგრეთვე გვ. 15, 20).

[2] «А будет Александр княз правды дати не похочет и учнет зато крепко стояти, а уговорити его будет отнюд невозможно»:... ბელოკუროვის СРК I, 22, შეად. აგრეთვე გვ. 21, 23 და სხვაგან.

[3] СРК I, 22, 24, 25, 28 და სხვაგან.

[4] ბელოკუროვი, СРК I, 37: «Мне не договоряс и не укрепяс и не увидев к себе государева жалованья и покаместа города на Тереке не поставят, правды дати нелзе. И стоял за то много».

რაკი ფიცის წიგნში ნათქვამი იყო, რომ მეფე ალექსანდრე რუსთა მეფის მტრებთან მტრად უნდა ყოფილიყო და მოკავშირეებთან მეგობრად, ალექსანდრე მეფე ითხოვდა, რომ რუსთა ხელმწიფესაც თავის მხრივ მისთვის ამგვარივე ფიცისა და სიმტკიცის წიგნი მიეცა[1]. ცხადია, მას სურდა, რომ ხელშეკრულება ორმხრივი ყოფილიყო და არა ცალმხრივი. ამ შემთხვევაშიც რუსეთის მთავრობას თავი მედიდურად ეჭირა და მისი დესპანების სამაგიერო ფიცის წიგნის მაგიერ ალექსანდრე მეფეს რუსეთის „წყალობის სიგელს“ («жалованую грамоту з золотою печатью») და „ჯერჩინებულებას“ («укаэ свой подлинной о всяком береженье») ჰპირდებოდნენ. რუსთა ხელმწიფეს თავის მხრით ფიცის წიგნის მიცემა თავის უდიდებულესობის დამცირებად მიაჩნდა.

უკმაყოფილო იყო და წინააღმდეგი ალექსანდრე კახთა მეფე, რომ ფიცის და პირობის წერილში შეტანილი ყოფილიყო ცნობა იმის შესახებ, რომ იგი მოვალე იყო ყოველწლიურად რუსთ ხელმწიფისათვის გარკვეული საგნები „ძღვენად“ (поминки) ეგზავნა[2]. ცხადია, ალექსანდრე მეფის ასეთი მედგარი წინააღმდეგობა ამ შემთხვევაში იმით აიხსნებოდა, რომ ყოველწლიურობა და მისი ფიცის წიგნში შეტანით სავალდებულოდ გამოცხადება ამ „ძღვენს“ ხარკად ხდიდა. მას-კი რუსთ ხელმწიფისაგან მფარველობის გარდა არა უნდოდა-რა.

სრული ერთი თვე, 29 აგვისტოთგან 28 ენკენისთვემდის, გაგრძელდა მოლაპარაკება ალექსანდრე მეფესა და რუსთა დესპანებს შორის, ალექსანდრე დიდხანს იცავდა თავის შეხედულებას და ფიცის წიგნზე ხელისმოწერა არ უნდოდა. მაგრამ ელჩებიც ყოველგვარი საბუთებითა და მოსაზრებით კახთა მეფის დაყოლიებას ცდილობდნენ. მათი სიტყვით მთელი საქრისტიანო ქვეყნები მათი მეფის მოკავშირენი იყვნენ ოსმალთა საწინააღმდეგოდ, თვით ოსმალეთის სულტანი და სპარსეთის შაჰი რუსთა ხელმწიფის მომხრეობის მთხოვნელი იყვნენ, მრავალი სახელმწიფოები მას ემორჩილებიან, ფიცის წიგნიც დაუდვიათ და ძღვენსაც ყოველწლივ უგზავნიანო[3].

მეფე ალექსანდრე ჩუმად უსმენდა რუსთა დესპანების ლაპარაკს, მაგრამ პასუხს არ აძლევდა და ისე ისტუმრებდა ხოლმე მათ, რომ არა იცოდნენ-რა, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო მათი საბუთიანობა და მჭევრმეტყველება.

როგორც ეტყობა ელჩებთან ყოველი საუბრის შემდგომ ალექსანდრეს თავის ხელისუფლებთანა და მახლობელ დარბაისლებთან თათბირი ჰქონდა. 28 ენკენისთვეს ალექსანდრე მეფემ რუსთა ელჩები დაიბარა და გამოუცხადა, რომ ის თანახმაა ფიცის წიგნსა და ხელშეკრულებას მოაწეროს, და იმავე დღეს თავისი სიტყვა აასრულა კიდეც[4]. უეჭველია, უნდა რაღაც განსაკუთრებული

---

[1] ბელოკუროვი, СРК I. 40: «И говорил Александр княз... я государю царю... Федору Ивановичю... правду... по той записи дам. А государь бы... запись мне танову ждал, что ему государю от всех моих недрузей меня оберегат и моей земли Иверской не поступица никому».

[2] ბელოკუროვი, СРК I, 41: «Александр князь поминков в запис написати не хотел и стоял за то много».

[3] ბელოკუროვი, СРК I, 26—27, 41.

[4] იქვე.

გარემოება ყოფილიყო, რომელმაც კახთა მეფის წინააღმდეგობას სძლია და ფიცის წიგნზე ხელის მოწერა აიძულა, მაგრამ სამწუხაროდ ამის ნამდვილი მიზეზი ჯერ არ ჩანს.

როდესაც 1588 წ. ოქტომბერში საქართველოთგან კახთა მეფის დესპანები კიდევ ჩამოვიდნენ, რუსთა მეფე თევდორე იოანეს ძე წინანდელზე გაცილებით უფრო მეტი პატივისცემით დაუხვდა. მათი მოსკოვში შემოსვლის დღეს, 17 ოქტომბერს, რუსთ ხელმწიფემ თავისი წარმომადგენლები წინ დაახვედრა. ერთს მათგანს ნაბრძანები ჰქონდა, რომ ქართველ დესპანებს ბორის გოდუნოვისაგან მისალმებოდა და მისივე სახელით მათთვის შესაჯდომი ცხენები მიეყვანა. ელჩებისათვის ჩამოსახტომად და სადგომად ნოვგოროდელი არქიეპისკოპოსის სასახლე იყო დანიშნული[1].

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ ალექსანდრე მეფის დესპანების თ͠დ ყაფლანის წინამძღოლობით 1588—89 წ. მოსკოვში ჩასვლისთანავე, როგორც საბუთებში ისე სიტყვიერ მოლაპარაკების დროს, რუსთა მეფე და მისი მთავრობა ალექსანდრეს წინანდებურად მთავარს (князь)-კი არ უწოდებენ, არამედ უკვე მეფედ იხსენიებენ[2]. შემდეგშიაც ეს მეფური წოდებულება ალექსანდრესთვის მოსკოვის მთავრობას აღარ მოუცილებია[3]. პირიქით, რუსეთის მთავრობა ამიერითგან თითქოს განგებ აპრტყელებს ალექსანდრეს წოდებულებას და მარტივად მეფედ ხსენების მაგიერ ხმარობდა ხოლმე «ივერიის თავს ალექსანდრე მეფეს»-ო[4].

რასაკვირველია, ეს მოვლენა შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგრამ ჯერჯერობით ძნელი გადასაწყვეტია, მარტო თვით კახთა მეფისა და მთავრობის მოთხოვნით მოხდა ეს ცვლილება, თუ ამასთანავე ან განსაკუთრებით რუსეთის მთავრობის პირადს ახალ პოლიტიკურს ზრახვასაც ჰქონდა მნიშვნელობა და მოსკოვის სახელმწიფოს საჭეთმპყრობელთ გადასწყვიტეს, რომ, რაკი კახთაბატონი თავიანთ ყმადნაფიცად და მოხარკედ უნდოდათ ექციათ, მათი დამპყრობელობითი მიზნისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ალექსანდრე მეფედ მოეხსენებინათ და მთელი ივერიის, საქართველოს, თავად მიეჩნიათ. ამით მათ საქართველოს დანარჩენ სამეფოებზეც ერთგვარი უფლების მოპოვება თითქოს უადვილდებოდათ.

ასე იყო თუ ისე, ერთი რამე მაინცდამაინც სრულებით ცხადია: კახთბატონის წოდებულობის ზემოაღნიშნული ცვლილება მხოლოდ გარეგნული თვისებისა იყო და თავისდათავად სრულებით იმას არ ნიშნავს, ვითომც მოსკოვის დიპლომატებს კახთა მეფის პოლიტიკური და უფლებრივი ღირსების ამაღლებაზე დაეწყოთ ფიქრი და ზრუნვა. პირიქით, იმათ სწორედ ამასთან

---

[1] ბელოკუროვი, СРК I, 54: Посольство из Грузии князя Каплана, старца Кирилла и Куршита.

[2] СРК I, 55, 56, 62.

[3] იხ. იქვე, I, 84, 85 და ბევრგან სხვაგანაც.

[4] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК I, 87: «Иверские земли начальнику Александру царю».

ერთად წინანდელზე უფრო მეტად მისი ხელში ჩაჭერა და დამონავება უნდოდათ და ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ კიდეც ამ მიზნის მიღწევას.

მაგრამ ამ პატივისცემასთან ერთად ქართველ დესპანებს რუსეთის მთავრობამ ცხოვრების ისეთი პირობები შეუქმნა, რომ მათ არავის ნახვა არ შეეძლოთ, არც ერთ უცხოელთან მოლაპარაკების და საქმის დაჭერის საშუალება არ ჰქონდათ, თუ-კი ამას თვით რუსთა მეფე არ ინებებდა. იმ ბოქაულს, რომელიც ჩვენს ელჩებს პატივისცემის ნიშნად მიჩნეული ჰყავდათ, საიდუმლოდ თავის მთავრობისაგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ ქართველ დესპანებთან უცხოელი არავინ მიეშვა, სულ ერთია ბერძენი იქმნებოდა იგი, თურქი, სომეხი თუ სხვა ქვეყნელი ვინმე. ის მოვალე იყო თვალყური ედევნებინა და არასგზით ნება არ მიეცა უცხოელთათვის, რომ დესპანებთან თუ მათ მსახურებთან რაზედმე საუბარი და მოლაპარაკება ჰქონოდათ. რუსთა მთავრობის განსაკუთრებულ ნებადაურთველად თვით ქართველი ელჩების მხლებლების სადმე გარეთ გაშვებაც-კი არ შეეძლო ამ ბოქაულს. ქართველი ელჩების ყოველი სიტყვა-კი მას უნდა უექველად თავისი უფროსისათვის მოეტანა და მოეხსენებინა [1].

ერთი სიტყვით რუსებს სურდათ, რომ ქართველ დესპანებს ვერაფერი გაეგოთ დაჭეშმარიტებით, თუ რა ხდებოდა ან თვით რუსეთში ან სხვა ქვეყნებში. ცხადია, რუსეთის მთავრობას რაღაცისა ეშინოდა და ქართველებისაგან დამალვა საჭიროდ მიაჩნდა. ალბათ, ის დარწმუნებული არ იყო, რომ ქართველი ელჩების უცხოელებთან ლაპარაკისა და მათგან ამბების შეტყობის შემდეგ რუსთა მიერ საქართველოსთან განზრახული პოლიტიკური დამოკიდებულების დამყარებას ხელსაყრელად ჩასთვლიდნენ და თავიანთ ქვეყნისათვის დახმარებას სხვაგან სადმე რუსეთის გარეშე არ მოსძებნიდნენ. ქართველი დესპანები, მაშასადამე, გარეშე ქვეყანას ხელოვნურად იყვნენ მოწყვეტილი და რუსეთის მთავრობის საპატიო ტყვეობაში იმყოფებოდნენ.

ალექსანდრე კახთა მეფის მიერ 1588 წ. რუსეთში გაგზავნილი დესპანები თავად ყ ა ფ ლ ა ნ ი ს მეთაურობით რუსთა მთავრობას არწმუნებდნენ, რომ სპარსეთის შაჰსაცა და ოსმალეთის სულტანსაც სათითაოდ მათი ბატონისათვის მრავალჯერ გამოუგზავნიათ ელჩები და უთხოვიათ მხოლოდ მოკავშირე ყოფილიყო, მაგრამ ორთავეს ალექსანდრემ უარი უთხრა, თავისი ქვეყანა ერთისაცა და მეორის მონობისაგან დაიცვა და მხოლოდ თქვენ რუსთა მეფეს მიენდო და სრულის იმედით არის, რომ იგი მასაცა და მის სამეფოსაც მტრებისაგან დაიფარავსო [2].

მოსკოვის მთავრობამ თ. ზ ვ ე ნ ი გ ო რ ო დ ს კ ი ს და დანარჩენ თავის დესპანებს 1589 წ. დაავალა, რომ მათ საქართველოში საიდუმლოდ შეეგროვებინათ ცნობები და გაეგოთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა მაშინ ალექ-

---

[1] ბ ე ლ ო კ უ რ ო ვ ი, СРК I, 54: «Да и того ему беречи, чтоб к ним на двор иноземцы гречене и турчане и арменья и иные никоторые иноземцы не приходили и ни о чем с ними и с их люди не разговаривали, да и людей их без имянного приказу з двора спускати не велети...».

[2] Посольство из Г. кн. Каплана: СРК I, 58.

სანდრე მეფეს სპარსეთის შაჰთან და ოსმალეთის სულტანთან, ყოფილან თუ არა უკანასკნელს დროს მათი ელჩები მეფე ალექსანდრესთან და სახელდობრ რა მიზნით, ან თვით კახთა მეფეს ერანის და სტამბოლის ბატონებთან თუ თავისი დესპანები გაუგზავნია, ვის სახელით და რა საქმეზე[1].

ალექსანდრე კახთა მეფე ფიცის წიგნის შემდეგაც თავის თავსა და ქვეყანას რუსთა მეფის მფარველობის ქვეშ სთვლის[2] და მხოლოდ ამისდა გვარად რუსთ ხელმწიფისაგან შესაფერისს მოქმედებას მოელის, უმთავრესად სამხედრო ძალის გამოგზავნას თხოულობს, რომ კახეთიც „ურწმუნოთა“ ხელში არ ჩავარდნილიყო[3]. ამ დროს, 1588 წ., ოსმალეთი გაბატონებული იყო თითქმის მთელს საქართველოში, მაგრამ კახეთი ალექსანდრე მეფის სიტყვით ჯერ კიდევ თავისუფალი იყო[4].

## (საქართველოს, კავკასიის მთეულეთი და რუსეთი)

ალექსანდრე მეფის მიზანს, როდესაც იგი რუსთა ხელმწიფეს მფარველობასა სთხოვდა და ხელშეკრულებასა სდებდა, როგორც ვიცით საქართველოს დაცვა და უზრუნველყოფა შეადგენდა ჩრდილოეთ კავკასიის მთეულთა, განსაკუთრებით შამხალის თავდასხმისა და თარეშისაგან. ვითარცა ძლიერსა და დიდ სამეფოს შეჰშვენოდა, კახთა მეფე რუსეთის ხელმწიფისა და მთავრობისაგან დახმარებისა და ხსნის მოიმედე იყო. ალექსანდრე მეფე რას იფიქრებდა, რომ თვით მისა რუსეთთან შედარებით მეტად სუსტი ძალა რუსეთს დასჭირდებოდა. მაგრამ მოულოდნელად საქმე სწორედ ასე დატრიალდა.

თევდორე ივანეს ძემ რომ თავისს 1589 წ. თ~დ ს. ზვენიგოროდსკის მეთაურობით კახეთში გაგზავნილს დესპანებს ალექსანდრე მეფესთან „წყალობის სიგელი“ (жалованая грамота) გაატანა, იქ სხვათა შორის შემდეგი სწერია: ვინგინდა ჩვენი მეფობრივი უდიდებულესობის ურჩნი მთავრები და მურზები აღმოჩნდნენ, რომელნიც ჩვენს მკვიდრს მამულს ასტარახანს ან Терскому городу არ მიემხრობიან და ჩვენს წყალობას არ მოისურვებენ,—შამხალი იქმნება ის, თუ ჩერქეზთა ან სხვა მთეულთა ბატონი,—შენც, ალექსანდრეც მეფევ, პირადად და შენი შვილებიც და მთელი შენი ივერიის ქვეყანაც ვალდებულნი ხართ ყველა ჩვენ ურჩთა წინააღმდეგ თქვენ თითონაც გაილაშქროთ და თქვენი ჯარიც გაგზავნოთ ხოლმე, ასტარახანსა და [Терки-ს] ქალაქთან დაკავშირებით ისინი ჩვენს მეფურს ნებისყოფასა დაუმორჩილოთ და მათი ერთგულებისა და უზაკველობის სიმტკიცის საწინდრად-კი ჩვენ კაცებთან ერთად მათ მძევლები ჩამოართვათ, ხოლო თუ რომელიმე ჩვენთა მტერთაგან თავის ლაშქრით ჩვენი მკვიდრი მამულის ასტარახანისა და [Терки-ს] ქალაქის

[1] Посольство в Г. кн. Звенигородского: СРК I, 98.

[2] «коли велел нам под своим царским защищеньем быти» (გვ. 55).

[3] «ждем от тебя... повеленья царского присылки, чтоб... в неверные руки не отданы были»: ბელოკუროვი, СРК I, 55.

[4] იქვე, 55.

წინააღმდეგ ამხედრდება, შენც, მეფევ ალექსანდრე, შენი შვილებიც და მთელი შენი ივერიის ქვეყანაც მოვალენი ხართ ჩვენს მკვიდრს მამულს ასტარახანსა და [Терки-ს] ქალაქს მიეშველოთ და ჩვენს სარდლებთანა და მეომრებთან ერთად ჩვენი მტრების წინააღმდეგ იბრძოლოთო. ამგვარადვე რუსთა ხელმწიფე ალექსანდრე მეფეს ჰპირდებოდა, რომ თუ მისი რომელიმე მტერი იმის და მისი ქვეყნის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, ასტრახანისა და თერგის სარდლები მოვალენი იყვნენ კახთა მეფეს მოჰშველებოდნენ[1].

იმ სიტყვიერს დარიგებაში, რომელიც მოსკოვის მთავრობამ თავის ელჩს თ. ზვენიგოროდსკის ჩვეულებისამებრ თან გაატანა იმის შესახებ, თუ რა ეთქვათ და როგორ მოქცეულიყვნენ დესპანები კახეთში, უფრო ნათლად არის გამოთქმული და მკაფიოდ გვეხატება ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩრდილოელი მთეულების წინააღმდეგ ბრძოლის გამო რუსეთის მთავრობის წყალობით ალექსანდრე მეფე უნდა ჩავარდნილიყო. ზვენიგოროდსკის დააბარეს, რომ კახთა მეფისათვის ეთქვა: ვინც მთეულთა მთავრები თუ სხვა ვინმე ჩვენი ხელმწიფის ურჩნი იქმნებიან და შენთანაც მშვიდობიანს ურთიერთობას დაარღვევენ, მათ წინააღმდეგ უნდა თითონ შენ ამხედრდე და შენი ჯარი გავზავნო და ისინი ჩვენი ხელმწიფის ხელს დაუმორჩილო ხოლმე. ჩვენი ბატონის თერგის სარდლები-კი შეომარ შეთოფურებს მოგაშველებენო[2]. მაშასადამე, რუსეთის ურჩი ჩრდილოეთ კავკასიის მთეულების დამორჩილების ტვირთის უმთავრესი სიმძიმე კახთა ბატონსა და მის ქვეყანას უნდა დასწოლოდა. რუსები მხოლოდ მოეხმარებოდნენ და მოეშველებოდნენ. კახთა მეფეს უნდა რუსეთის ხელმწიფისათვის დაემორჩილებინა და ურჩთათვის თავისი ხელით მისი უღელი დაედგა.

მაშასადამე, უპირველესად ყოვლისა, კახთა მეფე ვალდებული იყო რუსთა ხელმწიფის პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ხელი შეეწყო და ჩრდილოეთი კავკასიის მთეულთა რუსეთისათვის დამორჩილებაში პირადად და მთელი თავის სამხედრო ძალღონით მონაწილეობა მიეღო. ისე გამოდიოდა, რომ ალექსანდრე მეფეს, რომელსაც ისედაც ორ ძლიერ მეზობელ სახელმწიფოსთან, სპარსეთთან და ოსმალეთთან, უხდებოდა ბრძოლა და მოზღვავებულს

---

[1] Посольство в Г. кн. Звенигородского: СРК I, 88—89: «А которые будет князи и мурзы нашему ц. величеству непослушны будут и к нашей отчине к Астарахани и к Терскому городу не пристанут и в нашем жалованье быти не хотят—Шевкал и Черкасские и горские князи хто из них,—и тебе, Александру царю и твоим детем и всей твоей Иверской земле на тех на всех наших непослушников с нашими с Астараханскими и с Терскими воеводами самому на них ходити и рат своя посылати и в нашу волю их к нашей отчине к Астарахани и к Терскому городу под нашу царскую руку приводити с нашими людми вместе и заклады у них имати для укрепленья... А которой будет нашь недруг пойдет к нашей отчине к Астарахани или к Терскому городу или людей своих пошлет,—и тебе, Александру царю, и детем твоим со всею своею землею Иверскою нашей отчине Астарахани и Терскому городу помогати и против наших недругов стояти с нашими воеводами и с ратными людми за один».

[2] СРК I, 96.

მტრებს ძლივს იგერიებდა, საქართველო კიდევ ჩესაჩე ჩხრივაც, ჩრდილოეთი-საკენაც, ომის ალში უნდა გაეხვია. ამისთვის ხომ რუსთ ხელმწიფის მოთხოვ-ნისამებრ უნდა კავკასიონის ქედი გადაელახა და ბრძოლის ასპარეზი თავის ჯარითურთ იმიერკავკასიაში გადაეტანა, მერმე განა კახთა მეფეს სპარსეთი და ოსმალეთი ამის ნებას მისცემდნენ და, რა წამს ის თავის საბრძანებელს მოშორდებოდა, ისინი მაშინვე კახეთს არ შეესეოდნენ? სპარსეთსაცა და ოს-მალეთსაც მთეულებთან სარწმუნოებრივიცა და პოლიტიკური კავშირიცა ჰქონდათ და სრულებით ცხადია, რომ ისინი თანამორწმუნე მთას გამოექომა-გებოდნენ და ამ შემთხვევას თავისდა სასარგებლოდაც გამოიყენებდნენ. დიდი ბჭობა და დამტკიცება არ არის საჭირო, რომ ცხადი იყოს, რამდენად არსე-ბითად სცვლიდა რუსთა მეფის მიერ წამოყენებული მოთხოვნა იმ პირობას, რომლითაც ალექსანდრე მეფეს რუსეთის მფარველობა სურდა. მაშინ ჩვენ თვალწინ მტრებისაგან ილაჯგაწყვეტილი მეფე იდგა, რომელსაც ხსნა რუსთა ხელმწიფის ძლიერი დახმარებისა და მის მიერ შამხალის ალაგმვის სახით ეოცნებოდა. ეხლა-კი თვით კახთა მეფეს უნდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ისეთს სამხედრო საქმეში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პოლი-ტიკურს დამპყრობელობითს ზრახვებს და მიზნების განხორციელებას ემსახუ-რებოდა, მთელს იმიერკავკასიას რუსეთს ჩაუგდებდა ხელში, თვით საქართვე-ლოს-კი, ისედაც მუდმივ ბრძოლით მოქანცულს და დასუსტებულს, ზედმეტს სისხლს დაალვრევინებდა. რას ემუდარებოდა ალექსანდრე მეფე და რა შესთა-ვაზა მას რუსეთის მთავრობამ...

მართალია, ამ სიგელშიც წინანდებურად რუსთა ხელმწიფე კახთა მეფეს თავის მხრივაც ჰპირდებოდა მტრებისაგან დაგიფარავო, მაგრამ აქაც თავდა-პირველ პირობასთან შედარებით თვალსაჩინო და საყურადღებო განსხვავებაა, ხოლო ერთ საკითხში არსებითი ცვლილებაც მოიპოვება. რუსთა მეფის ვალ-დებულების აღნუსხვა კახთა მეფის მოვალეობისას მისდევს და შემდეგი სიტყვებით იწყება: «აგრეთვე ვინგინდა შენი მტერთაგანი შენს წინააღმ-დეგ, მეფევ ალექსანდრე, ამხედრდეს და შენი ქვეყნის ივერიის ან ერის წინა-აღმდეგ გაილაშქროს, ჩვენს ასტარახანელსა და თერგელს სარდლებს ევალებათ შენ, მეფე ალექსანდრეს, მოგეშველონ და შენთან იყვნენ ყველა შენი მტრების წინააღმდეგ შენი და შენი ქვეყნის დასაცავად»-ო (იქვე).

მაშასადამე, აქ რუსეთი თავის მხრით მოვალეობას კისრულობს, თით-ქოს ამგვარივე, როგორც კახთა სამეფოსა და მის მბრძანებელსა აქვს დაკისრებული. ამგვარად, ორივე ხელშეკრულების დამდები მხარე ურთი-ერთისადმი სამაგიერო ვალდებულებას კისრულობს და ერთიმეორეს თანასწორი სამსახური უნდა გაუწიოს. ასეთი პირობების დადება მხოლოდ სამხედრო კავშირის დამყარებას მოასწავებდა კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის. მაგრამ მაშინ რა შუაში იყო ყოველწლიური ძღვენი, რომელიც რუსთა მთავრობის დაჟინებითი მოთხოვნით კახთა მეფეს უნდა ეხადა, ან რა უფლების ძალით შეეძლო რუსთ ხელმწიფეს ასეთს პირობებში ალექსანდრე მეფისათვის ყმად-

ნაფიცობა დაეკისრებინა, მისი სამფლობელო თავის სამეფო წოდებულებაში ჩაერთო და ქვეშევრდომობაზე დაეწყო ლაპარაკი?

ამის განმარტებას ჩვენ მხოლოდ მაშინ მივაგნებთ, თუ გავიხსენებთ, რომ ერთი მხრით პატარა, მრავალრიცხოვან მტრებთან ხანგრძლივი ბრძოლისაგან მოქანცული, კახთა სამეფო იდგა, მეორე მხრით დიდი და საკმაოდ ძლიერი რუსეთი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით და ადვილად აფართოებდა თავის საზღვრებს აღმოსავლეთისა და სამხრეთისაკენ. პატარა და შეწუხებულს ქართულს სახელმწიფოს, კახეთსა და მის მეფეს ალექსანდრეს, ერთმორწმუნე ძლიერი რუსეთის მხრით მეგობრულ-რაინდული უანგარო მფარველობით ზურგის გამაგრება ჰსურდა კარზე მომდგარ მაჰმადიან სახელმწიფოებსა და მაჰმადიან მეზობლებთან ბრძოლის დროს. ალექსანდრე მეფე ვითარცა „უსჯულოთაგან“ გაჭირვებული ქრისტიანე მართლმადიდებელი „უძლეველი“ ქრისტიანე მართლმადიდებელ დიდ მეფისაგან ხელის გამართვასა და მფარველობას თხოულობდა. მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს ამის მაგიერ მოსკოვში და მოსკოვითგან დაუწყეს პოლიტიკური შეთანხმების პირობების კარნახი; მფარველობა და დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კახთა მეფე ფიცის წიგნს ხელს მოაწერდა და რუსთა მეფის ყმადნაფიცი შეიქმნებოდა. როდესაც ალექსანდრე იძულებული იყო ეს პირობა მიეღო, და ამავე დროს გამოირკვა, რომ რუსეთს თავისი საზღვრების სამხრეთისაკენ წაწევა და არა ერთი და ორი ჩრდილოეთ კავკასიის ტომის მიწა-წყლის დაპატრონება შეეძლო, მაშინ რუსთა მეფემ და მთავრობამ როგორც ჩანს გადასწყვიტა, რომ ამ მიზნის განხორციელების გასაადვილებლად ქართველთა სამხედრო ძალის მიშველებასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

რუსმა პოლიტიკოსებმა აიღეს და, თუმცა ეს კახთა მეფის სურვილსა და თხოვნას სრულებით არ შეესაბამებოდა, მეფე ალექსანდრეს და მის საბრძანებელს რუსეთის ამ დამპყრობელობითი პოლიტიკისათვის მთელის ძალღონით სამსახური უცილობელ და უპირველეს მოვალეობად გაუხადეს.

მაგრამ ვალდებულების ტვირთის სიმძიმის მხრითაც ის პირობები, რომელთაც რუსთა მეფე თევდორე ივანეს ძე მეფე ალექსანდრესა და კახეთს უკარნახებდა, ორთავე მონაწილესთვის თანასწორი არ იყო: კახთა მეფეს იგი ავალებდა *პირადადაც თავის შვილებითა და ქვეყნის მთელი სამხედრო ძალღონით* რუსეთის პოლიტიკურ ზრახვათა და გეგმის განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას, *რუსეთის მხრით საქართველოს დასაცავად მხოლოდ თავის ორს, ასტრახანისა და თერგის სარდლებს აკისრებდა მიშველებას*. კახთა სამეფოს, რუსეთის დახმარებასთან შედარებით, ცხადია უდიდესი და აუტანელი სამხედრო-ბეგარა და მსხვერპლი უნდა ეკისრა რუსეთის განდიდებისა და გაფართოებისათვის. პირობების ამგვარ შებრუნებას ალექსანდრე მეფის ოცნებისათვის ფრთები სრულებით უნდა შეეკვეცა და ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო მოქმედების გადატანის მოლოდინის გამო საქართველოსთვის აურაცხელი და უსაშიშროესი განსაცდელის მომასწავებელი იყო.

რამდენად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო კახთა მეფისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში აქტიური პოლიტიკის წარმოება და მის მიერ აქაურ მთეულთა რუსთა ხელმწიფისათვის დამორჩილება, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ თვით ალექსანდრე მეფეს მათგან, მეტადრე-კი შამხალისაგან თავდასაცავად დროებით მაინც მოსკოვის სამეფოს ჯარი ესაჭიროებოდა. 1590 წ. რუსთა ელჩებს ალექსანდრე მეფემ უკან გამგზავრების წინ თურმე დაავალა, რომ მას პირობისამებრ სამხედრო დახმარება აღმოსჩენოდა და 100 მეთაური გამოეგზავნა მისთვის რუსეთის სარდალს ტუმენითგან. ალექსანდრე მეფეს უნდოდა ისინი იმ გზებზე, რომლითაც შამხალი საქართველოს დაეცემოდა ხოლმე, მთებში თუ ხეობაში რამდენიმე ადგილას ჩაეყენებინა გზის შესაკრავად. კახთა ბატონს, რასაკვირველია, მშვენივრად ესმოდა, რომ ასე მცირე ძალას არაფრის გაწყობა არ შეეძლო. მაგრამ სამაგიეროდ ის დიდად აფასებდა იმ მორალურ გავლენას, რომელსაც მეზობლებზე რუსთა ძლიერ და სახელგანთქმულ მეფის ქართველთა მფარველობის საქმითი, ხორცშესხმული გამოხატულება მოახდენდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ეს ამბავი საკმაოდ შეაშინებდა მათ და მათს თავაშვებულებასაც ალაგმავდა [1].

ალექსანდრე მეფეს ისედაც უკვე ჰყოლია მცირე რიცხვი თავისუფალი რუს ყაზახებისა, რომელნიც თერგითგან წამოსულან და ჯერ სვიმონ მეფესთან დამკვიდრებულან. ხოლო როდესაც მათ შეუტყვიათ რუს ხელმწიფის მეფე ალექსანდრეს მფარველობის ამბავი, კახეთში გადასულან სამსახურში. ალექსანდრეს ისინი ზაფხულში იმავე მიზნით შამხალისათვის კახეთისაკენ გზების შესაკრავად და საყარაულოდ მთებსა და ხეობებში ჩაუყენებია. მაგრამ დაზამთრდა თუ არა, კახთა ბატონს შესანახ ხარჯების შესამცირებლად, რაკი ზამთარში გზები ისედაც გაუვალი და შეკრული იყო და მათი დარაჯობა იმ დროს საჭირო არ იყო, რუსი ყაზახები აზნაურებს შორის უნდა გაენაწილებინა გამოსაკვებავად, მაგრამ რუსები აზნაურებთან არ მივიდნენ და ისევ თავიანთ ქვეყნელ დესპანებთან ირჩიეს გამოკვება. მათი რიცხვითგან მოსკოვის მთავრობის ელჩებმა ალექსანდრე მეფეს 25 კაცი დაუტოვეს [2].

## [რუსეთის მიერ ხარკის დადება კახეთზე]

რუსეთის ხელმწიფის მიერ კახთა მეფესთან დადებულ ხელშეკრულების პირვანდელ პირობების შეცვლა ხაზგასმით ემჩნევა ამ დამოკიდებულების გარევან გამოხატულებასაც. მეფე ალექსანდრეს რუსეთის მთავრობამ, როგორც ვიცით, მფარველობისა და დახმარებისათვის ყოველწლიურ მოსაკითხ ძღვენის, მოსაკითხის (поминки) გზავნა მოსთხოვა. თუმცა კახთა მეფე ყოველწლიურობაზე უარს ამბობდა და უკადრისობდა, მაგრამ რუსთა დესპანების გადაჭრილი მოთხოვნის გამო იძულებული გახდა დათანხმებულიყო და ამ პირობისთვისაც ხელი მოეწერა. პირველს ორს წელიწადს, 1587—1588 წ. და

---

[1] Посольство в Г. кн. С. Звенигордского 1589—90 г.: СРК I, 125.
[2] იქვე, I, 125—126.

1588—1589 წ., რუსეთის მთავრობა შეთანხმების ამ მუხლს იცავდა კიდეც და მათი მეფეცა და სხვა ხელისუფალნიც ყველა საბუთებში და სიტყვიერადაც მხოლოდ მოსაკითხ-ძღვენზე (поминки) ლაპარაკობენ [1].

1589—1590 წ.-ითგან მოყოლებული-კი წინანდელი სიტყვა მოსაკითხი-ძღვენი (поминки) ქრება და მის მაგიერ ერთბაშად ყოველწლიურ ხარკზე (дан ежегод) იწყება წერა და საუბარი. თევდორე ივანეს ძე თავად ზვენიგოროდსკის ხელით გაგზავნილს უკვე 1589 წ. აპრილში დაწერილს „წყალობის სიგელში“ მეფე ალექსანდრეს ატყობინებდა: «შენ, ივერიის მეფემ ალექსანდრემ, ჩვენ მეფობრივ უდიდებულესობას უნდა ყოველწლივ ხარკად გამოგვიგზავნო რაც რამე საუკეთესო ქსოვილი იშოვება შენს ქვეყანაში»-ო [2].

რუსეთის მეფის ელჩი ზვენიგოროდსკიც თავის მოხსენებაში თევდორე ივანეს ძეს ატყობინებდა, რომ მეფე ალექსანდრემ რუსი დესპანები შინ გაისტუმრა გრემითგან (от себя ис Крыму) და მათ თან გამოაყოლა რუსეთში შესასვლელად თავისი დესპანებიც სოლომონი და ხურშიტა *ხარკითურთ* [3].

თუმცა რუსეთის დესპანი თ˜დი ზვენიგოროდსკი კახეთში ამტკიცებდა, რომ რუსეთის ხელმწიფემ მეფე ალექსანდრეს მფარველობა და დაცვა თქვენი ხარკის გულისათვის არ იკისრა,—რას შეადგენს მისთვის 50 ყიზილბაშური და 10 ოქროქსოვილი ხალიჩა, როდესაც ჩვენს ბატონს არა აკლია-რა და ისეთი არაფერია, რაც ჩვენს ხელმწიფეს თავის საბრძანებელში არ მოეპოვებოდეს [4]. მაგრამ, როგორც ვიცით, რუსეთის მთავრობა ამ ხარკის შესახებ მაინც ხანგრძლივად ევაჭრებოდა კახთა მეფის დესპანებს და არაფრისთვის მის ამოშლაზე ფიცის წიგნითგან არ დათანხმდა.

## [რუსეთის პოლიტიკა ჩრდილო კავკასიის მიმართ]

მოსკოვის მთავრობას სამხრეთითგან სხვადასხვა მთავრისა და ტომის წარმომადგენელნი მისდიოდნენ, ერთიმეორეს უჩიოდნენ და ერთიმეორის წინააღმდეგ რუსეთს დახმარებასა სთხოვდნენ და უსისინებდნენ, რუსთა მეფეს ერთგულებასა და სამსახურს ჰპირდებოდნენ მისი მტრების წინააღმდეგ.

ამ გარემოებაში რუსთა ხელმწიფე თავისი სახელმწიფო საზღვრების სწრაფი გაფართოების საფუძველს ეძებდა. მფარველობის მაგიერ ყველასათვის ყმობა და ქვეშევრდომობა, მძევლებითა და საჩუქრებით მათი

---

[1] იხ. СРК, I, 24, 32—33, 56, 62.

[2] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК, I. 88: «Да и *дан* тебе. Иворскому Александру царю, к нашему царскому величеству *присылати ежегод*, что ся у тебя лучит в твоей земле которое узорочье».

[3] СРК I, 122: «отпустил к тебе ко государю Олександро царь... *з данью* послов своих Сулимана да Хуршита».

[4] 1589—90 წ. Посольство в Г. кн. С. Звениг.: СРК I, 167.

ერთგულების მომტკიცება შეადგენდა მოსკოველი დიპლომატების პოლიტიკას. ამ მაძიებელ ტომებსა და მთავრებს გულუბრყვილოდ იმედი ჰქონდათ და ეგონათ, რომ რუსეთი მათს საკუთარს საქმეს მხურვალედ ხელს მოჰკიდებდა და გააკეთებდა. რუს პოლიტიკოსთა მიზანი იყო მათივე სამსახურისა და სიცოცხლის გამოყენებით თავისი საკუთარი საქმის დიდი და ფართო დამპყრობელობითი ალღოსი და მადის დაკმაყოფილება. მათ იმედი ებადებოდათ, რომ ამ ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთშორის მოქიშპე ტომთა შემომტკიცებული ძალით რუსეთი არამცთუ ყირიმის ხანისა და ოსმალეთის სულტანის იერიშებს შეიკავებდა, არამედ თითონაც-კი შეტევის დროს საუკეთესოდ გამოიყენებდა. ამიტომ მოსკოვის მთავრობა გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, რომ ოსმალეთს და სპარსეთს ისინი თავისაკენ არ მიემხრო. ერანზე უფრო საშიში ამ მხრივ, რასაკვირველია, ოსმალეთი იყო, რომელიც რუსეთზე უფრო ახლოც იყო, სპარსეთზედ გაცილებით უფრო ძლიერადაც ითვლებოდა, თანაც ამ დროს დიდს მხნეობასა და გამზიდაობას იჩენდა საერთაშორისო და სამხედრო ასპარეზზე.

იმის წყალობით, რომ რუსეთის პოლიტიკოსები თავიანთ იდუმალ ზრახვას ხეირიანად ვერა მალავდნენ და ოსმალეთ-ყირიმისათვისაც და თვით იმიერკავკასიელ ტომთათვისაც მათი გულის ნადები ცხადი შეიქმნა, თუ ოსმალეთის მოქადაგეებისა და მოდამქაშეების უფრო მოხერხებული მოღვაწეობისა და ერთმორწმუნეობის წყალობით, რუსეთს არა ერთხელ გასცრუებია იმედი და ვინც უფრო ერთგული ეგონა სწორედ ის ჩამოჰშორებია.

ეხლაც ისევე მოხდა. მოსკოვის მთავრობას თავის უერთგულეს ყმად და მოკავშირედ ყაბარდო-ჩერქეზთა მთავარი ს ო ლ ო ხ ი და ა ლ კ ა ს ი მიაჩნდა. მათი დახმარებით რუსებს ურჩი შამხალის დამორჩილება და დასჯა სურდათ. ოსმალეთისა და ყირიმის საწინააღმდეგო ბრძოლაშიაც ისინი თავიანთ უთუო მომხრეებად ეგულებოდათ. მაგრამ საკმარისი იყო 1589 წ. საქართველოში გაგზავნილი რუსთა დესპანები ზვენიგოროდსკი და მისი ამხანაგები თერგის ქალაქში მოსულიყვნენ, რომ შეეტყოთ: ჩერქეზთა მთავრები სოლოხი და ალკასი თურმე შამხალთან დამეგობრებული იყვნენ და ოსმალეთის სულტანთან და ყირიმის ხანთანაც კავშირი დაუჭერიათ[1]. ოსმალეთს თურმე ყირიმის ბატონიშვილი მიუგზავნია მათთვის და საჩუქრებიც უწყალობებია, პირობაც დაუდვიათ, რომ სოლოხი და ალკასი შამხალთან ერთად ოსმალეთსა და ყირიმს ერთგულად გაუწევდნენ სამსახურს. ორთავეს თანხმობაც განუცხადებიათ და საჩუქრებიც მიუღიათ[2]. ამიტომ გასაკვირველი არა იყო-რა, როდესაც რუსეთის მთავრობის სრული იმედისდა მიუხედავად არც სოლოხი და არც ალკასი არც პირადად გამოცხადდნენ და არც მძევლები გამოგზავნეს თერგის ქალაქში[3].

---

[1] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК I, 128.
[2] იქვე, I, 130, 136, 137.
[3] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК I, 128.

## [ალექსანდრე მეფის ერთგულება რუსეთისადმი]

ალექსანდრე მეფე, ვითარცა გამოცდილი ქვეყნის მმართველი, რუსთა მეფის ცარიელ სიტყვებს დახმარების და მფარველობის შესახებ სრულ სინამდვილედ და ხალას ოქროდ ვერ მიიჩნევდა. ამიტომ მან თავისი მოხელეების პირით რუს დესპანებს შეუთვალა, როგორც თქვენი ხელმწიფის სიგელშიც სწერია, მაცნობეთ როგორ ფიქრობს თქვენი ბატონი თავის დაპირების ასრულებას და მტრებისაგან დაცვასო. როდესაც მოხელეებმა მეფე ალექსანდრეს პასუხი მიუტანეს, რომ მას უნდა რუსთა ხელმწიფის ურჩნი მთეულნი რუსეთისათვის დაემორჩილებინა, მას მოხსენებული ამბავი არაფრად ესიამოვნა. მან უკმაყოფილებით შეუთვალა: წინათ ყველა აქაურ ქვეყნებში ქრისტიანობა იყო, ეხლა-კი ყველაფერი ოსმალეთის სულტანმა დაიპყრო და ქრისტიანენი იქ მეტად შევიწროებულნი არიან მაჰმადიანებისაგან. მთელი საქართველოთგან მხოლოდ ეს ჩემი პატარა სამეფო გადაურჩა მათ და ქრისტიანობაზე მტკიცედა დგას. თქვენს მეფეს დახმარება და მფარველობა ვთხოვე უსჯულოთაგან, ერთგულების ფიციც მივეცი. ეხლა ამისრულოს სწორედ ის სათხოვარი, რისთვისაც მივმართე: ჩემი დაუცხრომელი მტერი და ჩემი სამეფოს სანაპიროების დამაწიოკებელი ალაგმოს და მის ქურდული და ავაზაკური თავდასხმისაგან დამიცვას და გზა გაწმინდოსო. ჩემთვის ოსმალეთი ისე საშიში და შემაწუხებელი არ არის, როგორც შამხალიო[1].

რუსეთთან პოლიტიკურ კავშირის დამყარებას და რუსთა მეფისთვის ყმადნაფიცობისა და ერთგულების წიგნის მიცემას კახთა მეფის ალექსანდრესი და კახეთისათვის არამცთუ პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არაფერი სარგებლობა არ მოუტანია, ჩვენს ერსა და ქვეყანას არამცთუ არავითარი დახმარება არ უნახავს, არამედ უფრო მეტი ვნება მოუტანა საქართველოს და უფრო მეტს განსაცდელსა და გასაჭირში ჩააგდო ჩვენი ხალხი. სიტყვიერად და დაპირებით რუსეთის მთავრობა და მისი დესპანები ყოველგვარს დახმარებასა და მფარველობას ჰპირდებოდნენ კახთა მეფეს, საქმით-კი სრულებით არა კეთდებოდა-რა.

როგორც ეტყობა, რუს დესპანების სიტყვებს მათი ხელმწიფის აღმატებული სიძლიერისა და სახელგანთქმულობის შესახებ გავლენა მოუხდენია კახთა მეფეზე. ალექსანდრე იმდენად დარწმუნებულა, რომ რუსეთის მფარველობა საქართველოს გარეშე მტრისაგან უზრუნველყოფდა, რომ როცა 1588 წ. 25 აპრილს მასთან ოსმალეთის ელჩი მოვიდა და დარუბანდ-ბაქოში მყოფ ოსმალთა ჯარისათვის სურსათის მის ქვეყანაზე გატარების ნებართვაცა და თვით სურსათითაც დახმარება სთხოვა, ელჩს თურმე უარი უთხრა. რუს ელჩთა სიტყვით მეფე ალექსანდრეს მათთვის მიუგია: არც სურსათს მოგცემთ და არც თქვენსას გაგატარებინებთო. მე ეხლა რუსთ ხელმწიფის ყმადნაფიცი ვარ და თურქებს არას დაგიდევთო. ოსმალეთის ელჩს თურმე

[1] იქვე, I, 163.

უპასუხნია, ნუ გავიწყდება, რომ, თუ სურსათის გატარებას დაგვიშლი, შენი სამფლობელო ჩვენი მბრძანებელი სულტანის სახელმწიფოს მახლობლად მდებარეობს და სამაგიეროს გადაგიხდის და მაშინ შენ მოსკოვის მეფე ვერას გიშველისო. დესპანების თქმით, რუსთა ხელმწიფის ძლიერი დახმარების იმედებით მოჯადოებული ალექსანდრე მეფე ვერც ამ სიტყვებს გამოუფხიზლებია და უთქვამს: მას ჯარი ბლომადა ჰყავს, და ვითარცა ქრისტიანე მეფე, ის ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებსო[1].

ოსმალები მაინც თავისას არ იშლიდნენ და უფრო მეტის სითამამით ემუქრებოდნენ საქართველოს. ოსმალეთის სულტანი სწორედ იმაზე იყო განრისხებული, რომ კახთა მეფემ რუსეთს მიჰმართა მფარველობისათვის, რომელიც მისი მტერი იყო და მას ებრძოდა. ალექსანდრე მეფემ რუს დესპანებს შეატყობინა, რომ სულტანისაგან 1589 წ. მრისხანე ეპისტოლე მოუვიდა, რომელშიაც ის პირდაპირ ემუქრებოდა: ზაფხულში შენს წინააღმდეგ ლაშქარს გამოვგზავნი და ზოგი მაშინ ვნახოთო[2].

## [საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთთან კავშირის გამო]

რუსეთთან კავშირის დაჭერამ კახთა მეფე ალექსანდრე უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო იმიტომ, რომ ყველა არაქრისტიანე მეზობლები ამის გამო საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა და მოსკოვის სიძულვილმა ჩრდილოეთ კავკასიის მთეულნი გააერთიანა[3].

საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ალექსანდრე მეფე რუს დესპანებს 1589—1590 წ. ეუბნებოდა: წინათ საქართველო ყიზილბაშთა სახელმწიფოსთან, ანუ სპარსეთთან იყო დაკავშირებული და სპარსეთთან ერთად ოსმალეთისა და სხვების წინააღმდეგ მოქმედებდა. მაგრამ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლისათვის ჩვენს ქვეყნებში ოსმალეთი გაძლიერდა, სპარსეთსა და ჩემს სიძეს სვიმონს ბევრი ციხე-ქალაქები წაართვა და ჩემ სამეფოსაც ხარკი დაადვა. ეხლა-კი სპარსეთის შაჰი თავის ელჩებს მიგზავნის და მთხოვს, რომ მასთან ვიყო ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ. ამავე დროს

---

[1] ბელოკუროვი, СРК I, 44—45.

[2] СРК I, 169: «Турской царь гневаетца на меня, что яз бил челом великому государю».

[3] «Говорил де ему Шевкавлов внук... „государь де ваш Олександро царь был вместе с Шавкалом и с Солохом и с Алкасом под Турского царя рукою, а ныне бил челом Московскому государю, чтоб государь Московской нас воевал и привел в крестьянскую веру, и доколе его государь Московской оборонит, а в ту пору Шевкал с Солохом и с Алкасом и с Турского людми, пришед в Олександрову землю, на сей весне в здеме город поставят"»: СРК I, 184.

ოსმალეთის სულტანიც დიდს მუქარას მითვლის, ამ ზაფხულსვე თავისი ლაშქრის ჩემს წინააღმდეგ გამოგზავნა უნდა და ჩემს ქვეყანაში ციხეების აგება სურს იმიტომ, რომ მას გადვუდექი და რუსთა ხელმწიფეს მფარველობა ვთხოვე. ეხლაც ოსმალეთის ელჩი ჩემთან ცხოვრობს და წრევანდელ წლის ხარკსა მთხოვს. მე დღეს-დღეობით მოლაპარაკებას ვაგრძელებ იმ იმედით, რომ შამხალის წინააღმდეგ რუსთა მეფის ჯარი გამოჩნდება. მაგრამ ეხლავე ამავე ზამთარს იქმნება რამე-კი? შამხალი-კი მემუქრება, რომ ის თავის მხრით ამავე ზაფხულს ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრებს. ასეთს მდგომარეობაში არ ვიცი რა ვქმნა და როგორ მოვიქცე. მეოთხე წელიწადია კიდეც, რაც თქვენმა ხელმწიფემ ჩემი მფარველობა იკისრა, მაგრამ ჯერაც მისი ლაშქარი არ მინახავსო [1].

კახთა მეფეს ალექსანდრეს, რაკი სულ მოკლე ხანში მაჰმადიან მეზობლებისაგან განსაცდელი მოელოდა, საჩქაროდ სჭირდებოდა დახმარება. ამიტომ ის მოუთმენლად ეკითხებოდა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებს, როდის ეღირსებოდა აღთქმულს დახმარებას რუსთა მიერ შამხალის ალაგმის სახით მაინც, ის მრავალჯერ სთხოვდა და ემუდარებოდა კიდეც თავის „მფარველს", რომ დანაპირი აესრულებინა და უკვე 1589 წ. ზამთარშივე, სანამ ოსმალეთი და შამხალი კახეთის სამეფოს წინააღმდეგ თუმცა სხვადასხვა მხრით, მაგრამ მაინც შეერთებულს სამხედრო მოქმედებას დაიწყებდნენ, შამხალისათვის თავხედობა დაეშლევინებინა. გარკვეული და გადაჭრილი წართქმითისა ან უკუთქმითი პასუხის მაგიერ რუსეთის მთავრობა და მისი წარმომადგენელი თავმომაბეზრებელი ერთფეროვნებით იმეორებდნენ თავიანთ ცარიელს დაპირებას, და დღესხვალიეობით ტყუილად აჭიანურებდნენ საქმეს და თავმომწონეობით ქართველებსართობდნენ მომჯადოებელი და გამაბრუებელი მოთხრობებით იმის შესახებ, რომ მთელი დასავლეთი, რომის კეისარი და პაპი, ესპანიის მეფე, მთელი იტალია და ვენეტიკის მთავარი, თვით სპარსეთის შაჰიც-კი რუსთ ხელმწიფეს მეგობრობას ეხვეწებიან და მათს მეფეს ევროპიელებთან ერთად ოსმალეთის სრული დამხობა ჰსურსო. მაშ რაკი საქმე ასე ეწყობა, ალექსანდრე მეფეს და ქართველებს რის ფიქრი აქვს და რატომ-ღა ეშინიანო [2].

## შამხალის მიმართვა ოსმალეთისადმი

შამხალმა რომ ალექსანდრე კახთა მეფის რუსეთის მეფესთან მოლაპარაკების ამბავი შეიტყო და დანამდვილებით გაიგო, რომ კახთ ბატონს რუსთ ხელმწიფის მის წინააღმდეგ ამხედრება სურდა, კარგად იგრძნო რაც მოელოდა. ხოლო როდესაც რუსეთის ჯარმა ქ. ტუმენითგან მისი შევიწროება დაიწყო და მდ. კოისუზე ციხე-ქალაქის დადგმა დააპირა, მაშინვე შამხალმა მთელი საქმის გარემოება ოსმალეთის მთავრობას აცნობა და სწრაფი დახმარება სთხოვა. თავის ეპისტოლეში შამხალი შემდეგსა სწერდა სულტანს:

[1] СРК I, 173—174.
[2] იქვე, 174—75.

კახთა მეფე ალექსანდრემ, რომელიც წინათ ოსმალეთს ემხრობოდა, ეხლა მოსკოვის მეფის მფარველობა ირჩია და ხელთქვეშეთობა იკისრა იმ მიზნით, რომ ჩემი თავი აქეთგან განედევნინებინა, ხალხი-კი გაექრისტიანებინა. უკვე ამჟამად რუსებმა ისე შემავიწროვეს, რომ ჩემს ქვეყანაში ციხე ააგეს და კოისუს წყალიც წამართვეს, ამ ზაფხულს ხომ აშტარხანით და ქ. ტუმენითგან ჩემდა სამტროდ რუსთა ჯარის გამოლაშქრების მომლოდინე ვარ. თავის მხრით ალექსანდრეც ომს მიპირებს. შენ ხარ მაჰმადიანთა ერთადერთი იმედი ქრისტიანების საწინააღმდეგო ბრძოლის დროს, მოიღე ჩემზე მოწყალება, გამომექომაგე ისლამის გულისათვის და, სანამ რუსთა ჯარი ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრებდეს, ამავე ზაფხულში მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოგზავნე ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ მისი სამეფოს გასანადგურებლად და ხალხის გასამაჰმადიანებლად. თუ არ დამეხმარე, რუსთა ჯარიც ჩემზე ამხედრდება, მეფე ალექსანდრეც თავის მხრით ჩემს წინააღმდეგ გამოილაშქრებს, შუაში მომაწყვდევენ, ქვეყანას ამოიხრებენ, ხალხს ამომიჟლეტენ და გააქრისტიანებენ. შენს გარდა ვის დაედება ეს ცოდვა, ვინ იქმნება ამოდენა უმანკო სულის დაღუპვის პასუხისმგებელი? ხოლო ჩემს მიწა-წყალს ხელში ჩაიგდებენ თუ არა, მაშინ შენს ხელში მყოფი დარუბანდი, შამახია, შირვანი, განჯა და სხვა ქალაქები, რომელიც-კი სპარსეთის შაჰსა და ალექსანლრე მეფის სიძეს სვიმონს წაართვი, განა შეგრჩება-ღა? ყველა ეს ადგილები მოსკოვის ხელმწიფეს ჩაუვარდება ხელში და მაჰმადიანებს იქ ამოსწყვეტენ. ამ ქვეყნების დაპყრობის შემდეგ რუსთა მეფის ჯარი სპარსეთის შაჰის ყიზილბაშთა ლაშქარსა და ქართლ-კახეთის სამხედრო ძალას შეუერთდება და მაშინ ამ შეერთებულს მხედრობას შენ სტამბოლამდის ვერ შეაჩერებ. ამას რომ შეიტყობენ, ახლა ფრანგები და ესპანიის მეფე თავის მხრით მოგადგებიან. ასეთს პირობებში განა სტამბოლში-კი შესძლებ გამაგრებას? ვაი თუ გძლიონ, მაჰმადიანთა გაქრისტიანება მოითხოვონ და ასე წახდეს ჩვენი სარწმუნოების საქმე [1].

## [შამხალის და ალექსანდრე მეფის მოლაპარაკება]

ამ საჩივარსა და ვედრებას რომ ოსმალეთის სულტანს უგზავნიდა, ამავე დროს თვალების ასახვევად და დროს მოსაგებად შამხალმა მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლებთანაც მშვიდობიანი და დათმობის პანგებზე ჩამოაგდო მოლაპარაკება, მეფე ალექსანდრესაც მოციქული გამოუგზავნა და შემოუთვალა: წინათ მე და შენ ერთი პირი გვქონდა შეკრული და ორთავენი ოსმალეთს ვემხრობოდით და მტრებს საერთოდ ვუმკლავდებოდით. ეხლა-კი შენ მოსკოვის მეფის მფარველობისათვის მიგიმართავს და მასაც თავისი დასტური მოუცია. ამის შესახებ შენ შემომითვალე, რომ რუსთა მეფეს იმიტომ მიემხრე, რომ მისი დახმარებით დარუბანდის ოსმალთა ხელითგან გამოგლეჯა გინდოდა. ეხლა-კი, როგორც შევიტყე, რუსებს თურმე დარუბანდისა-კი არა ჩემს წინააღმდეგ ამხედრებ. მოსკოვის ხელმწიფის ჯარისკაცებმა

---

[1] 1589—90 წ. ზვენიგოროდსკის დესპან.: СРК I, 202—203.

ჩემ შეწუხებას მიჰყვეს ხელი. კოისუს წყლის წართმევა და ჩემს ქვეყანაში თავიანთ ციხე-ქალაქის აგება სურთ. მოდი და წინანდებურად ისევ დავმეგობრდეთ და შევერთდეთ. გავიგე, რომ ჩემს ძმას ყირიმ-შამხალს შენი შვილი გიორგისათვის საცოლოდ ქალი სთხოვე. მე ჩემს ასულსაცა და იმ ჩემს ძმისწულსაც გამოგიგზავნი და რომელიც მოგეწონოს შენს შვილს გიორგის საცოლოდ აურჩიე. მეორე სპარსეთში მყოფ შენს მეორე შვილს გაუგზავნე. ამიერითგან ასე ურთიერთის ერთგულად ვიყვნეთ და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიერთმანეთს მივეშველნეთო.

როდესაც ალექსანდრე მეფეს შამხალის ეს დანაბარები მისმა ელჩმა მოახსენა, კახთ ბატონმა უკვე იცოდა, თუ რას სწერდა იგივე შამხალი ოსმალეთის სულტანს და ამიტომ კარგად იცოდა, რომ ყველაფერი ეს მის მოსატყუებლადა და დროს მოსაგებლად იყო შეთხზული [1].

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ასეთი სიტყვებით, რასაკვირველია, ალექსანდრე მეფეს რუსეთის დესპანები თვალებს ვერ აუხვევდნენ. ის კარგად ხედავდა, რამდენად შემცდარი იყო, როდესაც თავის იმედს რუსთა მსწრაფ დახმარებაზე ამყარებდა. ის გრძნობდა და თანდათან ცხადად რწმუნდებოდა, რომ მისი ქვეყნის მდგომარეობა რუსებთან კავშირის დაჭერის შემდგომ გაუმჯობესების მაგიერ უფრო და უფრო უარესდებოდა. შამხალის კაცები წინათაც თავს ესხმოდნენ ხოლმე ქურდულად ჩემი ქვეყნის სანაპიროებს, მაგრამ ზოგიერთ მათგანთან მეგობრული დამოკიდებულება მქონდა; ზოგს საჩუქარით, ზოგს ხმლით ვიგერიებდიო. როდესაც რუსთა ხელმწიფეს მფარველობა და შამხალისაგან დაცვა ვთხოვე, ჩემი თხოვნის დასტურიც მივიღე, ამის იმედით მეც წინანდებურად აღარ ვფრთხილობდი. იქ-კი შამხალის ქვეყანაში ბალღებმაც-კი იციანო, გაბოროტებული გულით ეუბნებოდა რუს დესპანებს ალექსანდრე მეფე, რომ უკვე მეხუთე წელიწადია, რაც მე რუსთა მეფეს მფარველობა ვთხოვე, მაგრამ ჯერაც რუსთა ჯარს მის წინააღმდეგ არ გაულაშქრიაო. ამით გათამამებულმა შამხალმა ჩემი ქვეყნის თავდასხმასა და ტყვეობას წინანდელზე უფრო მეტად მოუხშირა და მე ყოველგვარი იმედი გადაწყვეტილი მაქვსო [2].

## [მეზარბაზნე ოსტატების საკითხი]

რუსეთის მთავრობას ალექსანდრე მეფის თხოვნისათვის მეზარბაზნე ოსტატის საქართველოში გამოგზავნის შესახებ ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. გარეგნულად რუსთა მეფემ საქმე ისე მოაჩვენა, თითქოს ამ თხოვნის დაკმაყოფილება საშური არ ყოფილიყოს: ამ ოსტატს შემდეგში გამოგიგზავნით, როცა საქართველოსაკენ გზა მტრისაგან გაიწმინდება და უზრუნველყოფილი იქმნებაო [3]. მაგრამ რომ ეს მხოლოდ დიპლომატური ენა-

[1] 1589—90 წ. ზვენიგოროდსკის დესპან.: СРК I, 202.

[2] СРК I, 200.

[3] «Царь... Федор Иванович... посылает к Олександру царю... послов своих и учительных людей и кречеты и пансыр, посылает и их отпускает вскоре, а мастера пушечного вперед пришлет, как дорогу очистят»: Посольство из Г. кн. Каплана: СРК I, 57.

მოქარგულობა იყო და განგებ შეთხზული ნომიზეზება, ისიც ამტკიცებს, რომ გზის მაშინდელი მდგომარეობა რუსთა მეფეს და მთავრობას თავის დესპანებისა და მქადაგებლების გაგზავნას საქართველოში არ უშლიდა. რაღა სწორედ ამ საქართველოსათვის ყველაზე უფრო საჭირო კაცის, მეზარბაზნე ოსტატისათვის შეიქმნა ეს გზა ისე სახიფათო, რომ მისი გაგზავნა შეუძლებელი გახდა?

ამავე გარემოების მომიზეზებით სხვა ხელოსან-ოსტატების გაგზავნაც საქართველოში სხვა, ვითომც უფრო მარჯვე დროისათვის იყო გადადებული [1].

მეზარბაზნე ოსტატების საქართველოში გაუგზავნელობის ნამდვილი მიზეზი გზების მტრისაგან გაუწმენდელობა და საშიშროება არ ყოფილა და რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში ცრუ მოსაზრებით ცდილობდა თავისი იდუმალი აზრისა და გრძნობის დაფარვას. ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. 1589 წ. რომ რუსთა ელჩები თ˜დ ზ ვ ე ნ ი გ ო რ ო დ ს კ ი ს მეთაურობით კახთა სამეფოში მივიდნენ და მეფე ალექსანდრემ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თავის დესპანებსაცა და რუსთა დესპანებსაც ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატების ჩამოყვანის, თუ ჩამოუყვანლობის ამბავი ჰკითხა და ყაფლანმა თავის მბრძანებელს მეფე ალექსანდრეს მოახსენა, რომ მან მისი დავალება აასრულა და რუსთ ხელმწიფეს სთხოვა, თ. ზვენიგოროდსკიმ რუსეთის მთავარმა დესპანმა ტყუილიც-კი არ იუკადრისა და ყველაფერი ქართველ დესპანს თ˜დს ყაფლანს გადააპრალა: მას რომ ჩვენი მეფისათვის ეგ თქვენი სურვილი მოეხსენებინა, რატომაც არ გამოგზავნიდა თქვენთან წამოსაყვანად მეზარბაზნე ოსტატებსაო [2]. ამგვარად — რუსმა ელჩებმა დამნაშავედ ქართველი დესპანები გამოიყვანეს, თუმცა როგორც დავრწმუნდით, თვით რუსულ ოფიციალურ საბუთებითაც მტკიცდება, რომ ქართველ წარმომადგენლებს თავიანთი მეფის მონდობილობა მართლაც პირნათლად აუსრულებიათ და რუსეთის ხელმწიფისათვის მოუხსენებიათ. მაგრამ რუსეთის მთავრობას ამ თხოვნის დაკმაყოფილება არ სურდა და ზემომოყვანილი მოსაზრების მომიზეზებით საქმის გადადება და ჩაფუჩეჩება მოიბოდიშა. ცხადია, ეს გამოგონილი მიზეზი და საბუთი იმდენად სუსტი იყო, რომ მისი გამეორება საქართველოში შეუძლებლად მიიჩნიეს.

## [ᲠᲣᲡᲘ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ]

შესდგეს თუ არა ფეხი რუსმა სამღვდელო პირებმა კახეთში, მაშინვე ქართველებსა და რუსებს შორის სრული გაუგებრობა და უსიამოვნებაც-კი ჩამოვარდა. თავიანთ სამშობლოში მწვალებლობას მიჩვეულნი ისინი ქართული საეკლესიო მღვდელმსახურების ყოველს თავისებურებასა და წვრილმან განსხვავებასაც-კი ეჭვის თვალით უყურებდნენ და ცოდვად და მწვალებლობად

---

[1] იქვე, СРК I, 57: «а о мастерех вперед государь указ свой учинит, очистя дорогу».

[2] Посольство в Г. кн. С. Звенигородского: СРК I, 158.

მიაჩნდათ. ცხოველი სასოებისა და რწმენის დაკვირვებისა და გამხნევების მაგიერ რუს მოძღვრებს, გარეგნულობას გარდა, არაფრისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ და კახეთზე სიყვარულისა და მშვიდობიანობის დამყარების მაგიერ თავიანთ მედიდური და მძულვარებით გამსჭვალული ქცევით ყველგან უსიამოვნო გრძნობა დასტოვეს. ქართველები, სადაც-კი რუსი მოძღვრები მივიდოდნენ, სიხარულით უხვდებოდნენ ვითარცა თანამორწმუნეებს, რომელთაც მათი დახმარება სურთ „უსჯულოთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში, თავიანთ ტაძრებში შეჰყავდათ და სთხოვდნენ რომ ეწირათ. მაგრამ რუსი სამღვდელო პირები, როგორც კარგი გამომძიებელნი და მეძებარნი, იმ წამსვე ეკლესიების ჩხრეკას შეუდგებოდნენ ხოლმე და წირვაზე უარს ამბობდნენ, საკურთხეველს სხვანაირი სამოსელი უნდა ჰქონდესო, სახარების ყდას და ბარძიმს ესა და ეს სახე აკლია და გამოყვანილი არ არის, უნდა ეკლესიები ხელახლად ვაკურთხოთო. იმ დროს კახეთში ერთი ბერძენი ბერი ყოფილა ათონის ქართველთა პორტაიტის მონასტრითგან, არქიმანდრიტი ათანასე, და იმას თავმობეზრებულს თურმე რუს მოძღვრებისათვის განუცხადებია: ამაზე მეტი საეკლესიო სამკაული არც ჩვენ ვიცით წ͠ა ათონის მთაზეო. თქვენ-კი როგორც გენებოთ, გინდ სწირეთ წირვა, გინდ ნუო, — მეფე ალექსანდრე-კი ეკლესიის ხელახლად კურთხევის ნებას არ მოგცემთო[1].

თუმცა რუსი დესპანები და რუსული ოფიციალური წერილობითი წყაროები ამტკიცებენ, რომ მეფე ალექსანდრემ რუსეთის მეფეს სამხედრო დახმარებასთან ერთად მოძღვრების გამოგზავნა სთხოვა კახეთში სარწმუნოების განმტკიცებისა და შესწორებისათვისაო, მაგრამ უცნაური ის არის, რომ როდესაც ელჩებს რუსი მოძღვრებიც თან ჩამოჰყვნენ და წარუდგნენ, ალექსანდრე მეფემ თურმე მათ შესახებ ორიოდე დღის შემდგომ თავისი მოხელეების პირით ჰკითხა, მაცნობეთ ესენი-ლა რისთვის არიან გამოგზავნილნიო? სწორედ რომ განმაცვიფრებელია ეს კითხვა და უნდა ვიფიქროთ, რომ ან კახთა მეფის თხოვნა რუსეთის მთავრობამ სწორად ვერ გაიგო და ის, რაც ალექსანდრე მეფემ იქნებ რუსეთთან დიპლომატურ ფანდად იხმარა და სარწმუნოების შერყევაზე გოდებით მხოლოდ რუსთა მეფის გულის მონადირება სურდა და იმ საშუალებით სამხედრო დახმარების უფრო მეტი იმედი ჰქონოდა, რუსებმა-კი ეს სრულ სინამდვილედ მიიჩნიეს და მღვდელ-მონაზონები გამოგზავნეს კახეთში, — თუ ეს ასეც იყო, მაშინ ადვილი, წარმოსადგენია რა ელდა ეცემოდა და რა გუნებაზე უნდა დამდგარიყო სამხედრო ძალისა და დახმარების მომლოდინე კახთ ბატონი, ჯარისკაცების მაგიერ რუს სამღვდელო პირებს რომ დაინახავდა და სწორედ მის ასეთი უკმაყოფილების გამომხატველი უნდა ყოფილიყო მისი კითხვა, ეს სამღვდელოება რისთვისლა არის გამოგზავნილი და ჩამოსულიო? ან შესაძლებელია ახალმა „მოძღვრებმა“ თავიანთ მძულვარე კილოთი და შეუფერებელი მედიდური ქცევითა და მოქმედებით იმდენად მოაბეზრეს თავი მეფე ალექსანდრეს, რომ ის რუსეთის დესპანებს შეეკითხა, გამაგებინეთ, ეგ მღვდლები და მოწესენი რა მონდომებილობით არიან წამოყვანილი?

---

[1] Посольство в Г. кн. С. Звенигородского 1589—90 г.: СРК I, 123—124.

## [დასავლეთ ევროპასთან კავშირის დაჭერის ცდა ალექსანდრეს მიერ]

იმ დროს, როდესაც კახთა მეფე ალექსადრეს რუსეთის მთავრობასა და მის დესპანებთან შამხალის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების შესახებ დაუსრულებელი მოლაპარაკება ჰქონდა და მათ მსწრაფს მოშველებას ეხვეწებოდა, დასავლეთითგან მას საგანგებო გაგზავნილი კაცი მოუვიდა, რომელსაც კახთ ბატონისაგან იქაურ პოლიტიკური ამბების შეტყობა ჰქონდა მინდობილი.

ეს 1590 წ. დამდეგს უნდა მომხდარიყო. ეს ალექსანდრე მეფის სანდოპირი, სომეხი სოვდაგარი, რომში ყოფნის დროს პაპთან ყოფილა, რომელსაც გამოუკითხავს მისი სადაურობა და თანაც საყვედური უთქვამს, რომ კახთა ბატონს ალექსანდრეს, ქრისტიანე მეფეს, მისთვის არც დესპანი და არც ეპისტოლე არ გამოუგზავნია. პაპს ალექსანდრე მეფის ამ მესაიდუმლე კაცისათვის დაუვალებია, რომ ის ალექსანდრე მეფესთან დაბრუნებულიყო და მის, პაპის, მაგიერ სიტყვიერად მოეხსენებინა, რომ კახთ ბატონს პაპისათვის ან თავისი დესპანი გამოეგზავნა ეპისტოლიანად, ან მაინცდამაინც პირადად მისთვის გამოეტანებინა ეპისტოლე. დავალებული საქმის ასრულების სრული სირწმუნისათვის რომის პაპს ალექსანდრე მეფის სოვდაგრის ქონება დაუტოვებია თავისთან საწინდრად: როდესაც უკან დაბრუნდები და მეფის ეპისტოლეს ჩამომიტან, ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებო. ამას მე სიტყვიერად იმიტომ გაბარებ, რომ გზად ოსმალეთზე უნდა გაიარო და თურქების შიშით ალექსანდრე მეფესთან ეპისტოლის გაგზავნა შეუძლებელიაო. უკან დაბრუნებაც რომის პაპს მისთვის ოსმალეთის გზით არ უბრძანებია, არამედ მოსკოვის მეფის სამფლობელოზე. ალექსანდრე მეფის მოციქულმა რომითგან ახალ ამბავად ჩამოიტანა, რომ ესპანიის მეფემ ინგლისისა და... (Англискую землю да Печенскую) წინააღმდეგ გაილაშქრა და შეიერთა. ოსმალეთში გაგზავნილს ალექსანდრე მეფის დესპანს-კი თავის მხრით სტამბოლითგან ჩამოსვლისას კახთ ბატონისათვის უამბია, რომ წარსულს ზაფხულს ესპანიის მეფისა და საფრანგეთის ჯარმა თურქებზე გამოილაშქრა და 5000-მდე თურქთა კატარღა მოსპო და დაატყვევა[1].

ამ ევროპითგან მოტანილმა ახალმა ამბებმა ალექსანდრე მეფის პოლიტიკური თვალთახედვის ასპარეზი გააფართოვეს, უნებლიეთ ყურადღება მიიპყრეს და გამოსავლის იმედიც გაუღვიძეს. მან იგრძნო, რომ რუსეთს გარდა სხვაგანაც შეიძლებოდა ხმის მიწვდენა და მოლაპარაკების დაწყება. მეფე ალექსანდრემ მაშინვე გადაწყვიტა რომის პაპთანაც, ესპანიის მეფესთანაც და რომის კეისართანაც ამ სოვდაგრის თანხლებით თავისი დესპანის გაგზავნა ეპისტოლეებითურთ[2].

---

[1] СРК I, 205.
[2] იქვე.

მაგრამ ოსმალეთის წყალობით პირდაპირი გზა დასავლეთ ევროპისაკენ შეკრული იყო საქართველოსათვის. ერთადერთი შორეული რუსეთზე მიმავალი გზა-ღა რჩებოდა. ამიტომ კახთ ბატონმა მასთან მყოფ რუს-დესპანებს სთხოვა, რომ მისი დასავლეთ ევროპაში წასასვლელი დესპანი რუსებს თან წაეყვანათ და ევროპაში გამგზავრების საშუალება მიეცათ[1].

მეფე ალექსანდრეს იმედი აღეძრა და მას ეგონა, რომ იქმნება დასავლეთით მოსულიყო საქართველოსათვის ხსნა. მან მხოლოდ არ იცოდა რამდენად დაშორებული იყო ესპანია და სხვა საქრისტიანო ქვეყნები საქართველოზე და ამიტომ რუს ელჩებს ეკითხებოდა, რამდენად შორავს დარუბანდს რომის პაპისა, ესპანიის მეფისა, რომის კეისრისა და ფრანგების საბრძანებლები და შესაძლებელია თუ არა, რომ მათმა ჯარმა დარუბანდამდის მოაღწიოსო?[2]

რუსთა ხელმწიფის დესპანებმა ალექსანდრე მეფის ამ თხოვნაზე ცივი და გადაჭრილი უარი უთხრეს. მათი გადაწყვეტილება ვერც იმ გარემოებამ შესცვალა, რომ კახთ ბატონმა თავის დესპანის დასავლეთ ევროპაში წარგზავნილობის ერთადერთ მიზნად ის მოიმიზეზა, ვითომც ალექსანდრე მეფეს უნდოდა ყველასთვის ეცნობებინა ევროპაში: მე რუსთა ხელმწიფის მფარველობის ქვეშე ვარო. ეს საბუთი მათ, რასაკვირველია, სარწმუნოდ არ ეჩვენებოდათ. რუსებმა უპასუხეს, მაგას ხომ ჩვენი ხელმწიფეც შეატყობინებდა, რაღა საჭიროა, რომ მეფე ალექსანდრემ კიდევ საგანგებოდ თავისი დესპანი რომის პაპს, ესპანიის მეფესა და რომის კეისარს გაუგზავნოსო[3].

რუს დესპანებისათვის განსაკუთრებით უსიამოვნო უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეფის კითხვა დასავლეთ ევროპელ ქრისტიანეთა დარუბანდისაგან სიშორე-სიახლოვის შესახებ. ლახვარსავით ეცემოდა მათ ამ საკითხის წამოყენება, რათგან კახთა ბატონის იდუმალ, ისედაც ადვილად მისახვედრ, ზრახვას სრულის უეჭველობით ცხადჰყოფდა. ის ქვეყნები და სახელმწიფოები, რომელთა შესახებაც გვეკითხებითო, უპასუხეს რუსებმა ალექსანდრეს, დარუბანდზე ისე არიან დაშორებული, რომ არამცთუ დარუბანდში მოსვლა არ შეუძლიათ, გაგონებითაც-კი მისი არა გაუგონიათ-რაო. ჩვენი ხელმწიფის გარდა, სხვა არავის შეუძლია გალაშქრება დარუბანდისაკენ, ჩვენზე ახლოც არის და მარჯვე გზაც არსებობსო[4].

ეს უკანასკნელი გარემოება ქართველებმაც მშვენიერად იცოდნენ. კახთ ბატონის წარმომადგენლებმა ამიტომ რუს დესპანებს მათ თავიანთი რუსთა სამხედრო დახმარებაზე დამყარებული გეგმაც გადაუშალეს. ქართველმა დიპლომატებმა უთხრეს: განა თვით ჩვენმა მეფემ ალექსანდრემ-კი არ იცის, რომ რუსთა ხელმწიფის სამფლობელო დარუბანდზე ახლოა და ხმელეთითაც და წყლითაც თავის ჯარით იქ მისვლა შეუძლია. ხოლო როცა ის დარუბანდს მიადგება, მაშინვე ჩვენი მეფე ალექსანდრე ალაზანზე სპარსეთის ლაშქარს შეუერთდება

---

[1] СРК I, 205.
[2] იქვე, 206.
[3] იქვე, 205—206.
[4] იქვე, 206.

და თავის მხრით სწრაფად განათავისუფლებენ თურქებისაგან მთელს იმ მიწა-წყალს, რომელიც ოსმალებს უპყრიათ. მაგრამ კახთ ბატონსაც და მის მახლობელ მრჩეველებს რუსთა დახმარების იმედი უკვე თითქმის გაცრუებულად მიაჩნდათ. ნეტავი-კი იმ დღეს მოვესწროთო, ეუბნებოდნენ რუსებს კახთა მეფის წარმომადგენლები, და მაშინ ჩვენთვის სიკვდილიც არაფერი იქნება. მაგრამ მეფე ალექსანდრე უკვე მოხუცებულია და ეს ფაქტი აწუხებს, ეღირსება თუ [არა] მაგის ნახვას, ჩვენც იმისივე გვეშინია, ვაი თუ მაგას ვერ მოვესწრათო[1].

ამიტომ ალექსანდრე მეფეს და კახეთის მთავრობას, როგორც ეტყობა, დასავლეთი ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებთან კავშირისა და საქმის დაჭერა რუს დესპანების რჩევისდა მიუხედავად სრულებით ზედმეტად არ მიაჩნდათ. ცოტა ხნის შემდეგ, 1590 წ. პირველს მაისს, კახთ ბატონის წარმომადგენლებმა რუსეთის ელჩებთან კვლავ ჩამოაგდეს ლაპარაკი და განუცხადეს, რომ რაკი რუსებმა მისი დასავლეთ ევროპაში გასაგზავნი დესპანის თან წაყვანისა და რუსეთზე გატარებაზე უარი სთქვით, მე მას იმავე გზით გავისტუმრებ, რომლითაც ჩემი სომეხი სოვდაგარი მოვიდაო. ალექსანდრე მეფეს მაინც იმ ეჭვების გაქარწყლება სურდა, რომელიც მისი ფიქრით რუს დესპანებს აღძვრიათ დასავლეთ ევროპაში დესპანის გაგზავნის გამო. ალექსანდრე მეფის წარმომადგენლებს უთქვამთ, თქვენ ნურავითარი ეჭვი ნუ გექმნებათ იმის გამო, რომ ჩვენს მეფეს დასავლეთის ქრისტიან მეფეებთან ეპისტოლეების გაგზავნა ჰსურს. ჩვენს ბატონს უხარია, რომ ისინი ქრისტიანენი არიან და მაჰმადიანთ შეერთებული ძალით ეწინააღმდეგებიან. მეფე ალექსანდრე მხოლოდ სწუხს, რომ იერუსალემი წმიდათა-წმიდითა და უფლისა საფლავითურთ, ხოლო კონსტანტინეპოლში აია სოფიას მონასტრები და ეკლესიები ცოდვათა ჩვენთათვის ურწმუნო მაჰმადიანთა მიერ დასათრგუნვ-შესაგინებელი შეიქმნა. ამიტომ ჩვენს მეფეს უნდა მისწეროს დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოებს, რომ მაგრად იყვნენ შეერთებულნი მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ღმერთსაც ამას ევედრება ქრისტიანენი მაჰმადიანებზე გაამარჯვოს და ის ქრისტიანე სახელმწიფოები და იერუსალემი და წმიდათა-წმიდა და აია სოფიის ტაძარი კონსტანტინეპოლში დიდი ხელმწიფის შეიქმნესო[2].

ამის საპასუხო სიტყვაში რუსმა დესპანებმა მთელი თავიანთი მედიდურობითა და სარწმუნოებრივი მძულვარებით აღსავსე პოლიტიკური მისწრაფება და გეგმა გადაუშალეს კახთ ბატონს. ჩვენს ხელმწიფესაცო, შეუთვალეს მათ ალექსანდრე მეფეს თავის მხრით, ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლა სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ერთად სწადია. მაგრამ, თუ ღვთის წყალობა იქნება, თუ ჩვენი ხელმწიფის ხელთა ქვეშ არა, მაშ ვის ხელში უნდა იყოს

---

[1] იქვე, СРК I, 206, 207.

[2] 1589—90 წ. ზვენიგორ. დესპ.: СРК I, 207—208: «Государю нашему то за честь, что они государи крестьянские соединачився, стоят на бусурманскую веру; а государь нашь крестьянин же, о том к ним и хочет писати, чтоб они стояли на бусурман... и того молит у Бога, чтоб возвысил над бусурманы крестьянскую руку, чтоб тех крестьянских государств доступити государем крестьянским и Ерусалим бы и святая святых, во Царегороде Софея Премудрость Божья была великого государя».

იერუსალემი და კონსტანტინეპოლი? იმიტომ ყველა საქრისტიანო სახელმწიფოთა შორის ყველაზე დიდი ხელმწიფე ის არის და მათზე უდიდესი არ არსებობს. ისეთი საქრისტიანო სარწმუნოება-კი, როგორც რუსეთის სამეფოშია, სხვაგან არსად არის და თვით კონსტანტინე დიდის დროისას ეთანასწორება სიდიადითა და ბრწყინვალებითაო. ამის გამო კონსტანტინეპოლის პატრიარქი ი ე რ ე მ ი ა მთელის თავისი კრებულითურთ ჩვენს ხელმწიფესთან ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ იერუსალემის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და მის კონსტანტინეპოლის პატრიარქთა თანხმობრივი სურვილით ჩვენმა ხელმწიფემ რომის პაპის მაგიერ რუსეთში პაპის არჩევა ნება-დართოსო. ყველა ამ ქვეყნების პატრიარქები, სამღვდელო თუ საერო პირი ქრისტიანებიც ღმერთს მხოლოდ იმას ევედრებიან, რომ მან ყველა მაჰმადიანნი ჩვენს ხელმწიფეს დაუმორჩილოს. იმ დასავლეთის ქვეყნებში-კი, რომელზედაც თქვენ ბრძანებთ, ქრისტიანობა იყო, მაგრამ მწვალებლობად და ლათინურობად იქცაო [1].

ამგვარად, ალექსანდრე მეფისათვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ რუსეთის მთავრობას არც სასურველად და არც თავისთვის ხელსაყრელად მიაჩნდა, რომ საქართველოს დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებთან რაიმე კავშირი დაეჭირა და დაახლოებულიყო. თავის გარდა საქართველოსათვის სხვასთან არავისთან გზის გახსნა არ უნდოდა. ხოლო რაკი ოსმალეთის წყალობით საქართველოს დასავლეთ ევროპისაკენ მიმავალი უმოკლესი და უახლოესი გზა შეკრული ჰქონდა, არსებობდა მეორე, შორეული გზაც, რომელიც რუსეთზე მიდიოდა. მაგრამ რაკი რუსეთის მთავრობას არ სურდა, რომ საქართველოს რუსეთს გარდა სხვასთან ვისთანმე საქმე დაეჭირა, იგი ქართველ ელჩებს ამ გზითაც არ უშვებდა ევროპაში და რუსეთის წყალობით საქართველოს ეს გზაც დაეხშო.

## [ალექსანდრე მეფის უკმაყოფილება]

როდესაც ალექსანდრე კახთა ბატონი დარწმუნდა, რომ ჩქარი დახმარების იმედი რუსეთითგან ტყუილი იყო, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი, საშინელ განსაცდელის წინაშე მდგომი, თურმე უკმაყოფილებისაგან ბრაზით თავს ვეღარ იკავებდა და საყვედურით ავსებდა რუს დესპანებს ყველა იმ დამცირებისა, თუ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მის დესპანებს მოსკოვში მიაყენეს. მეფე ალექსანდრეს განსაკუთრებით [ეწყინა], მისი ელჩების გარეშე ქვეყნისაგან რუსეთის მთავრობის განზრახ მოწყვეტის ამბავი რომ შეიტყო: თქვენ აქ ჩივით რუსეთში ჩქარა გაგვისტუმრეთო. მე გართობთ და გასიამოვნებთ მაინც, ნებას გაძლევთ რამდენიც გნებავთ ისეირნოთ, თქვენთან-კი მოსკოვში ჩემს დესპანებს ეზოს კარს უკეტავთო [2]. ეს, როგორც ეტყობა, მეტად სწყენია და ამის დავიწყება არ შეეძლო და რუსეთის ელჩებს წასვლის წინ ორიოდე დღით ადრე კვლავ გამოუცხადა: მე თქვენთვის არაფერი არც

[1] СРК I, 208.
[2] იქვე, 216.

ცოლი, არც შვილები, არც ჩემი სახლი და არც ფიქრები დამიმალავს, თქვენ-კი ჩემი დესპანი მოსკოვში დაკეტილი გყავთო. იცოდეთ, რომ ჩემი დესპანი ამიერითგან შეზღუდვილი აღარ ყოფილიყოსო[1].

მეფე ალექსანდრე თავის სრული უკმაყოფილების დამალვას საჭიროდ აღარ სთვლიდა და რუსთ ხელმწიფის დესპანებს პირში ეუბნებოდა: არა, თქვენ ვერაფრით გამახარეთ, თქვენი დახმარება დაგვიანდა; თქვენს მეფეს შამხალის საწინააღმდეგოდ ჯარის მოცემა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ-კი არ გაუგზავნია; ეხლა მე თითონ ვაპირებ იარაღის ასხმას და გალაშქრებასო. შემდეგ ალექსანდრე მეფემ ბურთობა გამართა, რომელშიაც თითონაც იღებდა მონაწილეობას, მისი შვილი გიორგი ბატონიშვილიც, მისი სიძე ბაჰრამიც და 20-მდე საუკეთესო აზნაური ისხდნენ საუკეთესო ცხენებზე და სამი საათის განმავლობაში ბურთს თამაშობდნენ. ამ სანახაობაზე კახთ ბატონმა რუსეთის ელჩები დაპატიჟა და როცა ბურთობა გათავდა, თავის კარავში მიიწვია და სადილის დროს საყვედურით ეუბნებოდა: ბავშვი ხომ არა ვარ, რომ ან ჩემი თავი ან თქვენ ამგვარი თამაშობით გავართო, მაგრამ თქვენი მეფის დახმარების იმედი მქონდა და იმედი გამიცრუვდა: ეხლა მე თითონ მარტოდ-მარტო ვაპირებ გალაშქრებას. მხოლოდ იმედი არ გამიმართლდა, რომ მტერმა არ დამცინოს ვერთობი: არ მინდა, რომ მტერმა ჩემი მჭუნვარება ნახოს და მისი გული გავახაროო[2].

კახთ ბატონი მოსკოვის პატრიარქს მის მიერ გამოგზავნილ რუს სამღვდელოებაზე უჩიოდა: ჩვენ ესენი ანგელოზებივით მივიღეთ და ყოველნაირად პატივი ვეცით. მაგრამ მათ ჩვენს ეკლესიებში წირვის წირვა არ მოისურვეს. 1262 წელი სრულდება, რაც ჩვენ ბერძნებისაგან ქრისტიანობა მივიღეთ. აქ ჩვენთან პატრიარქებიცა და მიტროპოლიტებიც ყოფილან მთაწმინდელნიც, სინელნიც და იერუსალიმელნიც, ყველას ჩვენთან წირვაც უწირიათ და როგორც ერთმორწმუნეთ შეეფერება ჩვენთან ისე ეჭირათ თავი. თქვენ მღვდლებსა და ხუცესებს ჩვენთან წირვა არ უწირიათ[3].

## [დესპანები სოლომონი და ხურშიტა მოსკოვში 1590 წელს]

უკან გაბრუნებულს რუს დესპანებს მეფე ალექსანდრემ თან თავისი დესპანები ბერდი სოლომონი და ხურშიტა გააყოლა მოსკოვში, სადაც ისინი 30 ნოემბერს 1590 წ. მისულან. ქართველ ელჩებს ამ შემთხვევაშიაც დიდი გარეგნული პატივისცემით დახვდნენ და 100 დიდებულთა და აზნაურთა შვილები დაახვედრეს[4]. თავის ელჩებს მეფემ რუსთ ხელმწიფესთან ეპისტოლე გაატანა, რომელშიაც ალექსანდრე წინანდებურად შამხალისაგან დაცვას, მეზარბაზნე ჩამომსხმელ ხელოსნებისა და მსროლელებისა და მხატვრების გამოგზავნას სთხოვდა[5].

---

[1] СРК I, 218.

[2] იქვე, 217.

[3] 1590—91 წ. დესპ.: СРК I, 233.

[4] СРК I, 223.

[5] იქვე, II, 225—226, 234.

შამხალის წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნისა და მხატვრების კახეთში მისვლების თანხმობა რუსეთის მთავრობამ ადვილად განაცხადა. მეზარბაზნე, ხელოსნებისა და მსროლელთა საქართველოში გასტუმრება ეხლაც შეუძლებელი შეიქმნა. პირდაპირი და ცივი უარის თქმისა რცხვენოდათ და მოსაბოდიშებლად მოიმიზეზეს, რომ მეზარბაზნე ჩამომსხმელები ვითომ შორს იყვნენ, პსკოვში, და საჩქაროდ მოსვლა არ შეეძლოთ. ამიტომ ამჟამადაც მათი საქართველოში გაგზავნა გადაიდვა იმ დრომდე, როდესაც საქართველოში მიმავალი გზა შამხალისაგან უზრუნველყოფილი იქნებოდა [1].

21 აპრილს 1591 წ. კახთა მეფის დესპანები ჩვეულებრივ სიტყვიერი დაპირებით სამშობლოში გაისტუმრა და თანაც თავისი დესპანებიც დაატანა ალექსანდრე მეფესთან [2]. ეს დესპანობაც უნაყოფო გამოდგა საქართველოსათვის და ცარიელი ლაპარაკის გარდა არა ყოფილა-რა. 1592 წლამდის მხოლოდ ის მოხერხდა, რომ შამხალს ერთი ციხე-ქალაქი (Город у Шевкала взяли Ондреевской) წაართვეს და დაუწვეს. თუმცა მეფე ალექსანდრე ამისთვისაც დიდს მადლობას უთვლიდა რუსთ ხელმწიფეს, მაგრამ ეს, რასაკვირველია, საქმეს არსებითად ვერ გამოასწორებდა, პირიქით, შეიძლებოდა გაემწვავებინა მდგომარეობა.

## [დესპანები თავად იორამის მეთაურობით მოსკოვში]

ამიტომ ალექსანდრე კახთ ბატონმა თავადი იორამის (არამის: большой посол Арам князь) მეთაურობით დესპანები ისევ რუსეთში გაგზავნა. დეკემბერში ისინი უკვე მოსკოვში იყვნენ [3].

თავის ეპისტოლეში რუსთ ხელმწიფეს მეფე ალექსანდრე ატყობინებდა, რომ შამხალის წინააღმდეგ გამოგზავნილი რუსთა ჯარი მცირერიცხოვანი იყო და თუმცა თვით შამხალი ომში დაიჭრა, მისი მოლაშქრეებიც დახოცილ-დატყვევებულ იქმნენ, მაგრამ რუსთა ჯარი ბოლოს მაინც უკან გაბრუნდა. კახთ ბატონი სთხოვდა ეხლა, რომ შამხალის წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გამოეგზავნათ და Тарки აეღოთ და თავიანთთვის გაემაგრებინათ, შამხალი დაემორჩილებინათ და ყუმიყთა მიწაწყალზე საქართველოში მომავალი გზა გაეწმინდათ. ამ გეგმის განხორციელებას ალექსანდრე მეფის სიტყვით ის გარემოება გაუადვილებდა, რომ ყირიმ-შამხალი მისი მომხრეა და ყუმიყთა ქვეყნის ერთს ნახევარს მასთან ერთობა ჰქონდა და მისი ყმადნაფიცი იყო, მეორე ნახევარს-კი თვითვე ეომებოდა [4]. ამას გარდა მეფე ალექსანდრე კვლავ მეზარბაზნე ჩამომსხმელი ხელოსნისა და მსროლელის გამოგზავნას სთხოვდა [5].

მოსკოვის მთავრობამ კახთ ბატონის ელჩებს შეატყობინა, რომ ის 1500 ჯარისკაცსა გზავნის თავის სარდლების მეთაურობით შამხალის წინააღმდეგ, რომ შამხალი განდევნილ იყოს და მის მაგიერ თავის კაცები და ალექსანდრე

[1] 1590—91 წ. დესპ.: СРК I, 227, 240, 245.
[2] СРК I, 235.
[3] იქვე, 252—253.
[4] იქვე, 253 და 255.
[5] იქვე, 254.

მეფის სიმამრი (сват) ყირიმ-შამხალი დასვან და გზაც გაწმინდონ საქართველოსაკენ. ალექსანდრე მეფის მეორე თხოვნის შესახებ მეზარბაზნე ოსტატების თავობაზე კრინტი არ იყო დაძრული, თითქოს რუსებს ამისი არაფერი გაეგონოთ[1].

თავის მხრით რუსეთის მთავრობამ 1593 წ. ივნისში შინ გასტუმრებულს ქართველ დესპანებს დაავალა ჯერ ერთი, რომ მეფე ალექსანდრესაც შამხალის წინააღმდეგ თითონაც ჯარი გაეგზავნა ბატონიშვილ გიორგის და მისი სიმამრის ყირიმ-შამხალის მეთაურობით, ხოლო შემდეგ, რომ კახთ ბატონს ერთ-ერთი ან იგივე ბატონიშვილი გიორგი, ან თავისი შვილიშვილი კონსტანტინე უფლისწულის ძე რუსთ ხელმწიფესთან წარსადგენად და თაყვანისსაცემად გაეგზავნა. ეს გარემოება მეზობლებსაც დაანახვებს, რომ კახთ ბატონი რუსთ ხელმწიფის მფარველობის ქვეშ არისო და თვით ალექსანდრე მეფესაც ჩვენი ხელმწიფის მოწყალების მეტს იმედს მისცემს. მოსკოვის მთავრობა პირობასა სდებდა, რომ სათაყვანებლად წამოვლენილი ბატონიშვილი მალე საჩუქრებით დატვირთული უკანვე გასტუმრებული იქმნება სამშობლოში[2].

---

[ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილის დედანში თითქმის მხოლოდ ნედლი მასალაა, ამოკრეფილი ბელოკუროვის СРК-იდან; რამდენსამე ადგილას ავტორის შენიშვნებიცაა მიტანილი მასალის შესახებ. ვბეჭდავთ ისევე, როგორც დედანშია ხაზგასმული ადგილები. ყველგან ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. რედ.].

1) «Да в. жь г. н. ведамо учинилося, что у Турского салтана был сын твой Иракли и, будучи у салтана, обусурманился; и Божьим судом там его и не стало. А у Кизылбашского шаха в закладе сын твой Костянтин да сестра. И в. г. н. о том поскорбел, слыша то, что крестьянские государи у бусурманских государей в неволе и в поруганье бывают. И ты б, Александр царь, вперед бусурманским государем братии своей и сестры и детей и племянников никому без в. г. н. его царского величества совету и повеленьям не давал и сам ни к кому не приставал мимо царского величества... И ты бы сына своего вперед у Кизылбашского шаха не держал, взяв его к себе, к в. г. н. прислал; а г. н. с послы с кизылбашскими, которые ныне у г. н., к шаху прикажет чтоб он сына твоего к в. г. н. к тебе, Олександру царю, отпустил, а ты сына своего ко г. н. отпустил». (СРК I, 261—262).

2) «Земля Иверская искони крестьянская вера. И не в давних летех за грех наш бусурманские государи шах Персицкой и салтан Турской хотели было Иверскую землю для веры хрестьянские разорити и войною на Иверскую землю кизылбашские и турские люди многижда прихаживали,—и Александр ц. с своею ратью с турскими и с кизылбашскими людми многижда

---

[1] СРК I. 257.

[2] იქვე, 257—8 და 261.

бивался и церквей Божьих разорити не дал: и та де война от бусурман на Иверскую землю по многие лета была. И государь наш Александр ц-ь в одно время против дву бусурманских сильных государей стояти не мог и зделал по неволе, чтоб веры хрестьянские не разорити, Турскому дан почал давати да и ныне дает; а Кизылбашскому Худобендею шаху дал в заклад доч свою да сына... Да коли б не по неволе, хтоб так велел учинити?» (1596—99 წ. СРК I, 301—302).

## (რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქრობა შამხალის წინააღმდეგ)

რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქრობა შამხალის წინააღმდეგ ვერ განხორციელდა. მოსკოვის მთავრობა ამას კახთა ბატონს აბრალებდა. რუსთ. ხელმწიფე ალექსანდრე მეფესა სწერდა: «наши воеводы, Шевкалову землю воевав и стояв в Тарках долгое время, да Тарки разорила, а сами на Терку воротилися. и мы тому подивилися: для чего учинилося, что ты... присылал послов своих с слезным прошеньем, жалаучис на Шевкала, чтоб нам... на него послати рать свою..., а как мы на него рать свою послали, и ты с нашими воеводами на него не стал и сына своего и свата к нашим воеводам с ратью не прислал? И затем большое дело не совершилося, а нашему ц. величеству в той рати в подъеме великие убытки причинилися»[1].

3) «государевым воеводам о том наказу не было, что итти одним на Кумыцкую землю и дорогу очищать к Иверской земле... А коли б государевы воеводы пошли на Кумыцкую землю и к Иверской земле дорогу очистили одни без Александровы царевы рати и тогды было ужь Александрове цареве рати с в. г. н. ратью что и сходитца и на кого итти? И вам тем отговариватися нечего: то дело не совершилось з государя вашего сторону» (1596—99 წ.; СРК I, 275).

4) «сына своего ц-ча Юрья с ратью Александр царь ко государя вашего воеводам на сход хотел послати, да пройти было в горах немочно, дороги через горы большие конные на Кумыцкую землю нет. А государевы воеводы ходили и воевали Шевкаловы места, которые у моря блиско, а в Казы-Кумыках государевы воеводы не были и Шевкаловых лутчих мест не воевали; а которой город поставили госуд. воеводы в Шевкалове земле, и оттого города Шевкалу никоторые тесноты нет. И ныне Шевкал, сложас со многими з горскими князми, болши прежнего госуд. н. цареву Александрову землю воюет и церкви Божьи разорят» (1596—99 წ.: СРК I, 301).

---

[1] 1596 г. სიგ.: СРК I, 266—267.

5) «госуд. н. Александру ц-ю самому ходит, ни людей своих посылат на Шевкала нелзя, что Шевкал живет за горами, дорога к нему тесна и нужна; а коли мочно было г. н. людем на Шевкала ходити, и государь бы наш Александр царь в. г. вашему о рати на Шавкала не бил челом и сам бы с ним управился: у государя нашего Александра ц-я рати с пятеро Шевкалова есть». (1596—99 წ.: СРК I, 302).

6) «к нашему ц. величеству писал еси в грамоте, что по нашего ц. величества повеленью з зятем своим с Симоном помирился еси вековым миром и начаешся Божьей милости, которые земли от вас отстали Мигрелская и Гурпелская и Мамучарская (sic), чтоб ва их к себе проворотит и под нашу ц. руку их привести» (1596 წ. სიგ.: СРК I, 267).

7) «ты, Александр царь, то учинил гораздо, что нашего царьского повеленья не ослушался, з зятем своим с Семеном помирился и вперед бы еси жил с ним в миру и в любви и против наших и своих недругов стояли с ним заодин. А которые земли от вас были отстали тех бы естя доступали заодин и под нашу ц. руку их приводили. А Симону то наше царское жалованье пригоже помнит и быти под нашею ц. рукою вместе с тобою. А как... вперед ты... пошлешь к нам послов своих и зять бы твой Семен... прислал своих послов и... ему вперед быти в нашем ц. жалованье под нашею ц...рукою» (1596 წ. სიგ.: СРК I, 267—268).

8) «к Симону ц-ю Александр ц-ь отпишет и посла своего пошлет и на то его уговаривати велит, чтоб он был под великого государя нашего его царскою рукою вместе с Олександром царем и послав бы своих вместе с вами и с Олександровыми царевыми послы к великому государю послал. А за то Александр царь не имается, что Симона привесть под государеву руку: Симон своей земли государь, как хочет, так делает» (1596—1599 წ.: СРК I, 303).

მოსკოვის მთავრობის ელჩები დავალებისამებრ ალექსანდრე მეფისაგან მაინც ითხოვდნენ, რომ მას საქართველოს დანარჩენ მეფე-მთავრებისათვის რუსთა ყმადნაფიცობა ერჩია. მობეზრებულს კახთა ბატონს როგორც ეტყობა თავითგან მოსაშორებლად უთქვამს, რომ ვეცდებით[1], მაგრამ ამ შეპირებით მაინც არა გარიგებულა-რა და არც სვიმონ მეფეს, არც სხვას მოსკოვის მთავრობისათვის დესპანები არ გაუგზავნია.

9) «Ино тепер есть 12 год, как есми твоему ц. в. челом был и под твою ц. руку пришли...Нам надежа бы-

[1] СРК I, 307.

ла на в. государя; а государева рать нам ничего не пособила, ни которую корысть нам не учинили, ни нам, ни земле нашей, ни ясыров наших, ни монастырем, ни церквам, ни всему роду крестьянскому... А преж сего твое... слово было так, что я Александра ц-я и всю землю под свою ц-скую руку и под своим защищеньем, да никоторому человеку не дам тобя на запустенье. И мы тому слову государеву верили, а надежа нам была на тебя; ино после того землю нашу совсем тадбою извоевали и запустошили, а крестьян наших в полон повезли, а наши монастыри и церкви от недругов запустели» (1598 წ. ნოე.: СРК I, 320).

10) «говорил, государь, нам Александр царь: приходили де на мое государство на Сонскую землю Кабардинской Солох княз да Айтек мурза войною и многих людей моих Кабардинские черкесы побили и в полон поимали; а Алкас де княз Кабардинской же моим людем про Солохов приход весть учинил и многих людей моих Алкас от полону избавил» (1596—99 წ.: СРК I, 289).

11) «Александр ж царь писал ко мне, холопу твоему, что закосненнием ото многих лет отступили были от него его землицы; а ныне де он их подвел под свою руку. И проведав де про то горские Черкасы и собрався с Кумыцкими людми, приходили де на те его землицы войною и многих де людей его побили» (1596—99 г.: СРК I, 285).

11) «В 104-м году присылал к Олександру ц-ю Аббас шах посла своего Бирибея, чтоб ц-ь дал дочь свою за шаха; и многую казну с послом шах к Александрове дочери прислал и ц-ь дочери своей за шаха не дал...а к шаху посла его ц-ь отпустил и писал ц-ь к шаху, что та доч зговорена преж его присылки за Дадьянсково князя и шах бы на него за то не прогневался. И послал ц-ь к шаху в поминках...И в 105-м году шах прислал к Олександру ц-ю другово посла Велихана. А писал шах к царю с великою грозою, чтоб он выбрал из своего роду девку лутчюю и прислал к нему, а он на ней женитца; а только не пришлет, и шах велит его землю воеват. И прислал шах в свои городы к. к Груз. земле блиско, ближнего своего человека Фергат-хана со многою ратью... Александр ц. послал к шаху...племянницу жены своей родную и посла своего ц. посылает Есона князя» (1596—99წ.: СРК I, 311).

12) «В 106 год декабря В 24 де с Терским жильцом с Иваном. В 105 году прислал Турской к Александру царю Куршеуха, чтоб Александр ц-ь дан к нему прислал попреж. И царь дани к Турскому не послал, сказывают, за скудостью; послал ц-ь к Турсково к Магмет салтанове матери в поминкех 5 сороков соболей да 10 зубов рыбьих, чтоб об нем

сыну своему печаловалас, дал бы ему в дани сроку. Да и безпрестани Турские чеущи в Грузии о дани приезжают и грозят войною».

«ц-ь Олександр к Турскому послал на 2 годы дани 60 юков шолку, на год по 30 юков» (1596—99 ȣ: СРК I, 310).

12) «Александр ц-ь говорил: пришла де на меня и на мое государство скудость великая, многую свою казну разослал в дан бусурманским государем, от которых моей земле теснота бывает; да выдал де доч свою замуж за Дадьянсково князя и многую свою казну в приданное дал. И мне де к велик. госуд. дани послати нечего я де послал в турские и в кизылбашские городи купити всяких узорочей, что к в. г-рю дани послати» (1596—99 ȣ.: СРК I, 309—310).

13) «старец Кирилло сказал, что Кенжинской паша родом грузинец. А приезжал в Загем с царем Александром мирити царевых детей царя Давида с ц-чем Юрьем; а жена и дочери у того паши крестьянские веры, а сам он бусурман. И ц-ч Юрьи, сватался у него за дочерь, потому что она крестьянка и доч великого человека; да чаю сего лета ц ч Юрьи и женился» (1603—4 ȣ.: СРК I, 387).

14) «приказал деи яз послом своим г. ц-ив. к. Ф. И. в. Р... бытичелом о том ...чтоб пожаловал, велел меня от Турского оборонит; а что с меня Турской дани емлет, и государь бы тое дан велел имати на себя, государя. А только б государь велел оборонити от бусурмана; а яз хочю служити государю хрестианскому» (1599 ȣ.: СРК I, 314).

15) «старец Кирило сказал: ...ц. Александр был болен огневою долгое время и в той немочи лежал за-мертво три дни, толко мало было дыханье. В то время, его живота не начаяся, дети его ц-ч Давид и ц-ч Юрьи о государьстве меж себя учали говорити: кому быти на государстве? Да и брань меж—их вчелася. А меж их смуту делали изменники: сказали Давиду ц- ю, что брат его Юрьи ц-ч умышляет на него убивством; а Юрью ц-ю сказали, что Давид ц-ч хочет его убит. И для того ц-ч Юрьи побежал. И сказали Давиду ц-чю те ж изменники...что брат его Юрьи побежал к Турскому. И он за ним гонял с своими ближними советники...и тут помирилися...И дал Давид ц-ч брату своему Юрью удел, а сам сел на царстве. И ближние люди, зговоряс меж себя, умышляли Давида ц-я убит. И приходили к Юрью ц-чю, чтоб он был на Государстве... а не похочет он на государстве быть и оне и его убьют. И ц-ч Юрьи им отказал, что он крестного целованья преступити не хочет» (1603—1604 ȣ.: СРК I, 389).

16) «Александр-же ц-ь писал к нам ...что сын его ц-ч Константин пришел к нему в Грузии ис Кизылбаш от шах-Баса

с великими с шах-Басовым дары. А про Турского Александр же царь писал, что он с ним в миру. Да и про свое здоровье и про детей своих к нам...писал, что он и з детми своими октября по 19 число здоров. А у грамоты... которую нам... Александр ц. прислал с Очекановым узденем, печать не его Александрова. А...Ачеканов уздень сказал, что А. ц. Иверской постригся, а в его месте в Грузях на царство сел сын его ц-ч Давыд; и грамоту... послал сам Александр да сын ево Давыд ц. Иверской. Да тот же Ачеканов уздень сказывал нам...что Александров царев сын ц-ч Юрье побежал был из Грузеи х Кизылбашскому к шах-Басу, и брат де его Давыд, изымав, его привел в Иверскую землю» (1601 წ.: СРК I, 351—2).

17) «ц. Давид отца своего ц-я Александра ни в чем не слушал и благословение его к себе презрел и государство Иверское взял под отцом своим насилством» (1603—4წ.: СРК I, 381).

18) «ц. Давид пришед к отцу своему к Олександру ц. и ухвотясь за ногу, говорил, что он пред ним виноват, при нем сел на государстве его. И учали ему говорити те же изменники, которые меж ими с отцом и з братом ссору чинили: птица де летает по воздуху. И коли ее поймаеш, и она в руках; а как из рук выпустиш, и тогды ее не увидиш. А то деи царьство тебе Бог дал в руки, а ты его держати не умееш. И ц. Давид послал к отцу своему к Олександру, чтоб ему прислал знамя царское и шапку и саблю с поясом... А мыслил то: толко к нему отец его тое честп не пришлет и государства не поступитца, и он хотел отца удавит. И ведомо про то учинилос Александру ц., что на него сын его умышляет убивством,—и он ему поступился государства... А ц-ч Юрьи в то время, побежал к Иверскому Митрополиту; а сведал про него Симонов сын Юрьи, что он у митрополита и писал о том к Давиду ц. И ц. Давид писал чтоб его беречь и с тово места не выпустил. И Юрьи Симонов сын велел... беречи; а ц. Давид, пришед, его поймал и, сковав, послал его в заточенье» (ქ"ლი ღესპანის კირილეს ნაამბობი 1603 წ.: СРК I, 389).

19) «Пришли мы, холопи твои в Грузии к Олександру ц-ю к Давиду ц-ю июля в 1 день. И на посольстве мы у них были; а сидели... оба вместе» (1601—1603 წ.: СРК I, 362).

20) «Давид ц-ь, как он учинился на Иверском государстве, к в. г. царскому величеству бити челом о том не присылывал» (1603—1604 წ.: СРК I, 379).

21) რუს ღესპანებს «которое будет безчестье было им от Давида ц-я...за царевп за Давидовы вины на ц-я Александра гневу своего не положили» (1603—4 წ.: СРК I, 381, შეადარე აგრეთვე გვ. 383).

22) «в 111-м году... твоим государевым послом ни сей осени отпуск из Грузеи не будет, потому что у Иверсково у Давыда ц-я з братом с его Юрьем ц-чем рознь» (1601—3 წ.; СРК I, 360).

23) «был на государстве Давидо ц. 3 год; и учал делать не по крестьянски и отца своего не чтил и многие ему тесноты чинил гладом и наготою и жаждою и многих ближних людей побил, а иных хотел побивать. А убил Давид ц. ближних людей 17 человек;—иным головы сек, а иных велел метати с высоких стен. А после того умыслил убит некоторово ближнево человека именем Сторозана. И тот Сторозан, сведав про то, прибежал в церьков причистые Богородицы и стал в дверех церковных, чтоб его не убил. И ц. Давид послал людей своих, а велел ему туто голову отсеч, и церков окровавил. И сведав про то, ц. Александр в великой кручине учинился и прибежав к церкви... в бошмаках, шапку на землю покиня, сына своего Давида ц. проклял. И с того времени у Давида учал быти болен: сперва зубною болезнью, а потом пришла на него опухоль, и в седмой день разселася утроба его и внутреняя выволилась и умре; и смрад зол от него был, что невозможно человеку блиско стояти» (ალექსანდრე მეფის დესპანის კირილეს ნაამბობი 1603წ.: СРК I, 389—390).

24) «хотел нас отпустити ц. Давыд на Семен ден. А сам пошол в войну в Сопи Аристова... из войны ц. Давыд пришел в Крым в октябре месяце... а велел к себе быти в Крыму ко отпуску. Они пришли ко царю октября 16, а ц-ь Давыд того же числа разнемогся да в пятой день его не стало; и учинился на Иверской земле опять Александр царь» (1601—1603 წ.: СРК I, 362—363).

25) «как Давыда царя не стало, и Александр ц. послал по сына своего по Юрья ц-ча, велел его взяти из заточенья и благословил его па царство; а сам владеет же» (ალექსანდრე მეფის დესპანის კირილეს ნაამბობი 1603 წ.: СРК I, 390).

26) «от В. Величества многие послы с вашим милостивым словом к нам приходя, несколько ваше жаловалное слово нам сказывали; и от тех ни одново в совершенстве не видим ...а недруги наши, безвесно приходя, землю нашу пленят и человек по 300 и по 400 в полон емлют. И толко в. вспоможенья и нам не будет, все крестьянские люди и жены их и дети в расхищенье будут; и вере крестьянской поруха» (ალექსანდრე მეფის ეპისტოლე 112 წ., 1603 წ.: СРК I, 393).

27) დავითის სიკვდილის და კვლავ ალექსანდრეს გამეფების შემდეგ «хотел нас, холопей твоих, отпустити тот же час. И посылали они еще оба ц-я Александр и Давыд мужика грузинца на Терек; и тот мужик с Терки пришел и сказал Александру ц-ю, что про твою государеву рат и слуху нет. И Александр ц. нам, холопем твоим, говорил: яз де ухватился за полу

у государя Московсково 16 лет, а помочи де к себе никоторые не видал, а вы де меня послы приехав, оманули... И ц. Александр говорил непригожие слова, а нас... засадил» (1601—1602 წ.: СРК I, 363, შეად. I, 384—385).

28) «к грузинскому послу приставили сына боярсково... и велели к грузинскому послу береженье держати, чтоб к нему иноземцов и руских людей не приходил никто и не разговаривал бы с ним никто ни о чем и люди его по базару и по улицем без дела не бродили; а доведетца до чего выйти в торг, и с ними б ходил для береженья сын боярской, к. у них приставлен, а без пристав никоторыми обычаи з двора никуды не ходили» (1603 წ.: СРК I, 373—4).

29) «ц. Александр говорил, что он посылает к государю бит челом многих и от государя де к нему послы все приходят не зделом; а он де к государю все животы свои выслал, а государь к нему ничего не пришлет. А ныне де еще посылаю им достальные свои животы испеня... чтоб ...государь от недругов оборонил, а не оборонит государь, и записи все, собрав, передерет и ссылки его вперед не будет» (1603—1604 წ.: СРК I, 386).

30) 113 წ. «июня в 21 де приехал в Терской город с Койсы с товаром грузинец... и привез... от Грузин. Александра ц. грамоту Фарсовским писмом... Тот грузинец сказывал ...как деи он поехал из Грузинские земли,—тому шестая неделя; при нем деи Александро ц. до его поезду за месяц поехал к Кизылбашскому Аббас шаху к городу Иреваку (sic=ერევანს) ...царь пошел к шаху после велика дни месяц спустя, а с ним 400 человек азнауров до 5000 ратных людей; и шах деи ратных людей велел воротит. А Александров царев сын Юрьи царевич в Грузях» (1604—5 წ.: I, 448—49).

31) «августа ...в 18 день приезжал к нам ...на стан Сулейман князь, который был на Москве... в послех. И говорил от ц-ча (Юрья), что отец ево Александро ц-ь ныне у шаха; а на отца своего места в государстве ныне он ц-ч Юрьи и всякие дела он исправляет, а об иных о больших делех к отцу своему пишет» (1604—5 წ.: СРК I, 460).

როდესაც ალექსანდრე მეფე სპარსეთის შაჰთან აბასთან იყო წასული და კახეთის სამეფოს მისი შვილი გიორგი უფლისწული განაგებდა, დიდ მოსალოდნელ განსაცდელის გამო, რუს დესპანების სიტყვით, გიორგი ბატონიშვილს დარბაისლებთან ბჭობის შემდეგ უთქვამს, რომ ელჩებს მოსკოვის მთავრობისათვის მათი ახალი თხოვნა შეეტყობინებინათ კახეთში ორიოდე ციხის აგებისა და შიგ რუს მეციხოვნე ჯარისკაცების ჩაყენების შესახებ მათი მტრების ოსმალებისა და სპარსელების დასაშინებლად. კახელებს ამ საშუალებით იმდენად რეალური დახმარების იმედი არ ჰქონდათ, რამდენა-

დაც ზნეობრივ გავლენასა, თავისიანების გამხნევებასა და მტრების ალაგმვაზე ფიქრობდნენ [1].

32) «И как М. Игнатьевич и дьяк Ондрей приехали в Грузин. землю, а до них за два месяца пришол в Груз. землю от Кизылбашского Аббас шаха посол Магмет-бек для царевых детей ц-ча и царевны. А писал Александр ц. к сыну своему к ц-ю Юрью, чтоб царевых Давидовых детей ц-ча Теймураса и ц-ну Елену и с матерью их отпустил к шаху; а только их не отпустит — и ему от шаху в Грузинскую землю не бывать» (1604—5 წ.: СРК I, 492).

33) «царевых Давидовых детей и с матерью ц-ч Юрьи, по отца своего приказу, отпустил к шаху, и взял шах цареву Давыдову дочь за себя... ...И Констентин ц. послом говорил, что царев Давыдов сын Теимурас в его руках... А Олександр ден ц. и Юрьи Мурза ...Теимураса отдал шаху напрасно» (1604—5 წ.: СРК I, 492—493).

34) «Марта 8 день ц. Александр в свою землю приехал в Загем, а с ним сын его ц-ч Констентин... да с ц-рем же пришли Кизылбашского шаха 4 ханы да 6 султанов, а с ними ратных людей и янычян тысячи з 2. И те Кизылбашские люди сперва стали на рубеже у Каиры реки; а Констентин ц-ч приехал с отцом своим в Загем с немногими людьми. А сказывали послом приставы, что Костетин ц-ч приехал для грузинские рати, которым с ним итти под Шемаху;... А о том послом слух был об Кизылбашских и от Грузин. людей, что шах послал Костентина ц-ча умысля; а велел Юрья ц-ча обманом поймать и к себе привесть или бы его убить» (1604—5 წ.: СРК I, 483).

35) «Марта во 12 день... Мешкав часы с 3, приехали к послом от ц-я Некресельской архиепископ Захарей да боярин Абел бек. А говорили: по грехом ден приехал на двор к Александру ц. ещо с утра рано сын его Костентин ц-ч, а с ним Кизылбашские ханы, и султаны незваны и Кизылбашские многие люди, не ведаем для какого умышления, и заняли шатр, где было вам быть на посольстве; а выслат их не умет и не сметь... И тоже часу почел на цареве дворе шум быть и стрельба из пищалей и в посаде по улицам и по дворам почали Кизылбашские люди грузинцов сечь и грабить;—и, бегучи Грузинские люди с царева двора, почали и говорить, что Костентин ц-ч и Кизылбашские люди бьютца с Олександром царем и с сыном его Юрьем ц-чем». მაშინვე კონსტანტინესთან [მოსულ] რუს დესპანების წარმომადგენლისათვის ამ მხეცს უთქვამს «по грехом ден уж так учинилось: отец мой Александр ц. и брат мой побиты и тому уж не пособить» (1604—5 წ.: СРК I, 484—5).

---

[1] 1604 წ.: СРК I, 482.

ალექსანდრე მეფესთან ერთად გიორგი ბატონიშვილს გარდა მოკლულ-იყვნენ მარტყოფის ეპისკოპოსი რუსთველი, მისი ძმა, ალექსანდრე მეფის დიდებული, აბელი და სხვა თავადები და 5 საუკეთესო აზნაური. ალავერ-დელი მიტროპოლიტი დაკოდეს. ბატონიშვილმა იესემ თავი სიკვდილს იმით დააღწია, რომ კონსტანტინეს მუხლმოდრეკითა და ტირილით შეევედრა არ მოეკვლეინებინა[1].

36) 1604 წ. «июня ж... В 3 день приходили на Терку Менкизенья мурза Сакуликов. А сказали. посылал шах в Грузии Александрова царева сына Костентина, который у него живет, а велел ему Александра ц-я убит и сести на государстве. И Костентин деи отца своего убил, а с ним грузинских лутчих людей с 700 человек, и на государстве в Грузинской земле сел» (СРК I, 445).

37) «Костентин ц. послом говорил: по грехом деи так ссталось, что отца моего убили на драке. А брат мой Юрьи мурза убит поделно, что он государю вашему и шаху был изменник: женился у Турского паши и ссылался с Турским сердарем, а хотел со всею Груз. землею поддатца под Турского руку; про то шаху подлинно ведомо. А и отца моего перед шахом прежние неправды были многие. А ныне хотел шаху дать рати Грузинские 60,000 и для того меня шах послал; а велел итти с тою ратью в Ширванскую землю под Шемаху. И как мы сюда приехали, и они ратью почели манить; а просил яз у них рати всего 6000 и они и того дать не хотели. А меня умышлял убить или зельм окормить; и за то над ними так и ссталось» (1604—5 წ.: СРК I, 487).

38) «сказывали послом Грузин. люди, которые были у шаха с Олександром ц-ем, и Кизылбашские люди, что Александра ц-я и сына его Юрья ц-ча велел убить шах за те, что деи они ссылались с Турскими людми; и грамоты деи их ссыльные у шаха об'явились. А иные деи за то, что он, от шаха отстав, почел быть в государеве жалованье под его рукою; а изстари Грузинские государи бывали под шаховою рукою» (1604—5 წ.: СРК I, 487).

39) «Костентин ц. послом говорил ...отец мой и брат убиты — не по шахову приказу, нашею меж себя рознью з братом моим с Юрьем. А то в нашем роду — не ново, издавна ведетца: отец мой извел отца своего, а моего деда, а брата своего убил. А яз ныне так учинил; и сам не ведаю — доброль то будет, худоль» (1604—5 წ.: 21 მარტს: СРК I, 488).

40) «послы ж роспрашивали, подпоив пристава Магмет-бека: с шахова ль ведома убил Костентин отца своего и брата? И сказывал Магмет: как деи такое дело учинить без шахова ведома, что сыну отца убить

[1] 1604—5 წ.: СРК, I, 485.

й государство засесть, где то слыхано? А тое деп почи перед убивством Александра ц. Костентип ц-ч плакал во всю почь. А говорил с ним с Магметом тайно: не ведаю деп как быть? Убит отца своего—ино от Бога погибнуть, а не убить—ино самому от шаха убиту быть. И убиты деи Александро ц. с сыном по шахову веленью» (1604—5 წ.; СРК I, 487—8).

41) რუს დესპანების თარჯიმანის სიტყვით «голову деп Александрову ц-еву держат перед Костентином... на четвертый день Костентин ц. приехал на отца своего двор и стал в шатрех; а тело отца своего, Александра ц., и брата своего Юрья ц-ча велел вести в Оловердинский монастырь, а головы их послал к шаху» (1604—5 წ.: СРК I, 485).

42) Костентин ц. говорил: отец деп мой и дед и прадед были крестьянские государи из давних лет; а яз был крестьянин же, и ныне крестьянскую веру помню. А отдал меня отец мой в бусурманскую веру семи лет; и то учинили не по моей вине, что яз бусурманен: в том Бог судит отцу моему. И ныне от меня крестьянские веры людем в вере одполично никоторые теспоты не будет и заказ о том крепкой учиню, чтоб крестьянской вере не поругались и крестьяном насильство не чинили; а хто через мой заказ что учинит, того велю казнить смертью» (1604—5 წ.: СРК I, 489).

43) «Костантин ц. послом (21 მარტს) говорил: Аббас деи шах с в. государем вашим в дружбе и любви и в соединенье ...хотя яз в бусурманской вере а ...не своею волею... Только яз в в. г. в жалованье хочю быть со всею Иверскою землею больши прежняго; и государево жалованье—рать и городы, которые поставлены в Кумыцкой земле—мне надобны. А пошлю о том быть челом к в. государю послов своих вперед; и поминки к нему... учну посылать не такие, как отец мой. Они ц-скому велич-ву не умели служить, а яз их лутчи государю учну служить» (1604—5 წ.; СРК I, 488)

44) «Апреля в 15 день: ...Аристов княз Сонской ...говорил, что Юрьи ц-ъ Карталинской и всея Иверские земли начальник велел ему их... послов встретить» (1604—5 წ.: СРК I, 495).

[ივ. ჯავახიშვილის დედანში ამას მოსდევს იმავე СРК-იდან ამოღებული რამდენიმე ცნობა, რომლებიც წინა ხანას, 1589—1590 წლებს, ეხება. რედ.].

განჯაში მდგომ სპარსთა მეციხოვნე ჯარის სარდლად ამამუტი ყოფილა, რომელსაც იქ თავის ცოლშვილით უცხოვრია. თუმცა მას შაჰისაგან დიდძალი სურსათი ჰქონდა გამოტანებული, მაგრამ ანგარებით გამსჭვალული ჯარს არც უფრთხილდებოდა და არც ჰკვებავდა ხეირიანად. საკმარისი იყო ოსმალეთის ლაშქარი განჯას მოსდგომოდა და სპარსთა მეციხოვნენი დაემარ-

ცხებინა, რომ პირველად თვით სარდალი გაქცეულიყო განჯითგან თავის სახლობითურთ და საქართველოში შემოხიზნულიყო ალექსანდრე მეფესთან. მის მაგალითს, რასაკვირველია, სპარსთა ლაშქრის გადარჩენილმა ნაწილმაც მიჰბაძა და კახეთში შეაფარა თავი. მეფე ალექსანდრე, როგორც მასპინძელს შეეფერება, პირველ ხანებში დიდად დახმარებია. მაგრამ მისმა ჯარმა ალექსანდრე მეფეს შესჩივლა, რომ ეს სარდალი მათ სძულთ, რაკი შიმშილით ხოცავდა, დაუდევარი იყო და პირველად სწორედ თითონ გამოიქცა. ამიტომ სპარსელებმა კახთ ბატონს სთხოვეს, რომ მას მათთვის ნება მიეცა ამამუტი გადაეყენებინათ და მის მაგიერ სხვა აერჩიათ სარდლად. ალექსანდრე მეფემ ამ ამბავის გაგონებაზე ამამუტი მთელის თავის ოჯახით დააჭერინა და საპყრობილეში გაგზავნა, სპარსელ ჯარისკაცებს-კი კახეთში დარჩენის ნება მისცა და თხოვნაც აუსრულა, მათ ახალ სარდლად ალიბეგი (Алебех) აირჩიეს. ამ სარდალმაც და სპარსთა ჯარისკაცებმაც კახთ ბატონს ერთგულება და მსახურება შეჰფიცეს [1].

ალექსანდრე მეფის შვილი ერეკლე თრიაყის სმას ყოფილა მიჩვეული (ел афьян). ომან დარბაისელის სიტყვით, მამას გაჰქცევია და ერთის მხლებლით ოსმალეთის სულტანთან მისულა; ბევრსა ცდილა, რომ ყურადღება დაემსახურებინა და თავისი მდაბალი განზრახვის განხორციელებას ჰლიირსებოდა, მაგრამ ამაოდ: მაინც ვერას ეღირსაო [2]. მისი ოსმალეთში გაქცევის შემდეგ მის სიმამრს ყაბარდოელს მთავარს ხოტოკს თავისი ასული ერეკლე ბატონიშვილის ცოლი, თავისთან დაუბარებია [3].

1590 წლის დამდეგს, იანვრის პირველს რიცხვებში მეფე ალექსანდრეს ოსმალეთითგან მისი გაქცეული შვილის სიკვდილის ამბავი მოუვიდა. ბატონიშვილთან ერთად გაქცეულმა აზნაურებმა მისი გარდაცვალების ამბავი ჩამოიტანეს, მეფეს გაუმჟღავნეს, ჩვეულებისამებრ მიცვალებულის ნიშანი, ტანისამოსი მიუტანეს და სამძიმარი უთხრეს. ერეკლე ბატონიშვილის თანამოაზრე და თანმყოლ აზნაურებმა დანაშაულობის პატიება და სამშობლოში დაბრუნების ნებართვა სთხოვეს [4].

1589 წ. სტამბოლიდგან საქართველოში პატრიარქი თ ე ო ლ ი პ ტ ი ჩამოვიდა საკალმასობოდ ძღვენისა და შეწირულობა-წყალობის შესაგროვებლად. თან, ალბათ, შემოწირულების მისაზიდავად სამღვდელმთავრო ენქერი (საკკოსი) ჩამოუტანია. პატრიარქი ალექსანდრე მეფესაც ეწვია, რომელმაც ამ ნიშნით გაბრიელ ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დაჯილდოება მოიწადინა, რაც კახთ ბატონმა სტუმრად მოსულს მღვდელმთავართ-მთავარს გაწუცხადა კიდეც. მისთვის სულ ერთი იყო ვის მისცემდა და მეფის თხოვნას სიამოვნებით დააკმაყოფილებდა, მაგრამ ამას ნიკოლოზ მიტროპოლიტი წინააღუდგა, რო-

---

[1] 1589—90 წ. ზვენიგორ. დესპანობა: СРК, I, 187.

[2] Посольство в Г. кн. С Звенигородского: СРК I, 155—156.

[3] იქვე: СРК I, 168.

[4] 1589—90 წ. ზვენიგორ. დესპ.: СРК I, 186.

შელმაც განაცხადა, რომ საქართველოში ენქერი მიტროპოლიტს გარდა არც ერთს სხვა სამღვდელო პირს არასდროს არა ჰქონია და ამიტომ არც შეიძლება, რომ იგი ალავერდელს მიენიჭოსო. ეს მეფე ალექსანდრეს ეწყინა და ამის გამო მეფე-მიტროპოლიტ ნიკოლოზს შორის, რომელიც კახეთის სამეფოში ყველაზე უფროსი სამღვდელო პირი იყო, სამდურავი ჩამოვარდა; მეფე მწყრალად იყო [1].

რუსეთითგან ჩამოსულ „მოძღვრებს“ ხეირიანად არ გაეგებოდათ მათთვის უცხო ქვეყანაში, კახეთში, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. მათ ჩამოსვლისთანავე ალავერდელ მთავარეპისკოპოს ნიკოლოზთან სურდათ საქმის დაჭერა ქრისტიანულ სარწმუნოების კახეთში განსამართავად. ამაზე მეფე ალექსანდრემ ალავერდელთან მისვლის ნება არ მისცა. კახთ ბატონის მოხელემ განუცხადა: მეფე ნიკოლოზ მიტროპოლიტზე გამწყრალია და ამიტომ თქვენ ალავერდელი არ უნდა ნახოთო. რუსებს თურმე უპასუხნიათ: სამდურავი მეფის ნება და უფლებაა, მაგრამ ჩვენს საქმეს მეფის გაწყრომასთან კავშირი არა აქვს, სასულიერო საქმეა და რატომაც არ შეიძლება მიტროპოლიტის ნახვაო? ალექსანდრე მეფის წარმომადგენლებმა მათ აუხსნეს, რომ ჯერ გამორკვეული არც-კია დარჩება ნიკოლოზი მიტროპოლიტად, თუ მეფე მას გადადგომას უბრძანებს და აი სწორედ ამიტომ არის რომ თქვენ ალავერდელი არ უნდა ნახოთო [2].

1589 წლითგან მოყოლებული 1590 წ. იანვრის დამდეგამდის მეფე ალექსანდრე ნიკოლოზ მიტროპოლიტს არ უშვებდა თავისთან და უწყრებოდა. როგორც ეტყობა მხოლოდ საახალწლოდ შეჰრიგებია კახთ ბატონი ნიკოლოზს. და მაინცდამაინც 27 დეკემბერს ჯერ კიდევ შერიგებული არ ყოფილან [3]; 3 იანვარს ისინი უკვე შერიგებული ყოფილან [4].

მეფე ალექსანდრე რუს დესპანებს ქ. გრემში (Крым) უნახავთ 15 ოქტომბერს 1589 წელს [5]. ელჩების სიტყვით კახთა მეფემ რუსთ ხელმწიფის დესპანების პირით შემოთვლილი ზეზედგომით მოისმინა, ხოლო მისი ნაწყალობევი ძღვენის და საჩუქრების ამბავის გაგონებაზე სამეფო საბურავი მოიხადა და მადლობა გადაუხადა, ხოლო თვით წყალობის სიგელი აიღო ხელში, ემთხვია და შემდეგ თავის გვერდით დასდო [6].

---

[1] 1589—90 წ. დესპან ზვენიგოროდსკისა: СРК I, 180.

[2] Посольство в Г. кн. Звениг.: СРК I, 164.

[3] იქვე, გვ. 180.

[4] იქვე, 185.

[5] СРК I, 159—160.

[6] იქვე, 160.

# [საქართველო XVII საუკუნის დასაწყისში]

მთელი XVI ს-ის განმავლობაში საქართველო გამუდმებულს ბრძოლაში იყო ჯერ სპარსეთთან, შემდეგ კი ოსმალებთან, რომელიც სპარსეთის ძლიერ და დაუცხრომელ მეტოქედ იქცა. შედარებით მყუდროებაში იყო მხოლოდ კ ა ხ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო, სადაც ამის წყალობით და ლევანისა და ალექსანდრე მეფის გამჭრიახობით ქვეყანა მოეშენა, მოსახლეობა გამრავლდა და ეკონომიურად მოღონიერდა. კახეთის ამდროინდელი ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებსაც ცხადად ემჩნევა კულტურული აღორძინება.

სულ სხვა მდგომარეობა იყო ქ ა რ თ ლ ი ს ს ა მ ე ფ ო შ ი. მასაც ამ დროს გულადი და ქვეყნის კეთილდღეობისათვის დაუღალავად მშრომელი მეფე სვიმონი ჰყავდა. მაგრამ, ვითარცა საქართველოს შუაგულ დედაქალაქ თბილისის შემცველი, ქართლი მტრის საომარ ასპარეზად იყო ქცეული. განსაკუთრებით ოსმალთა ძლიერი ჯარის მრავალგზისმა შემოსევამ და მათ წინააღმდეგ სვიმონ მეფის თავგანწირულმა მაგრამ უსწორო ბრძოლამ გააოხრა და მოჰქანცა ხალხი. მამაცური შეუპოვრობით უწევდა წინააღმდეგობას სვიმონ მეფე საქართველოს მტრებს, ჯერ სპარსელებს, მერმე ოსმალებს; ორჯერ ბრძოლის ველზე დატყვევებულს, უაღრესად შევიწროვებულს ოსმალთაგან მაინც მას ქედი არ მოუხრია და ხარკის ძლევა არ უკისრია. სვიმონ მეფემ ისე განუტევა თავისი, საქართველოსათვის ტანჯული, სული ოსმალთა ტყვეობაში, რომ ოსმალთა მოთხოვნილებაზე თანხმობა არ განაცხადა და მონობის უღელი თავის ქვეყანას და ერს არ დაადვა.

ოსმალთა ძლევამოსილებასა და საქართველოში ნავარდობას სპარსეთის შ ა ჰ მ ა ა ბ ბ ა ს I-მა მოუღო ბოლო. ის დაუძინებელი მტერი იყო ოსმალეთისა და თავისი მამაცობითა და სახელმწიფოებრივი ნიჭით მან სპარსეთი იმდენად გააძლიერა და მის კულტურულ აყვავებას ისე შეუწყო ხელი, რომ სპარსეთის ოდინდელი ძლიერებისა და ბრწყინვალების სახელი კვლავ გამოაცოცხლა. დიდი სახელმწიფო მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად მას თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და კაცურ ქცევას ავიწყებდნენ. შაჰ-აბბასი მცირე რამის გამოც ისეთს თავშეუკავებელს მრისხანებას იჩენდა ხოლმე, ისეთი ხშირად სრულებით უაზრო სისხლისღვრა, შემაძრწუნებელი ვერაგობა და შემზარავი შურისძიება იცოდა თავის მახლობელთა წრეშიაც, რომ უნებლიეთ მისი გონებრივი ნორმალურობის შესახებ ეჭვი იბადება.

საშინელი იყო შაჰ-აბბასის მეფობა საქართველოსათვის და ქართველი ერისათვისაც. მისი მთელი პოლიტიკა ვერაგობითა და სისხლის გაუმაძღრო-

ბით იყო აღსავსე. ჭორებისა და ჯაშუშობის ქსელის მოტრფიალე ის თავის გარშემო ისეთ ჯოჯოხეთურ მუხანათობისა, ინტრიგებისა და იჭვიანობის ბუდესა ჰქმნიდა, რომ მას ხშირად თითონაც საშუალება აღარა ჰქონდა სიმართლე შეეტყო და გაბმული მახითგან თავი დაეღწია. შაჰ-აბბასი საქართველოს ერთის მხრით იმიტომ გადაემტერა, რომ ქართველებმა მაჰმადიანთ მეზობელ სახელმწიფოების მძლავრების გამო თავიანთი გაჭირვებულ მდგომარეობა ვითარცა ერთმორწმუნე სახელმწიფოს რუსეთის სამეფოს აცნობეს და დახმარებაც სთხოვეს. მაგრამ ამას გარდა შინაური მტრებისა და შინათგამცემელთა მუხანათურ სისინსაც დიდს ყურადღებას აქცევდა ამბების მოყვარული შაჰი.

მრავალჯერ გამოსცადა საქართველომ აბბას I-ის მრისხანების და ვერაგობის მთელი საშინელება, მაგრამ **1614, 1616** და **1623** წწ. იყო შემზარავი. შაჰისათვის ფიცის მიცემა და გატეხა ისე ადვილი იყო, რომ მან ყოველგვარი აღთქმისა და შეფიცვისდა მიუხედავად თავისი საყვარელი ცოლის ძმაც, ქართლის მეფე ლუარსაბიც-კი არ დაინდო და ჯერ დაიჭირა, შემდეგ გამაჰმადიანება მოსთხოვა და, რაკი უარი მიიღო, საპყრობილეში ჩააგდო, სადაც შაჰის ბრძანებით მოშთობილ იქნა. ამგვარადვე მან გამაჰმადიანების უარყოფისათვის აწამა კახთა მეფის თეიმურაზ I-ის მოხუცი დედა, ქ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ა ლ ი. მისი მრისხანება იმდენად ძლიერი იყო, რომ ის საქართველოს აოხრებითა და ხოცვა-ჟლეტით არ კმაყოფილდებოდა. მან განადგურებული კახეთითგან 40.000 კომლი მცხოვრები აჰყარა და სპარსეთის სხვადასხვა ადგილას დაასახლა, რომელთა ერთი ნაწილი ფერეიდანში ეხლაც შერჩენილა და დედაენაც შენახული აქვთ. ამავე დროს შაჰ-აბბასმა სულ მთლად დაანგრევინა ქართული ხელოვნების მრავალი ძეგლი, მათ შორის კახთა მეფეების მშვენიერი ს ა ს ა ხ ლ ე ქ. გ რ ე მ შ ი.

შაჰ-აბბასის მიერ საქართველოს აოხრება იმ მხრივაც იყო საშინელი, რომ მისმა სიმკაცრემ შემოდგომის რთვილის სუსხივით დაჰკრა ახლად გამოღვიძებულ ქართული მხატრული მწერლობის ჯეჯილს. სწორედ ამ დროს იწყებოდა ხანგრძლივ მიძინებული ქართული გონებრივი შემოქმედების მოსულიერება. ერთი მხრით სეფევიან სპარსეთის პოეტურ აღორძინების ზეგავლენით, მეორე მხრით თვით ქართული ძველი მხატვრული სიტყვიერების მიმბაძველობითა და შესწავლით დაიწყო ეს აღორძინების ხანა. როგორც პირველადაც, ეხლა ფირდაუსის უკვდავ ქმნილების ქართულად გადმოთარგმნას შეუდგნენ. ძველი თარგმანი მტრების მრავალგზისი შემოსევის დროს დაიკარგა. სპარსული საგმირო თქმულებები ქართველობას იმთავითვე შეთვისებული ჰქონდა. მის რაინდულს სულს და მისწრაფებას სპარსთა საგმირო პოეზია საუცხოვოდ ენათესავებოდა და იმდენად შეესისხლხორცა, რომ თავისადაც-კი ეჩვენებოდა.

შოთა რუსთაველის დაუჭკნობელი მშვენიერებით მოსილი და ადამიანთა სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ ქცეული ქმნილება იყო ის სათაყვანებელი სიწმინდე, რომელსაც შეჰხაროდა და შესტრფოდა ამ აღორძინების ხანის ყოველი ქართველი მწერალი და რომლის მიუწდომელი მომხიბლავობა მათს პოეტურ აღმაფრენას ასე ძლიერად მისაბაძავად იზიდავდა. ამ გარე-

მოებამ ქართულ მწერლობას, ახლად გამოღვიძებულს, საშუალება მისცა იმთავითვე ეროვნული შემოქმედების სფეროც გაეცხოველებინა.

ამ ხანის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად თვით შაჰ-აბბასის შემოსევის დროს კარგად ცნობილი, სპარსეთის დიდი მტარვალის დაუღალავი მოწინააღმდეგე კახთა მეფე თ ე ი მ უ რ ა ზ I (1619—1634) იყო და ეს გარემოებაც საკმარისია, რომ ნათლად გავითვალისწინოთ ის მსახვრელი გავლენა, რომელიც უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც შაჰაბბასის შემოსევას და მძვინვარებას ქართულ გამოცოცხლებულ გონებრივ შემოქმედებისათვის. როგორ შეიძლება, რომ ხარობდეს პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი იქ, სადაც ირგვლივ მტრისაგან აოხრებული ქვეყანა იყო და ომისა და სიკვდილის შემზარავი აჩრდილი დაძრწოდა. სწორედ რომ გასაოცარი და სათაყვანებელია ის მამაცური გულგაუტეხლობა და სიცოცხლისა და მშვენიერების დაუშრეტელი წყურვილი, რომელიც თეიმურაზ მეფეს და მის ქართველ თანამედროვეებს და მიმდევნო თაობას ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც ეროვნული ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ხალისს არ უხშავდა.

# საძიებლები*

## I. პირთა სახელები

### ა

აალი, სპარსთა ისტორიკოსი 272, 273, 274, 275.
აბაშიძენი 279.
აბბას I, შაჰი 335, 339, 340, 342, 345. იხ. აგრ. შაჰაბაზი.
აბდულახან უსტაჯლუ, შირვანის შაჰი 251.
Абел бек боярѣ
აბელი, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის დიდებული (მოიკლა ალექსანდრე II-ის ძის კონსტანტინეს მიერ) 341.
აბელისძე, ანჩელი არქიმანდრიტი 58.
ადარაზანი, დავით X-ის ძე 210.
Aenea Silvius 68, 69.
ავალიშვილი 252.
ავ-გიორგი, კახთა მეფე 222, 224, 225. იხ. აგრ. გიორგი, კახთა მეფის ალექსანდრე I-ის ძე.
ათანასე, ალექსანდრე ყოფილი 42. იხ. ალექსანდრე I, დიდი, კონსტანტინე I-ის ძე.
ათანასე, არქიმანდრიტი, ათონის ქართველთა პორტაიტის მონასტრის ბერძენი ბერი 325.
Айтек мурза (ყაბარდოელი) 335.
აკაკი, ქართველი მონაზონი, ყუარყუარე ათაბაგის სასახლეში აღზრდილი, ათონის მონასტერში ბაჰადურ ყუარყუარეს ძის ალაპის დამწესებელი 111, 188.
ალემბეგი, ყარაჲლუკის შვილი, შუამდინარის მეფე 73. იხ. აგრ. ალიბეგი, Алебех, Aliembech.
ალექსანდრე I, დიდი, კონსტანტინე I-ის ძე, საქართველოს მეფე (1412—1443) 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 46, 69, 81, 82, 92, 94, 99, 127, 130, 173, 174, 175, 179, 187, 212.
ალექსანდრე I, გიორგი VIII-ის ძე, კახთა მეფე (1476—1511) 49, 83, 92, 93, 94, 95, 132, 133, 150, 211, 212, 218, 219, 220, 221.
ალექსანდრე II, ბაგრატ II-ის ძე, იმერეთის მეფე (1484—1510) 86, 132, 133, 134, 135, 142, 143, 144, 145, 151, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218.
ალექსანდრე, კონსტანტინე II-ის ძე (ქართლის მეფეთა დავით X-ისა და გიორგი IX-ის ძმა) 209.
ალექსანდრე VI, რომის პაპი 156, 157, 158, 160, 161.
ალექსანდრე II, ლეონის ძე, კახთა მეფე (1574—1605) 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 238, 239, 266, 267, 272, 275, 276, 277, 284, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 319, 320, 321, 322, 323, 325, 326, 327, 328, 330, 331, 332, 333, 334, 335, 337, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345. იხ. აგრ. Олександр царь.
Алехам султан, ყიზილბაშთა შაჰის კაცი 344.
ალვანდი, უზუნ-ჰასანის ძე 241.
ალი, ჰაიდარის ძე 240.
ალიბეგი (Алебех), სპარსთა ჯარის სარდალი 343.
Aliembech, filus Caratluci (ალიბეგი, ყარაჲლუკის შვილი) 74
ალკასი, ჩერქეზთა ბატონი, ალექსანდრე II-ის ბიძა 295, 296, 318, 335.

* საძიებლები შეადგინა ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატმა მ. კ ა ხ ა ძ ე მ.

**ალფონსი,** ნეაპოლის მეფე 65.
**ამამუტი,** სპარსთა ჯარის სარდალი 342, 343.
**ამბა** იოანე ალავერდელი 220.
**ამბროზიო,** ამბროსი კონტარინი, იტალიელი, საქართველოში იმოგზაურა 1473—1474 წ. 87, 100, 101, 104, 107, 108, 113, 175.
**ამბროსი,** ქაიხოსრო ათაბაგის გაზრდილი და მზეჭაბუკის მიერ წარვლენილი წმინდა ადგილებში მისი მამის ყუარყუარე III-ის ალაპის დასადებად 109, 110, 162, 163, 164.
**ამილახვარი,** ძე იოთამისი (ამას მიუბოძა გიორგი VIII-მ «ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი») 87.
**ამნადინი,** ვინმე სომეხი, რომელმაც 1438 წელს პურისჭამის დროს მოწამლა ბეშქენ ორბელიანი 35.
**ამოანი,** ქართველი დიდებული (ლუარსაბ I-ის თანამედროვე) 252.
**ანა,** კახთა მეფის ალექსანდრე I-ის მეუღლე 93, 132, 211, 218.
**ანდრია,** რუსეთის მეფის თევდორეს მოციქული საქართველოში 340.
**ანდრია** მოციქული (ბიბ.) 116, 117, 118.
**Аристов,** князь Сонский 342.
**არფაქსადი** (ამან ჩააბარა 6 ციხე ლალაფაშას და სანაცვლოდ იგი დანიშნულ იქნა ხახულის სინჯაყ-ბეგად) 274.
**არჩილ,** ბაგრატ მუხრან-ბატონის ძე, კონსტანტინე II-ის შვილიშვილი 209.
**Assambech;** ჰასან-ბეგი, სპარსეთის მეფე 74 144. იხ. აგრ. უზუნ-ჰასანი.
**ასანბეგი,** შაჰ-შირვანის მფლობელი (კახთა მეფის ლევანის თანამედროვე) 245.
**ასანი,** ფაშა ახალციხისა 278.
**აღბუღა** I, იოანეს ძე, სამცხის ათაბაგი 51, 52, 88, 89.
**აშოთან** ბაგრატის ძე, კონსტანტინე II-ის შვილიშვილი 209.
**ახმედი,** ყარამანის (ადგ.) ამირა 103.
**აჰმედ-ფაშა,** სულეიმან II-ის ვეზირი 250.

## ბ

**ბაადური** 79. იხ. ბაჰადურ ყუარყუარეს ძე.
**ბაგრატ** V, დავით IX-ის ძე, ალექსანდრე I-ის (დიდის) პაპა, კონსტანტინე I-ის მამა (1360 — 1393) 25.
**ბაგრატი,** კონსტანტინე I-ის ძე, ალექსანდრე I-ის (დიდის) ძმა 25, 26, 81.
**ბაგრატი,** იმერეთის მეფის კონსტანტინეს ძე 83.
**ბაგრატ** VI, გიორგის ძე, ქართლ-იმერეთის მეფე (1466 — 1478) 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 93, 94, 95, 97, 98, 99, 100, 101, 102, 106, 107, 108, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 119, 121, 122, 125, 126, 127, 129, 132, 134, 135, 143, 150, 151, 153, 166, 168, 179, 184.
**ბაგრატი,** ალექსანდრე I-ის ძე (ბერი ეგნატაშვილის მიხედვით) 92.
**ბაგრატი,** ალექსანდრე II-ის, იმერთა მეფის მამა 213.
**ბაგრატ** III, იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე 212, 216, 217, 218.
**ბაგრატი,** მუხრან-ბატონი, კონსტანტინე II-ის ძე 128, 130, 209, 222, 223, 224, 225, 226, 235, 238.
**ბაგრატ** II, იმერეთის მეფე (ვახუშტის მიხედვით დიმიტრის ძეა, სინამდვილეში კი იგი არის ბაგრატ VI, გიორგის ძე) 69, 78.
**ბაგრატ** III, ალექსანდრეს ძე, იმერეთის მეფე (1510—1565) 135, 243, 244, 245, 247, 249, 268.
**ბაგრატი,** იმერეთის მეფის გიორგი II-ის ძე 267, 268.
**ბაგრატი,** იმერეთის მეფე (ქართლის მეფის სიმონ I-ის თანამედროვე) 280.
**ბაგრატი,** კახთა მეფის ლეონის ძე 236.
**ბაინდურ** ერისთავი (ქართლის მეფის დავით X-ის თანამედროვე) 210.
**ბაიაზ** II-ის შვილი, ტრაპიზონის მმართველი 241.
**ბარათა** ქაჩიბას ძე სალაროს მოლარე (გიორგი VIII-ის თანამედროვე) 82.
**ბარათასშვილები,** 146, 150.
**ბარათაშვილები,** (დავით X-ის თანამედროვენი) 211.
**ბარათაშვილი მერაბ,** 149.
**ბარათაშვილის ასული,** ქართლის მეფის დავით X-ის მეუღლე 131.
**ბარათიანნი** 125, 149, 263.

ბარბაროზა, ბარბაროს, Barbaro, ვენეტიკის რესპუბლიკის დესპანი საქართველოში ბაგრატ VI-ის დროს 100, 105, 106, 107, 112, 113, 120, 121, 122, 124.

ბარტოლდი 74.

Bartolomaei de Salignaco 192.

ბასილი უჯარმელი ულუ-დავითის მწიგნობართ-უხუცესი 188.

ბაქრაძე დ. 165, 167.

ბაადური, ბაჰადური, ყვარყუარე ათაბაგის ძე 79, 110, 111, 148, 188.

ბაჰრამი, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის სიძე 330.

ბედიანი, Bedian, Bendas, სამეგრელოს მთავარი 68, 70, 71, 105, 108, 153, 161.

ბელოკუროვი ს. Белокуров с. 226, 294, 300, 302, 304, 307, 309, 310, 311, 312, 320.

ბესარიონი, გიორგი მთაწმინდლისეული ოთხთავის გადამწერელი 277.

ბეშქენ, სუმბატის ძე ორბელიანი, 35, 36.

Бирибей, შაჰ-აბაზის დესპანი 335.

ბროსე მ. 12, 38, 69, 86, 124, 135, 143, 144, 147, 154, 155, 156, 157, 214, 218, 239, 241, 263.

ბურგუნდიის მთავარი (ამას მისწერა წერილი გიორგი VIII-მ და თანხმობას უცხადებდა თურქთა წინააღმდეგ მოსალოდნელ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე) 52, 67, 73.

ბუსსე 156.

## გ

გაბრიელი, ალავერდელი მთავარ ეპისკოპოსი (კახთა მეფის ალექსანდრე II-ის თანამედროვე) 292, 343.

გაბრიელი, მთავარ-ანგელოზი 285.

გაიანე, ბაგრატ VI-ის, ქართლ-იმერეთის მეფის, .და. 83.

გარსევან ჩოლოყაშვილი, კახთა მეფის ავგიორგის სახლთ-უხუცესი 133.

გელოვანი. (იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის, თანამედროვე) 133.

გენადიოსი, ბერძენი ბერი. (ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწინააღმდეგე მართლმადიდებლური და კათოლიკური ეკლესიების უნიისა) 65.

Georgius rex Persarum 68. იხ. გიორგი VIII, ალექსანდრე დიდის ძე.

გერასიმე, გიორგი ყოფილი 209, 244. იხ. გიორგი IX, კონსტანტინეს ძე, ქართლის მეფე.

გერასიმე კუმურდოელი, მთავარ-ეპისკოპოსი 164, 165, 166, 167.

გიორგი წ˝ა 151, 174.

გიორგი მთაწმინდელი (1009 — 1065) 118, 277.

გიორგი ხუცეს-მონაზონი, გიორგი მთაწმინდელის მოწაფე და ბიოგრაფი 56.

გიორგი V, ბრწყინვალე, დიმიტრი თავდადებულის ძე (1314—1346) 191, 212.

გიორგი VII, ბაგრატ V-ის ძე (თემურ ლენგის თანამედროვე) 23, 24, 25, 30, 46, 81.

გიორგი VIII, ალექსანდრე I-ის (დიდის) ძე (1446 — 1466, კახეთში 1466 — 1476), 24, 25, 26, 27, 28, 29, 41, 42, 43, 44, 46, 47, 48, 49, 50, 52, 53, 61, 62, 66, 67, 68, 69, 72, 75, 77, 78, 79, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 114, 123, 124, 129, 130, 132, 157, 162, 179, 182, 184, 187, 210.

გიორგი VIII-ის ასული, ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის, კონსტანტინე IX-ის, საცოლე 51.

გიორგი კონსტანტინე I-ის ძე, ალექსანდრე I-ის (დიდის) ძმა 25, 26.

გიორგი ბაგრატ VI-ის მამა 81, 82, 83.

გიორგი IX, კონსტანტინე II-ის ძე, ქართლის მეფე (1525 — 1535) 128, 130, 209, 243, 244.

გიორგი II, ბაგრატ III-ის ძე, იმერეთის მეფე (1565 — 1585) 267, 268.

გიორგი X, სიმონ I-ის ძე, ქართლის მეფე (1601 — 1606) 262, 273, 304, 337, 342.

გიორგი, კახთა მეფის ალექსანდრე I-ის ძე ანა დედოფალთან 132, 211, 212, 218, 219, 220, 221, 232, 237. იხ. აგრ. ავგიორგი, კახთა მეფის ალექსანდრე I-ის ძე.

გიორგი, კახთა მეფის ლევანის ძე 231, 232, 234, 235, 236, 237, 238, 239, 263.

**გიორგი**, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე 266, 291, 292, 297,, 298, 304, 323, 330, 332, 333, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, აგრეთვე Юрьи Мурза.

**გიორგი**, ანდრონიკეს შვილი, ალასტანელი 34.

**გიორგი გურიელის** შვილი 245.

**გოდერძი ერისთავი**, ბაინდურის ძმა (ქართლის მეფის დავით X-ის თანამედროვე) 210.

**გოდუნოვი ბორის** 310.

**გორბოლა** Gorbola (=Samadola) 107, 108, იხ. შამადავლე I.

**გორგასალი** ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე III-ის შვილიშვილი 210.

**გორგიჯანიძე** ფ. 235, 246, 247, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 262, 263, 264, 266, 280.

Gorghora Chelsech a (=ყუარყუარე ასალციხელი) 248.

Gorgora dux Georgianae 68, 70.

**გოსტასაბ** ერისთავი, ქართლის მეფის დავით X-ის თანამედროვე 210.

**გოტვალდი**, პროფ. 124.

**გრიგოლი**, ეპისკოპოსი ბოლონიისა 169.

**გრიგოლი**, მანუჩარ II-ის ძმა, ქაიხოსრო II, სამცხის ათაბაგის, ძე 272.

**გურიელი**, გიორგი VIII-ის თანამედროვე 78.

**გურიელი** მამია 280.

**გუტენბერგი** იოჰანი, ბეჭდვითი ხელოვნების ფუძემდებელი 186.


## დ


**Დადიანი** (გიორგი VIII-ის თანამედროვე) 78.

**დადიან-გურიელი** (იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატისძის თანამედროვე) 133, 134, 143, 145.

**დადიანი** (= მამია IV) 272, 279, 280, 296 (ამ მამია IV-ს ცოლად ჰყავდა კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ასული).

**Дадьянский** князь (ალექსანდრი II-ის (კახთა მეფის) თანამედროვე) 335.

**დავით IV**, აღმაშენებელი, გიორგი II-ის ძე (1089 — 1125) 212.

**დავითი**, ალექსანდრე I-ის, დიდის, ძე შემდგომ კათალიკოსი 26, 27, 79, 90, 91, 92, 93, 130.

**დავითი**, ბაგრატ V-ის ძე, კონსტანტინე I-ის ძმა 25.

**დავით X**, კონსტანტინე II-ის ძე, ქართლის მეფე (1505 — 1525) 83, 128, 130, 131, 209, 210, 211, 213, 214, 218, 221, 222, 224, 225, 227, 229, 230, 243, 244. იხ. აგრეთვე დამიანე.

**დავითი**, იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის ძე 135.

**დავით XI** (დაუთხანი), ლუარსაბ I-ის ძე, ქართლის მეფე (1564 — 1579) 263, 264.

**დავითი**, კახთა მეფის ლევანის ძე 232, 233, 234, 235, 236.

**დავით I, (Давид)**, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე 266. 297, 336. 337, 338, 340.

**დავით** კათალიკოსი 55, 58, 97.

**დავითი**, ტრაპიზონის იმპერატორი 73.

**დამიანე** დავით ყოფილი 243, 244, იხ. დავით X, კონსტანტინე II-ის ძე.

**დანილოვი** ევნატე, რუსეთის მოციქული და თარჯიმანი საქართველოში კახთა მეფის ალექსანდრე II-ის დროს 299.

**დაუთ-ხანი** 264, 265, 266, 268, 269, 270, 271, 275, 289. იხ. აგრ. დავით XI, ლუარსაბ I-ის ძე.

**დედისიმედი**, ყუარყუარე ათაბაგის მეუღლე 110, 111.

**დედისიმედი**, ყუარყუარე V-ის ცოლი, მანუჩარ II-ის დედა 272.

**დერვიშ მაჰმადხანი**, შაქის მბრძანებელი 216, 251.

**დიასამიძე შერმაზანი**, იმერთა მეფის გიორგი II-ის, ბაგრატის ძის მეუღლის, თამარის, მამა 268.

**დივ-სულტანი**, შაჰ-ისმაილის ერთ-ერთი სარდალი 227, 228.

**დიმიტრი**, იმერთა ერისთავის ბაგრატის მამა ვ ა ხ უ შ ტ ი ს მიხედვით 78, 80, 81. („იმერეთის ერისთავი ბაგრატი“ არის ბაგრატ VI, რომელმაც გიორგი VIII-ს ქართლი წაართვა და იმერეთ-ქართლის მეფედ გახდა; მისი მამა ი. ჯ ა ვ ა ხ იშ ვ ი ლ ი ს მიხედვით იყო არა დიმიტრი, არამედ გიორგი).

**დიმიტრი**, ალექსანდრე I, დიდის, ძე 27, 26, 28, 29, 30, 42, 43, 99, 127, 130.

**დიმიტრი,** კონსტანტინე II-ის მამა 130.

**დიმიტრი,** ქართლის მეფის დავით X-ის ძე 210.

**დიმიტრი,** კახთა მეფის ალექსანდრე I-ის ძე 132, 211, 218, 219, 220.

**დიონოსი** კ<sup></sup>ზი (ავ-გიორგის თანამედროვე) 220.

**დორნი** 228, 235, 237, 241, 246, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 259, 262, 263, 266, 275, 276, 284.

**დოროთეოსი,** ანტიოქიის პატრიარქი 54, 164, 167, 168, 169, 171.

**დოროთეოზი,** ქართლის კათალიკოსი (ლუარსაბ I-ის თანამედროვე) 257.

**დულანდუხტი,** ალექსანდრე I-ის, დიდის, მეუღლე 28, 31.


## ე


**ეგნატაშვილი ბერი,** ვახტანგ VI-ის მიერ „შეყრილ ისტორიკოსთა" კომისიის ერთ-ერთი მთავარი წევრი 12, 13, 92, 153, იხ. აგრეთვე ვახტანგისეული კომისია.

**ევაგრე,** ქართლის კათალიკოსი (თანამედროვეა მზექაბუკ და გერასიმე კუმურდოელი მთავარ-ეპისკოპოსის) 165, 166.

**ელისაბედი,** ესპანეთის დედოფალი 156. იხ. იზაბელა.

**ელენე დედოფალი,** ავ-გიორგის მეუღლე 225, 226, 234, 235, 238.

**Елена**, კახეთის მეფის დავით I-ის ასული 340.

**ელენე,** იმერთა მეფის ბაგრატ III-ის, ალექსანდრეს ძის მეუღლე 218.

**ელიმირზა,** კახთა მეფის ლევანის-ძე 231, 232, 233, 235, 236.

**ელიოზ,** ქართლის კათალიკოსი 82.

**ერეკლე,** ბაგრატ მუხრან-ბატონის ძე (კონსტანტინე II-ის შვილიშვილი) 209, 235, 238.

**ერეკლე,** კახთ ბატონის ლევანის ძე 236.

**ერეკლე,** კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე, 266, 296, 343.

**ერისთავი** 342, იხ. Аристов.

**ესპანეთის დედოფალი** 160, 161. იხ. აგრეთვე: ელისაბედი, იზაბელა.

**ეფთჳმე მთაწმინდელი** (955—1028) 283.

**ეფრემ მცირე** (1025—1100) 118.


## ვ


**ვადდინგო** 67, 68, 70, 72, 98.

**ველიხანი,** შაჰაბაზის დესპანი კახთა მეფე ალექსანდრე II-სთან 335.

**ველიამინ სტეპანოვი,** რუსეთის მეფის თევდორე იოანეს ძის დესპანი და თარჯიმანი თათრული ენისა 299.

**ვენეტიკელი ელჩები** (ჯიოვან მარია ანჯიელლო) 125.

**ვახტანგ IV,** ალექსანდრე I-ის, დიდის ძე (1443—1446) 26, 27, 28, 29, 42, 44, 45, 92, 99, 130.

**ვახტანგი,** კახთა მეფის ლევანის ძე 230, 231, 233.

**ვახტანგ VI,** ლევანის ძე, მეფე ქართლისა (1703—1716) 12, 221.

**ვახუტში,** ლორეს ბატონი 250, 252.

**ვახტანგი,** ბაგრატის ძე, კონსტანტინე II-ის შვილიშვილი 209.

**ვახტანგი,** კონსტანტინე II-ის ძე, ქართლის მეფეთა დავით X-ისა და გიორგი IX-ის ძმა 209, 222, 243.

**ვახტანგი,** აფხაზ-იმერეთის მეფე (მისი მემკვიდრე გიორგი IX გამეფებულა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს თქმით 1447 წ.) 48.

**ვახტანგი** (ამის შვილმა ხოსრომ 1568 წელს უღალატა იმერეთის მეფეს გიორგი II-ს, ბაგრატის ძეს, და თვის დაესხა მას იანეთს, საშვილიაში) 263.

**ვახტანგ** „გორგასლად" წოდებული, ალექსანდრეს ძე (იმერეთში გამეფდა 1432 წ. და გარდაიცვალა 1445 წ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიხედვით. როგორც ი. ჯავახიშვილმა გამოარკვია ეს ცნობები ამოკრებილია ნატყუარ სიგლიდან და ამდენად სარწმუნო არ არის) 144.

**ვახტანგ ბატონიშვილი,** ერეკლე II-ის ძე 50.

**ვახტანგისეული კომისია, ვახტანგ მეფის მეცნიერ ისტორიკოსნი, ვახტანგის ისტორიკოსთა კომისია, ვახტანგისეული საისტორიო კომისია, ვახტანგის მიერ შეყრილი კომისია, ვახტანგისეული სწავლული კაცები, ვახტანგ VI-ის მიერ**

მოწვეულნი ისტორიკოსებში, რომლებმაც ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შეადგინეს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება, ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“ 12, 20, 42, 93, 127, 141, 142, 152, 153, 221, 223, 224, 225, 226. იხ. აგრ. ეგნატაშვილი ბერი.

**ვახუშტი ბატონიშვილი,** ვახტანგ VI-ის ძე 12, 13, 24, 30, 31, 32, 34, 35, 38, 41, 42, 43, 44, 45, 51, 52, 62, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 100, 101, 107, 108, 111, 119, 127, 128, 130, 133, 134, 135, 137, 138, 143, 145, 146, 147, 148, 150, 162, 163, 164, 165, 166, 169, 170, 209, 213, 214, 215, 216, 217, 218, 220, 221, 223, 224, 225, 226, 228, 230, 231, 232, 233, 234, 235, 237, 238, 239, 243, 244, 245, 246, 261, 265, 274.

**ვენეტიკელი დესპანი** ვენეციელი მოგზაური 105, 113. იხ. ამბროზიო კონტარინი.

**ვლასი** ურბნელი მთავარ-ეპისკოპოსი (ქართლის მეფის სიმონ 1-ის თანამედროვე) 264.

## ზ

**ზაალი,** ალექსანდრე I-ის, დიდის, ძე (მეხუთე შვილი) 27, 28.

**ზაზა ჯავახიშვილი** ბაგრატ VI-ის, ქართლ-იმერეთის მეფის შეწყალებული 83.

**ზაქირი,** მუჰამედ სულთანის ჯარისკაცი, რომელმაც სასიკვდილოდ დასჭრა ისრით ლუარსაბ I 257.

**Захар,** архиепископ Некресельский 340.

**ზებედე** ქ~ზი, ლუარსაბ I-ის თანამედროვე 254.

**ზევდგინიძე იოთამ,** უერთგულესი ქვეშევრდომი გიორგი VIII-ისა 78, 79, 80, 87, 88, 89, 90, 91, 93, 101, 102, 122.

**ზვენიგოროდსკი,** რუსეთის მთავარი დესპანი საქართველოში კახთა მეფის ალექსანდრე II-ის დროს 92, 289, 290, 291, 292, 293, 295, 296, 300, 303, 304, 310, 311, 312, 313, 316, 317, 318, 319, 322, 324, 325, 328, 343, 344.

**ზურაბ ერისთავი** (ქართლის მეფის დავით X-ის თანამედროვე) 210.

## თ

**Თამაზი** 257, 275. იხ. შაჰ-თამაზი.

**თამარაშვილი** მ. 52, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 98, 155, 156, 157, 192, 248, 278, 279.

**თამარ მეფეთა-მეფე,** გიორგი III-ის ასული (1184 — 1213) 83, 97, 102, 212.

**თამარი,** ალექსანდრე I-ის, დიდის, მეუღლე 26, 28, 29, 30, 31, 99.

**თამარი,** კონსტანტინე II-ის, დიმიტრის ძის, მეუღლე 128, 130, 151.

**თამარი,** გიორგი VIII-ის, ალექსანდრეს ძის, მეუღლე 48, 49.

**თამარი,** იმერეთის მეფის, ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის, მეუღლე 135, 144, 212.

**თამარი,** დავით X-ის (კონსტანტინეს ძის) მეუღლე 210.

**თამარი,** შერმაზან დიასამიძის ქალი, იმერეთის მეფის გიორგი II-ის, ბაგრატის ძის, მეორე ცოლი 268. იხ. ქრისტინე, თამარ ყოფილი.

**თაყაიშვილი** ე. 12, 38, 87, 99, 129, 163, 209, 215, 224, 238, 243, 245, 247, 250, 256, 257, 263, 265, 268, 269, 274, 277, 278, 280.

**თევდორე,** იოანე IV-ის ძე, რუსეთის მეფე (1584 — 1598) 299, 300, 303, 307, 308, 309, 310, 312, 315, 317, 323, 336.

**თეიმურაზ** კახთა მეფის ლეონის ძე 236.

**თეიმურაზ** I, დავით I-ის ძე, კახეთის მეფე (1606 — 1616, 1623 — 1632) ქართლ კახეთის (1634 — 1648) 340, 347.

**თემურ-ლენგი,** გვარად ჩინყიზი, სპარსეთის შაჰი (1333 — 1405) 17, 20, 21, 22, 25, 29, 30, 36, 37, 46, 173 174, 175, 179, 185, 188, 302.

**თეოდორე III,** ქართლის კათალიკოსი (ალექსანდრე I-ის, დიდის, თანამედროვე) 27, 34.

**თეოლიპტი,** სტამბოლის პატრიარქი (საქართველოში ჩამოვიდა საკალმასოდ 1589 წ.) 343.

**Фергат-хан** შაჰ აბაზის მახლობელი პირი 335.

**თინათინი,** გურიელის ასული, ლევან კახთა მეფის თანამეცხედრე 212, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239.

**თინათინი,** ბარათა ქაჩიბასძის მეუღლე 72.

**თინათინი,** კახთა მეფის ალექსანდრე II-ის მეუღლე 266.

**თომა მეწობელი,** სომეხთა ისტორიკოსი 32, 33, 35, 36, 40, 41, 45, 294.

**თორნიკე ერისთავი,** ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი 283.

**თულაშვილი** (ამან წაუქცია ცხენი ბრძოლის დროს სიმონ I-ს და თათრებმა იგი დაიჭირეს და 1599 წ. სტამბოლს გაგზავნეს ხონთქართან) 280.

**თუმანიშვილი ზაქარია** (კონსტანტინე II-ის, დიმიტრის ძის, მდივანი) 128.


## ი


**იანქო,** სამცხის ათაბაგი ყუარყუარესა და დედისიმედის უმცროსი შვილი 110.

**იალუბი,** უზუნ-ჰასანის ძე და ტახტის მეტოქე 126.

**იაყუბ-ყაენი** 145, 146, 147, 148.

**იბრაჰიმი,** ჰაიდარის-ძე 240.

**იერემია,** კონსტანტინეპოლის პატრიარქი 329.

**იესე,** კახთა მეფის ლევანის ძე (ვახუშტის მიხედვით) 230, 232, 233, 234, 235, 237, 238, 284.

**იესე,** კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძის, გიორგის, ძე 341.

**იესო ქრისტე** 159. იხ. აგრეთვე ქრისტე.

**ივანე აღბუღას-ძე,** სამცხის მთავარი (მის მიერ მოწყობილი ამბოხება ჩააქრო ალექსანდრე I-მა, დიდმა) 31, 32.

**Иван, Терский жилец** 335.

**ივლიანე უსჯულო,** „განდგომილი“, ბიზანტიის კეისარი (361—363) 257.

**იზაბელა,** ესპანეთის დედოფალი (ამასთან გაგზავნა დესპანი კონსტანტინე II-ემ, დიმიტრის ძემ) 154, 155, 157, 158. იხ. ელისაბედი.

**იმამ-ყული-ხანი** 224.

**იოაკიმე თითას-მანელიძე,** იკორთის წინამძღვარი 44.

**იოანე მახარებელი (ბიბ.) 277.**

**იოანე ალავერდელი** 220.

**იოანე-ზოსიმე,** X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფი 18.

**იოანე მთაწმინდელი,** ცნობილი ძველი საეკლესიო მწერლის ექვთიმეს მამა 283.

**იოვაკიმე,** აფხაზეთის კათალიკოსი, რომელიც ხელდასმულ იქნა ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქის მიერ ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის დროს 116, 117, 118.

**იორამი,** ალექსანდრე II-ის მთავარი დესპანი 331.

**იოსები,** მთავარ-ეპისკოპოსი (ლუარსაბ I-ის თანამედროვე) 254.

**იოსელიანი პ.** 40.

**იოსებ ჯანდიერაშვილი** (ალექსანდრე II-ის, კახთა მეფის, თანამედროვე) 267.

**ირაკლი,** კახთა მეფის ალექსანდრე მეორის ძე 332. იხ. აგრ. ერეკლე, ალექსანდრე II-ის ძე.

**ისა-ხანი, ისე-ხანი, I sse,** ლევან კახთა მეფის ძე 237, 284, 286, 289. იხ, იესე, კახთა მეფის ლევანის ძე.

**ისიდორე,** კარდინალი, რომის პაპის მოციქული. (1452 წ. იგი იყო კონსტანტინეპოლს ეკლესიათა შეერთების თაობაზე). 65.

**ისკანდარ-ფაშა,** აზრუმის ბეგლარ-ბეგი 252.

**ისკანდერ მუნში,** სპარსთა ისტორიკოსი 235, 237, 238, 246, 263, 284, 294.

**ისმაილი, ისმაილ-შაჰი,** ძე შიხისა, სპარსეთის ყაენი 227, 230, 238.

**ისმაილი,** ჰაიდარის ძე, ისმაილ II 240, 241, 242, 284. იხ. აგრ. შაჰ-ისმაელი.

## კ

კავკასიძე ამირინდო (გიორგი VIII-ის თანამედროვე) 88.
კაკაბაძე ს. 12, 18, 33, 34, 44, 46, 47, 48, 50, 51, 79, 80, 81, 82, 83, 84, 90, 98, 99, 109, 115, 116, 119, 131, 134, 135, 143, 144, 209, 211, 213, 215, 217, 218, 232, 243, 245, 247, 254, 261, 266, 267.
კალიქსტი III, რომის პაპის ნიკოლოზ V-ის მოადგილე 66.
**Caramanum, Caramanis,** იბრაჰიმ ბეგის შვილი ყარამანი, ლიკაონიის მმართველი 74.
კარლო VII, საფრანგეთის მეფე 76.
კახაბერი გურიელი (ამას მისცა ყვარყვარე II-მ, ბექას ძემ, «აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა» ბრძოლაში დახმარებისათვის) 78.
კახა ჯავახიშვილი (იმერთა მეფის ბაგრატ II-ის შეწყალებული) 83.
**Кенжинский паша** 336.
**Chillnar Saphi** (= Chir Luarsaphi *κυρ Λουαρσαβι*) 278. იხ. ლუარსაბ I.
კირილე, ალექსანდრე II დესპანი რუსეთში 310, 336, 337, 338.
კოლუმბი ქრისტეფორე 187.
კონსტანტინე დიდი, ბიზანტიის კეისარი (324—337) 329.
კონსტანტინე XI, ბიზანტიის უკანასკნელი კეისარი 49, 50, 51, 63, 64, 66.
კონსტანტინე, ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის მამა. (!) 83.
კონსტანტინე ბატონიშვილი, ბაგრატ VI, ქართლ-იმერეთის მეფის, ძმა 97, 98, 99, 100.
კონსტანტინე, ბაგრატ VI-ის ძე (ბერი ეგნატაშვილის მიხედვით) 127.
კონსტანტინე, იმერთა მეფის გიორგი II-ის (ბაგრატის ძის) ძმა 268.
კონსტანტინე, ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე II-ის შვილიშვილი, დავით X-ის ძმისწული 210.
კონსტანტინე I, ბაგრატ V-ის ძე, ალექსანდრე I-ის, დიდის, მამა (1407—1411) 23, 24, 25, 26, 30, 31, 81, 82.
კონსტანტინე II, დემეტრეს ძე (1479—1505) 91, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 136, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 161, 165, 182, 209, 213, 214, 218, 244.
კ̃ე კახთა მეფე ლევანის ძე 236.
კონსტანტინე, **Костянтин, Константин, Костентин,** კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე 226, 276, 289, 294, 332, 336, 340, 341, 342.
კონსტანტინე, გიორგი VIII-ის ძე (ვახუშტით) 79, 93. 94, 100, 101, 127, 159, 160.
კონსტანტინე, ბაგრატის ძე (ალექსანდრე I-ის, დიდის, შვილიშვილი) 90.
კონტარინი, იხ. ამბროზიო.
კორნელი 154. იხ. ნილოსი.
**Куршеух,** თურქეთის დესპანი ალექსანდრე II კახთა მეფესთან 335.
**Куршит,** ალექსანდრე II-ის დესპანი რუსეთში 310. იხ. ხურშიტა.
კუქაიძე, იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის, თანამედროვე 143, 186.

## ლ

ლალა ფაშა, ოსმალთა ჯარის სარდალი 273, 274. 277, 284. იხ. აგრეთვე მუსტაფა ფაშა.
ლასურიძე ივანე ყუმურდოელი 59.
ლაშა-გიორგი, გიორგი IV, მეფეთა-მეფის თამარის ძე (1213—1222) 180.
ლაშხიშვილი იმერთა მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის, თანამედროვე 143.
**Lebeau** 50.
ლევანი, ლეონი, ლევენდ-ბეგი, კახთა ბატონის ავ-გიორგის ძე (1520—1574) 212, 225, 226, 227, 228, 229, 231, 232, 233,

234, 235, 236, 237, 238. 239, 245, 246, 249, 250, 251, 262, 263, 267, 279, 284, 345.
**ლევანი გიორგის** ძე, იმერეთის მეფე 280.
**ლენ-პული** 74.
**ლეონ I,** დადიანი 250.
**Leuentogli** 286, 287, 288.
**Leuent** 289.
**ლიპარიტ I,** მამია II-ის ძე 31, 107.
**ლიპარიტ II,** დადიანი 144, 243.
**Lyon Zagam** (=Leon Zegam) 248.
**ლუარსაბ** I, (Levarsap) დავით X-ის ძე, ქართლის მეფე (1534—1558) 210, 211, 237, 244, 246, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 268, 279.
**ლუარსაბ I-ის დედა** 255.
**ლუარსაბ II,** გიორგი X-ის ძე, ქართლის მეფე (1606—1615) 276, 346.
**ლუდოვიკე ბოლონიელი,** მინორიტების მოწესეთაგანი 66, 67, 68, 75, 76.
**ლუდოვიკო XI,** კარლოს VIII-ის შვილი 76.
**ლუდოვიკო,** ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქი (მოკლულ იქნა ბაგრატ VI-ის, გიორგისძის, დროს აფხაზეთში) 113.
**ლუკა** მახარებელი (ბიბ.) 277.
**ლუკა ნოტარასი,** ბიზანტიის სამეფოს მინისტრთა უპირველესი 65.
**ლუტერი, მარტინი** 186.

## მ

**Магмет султан,** თურქეთის შაჰი (კახთა მეფის ალექსახდრე II-ის თანამედროვე) 335.
**Магмет-бек** შაჰ-აბაზის დესპანი კახეთში 340, 341.
**Магмет,** კახთა მეფის ალექსანდრე II მკვლელის კონსტანტინეს თანამოაზრე 342.
**მათე,** მახარებელი (ბიბ.) 277.
**М. Игнатьевич,** რუსი დესპანი 340.
**მალაქია,** მთავარ-ეპისკოპოსი (ავ-გიორგის თანამედროვე) 220.
**მამია გურიელი** 245.
**Mania** (sic) marchio Goriae (=მამია გიორგი VIII-ის თანამედროვე) 68, 70, 71.
**მამია II,** დადიანი, ალექსანდრე I-ის, დიდის, თანამედროვე (მოიკლა შარვაშიძის მიერ 1414 წ., როცა იგი (მამია) აფხაზეთის დასამორჩილებლად ლაშქრობდა) 31.
**მამია III,** დადიანი 243, 245, 247.
**მამია IV,** დადიანი 280.
**მამლუკ ხალიფა აშრაფ სეიფ-ადდინ კაიტბეი,** ეგვიპტის სულტანი (ამასთან გაგზავნა კონსტანტინე II-მ დესპანი ნილოსი) 154.
**მანუჩარ,** ათაბაგი (დავით X-ის და ლევან კახთბატონის თანამედროვე) 227, 228, 229.
**მანუჩარ I,** ყუარყუარეს ძე 145, 146, 147.
**მანუჩარ II,** ქაიხოსროს ძე, სამცხის ათაბაგი 272, 274, 275, 277, 278.
**მარი ნ.** 154, 192.
**მარკოზი,** მახარებელი (ბიბ.) 277.
**მარტიროსი,** სომეხთა ეპისკოპოსი (XV საუკ.) 154, 192.
**მაჩაბელი,** (არადეთის 1484 წლის ბრძოლის მონაწილე) 137.
**მაჰმადი,** სულტანი 273.
**მაჰმად ფაშა** 277.
**მაჰმედი,** უზუნ-ჰასანის დესპანი დასავლეთ ევროპაში 75.
**მელქიზედეკი,** მღვდელ-მონაზონი (კონსტანტინე II-ის თანამედროვე) 209.
**Менкизенянь** თერგელი 341.
**მზექაბუკ I,** ყუარყუარეს ძე 54, 108, 110, 125, 126, 140, 146, 163, 164, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 188, 213, 243.
**მთაწმიდელები** 330.
**მინადოუ,** იტალიელი ისტორიკოსი 238, 284, 286, 287, 288, 289.
**მიქაელი,** ქართლის კათალიკოსი (ალექსანდრე I-ის, დიდის, თანამედროვე) 26, 27.
**მიქელ,** მთავარ-ანგელოზი 285.
**მიხეილ,** ანტიოქია-იერუსალიმელი პატრიარქი (საქართველოში იყო ბაგრატ VI-ის, გიორგის ძის, დროს) 56, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 166, 168.
**მიხეილი,** ტრაპიზონელი კეისრის, დავითის, დესპანი დასავლეთ ევროპაში 75.
**მორალო,** მცირე სომხეთის მთავრის დესპანი დასავლეთ ევროპაში 75.
**მოჰამედი,** სულტანი 104.
**მროველი** 141.

Müller A. (მვლერი) 35, 63, 103, 105.
Müller K. 65, 66, 240, 241, 242.
მურად თუმანიშვილი, ბაგრატ VI-ის, გიორგის-ძის, კარის მდივანი 97.
მურად ხვანთქარი, სტამბოლის სულტანი 269.
მურადი, უზუნ-ჰასანის ძე 241.
მუსა ალ-კასიმი 239.
მუსტაფა ფაშა, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი 272, 274, 275, 286, 287, 288. იხ. ლალა-ფაშა.
მუჰამედ II, ოსმალეთის სულტანი (ამის მეთაურობით აიღეს თურქებმა 1453 წ. ბიზანტიის დედა-ქალაქი კონსტანტინეპოლი) 64, 67, 103.
მუჰამედ სულტან მირჩინი (ლუარსაბ I-ის თანამედროვე) 257.
მუჰამედ ხუდაბანდა-შაჰი (1578—1585) 284.

## ნ

ნათია, ალექსანდრე I-ის, დიდის, დედა ქუცნა ამირეჯიბისა და რუსას ქალი 23, 24, 25.
ნემსაძე ბეჟანი (ამას მისცა ცხუკურის მამული იმერთა მეფემ გიორგი II-მ, ბაგრატის ძემ). 268.
ნესტანდარეჯანი, იმერეთის მეფის ქალი, გიორგი VIII-ის მეუღლე 42, 49, 83, 93, 94, 132.
ნესტანდარეჯანი, კახთა მეფის ლეონის ასული, ქართლის მეფის სიმონ I-ის მეუღლე 261.
ნესტარჯანი, ამირინდო კავკასიძის მეუღლე (ბაგრატ VI-ის თანამედროვე) 88.
ნიკოლაოსი 285.
ნიკოლოზი (წ͠ა) 163.
ნიკოლოზი, კათალიკოსი (XI საუკ.) 118.
ნიკოლოზ ტფილელი, გიორგი VIII-ის დესპანი დასავლეთ ევროპაში 69, 75.
ნიკოლოზ V, რომის პაპი 65.
ნიკოლოზი, მიტროპოლიტი (კახთა მეფის ალექსანდრე II-ის თანამედროვე) 343, 344.
ნილოსი, კონსტანტინე II-ის, დიმიტრის ძის, კარის მოძღვარი, რომელიც წარგზავნილი იყო დესპანად ეგვიპტის სულტანთან ქ. კაიროში) 154, 155, 157. იხ. კორნელი.
ნინო, მოციქული 117, 118.
ნინო, ნათია-ყოფილი 24. იხ. ნათია, ალექსანდრე I-ის დედა.

## ო

ოზაროვსკი, იასაული (ალექსანდრე II-ის, კახთა მეფის, თანამედროვე) 295.
ოთმანისშვილი ჰასანბეგი 123.
Олександр 334, 336 იხ. ალექსანდრე II, კახთა მეფე.
ომან დარბაისელი (ალექსანდრე II-ის თანამედროვე) 300, 343.
Ондрей дьяк, რუსეთის მეფის თევდორეს მოციქული საქართველოში 340.
ორბელიანნი 136, 141.
Очеканов, Ачеканов узденъ 337.

## პ

პავლე III, რომის პაპი 248.
Pancratius Iberorum, qui nunc Georgiani vocantur 68, 98. იხ. აგრ. ბაგრატ VI.
Pancrath (=ბაგრატი) Cothathisi 248.
პეტრე პივოვი რუსი ელჩი 292.
პეტრე 285.
პიო II, რომის პაპი 66, 75.

## ჟ

ჟორდანია თ. 21, 24, 27, 47, 48, 80, 84, 93, 119, 134, 135, 151, 164, 165, 166, 167, 210, 232, 234, 235, 236, 237, 243, 245.
ჟურული გ. (გიორგი VIII-ის თანამედროვე) 47, 135.

## რ


Rabia dux Anocaciae 68, 71.

რამაზი, დავით X-ის ძე 210, 227, 228.

Ramusio 103, 120.

როდიონ ბირკინი, რუსეთის ელჩი 290, 292.

როსტომი, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე 266.

როსტომ ერისთავი, ბაინდურის ძმა, დავით (1590—1605) 280.

როსტომ ერისთავი, ბაინდურის ძმა, დავით X-ის თანამედროვე 210.

რუსა, ალექსანდრე I-ის, დიდის, ბებია (ამას დაუწყია აღდგენა თემურ-ლენგის მიერ დანგრეული მცხეთის ტაძრისა) 21, 22, 23, 24, 25, 36, 37.

რუსთველი, მარტყოფის ეპისკოპოსი (მოკლულ იქნა კონსტანტინეს მიერ ალექსანდრე II-სთან ერთად) 341.

რუსუდანი, თამარ მეფის ასული (1222—1245) 83.

რუსუდანი, იმერეთის მეფის გიორგი II-ის მეუღლე 267, 268.


## ს


საამ მირზა, შაჰთამაზის ძმა 284.

საამ მირზას ასული, ისახანის (იესე ლევანის ძის) მეუღლე 284.

საბბა 285.

სათიხათუნ დედოფალი, თაყა ფანასკერტელის და, ვახტანგ IV-ის, ალექსანდრე I-ის ძის, მეუღლე 42.

**Сакуликов** мурза 341.

**Салтан Мурза 291.**

**Sahamal** 286.

სელიმ I, ოსმალეთის სულტანი 241, 242.

**емен Звенигородский**, რუსეთის ელჩი 291, 292. 304.

სიმონ (სჳმონ) I, ლუარსაბ I-ის ძე, ქართლის მეფე (1558—1600) 235, 237, 238, 257, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 284, 289, 296, 305, 306, 316, 320, 322, 334, 345.

**Schender**, 289. იხ. ალექსანდრე II, კახეთის მეფე.

სოლაღაშვილები 149.

ხოლაღას შვილი ივანე, დავით X-ის სახლთუხუცესი და მწიგნობართმთავარი 211.

სოლომონი, ალექსანდრე II-ის დესპანი რუსეთში 317, 330. იხ. აგრეთვე სულეიმანი.

სოლოხი, ყაბარდოს მთავარი 318, 335.

სომეხი სოვდაგარი (ალექსანდრე II-ის თანამედროვე) 326, 328.

**Stephano Archiepiscopo Nesciovan** (= Nachcivan) **248.**

**Сторозан,** ქართველი დიდებული, რომელიც მოკლულ იქნა მონასტერში კახეთის მეფის დავით I-ის, ალექსანდრე II-ის ძის მიერ 338.

სულეიმანი. Сулейман, ალექსანდრე II-ის ელჩი 250, 306, 317, 339.

სულეიმანი, ოსმალეთის ხონთქარი 253, 255.

სულმამა ზევდგინიძე, ბაგრატ VI-ის თანამედროვე 122.

სჳმეონი, ტრაპიზონელი ეპისკოპოსი 148.

სუიმონ მაწყვერელი, მზექაბუკ ყუარყუარეს ძის მიერ შეწყალებული 164, 167, 170, 171.

სულტან მირზა, ლარსის სადგურის მფლობელი 290.

სწავლული კაცები. იხ. ვახტანგისეული კომისია, ეგნატაშვილი ბერი.


## ტ


Tamas 386. იხ. შაჰ-თამაზი.

**Теймурас,** თეიმურაზ I, დავით I-ის ძე, ქართლ-კახეთის მეფე (1606—1616, 1623—1632, 1634—1648),

ტერ იაკობი 278, 279.

ტიზენჰაუზენი ვ. ბარონი 191.

ტიმოთე, ქართლის მთავარ-ეპისკოპოსი 40.

ტოკმაკი (თუ თოყმაყი) ხანი 272.

**Торх,** ტორხი, რუსეთის ელჩი 291, 292, 296.

## უ


**უზუნ-ჰასანი** (=გრძელი ჰასანი), ყარა-ჲელუკის შვილი, თეთრ-ბატკნიანთა მთავარი 63, 75, 78, 84, 86, 87, 89, 102, 103, 104, 112, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 129, 138, 139, 174, 239, 240, 241.

**ულუ-დავითი**, დავით VII, ლაშას ძე (1247 — 1270) 188.

**Уман** окольничий 306.

**ურდოველაშვილი**, გიორგი VIII-ის თანამედროვე 47.


## ფ


**Fabia dux Angosiae** 68.

**ფალავანდიშვილი ფალავანდი**, იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის, მდივანი 143.

**ფანასკერტელი თაყა** (ამისი დაჲ ცოლი იყო გიორგი VIII-ისა, ალექსანდრეს ძის) 42.

**ფანიაშვილი ალბულა**, კონსტანტინე II-ის, დემეტრეს ძის, შეწყალებული 130, 131.

**ფანჩულიძე იაკობი**, იმერთა მეფის ბაგრატ III-ის, ალექსანდრეს-ძის, ჯვარისმტვირთველი 218.

**ფარსადან გორგიჯანიძე** 12. იხ. გორგიჯანიძე ფარსადან.

**ფახრიშვილი ანდრონიკე**, კონსტანტინე II-ის, დიმიტრის ძის, მდივან-მწიგნობარი 128.

**Фергат-хан** შაჰ-აბაზის მახლობელი პირი 335.

**ფილიპე ერემაძე**, მღვდელი. გიორგი VIII-ის ალექსანდრეს ძის, შეწყალებული 48.

**ფირდოუსი**, სპარსთა გამოჩენილი პოეტი, „შაჰნამეს" ავტორი 346.

**ფრანძესი**, ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე IX-ის კარისკაცი და მეგობარი 49, 50.

**ფრიდრიკო**, ფრიდრიხ III, „ბრძენი", გერმანიის იმპერატორი (1463—1525) 75.


## ქ


**ქაიხოსრო** I, ყუარყუარეს ძე. სამცხის ათაბაგი 110, 162, 164, 165, 166, 188.

**ქაიხოსრო** II, ათაბაგი, ყუარყუარეს ძე 247, 250, 251, 252, 268.

**ქაიხოსრო**, კახთა მეფის ლევანის ძე შამხალის ყარამუსალის ქალთან (ქ˝ცის გაგრძელებათა მიხედვით) 231, 236.

**ქასადან ყარჩიხანი**, ყუარყუარე II-ის დესპანი ევროპაში 75.

**ქეთევანი**, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის დაჲ 267.

**ქეთევან დედოფალი**, კახთა მეფის დავით I-ის მეუღლე, თეიმურაზ I-ის დედა, სპარსეთში წამებული 346.

**ქვენიფნეველი**, ქსნის ერისთავი (ბაგრატ VI-ის, გიორგის ძის, თანამედროვე) 100.

**ქოიარ**, ამილახორის შვილი (კახთა მეფის ალექსანდრე II-ის თანამედროვე) 274.

**ქრისტე**, 20, 114, 118, 257, 278. იხ. აგრეთვე იესო ქრისტე.

**ქრისტინე**, თამარ ყოფილი, იმერთა მეფის გიორგი II-ის. ბაგრატის ძის, მეორე მეუღლე 268. იხ. თამარი, შერმაზან დიასამიძის ქალი.

**ქუცნა ამირეჯიბი** (ამისი მეუღლე იყო რუსა დედოფალი, ალექსანდრე I-ის, დიდის, ბებია 23, 24, 25, 33, 173.


## ყ


**ყაზიმ-ბეგი**, ახმედის ძმა, ყარამანის ამირა 103.

**ყარა-ჲუსუფი**, თურქი ელების მხედართმთავარი 30, 33.

**ყარამანი**, იბრაჰიმ-ბეგის შვილი, ლიკაონიის მთავარი 73, 74.

**ყარა-ხან ბაზუქლუ**, სპარსთა სარდალი 273.

**ყაფლანი**, ქართველი დესპანი 291, 294, 299, 303, 304, 310, 311, 323, 324.

**ყირიმ-შამხალი**, შამხალის ძმა, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის სიმამრი 323, 332.

**ყორღანაშვილი** (ამან გასცა ქართლის მეფე სიმონ I ბრძოლის დროს სულთანის ყმასთან, ჯემშიდთან) 265.

**ყუარყუარე II**, ათაბაგი, ბექას ძე (ვახუშტით ალბუღას ძე) 51, 52, 53, 54, 58, 59, 61, 67, 68, 71, 72, 73, 74, 75, 78, 79, 80 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 95, 96, 97, 98, 100, 108, 109, 110, 111, 122, 123, 124, 125, 130, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 146, 147, 148, 162.

**ყუარყუარე IV**, ქაიხოსროს ძე, მამა მზეჭაბუკისა და ქაიხოსროსი 164, 165, 166, 184, 188, 240, 245, 250, 252.

**ყუარყუარე V**, **ათაბაგი** 277.

**ყუმურდოელი**. იხ. ლასურიძე ივანე ყუმურდოელი.

## შ

**შაბურიძე ვამიყ**, ერისთავთ-არისთავი (ამის შვილს მიათხოვა გიორგი VIII-ემ თავისი ქალი, რომელიც ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის კონსტანტინეს მიერ იყო დანიშნული) 49, 51.

**შავერდი სულთან ზიადოღლი ყაჯარი**, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი 256, 263.

**შალიკაშვილი**, არადეთის ბრძოლის მონაწილე 137.

**შამადავლე I**, ერისთავთ-ერისთავი, ბედიანი (დადიან-გურიელი) 106, 107, 108, 115, 119.

**შამხალი** 298, 300, 301, 302, 303, 312, 314, 316, 318, 319, 321, 323, 326, 330, 331, 332, 333.

**შამხალის ყარა-მუსალის ასული**, კახთა მეფის ლევანის მეორე ცოლი 231, 233.

**შარვაშიძე** (ამან მოჰკლა მიმხდომი მამია დადიანი 1414 წ.) 31.

**შარვაშიძე** (გიორგი VIII-ის თანამედროვე) 78.

**შარვაშიძე** (იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის თანამედროვე) 133.

**შაქარაშვილი ფილიპე**, ერთი პილიგრიმთაგანი, რომელმაც 1565 წელს მოილოცა „წმინდა“ ადგილები იერუსალიმში 283.

**შაჰ-აბაზ I**, ყაენი, შასეფის ძე (1557—1628) 294, 296, 335, 336, 337, 339, 340, 342, 345, 346, 347.

**შაჰ-თამაზი**, ისმაელის ძე 237, 238, 245, 246, 247, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 258, 259, 263, 264, 265, 266, 275, 284, 296. იხ. აგრეთვე თამაზი.

**შაჰი იაყუბი**, ჰასანის ძე (1479—1490) 240.

**შაჰ-ისმაილ I**, შიხის ძე (გარდ. 1524) 228, 229.

**შაჰ-ისმაილ II** (ამან გაათავისუფლა 1577 წ. ალამუტის ციხიდან სიმონ I და ლევან კახთა მეფის ძე იესე) 237, 246, 277, 284.

**შაჰროხი, შაჰრუხი**, სპარსეთის მეფე 35, 63.

**შაჰ-ტახმასპი**, შაჰ-ისმაელის ძე 242.

**შერმაზანი**, ლორის ბატონი 250, 252.

**შეჰაბედდინ ილ-კალკაშანდი** (გარდ. 1448 წ.) არაბი მწერალი 191.

**შიო, კათალიკოზი** 27.

**შოთა რუსთაველი** 346.

**შტრასმანი** 110, 236.

## ჩ

**ჩოლოყაშვილი გარსევანი**, კახთა ბატონის ავგიორგის სახლთუხუცესი 226.

**ჩუბინაშვილი დ.** 274.

**ჩხეიძენი** 279.

## ც

**ცირღილაძე** (იმერეთის მეფის ალექსანდრე ბაგრატის ძის თანამედროვე) 144.

**ციციანნი** 139.

**ციციშვილი ზაზა** (კონსტანტინე II-ის, დიმიტრის ძის თანამედროვე) 137, 142.

**ციციშვილი მერაბ ფანასკერტელი** (დავით X-ის თანამედროვე) 211.

**ციციშვილი ქაიხოსრო** (კონსტანტინე II-ის, დიმიტრის ძის თანამედროვე) 149.

**ციციშვილნი** 137.

## წ


წერეთლები 279.


## ჭ


ჭილაძე ჯავახ (ამას ჰყავდა ცოლად დავით X-ის ასული) 210.

ჭილაძისძე გუსტან, მამა ჯავახ ჭილაძს ძისა 210.

ჭიჭინაძე ზ. 44, 51, 81, 90, 95, 107, 110, 111, 127, 133, 134, 135, 143, 145, 146, 148, 149, 151, 163, 164, 165, 170, 209, 213, 214, 215, 216, 220, 222, 223, 226, 227, 228, 230, 231, 235, 237, 243, 244, 245, 274.

ჭუკას გვარის კაცი (გიორგი VIII-ის თანამედროვე) 89.


## ხ


ხალილი, უზუნ-ასანის ძე (სპარსეთის ტახტზე ავიდა 1478 წ.) 126, 129.

ხალილ ბეგი, იაყუბ-ყაენის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ჯარის მხედართმთავარი 148, 149.

ხახანაშვილი ა. 56.

ხიტო, ყაბარდოს მთავარი (ამისი ასული ჰყავდა ცოლად კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძეს ერეკლეს) 296. იხ. ხოტოკი.

ხონდემირი, სპარსთა ისტორიკოსი 227, 228, 229.

ხოსრო, კახთა მეფის ლეონის შეოთხე ძე (ვახუშტით) 231.

ხოსრო ვახტანგის ძე (ამან ულალატა იმერეთის მეფეს გიორგი II-ს, ბაგრატის ძეს) 268.

ხოსრო, ვანის ფაშა 272.

ხოტოკი, ყაბარდოელი მთავარი, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძის ერეკლეს სიმამრი 343. იხ. ხიტო.

Худобендей სპარსეთის შაჰი 333.

ხურშიტა, ალექსანდრე II-ის დესპანი რუსეთში 310, 317, 330. იხ. Куршит.


## ჯ


ჯავახიშვილები 149.

ჯავახიშვილი ზაზა (ბაგრატ VI-ის თანამედროვე) 91, 97, 102.

ჯავახიშვილი ზაქარია 90, 91, 97, 102, 130.

„ „ კახა 91, 97, 102.

„ „ ჯავახი 149.

ჯანაშვილი მ. 42, 127, 137, 138, 152, 153, 222, 223, 226, 230, 231.

ჯაფარიძე სარგის იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის, ბაგრატის ძის, თანამედროვე) 143, 186

ჯაფარ-ფაშა, თურქთა სარდალი 281.

ჯაყელთა გვარის ათაბაგები 55.

ჯაყელთა საგვარეულო 51.

ჯაყელნი 55, 108, 109.

ჯაყელთა ოჯახი 171.

ჯაყელის გვარისშვილები, მესხეთის მმართველი წრეები 274.

ჯემშიდი, შამხალ სულთანის ყმა 265.

ჯენუედი, თურქთა ერთ-ერთი ტომის (შავბატკნიანთა) წარმომადგენელი 240.

ჯეჰან-შაჰი, ჯაან-შაჰი თავრიზის მეფე და მფლობელი 40, 41, 44, 45, 63, 174, 240.

ჯიოვან მარია ანჯიოლელლო, იტალიელი დესპანი 103, 120, 122.

ჯუსტინიანი, გენუელი ჯარის მეთაური 64.


## Ю


Юрьи, Юрьи Мурза 292, 333, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342. იხ. გიორგი, კახთა მეფის ალექსანდრე II-ის ძე.

Юрьи, Симонов сын 337 (=ქართლის მეფის სიმონ I-ის ძე გიორგი).

## ჰ


**ჰადარი,** ჯენუედის შვილი 240.
**ჰამზა-მირზა** 276.
**ჰამმერი** 74, 250, 255, 272, 273, 274, 275.
**ჰასან-ბეგი** 73, 120, 124. იხ. უზუნ ჰასანი.
**ჰერცბერგი,** გ. პროფ. 64, 65, 74.
Huart Cl. 156.


# II გეოგრაფიული და ტომობრივი სახელები

## ა


აბარანი ანუ კარ-წახგუდი (მდ.) (სოფ. კარპიდან მოყოლებულს კარპი-ჩაჲ ეწოდება) 295.
აბოცი 145.
აბხაზეთი 27. იხ. აფხაზეთი.
აბხაზნი, 70, 280.
აგარეანნი 33.
Agarenus 278.
აგარიანთა ნათესავნი 30.
აგარის მონათესავე 257.
აგარის ნათესავი 151.
აგარის ნათესავნი 30, 34, 40, 158, 219.
ადარბაგანი 246.
ადერბეჯანი 35, 63, 103, 241.
ადრიანოპოლის კარი 64.
აზია 17, 67.
აზრუმი 104, 162, 252.
ათონის მთა და მონასტერი 40, 148, 163, 164, 187, 283.
აკურის უდაბნო 267.
ალაბი (= ალეპო) 192.
ალაგიოზი (მთა) 295.
ალავერდი 219, 292.
ალაზანი 292, 327.
ალამუტის ციხე 237, 238, 266, 284.
ალგეთი 280.
ალექსანდრია 329.
ალი (ქალ.) 33, 244.
ალისუბანი (ადგ. იმერ.) 86.
ალკასის სადგური 292.
**Амалеева земля 290.**
ამართულა 152.
ამბერდი 34.
ამერეთი 114.
ამერნი 84.
ამიდა (= დიარბექირი) 241.
ანატოლია 71.
ანატოლიის ჯარი 255.
ანდრიოშია (= ანტიოქია) 115, 116.
ანისი 249.
ანტიოქია 170, 329.
ანჩის ხატი 58.
არაბები 154, 155, 156, 157, 158, 159.
არაბი 192.
არაგვი 152, 291, 292, 293.
**არაკვის კეობა** 222.
არადეთი 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143.
არადეთის წყალი 244.
*Արարատ* 294.
არაში (თუ არიში) 251.
არდაველი, არდაბილი 240.
არეში (ადგ.) 136, 137.
არეზი 241, 262.
არზრუმი 153, 250, 273. იხ. აზრუმი.
Armenia 289.
არტანუჯის ციხე 252.
არტაჰანი, არტანი 272, 274.
არქევანი (= გაჩიანი) 148, 149.
ასპინძა 32.
ასტარხანი, ასტრახანი 312, 313, 315.
ასტრახანელი 314.
ატენის ციხე 221, 222, 255.
აფხაზეთი 31, 32, 62, 81, 95, 106, 108, 113, 114, 117, 153, 166, 168, 171 253.
აფხაზნი 25, 33, 46, 97, 99, 128, 130, 131, 133, 211, 212, 219.
აღმოსავლეთ საქართველო 31, 33, 90, 91, 93, 100, 101, 112, 114, 125, 132, 145, 150, 174, 185, 229, 257, 275, 289, 300.
ალსტაფურა (მდ.) 294.
ალჯაყალის ციხე (ბორჩალოში) 148, 150, 250, 252, 273.
აშტარხანი 322.
აჩაბეთი 255.
აწეფი (ადგ.) 280.
აწყვერი, აწყური 123, 124, 138, 139, 140, 146, 147, 168, 274, 278.
აწყვერის საყდარი 140, 170, 171.

აჭარა 78, 117, 153, 170.
ახალდაბა 244.
ახალქალაქი 145, 146, 245, 274, 275.
ახალციხე 32, 33, 44, 68, 89, 145, 146, 250, 278.
აჯი-სუ 152.

## ბ

ბაგრატის ტაძარი (ქუთ.) 112.
ბათუმი 105.
ბამბაკის მთა 295.
ბანა (აქაა დასაფლავებული ვახტანგ IV, ალექსანდრე I-ის, დიდის, ძე) 44.
ბანბაკი 152. იხ. ბამბაკის მთა.
ბარდა 250.
ბარშიამის მთა 152.
ბასიანი 247.
Батикие гребни 290. იხ. ბაწბიები.
ბაქო 319.
ბაღდადი 241.
ბაწბიები 290.
ბედიანის სამთავრო 107, 111. იხ. სამეგრელო.
ბელოკუროვი 308.
ბენგერდი (= ფანასკერტი) 250.
ბერძენი 65, 148, 311.
ბერძნები, ბერძენნი 63, 64, 65, 116, 123, 330.
ბიზანტია 63, 66, 160, 182, 187.
ბიზანტიის სატახტო ქალაქი 63, 76. იხ. აგრეთვე კონსტანტინეპოლი.
ბიზანტიის სახელმწიფო 55, 59, 64, 65.
ბირთვისი 247.
ბიჭვინტა 106, 107, 117.
Бойнак 294.
ბორჯომის ხეობა 139.
ბოსფორი 103.
ბრუსა (ქალ.) 74. იხ. Bursia.
ბურგუნდია 68, 72, 74, 75, 76, 77, 98.
Бурнашова земля 290.
Bursia 74. იხ. ბრუსა.

## გ

განჯა 250, 322, 342.
გარის ვარხუნა (ადგ.) 256.
გარისი (ადგ.) 257.
გაჩიანი 148. იხ. არქევანი.
გელათი 215, 216, 218.
Georgia 289.
გერმანია 75.
გილანი 240, 297.
გიორგიანები (= ქართველები) 98.
გიშის ციხე 251.
გოლგოთა 192.
გოლგოთის ქართველთა მონასტერი 192, 283.
გომბორი 229.
გორა (ადგ.) 152.
გორი (ქ.) 87, 101, 112, 121, 122, 139, 213, 214, 215, 240, 254, 256, 262, 263, 278.
გორის ციხე 91, 112, 275, 277, 279, 280.
გოფანთა (ადგ.) 279.
გრემი 245, 284, 295, 317, 344, 346, იხ. აგრ. Крым.
Grecia 72. იხ. საბერძნეთი,
Грузинская земля, Грузия 335, 336, 337, 339, 340, 341, 344. იხ. აგრ. Иверская земля, საქართველო.
Грузинские люди 341. იხ. ქართველები.
გუდამაყარი 152.
გულაშარი (ადგ.) 129.
გურია 62, 95, 96, 106, 108, 117, 152, 153, 170, 186, 253, 280.
გურიელი 170.
გურიელნი 142.
გურიის სამთავრო 153. იხ. გურია.
Грузинская земля 334. იხ. გურია.
გურჯი-ბოლაზი 153.

## დ

Дадьянская земля 293, Татьяны 306. იხ. სამეგრელო.
დანუბი (მდ.) 75.
დარიალანი 33.
დარუბანდი 294. 319, 322, 327.
დასავლეთ ევროპა 53, 61, 62, 66, 71, 75, 77, 95, 98, 104, 106, 107, 123, 155, 157, 162, 178, 182, 183, 184, 186,

297, 327, 328, 329. იხ. აგრ. ევროპა.
დასავლეთ საქართველო 31, 33, 78, 91, 97, 112, 114, 117, 118, 119, 132, 150, 151, 185, 212, 214, 215.
დასავლეთ სომხეთი 242.
დაღესტანი 105, 106, 239, 293, 300, 302.
დაღესტნის მთები 301.
დაღესტანელი მთიულები 300.
დბანისი 146. იხ. დმანისი.
დელიჯანი 294.
**Дербени 294.**
დვირი 152, 153.
დიგორის მთა 153.
დიდი სომხეთი 69.
დიღვამი 264. იხ. დიღომი.
დიღომი 98, 152.
დმანისი 136, 141.


## ე


ეგვიპტე 192.
ევროპა 61, 67, 68, 71, 76, 183, 326, 327, 329.
ევროპიელები 321.
ელავსი 140, 141.
ენაგეთი 149.
ერანი 312, 318.
ერანის თემი 259.
ერაყი ორთავე 103.
ერგე (ადგ.) 153.
ერევანი, ერეუანი 152, 255, 286, 289, 339.
ერევნის მთები 295.
ერზინჯანი (ადგ.) 104, 241.
ერწო 152.
ესპანია 154, 155, 157, 158, 161, 327.
Euxinum mare 72.


## ვ


ვალაშკერტი 33.
ვანი 273.
ვარშავის არქივი 156.
ვარძიის მონასტრის ძმობა 56.
*Վաղարշակերտ* 33. იხ. ვალაშკერტი.
ვაყა (ადგ.) 139.
ველე, ველი (ადგ.) 273.
ვენეტიკელნი 65.
ვენეტიკი 75, 321.
ვენეტიკის რესპუბლიკა 74, 126, 241.
**Влешкараш 293.**


## ზ


**Загем 340, 344.**
ზარზმის მონასტერი 170.
ზემო-ქართლი 222, 229.
ზუსა (მდ.) 86.


## თ


თავრეჟი 241.
თათარი 216.
თათრები, თათარნი 39, 88, 89, 125, 126, 145, 150, 215, 216, 227, 263, 280. იხ. თურქები, ოსმალები.
თაკვერი (აწინდელი ლეჩხუმი) 153.
თარაქამა ტომი (თურქები) 241.
თბილისი 33, 150, 175, 240, 247, 254, 261, 262, 264, 286, 288, 345. იხ. ტფილისი.
თბილისის სიონი 244, 254.
თეთრბატკნიანთა ტომები (სპარსელები) 63, 104.
თეთრციხე 148, 273. იხ. ალჯა-ყალა.
თერგი (მდ.) 290, 291.
თერგი (ადგ.) 316.
თერგის სარდლები 313, 314, 315.
თერგის ქალაქი 318, 319.
თერჯანი (აზრუმსა და ერზინჯანს შუა მდებარე ადგილი) 104.
თიანეთი 152.
თმოგვის ციხე 274, 275.
თორთუმი 250.

**Өрянки 297.**
თურქები, თურქნი 32, 51, 55, 64, 65, 66, 67, 68, 73, 107, 108, 123, 152, 159, 187, 300, 302, 305, 311, 320, 326, 328.
თურქეთი 286, 289.
თურქი-ელები 30.
თურქი მეციხოვნენი 112.
თურქი ტომები 239, 240.
თურქ-ოსმალნი 56, 102, 120, 182, 241.
თურქთა ჯარი 63.
თუშეთი 152.
თხილოვნა (სოფ.) 91.

## Ⴈ

Ⴈანეთი 268.
იბერნი 69.
იედიყულა 281.
იელდალი 152. იხ. პალაკაციო.
იერუსალიმი (ქ.) 75, 116, 154, 159, 160, 163, 192, 283, 328, 329, 330.
ივერია, 310, 317, 337.
ივერიის ქვეყანა 294, 312, 313, 314, 332, 333, 337, 338, 342.
იკორთის ეკლესია 44.
იმერეთი 33, 42, 43, 62, 69, 78, 79, 83, 84, 86, 88, 92, 95, 96, 117, 133, 134, 135, 144, 145, 152, 185, 186, 214, 216, 250, 253, 268, 279, 280.
იმერეთის სამეფო 153.
იმერელნი, იმერნი 30, 84, 86, 134, 142, 150, 280.
იმიერ-ამიერი საქართველო 95, 100, 279.
იმიერ საქართველო 95.
იმიერ-კავკასია 106, 314.
იმიერ კავკასიის მთეულნი (მთიელნი) 239, 302.
იმიერ კავკასიელი ტომები 318.
ინგლისი 326.
Индили (ადგ. მტიულეთში) 292.
იორი 226, 229.
ირანი 237, 241. იხ. აგრ. ერანი.
ისტაყარ-საადი (ადგ.) 240.
ისტერტუდი (?) 250.
იტალია 321.
იტრიის მონასტერი 257.

## Ⴉ

**ქაბრი 294, 295. იხ. კაპრი.**
კავკასია 275.
კავკასიონის ქედი 106, 314.
Казы-Кумыки 294, 333. იხ. აგრ. ყუმიყები.
კაიტაქნი 105, 106. იხ. ყაიტაღნი.
კალდირანი ან ჩალდირანი (ურმიის ტბის აღმოსავლეთით მდებარე ადგილი) 242.
Сапас-ის წყალი 288.
კაპარი (მდ.) 294.
კაპრის წყალი, 294, 340.
კარი (= ყარსი) 153.
კარის სოფელი 152.
კარპი-ჩაჲ 295. იხ. კარზი (მდ.).
კარპი (სოფ.) 295.
*Կարրու* 294.
კასპი 83.
კასპის მთები 106.
მთა 105.
კასრის ხევი 152.
კაცხის ციხე 280.
კახეთი 24, 62, 79, 91, 92, 94, 95, 96, 114, 133, 136, 142, 152, 186, 211, 218, 219, 220, 222, 225, 229, 245, 253, 262, 277, 289, 290, 293, 297, 298, 300, 302, 307, 308, 312, 313, 315, 316, 317, 319, 324, 325, 331, 339, 342, 343, 344, 346.
კახეთის საზღვარი 293.
კახეთის, კახთა სამეფო 277, 297, 300, 314, 315, 321, 345.
კახეთის ჯარი 235, 262.
კახელები, კახნი 25, 46, 91, 97, 99, 128, 130, 131, 133, 150, 211, 212, 219, 226, 229, 339.
კერელუს (აწინდელი ბეჲშერ-გიოლის) ტბა 103.
კერკოპორტას კარები 64.
კვარა (ციხე) 280.
Кизылбаши (= სპარსელები) 298, 336, 340, იხ. ყიზილბაშნი .
კლარჯეთი 117.
კოდიანო 152.
კოისუ, Койсу (მდ.) 321, 322, 323, 339.

კონსტანტინეპოლელი თურქები, ოსმალები 73, 75.
კონსტანტინეპოლი 50, 51, 63, 64, 65, 66, 67, 71, 76, 158, 159, 160, 161, 162, 163, 182, 183, 277, 328, 329.
კოერის ციხე 149.
Корачаев 293.
Kothathisi 248. იხ. ქუთაისი.
Կոտայք 294.
კოხტა (მთა მესხეთში) 31, 32.
Крым 338. იხ. გრემი.
კუდარო 152.
Кумыцкая земля 333, 342. იხ. ყუმიყთა მიწა-წყალი.
Кумыцкие люди 335. იხ. ყუმიყები.
Кумуки 292.
კუნელნი (სოფ.) 221.

## ლ

ლაზის ქვეყანა 253. იხ. სამეგრელო.
ლარგვისის მონასტერი 100.
ლარსი 291, 292.
ლარსის სადგური 290.
ლეკის მთა 152.
ლენტეხი 153.
ლეჩხუმელნი 143.
ლეჩხუმი 134, 143, 153. იხ. აგრ. თაკვერი
ლიახვის ხეობა 214.
ლილო 152.
ლილო ქვემო 152.
ლიჩი 152.
ლიხთ-ამერი, ამერეთი 62, 81, 83, 93, 97, 99, 100, 101, 106, 118, 119, 128, 131, 134, 179, 212, 214, 219. იხ. აგრ. ქართლი, კახეთი.
ლიხთ-იმერი, იმერეთი 62, 81, 83, 93, 97, 99, 100, 101, 114, 117, 118, 119, 124, 128, 131, 132, 134, 168, 179, 212, 214, 215, 216, 219, 280.
ლიხის მთა 213.
Лозани 292. იხ. ალახანი.
ლორე, ლორის ციხე 33, 35, 87, 104, 113, 125, 152, 250, 252, 275, 278, 281.
ლორის ციხე და ქალაქი 34.
ლორის ციხე და მინდორი 112.
ლორის ველი 125.
ლორის მთები 255.

## მ

მაკედონის თემი 163.
Мамучарская земля 334. იხ. სამცხე.
მანტუა (ადგ.) 67.
მარტყოფი 277.
მარტყოფის წყალი 152.
მაღნარი (ადგ.) 229.
მაღრანის (ან მაღნარის) ციხე 226.
მაშავერი 149.
მახლობელი აზია 66.
მგელციხე 273.
მეგრელები 113.
მესხეთი 31, 32, 51, 53, 54, 56, 57, 58, 78, 79, 85, 107, 108, 109, 123, 136, 137, 141, 146, 152, 153, 164, 165, 166, 167, 168, 171, 172, 177, 186, 212, 251, 252, 275.
მესხნი 52, 139, 140, 142, 145, 246, 252, 254, 273.
მეტეხის ციხე 112.
Метцкие гребни 290.
მიდთა ქუეყანა 63.
Мингрели 306. იხ. მეგრელები.
Мингрелская земля 334. იხ. ბედიანის სამთავრო, სამეგრელო.
Минкизы 292.
მირახორი (ადგ.) 250.
მოვაკანი 78.
მონღოლები, მონღოლნი 11, 17, 29, 30, 37, 174, 175, 179, 180, 183, 188, 189, 294.
მოსკოვი, 226, 299, 310, 315, 320, 322, 326, 329, 330, 331, 339.
მოსკოვის სამეფო 316.
მოხისი 139, 243.
მროველი 138.
მტვერის ციხე (აშენებულია მუხრანში კონსტანტინე II-ის ძის ბაგრატ მუხრან-ბატონის მიერ) 222, 223, 225.
მტკვარი 112, 136, 294.
მტკვრის შესართავი 152.
მურხითი (sic) 245.
მურჯახეთი 245.
მუღალუ 273.

მუხრანი 222, 224, 225, 277.
მუხრანის ციხე 222.
მღუიმე 89.
მცირე აზია 66, 71, 73, 104.
მცირე იბერია 69.
მცირე სომხეთი 73.
მცხეთა (ქ.) 20, 26, 42, 54, 136, 171, 220, 257, 260.
მცხეთის მცირე ეკლესია მთავარანგელოზის სახელობისა (აშენებულია კახთ ბატონის „ავ-გიორგის" მიერ და იქვე დაფლული) 223.
მცხეთის ტაძარი (სვეტიცხოველი) 20, 21, 25, 29, 36, 37, 46, 54, 79, 131, 165, 166, 170, 178, 221.
მცხეთის ტაძრის მამულები 24.

## ნ

Natalia 72. იხ. ანატოლია.
ნახჭავანი 227, 241, 255.
ნეგროპონტეს ნავთსადგური 65.
ნეჯაჰი 250.
ნინოს ხევი 152.
ნინოწმინდა (მონასტ.) 232.
ნიჩბისის წყალი 149.

## ჲ

ჲანიყალა 273.

## ო

ოზბეგნი 241.
ოდიშარნი 142. იხ. აგრ. მეგრელები.
ოდიში 106, 117, 253.
ოვსეთი 106, 117.
Окони (ადგ მთიულეთში) 292.
ოლთისი 255.
Оловердский монастыр 342. იხ. ალავერდი
ორბეთის ძირი 149.
ოსმალები, ოსმალნი 64, 65, 66, 67, 68, 71, 72, 73, 74, 76, 77, 98, 103, 104, 120, 121, 123, 126. 155, 158, 161, 169, 170, 172, 182. 184, 216, 229, 230, 272, 273, 274, 275, 276, 277, 286, 294, 295, 303, 305, 309. 320, 322, 328, 339, 345.
ოსმალეთი 59, 63, 72, 73, 74, 77, 103, 104, 105, 119, 123, 183, 192, 241, 242, 252, 253, 272, 275, 289, 300, 301, 302, 303, 306, 309, 312, 313, 314, 318, 319, 321, 322, 326, 327, 329, 343.
ოსმალეთის ლაშქარი 342.
ოსმალთა, ოსმალოს ჯარი 252, 345.
ოფისკურა 279.
ოყურეშის ეკლესია 218.
ოჩონი (? ოჩანის) ციხე 226, 229.

## პ

პალაკაციოს მთა («რომელსა თურქნი ი ე ლ დ ა ღ ი ს ეძახიან». ვახუშტი) 152.
პალესტინა 192.
პალესტინის ქართველთა მონასტერი 40, 187, 282.
პერანგა 152.
Печенская земля 326.
პოლონეთი 158.
პოლონელები 156.
პონტოს ზღვა 106, 117.
პსკოვი 331.

## რ

რადენის სერი 152.
რანნი 25, 78, 97, 99, 128, 130, 131, 133, 211, 212, 219.
რაჭა 134, 143, 144.
რაჭველნი 143.
Reivan, Reiuan 286, 289. იხ. ერევანი.

რიონი 105, 112, 153.
რკინისპალო (ადგ.) 153.
რომი 65, 75, 76, 158, 297, 326.
რომის ეკლესია 76, 160.
რუისი 139.
რუისის საყდარი 38, 40, 173.
რუის-ურბნისი 118.
რუმელის ჯარი 255.
რუსები 156, 229, 290, 295, 297, 299, 300, 304—306, 311, 313, 318, 322—325, 327, 332, 333, 344.
რუსეთი 157, 293, 294, 300—302, 306—308, 310—315, 317, 318, 320, 325—327, 329, 331, 344.
რუსეთის სამეფო 329, 346.
რუსთა ჯარი 322.
რუსი მოძღვრები 325.
რუსი სამღვდელო პირები 324.
რუსი ყაზახები 316.
რუფოთი (ადგ. იმერ.) 86.

## ს

საათაბაგო 162. იხ. სამცხე.
საბარათიანო 149, 249, 254, 255.
საბედიანო 95, 106. იხ. ბედიანის სამთავრო, სამეგრელო.
საბერძნეთი 64, 65, 66, 71, 148, 163, 188.
საბერძნეთის ქართველთა მონასტერი 282.
" " მონასტრები 40.
საგარეჯო 229.
საზანოს ციხე 86.
" წყალი 86.
სათხე-ქუნცელი (ადგ.) 152.
სალონიკი 285.
სამადლო (ადგ.) 264, 265.
სამგორი 152.
სამეგრელო 31, 32, 53, 62, 75, 95, 106, 108, 113, 185, 296.
სამეგრელო-აფხაზეთი 96.
სამთავისი 87.
სამური (CаӨурн) 293.
სამშვილდე (ქ.) 41.
სამცხე 32, 34, 44, 52, 56, 62, 78, 79, 84, 87, 88, 95, 96, 123, 124, 140, 141, 152, 166, 188, 229, 249, 250, 252, 253.
სამცხელნი 150.
სამცხის ციხე 277.
სამცხე-კლარჯეთი 92.
სარკინოზები / ნი 34, 35. იხ. ჯრაბები.
საფარის თავი 55, 58.
საფრანგეთი 76, 77.
საფრანგეთის ჯარი 326.
საფურცლე (ადგ.) 219.
საქართველო 11—13, 17, 18, 22, 23, 25, 29, 30, 32—36, 38—40, 42, 45, 46, 49—53, 56, 60—63, 67—69, 76, 79, 85—88, 92, 94, 96, 98, 100—102, 104—107, 111, 113—115, 117—121, 124, 129—132, 134, 145, 146, 148, 154—161, 163, 168, 171—193, 210, 211, 222, 226—229, 240, 246, 249—253, 255—259, 263—266, 269—271, 279, 284, 289—296, 299—307, 310—312, 314—316, 318—320, 323, 324, 327, 329, 331, 332, 334, 342, 343, 345, 346. იხ. აგრ.
საქართველოს დედაეკლესია /. საყდარი 170, 172. იხ. მცხეთის ტაძარი.
საქართველოს ეკლესია 54, 172, 176, 177, 189.
" ლაშქარი 279.
" სამხრეთი, ე. წ. „სომხითი" 87.
სალამოს თავი (ადგ.) 152.
საღოლაშენი 139.
საშვილია (ადგ. ქვ. იმერ.) 268.
საჯავახიანოს მთები 247.
საჯავახო 153.
სებასტოპოლი 105.
სერბთა ქვეყანა 158.
სვანები, სვანნი 78, 143.
სვანეთი 143, 186.
სვანეთის მთა 153.
სვეტიცხოველი 37, 173. იხ. მცხეთის ტაძარი.
სივნიეთი 35.
სინა 163.
სინას მთის ქართველთა მონასტერი 187, 282.
სინელნი 330.
სირია 242.
Siruan 282.
სკანდა 86, 112, 124, 280.
Scythia 278
სომეხთა საყდარი 86.
სომეხი 32, 311.
სომეხნი, სომხები 25, 32, 35, 46, 69, 86, 97, 99, 112, 128, 130, 131, 133, 192, 211, 212, 219.
სომხეთი 35, 63, 103, 184, 257.

სომხითი 34, 87, 92, 112, 125, 126, 129, 149, 275, 281.
სომხით-საბარათიანო 264.
სომხითის მინდორი 104.
Сони Аристова 338.
Сонская земля 290, 335.
სოფიის ტაძარი 64.
სპარსეთი 62, 63, 69, 87, 103, 104, 119, 121, 122, 123, 125, 129, 138, 184, 228, 229, 237, 239, 240, 241, 242, 246, 250, 251, 253, 256, 264, 272, 275, 276, 277, 286, 289, 301, 303, 309, 313, 314, 318, 320, 323, 345, 346, 347.
სპარსეთის სარდლები 276.
სპარსეთის ჯარი 149, 235, 242, 294.
სპარსეთ-ოსმალეთი 253.
სპარსელი 32.
სპარსელები, სპარსელნი 74, 102, 138, 140, 149, 159, 239, 251, 252, 254, 255, 257, 258, 264, 265, 272, 277, 278, 294, 303, 339, 343, 345.
სპარსთა ლაშქარი, ჯარი, ჯარისკაცები 228, 251, 255, 256, 257, 259, 264, 265, 327, 342, 343.
სპარსთა წინამძღოლები 295.
სპარსნი 70, 123, 155, 159, 237, 242, 249, 251, 253, 263, 273, 275, 276, 286.
სპარს-ოსმალნი 104, 259, 279.
სრულიად ელადა 163.
სრულიად საქართველო 151, 161, 175, 176, 177, 178, 179, 184, 186, 190, 193, 210, 211, 212.
სტამბოლი 238, 269, 270, 271, 281, 297, 312, 322, 326.
სტამბოლის თურქნი 73.
სუნშის ციხე-ქალაქი 292.
სურამი 244.


## ტ


ტაბაკჩელა 278.
ტაო 247, 250.
Тарки (შამხალის ქალაქი) 293, 294, 331, 333
Тарков днище (ადგ.) 294.
Татьяны 306.
ტაშირი 146.
ტბეთის საყდარი 148.
Терек 294, 308, 333, 338, 341. იხ. აგრ. თერგი.
Терки-ს ქალაქი 293, 313.
Терский город 312, 339. იხ. თერგის ქალაქი.
ტირიპოლა 253.
Тони (სოფ. კახეთში) 297.
ტრაპიზონი 49, 158, 159, 160, 162, 163, 182, 185, 241, 253.
ტრაპიზონის სახელმწიფო 59.
ტფილისი 32, 41, 100, 101, 112, 121, 124, 125, 126, 129, 144, 145, 149, 243, 247, 275. იხ. თბილისი.
ტფილისის გალავანი 278.
ტფილისის ციხე 277.
ტუმენი 293, 316, 321, 322.
Турские чеущи 336.


## უ


ულუმბის ღვთისმშობელი 24.
ულუმბო-ნაბახტევის ეკლესია 173.
უნგრეთი 75.
ურიანი 86.
ურმიის ტბა 242.
ურუმის ქვეყანა 259. იხ. თურქეთი, ოსმალეთი.
ურუმნი 247, 250, 258, 259, 273, 274, 277, 278, 280.


## ფ


ფამბაკი (ადგ.) 252 იხ. ბამბაკი.
ფამბაკის მთები 295.
ფარავნა (ტბა) 78.
ფარავანი 136.
ფარეხეთი (ადგ.) 265
ფარსი (ადგ. სპარ.) 63, 103.
ფარცხისი 265.
ფერეიდანი 346.

ფერსათის მთა 153.
ფოთი 105.
ფრანგები 322, 327.
ფრონი (მდ.) 139.
ფშავი ზემო 152.
ფშავის წყალი 152.

ქ

ქაირო (კაირო) 154.
ქაოზიანი (ციხე) 148, 150.
ქარალაქი (ქარხაქი) 247.
ქართველები, ქართველნი 12, 13, 25, 32—34, 39, 46, 53, 69, 71, 73—76, 97, 99, 102—104, 113, 118, 120—123, 128, 130, 131, 133, 137, 149, 159, 171, 192, 211, 212, 219, 227, 245, 246, 249, 252, 254, 255, 256, 257, 259, 262, 263, 271, 282, 297, 301, 303, 321, 324, 325, 327, 333, 346.
ქართლელები, ქართლელნი 142, 219, 254, 255.
ქართლელი 138, 139.
ქართლი 27, 33, 34, 42, 62, 78, 79, 81, 84, 87, 89, 90, 91, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 117. 118, 133, 139, 146, 152, 153, 164, 165, 167, 169, 186, 211, 213, 214, 216. 218, 219, 222, 227, 228. 229, 244 247, 249, 251, 252, 253, 254, 256, 275, 306, 345.
ქართლი ქვემო 112.
ქართლის სამეფო 213, 345.
ქართლის სომხითი 146.
ქართლის ქუეყანა 257.
ქართლის ციხეები 277.
ქართლის ჩრდილო დასავლეთი 214.
ქართლ-კახეთი 322.
ქაფირყუმიყი 293.
ქაჯის ციხე 273, 274. იხ. ჩილდირი.
ქეფინის ხევი 152.
ქვათახევის მონასტერი 130, 210.
ქვედა-ქართლი 149.
ქვემო ქართლელნი 146.
ქვეშიკევი 146.
ქიზიყი 62, 229.
ქიზიყელის სადროშო 297.
ქირმანი (ადგ. სპარ.) 103.
ქსანი 222, 225.
ქუთაისი, ქუთათისი 33, 69, 78, 84, 87, 88, 101, 107, 112, 134, 143, 144, 145, 215, 216, 279, 280.
ქუთაისის ციხე 91, 124, 134, 280.
ქურდვაჰრის კევი (აწინდელი ალჯაყალა—თეთრციხე) 148.
ქურთთა ბეგები 272.
ქცია 149.
ქციის კბოდე 149.

ღ

ღოდორა 152.
ღომის ციხე 153.

ყ

ყაბალა 62.
ყაბარდოელები 296.
ყაბარდო-ჩერქეზნი 318.
ყაზახის სამძლვარი 152.
ყაზიკუმუხი 293.
ყაზმინი 263, 268, 297.
ყაითალ-თაბასარანის ოლქი (აქ ცხოვრობდნენ ყაითალები) 105.
ყაიტალები 105, 106.
ყარაბაღი 253, 255, 262, 294.
ყარაბაღის ჯარი 256.
ყარჩია 136.
ყარამანი (ადგ. სპარ.) 103.
ყარამანის (ადგ.) ჯარი 255.
ყარაჩაელნი (? კაიტაქნი) 106.
ყიზილბაშნი (სპარსელები = „წითელქუდიანნი“) 255, 258, 259, 260, 265, 273, 320, 322.
ყირიმი 318.
ყოველი საქართველო 128, 133, 211, 218. იხ. აგრეთვე სრულიად საქართველო.
ყოზანიჩა (ადგ.) 293.
ყუმისი 149.
ყუმიყები 300, 335.
ყუმიყთა მიწაწყალი 331, 333, 342.
ყუმურდოელი 55.

## შ

შავანი (?) 277.
შავ-ბატკნიანნი (სპარსელი ტომი) 63, 104.
შავი ზღვა 71, 72, 105, 114.
შავშეთი 85, 117.
შამახია 240, 322.
შამხალის სამფლობელო 293, 294.
შაქელნი 246.
შაქი 141, 142, 245, 246, 251, 252, 284.
შაქისი (sic) 152. 277.
Шевкал 333, 334.
Шемахия 340, 341.
შეჰსორი, ქურდისტანის დედა-ქალაქი 272.
შვილდაური 152.
Шибуты (ადგ. მთიულეთში) 292
შიდა ქართლი 136, 254, 255.
შიომღვიმის მონასტერი 83.
შირვანელნი 62, 246.
შირვანი 78, 240, 241, 246, 251, 322.
Ширванская земля 341.
Шихово племя 290.
შორეკალი (ადგ.) 249. იხ. შურეღილი.
შუამდინარე 103, 242.
შუამთის მონასტერი (აშენებულია კახთა მეფის ლევანის მეუღლის თინათინის მიერ) 230, 231, 233, 235, 238, 239.
შურაგული 255. იხ. შორეკალი, შურეღილი.
შურეღილი 249.

## ჩ

ჩეკურნი (სოფ.) 221.
ჩერებაშოვის სადგური, Черебашов кабак 290, 291.
ჩერქეზები Черкасы 239, 292, 295, 312 335.
ჩერქეზეთი 292.
ჩერქეზეთის მთაგრეხილი 106.
ჩილდირი 272, 273. იხ. ქაჯთა ციხე.
ჩიხნი, ჩიხები (ოსმალნი) 214, 216.
ჩიხორი 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 88.
ჩრდილოეთ კავკასია 302, 313, 315, 316, 318.
ჩრდილოეთ კავკასიის მთეულნი 320.
ჩხარი 86.
ჩხერის ციხე 152.

## ც

ცივ-წყარო 152.
ციხედიდი 263.
ციხისძირი (ქართლში) 222.
ცხენის წყალი 107, 112, 153, 179.
ცხირეთის გუერდი 91.
ცხუნკური 268.

## ძ

ძალისი (ხევი) 222; 224, 225.
ძუნძნა (ადგ.) 273.

## წ

წედისის მთა 152, 153.
წინწლა (ადგ.) 273.
წიწამური 101.
წყალ-წითელა 279.

## ჭ

ჭანდარი (ადგ.) 149
ჭანეთი 78, 153, 162, 170.
ჭალის მთა 152.
ჭაპალა 148.
ჭაპური (ადგ.) 222.
ჭიაური 267.
ჭირმახი (Tschirmik) 272
ჭოროხი 106, 117.
ჭოტორი 277.

### ხ

ხახული 268, 274.
ხენჭური 152.
ხერთვისი 274.
ხეუძმორა 152.
ხეუხილაკა 152.
ხვარასანი, ხორასანი 63, 241.
ხუნანი 136, 148.
ხუნზახი 302.

### ჴ

ჴევი ჴირჴალი 149.

### ჯ

ჯავახეთი 249.
ჯავახეთ-სამცხე 87.
ჯანჯლის ციხე 152.
ჯვარის მონასტერი (პალესტინაში) 192.
ჯიქეთი 153.
ჯიქნი (= ჩიხნი. მ. ბროსე) 214.

### ჰ

ჰამადანი 241.
ჰერეთი 92.
ჰერეთ-კახეთი 79.
ჰერ-კახნი 93.